



IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ  
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ  
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА

## **IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS**

**XLVIII**

**Иберийско-кавказское языкознание**

**XLVIII**

Tbilisi 2020 Тбилиси

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

# იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XLVIII

თბილისი  
2020

**მთავარი რედაქტორი**

ვაჟა შენგელია

**Editor-in-chief**

Vazha Shengelia

**სარედაქციო კოლეგია**

ავთანდილ არაბული  
მარინე ბერიძე  
გიორგი გოგოლაშვილი  
თამარ ვაშაკიძე  
გუჩა კვარაცხელია  
ნანა მაჭავარიანი  
მურმან სუხიშვილი  
ლია ქაროსანიძე  
მედეა ლლონტი  
მერაბ ჩუხუა

**Editorial Board**

Avtandil Arabuli  
Marine Beridze  
Giorgi Gogolashvili  
Tamar Vashakidze  
Gucha Kvaratskhelia  
Nana Machavariani  
Murman Sukhishvili  
Lia Karosanidze  
Medea Glonti  
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი:

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s:

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8  
Arn. Chikobava Institute  
of Linguistics

E-mail: [contact@ice.ge](mailto:contact@ice.ge)

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISSN

## შინაარსი – Contents

ლ. აზმაიფარაშვილი, სიტყვაწარმოებისა და ფრაზეოლოგიის ეთნო- ლინგვისტური შესწავლისათვის .....	9
L. A z m a i p a r a s h v i l i, On the Ethnolinguistic Study of Word Formation and Phraseology .....	51
ნ. არდოტელი, სომატურ სახელებთან დაკავშირებული კომპოზიტების სემანტიკური ანალიზი ქართულში, დიდოურსა და ბეჟიტურ ენებში.....	54
N. A r d o t e l i, Semantic Analysis of Compounds Related to Somatic Words in Georgian, Dido and Bezhta Languages .....	62
ა. ბასილაშვილი, კომპოზიციის საკითხები უდიურ ენაში .....	63
A. B a s i l a s h v i l i, Issues of Composition in the Udi Language .....	69
მ. ბუკია, კომპოზიტური არსებითი სახელების წარმოებისათვის აფხაზურ და ადიგურ ენებში .....	71
M. B u k i a, On the Formation of Compound Nouns in Abkhazian and Adyghe .....	79
თ. ბურჭულაძე, განსაზღვრებითდამოკიდებული წინადადების თავისებურებანი ზეპირ მეტყველებაში .....	81
T. B u r c h u l a d z e, The Peculiarities of a Relative Clause in the Spoken Language .....	86
თ. გუჩუა, ეთნოგრაფიულ წყაროებში დადასტურებული პერფორმატიული გამონათქვამების შესახებ.....	87
T. G u c h u a, On Performative Utterances Attested in Georgian Ethnographic Sources.....	92
ქ. დათუკიშვილი, ბრუნების ტიპებისათვის თანამედროვე ქართულში .....	93
K. D a t u k i s h v i l i, On the Types of Declension in Modern Georgian .....	102

თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისათვის ახალ ქართულში .....	103
T. V a s h a k i d z e, On the Agreement Between an Attributive-Postpositional Modifier and the Head in New Georgian .....	107
დ. კ ა კ ა შ ვ ი ლ ი, თხზულ არსებით სახელთა სტრუქტურა და კლასიფიკაციის საკითხი ქართულ და ნახურ ენებში .....	108
D. K a k a s h v i l i, The Structure of Compound Nouns and the Issue of Classification in Georgian and Nakh Languages .....	113
მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, -გან / -დან თანდებულიან სახელთა მართლწერისათვის (სამეცნიერო ენაში) .....	115
M. L a b a r t k a v a, On Spelling Nouns with the Postpositions -gan /dan (In the Scientific Language) .....	121
რ. ლ ო ლ უ ა, არსებით სახელთა კომპოზიციური წარმოება ლეზგიურ ენაში .....	122
R. L o l u a, Forming Compound Nouns in Lezgian .....	128
თ. ლ ო მ თ ა ძ ე, საქართველოს ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი .....	129
T. L o m t a d z e, The Linguistic Repertoire of Georgian Jews .....	138
ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ლექსემა „რეცა“ ძველ ქართულში (ეტიმოლოგია) .....	139
N. M a c h a v a r i a n i, The Lexeme <i>reca</i> in Old Georgian .....	140
თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე, ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგიის შესახებ .....	141
T. M a k h a r o b l i d z e, On Verbal Morphology of the Georgian Sign Language (GESL) .....	146
მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა სესხება- ადაპტაციისათვის სვანურში. II. ....	147
M. S a g h l i a n i, Borrowing-Adaptation of Religious Lexical Units in Svan. II. ....	160
ნ. ს უ რ მ ა ვ ა, ატიპიურის ტიპიურად გარდაქცევისკენ სწრაფვის ტენდენცია ქართულ დიალექტებში (კუთვნილებით ნაცვალ- სახელთა მრავლობითის ფორმაწარმოების მაგალითზე) .....	162
N. S u r m a v a, The Tendency of Converting the Atypical to the Typical in Georgian Dialects (On the Example of Forming the Plural of Possessive Pronouns) .....	167

მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, სვანური <b>ლიჩყე</b> „გამოკვება“ ზმნის ქართული შესატყვისის ძიებისათვის .....	168
M. S u k h i s h v i l i, Searching for the Georgian Correspondence of the Svan Verb Ličpe (to Feed) .....	178
მ. ლ ლ ო ნ ტ ი, „მიზანი“ ძველ ქართულში (ძვ.ქართ.: განი, საგანი, პირი) ...	179
M. G h l o n t i, <i>mizani</i> "Goal" in Old Georgian (Old Geo.: <i>gani, sagani, piri</i> ) .....	196
ბ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, უარყოფითი კონოტაციის მქონე ემოციური შორისდებულებისათვის სვანურში .....	197
N. S h a v r e s h i a n i, M. S a g h l i a n i, L. G i g l e m i a n i, On the Emotional Interjections with Negative Connotations in Svan .....	212
ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ქართველურ და ჩერქეზულ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხები. VI-VIII .....	213
V. S h e n g e l i a, Issues of Descriptive and Historical-Comparative Studies of Kartvelian and Circassian Languages. VI-VIII .....	218
ო. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, რ. ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, ნ. ო დ ი შ ე ლ ი ძ ე, გერმანელ ეთნოლინგვისტთა დვაწლი ქართველოლოგიაში I – პროფესორი გერჰარდ დეეტერსი (1892-1961 წ.წ.) .....	219
I. C h a n t l a d z e, K. M a r g i a n i - s u b a r i, R. Z e k a l a s h v i l i, N. O d i s h e l i d z e, The Contribution of German Ethnolinguists to Kartvelology I - Professor Gerhard Deeters (1892-1961) .....	231
ო. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ნიკოლო მაკიაველის ლინგვისტური ტრაქტატი „საუბარი ანუ დიალოგი ჩვენი ენის შესახებ“ ("Discorso o dialogo intorno alla nostra lingua") .....	232
I. C h a c h a n i d z e, Niccolo Machiavelli's Linguistic Treatise "A Discourse or Dialogue Concerning Our Language" ("Discorso o dialogo intorno alla nostra lingua") .....	238
ბ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ერთი იშვიათი დერივატისათვის შატბერდულ კრებულში .....	239
N. K h a k h i a s h v i l i, On One of the Rare Derivatives in the Shatberdi Collection .....	244

---

ნ. ხოჭოლავა - მაჭავარიანი, ქართული ხორბლის უძველესი სახეობის – <b>მახას</b> ( <i>Triticum macha</i> ) – თავდაპირველი სემანტიკისათვის .....	245
N. K h o c h o l a v a - M a c h a v a r i a n i, On the Original Semantics of an Oldest Species of Georgian Wheat <i>maxa</i> ( <i>Triticum Macha</i> ) .....	253
ც. ჯანჯღავა, ზმნური მიმართვის შესახებ მეგრულში .....	254
T. J a n j g h a v a, On Addressing with a Verb in Megrelian .....	259
გ. ჯღარკავა, მიმართვის სახელური ფორმები მეგრულ და ლაზურ ანდაზებში .....	260
G. J g h a r k a v a, The Noun Forms of Addressing in Megrelian and Laz Proverbs .....	265



ლევან აზმაიფარაშვილი

**სიტყვაწარმოებისა და ფრაზეოლოგიის  
ეთნოლინგვისტური შესწავლისათვის<sup>1</sup>**

სიტყვაწარმოება და ფრაზეოლოგია წარმოგვიდგება ენის შიდაფორმის (ვ. ფონ ჰუმბოლდტი) ერთ-ერთ მკაფიო გამოვლინებად და, ამდენად, შეიცავს ინფორმაციას ენობრივი მსოფლხედვის შესახებ. კომპოზიტები და ფრაზეოლოგიზმები გვევლინება, აგრეთვე, ეთნოსის ყოფისა და კულტურის ამსახველ ენობრივ ერთეულებად.

ნებისმიერი ხალხის ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის ნიშანდობლივია ადამიანთა ურთიერთობების, ქცევებისა და ქმედებების სტერეოტიპულობა, რაც განმტკიცებულია ტრადიციებით. დამახასიათებელია, აგრეთვე, მდგრადობა და რეგულარობა – ერთი და იმავე სახით მრავალჯერ განმეორებადობა, რაც სათანადო ასახვას ჰპოვებს ენაშიც: ტრადიციებით გამაგრებული ესა თუ ის მყარი სტერეოტიპული ქცევა, ქმედება თუ მოვლენა (წეს-ჩვეულება, რიტუალი) ტრადიციული საზოგადოების დისკურსში, როგორც წესი, მ ყ ა რ ი ე ნ ო ბ - რ ი ვ ი ე რ თ ე უ ლ ი თ (კომპოზიტით, მყარი შესიტყვებით) არის ხოლმე სახელდებული და გამოხატული.

მნიშვნელოვანია გამოვლენა და შესწავლა ისეთი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური მონაცემებისა, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთრივ ეთნოგრაფიული სინამდვილით არის შეპირობებული და წარმოქმნილი ენაში. ამ სახის ენობრივი მასალა უხვად მოიპოვება. წინამდებარე სტატიაში განხილული და გაანალიზებულია რამდენიმე მაგალითი.

\* \* \*

ქართულ ენაში მოიპოვება შე ე რ თ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი, რომელთა შემადგენლობაშიც გვხვდება სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სხვადასხვა სახელები; ასეთი კომპოზიტებია, მაგალითად, **ხელ-ფეხი, ტან-ფეხი, თავ-ფეხი, მხარ-ზეგი, გულ-მკერდი, ცხვირ-პირი, წვერ-ულვაში, თვალ-წარბი, გულ-ღვიძლი** და სხვ. ამ ტიპის ზოგიერთი კომპოზიტის გამოყენება საერთო ენაში ამავე დროს რამდენადმე შეზღუდულია, მაგ., **ყელ-ყური, გაგაწელი, კუჭ-ნაწლავი** უპირატესად სამედიცინო დარგის ტერმინებია.

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

ამასთანავე მოიძებნება ანალოგიური აგებულების ისეთი კომპოზიტებიც, რომლებიც დღეს იშვიათად თუ იხმარება და სალიტერატურო ქართულ-ლისათვის რამდენადმე უჩვეულოა. სომატიზმების შემცველ ამგვარ სიტყვას წარმოადგენს **ხელ-მხარი**.

**ხელმხარი** წარმოდგენილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ და მისი განმარტებაა უბრალოდ „ხელი და მხარი“. საილუსტრაციო მაგალითებად ახლავს: „ნადირს კბილი შეუკარი, მეკობრესა – ხ ე ლ-მ ხ ა რ ი“ (ხალხ.), „აი, ხ ე ლ-მ ხ ა რ ი შეგარჩინოთ ღმერთმა! – შეაქო პაატამ თავისი შეგირდები“ (ვ. ბარნ.) (ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ხევესურულსა და ფშაურში, მაგალითად, არსებობს მყარი შესიტყვება **კელ-მკარის ნათვლა, კელ-მკარს გაინათლავს**. ასე ეწოდება კულტმსახურების ერთ-ერთ წესს: ჯვარ-ხატის მსახური სამსხვერპლო პირუტყვს დაკლავს და მის სისხლს, განწმენდის მიზნით, ხელეზე ისხურებს – „გაინათლება“<sup>1</sup> (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 89, მაკალათია 1984: 241, ოჩიაური 1991: 17, 38, 65, 101, 105, 133, 134, 158, 161, 176-179, 189, 2014, 223, 227, 238, 263, 283, 284; ჭინჭარაული 2005).

ღირსსაგნობია, რომ მეგრულშიც დასტურდება „ხ ე ლ ი“ და „მ ხ ა რ ი“ კომპონენტებისაგან შედგენილი სიტყვა **ხე-ხუჯობა**, ზედმიწ. „ხ ე ლ - მ ხ რ ო ბ ა“. ამ სახელწოდებით ცნობილია დღეობა, რომელსაც მჭედლები საგანგებოდ აღნიშნავდნენ ახალი წლის წინა დღეს (ქობალია 1903: 112; მაკალათია 1941: 321-322; რეხვიაშვილი 1964:153). ყურადღებას იქცევს ლოცვის ტექსტი, რომელიც ხეხუჯობაზე წარმოითქმოდა:

ხ ე ხ უ ჯ ი ბედნიერი დო მშვენიერი, ჩქიმი ხ ე დო ხ უ ჯ ი შ ი ნაქიმი-ნათ ჩქიმი გური გაახარი, ჩქიმი ხ ე დო ხ უ ჯ ი შ ი ჯგირობუას სი ქგემორ-ჩქინე. ხ ე შ ი ტახუა, ხ უ ჯ ი შ ი ჭუა მა დო ჩქიმი ჩილ დო სქუას შორიმა ქგემომირაყით „ხ ე ლ მ ხ ა რ ი ბედნიერო და მშვენიერო, ჩემი ხ ე ლ ი ს ა და მ ხ რ ი ს ნაქნართ ჩემი გული გაახარე, ჩემი ხ ე ლ ი ს ა და მ ხ რ ი ს ჯანმრთელობით შენ დამაბერე. ხ ე ლ ი ს ტეხვა, მ ხ რ ი ს ტკივილი მე და ჩემ ცოლსა და შვილს შორის გაგვიქარვე“ (მაკალათია 1941: 321. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

მოხმობილი ტექსტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში რ ე გ უ ლ ა - რ უ ლ ი სახით გვხვდება ერთმანეთის გვერდით სიტყვები **ხე** („ხელი“) და **ხუჯი** („მხარი“), რომელთა შეერთებითაც (ლექსიკალიზაციით) არის მიღებული კომპოზიტი **ხეხუ'ნ'ჯობა**.

როდესაც ენაში რეგულარულად ხდება ორი სიტყვის ერთმანეთის გვერდით ხმარება, მათ შორის შესაძლებელია გაჩნდეს გარკვეული ასოციაციური მიმართება; მაგალითად, ქართულ ენაში **ია** სიტყვასთან ასოციაციურად დაკავშირებულია **ვარდი**, რაც სათანადოდ ასახულია კიდევ ენაში (განსაკუთრებით პოეტურ მეტყველებაში, ფოლკლორულ ტექსტებში...). გარკვეულ ხანაში კი, სპარსული პოეზიის გავლენით, **ვარდი** ასევე უკავშირდებოდა სიტყვას **ბულბული**. ქართულისათვის ბუნებრივია, აგრეთვე, შეკავშირება **პური** და

<sup>1</sup> ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონში“: ხევს. **განათვლა** „საკლავის დაკვლა და ხელზე მისი სისხლის ცხება“, **სანათლაგი** „საკლავი, რომლითაც ინათლებს“ (შანიძე 1984: 371).

**ღვინო** სიტყვებისა, რომელთაგანაც შედგენილია კიდევ კომპოზიტი **პურ-ღვინო**; შდრ. **პურ-მარილი**, აფხაზური **ა-ჩეიჯგკა** „პურ-მარილი“, ზედმიწ. „პური და მარილი“ (გვანცელაძე 2011:352), შდრ., აგრეთვე, რუს. **хлеб-соль**. რეგულარული სახით შეინიშნება მიმართება **თხა** და **მგელი** სიტყვებს შორის. იგივე მოვლენა შესამჩნევია ანთროპონიმებშიც: **პეტრე** სახელთან, მაგალითად, ასოციაციურ კავშირშია **პავლე**... ანთროპონიმთა ანალოგიური მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ სხვა ენებიდანაც; მაგ., გერმანულში: **პეტერი** და **პაული** (პეტრე და პავლე), ინგლისურში: **ჯეი** და **ჯილი**, ესპანურში: **ხუანი** და **მარია**, ხუნძურში: **ალი** და **უმარი**, **ჰასანი** და **ჰუსეინი** და სხვ.

გარკვეული დროის განმავლობაში და გარკვეულ პირობებში შესაძლებელია მოხდეს სიტყვათა ამდაგვარი წყვილების გაკომპოზიტება, ანუ მათი ქცევა მყარ ლექსიკურ ერთეულებად. სიტყვათა შორის ასეთი სახის მიმართებათა გაჩენა იმთავითვე შეიძლება შეპირობებული იყოს ლოგიკურ-აზრობრივი ფაქტორით, ანდა მხატვრული პოეტური აზროვნების ზემოქმედებით. ამ მხრივ მნიშვნელოვნად განმსაზღვრელია სათანადო ენაზე მეტყველი ხალხის (ეთნოსის) ეთნოგრაფიული სტერეოტიპებიც. სწორედ ეთნოგრაფიული სინამდვილის წიაღშია გაჩენილი, მაგალითად, სიტყვათა წყვილები **ფიც-ვერცხლი** (შესიტყვებაში **ფიც-ვერცხლის ჭამა**), **ჟარ-ქვაბი** (შესიტყვებაში **ჟარ-ქვაბით შაყრა**) და სხვ. ხოლო სიტყვათა წყვილს, როგორცაა **ქალ-ვაჟი** ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ისეთი კონოტაცია ახასიათებს, რაც სალიტერატურო ქართულისათვის არ არის ნიშანდობლივი, მაგ., ხევსურულში კომპოზიტი **ქალ-ვაჟობა** სწორფრული ურთიერთობის აღმნიშვნელ ერთ-ერთ სიტყვადაც გვევლინება (ბალიური 1991: 189).

ნათესაური და მოყვრული ურთიერთობის სისტემათა მრავალფეროვნებასა და სიმყარეს ტრადიციულ საზოგადოებაში კარგად ასახავს ასეთი ხევსურული სიტყვები (კომპოზიტები): **ქალ-მამისახლობა**, **დედიდა-მამიდაშვილობა**, **სიძე-ცოლისდობა**, **ზალ-ქმრეულობა**. (ბალიური 1991: 70-120). ეს სიტყვები გამოიყენებოდა სწორფრულ ურთიერთობებშიც <sup>1</sup>.

დიალექტური კომპოზიტი **დისწულ-დედიძმა** სტრუქტურის მხრივ წარმოადგენს ისეთსავე ტიპის კომპოზიტს, როგორცაა სალიტერატურო ქართულში **და-ძმა**, **დედ-მამა**, **ცოლ-ქმარი**, **ცოლ-შვილი**, **რძალ-დედამთილი** და სხვა. ეს სახეობა ნათესაური ურთიერთობისა დღევანდელ ურბანულ ყოველდღიურობაში აღარ არის მკაფიოდ და საგანგებოდ გამოკვეთილი, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, მაგალითად, **დისწულ-დედიძმობა** მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტრადიციული საზოგადოების ცხოვრებაში

<sup>1</sup> ნ. ბალიურის ცნობით, „ერთია ნამდვილი სწორფრობა, ე.ი. წოლა მშობილებთან. მეორეა: ზალქმრეულობა, ე.ი. სწორფრობა რძალსა და ქმრის ნათესავეს შორის. მესამე: სიძე-ცოლისდობა, ე.ი. სიძისა და ცოლის მოგვარე და ან ახლობელი ქალების სწორფრობა. მეოთხე: დედიდა-მამიდასშვილობა, ე.ი. სწორფრობა დეიდაშვილებსა და მამიდაშვილებს შორის. მეხუთე: დისწულ-დედიძმობა, ე.ი. დედის მახლობლებთან წოლა, ცხადია თავის ტოლებთან. მეექვსე: ქალ-მამისახლობა, ე.ი. ქალის წოლა თავის მოგვარეებსა და სოფლებთან პატრიარქალის მიზნით. მეშვიდე: სწორფრობა უცხოებთან ჭირ-ლხინის დროს შეხვედრილ უცნობ ხევსურებთან. ყველა ესენი თავისი შინაარსის მიხედვით ერთიმეორესაგან განსხვავდებიან“ (ბალიური 1991: 9).

(ბალიური 1991: 83-95; ოჩიაური 1980: 94-98). განსაკუთრებული ურთიერთობა დედის ძმასა და დის შვილს შორის ყურადღების საგანი გახდა მსოფლიოს ეთნოლოგიაში (არაერთი ეთნოსისთვისაა დამახასიათებელი ეს ნათესაური ურთიერთობა) და მისთვის გამოიყენება სპეციალური სამეცნიერო ტერმინიც – **ავუნკულატი** (ლათ. avunculus „დედის ძმა“).

\* \* \*

სიტყვა **ქალ-ზალი** მთის კილოებში (ხევსურულში, ფშაურში, თუშურში) არის „კრებითი სახელწოდება სოფლის გასათხოვარი და გათხოვილი დედროვანისა“ (ბალიური 1991:189; სიტყვის განმარტება ეკუთვნის თ. ოჩიაურს). ეთნოლოგიურ მეცნიერებას, ალბათ, გაუძნელდებოდა თავად შეექმნა ისეთი სპეციალური ტერმინი, რომელიც უფრო ბუნებრივი და ორგანული შესატყვისი იქნებოდა მთის სოფლის შინაგანი ტრადიციული ყოფისა, ვიდრე კომპოზიტი **ქალ-ზალი**. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებობდა ე გ ზ ო გ ა მ ი ო ს მკაცრი წესი, რომლის მიხედვით დაუშვებელი იყო ერთი და იმავე სოფლის ქალ-ვაჟის დაქორწინება<sup>1</sup>. ამ წესმა კი სათანადო ასახვა ჰპოვა ენაშიც **ქალი** და **ზალი** სიტყვების დაპირისპირებით: მთის სოფელში **ზალი** ეწოდებოდა გ ა თ ხ ო ვ ი ლ პირს, რომელიც, წესის მიხედვით, აუცილებლად ს ხ ვ ა ს ო ფ ლ ი დ ა ნ უნდა ყოფილიყო მოყვანილი, ხოლო **ქალი** მთის კილოებში მნიშვნელობით არ არის იდენტური სალიტერატურო ქართულის იმავე სიტყვისა (მდედრობითი სქესის ადამიანი ზოგადად). მთის სოფელში **ქალი** ერქვა გ ა ს ა თ ხ ო ვ ა რ პირს, რომელიც ი მ ა ვ ე ს ო ფ ე ლ შ ი იყო დაბადებული და გაზრდილი. გ ა თ ხ ო ვ ე - ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი კი ისიც **ზალი** გახდებოდა, ოღონდ უკვე ს ხ ვ ა ს ო ფ ე ლ შ ი.

დიალექტური სიტყვა **ქალი** ერთ-ერთი ნათელი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება სიტყვის სემანტიკა, მისი კონოტაცია უშუალოდ იყოს მოტივირებული მეტყველი კოლექტივის ტრადიციულ-ყოფითი სინამდვილით. მეტად საყურადღებოა ამ მხრივ ნ. ბალიურის ცნობა:

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა თავის თხზულებაში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ ე გ ზ ო გ ა - მ ი ო ს წესს ასე ახასიათებს: „ქალ-ვაჟს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ იმათ სიყვარულს ბოლო არა ჰქონდა. სამუდამოდ ერთმანეთისა ვერ გახდებოდენ. ვაჟს უნდა თავის თემის გარეშე მოეძებნა საცოლე და ქალსაც ეგრეთვე საქმარე. რამდენჯერ თავის გულში სწყევლიდენ შეუზრალელებს, უღმერთო ჩვეულებას, რომელიც სასტიკად უკრძალავს ერთის სოფლის და თემის ქალ-ვაჟის შეუღლებას და განა მართო ქალ-ვაჟს, ქალწულს შახეხა ეს ჩვეულება? დაქვრივებულმა დედაკაცმაც, რაც უნდა ლამაზი, საქებური ადამიანი იყოს, გარეშე იმ სოფლისა, თემისა, რომელსაც მისი ქმარი ეკუთვნოდა, უნდა ეძებოს მეუღლე“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 136-137).

ეგზოგამიის წესს მკაცრად მისდევდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თუმცა ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა ხევსურეთში მიღმახევი (სოფლები: ხახაზო, არდოტი, ხონისჭალა, მუცო, არჭილო). ნ. ბალიურის ცნობით, მიღმახევის მცხოვრებნი „ქალს ვერ თხოულობენ სხვა ხევსურებისაგან, თუ თავისი ხეობიდან არ შეირთეს. ვინიცობაა მიღმახეველებმა ქალი ითხოვეს სხვა მხრისა, მაშინ ხარი უნდა დაუკლან ქალის პატრონს – საგვარმეტო“ (ბალიური 1991: 156).

„ხევსურეთში ახალგაზრდა გაუთხოვარ ქალიშვილს ყველანი ეძახიან „ქალს“ ... გათხოვილ ქალს „ქალს“ აღარავინ დაუძახებს. სიტყვა „ქალი“ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ნახმარი იყოს დედაკაცებზეც, ქალიშვილებზეც და რძლებზეც, მაგრამ „დაიცი“ გათხოვილ ქალს ეთქმის, რაც არ შეიძლება სხვას დაუძახონ. ქალობით მას მიმართავენ თვისი მამულნი<sup>1</sup>, გათხოვილი იქნება გაუთხოვარი, თუ უკვე ხანში შესული. რძალი გათხოვილ მულს, ქმრის სოფელ ქალებს ქალს ვერ დაუძახებს, თუ იგი ახლად მიყვანილია. იგი „ქალს“ ეძახის თავისსა და თავის ქმრის ტოლ ქალებს. როდესაც ქალი მშობლების სახლშია, მაშინ ის სტუმრად ყველასთან მოურიდებლად მიდის, ჰკოცნის როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს. იგი თავის სოფელ ელებთან ძალიან თამამია. ზოგიერთი ქალი, თუნდაც ხნიერიც იყოს, თუ ის მხიარულია, თავის სოფელში ისევე ცეკვავს, მღერის, ლექსობს, ტოტაობს ვაჟებთან, ეჭიდება მათ ცოლებს და ზოგჯერ მათ თვალწინაც წააქცევს, ხუმრობით აგინებს ვაჟებს, ხოლო რძლებს უგინებს ქმრებს, ამხიარულებს თავის ოჯახსა და სხვ. თუ იმ სოფელში მიცვალებულია, საიდანაც ქალია გათხოვილი და ეს უკანასკნელი მამის სახლში მიდის, პირველად მიცვალებულის ოჯახში მივა, ტირის მის ტანისამოსზე მშობით თავის ტოლებზე, მცირეწლოვანებზე მის წულობით, ხოლო თავისზე ხნიერებზე ბიძაობით. ქალებზე ტირის დობით, რძლებზე და დედაკაცებზე ზლობით ან ზალაობით, მოხუცებულ დედაკაცებზე კისახელს იძახის“ (ბალიაური 1991: 82-83. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ასევე საყურადღებოა ცნობა **ზალი** სიტყვასთან დაკავშირებით: „ქალი აკვანში დანიშვნიდან ქმართან დაბინავებამდე სოფლისა და იმ გვარის ზღად ითვლება, სადაც ის არის დანიშნული (როდესაც ქმართან მივა ქალი, მას უკვე დიაცს უწოდებენ)“ (ბალიაური 1991: 103. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **ქალი** („მდედრობითი სქესის ადამიანი ზოგადად“) და **რძალი** არ ქმნიან საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვათა წყვილს, ხოლო მთის კილოებში იგივე სიტყვები ანტონიმებად გვევლინებიან; ანტონიმის კი წარმოადგენს სიტყვათა რეგულარული (და არა შემთხვევითი) დაპირისპირება, თანაც ისეთი დაპირისპირება, რომელიც ენაში უზუსტით არის დამკვიდრებული და საყოველთაოდ გავრცელებული (ფოჩხუა 1974: 37). როგორც ვხედავთ, **ქალი** და **ზალი** სიტყვათა რეგულარული დაპირისპირება მთის კილოებში უშუალოდაა განპირობებული მეტყველი კოლექტივის ტრადიციულ-ყოფითი სინამდვილით.

ქიზიყური **ქალრძალი**, რომელიც შეტანილია „განმარტებით ლექსიკონშიც“, მხოლოდ გარეგნულად ჩამოჰგავს მთის კილოთა კომპოზიტს. იგი სრულიად განსხვავებული სტრუქტურისა და მნიშვნელობის სიტყვაა. წარმოად-

<sup>1</sup> ხევს. **მამული**, მრ. **მამულნი** „გათხოვილი ქალის გვარის მმა-სახლიკაცები“ (შანიძე 1984: 353), „მამის გვარის ხალხი, ბიძაშვილები (ქალისთვის)“ (ჭინჭარაული 2005).

გენს განსაზღვრებით კომპოზიტს და მისი მნიშვნელობა, „განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, არის „ოთხიოდე წლის ჯვარდაწერილი პატარძალი“.

ს ა კ ი რ ი ს კ ი რ ო მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ი ს მ ქ ო ნ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს -  
გ ა ნ არის აგრეთვე წარმოებული ხევსურულ დიალექტში კომპოზიტი **მამ-  
კლავ-მამკვდრობა** (ოჩიაური 1980: 180-191), რომელშიც ა ნ ტ ო ნ ი მ ე ბ ა დ  
გვევლინება **მამკლავი** („მომკლავი“) და **მამკვდარი** („მოკლული“). ამ კომპო-  
ზიტით აღინიშნება ადამიანებს შორის ურთიერთობათა და დამოკიდებულე-  
ბათა, ქცევათა და ქმედებათა მთელი სისტემა, რომელიც ტრადიციულ საზო-  
გადოებაში უკავშირდებოდა მესისხლეობის ჩვეულებას. ალ. ოჩიაურის გან-  
მარტებით, **მამკლავ-მამკვდრობა** ეწოდება „იმას, როცა კაცი უკვე მოკლულია  
სხვისი ხელით და მომკლავის გვარი ითვლება მოკლულის გვარის მოსის-  
ხლედ“ (ოჩიაური 1980: 164). სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მამკლავ-მამკვდრობა**  
ჰქვია დამაბულ მდგომარეობას, რაც მკვლელობის შედეგად სუფევს ორ გვარს  
შორის. იგივე კომპოზიტი დადასტურებულია ფშაურ დიალექტშიც მნიშვნე-  
ლობით „სისხლის ძიება“ (შანიძე 1984: 353).

ხევსურულში ანტონიმებად გვევლინება, აგრეთვე, **მთელი** („ცოცხალი“) და **მკვდარი**. მოიპოვება ამ სიტყვებისაგან შედგენილი შეერთებითი კომპოზიტი **მთელ-მკვდარი** კრებითი მნიშვნელობით: „ცოცხლები და მიცვალებულები“. ამ კომპოზიტისაგან არის აგრეთვე დერივაციულად ნაწარმოები (კონფიქსის მეშვეობით) **სა-მთელმკვდრ-ო** „მძიმე ჭრილობისა ანდა მკვლელობის განზრახვის საზღაური ხუთი ძროხის რაოდენობით“ (ჭინჭარაული 2005), **სა-მთლ-ო-სა-მკვდრ-ო** „თუ ჩხუბში დაჭრილი განსაცდელშია (არც მთელია და არც მკვდარი) შეიძლება შერიგება მოხდეს. მაშინ მომეტებულს აძლევენ (ვთქვათ, ოცდახუთ ძროხას), შემდეგ გინდ მოკვდეს, სისხლი არ დაედება. ამ შემთხვევაში **სამთლო-სამკვდრო** შესარიგებლად მიცემული ძროხებია“ (შანიძე 1984: 390).

\* \* \*

შეერთებითი კომპოზიტს წარმოადგენს ხევსურულში **სწორფერი**, რომელიც მიღებულია **სწორ-ო** და **ფერ-ო** სიტყვათა შეერთებით. ფშაურში მისი შესატყვისია **წაწალი**.

**სწორფრობა** თავისებური და ხევსურეთის ტრადიციული ყოფისათვის ერთობ დამახასიათებელი, თუმცა დღეს უკვე გამქრალი და საბოლოოდ მივიწყებული ჩვეულებაა, ისევე როგორც ფშაური **წაწლობა**. ასე ეწოდება ქალ-ვაჟის განსაკუთრებულ ურთიერთობას, მათ სიახლოვეს. წესად იყო სწორფერი ქალ-ვაჟის ერთად წოლა, მაგრამ სქესობრივი კავშირი და სწორფერთა შეუღლებაც, რჯულის მიხედვით, მკაცრად იკრძალებოდა.

შთამბეჭდავადაა ეს გადმოცემული გრიგოლ რობაქიძის მოთხრობაში „ენგადი“:

„მოვიდა იგი ავხორცი და უმანკო. ჩვენი ალერსი წამებად იქცა. „რატომ არ უნდა მოხდეს ჩვენს შორის ის, რაც ხდება ვაჟსა და ქალს შორის?“ ვკითხე მას ჩემს გვერდით გართხმულს. „მე ხომ შენი სწორფერი ვარ და შენ ჩემი!“ მიპასუხა მან. „ეს ხომ წამებაა!“ შევძახე მე. „წამებაა?“ მომიბრუნა სიტყვა: „ტკბილ

ხომ არს!“ ტკბილი იყო „ეს“ უთუოდ, მაგრამ ასე მტანჯავი. რომელმა ვაჟმა შესძლოს ამ ცეცხლის ატანა?“ (რობაქიძე 1987: 74). ამ წესის შესახებ ხალხის აზრსა და შეხედულებას გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთი მოხუცი ხევსურის სიტყვებით ასე გვამცნობს: „ღვთიურ არს სიყორულ; ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“ (რობაქიძე 1987: 75).

სწორფრული ურთიერთობა ქალ-ვაჟს შორის ხევსურეთში მეტად ღირებულად და წმინდად მიიჩნეოდა, რაც გამოხატულია ფორმულით **სწორფრობა ხთის გაჩენილი**. ამ ჩვეულების წარმოშობა, ხალხის აზრით, უკავშირდება აბესალომისა და ეთერის ამბავს. სწორედ ეს საერთო ქართული სატრფიალო-რომანტიკული თქმულება ხევსურეთში ანდრეზად<sup>1</sup> იქცა, რამაც ხელი შეუწყო სწორფრობის ჩვეულების საკრალიზაციას:

„სწორფრობა ხთის გაჩენილი. რაიც კაცნ გაჩენილავან, იცის ჩემ მამამ, იმის მემრავ ქალ-ვაჟს სრუ სდობნივავ ერთუცივ. წინავ უფრო სდობნივას ერთმანეთი, სურულით ჯოცილანავ წინან კაცნივ, იციან. ერთად წოლა ქვე არ ყოფილ. ეეგრ თუ უაზრებდიან ერთუცს. მემრ ღმერთს ათერი-დ, აბურსელ (ეთერი და აბესალომი) უნახიან სურულით დახოცილნი. ამდგარა-დ სურულ ქალ-ვაჟისად მაუშორებავ, ირმის რქაზე, თამაქოხედა, ქალის ფარავზე გადაუტანავ. განა მე და შენ მოვიგონეთ წინწინ დობილ-მმობილობაი“ (ბალიაური 1991: 11).

მთიელთა ყოფა-ცხოვრებაში სწორფრობის ჩვეულების მნიშვნელობა და სიმტკიცე ცხადია, ენაშიც ჰპოვებდა ასახვას და მართლაც ნიშანდობლივია ამ ჩვეულებასთან დაკავშირებული ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, სხვადასხვა გამოთქმების მრავალფეროვნება, რაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ეთნოგრაფიულ ტექსტებსა თუ ფოლკლორში.

ხევსურულში ამ ჩვეულების აღმნიშვნელად დადასტურებულია, აგრეთვე, კომპოზიტები **წოლა-დგომა**, **დობილ-მმობილობა**, **ქალ-ვაჟობა**. ტრადიციულ-ყოფითი სინამდვილის კონტექსტში თავისებური კონოტაციით გვევლინება ერთი შეხედვით სავსებით ჩვეულებრივი და არაფრით გამორჩეული თქმაც კი, როგორიცაა **ვის იცნობ**. ნ. ბალიაური წერს: „ვ ი ს ი ც ნ ო ბ“ – ეს გამოთქმა ხევსურეთში ორგვარი მნიშვნელობის მატარებელია. პირველი: იგულისხმება რომელიმე პიროვნების ცნობა შეხედულებითა და ხასიათით, მეორე: ქ ა ლ ი ს ა და ვ ა ჟ ი ს ც ნ ო ბ ა ე რ თ ი მ ე ო რ ი ს ა წ ო ლ ი ს დ რ ო ს, წ ო ლ ი თ“ (ბალიაური 1991:15. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). აღსანიშნავია ენობრივი ეთიკეტის ფაქტებიც: „ხევსურეთში სწორფრები და საერთოდ ქალ-ვაჟები არ იტყვიან: მიყვარს, უყვარს, მიყვარხარო და სხვა. ამისი შესაფერი ტერმინებია: მ ო ს წ ო ნ ს, მ ი ნ დ, უ ნ დ. ს ი ტ ყ ვ ა მ ი ყ ო რ ს, უ ყ ო რ ს ს წ ო რ ფ რ ო ბ ა შ ი ა რ ი ხ მ ა რ ე ბ ა. ქალი მხოლოდ ქალზე იტყვის მიყორს, უყორს და სხვა. იტყვის აგრეთვე პატარა ბავშვებზე, ხბოზე, თიკანზე, ბატკანზე, კატის კნუტზე, ძაღლის ლეკვზე და სხვა. იტყვიან მოხუ-

<sup>1</sup> ხევს. **ანდრეზი** „მველი ცნობა, ზეპირი გადმოცემა ამა თუ იმ წესის, ჩვეულების, ადათის, მომხდარი ამბის შესახებ“ (ჭინჭარაული 2005). მთიელთა ცნობიერებაში ანდრეზი ორგანულადაა გადაჯაჭვული მათსავე ცხოვრებასთან. ანდრეზს აქვს უდიდესი მარეგულირებელი ძალა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, ზნე-ჩვეულებებისა, იდეოლოგიური და რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა. აკისრია ტრადიციულ ნორმათა სიცოცხლისუნარიანობის დაცვა-შენარჩუნების ფუნქცია (იხ., მაგ., ხარაძე 1951, ოჩიაური 1967, კიკნაძე 1984, კიკნაძე 2009 და სხვ.).

ცებულზე: კარგი ბებერია და მიყვარსო. კარგად მაჩნავ – ეს სიტყვა ყველაზე ითქმევა, გარდა ქმრისა“ (ბალიაური 1991: 155-156. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

საყურადღებოა სიტყვა **ძმობილი**, რომელიც, განსხვავებით მთის კილო-თაგან, სალიტერატურო ქართულში არ გამოირჩევა განსაკუთრებული კონოტაციური დატვირთვით. ხევსურულსა და ფშაურში კი ამ სიტყვის კონოტაცია შეპირობებულია მეტყველი კოლექტივის ტრადიციულ-ყოფითი სინამდვილის სპეციფიკით.

**ძმობილობა** ერქვა ქალ-ვაჟის განსაკუთრებულ ურთიერთობას, აღმოცენებულს სიყვარულის, სულიერი სიახლოვისა და ურთიერთპატივისცემის ნიშანდგზე. დამძობილებული ქალ-ვაჟის ერთად წოლა წესად იყო, მაგრამ რჯული სასტიკად კრძალავდა სქესობრივ კონტაქტსა და მათ დაქორწინებას. უნდა აღინიშნოს, რომ ძმობილობა და სწორფრობა, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, სავსებით ერთი და იგივე მაინც არ არის: ადამიანს შეიძლება სწორფერი ჰყავდეს, მაგრამ ძმობილად არ მიიჩნევდეს მას (ბალიაური 1991: 22-33).

ლინგვისტური თვალსაზრისით კი ის არის ღირსსაცნობი, რომ ქალ-ვაჟის ამგვარი თავისებური ურთიერთობა მეტყველებაშიც თავისებურადაა ასახული სიტყვის სპეციფიკური კონოტაციის სახით: საინტერესოა, რომ სიტყვა **ძმობილი** ეწოდება როგორც ვაჟს, ისე ქ ა ლ ს ა ც. მაგალითად:

„არ გრცხვენინანა, ბიჭო, რაად გაუწყერი შენს ძ მ ო ბ ი ლ ს? აღარც სწევი მაგასთანა-დ, არც ჳმას სცემ“ (ბალიაური 1991: 172. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.), „ძ მ ო ბ ი ლ ი ქ ა ლ ი ხევსური ვაჟისთვის დაზე მეტად შესანახი და მოსარიდებელია“ (ბალიაური 1991: 24. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.), „დღევანდელ სწორფერს როგორც ქ ა ლ ს, ისე ვაჟს მაშინ ეწოდებოდა ს ა ნ დ ა უ რ ი ძ მ ო ბ ი ლ ი“ (ბალიაური 1991: 8. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

რატომ ეწოდა ქალს **ძმობილი**? ამგვარი სახელდების მიზეზი იქნებ ენობრივი ეთიკეტისა თუ ტაბუს ნიადაგზე შეიძლებოდა აგვეხსნა<sup>1</sup>, მაგრამ, მეორე მხრივ სხვა ანალოგიური ფაქტი ქალის „ძმად“ სახელდებისა, თუნდაც ეთიკეტის ან ტაბუს თვალსაზრისით, ქართულ სინამდვილეში სხვაგან არ დასტურდება არც ეთნოგრაფიული მასალით, არც ლინგვისტური მონაცემებით.

ვითარება შეიძლება კიდევ უფრო უცნაურად მოგვეჩვენოს, თუ ფშავ-ხევსურულ ძმობილობას შევუდარებთ დასავლეთ საქართველოს მთიანეთში – სვანეთში – უწინ არსებულ ერთ-ერთ წეს-ჩვეულებას, რომლის სახელიცაა **ლინთურა**.

ამ ჩვეულების აღწერა მოგვცა ბესარიონ ნიჟარაძემ. იგი წერს: „სიტყვა „ლინთურა“ -ი ქართულად ჰნიშნავს ნაცნობობას, გაცნობას. ეს ნაცნობობა, შემდეგ ჩვეულებრივის ცერემონიის აღსრულებისა, ორსა ან რამდენსამე

<sup>1</sup> სიტყვის ტაბუს წარმოადგენს, მაგალითად, ხევსურულსა და ფშაურში მიმართვის ფორმა **მაგდისა?!** („გესმის?!“, „გეყურება?!“) // **არ მაგდისა?!** („არ გესმის?!“, „არ გეყურება?!“); „ქმარი ცოლს და ცოლი ქმარს სახელს ვერ ეტყვის და სიტყვა „მაგდისა?!“ მათი სახელის ერთ-ერთი შემცველია“ (ჭინჭარაული 2005). მსგავსადვე, თუშეთში ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელს არ დაუმახებდა; ქმარი ცოლს ეძახდა: **დიაცო! სახლობავ! ხეხერო!** ცოლი ქმარს – **ეგე, კაცო!** რძალი მავლს – **ბიჭო!** რძალი მულს – **ქალო! მარწყო! თეთრო! ქოჩორო!** და სხვ. (მაკალათია 1983: 167). ამგვარი მასალის მოხმობა უხვად შეიძლება.



კაცს შუა ამყარებს ს უ ლ ი ე რ ს ნ ა თ ე ს ა უ რ ს დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე -  
ბ ა ს. ლინთურალი მოხდება როგორც კაცსა და კაცს შუა, ისე დედაკაცებში,  
მაგრამ უფრო ხშირად-კი ა ხ ა ლ გ ა ზ რ და ქ ა ლ ს ა და ვ ა ჟ ს შ ო -  
რ ი ს“ (ნიჟარაძე 1962:210. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ამ ჩვეულების მიხედვით, ვაჟს შეეძლო დაახლოებოდა ახალგაზრდა ქა-  
ლიშვილს, ან გათხოვილ ქალს, რომლებთანაც ნათესაური კავშირი არ ჰქონდა.  
ვაჟი შეატყობინებდა ქალს, რომ მასთან ნაცნობობა სურდა. ამ ამბავს ქალი  
ეტყოდა თავის დედ-მამას ან ქმარს, თუ გათხოვილი იყო. თანხმობის მიღების  
შემთხვევაში ვაჟი მივიდოდა ქალის ოჯახში, სადაც მოამზადებდნენ საგანგებო  
ვახშამს. ქალის ოჯახში არყით დაილოცებოდნენ და შესთხოვდნენ ღმერთს,  
რომ ბედნიერი ყოფილიყო ქალ-ვაჟის ლინთურალი (ნიჟარაძე 1962: 2010).

ამის შემდეგ იწყება ჩვენთვის საინტერესო რიტუალი, რომელსაც ბ. ნი-  
ჟარაძე ასე აღწერს:

„ამ დროს დგება ვაჟი (ხან ქალი), მიდის იმ ქალიშვილთან, რომელიც  
უნდა გაიცნოს, იჩოქებს მის წინ ერთს მუხლზე და ეუბნება: მ ე დ ა გ ა დ გ ა  
ძ უ ძ უ ზ ე კ ბ ი ლ ი, თ უ შ ე ნ ა, ე.ი. შ ე ნ დ ა მ ი დ გ ე ბ ი დ ე დ ა თ  
თ უ მ ე მ ა მ ა და ო. ვსთქვათ, ქ ა ლ ს ს უ რ ს დ ე დ ო ბ ა. იხსნის პერან-  
გის საკინძეს და გამოაჩენს მარჯვენა ძუძუს. ვაჟი ძუძუს თავზე დანაყილს მა-  
რილს მოაყრის, შემდეგ მიუახლოვდება და დაადგამს კბილს ძუძუს წვერზე  
სამჯერ და სამჯერვე იტყვის „ს ი დ ი მ ი გ ე ზ ა ლ“ (შ ე ნ დ ე დ ა, მ ე  
შ ვ ი ლ ი). როცა ამას მორჩება, ქალ-ვაჟი ერთმანეთს აკოცებენ, სხვები ჰლოცა-  
ვენ, რომ გამარჯვებული ყოფილიყო იმათი ნაცნობობა. ვაჟი თავის ადგილას  
მიდის. დაიწყება ვახშამი. ამ დღის შემდეგ ქალ-ვაჟი ისე არიან ერთმანეთში,  
როგორც მ კ ვ ი დ რ ი ნ ა თ ე ს ა ვ ე ბ ი. იგინი არა თუ ერთად ატარე-  
ბენ დროს, ხშირად ერთად აც წ ვ ე ბ ი ა ნ. არავის ფიქრადაც არ მოუვა,  
რომ ქალ-ვაჟი, რომელთაც ლინთურალი მოახდინეს, დაარღვევენ, შეაგინებენ  
ამ ჩვეულებას“ (ნიჟარაძე 1962: 210-211. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

რა დავინახეთ? იმ დროს, როცა ფშავ-ხევსურეთში ქალ-ვაჟს შორის  
თითქოს „მმადნაფიცობაა“ დამყარებული, რაც ვერბალურად გამოხატულია  
**მმოზილი** სიტყვით ქალის სახელდებით, სვანური ლინთურალის ჩვეულების  
მიხედვით, ქალ-ვაჟს შორის თითქოს „დედაშვილური“ ურთიერთობა უნდა  
მყარდებოდეს, რაც ვერბალურად გამოიხატება სარიტუალო ფორმულით **სი  
დი, მი გეზალ** „შ ე ნ დ ე დ ა, მ ე შ ვ ი ლ ი“. ლინთურალის რიტუალის აღ-  
წერილობიდან ისიც ჩანს, რომ სურვილის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს პი-  
რიქითაც, ანუ ვაჟი „მამად“ გაუხდეს ქალს.

ლინთურალით დანათესავებული პირის აღმნიშვნელად ბ. ნიჟარაძეს  
მოხმობილი აქვს ერთადერთი სიტყვა **ნათჳირ**, მაგ., „ხშირად ქალი განგებ  
ინახავს არაყს, რომ ძვირობის დროს დაუძახოს თავის „ნათვირ“ ვაჟს და დაა-  
ლევინოს“ (ნიჟარაძე 1962: 212). სავარაუდოდ, ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის  
მოხსენიება „დედად“, „მამად“, „შვილად“ ყოველდღიურ ცხოვრებასა და ურ-  
თიერთობაში არც ხდებოდა და მყარ ფორმულას **სი დი, მი გეზალ** („შენ დედა,  
მე შვილი“) მხოლოდ სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. რიტუალის

შესრულებისას კი სიტყვას, ფრაზას, წინადადებას, ტექსტს, როგორც წესი, საკრალური მნიშვნელობა ეძლევა ხოლმე და ადამიანები უმეტესწილად არც უკვირდებიან მათ შინაარსს. ამას არსებითად განაპირობებს ტრადიცია: ამბობენ ასე, რადგან „ძველთაგანვე ასეა მიღებული“, რადგან „მამაპაპათაგან მოყოლებული ასეა“, „ძველებს ასე უთქვამთ“ .

წეს-ჩვეულებისა თუ რიტუალის დესემანტიზაცია ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიისათვის, როგორც სიტყვის დესემანტიზაცია ენათმეცნიერებისათვის.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რატომ ემთხვევა ლინთურალის რიტუალი ასე ზედმიწევნით შვილად აყვანის წეს-ჩვეულების რიტულს (რის გამოახილსაც წარმოადგენს ფორმულა „შენ დედა, მე შვილი“)? მართლაც, კავკასიის ეთნოგრაფიული სინამდვილიდან კარგად არის ცნობილი შვილად მიღების წესი, რომლის სარიტუალო ქმედებასაც წარმოადგენს სწორედ ძუძუზე კბილის დადგმა და წარმოთქმა სარიტუალო ფორმულისა „შენ დედა, მე შვილი“. ამისი მაგალითები ხშირად გვხვდება ზღაპრებსა და თქმულებებშიც.

ისევე ანალოგიას თუ მივმართავთ, შეიძლება ითქვას, რომ ეთნოლოგიაში წეს-ჩვეულება თუ რიტუალი ისევე საჭიროებს ხოლმე ეტიმოლოგიურ ანალიზს, როგორც ენათმეცნიერებაში სიტყვა.

რ. ხარაძე რიტუალთა ამ დამთხვევას ხსნის შემდეგნაირად: „თუ ფშავსა და ხევსურეთში ნაწილობრივად მსგავსი წესის ჩატარება – წაწლობა და სწორფრობა ხდება ოჯახის წევრებისაგან დამოუკიდებლად, სულ სხვა არის ამ მხრივ სვანეთში, სადაც ქორწინების მსგავსად ეს წესიც (ლინთურალ – ლ. ა.) გარკვეული რიტუალითაა გამაგრებული. თავის უფალი სვანის (ბესარიონ ნიჟარაძის ფსევდონიმია – ლ. ა.) მიერ მოყვანილი აღწერიდან ვხედავთ, რომ აქ წინასწარი მოლაპარაკება წარმოებს და თანხმობა არ არის დამოკიდებული მარტო ქალის სურვილზე, არამედ მშობლებისა და ქმრის აზრსაც ექცევა ყურადღება. ამას გარდა, ქალ-ვაჟთა ლინთურალ-ი მაგრდება გარკვეული რიტუალით, არყის შესმითა და დალოცვით, რომელშიც მთელი ოჯახი იღებს მონაწილეობას. უდაოა, რომ ამგვარი მოვლენა მხოლოდ იმ ხანაში უნდა გაჩენილიყო, როდესაც პატრიარქალური დიდი ოჯახი, როგორც სოციალური ერთეული უკვე გარკვეულ ძალას წარმოადგენდა და ამდენად თავის წევრებს გარკვეულ უფლებებსაც უყენებდა. ძნელი იყო უკვე ოჯახის გარეშე არსებულ სქესობრივ დამოკიდებულებას თავისი პირვანდელი ოფიციალური მხარეც შეენარჩუნებინა და შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამიტომ მოხდა ამ ორი სრულიად განსხვავებული წესის – შვილობილად და ნათურ-ად გახდომის ერთი მეორეში აღრევა, სადაც სქესობრივი მომენტის არსებობა მაინც თავს იჩენს“ (ხარაძე 1939: 69-70).

ბ. ნიჟარაძეს დადასტურებული აქვს ლინთურალის ჩვეულების ამსახველი სხვა სიტყვებიც **ლიქრისდ**, **ლიკერმ-ლიმარ** და ასე განმარტავს მათ: „ლინთურალს“ სხვანაირად კიდევ ეძახიან „ლიქრისდ“-ს (ქრისტობა) და „ლიკერმლიარ“-ს (ასეა ტექსტში – ლ. ა.). პირველს სიტყვას უფრო ხშირად ხმარობენ სადადიშქელიანო სვანეთში (ამჟამად ბალსქვემო სვანეთი – ლ. ა.) და მეორეს –

ლიკერძლიარ (რაჭა ლეჩხუმში კერძ-კაცობა) სადადიანო სვანეთში (ქვემო სვანეთში – ლ. ა.). „ლიქრისდ“-ი იქიდან წარმოსდგა ალბად, რომ ლინთურალის დროს ერთ-ერთი ქალი ან ვაჟი მეორეს წააცხებდა შუბლზე „მრონს“ (!), რომელსაც უწინ პაპებისაგან შოულობდნენ (სვან. **ხაპ, პაპ** „მღვდელი“- ლ. ა.). ნამდვილი მრონი პაპებს არა ჰქონდათ და მის მაგიერ ზეთს აძლევდნენ მრონის მნიშვნელობით“ (ნიჟარაძე 1962: 212. ბ. ნიჟარაძის წერილების გამოქვეყნებული კრებულის ამ გვერდზე გვხვდება „ლიქრობდ“, ნაცვლად „ლიქრისდ“-ისა, რაც სამწუხარო კორექტურული შეცდომაა. ასეთივე კორექტურული შეცდომა ჩანს „ლიკერძლიმარ“-ის ნაცვლად „ლიკერძლიარ“, რომელიც გამოქვეყნებული კრებულის ამავე გვერდზე ორჯერ გვხვდება).

ეთნოგრაფიული ცნობები მოწმობენ, რომ წაწლობის ჩვეულება ფშავში გადაგვარებას განიცდიდა, რასაც ხანდაზმულები სინანულით აღნიშნავდნენ (მაკალათია 1985: 129). ს. მაკალათია 1932 წ. საველე მუშაობით მოპოვებული ეთნოგრაფიული ცნობების საფუძველზე აღნიშნავს: „დღევანდელი სახის წაწლობა ხალხში უკვე მოწონებაში არ არის და მოწაწლე ქალებს მთხოვარი გაურბის. ქალის გასინჯვა-გარიგების დროს ქალის მშობლები ხშირად ტრაპახობენ, რომ ჩემი ქალი „ნ ა წ ო ლ - ნ ა დ გ ო მ ი“ არ არისო, ე.ი. არ წაწლობსო. და ასეთ ქალსაც მთხოვარი უფრო ეტანება“ (მაკალათია 1985: 130. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). წაწლობის ჩვეულების გადაგვარების პროცესი, ჩანს, უფრო ადრეც დაწყებულა და საკრალურობა მას თანდათანობით დაუკარგავს, რაც ენაშიც ასახულა. წეს-ჩვეულების დესაკრალიზაციის პირობებში უნდა გაჩენილიყო ნამძობი ვაჟის მეტსახელად ლექსებში სიტყვა **ძმა-ქმარა**, რომელიც პირველად ახსენა ვაჟა-ფშაველამ თხზულებაში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“. ვაჟას თქმით, „ამგვარ ნამძობებს გაეშმაკებული ფშაველი მოლექსეები ძმა-ქმარას ეძახიან ლექს-შაირებში, აი როგორც, მაგალითად, ეს ლექსი:

„ნეტავ რად არ გამათხუებ,  
მამაჩემო ღთისავარო?  
განა ბატარაილა ვარ,  
ქალი ოცი წლისა ვარო,-  
თორო ძმ ა - ქ მ ა რ ა ს შავირთავ,  
ქალ ისითა ჭკვისა ვარო“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 136).

როგორც ვაჟა აღნიშნავს, „ახალი ცხოვრების სიომ წაწლობაც გაპრყვნა. დღეს ამ თვალთმაქცურ დამძობას ბევრი ცუდი ემჩნევა. ძველს დროში, როგორც მოხუცებულები ამბობენ, რუსთაველური მიჯნურობა ყოფილა, დღეს კი საყვარლობად გადაიქცა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 17-18).

ხევსურული **სწორფერი** კომპოზიციის შედგენილობა გამჭვირვალეა და არ საჭიროებს ეტიმოლოგიურ ანალიზს. როგორც უკვე აღინიშნა, იგი შედგება სიტყვებისგან **სწორ-ი** და **ფერ-ი**. ამათგან **სწორ-** კომპონენტი შეიცავს „ტოლი“-ს, „თანატოლი“-ს, „თანასწორი“-ს სემანტიკას (შდრ. **სწორ-ამხანაგი**, **სწორ-ამხანაგები**), ხოლო **ფერ-ი** წარმოდგენილია იმავე მნიშვნელობით, რასაც ქართულში გამოხატავენ ფორმები შე-სა-**ფერ-ი**, შე-**ფერ-ი**-ს; დიალ. (ხევს., ფშ., მოხ., თუშ.) **ფერი** „მსგავსი“, **ფერ-ებ-ა** „მსგავსება“, სა-**ფერ-ი** „შესაფერისი“, ე-**ფერ-ებ-ა** „ემსგავ-

სება“, მი-ვ-ა-ფერ-ე „მივამსგავსე“ (შანიძე 1984: 412)... *ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა* (ანდაზა), *აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეჰყარა ერთფერი* (ხალხ.)...

გარკვეულწილად საყურადღებოა ვითარება ხუნძური ენისა, სადაც „ფერის“ აღმნიშვნელი **ტიერ** სიტყვისაგან ნაწარმოები სახელები მნიშვნელობით რამდენადმე სიახლოვეს ავლენენ ქართულის მონაცემებთან („თანაგვარობის“, „ერთნაირობის“, „შესაბამისობის“ გამოხატვის თვალსაზრისით): **ტიერ-ილ-აჟ** (I კლ.) „თანატოლი“, „მოასაკე“ (მამაკაცი), ზედმიწ. „ფერ-ის-ა“; **ტიერ-ილ-აი** (II კლ.) „თანატოლი“, „მოასაკე“ (ქალი), ზედმიწ. „ფერ-ის-ა“; **ტიერ-ილ-ალ** „თანატოლები“, „მოასაკეები“ (მრ.რ.), ზედმიწ. „ფერ-ის-ა-ნი“ და სხვ.

\*\*\*

ზემოთ განხილული ნიმუშები კომპოზიტიური სიტყვაწარმოებისა თვალნათლივ გვიჩვენებს ენობრივი ფაქტის შეფარდებას ეთნოგრაფიულ ფაქტთან და ამ ფარდობას აქვს რეგულარული ხასიათი. ამ ტიპის მაგალითების მოხმობა უხვად შეიძლება სხვადასხვა დიალექტებიდან. ისინი მოიცავენ ტრადიციული ყოფისა და კულტურის ნებისმიერ სფეროს, როგორცაა, მაგ., მეურნეობა (მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა, ნადირობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა, მებარეშუმეობა და სხვ.), ხელოსნობა და შინამრეწველობა (ფეიქრობა, მჭედლობა, ქვის დამუშავება, ხის დამუშავება და სხვ.), მატერიალური კულტურა (დასახლება, საცხოვრებელი, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობები, სამეურნეო ნაგებობები, სამეურნეო საგნები, სამუშაო და საბრძოლო იარაღი, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტრანსპორტი, ტანისამოსი და სხვ), კვების კულტურა, ხალხური მედიცინა, სოციალური ურთიერთობები (თემი, გვარი, ნათესაობა), ხალხური მმართველობის ფორმები, ჩვეულებითი სამართალი, ოჯახი და საოჯახო ყოფა, გენდერული ურთიერთობები, აღზრდის ხალხური წესები, წინაპართა კულტი, მიცვალებულის კულტი, სტუმარმასპინძლობა, ეთიკეტი, საბრძოლო ხელოვნება, სპორტი, გართობა, თამაში, მსოფლხედვა, იდეოლოგიური და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და სხვ.

კომპოზიტიური სიტყვაწარმოების პარალელურად, ენობრივი და ეთნოგრაფიული ფაქტების შეფარდების ანალოგიური მაგალითები პოვნოვია ფრაზეოლოგიაშიც, რაც ვლინდება, თავისებურ მყარ შესიტყვებათა სახით.

ამ ტიპის მყარ შესიტყვებათაგან ზოგიერთი ამჟამად მეტნაკლებად ფართოდ არის ცნობილი, მაგ., **სისხლის აღება, მმად გაფიცვა, ხატზე დაფიცება, ფიც-ვერცხლის ჭამა, თემიდან მოკვეთა** და სხვ., თუმცა თანამედროვე საზოგადოების წარმომადგენელი ამათაც დღეს მეტწილად მხატვრული ნაწარმოებებიდან თუ სამეცნიერო ლიტერატურიდან უფრო იცნობს და არა უშუალოდ ცხოვრებისეული სინამდვილიდან. ამავე ტიპისაა ჩვენს ყოველდღიურობაში ფართოდ გავრცელებული და ხმარებული კომპოზიტი თუ შესიტყვება **ჯვრის-წერა // ჯვრის წერა** (მდრ. „ეკლესიაში ჯვრის წერა გაიმართა“, მაგრამ – „ქალ-ვაჟმა ეკლესიაში ჯვარი დაიწერა“).

ამავე დროს დიალექტებში შეუდარებლივ უფრო მეტი რაოდენობით დასტურდება ანალოგიური ტიპის მყარი შესიტყვებები, რომელთა მნიშვნელობა, დანიშნულება და აზრი სათანადო კონტექსტებისა და განმარტების გარეშე გაუგებარია თანამედროვე საზოგადოების წარმომადგენელთათვის, რომელთა ყოველდღიური ცხოვრებაც აღარ არის განსაზღვრული სათანადო ტრადიციულ-ყოფითი სინამდვილით. ასეთი შესიტყვებებია, მაგალითად:

**აგუნას გადაძახება, ბეჭდის დადება, ბიჯში ჩაყენება, გზათ აქსნა, ზღის დაკითხვა, ზღუბლის დალაგვა, თასის ჩამაყრა, თოფის აღება, თოფის მოწამვლა, თოფის შერცხვენა, თოფის კმის გატება, იოლის შეკვრა, კარს ყოფა, კვალად გასვლა, კვალის დაჭერა, კვეთილჩი ჩასმა, მკვდართ გასტუმრება, მკვდართად შაწირვა, მკვდრის დაკრეფა, მუცლად დაქორწინება, მუცლად შათქმა, ნიშანზე ტირილი, პატივის მიტანა, პირის ჭერა, ყამის წირვა, რიგის ყენება, საფლაგზე შაქდომა, სახელის დადება, სულის ახსნა, ტალაგართ აღება, ტალაგართ დასხმა, უქმის ნათვლა, ფეხის ბრუნება, ფეხის დაპწნა, ქათმის ფერხვა, ქმრის მარხვა, ქრუვის დამახება, ყურის მაჭრა, ძაღლ-ციცათად ცემა, ძაღლით მაკვეთა, ძაღლის კსნა, წუმის შენახვა, წყალში გორება, წყლის განრისხება, წყლის მოხვნა, ჭერის ახდა, ხელის აშვება, ხელის ახსნა, ხელის გამობრუნება, ჯვარში შაქდომა, კარ-ქვებით შაყრა** და სხვა მრავალი.

სწორედ ამ ტიპის მყარი შესიტყვებებით ენაში უშუალოდ არის სახელდებული (და აღწერილიც) ტრადიციებით შემაგრებული სტერეოტიპული ქცევები თუ ქმედებები, რასაც ეწოდება წეს-ჩვეულება. წეს-ჩვეულებებს თან ახლავს სხვადასხვა რიტუალები, რომლებიც ასევე სახელდებულია მყარი შესიტყვებებით.

შესიტყვება **თოფის აღება** თანამედროვე საზოგადოების წარმომადგენლისათვის სრულიად თავისუფალი და ჩვეულებრივი სიტყვათმეხამებაა და რამე სხვა განსაკუთრებულ შინაარსს იგი მასში არ მოიაზრებს, მაგრამ ტრადიციული საზოგადოების დისკურსში სხვაგვარი ვითარებაა.

ვნახოთ ეს კონკრეტული წეს-ჩვეულების მაგალითზე:

ხევსური, რომელსაც სისხლი ემართა, მხლებლებთან ერთად ღამით მალულად მიდიოდა მოკლულის სოფლის მთავარ სალოცავში (ჯვარში). თან წაიღებდა ხუთ ლიტრ სპილენძს, არაყს და წაიყვანდა საკლავს. სალოცავთან მიპარვისას ერთ-ერთი თანმხლები წავიდოდა ხუცესის მოსაყვანად. ხუცესიც ჩუმად მოვიდოდა. სალოცავში დაკლავდნენ საკლავს, არაყს სასწრაფოდ დალევედნენ, სპილენძს იქ დატოვებდნენ და უკან გაბრუნდებოდნენ. სალოცავში (ჯვარში) კი დარჩებოდა მოსისხლის თანმხლები ერთი შუაკაცი და ხუცესი. ყოველივე ამ ქმედებას ერქვა **ჯვარში შაქდომა**. ამიერიდან ითვლებოდა, რომ მოსისხლე „ჯვარს მიებარა“, ანუ სალოცავი (ჯვარი) მისი მფარველი გახდა. თუ მოკლულის პატრონს (ჭირისპატრონს) მკვლელი (მეჭლე) „ჯვარში შაუჯდებოდა“, წესის მიხედვით, მას უკვე უფლება აღარ ჰქონდა მკვლელისა ან მისი ნათესავებისათვის თოფი ესროლა. ამ წესს კი ეწოდებოდა **თოფის აღება** (ოჩიაური 1980: 186-188, მაკალათია 1984: 86). **აღება** სიტყვასთან დაკავშირებით საყურადღებოა ალ. ოჩიაურის განმარტება: „მანამდენ („ჯვარში შაქდომა-

მდე“ – ლ. ა.) თითქოს თოფი და დ ე ბ უ ლ ი (და მ ი ზ ნ ე ბ უ ლ ი) იყო მოსისხლისათვის სასროლად და ახლა ა ი ღ ე ს, აღარ უმიზნებენ მოსისხლეს“ (ოჩიაური 1980: 187. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). გარკვეული ანალოგიისათვის აქ შეიძლება მოვიხმოთ ფრაზეოლოგიური შესიტყვება სალიტერატურო ქართულიდან **ხელის აღება** „რაიმეს მიტოვების“, „თავის მინებების“ მნიშვნელობით (მაგ., „მან ამ საქმეზე ხელი აიღო“).

როგორც ვხედავთ, ერთი შეხედვით თავისუფალი შესიტყვება **თოფის აღება** კონკრეტული წეს-ჩვეულების კონტექსტში მოგვევლინა სპეციფიკური კონოტაციით, რაც განპირობებულია ამ შესიტყვების შეფარდებით გარკვეულ სტერეოტიპულ ქმედებასთან.

თუ **თოფის აღება** შეიძლება ჩვეულებრივ თავისუფალ შესიტყვებად მიგვაჩნდეს მისი სპეციფიკური კონოტაციის გათვალისწინების გარეშე, მისგან განსხვავებით, მეტად უცნაურ და უაზრო სიტყვათშეხამებად მოგვეჩვენება შესიტყვება **თოფის შერცხვენა**, თუკი არ გვეცოდინება სათანადო ეთნოგრაფიული კონტექსტი, რომელშიც იგი გამოიყენება.

**თოფის შერცხვენა** არის სახელწოდება ერთ-ერთი სამონადირეო რიტუალისა, რომელიც დადასტურებულია რაჭაში. სრულდებოდა ეს რიტუალი თოფის მარცხიანობის (რაჭ. **თოფის გაბრუნდება**, ე.ი. „თოფის გამრუდება“) გასაწინებლად. თუ მონადირეს თოფი უმტყუნებდა და ვერ მოახვედრებდა ნადირს, ასეთ შემთხვევაში თოფს საღორეში დამარხავდნენ ან დედაკაცის ქვედა საცვალში გაატარებდნენ და ასე „შეარცხვენდნენ“ მას. „თოფის შერცხვენის“ რიტუალში მონაწილეობდა ორი პიროვნება. ერთი მათგანი იტყოდა:

– არც ეხლა მოხვდები? არც ეხლა მოხვდები?

მეორე (ანუ „თოფი“) უპასუხებდა:

– ოღონდ აქედან გამომიყვანე, მოხვდები (რობაქიძე 1941: 8-9).

რაჭაში დადასტურებულია, აგრეთვე, **თოფის მოწამვლა**, არანაკლებ უცნაური სახელწოდება კიდევ ერთი სამონადირეო წეს-ჩვეულებისა: ლულაში გველს მოათავსებდნენ და ამგვარად დაცლიდნენ თოფს. ეს წესი სოფ. ღებში სცოდნიათ. მიიჩნეოდა, რომ გველით „მოწამლულ თოფს“ ნადირი ვერსად გაექცეოდა. გადმოცემის თანახმად, ეს წესი სვანი მონადირისაგან, ვინმე ჯამათასაგან უსწავლიათ (რობაქიძე 1939: 312, რობაქიძე 1941: 8).

ღირსსაცნობია სამონადირეო რიტუალი, რომელიც დასტურდება დაღესტნის ერთ-ერთი ხალხის – თაბასარანელების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში: თუ მონადირე ახლო მანძილიდან რამდენჯერმე ესროდა თოფს ნადირს და ვერ მოახვედრებდა, მიიჩნეოდა, რომ თოფი გათვალეს. გათვალვის გასაუვნებელყოფად მიმართავდნენ თოფის წაბილწვის რიტუალს, რასაც ეწოდებოდა **თუჭენგ მურდალ აპუბ**, ზედმიწ. „თოფის მურდალად ქმნა“: მონადირე შარდავდა საკუთარ თოფზე, მის ზედაპირზე და ლულაშიც. შემდგომი გათვალვისაგან რომ დაეცვა თოფი, ღვედის დასამაგრებელ ადგილას და ღვედის ქვეშ, ავი თვალისაგან დასაფარავად ჩამოკიდებდა ხოლმე მურდალად მომკვდარი ცხოველის ან ფრინველის მცირე ზომის ძვალს (სეფერბეკოვი 2011: 331). საქართველოში (რაჭაში) მონადირე მოკლავდა რაიმე ფრინველს ან ქათამს და მისი

სისხლით თოფის ლულის ტუჩს შეღებავდა. ამას მიმართავდნენ „ხელის ასახ-სნელად“, თუ მონადირეს „ხელი გაუდგებოდა“ (რობაქიძე 1939: 312).

თაბასარანული სამონადირეო რიტუალი უკავშირდება განსაკუთრებულ კათარტიკულ წესს, რასაც ეთნოლოგი რ. სეფერბეკოვი უწოდებს „რიტუალური წაბილწვის წესს განწმენდის მიზნით“. ეს წესი გამოიყენებოდა გათვალვის საწინააღმდეგოდ და დემონოლოგიურ პერსონაჟთა მზაკვრობისაგან დასაცავად, მოუსავლიანობის შემდეგ მიწის ნაყოფიერების აღსადგენად, სანადირო თოფის მარცხიანობის გასაწმენდად (სეფერბეკოვი 2011: 332).

შესიტყვება **აგუნას გადაძახება** ეწოდება ღვინის ღვთაების – აგუნასადმი მიძღვნილ რიტუალს, რომელსაც ახალი წლის საღამოს მარანში ასრულებდნენ (ჭანჭაღიშვილი 1988: 81-82); **წყლის მოხვნა** გვალვის საწინააღმდეგო რიტუალს ჰქვია: ქალები ებმებოდნენ უღელში და გუთანს მდინარეში შეაგდებდნენ ისე, რომ თვითონაც დასველებულიყვნენ და გუთანზე დაესველებინათ (აბაკელია, ალავერდაშვილი, ღამბაშიძე 1991: 98); **მუცლად დაქორწინება** (ფშ.) და **მუცლად შათქმა** (თუშ.) ნიშნობის ერთ-ერთი სახეობის სახელწოდებებია: გათხოვილი ქალები ერთმანეთს უთანხმდებოდნენ, რომ თუ ქალ-ვაჟი ეყოლებოდათ, ერთმანეთზე დაექორწინებინათ (მაკალათია 1983: 161, მაკალათია 1985: 134, მელიქიშვილი 1986: 10) და სხვ.

**კვეთილჩი ჩასმა** ქართველ მთიელთა ჩვეულების სახელია: თუ დანიშნული ქალი საქმროს დაიწუნებდა, ვაჟს შეეძლო იგი „კვეთილში ჩაესვა“ ანუ სხვაზე გათხოვება აეკრძალა. ასევე შეიძლებოდა მოქცეოდა ქმარი გამორებულ ცოლს, რათა იგი სხვაზე არ გათხოვილიყო. ასეთ ქალს ეწოდებოდა **კვეთილჩი ნაჯდომ ქალი**, **ქმარ-ნაკვეთ ქალი**, **კვეთილიანი ქალი** (ვაჟა-ფშაველა 1964: 74, მაკალათია 1986: 177, შანიძე 1984: 340, ჭინჭარაული 2005). თვითონ **კვეთილ-ი**, ცხადია, წარმოადგენს მიძლეობურ ფორმას „რისამე აკრძალვის“, „რისამე აღკვეთის“ აღმნიშვნელი ზმნისა: აღ-**კვეთ**-ს, აღ-**უკვეთ**-ს, აღ-**კვეთ**-ა, აღ-**კვეთილ**-ი და სხვ.

ზოგჯერ ფონეტიკური ცვლილების ნიადაგზე შეიძლება მოხდეს შესიტყვების კომპონენტთა შერწყმა, რასაც შედეგად შეიძლება მოსდევდეს შესიტყვების ამოსავალი მოტივაციის გაზუნდოვანება. ამგვარი ფაქტი გამოვლენილია სვანურში: ლენტ. **ხაწკუენწლ**, ჩოლ. **ხაწკუეიჯწლ** // **ხატსკუეიჯწლ** ← ბზ. **ხატიშ** **ლისკუეიჯინწლ** „ხატის გამობრძანება“ (გაზდელიანი 1988: 70-71). ამ რიგის მოვლენები ქართულში დასაძებნია.

სვან. **ჩაწი ლიბჭკუე** („ცხენის გახეთქვა“) უკავშირდება მიცვალებულის კულტს. მამაკაცის დაკრძალვისას სვანეთში წესად იყო მისი ცხენის ჭენება მანამდე, ვიდრე იგი გარდაცვლილის საფლავთან უსულოდ არ დავარდებოდა (რობაქიძე 1981:24); შდრ. „ხევსურეთში არის ასეთი წესი, რომლის მიხედვითაც ყველა მოკეთეს ევალება მიცვალებულის დასატირებლად წასვლა მისი სიკვდილის გაგებისთანავე. თუ მკვდარი ახალგაზრდაა, აუცილებლად ცხენთურბოლებენ (დოდ). დოდში ნათესავების ცხენებს ურევენ (ბალიაური 1991: 120. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). უნდა ითქვას, რომ ცხენი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული დაკრძალვის რიტუალთან და, შესაბამისად,

მოიპოვება ამისი ამსახველი ენობრივი ფაქტები; მაგ., ხევსურულ დიალექტში-ვე: **ცხენნი**, **ცხენ-დოღვი**, **ცხენ-მწედარნი**, **ცხენთ ტაბლა**, **ცხენ-ტაბლა**, **ცხენის გამკეთებელი**, **ცხენთა**, **ცხენთაჩი გასარევი** «ცხენი», «ცხენი» **სულისა // სულის-ცხენი**, **ტაბლის ცხენი**, **სახლის ცხენი**, «ცხენი» **სახლისკაცებისა**, «ცხენი» **ნარეგ-თა**, «ცხენი» **სუდრის ჩამცმელისა**, «ცხენი» **ძმობილისა**, «ცხენი» **დედულთა**, «ცხენი» **ოლეულთა**, «ცხენი» **მამისახლისა**, «ცხენი» **ქმრეულთა**, «ცხენი» **მამი-დასი**, «ცხენი» **დედიდასი** და სხვ. (ბალიაური, მაკალათია 1940: 25-31).

სვან. **ჯიჯუტიშ ლიკუშე** „გვარში სისხლის აღრევა“, ზედმიწ. „ძვლის გა-ტეხვა“; **ჯიჯუტიშ ნატი** „ახლო ნათესავი“ (ზედმიწ. „ძვლის ნათესავი“) (თოფურია, ქალდანი 2000: 888); შდრ. ქართ. დიალ. (ხევს.) **ძვალ-გვარი** „მოდგმა“, „შთამომავლობა“. დასტურდება, აგრეთვე, **გვარ-ძვალი**. შესიტყვებები: **გვარ-ძვალის მასაყიენები**, **გვარ-ძვალს მასაყიელეს**, **გვარ-ძვალს მასთხრის** (ჭინჭარაული 2005); „გ ვ ა რ - ძ ვ ა ლ ი თ უნდა მავშორდათ ერთმანეთს ჩვენა-დ გიორგანი ერთის უნამუსო კახპაის გულისად“ (ბალიაური 1991: 92. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

როგორც ეთნოლოგიურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ხევსურთა მე-ტყველებში ცოცხლად ყოფილა შემორჩენილი კომპოზიტი **კელდაკრული**, რაც „დანიშნულ ქალს ნიშნავს“, თუმცა თვით წესი ქალის ამგვარად (ხელის დაკვრით) დანიშვნისა მივიწყებულია. ეს სიტყვა სცოდნით ბარად ჩამოსახ-ლებულ ხევსურებსაც (მელიქიშვილი 1986: 44). იგივე კომპოზიტი წარმოდგე-ნილია ალ. ჭინჭარაულის „ხევსურულ ლექსიკონში“ და იქვე დაფიქსირებუ-ლია მისი ვარიანტიც – **კელდადებული** „ვისაც ხელი დაადეს და დანიშნეს, – დანიშნული ქალი“. თვითონ შესიტყვება („კელის დაკვრა“, „კელის დადება“), რომლისგანაც არის მიღებული ეს კომპოზიტები, ისევეა დავიწყებული, რო-გორც სათანადო წეს-ჩვეულება.

„ხელის დაკვრის“ წესი ქართველ მთიელთა შორის სცოდნით ხევსუ-რებს. იგი არ დადასტურდა მეზობელ ფშავლებსა და თუშებში. ქალის დანიშ-ვნა მის მხარზე ხელის დაკვრით ან ხელის ჩამორთმევით თავშეყრის ადგი-ლებში ხდებოდა ხოლმე. ასეთ ქალზე ამბობდნენ: „ხელმოკიდებულია“, „ხელ-დაკრულია“. ხელის დაკვრა შეეძლო ვაჟის მამას, ბიძას, ბიძაშვილს, დეიდაშ-ვილს და ვაჟის მეგობარს. თვითონ ვაჟსაც შეეძლო ეთქვა ქალისათვის: „ცოლი ჩემი ხარ, ჩემი ხელმოკიდებული ხარ, სხვაგან არა გაქვს ნება გათხოვებისო“. თუ ხელის დაკვრას ქალის ახლო ნათესავები შეესწრებოდნენ, ისინი ვაჟის მხარეს („ხელდაძვერელს“) ჩხუბს აუტეხდნენ, მაგრამ ქალი მაინც დანიშნუ-ლად ითვლებოდა (მელიქიშვილი 1986: 15).

ინტერესს იწვევს, ამ მხრივ, კახურში დადასტურებული ერთი სიტყვა, რომელიც წარმოდგენილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ – **ხელდასადები** „დასანიშნად მირთმეული ნივთი, საწინდარი, წინდი“. ხომ არ უნდა იყოს ეს სიტყვა გამოძახილი აღნიშნული წეს-ჩვეულების ოდინდელი ფართო გავრცელებისა ქართველთა ყოფაში? თ. სახოკიას ცნობით, „როცა გა-ჩნდა შაქარი, რომელიც პირველში, რა თქმა უნდა, ყველასათვის ხელმისაწ-



ვდომი არ იქნებოდა (ყოველ შემთხვევაში, დიდი რაოდენობით), და ლითონის რისამე ბეჭედი, რომელიც შაქარზე არანაკლებ ძვირფასი უნდა ყოფილიყო, საქმრო საცოლეს უგზავნიდა ერთსაც და მეორესაც, და ორსავე ხელის დასადები, ე.ი. დასანიშნი დაერქვა“ (სახოკია 1979: 917).

აღსანიშნავია, რომ ქალის დანიშვნის ეს წესი ძველად არსებული ჩეჩნეთშიც, სახელწოდებით **ქუჭ თუზარ** „ხელის დაკვრა“. ჩეჩნეთში „ასეთი წესით ქალის დანიშვნა ძირითადად იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ ქალი წინააღმდეგი იყო ქორწინებაზე. ხელის დადების უფლება ჰქონდა მხოლოდ ვაჟს, მის ძმობილს ან ბიძას (მამის მხრიდან), მაგრამ ამის გაკეთება სამარცხვინოდ ითვლებოდა და შემდგომში საქმის მოგვარება მოხუცებს ევალებოდათ. ქალის მშობლებთან მისვლა და პატიების თხოვნა სავალდებულო იყო“ (მელიქიშვილი 1986: 16. ციტირებული ნაშრომის ტექსტში წეს-ჩვეულების ჩეჩნური სახელწოდება გვხვდება დაწერილობით – „ქუქთოდარ“). პანკისელ ქისტებში ამავე წესის (ხელის შეხებით ქალის დანიშვნის) სახელწოდება დადასტურებულია რამდენადმე განსხვავებული სახით – **ქუჭ თუზნ** **ჯ** **ლაგარ**, ზედმიწ. „ხელის დაკვრით დაჭერა“ (მარგომეილი 1985: 16).

შეიძლება ითქვას: აღნიშნული წეს-ჩვეულების შესახებ დღეს რომ არ არსებულიყო არავითარი ეთნოგრაფიული ცნობა, კომპოზიტი **კელდაკრული** („დანიშნული ქალი“) დარჩებოდა სრულიად გაუგებარი წარმომავლობის ოდენობად და მისი ეტიმოლოგიის დადგენის მცდელობაც წმინდა ვარაუდების სფეროს ვერ გასცდებოდა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, სიტყვა **სახელი** და მისი შემცველი ფრაზეოლოგიზმები.

მკვლევართა მიერ (გ. კლიმოვი, ს. ხაიდაყოვი, ა. შაგიროვი) აღნიშნულია ერთი საინტერესო ფაქტი: კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფში (ქართველურში, აფხაზურ-ადიღურში, ნახურ-დაღესტნურში) „სახელის დარქმევის“ მნიშვნელობით ფართოდ არის გავრცელებული საერთო ფრაზეოლოგიური მოდელი „სახელი + დადება“, მაგ., ძვ. ქართ. **სახელის დებაი** („დასდვა მას სახელი იორდანე“), მეგრ. **სახელიში გედვალა**, ლაზ. **ჯოხოში გედვალუ**, სვან. **ქახე ლიდნსგ** (პარალელურად იხმარება უფრო გავრცელებული **ლი-ქხინე** „დარქმევა“). ქართველურ ენათა ეს ფრაზეოლოგიზმი სტრუქტურითაც და სემანტიკითაც სავსებით ემთხვევა სათანადო ფრაზეოლოგიურ შესიტყვეებებს აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენებში (სტრუქტურული ერთობები 1978: 26).

მაგალითისათვის მოვიხმოთ ნახურ-დაღესტნური წრის ერთ-ერთი ენა – ხუნძური. აქ „სახელის დარქმევის“ აღსანიშნავად ჩვეულებრივ გამოიყენება ფრაზეოლოგიური შესიტყვევა **წარ ლეზე**, ზედმიწ. „სახელის დადება“.

ხუნძ. **დუდა წარ შიბ** „რა გქვია?“, ზედმიწ. „შენზე სახელი რა არის?“ – ამ წინადადებაში ნაცვალსახელი „შენ“ (ხუნძ. **მუნ**) გვევლინება I სერიის ადგილობითი ბრუნვის ფორმით (**დუ-და** „შენზე“), რასაც განაპირობებს სწორედ „დადების“ აღმნიშვნელი ზმნა **ლეზე**. ასევე იქნება სხვა წინადადებებშიც, მაგ., **დიდა წარ ბუგო მუმარ** „მე მქვია უმარი“, ზედმიწ. „ჩემზე სახელი არის უმარი“ (**დუნ** „მე“, მაგრამ **დი-და** „ჩემზე“).

ამრიგად, ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია ფორმები **სახელის დება** „სახელის შერქმევა“, **სახელ-დება** „წოდება“, „სახელის დარქმევა“, **სახელ-დებულ-ი** „წოდებული“, **სახელდებულება-ი** „სახელის შერქმევა“, **სახელის-მდებელ-ი** „სახელის შემრქმევი“ (სარჯველაძე 2001: 507). თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაშიც არის შემონახული თხზული სიტყვა **სახელდება**, თუმცა იგი უპირატესად წარმოადგენს მეცნიერებაში (ენათმეცნიერება, ფსიქოლოგია) ხმარებულ ტერმინს (შეესატყვისება ლათინურ ტერმინს *nominatio*) და არ არის გავრცელებული ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში.

ქართული ენის მთის კილოებში გვხვდება შესიტყვება **სახელის დადება** (// **სახელის დება**), ოღონდ არსებითი თავისებურება ისაა, რომ მთის კილოებში ამ შესიტყვებას მოეპოვება სარიტუალო დანიშნულება, კერძოდ, დაკავშირებულია მიცვალებულის კულტთან; მაგ., ხევსურულში მისი მნიშვნელობაა „მიცვალებულისთვის სუფრის დალოცვა“; ფშ. **სახელის შადება** „id.“, ხევს. **სახელის დამდებ ელ<sup>1</sup>** „შენდობის მთქმელი“, **სახელს დაუდებს** „მიცვალებულის სულის მოსახსენებლად აკურთხებს“, **სახელს დაუდებს** „სუფრას (სასმისს) დალოცავს (მიცვალებულისათვის)“, **სახელდაუდებ ელ<sup>1</sup>** „ვისაც სუფრა არ დაულოცეს“, **სახელსადები** „მიცვალებულის სულის მოსახსენებელი ნამცხვარი“, **სახელდებობა** „მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი დღე“ და სხვ. (ვაჟა-ფშაველა 1964:15, ბალიაური, მაკალათია 1940: 38, 54, 57; ოჩიაური 1980: 22, 23, 38, 53, 64, 65, 158; შანიძე 1984: 399, მაკალათია 1984: 200-202, მაკალათია 1985: 167, ბოძაშვილი 1988: 86, ჭინჭარაული 2005, ხორნაული 2000).

როგორც ვხედავთ, მთის დიალექტებში არსებული ამ შესიტყვების სემანტიკა საგრძნობლად განსხვავდება იმ მნიშვნელობისაგან, რაც ვნახეთ ძველ ქართულსა და დანარჩენ ქართველურ, აგრეთვე, სხვა კავკასიურ ენებში. სავარაუდოდ, მთის კილოებში უნდა მომხდარიყო საკრალიზაცია ამ შესიტყვებისა, რამდენადაც იგი რეგულარულად იხმარებოდა რიტუალის შესრულებისას, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებით, და ამას თანდათანობით უნდა გამოეწვია სემანტიკური გადახრა. სავარაუდოდ, მნიშვნელობის განვითარება შეიძლებოდა მომხდარიყო, ალბათ, ასეთი თანმიმდევრობით:

„სახელის დარქმევა“ → „სახელის ხსენება“ → „სახელის მოხსენიება“ → „მიცვალებულის სახელის მოხსენიება“<sup>1</sup> // „მიცვალებულის სულის მოხსენიება“ → „მიცვალებულის სახელზე ტაბლის დადგმა“ → „მიცვალებულის სახელზე დადგმული ტაბლის („სუფრის“) დალოცვა“<sup>2</sup>.

მთაში ძველად სრულდებოდა, აგრეთვე, ერთობ საინტერესო რიტუალი – **ურჯულოსად სახელის დადება**:

„თუ ხევსური ქისტს მოკლავდა, რაც ხშირი მოვლენა იყო, მის სახელზე დაც ტაბლას დასდგამდნენ: გამოაცხობდნენ სახელსადებებს, სატაბლო პურებს და გულიანებს, მხოლოდ „ურჯულოს“ სან-

<sup>1</sup> საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას განმარტება: „შასდებს სახელს“ ანუ მოიგონებს მკვდარს“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 15).

<sup>2</sup> შდრ. ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონში“: ხევს. **სახელის დადება** „ტაბლის შანდობის თქმა მიცვალებულისად“, „ტაბლას სახელს დაუდებენ“ (ბესარიონ გაბუურის განმარტებები) (შანიძე 1984: 399).

თელს ტაბლაზე არ აუნთებდნენ. რძესაც აადულებდნენ, რძეში ერბოს ჩაჰყრიდნენ. რაიმე ქსოვილის ნაჭერსაც დასდებდნენ ტაბლაზე, წყალსაც დასდგამდნენ ტაბლის გვერდით. ტაბლას კარების უკან დასდგამდნენ და იქ ეტყოდნენ შენდობას შემდეგი სიტყვებით: „სადაც შენ ხარ (იტყოდნენ ქისტის სახელს), თუ ჩვენგან რას იხედავა-დ ჩვენგან რა მაგიდიოდას საგძალ იქნებისა თუ პირის გასალბობი ზისცვარი, წყრულის საპოხ გინდოდას თუ შესახვევი, ეს შენამც გეკმარებოს, რაადაც გინდ იმაადამც გამაიყენებ. ჩვენ-ნებს მკვდრებსაც ნურათ დააღონებ-და შააწუხებ. შაგინდნას, მაგაჯმარას ღმერთმა“. ხელს სამჯერ უკუღმა შემოუქნევდნენ ტაბლას... „ურჯულოსათვის“ სახელდებულს ღარიბებს ამღევდნენ“ (ბალიაური, მაკალათია 1940: 54. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

აღნიშნულ რიტუალს, როგორც ვხედავთ, ხევსური ასრულებდა იმ მიზნით, რომ მოემადლიერებინა თავისვე მიერ მოკლული ქისტის სული, რათა მას საიქიოში არ შეეწუხებინა ხევსურის გარდაცვლილი ახლობლები, ოჯახის წევრები თუ ნათესავები.

აღსანიშნავია, აგრეთვე:

**სახელის დადება ქერისად:** „ჭირისუფალი ყოველთვის, როცა „დაკურთხეულ“ ცხენს ქერს აჭმევდა, – ქერს შენდობას ეტყოდა. ის ქერს ჯერ თოფრაში ჩაყრიდა და მერე სახელს დასდებდა: „სადაც შენ ხარ, შენიმც საკმარი ას, შენს ცხენსაც აჭმევ. ცხენ უქერობითამც ნუ დაგაღონებსა-დ მგებრთაში იქნებისა თუ ცხენთაში უკენამც ნუ ჩამარჩები ამხანაგებს“. შემდეგ ცხენს თოფრას თავზე ჩამოაცმევდა“. (ბალიაური, მაკალათია 1980: 57. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). ასევე: **სახელის დადება მარლისად, სახელის დადება თივისად, სახელის დადება ნაწველ-ნადღვებისად** (ბალიაური, მაკალათია 1940: 57-58) და სხვ.

განხილული ტიპი მყარი შესიტყვებებისა განეკუთვნება ფრაზეოლოგიის სფეროს და, ამავდროულად, ამ ტიპის მყარ შესიტყვებებს აქვთ ტერმინის ნიშან-თვისებაც, რამდენადაც მათი ფუნქციაა ეთნოგრაფიული სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენის მეტნაკლებად შესაბამისი სახელდება და აღწერა. ამიტომაც გვევლინებიან ისინი ტერმინებად ეთნოგრაფიულ აღწერაში, ხოლო რაც შეეხება ეთნოლოგიას, მას, ამის გარდა, მოეპოვება საკუთრივ შემუშავებული სამეცნიერო ტერმინოლოგიაც (საერთაშორისოც). ფრაზეოლოგიის სფეროსთან, კერძოდ, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებთან კავშირს კი მოწმობს ერთგვარი მეტაფორული ობა (და გარკვეული ექსპრესიულობაც) მნიშვნელოვანი ნაწილი ასეთი მყარი შესიტყვებებისა, რომლებიც, სამეცნიერო ტერმინისაგან განსხვავებით, სულაც არ ისწრაფვიან ცნების ზუსტი დეფინიციისაკენ, მაგ., **სისხლის აღება** (რატომ ითქმის „აღება“?), **ფიგვერცხლის ჭამა** (რატომ „ჭამა“?), **ჯვარში შაჯდომა** (რატომ „შეჯდომა“?), **სახელის დადება** (რატომ „დადება“?) და სხვა მრავ.

ნიშანდობლივი მოვლენაა ფარდობა (კორელაცია) ენობრივ ერთეულსა და ეთნოგრაფიული სინამდვილის ფაქტს შორის, რასაც აქვს რეგულარული ხასიათი და ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტრადიციული საზოგადოების დისკურსში. აღსანიშნავია, რომ ეს ფარდობა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ შენიშნა გრიგოლ რობაქიძემ ფშავ-ხევსურულში და ასე დაახასიათა:

„სიტყვები აქ ყოფის ფესვებია თვითონ, მათ ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ სურნელება პირველქმნისა. მეტაფორები უბრალო შედარებები კი არ არიან აქ, არამედ თვით სინამდვილე, განცალკევებულ საგანთა თუ მოვლენათა შინაგან გადაძვინი. ყოველი თქმა აქ ელემენტურია როგორც ცეცხლი“ (რობაქიძე 1987: 62. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ზემოთ დახასიათებულ მყარ შესიტყვებათა მეტი წილი ამჟამად სათანადო კონტექსტის გარეშე სრულიად გაუგებარია და მათი განმარტებისათვის საჭირო ხდება მეტნაკლებად ვრცელი აღწერა ეთნოგრაფიული სინამდვილის იმ მონაკვეთებისა, რომლებთანაც ისინი მჭიდრო კავშირშია. თვითონ ეთნოგრაფიული სინამდვილის კონკრეტული სურათი (მაგ. „ესა თუ ის წეს-ჩვეულება და რიტუალი“), როგორც აღნიშნავს, მაგალითად, ეთნოლინგვისტი ნ. ტოლსტოი, წარმოადგენს ერთგვარ ტექსტს, რომელიც ენობრივ ტექსტზე რთულია, რამდენადაც მას ახასიათებს ერთობლიობა სიტყვიერი (ვერბალური), საგნობრივი (რეალური) და ქმედითი (აქციონალური) მხარეებისა. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ეს გამოიხატება სარიტუალო სიტყვის, სარიტუალო საგნის, სარიტუალო ქმედების სახით. ყველა ამ შემთხვევაში და განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ეხება საწესჩვეულებო/სარიტუალო ნიშანთა სემანტიკას, უპირატეს მდგომარეობას მაინც ვერბალური (ენობრივი) მხარე იკავებს (ტოლსტოი 1983: 189).

\*\*\*

ზემოთ განხილული მყარი შესიტყვებები, როგორც ვნახეთ, ენაში უშუალოდ სახელდებენ ეთნოგრაფიული სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენას, ანუ, ლინგვისტური თვალსაზრისით, მათი ფუნქციაა ნომინაცია. ამ ნიშნით კი ისინი თვალსაჩინოდ უპირისპირდებიან სხვა ტიპის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, კერძოდ, ე. წ. ხატოვან გამონათქვამებს ანუ იდომებს, რომელთა არსებითად დამახასიათებელ ნიშნსაც წარმოადგენს მერეული ნომინაცია (უკვე სახელდებული საგნისა თუ მოვლენის ხელმეორედ სახელდება) და ექსპრესიულობა.

მიიჩნევა, რომ ამა თუ იმ ხალხის ისტორია, ყოფა-ცხოვრება, რწმენა-წარმოდგენები, ეთნოფსიქოლოგია და ა.შ. სწორედ იდიომებში არის ხოლმე ნათლად ასახული. ასეთი იდიომების ნიმუშები კარგად არის ცნობილი ქართულშიც: **თავზე ლაფის დასხმა, თავზე ნაცრის დაყრა, ვირზე შესმა, პირის გაშავება (პირშავად ყოფნა), თავს შემოვლა (შენ თავს შემოვევლე, შენ შემოგვევლე), ყურებზე ხახვი არ დამაჭრა** და სხვ.

რა შეიძლება ითქვას მსგავსი გამოთქმების შესახებ?

საკითხს თავის დროზე გამოეხმაურა ა. თაყაიშვილი, რომელმაც აღნიშნა: „ხშირად შეცდომით ვიძლევი იდიომის ეტიმოლოგიას, ვაბუნდოვანებთ მისი წარმოშობის სიტუაციას და, ამის გამო, მოტივაციადაკარგულად ვთვლით მას. მაგ., იდიომის ყურებზე ხახვი არ დამაჭრა-ს საფუძველს ხედავენ შემდეგში: ამ გამოთქმას ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებულად თვლიან. ძველ დროში დასასჯელს ყურს დანით დაუსერავდნენ,

ხოლო სისხლის შესაჩერებლად მიწაზე გართხმულს ხახვს დააჭრიდნენ ყურზე. აქედან გამომდინარეობს გამოთქმა **ყურზე ხახვი არ დამაჭრა** ო. შესაძლებელია ამ იდიომს საერთო არაფერი ჰქონდეს აღნიშნულ პროცედურასთან და სავსებით მოტივირებული იყოს – ეყრდნობოდა პროცესის შესრულების სიძნელეს (ძნელია ადამიანს ყურებზე ხახვი დააჭრა) და ატარებდეს ისეთსავე ირონიულ-ფამილარულ ელფერს, როგორსაც ხატოვანი იდიომი **ფეხები არ მომჭამო...** არ შეიძლება აგრეთვე სავსებით ხატოვანი იდიომის **თავის ხლაქვისათვის წარმოშობა პირველყოფილი საზოგადოების მიჯნაზე გადავიტანოთ, მხოლოდ იმის გამო, რომ ქვა იყო ამ დროს ერთადერთი იარაღი ადამიანის ხელში. უნდა ვერიდოთ მსგავსი გამოთქმების წარმოშობის ხალხურ საფუძველზე ახსნას, მათს ხალხურ ეტიმოლოგიას**<sup>1</sup> (თაყაიშვილი 1961: 43-44).

მართლაც, ცნობილია შემთხვევები, როცა ექსტრალინგვისტური ფაქტების საფუძველზე ამა თუ იმ იდიომის ეტიმოლოგიის დადგენის ცდები წარუმატებელია ხოლმე, ან ნაკლებად სარწმუნო: იდიომის ეტიმოლოგიზება ხდება ხოლმე იზოლირებულად, მარტოდენ რომელიმე ექსტრალინგვისტურ ფაქტზე (ისტორიული, ყოფითი და ა.შ.) მითითებით და ასეთი იზოლირებული მიდგომის პირობებში არ არის ხოლმე გათვალისწინებული ამ იდიომის პარადიგმატული მიმართება საერთო ფრაზეოლოგიური სისტემის სხვა ანალოგიურ ერთეულებთან. ასეთი მიმართების ერთი მაგალითი დასახელებული აქვს ა. თაყაიშვილსაც: **ყურებზე ხახვი არ დამაჭრა – ფეხები არ მომჭამო – სვან. კნწხხე ხახუ ნომა ემჭკორა** „კისერზე ხახვი არ დამაჭრა“ (თაყაიშვილი 1961: 43-44). ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არც ისე ბევრი მაგალითი მოიძებნება იდიომების მცდარად გააზრებული ეტიმოლოგიისა, მაგრამ ეს უფრო იმის წყალობითაა, რომ, სამწუხაროდ, ჩვენთან საერთოდ ნაკლები ყურადღება ექცეოდა ფრაზეოლოგიური მასალის შესწავლას და სპეციალური ლიტერატურაც ფრაზეოლოგიის სფეროში ნაკლებად მოგვეპოვებოდა. ამ მხრივ სხვაგვარი ვითარებაა, მაგალითად, რუსულ ენათმეცნიერებაში, სადაც ფრაზეოლოგიის შესახებ არსებობს მდიდარი ლიტერატურა. იქ დღესაც დიდი ინტენსიურობით წარმოებს ფრაზეოლოგიის შესწავლა კულტურასთან, აზროვნებასთან, ისტორიასთან მიმართებით. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უზუსტო და მცდარი ეტიმოლოგიის მაგალითებიც, ვითარების შესაბამისად, მეტია (კრიტიკული განხილვა ასეთი მაგალითებისა მოცემულია, მაგ., ვ. მოკიენკოს სტატიაში; იხ. მოკიენკო: 1973).

<sup>1</sup> ხალხური ეტიმოლოგია უნდა განვასხვავოთ კვაზიმეცნიერული დილექტანტური ეტიმოლოგიისაგან. ეს გაურჩევლობა გამოიწვია იმან, რომ დიდი ხნის მანძილზე ლინგვისტიკაში არა მარტო დაუფასებელი, არამედ უგულვებელყოფილი იყო ადამიანური (ანთროპოლოგიური) ფაქტორის მნიშვნელობა ენაში. დღეს აღარ უნდა იყოს საჭირო იმისი მტკიცება, რომ ხალხური ეტიმოლოგია არის ისეთივე ობიექტური ენობრივი მოვლენა, როგორც ფონეტიკური და სემანტიკური პროცესები; ხოლო კვაზიმეცნიერული დილექტანტური ეტიმოლოგია დამყარებულია ინდივიდის სუბიექტურობასა და ფანტაზიებზე (ხშირად მეტისმეტად ამბიციურსა და პრეტენზიულზე) და არავითარი ღირებულება მას არ გააჩნია.

მეორე მიზეზი, რაც იწვევს ხოლმე იდიომის მცდარ ეტიმოლოგიურ ანალიზს, დაფუძნებულს ექსტრალინგვისტურ საფუძველზე, არის გაუთვალისწინებლობა თვითონ იდიომის არსებითი ნიშან-თვისებისა, რასაც წარმოადგენს მეორეული ნომინაცია და ექსპრესიულობა: „იდიომები ენაში მოკლებული არიან ნომინატიურ ფუნქციას – არასოდეს არ არიან ცნების ერთადერთი გამომხატველნი. მათი უშუალო დანიშნულებაა უკვე სახელდებული საგნისა თუ მოვლენის ექსპრესიული ნიშნით დახასიათება“ (თაყაიშვილი 1961:34). სწორედ ამიტომ იდიომში პირდაპირ და უშუალოდ არ ხდება ექსტრალინგვისტური სინამდვილის ასახვა. არ არსებობს იდიომსა და, მაგალითად, ეთნოგრაფიულ ფაქტებს შორის ის ფარდობა (კორელაცია), რაც არის დამახასიათებელი სათანადო მყარი შესიტყვებებისათვის (მაგ., **სისხლის აღება, ძმად გაფიცვა, ფიც-ვერცხლის ჭამა** და სხვ.), რომელთა პირდაპირი დანიშნულებაცაა, სწორედ, სათანადო ექსტრალინგვისტური ფაქტების უშუალოდ ასახვად ებ. იდიომი კი სახელდების ამგვარ ფუნქციას მოკლებულია.

მესამეც, იქმნება წარმოდგენა, თითქოს საქმე გვექონდეს გაქვავებულ ენობრივ რელიქტებთან, უწინ არსებული და დღეს მივიწყებული ისტორიული თუ ეთნოგრაფიულ-ყოფითი ფაქტების გადმონაშთებთან, რომლებიც ამჟამად თითქოს იდიომების წყალობითღა გვაქვს ენაში შემონახული. სინამდვილეში კი რაც იდიომებში ექსტრალინგვისტური ფაქტების ასახვის თვალსაზრისით შეინიშნება, ისიც მერე ულია და წარმოადგენს მეთაფორიზაციის შედეგს ექსტრალინგვისტური ფაქტების უშუალოდ ასახველი მყარი შესიტყვებისა.

ასეთი შესიტყვების ხატოვან გამონათქვამად ქცევის ერთ-ერთი ნათელი ნიმუშია, მაგალითად, **ანდერძის აგება** (// **წესის აგება**), რომელიც გარდა იმისა, რომ უშუალოდ ასახავს ექსტრალინგვისტურ რეალობას (მიცვალებულისათვის სათანადო წესის აღსრულება სასულიერო პირის მიერ), ამჟამად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობითაც („მოკვლა“, „განადგურება“, „მოსპობა“, „ბოლოს მოღება“) და ერთგვარი ირონიის ან მუქარის გამომხატველი ელფერსაც შეიცავს. მსგავსადვე, **თავზე ნაცარს იყრის, თავზე ლაფს ასხამს** თავდაპირველად იხმარებოდნენ პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ უშუალოდ ასახავდნენ სათანადო ექსტრალინგვისტურ ფაქტებს, ხოლო დროთა განმავლობაში მოხდა ამ გამოთქმათა მეთაფორიზაცია.

სხვათა შორის, თვითონ იდიომების ფუნქციონირებასაც საკუთრივ ექსტრალინგვისტური ფაქტორი განსაზღვრავს იმპლიციტურად, ოღონდ ეს არის არა ეთნოგრაფიულ-ყოფითი, არამედ ის, რაც განაპირობებს ადამიანის სწრაფვას ექსპრესიისაკენ – ფსიქოლოგიური ფაქტორი.

ამრიგად, სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა ექსტრალინგვისტური ფაქტების უშუალოდ ამსახველ შესიტყვებათა ქცევა ხატოვან გამოთქმებად, მეტაფორიზაციის შედეგად. ამის ზოგიერთ მაგალითს ქვემოთ კიდევ განვიხილავთ, დიალექტთა მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე.

\* \* \*

დღეს იდიომს წარმოადგენს **ქადაგად დაცემა** (*// ქადაგად დავარდნა*). მისი განმარტებაა: „უაზრო ლაპარაკი, ბოდვა (ცრუმორწმუნეთა მიხედვით – წინასწარმეტყველება)“ (ონიანი 1966: 156) ან „ბოდვა, გაუგებარი სიტყვების წამოსროლა, ბევრი და დაუსრულებელი ლაპარაკი“ (სახოკია 1979: 670). თ. სახოკიას თქმით, „დღეს როცა ვინმე ბევრსა და გაუგებარ სიტყვებს ერთმანეთს უთავბოლოდ გადააბამს, ვიტყვით ხოლმე: რ ა ქ ა დ ა გ ა დ დ ა ე ც ი ო, ან ქ ა დ ა გ ა დ ნ უ დ ა ე ც ი ო!“ (ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.)

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, **ქადაგი** არის „ხატის მსახური კაცი ან ქალი, რომელსაც ვითომ შეეძლო ხატთან ურთიერთობის დამყარება“. ეს არის დღეს ერთადერთი მნიშვნელობა **ქადაგი** სიტყვისა.

ამავე დროს განსხვავებულ სემანტიკას შეიცავს მისგან ნაწარმოები ზმნა: **ქადაგ**-ებ-ს, ი-**ქადაგ**-ა, უ-**ქადაგ**-ია, აგრეთვე გაარსებითებული ფორმა – **ქადაგ**-ებ-ა „რელიგიურ-დამრიგებლობითი შინაარსის სიტყვა, ეკლესიაში წარმოთქმული“ (იხ. „ქეგლ“).

ქ ა დ ა გ ო ბ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი თითქმის მეოცე საუკუნის შუა ხანებამდე ფუნქციონირებდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და ქართლ-კახეთში<sup>1</sup>, ასევე – სამეგრელოში (მაკალათია 1941: 355). ქადაგი ხდებოდა ის პირი, ვისაც ხალხთან შუამავლობისათვის, ხატი თავის მონად ამოირჩევდა („ველს სდებდა“). გაქადაგების დროს ადამიანი ხშირად კარგავდა გონებას, ბოდავდა, ყვიროდა და ტიროდა. თ. სახოკიას ცნობითაც, „წინათ ქადაგად დაეცემოდნენ ხოლმე რომელისამე ეკლესიის კარს, მეტწილად ქალები: თვალებს ოცობოცოდ ატრიალებდნენ, იკრუნჩხებოდნენ, პირიდან დუჟი გადმოსდიოდათ; ჯერ გაუგებარ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოისროდნენ ხოლმე და მერე, ვითომ გარკვეულად, დაინახავდნენ იმას, რაც უნდა დაენახათ. და გულუბრყვილო დედაკაცს, იმასთან რჩევის სათხოვნელად მისულს, ეუბნებოდნენ: ამა და ამ ხატის მიზეზით გყავს ავად შენი ავადმყოფიო“ (სახოკია 1979: 670).

ს. მაკალათიას ცნობით, „ილორში იცოდნენ ქადაგად დაცემა. განსაკუთრებით „ჟ ი ნ ი შ ი თ“<sup>2</sup> დამიზეზებული ქალები დაეცემოდნენ ქადაგად. ქადაგი ავიდოდა ილორის სამრეკლოში და იქიდან დაიწყებდა ილორის წმ. გიორგის სახელით ქადაგებას. მოუწოდებდა ხალხს თაყვანი ეცათ ილორისათვის, შეენახათ იგი წმინდად და მოწიწებით, წყევლიდა ქურდებს, ავაზაკებს და ავსულ-კუდიანებს. შემდეგ ქადაგი იქვე უსულოთ დაეცემოდა, სამრეკლოს კიბიდან ძირს დაგორდებოდა, აქ იგი ბორგავდა და ოხრავდა და შემდეგ ისევ დაიწყებდა წმინდა გიორგის სახელით ქადაგებას. ხალხი ქადაგს შემოეხვეო-

<sup>1</sup> ქადაგობის ინსტიტუტის შესახებ დაწვრილებით იხ. თ. ოჩიაურის ნაშრომი „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“. ნაშრომის შესავალში ავტორი მიუთითებს, რომ „ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები ქადაგს შედარებით სხვა მნიშვნელობით წარმოგვიდგენს. აქ მოხსენებული ქადაგი მართო ღვთაების ნება-სურვილს კი არ დადადებს, არამედ იგი ვინმეს მაგიერ მოქმედს, რაიმე ამბის მაუწყებელსაც გულისხმობს“. იქვე იმონუმებს ამ სიტყვის საბასეულ განმარტებასაც: **ქადაგი** „მაღალ მძახებელი სწავლისა“ (ოჩიაური 1954: 4).

<sup>2</sup> მეგრ. **ჟინიში** „ზეციური“, „ზეციერი“; „ზემოდან, ზეციდან მოვლენილი რამ“ (ზედმიწ. „ზედასი“, „ზემოსი“).

და, ხელეზს გულზე იცემდნენ, სტიროდნენ და ილორის წმ. გიორგის შე-  
სთხოვდნენ მის შველასა და ახსნას“ (მაკალათია 1941: 355).

ეთნოლოგიაში ცნობილია ქადაგობასთან დაკავშირებული ლექსიკაც,  
მაგ., ხევსურეთში ქადაგს ჰქვია, აგრეთვე, **მკადრე**, ხოლო ე.წ. „ჯვართ ენაზე“  
მას ეწოდება **მეენე** ან **ქანდარა**<sup>1</sup>; გაქადაგების აღმნიშვნელებია **დამიზეზება**,  
**დაჭერა** („ზოგ ქადაგ აოდობას დაიწყებს, ჯ ვ ა რ ნ დ ა ი ჭ ე რ ე ნ“), **აყვანა**  
(„ეგ ჩამომავლობაზედ არ ას. ვისაც ა ი ყ ვ ა ნ ს ხ ა ტ ის რ“), **ენის გამაღება**  
(„მანამ ე ნ ა ს გ ა მ ა ი ლ ე ბ ს, დაიწყებს სიზმარში ხედენას, სიზმარში ქადა-  
გობას“), „ჯვართ ენაზე“ კი – **დალაგმვა** (ოჩიაური 1954: 5,10,17,18,20,32,33,129.  
ხაზგასმა ჩემია.– ლ. ა.). რაც შეეხება ქადაგთან დაკავშირებულ **დაცემა** სი-  
ტყვას, მას ვხვდებით კახელთა მეტყველებაში: „აი, ორი დღეა, რაც ის კაცი  
დ ა ც ე მ უ ლ ი ა“, აგრეთვე ქართლში: „ის ბავშვობის დროს მონა იყო და მერე  
ქ ა დ ა გ ა დ დ ა ს ც ა“ (ოჩიაური 1954: 32,33. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.); მე-  
გრულში: **ქადაქი** // **ქადაგი** „ქადაგი“, **ქადაქო დონთხაფა** „ქადაგად დაცემა“, **ქა-  
დაქო გინორთა** „ქადაგად ქცევა“, **ქადაქიჯგუა** „ქადაგით, ქადაგის თვისები-  
სა, ძალზე გამხდარი ადამიანი“ (ქობალია 2010).

იდიომისაგან განსხვავებით, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხმარებულ  
შესიტყვებას (**ქადაგად დაცემა**), როგორც ვხედავთ, თავისი პირვანდელი მნიშ-  
ვნელობა ნათლად შემოუნახავს. თუ რატომ ითქმის ქადაგის შესახებ „დ ა ე -  
ც ა“, ამას ეთნოგრაფიული ფაქტი გვამცნობს: ცნობილია, რომ აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს ბარში (ქართლსა და კახეთში) ხატის მიერ „დამიზეზებული“ ადა-  
მიანი რიტუალური ცეკვის დროს (რაც ხატის კარზე ხდებოდა) ექსტაზში ვარ-  
დებოდა, ძირს ეცემოდა და ასე გაქადაგდებოდა. სხვა ვითარება იყო ხევსურ-  
ეთში: აქაური „დაჭერილი“ გაქადაგების მომენტში ფეხზე იდგა, ან იჯდა  
ხოლმე (ოჩიაური 1954: 35). ყოველივე ეს კი უეჭველს ხდის, რომ **ქადაგად და-  
ცემა** სწორედ ბარის დიალექტებიდან არის სალიტერატურო ქართულში იდი-  
ომის სახით დამკვიდრებული.

მეგრული **ქადაქო დონთხაფა** („ქადაგად დაცემა“) სტრუქტურითაც და  
სემანტიკითაც ქართულისას სრულიად ემთხვევა, თუმცა სავსებით შესაძლე-  
ბელია იგი დამოუკიდებლად იყოს მეგრულში წარმოქმნილი, რამდენადაც  
თვით ქადაგის ქცევაც (ძირს დავარდნა) როგორც სამეგრელოში, ისე ქართლ-  
კახეთში არსებითად ერთნაირია.

ამავე დროს სამეგრელოში დადასტურებულია ქადაგობასთან დაკავში-  
რებული ერთობ თავისებური წესი, რასაც ეწოდება **ქადაქიმ ძახი** „ქადაგის ძა-  
ხილი“. ა. ქობალიას განმარტებით, „22 აპრილს, გიორგობის წინა ღამეს აირ-  
ჩევდნენ ათ კაცს, დაამწყვდევდნენ ხატებთან. ამ ათიდან ერთ-ერთს, ასევე არ-  
ჩევით, დანარჩენი ცხრა ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანდა. მეორე დღეს,  
გამთენიისას ქადაგად არჩეულს მალლობზე აიყვანდნენ და აგონიაში მყოფს,

<sup>1</sup> **ჯვართ ენა** „ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან განსხვავებულ ტერმინთა კრება,  
რომელსაც ადგილობრივი „ჯვართ ენას“ ეძახდნენ. ხალხის წარმოდგენით ღვთაებათა წმინდა  
ენა იყო, რომელსაც ქადაგი ამა თუ იმ მოვლენისა, საგნისა თუ სხვათა გამოსახატავად ხმარობდა“  
(ოჩიაური 1954: 128).



ტრანსში ჩავარდნილს იქიდან ამახებინებდნენ, როგორ იქნებოდა ქვეყნის ამბავი. აქედანაა გამოთქმა: **გაი და ვუი მეუქვეს** „გაი და ვუი მეუქმესო“. მოგვიანებით ქადაგად ასარჩევ ხალხს უბრალოდ ერთი ღამით ამწყვდევენ ტაძარში. დილით რომელიმე ქადაგად ეცემოდა და ხალხს ღვთის ნებას ამცნობდა“ (ქობალია 2010). ასევე საყურადღებოა მეგრულში ფორმა **ქადაქიჯგუა** მნიშვნელობით „ძალზე გამხდარი ადამიანი“, ზედმიწ. „ქადაგივით“, „ქადაგისნაირი“, „ქადაგის თვისებისა“ (ქობალია 2010), რაც ქართულისათვის უცხოა.

ამრიგად, **ქადაგად დაცემა** დღეს გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება ქართულში „უაზრო ბოდვის“, აგრეთვე „უსაშველოდ ზვერი, დაუსრულებელი ლაპარაკის“ გამოსახატავად, თუმცა მის პირვანდელი დანიშნულებას სავსებით კონკრეტული ეთნოგრაფიული ფაქტის სახელდება წარმოადგენდა. მოხდა მეტაფორიზაცია და, შესაბამისად, იდიომად გადაიქცა სათანადო ფაქტის უშუალოდ ამსახველი შესიტყვება. აღსანიშნავია, რომ პირვანდელი მნიშვნელობის სხვაგვარად გადააზრების მიუხედავად, ამ გამოთქმამ დიალექტურ მეტყველებაში კვლავაც შეინარჩუნა კავშირი ამოსავალ ეთნოგრაფიულ სინამდვილესთან.

\* \* \*

გავრცელებულ იდიომს წარმოადგენს **კვერის დაკვრა**, რომლის მნიშვნელობებია „დადასტურება, დამოწმება, დათანხმება“ (ონიანი 1966: 102) ან „დამოწმება, მოწმედ დადგომა, მომხრობა, მხარის დაჭერა“ (სახოკია 1979: 332). თ. სახოკიას ახსნით, ამ გამოთქმაში „პარალელია გატარებული მჭედლის გახურებულ რკინასა და ადამიანის ლაპარაკს შორის: გახურებულ რკინას კვერი მაშინვე, გაცივებამდე უნდა მოხვდეს, რომ გაიჭედოს. მსგავსადვე: რაიმე ნათქვამს დამოწმება თანამოსაუბრის მიერ მაშინვე უნდა, რომ დაგვიანებით, დროის გასვლით ეს ნათქვამი არ „გაცივდეს“, ძალა არ დაკარგოს, მისი დამტკიცება მერე ძნელი ან შეუძლებელი არ შეიქმნეს“ (სახოკია 1979: 332); შდრ. *რკინა სანამ ცხელია მანამ გაჭედდეს* (ანდაზა)... ინგლ. *Strike while the iron is hot* „დაჰკარი სანამ რკინა ცხელია“... რუს. *Куй железо пока горячо* „გამოჭედე რკინა სანამ ცხელია“ ... ლაკურ ენაშიც: *მახ კირინი დაჯათარჩან, დაჯაუქუნ დათან ჯაშეძსარ* „რკინა გახურებული თუ არ გამოიკვერა, ცივზე დაკვრა (ზედმიწ. „ცემა“) არ შეიძლება“ (რამაზანოვა 2005: 153)... ოღონდ ამ პარემიებში ჩადებულია აზრი – „ნუ გაუშვებ შესაძლებლობას/მანსს ხელიდან“ და საერთო არაფერი აქვს „დადასტურება, დამოწმება, დათანხმებასთან“.

იდიომის წარმომავლობის ზემოთმოყვანილი ხატოვანი ახსნა, მართალია, მიმზიდველია, მაგრამ სუბიექტური ინტერპრეტაციის შედეგი უფრო ჩანს. მაინც, ეს გააზრება გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს, რამდენადაც იგი ეხმიანება მჭედლობას. ამ თვალსაზრისით კი ღირსსაცნობია ერთ-ერთი წეს-ჩვეულება, დაკავშირებული მჭედლობის კულტთან, რომელიც ძველად არსებობდა თ. სახოკიას მშობლიურ კუთხეში.

მჭედლის მიერ გრდემლზე კვერის დაკვრა, მისი საქმიანობა, გრძნეულებად მიიჩნეოდა და შიშის ზარს სცემდა ადამიანებს. სამჭედლო, როგორც სალოცავი და საკრალური ადგილი მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრუ-

ლებდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და რწმენა-წარმოდგენებში. ჩვეულების მიხედვით, სამჭედლოში ხშირად ხდებოდა სხვადასხვა სადავო საქმეების გარჩევა, რომლის დროსაც მჭედელი მოსამართლის მოვალეობას ასრულებდა. ეს ფაქტები კარგად არის ცნობილი სამეგრელოსა და აფხაზეთის ეთნოგრაფიული სინამდვილიდან.<sup>1</sup>

სამეგრელოში არსებობდა ასეთი წესი: რამე დანაშაულის შემთხვევაში სამჭედლოში საქმის გასარჩევად მიდიოდნენ მომჩივანი და ეჭვმიტანილი. მჭედელი დადგებოდა გრდემლთან, ხოლო ბრალდებული და მომჩივანი მის წინ წარდებოდნენ. მჭედელი აიღებდა კვერს და გრდემლზე სცემდა, თან ხელოსნობის მფარველ წმ. სოლომონს (// სოლომო) შესთხოვდა, რომ დამნაშავისათვის რისხვა დაეტეხა თავს. ამგვარად ხდებოდა დამნაშავის „გრდემლზე გადაცემა“, რაც საშინელი რისხვა იყო (რეხვიაშვილი 1964: 155).

აფხაზეთში იგივე წეს-ჩვეულება ცნობილია რამდენადმე განსხვავებული სახით: ეჭვმიტანილს აიძულებდნენ, რომ თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად სამჭედლოში წარმოეთქვა ფიცი ღმერთი-მჭედლის – შაშ<sup>2</sup>-ს წინაშე. მჭედელი თავის კვერს გრდემლზე დადებდა და ზურგმუქცევით დადგებოდა. ბრალდებული აიღებდა კვერს და ფიცს დებდა, რომ უბრალო იყო, თან სამჯერ დაკრავდა კვერს გრდემლზე. იმავე ქმედებას მიმართავდნენ დამნაშავის მიმართ შერისხვის სიტყვების წარმოთქმისას ჯერ დაზარალებული, შემდეგ – თვითონ მჭედელი (აჯინჯალი 1969: 249-260).

სამეგრელოში ამ წესს, ეთნოლოგ ნ. რეხვიაშვილის ცნობით, ეწოდება **ფუზი დო ხინტი** „ფიცი და გადაცემა“<sup>2</sup> ან „გრდემლზე გადაცემა“ – **გენოჩამა** (რეხვიაშვილი 1964:154), ხოლო აფხაზეთში მისი აღმნიშვნელობაა **ახრგეკარა აქურა** „თავის განწმენდის (გამართლების) ფიცი“ და **ახლარა** „დაწყევლა“, „შერისხვა“ (აჯინჯალი 1969: 250, 253).

როგორც ვხედავთ, სამჭედლოში ფიცის დადების ან დამნაშავის შერისხვის დროს გრდემლზე კვერის დაკვრა თითქოს ეხმიანება ქართული იდიომის (**კვერის დაკვრა**) მნიშვნელობას: „დადასტურება“, „დამოწმება“. პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთის გარდა მსგავსი ჩვეულება საქართველოს კუთხეებში სხვაგან არ დასტურდება (ყოველ შემთხვევაში ეთნოლოგიურ ლიტერატურაში მის შესახებ რამე ცნობა არ მოიპოვება). თუმცადა ქართულ ენაში ფართოდ გავრცელებული გამოთქმა **კვერის დაკვრა** ქმნის ცდუნებას, რომ ზემოთ აღწერილი წეს-ჩვეულების ოდინდელი არსებობის გამოძახილი სწორედ მასში დავინახოთ და ვივარაუდოთ, რომ კვერის დაკვრის წესი უწინ ფართოდ უნდა ყოფილიყო საქართველოში გავრცელებული.

მაგრამ ამ შემთხვევაში ვითარება არ არის ისეთივე ნათელი, როგორც ზემოთ ვნახეთ **ქადაგად დაცემა** გამოთქმასთან დაკავშირებით, ამიტომ საკითხიც ჯერჯერობით ჰიპოთეტურ დონეზე რჩება.

<sup>1</sup> კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ ვკითხულობთ: „არლანმა თავდაპირველად დურიპშის ხუთასწლიანი მუხის დაწვით გაითქვა სახელი. რამდენიმე სამჭედლო დააწვევინა, რაკი ამ სამჭედლოებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც აჟირა-გრდემლის თაყვანისცემა ხდებოდა“ ( აფხ. **აფგრა** „სამჭედლო“).

<sup>2</sup> **ხინტი** სიტყვის რაობა, სამწუხაროდ, გაურკვეველია.

„დადასტურება-დამოწმების“ მნიშვნელობით ქართულში გვხვდება, აგრეთვე, მეტად იშვიათად ხმარებული **ბეჭდის დაკვრა** (სახოკია 1979:55) და ამჟამად სულაც მივიწყებული **დამქაშის დაკვრა** („დამქაში თანამოაზრეს, ამეოლს, მომხრეს ნიშნავს, აღმოსავლურ მუსიკაში კი – ბანის მიმცემს“. – ონიანი 1966: 55). ძველი ვარიანტი ამათგან, ცხადია, არის **კვერი** კომპონენტის შემცველი გამოთქმა.

სვანურში დადასტურებულია **კუერიშ ლიყერ** „დამოწმება, მიმხრობა, მხარის დაჭერა“ (ზედმიწ. „კვერის რტყმა“), რომელიც ქართულიდან ჩანს კალირებული (საღლიანი 2016: 591).

კვერის დაკვრის წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებით ღირსსაცნობია ეთნოგრაფიული სინამდვილის კიდევ ერთი ფაქტი. საინტერესოა, ამ მხრივ, ნ. რეხვიაშვილის მიერ საველე მუშაობისას ქართულში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა.

ასე, მაგალითად, ქსოვრისელი მჭედლების თქმით, „ახალწელიწადს გამოვა მჭედელი და სამჯერ დაჰკრავს გრდემლზე კვერს, ეს იმიტომ რომ მუშაობა „ეკვეთება“. დაჰკრავდა და იტყოდა „მიდემჩი გამოუშვებელი გაახლდეს ისევე ჯაჭვი ამირანისაო“. იგივე ჩვეულება არსებობს სოფ. ჩანადირთკარში: „დიდხუთშაბათს და ყვენობის მესამე დღეს მჭედელი უმძრახი იყო, უმძრახი ამზადებდა ჯვარს, „უღელს“, შამფურს და ლურსმნებს. უკანასკნელს ურჭობდნენ სახლების კარებში. იგი კვერს სამჯერ დაჰკრავდა გრდემლზე სიტყვებით: „საკიდელიმც უზგელდების ამირანსა“. მჭედლები იტყოდნენ: მჭედელი ყველა შურობს ამირანს, თუ გამოვიდა სულ ერთიანად ამოხოცავს მჭედლებსო და გვემინაო მისი. ლომისის მთაზე აბია რკინის ჯაჭვითო. თურმე წელიწადი ლოკავს იმ ჯაჭვს გოშია და რომ მიიყვანს გაწყვეტამდე დაჰკრავს მჭედელი გრდემლს და გამთელდება როგორც იყო ისე... (მჭედელი კვერს ჯერ თავის ზურგზე დაჰკრავს უმძრახი და მერე გრდემლზე დაჰკრავს ხოლმე)“ (რეხვიაშვილი 1964: 150-151. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ს. მაკალათიას მიერ ფშავში დადასტურებული იგივე წეს-ჩვეულება (მაკალათია 1985:182) სრულიად ემთხვევა ზემოთ აღწერილს და რამე განსაკუთრებულ ცნობებს არ შეიცავს. იგივე ვითარებაა რაჭაში (რეხვიაშვილი 1939: 335-336). მსგავსადვე, ქვემო სვანეთშიც (ლაშხეთი) მჭედლები დიდი ხუთშაბათის დილას სამჭედლოში დაკრავდნენ კვერს გრდემლზე, რათა ხელახლა ჩაესოთ რკინის პალო თუ კეტი, რომლის ამოგლეჯასაც ცდილობდა ზედ მიბმული ამირანი (სვან. პროზ. 1979: 46).

ამრიგად, ვხედავთ, რომ გრდემლზე კვერის დაკვრა ამირანის ჯაჭვის გასამთელებლად მხოლოდ ფოლკლორში შემონახული ფაქტი კი არ არის, როგორც დღეს შეიძლება ბევრს გვეგონოს, არამედ ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც არის დადასტურებული და რიტუალის სახით იჩენს თავს.

საერთოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხოლმე ამა თუ იმ წეს-ჩვეულებისა თუ რიტუალის ვერბალურ მხარეს. არსებითი მნიშვნელობისაა მათ ფონზე წარმოთქმული სიტყვა, ფრაზა, წინადადება, ტექსტი.

### მიდღემჩი გამოუშვებელი გაახლდეს ისევე ჯაჭვი ამირანისა საკიდელიმც უზგელდების ამირანსა

მარტივად თუ შევხედავთ, ესენი უბრალოდ წინადადებებია და ე.წ. „წმინდა ლინგვისტიკის“ თვალსაზრისით თუ მივუდგებით, შეიძლება ან მხოლოდ დიალექტურ თავისებურებას მივაქციოთ ყურადღება, ანდა მათი სტრუქტურის ოდენ მშრალი სინტაქსური ანალიზით შემოვიფარგლოთ.

მაგრამ არა, ესენი ს ა რ ი ტ უ ა ლ ო წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი ა და მათ ენიჭება საკრალური მნიშვნელობა, კერძოდ, მათში ჩაქსოვილია იმის რწმენა, რომ რიტუალის შესრულების დროს ნათქვამს აქვს განსაკუთრებული ძალა და მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სინამდვილეზე.

ს ა რ ი ტ უ ა ლ ო ნ ა თ ქ ვ ა მ ს თ ა ნ ა ხ ლ ა ვ ს ს ა რ ი ტ უ ა ლ ო ქ მ ე დ ე - ბ ა : გ რ დ ე მ ლ ე კ ვ ე რ ი ს ს ა მ ჯ ე რ დ ა კ ვ რ ა . თ ქ მ ა ც ა და ქ მ ე დ ე ბ ა ც ო რ გ ა ნ უ ლ კ ა ვ - შ ი რ შ ი ა ე რ თ მ ა ნ ე თ თ ა ნ . ს ა რ ი ტ უ ა ლ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ( კ ვ ე რ ი ს დ ა კ ვ რ ი თ ) ხ დ ე ბ ა და - და ს ტ უ რ ე ბ ა - დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა ვ ე რ ბ ა ლ უ რ ა დ გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი ს ა ( „... გაახლდეს ისევე ჯაჭვი...“, „...საკიდელიმც უზგელდების...“ ) და ამა ს თ ა ნ ს დ ე ვ ს ს ა თ ა ნ ა დ ო შე - დ ე ვ ი ( ამ ი რ ა ნ ი ს ჯ ა ჭ ვ ი ს გ ა მ თ ე ლ ე ბ ა ) .

კვერის დაკვრის სწორედ ეს წეს-ჩვეულება უნდა ყოფილიყო საქართველოში ფართოდ გავრცელებული, ისევე როგორც გავრცელებულია ამირანის ეპოსი და საერთო ქართულ მოვლენადაა ქცეული. კვერის დაკვრის სარიტუალო ქმედება, ალბათ, თანდათანობით აღქმულ იქნა ერთგვარ სიმბოლოდ ნათქვამის დადასტურება-დამტკიცებისა და ისეთივე საკრალური მნიშვნელობისად იქნა მიჩნეული, როგორსაც სამეგრელოსა და აფხაზეთში წარმოადგენს კვერის დაკვრა სამჭედლოში ფიცის წარმოთქმისა თუ დამნაშავეს შერისხვის დროს. სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო ამ წეს-ჩვეულების ენაში უშუალო სახელდებაც, სათანადო მყარი შესიტყვევის სახით (**კვერის დაკვრა**)<sup>1</sup>. იქნებ სწორედ ამ უკანასკნელის ოდინდელი არსებობის გამომახილს წარმოადგენდეს ზემოთ განხილული იდიომიც? საკითხი ჰიპოთეზის დონეზე რჩება.

<sup>1</sup> კვერის დაკვრის წეს-ჩვეულების გავრცელება დიდად უნდა ყოფილიყო განპირობებული სხვადასხვა დემონოლოგიური რწმენა-წარმოდგენებითაც, რომლის მიხედვით მჭედლები გვევლინებოდნენ სხვადასხვა ავი სულებისა თუ ბოროტი ძალებისაგან დამცველებად, როგორც მოთხრობილია, მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ ტექსტში:

„ქვეყანაზე ერთი დიდი გველეშაპი ცხოვრობდა. მისი ძალიან ეშინოდათ. გველეშაპს ირგვლივ შემორტყმული ჰქონდა უზარმაზარი ჯაჭვი, რომლითაც ის შეკრული იყო. გველეშაპი მთელი წლის განმავლობაში ლოკავდა და ლოკავდა იმ ჯაჭვს. გაწყვეტამდე რომ მივიდოდა, მჭედლები შეიკრიბებოდნენ და გრდემლზე ჩაქუჩებს სცემდნენ. მაშინ ჯაჭვი ისევ სქელდებოდა და გველეშაპი ვეღარ აიშვებდა. თუ მჭედლები ასე არ მოიქცეოდნენ, მაშინ გველეშაპი აიშვებდა და ხმელეთზე მცხოვრებ ხალხს დაჭამდა“ (ზეპირსიტყვიერება 1976: 200).

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური წარმოდგენები მიჯაჭვული დემონის შესახებ სხვა ხალხებშიცაა დადასტურებული, მაგ., ტიროლის (ავსტრია) ზოგ ადგილებში მჭედლები დღესასწაულების წინ სამჯერ დაკრავდნენ ხოლმე კვერს გრდემლზე, რათა გაემაგრებინათ ჯაჭვი, რომლითაც ლუციფერი ან, ზოგი ვარიანტით, მგელი იყო შემორკილი. ქვემო ზავარიაში, ვალდკორჰენში (გერმანია), მჭედელი ასევე სამჯერ დაკრავდა კვერს გრდემლზე, რათა ეშმაკს ჯაჭვი არ აეწყვიტა“ და სხვ. (ურსინი 1927: 100).

\* \* \*

ქართული **კვერის დაკვრა** იდიომზე ბევრად უფრო დიდ სირთულეს წარმოგვიდგენს, როგორც სტრუქტურით ისე სემანტიკით, ფრაზეოლოგიური შესიტყვებისაგან წარმომავალი ერთი ზმნა ხუნძურ ენაში – **მახარეინე** (← მახ+რეკ-ი-ნე), რომლის მნიშვნელობაა „ხ მ ა უ რ ი ს ა გ ა ნ წ უ ხ ი ლ ი“; ამ ზმნის გარდამავალი ფორმაა **მახარეინაზიზე** (← მახ+რეკ-ი-ნ-ა-ზ-ი-ზე), რომლის მნიშვნელობაც მ. საიდოვს უფრო დაკონკრეტებით აქვს განმარტებული: „ხ მ ა უ რ ი თ შ ე წ უ ხ ე ბ ა ( ა ვ ა დ მ ყ ო ფ ი ს ა )“ (საიდოვი 1967: 335.); მაგ., უნთარად ებელაღდა მახარეინაზიზე „ნუ აწუხებ ავადმყოფ დედას ხმაურით“ (ხუნძ.-რუს. ლექს. 2006: 477).

ამ შედეგნილ ზმნაში პირველ კომპონენტად აშკარად არის წარმოდგენილი სიტყვა **მახა** „რ კ ი ნ ა“. მთლიანად ამოსავალი შესიტყვების (**მახა რეინე**) ზედმიწევნითი მნიშვნელობის გაგებას მეტად ართულებს მისი მეორე კომპონენტის – **რეინე** ზმნის – პოლისემიურობა: **რეინე** „ცეცხლის გაჩაღება“, „ლესვა (მაგ., დანისა)“, „მიკრობა, მიწებება“, „ცხენზე ამხედრება“, „ტრანსპორტში ჩაჯდომა“, „შეჩვევა, შეგუება“ (საიდოვი 1967: 416). საერთოდ, ხუნძური ენისათვის დამახასიათებელია არაერთი ანალოგიური პოლისემიური ზმნა, რომლის მნიშვნელობის დაკონკრეტება მხოლოდ შესიტყვებაში, სახელურ კომპონენტთან მიმართებით თუ ხდება ხოლმე; მაგალითად, ანალოგიურადვე პოლისემიურია ზმნა **ზაზე**, რომელსაც კონკრეტული მნიშვნელობა მხოლოდ სათანადო შესიტყვებაში უჩნდება, სახელურ კომპონენტთან მიმართებით: რუყ ბაზე „სახლის აშენება“ (რუყ „სახლი“), ოც ბაზე „ხარის შებმა (გუთანში, ურემში)“ (ოც „ხარი“), ქაქ ბაზე „ლოცვა“, „ნამაზის შესრულება“ (ქაქ „ლოცვა“, „ნამაზი“), ტილ ბაზე „ჯოხის დარტყმა“ (ტილ „ჯოხი“), ზარ ბაზე „მუშტის დარტყმა“ (ზარ „მუშტი“), ლარ ბაზე „რქენა“ (ლარ „რქა“), წად ბაზე „წვიმის მოსვლა“ (წად „წვიმა“), სურათ ბაზე „სურათის დაკიდება“ (სურათ „სურათი“) და სხვ. **მახა რეინე**-ს შემთხვევაში კი ვერ ხერხდება ზმნური კომპონენტის მნიშვნელობის ამგვარადვე დაკონკრეტება სახელური კომპონენტის მეშვეობით და მთლიანად შესიტყვებას აქვს მისსავე შემადგენელ კომპონენტაგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა.

ამრიგად, ხუნძური **მახარეინე** ზმნის ამოსავალი მოტივაციის მიკვლევა მეტად გართულებულია. რა უნდა დადებოდა საფუძვლად მის მნიშვნელობას – „ხ მ ა უ რ ი თ შ ე წ უ ხ ე ბ ა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ი ს ა“ – და რატომ შეიცავს იგი სახელურ კომპონენტად სიტყვას **მახა** „რ კ ი ნ ა“?

ამასთან დაკავშირებით ჩნდება ასოციაცია ერთ-ერთ წეს-ჩვეულებასთან, ოღონდ იგი დადასტურებულია ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილში, ხუნძებისაგან გეოგრაფიულად დაშორებულ მხარეში – ჩერქეზებთან. ამ წეს-ჩვეულების სახელწოდება არის **ჭაფშ**. ს. ჯანაშიას ცნობით, „ეს იმისთვის ხდება, რომ ა ვ ა დ მ ყ ო ფ მ ა ა რ და ი ო მ ი ნ ო ს, რადგან ძილში შეშინება იციან, და შეიძლება ავნოს (ჩვეულებრივად რომელიმე ასოს მოტეხასთან გვაქვს საქმე, როცა ჭაფშს აწყობენ. თუმცა უწყობენ დაჭრილსაც და ყვავილიანსაც, მაგრამ მაშინაც იგივე მიზეზია. დღისით აძინებენ ავადმყოფს, მაშინ მისი მო-

ვლა ადვილია. ყვავილიანმა კიდევ, თუ მას გაართობენ, შეიძლება სახე აღარ გაიკაწროს“ (ჯანაშია 1968: 116. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ს. ჯანაშია პირადად დასწრება ადიღეში ჭაფშის რიტუალს. იგი მოგვითხრობს: „ჭაფში თურმე ერთი მოხუცი დედაბერისთვის ყოფილა გაკეთებული, რაღაც უღრმვია თუ მოუტეხავს. უკვე ღამის მეთორმეტე საათი იყო, როცა ჩვენ წავედით. ბევრი ხალხი დაგვხვდა, 70-80 კაცამდის, დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი. წრე გაეკეთებინათ და ქალ-ვაჟნი ერთად ცეკვავდნენ. მუსიკა შედგებოდა ერთი გარმონისა და რამდენიმე კასტანიეტისაგან. ზოგჯერ ეს მუსიკოსები გარმონს ხმას აყოლებდნენ, ზოგი კიდევ შესძახებდა. ტაში თითქმის არ ყოფილა. ქალები (ალბათ მხოლოდ გასათხოვარნი) ფეხზე იდგნენ, ვაჟთაგან ზოგი მიწაზედაც იჯდა ფეხმორთხმული“ (ჯანაშია 1968: 122).

ამრიგად, აღწერილი რიტუალი, როგორც ვხედავთ, იმისათვის სრულდება, რომ დაჭრილს ან ძვლის მოტეხილობიან ავადმყოფს არ მიეცეს დამინების საშუალება. ამიტომ ცდილობდნენ მის გართობას, აწყობდნენ სხვადასხვა თამაშებსა და ცეკვებს. ითვლებოდა, რომ ასე განდევნიდნენ ავ სულებს, რომლებიც ავადმყოფთან იმყოფებოდნენ.

განსაკუთრებით საყურადღებო კი, აი, რა არის: ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ჭაფშზე მოსული თითოეული ძლიერად შემოკვრავდა ხოლმე რკინას, რათა მას დიდი ხმა გამოეღო. დაჭრილს თავი უნდა შეეკავებინა და თავისი ფიზიკური ტანჯვა არ გამოემჟღავნებინა. ზოგჯერ ტკივილითა და ხმაურით დაქანცულ ავადმყოფს ჩაეძინებოდა, მაგრამ იქვე მჯდომი ახალგაზრდა ქალი აიღებდა სპილენძის ტაშტს ან ხელს წაავლებდა რკინის სახნისს და მთელი ძალით იწყებდა მასზე ჩაქუჩის შემოკვრას ზედ ავადმყოფის თავთან. ავადმყოფიც კვნესით გამოიღვიძებდა (შილინგი 1931: 51).

სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო „რკინის“ აღმნიშვნელი **მახა** სიტყვის პოვნისებრი ფრაზეოლოგიური წარმომავლობის ხუნძურ ზმნაში **მახარეკინ**- და ამ ზმნის მნიშვნელობაც: „ხ მ ა უ რ ი ს ა გ ა ნ წ უ ხ ი ლ ი (// ხ მ ა უ რ ი თ შე წ უ ხ ე ბ ა) ა ვ ა დ მ ყ ო ფ ი ს ა“. ხომ არ მიგვანიშნებს ეს ფაქტი იმაზე, რომ კავკასიის სხვა ხალხებშიც უნდა არსებულიყო ჩერქეზული ჭაფშის მსგავსი რიტუალი, რომელიც დროთა განმავლობაში უნდა დაკარგულიყო სხვადასხვა მიზეზთა გამო (მაგალითად, ისლამის გავრცელების შედეგად)?

**მახა** („რკინა“) სიტყვის შემცველი ფრაზეოლოგიური წარმომავლობის სხვა ზმნა ხუნძურ ენაში არ გვხვდება.

პოლისემიური **რეკინ**- ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის, აგრეთვე, „ლესვა“: **მახა + რეკინ**-, ე.ი. „რკინის ლესვა(?)“. ლესვით გამოწვეული ხმაური მართლაც შემაწუხებელი შეიძლება იყოს ადამიანისათვის, ოღონდ რატომ მაინცადამაინც ავადმყოფისათვის?

\*\*\*

საყურადღებოა ქართულში არსებული გამოთქმა **ჭერის ახდა**, რომლის ეტიმოლოგიას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ეთნოლოგმა ს. გაბუნია (გაბუნია 1977: 233-235).

**ჭერის ახდა** (ვარიანტები: **ჭერის ახსნა, ჭერის გახსნა, ოჯახის გახსნა, კერის გახსნა, სახლის ახსნა**) ეწოდება მიცვალებულის წლისთავზე გამართულ პურობას, რომლის დროსაც, ოჯახის უფროსის ნებართვით, პირველად შემოსმახებენ სიმღერას, ნიშნად გლოვის დამთავრებისა (გაბუნია 1977: 233).

ამ გამოთქმის მოტივაცია დღეს გაბუნდოვანებულია. გაუგებარია, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს მიცვალებულის გამოგლოვების წესს ჭერის ახდის კონკრეტულ ქმედებასთან. მაგრამ ამოსავალი მოტივაციის მიკვლევა სავსებით შესაძლებელი ხდება სათანადო ეთნოგრაფიულ ფაქტზე დაკვირვების წყალობით. ეს ფაქტი დადასტურებულია ბასკების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში: როდესაც ბასკებს შინ მომაკვდავი უწევთ, სახურავზე ადიან და კრამიტის აყრას იწყებენ: „მიცვალებულის სულს გზა ეხსნება ცისკენ, სასუფევლისკენო, ან კიდევ იმისთვის კეთდება, რომ მიცვალებულის სული შინ მობრუნდესო“ (გაბუნია 1977: 235).

თუ ბასკების წარმოდგენით მიცვალებულის სული ზეცაში გარდაცვალებისთანავე მიდის, ქართველთა რწმენის მიხედვით იგი შინ რჩება და მხოლოდ წლისთავზე ან ორმოცი დღის გავლის შემდეგ ტოვებს იქაურობას (გაბუნია 1977: 233), ამიტომ მრავლისმეტყველია, რომ ქართულში **ჭერის ახდა** სწორედ მიცვალებულის წლისთავთან დაკავშირებით ითქმის.

როგორც გარკვეულია, და ამას ეთნოგრაფიული ცნობებიც ცხადყოფს, გამოთქმაში **ჭერის ახდა** შემონახულია კვალი ძველი წეს-ჩვეულებისა: მსგავსად ბასკებისა, უწინ ქართველებსაც სცოდნიათ სახლის სახურავის ახდა მიცვალებულის სულის ზეცაში განსატევებლად (გაბუნია 1977: 235). საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სახურავის ახდის წეს-ჩვეულების ოდინდელ არსებობაზე მიაწინებს ის, რომ რიგ კუთხეებში დადასტურებულია ამ წესის სხვადასხვაგვარი სახეცვლილი ვარიანტები, მაგ., „სამეგრელოში კაცი რომ მოკვდება, მაშინვე გ ა ა ღ ბ ე ნ კ ა რ - ფ ა ნ ჯ ა რ ა ს, სული გაფრინდესო... ქართლში, ქსნის ხეობაში არსებობს რწმენა, რომ სული „ს ა კ ო მ უ - რ ი დ ა ნ“ გადის; გურიაში მიცვალებულის გამოსვენების დროს ფ ა ნ ჯ რ ი ს გ ა ტ ე ხ ვ ა ა ნ კ ე დ ლ ი ს გ ა რ ღ ვ ე ვ ა სცოდნიათ; საქართველოს ზოგ კუთხეში თურმე ღ ო ბ ე ს გ ა მ ო ა რ ღ ვ ე ვ დ ნ ე ნ და მერე უცებ შეაკეთებდნენ, სული არ დაბრუნდესო“ (გაბუნია 1977: 235. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

აღსანიშნავია, რომ სწორედ ეთნოლოგიური კვლევის წყალობით გახდა შესაძლებელი გამოვლენილიყო ის მიზეზი, რამაც გამოიწვია გამოთქმის მოტივაციის გაბუნდოვანება. საქმე ისაა, რომ ქართული ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობის ტიპი დროთა განმავლობაში შეიცვალა, რამაც, თავის მხრივ, წეს-ჩვეულებაზეც მოახდინა გავლენა: ტრადიციული საცხოვრებლის ცვლილებამ გამოიწვია წეს-ჩვეულების ტრანსფორმაცია სხვადასხვა ინოვაციების შემოჭრის სახით (კარ-ფანჯრის გაღება, ფანჯრის გატეხვა, ღობის გამოწვლა). ადრე კი, „როცა სახლს დღევანდელი კარ-ფანჯარა არ გააჩნდა და როცა ჭერი, დღეს რომ არის, ისე ძნელი ასახდელი არ იყო, ისლით თუ კიდევ სხვაგვარად იყო გადახურული, საფიქრებელია, რომ ს წ ო რ ე დ ჭ ე რ ს ხ დ ი დ ნ ე ნ (ალბათ ნაწილობრივ როგორც ბასკეთში)“ (გაბუნია 1977: 235. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

გამოთქმა **ჭერის ახდა** წარმოადგენს ენობრივი ერთეულის ეტიმოლოგიის ექსტრალინგვისტურ საფუძველზე დამაჯერებლად ახსნის შესანიშნავ ნიმუშს. მკვლევარი ამ გამოთქმას უწოდებს იდიომს და, ერთი შეხედვით, ეს მართლაც ასეა. ცნობილი განმარტებაც იდიომურობისა ხომ ის არის, რომ იდიომის მნიშვნელობა არ უდრის მისივე კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. როგორც ვხედავთ, გამოთქმას (**ჭერის ახდა**) სწორედ იდიომურობის ხსენებული ნიშან-თვისება ახასიათებს.

მაგრამ ეს ვითარება სინქრონიულ რეალობას ასახავს. ისტორიულად კი **ჭერის ახდა** წარმოადგენდა კონკრეტული ეთნოგრაფიული ფაქტის ამსახველ მყარ შესიტყვებას იმავე ტიპისა, რომელთა მაგალითებიც უკვე არაერთი ვნახეთ (მაგ., **სისხლის აღება**, **ძმად გაფიცვა** და სხვ. მისთ.). **ჭერის ახდა** არის თვალსაზირო მაგალითი კონკრეტული შესიტყვების იდიომად გადაქცევისა, რაც განხორციელდა არა მეტაფორული გადააზრების შედეგად, არამედ ექსტრალინგვისტურ სინამდვილეში მომხდარი სათანადო ცვლილების უშუალო გამოისობით.

\* \* \*

ვაჟა-ფშაველას მოეპოვება საყურადღებო ეთნოგრაფიული დაკვირვება მცირე შენიშვნის სახით, რომელიც შეეხება ერთ მონაკვეთს სოციოლოგ მ.კოვალევსკის ნაშრომისა „კანონი და წეს-ჩვეულება კავკასიაში“<sup>1</sup>. ვაჟა აღნიშნავს: „ამბობს რა კოვალევსკი იმას, რომ ზოგი ცხოველები არიან შექმნილნი არიანისა და სხვანი ორმუზდისა, ფშავლებსაც შიგ ატანს იმ ხალხში, ინგუშებში ჩაჩნელებსა და ოსებში, რომელნიც მოვალესთან მიიყოლებენ ძალს და ეტყვიან: თუ არ გამისწორდი, ამ ძალს შენს მკვდარს დავაკლავო. ეს ჩვეულება იქნება იყო ფშავში, მაგრამ დღეს ვეღარ ვხედავთ ფშავლებს შორის, თუმცა დედაკაცები კი როდესაც ერთი მეორეს ჰლაპარაკობენ, ეტყვიან: „ძალს ჩავაკლავ შენს მკვდარსაო“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 131. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ამ სალანძღავ თუ საწყევარ გამოთქმასთან დაკავშირებული რეალური ეთნოგრაფიული ფაქტის შესახებ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ხევსურეთში ძველად არსებული ერთ-ერთი ჩვეულების მიხედვით, რასაც ეწოდებოდა **ძალ-ციცათად ცემა**.

„თუ ცილს სწამებდნენ ქალს ან მამაკაცს, ის თავის გასამართლებლად რომელიმე სახლის ბანზე ავიდოდა, ძალს და იჭერდა ხელში ან კატას და ბანიდან ხმამაღლა იტყოდა: „ვინაც მე ქურდობას მაბრალებს (ან ენის მიტან-მოტანას), მაშინ იმის საყურებლად-დ სოფლის საყურებლად ვიძახ, თუ მე ამ საქმეში დამნაშავე ვიყავ-დ მართალ არ ვიყვ, მაშინ ეს ძალს იყვას ჩემის მკვდრისად, ამ ძალს ის სისხლ გადავასხი ჩემთ მკვდართ საფლავზე და თუ არა და ვინაც მე მაბრალებს ტყუილად, მაშინ ძალს იმის მკვდრისად იყოსა-დ ამის სისხლ გადაეხას იმის მკვდართ საფლავზე“ (ბალიაური, მაკალათია 1940: 55. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

<sup>1</sup> М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, I, 1890, гл.102-103.



„მაღლს სამჯერ მაგრად ჯოხს დაჰკრავდა და ძაღლი რომ აწკმუტუნდებოდა, დაუმატებდა: „მ ტ ყ უ ვ ნ ი ს მ კ ვ დ ა რ თ ს ა ფ ლ ა ვ ზ ე დ ა მ ც ა წ კ მ უ ტ უ ნ დ ე ბ ი ს ე ე ს ძ ა ლ ლ ე ე ს რ“; თუ კატა ეჭირა ხელში, კატას სამჯერ „დაჰკრავდა“ (დაანარცხებდა მიწაზე) და იტყოდა: „ც ი ც ა ი ყ ო ს ი მ ი ს მ კ ვ დ რ ი ს ს ა ჰ ი რ ი ჯ ს ნ ო<sup>1</sup>, ვინაც მტყუანი ას“. ხშირად თავის გამართლების დროს ძაღლს თოფსაც დაჰკრავდნენ (მოკლავდნენ თოფით) და იტყოდნენ: „ე ე მ ძ ა ლ ლ ი ს ს ი ს ხ ლ ი თ ა მ ე ზ ი ა რ ე ბ ი ა ნ ა, გ ა დ ა - ი ნ ა თ ლ ე ბ ი ა ნ ა, მ ტ ყ უ ვ ნ ი ს მ კ ვ დ რ ი ს ს უ ლ ნ ი“-ო (ბალიაური, მაკალათია 1940:55. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

„თუ სოფელში რაიმე დაიკარგებოდა და ვერ იპოვნიდნენ, კ ა ტ ა ს მ ო კ ლ ა ვ დ ნ ე ნ და ხალხის გასავლელ გზაზე ხეზე ჩამოვიდებდნენ. კატა ქურდის „მ კ ვ დ ა რ თ ს ა წ ი რ ა ვ ა დ“ იყო მოკლული და ჩამოვიდებულნი“ (ბალიაური, მაკალათია 1940: 55. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ვაჟას მიერ ფშაურიდან მოხმობილი მაგალითი **ძაღლს ჩავაკლავ შენს მკვდარსა**, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულშიც არსებული მისი მსგავსი **ძაღლი მიაკვდა სულში** და სხვ. მისთ., წარმოადგენს ოდენ სალანძღავ (საწყევარ) გამოთქმას, ხოლო ხევსურულის მაგალითები იმით არის საყურადღებო, რომ ამ გამოთქმებს აქვს ს ა რ ი ტ უ ა ლ ო დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა და რეგულარული სახით ხდება მათი ხმარება სათანადო წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებულ რიტუალში. ამ კონტექსტში ფრიად დამახასიათებელია **ძაღლი, ციცა** სიტყვათა რეგულარული გამოყენება მკვდართან დაკავშირებით.

საყურადღებოა, აგრეთვე, წესი ძაღლის მოკვლისა, რაც ხევსურეთში ხდებოდა საზოგადოებიდან ვისიმე მ ო კ ვ ე თ ი ს დროს. ამას ერქვა **ძაღლით მაკვეთა** (ჭინჭარაული 2005), მაგ., „გამოვიდა ბათაკა, გატენილი თოფით, ძაღლი ხეზე მიაბა და დაიძახა: „გაიგონეთ კაცმა-დიაცმ, ბერმა ახალმ, სოფლელ-სტუმართ, მტერმა-მოკეთემ, ცამა-დედამიწამ, ქვამა-ხემ, სულმა, ჯვარმა, რომ ჩვენ ოთხ ძმან თავის ცოლ-შვილით, ორნ დანი უქმარშვილოდ ვიკვეთთ დის-წულებს, არ ვატანთ ჩვენ დას ნათელას, რახანც ის მკვდარი ას, ვიკვეთთ სამუდამოდ. ვერც ცოცხლებ შავლენ დედიძმათ სახლების ჭერთ ძირში, ვერც მკვდარნ მივლენ დედიძმათ მკვდართან, ვერ ჩაეთვლებიან საიქიოს დედიძმათ ანდაბში!“<sup>2</sup> და მოკლა ძაღლი. ხევსურეთის წესით, როცა ძაღლს მოკლავენ, ხატში ხევისბერი არც საკლავს დაკლავს და არც რიგს უყენებს ჯვარს, სანამ ძაღლის მომკლავი საკლავს არ დაჰკლავს ჯვარ-ჯვარისკარის სამხსნელოს. ბათაკამ და იმისმა ძმებმა ძაღლი გზაჯვარედინზე დააგდეს, რომ ყველას დაენახა. ეს უკვე მძიმე მოკვეთა იყო“ (ბალიაური 1991: 93).

შეიძლება **ძაღლით მაკვეთილი**-ს შერიგება, რასაც ეწოდებოდა **ძაღლის ვსნა**. ამისათვის დაკლავდნენ საკლავს. ასეთ საკლავს ერქვა **ძაღლის სამხსნელო** (ბალიაური 1991: 95, ჭინჭარაული 2005).

<sup>1</sup> ხეცს. **საპირისწნო** „პირისწნისთვის განკუთვნილი“, **პირი 'ს' წსნა** „მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ხორციტ გახსნილება“ (ჭინჭარაული 2005).

<sup>2</sup> ხეცს. **ანდაბი** „რელიგიური შეხედულების თანახმად, ერთი გვარისა და შთამომავლობის სულები საიქიოში გარკვეულ ჯგუფებად – ანდაბებად იყვნენ დაყოფილნი. ახლად გარდაცვლილთა სულები თავისი გვარის ანდაბებში ერთიანდებოდნენ“ (ბალიაური 1991:183. სიტყვის განმარტება ეკუთვნის თ. ოჩიაურს).

ხდებოდა მოკვეთა ძაღლის ცემითაც, მაგ., „აბაკამ, როდესაც ქალი მოიკვეთა, წინასწარ მოიყვანა ძაღლი, დაიყენა ახლო და ყველას გასაგონად დაიძახა: „...მე ის ამ დღის იქით შვილობით მამისხლეტავ! გამიგონეთ სრუყველამ! თუ მე ის ჩემ სიცოცხლეში სახლში შამაუშვ, თუნდა კარი-კარ პურის ლუკმათ მაუნდას კრეფაი, მაშინისა ეს ძაღლი ჩემსამც მამა-პაპაის სულისადამც იქნების, იმათამც ტაბლაზე აწკავ-წკავდების!“ ამ სიტყვებზე ძაღლს სამჯერ დაარტყამს იმ ძალით, რომ ძაღლმა დაიღმუვლოს“ (ბალიაური 1991:50. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). „ძაღლის წკავწკავი“, როგორც ჩანს, ამ წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებულ თავისებურ მყარ გამონათქვამსაც წარმოადგენს, მაგ., „ჩვენის მკვდარ-ცოცხლის შესარცხვენლად ძაღლს ვერ ვაწკავწკავებთ“ (ბალიაური 1991: 93. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ვაჟა-ფშაველას აღწერილი აქვს ერთი ჩვეულებაც – კატის დაკიდება:

„თუ უჯიშო გვარის ხევსურს გაჰყვა ცოლად ჯიშინ გვარის ქალი, მაშინ ქალის ნათესავები მოიკვეთენ „თესლ-ჯილაგის“ შემბლავ ქალს, „კატას დაუკიდებენ“ – დაურჩობენ იმას, ვინც სახლში გაატარებს ნათესავთაგანი ქალს და იმის ქმარს: „ეს კატა იყოსა იმის მკვდრისა და ვინც შენ სახლში შამოგიტას, ან შენი ქმარი იმაკეთოს“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 88. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). კატის დაკიდებას მიმართავდნენ სხვა შემთხვევებშიც: რამე დანაშაულში ბრალდებული ხევსური აიყვანდა კატას, ხეზე ჩამოკიდებდა და ყველას წინაშე წარმოთქვამდა ამგვარ ფიცს: „თუ მე ჩაჩაურის (ანუ სხვა ვინმე იქნება) ცხენ მამეპაროს, ეს კატა იმც იქნების ჩემის მკვდრისა და, ცოცხლისა და, ჯვარისა და, ტაბლისა და, სანთლისა და, წყლისა და, წისქვილისა და, მთისა და, ბარისა და, თუ არა და, ვინც მე უღბით დამწვა-დამდაგა, იმისამც მკვდრისად იქნების, ცოცხლისად, ჯვარისად, ტაბლისად, მთისად, ბარისად, ყველაიმც ღრიბლიან (წაბილწული, შებლალული) იქნებისა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 50. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

დასტურდება ზოგიერთი ისეთი გამოთქმაც, რომელთა შემადგენლობაშიც ვხვდებით სიტყვებს **მელა** (მაგ., „მკვდართა დამც გიმე მე-ლაო!“, იხ. შანიძე 1984: 358) ან **ვირი** (მაგ., „ვირიმც იქნების მაში ჩემის მკვდრისად, თუ სხვას მიეცით ქალი“, იხ. ბალიაური 1991: 78). ა. შანიძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მელას ან ციცას, ვირს, ცხენს, ძაღლს, ერთი სიტყვით, რაც „ყროლია“, ხმარობენ წყველა-გინეზის დროს: ციცას მიგიკლავ მკვდარსაო! ჩემს ძაღლს ჩავაკლავ მის მკვდართა ნაწყლ-ჩაღმა და მისთ.“ (შანიძე 1984: 358).

ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით აქ დასაზუსტებელია ერთი რამ: ძაღლი და კატა, როგორც ზემოთაც ვნახეთ, სარიტუალო ცხოველებად გვევლინებიან და მათთან დაკავშირებული გამონათქვამებიც, შესაბამისად, სარიტუალო მნიშვნელობისაა, ამიტომ მათ ცალსახად ვერ გავუთანაბრებთ სხვა მსგავს გამონათქვამებს. **ძაღლი** და **კატა** სიტყვების შემცველი ზემოთმოხმობილი გამონათქვამები უბრალოდ ინვექტივა კი არ

არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, არამედ სათანადო რწმენა-წარმოდგენებითაა გამყარებული და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებას წარმოადგენს. განსხვავებით, მელა და ვირი, ამ მხრივ, ჩვეულებრივი ცხოველებია და, ამდენად, სათანადო გამონათქვამებსაც არა აქვთ რამე განსაკუთრებული ფუნქცია, გარდა ინვექტიურობისა<sup>1</sup>.

**ძაღლი** რომ სალანძღავ სიტყვად გამოიყენება, ამაში არაფერია განსაკუთრებული. ამის მაგალითებს მსოფლიოს მრავალ ენაში შევხვდებით. თუმცა ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ფაქტს ვაწყდებით ქართული ენის მთის კილოებში (ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში, მოხეურში), სადაც დადასტურებულია სიტყვა **ოთხფეცი**, რაც ა. შანიძის განმარტებით არის: „ძაღლი (მორიდებულ საუბარში, თითქმის მხოლოდ ძაღლი)“ (შანიძე 1984: 377). მოიპოვება სხვა ანალოგიური სიტყვაც – **მეფეარი** „ძაღლი (მორიდებულ საუბარში)“ (შანიძე 1984: 367). ფაქტი საინტერესოა, რამდენადაც წარმოადგენს იშვიათ შემთხვევას ქართულ ენაში ცხოველის ევფემისტური სახელდებისა. სალიტერატურო ქართულში, ამ მხრივ, უპირველესად გვახსენდება **სახედარი** და, ალბათ, **პირუტყვი**. საფიქრებელია, რომ ძაღლის ევფემისტური სახელდება მთის კილოებში უნდა გამოეწვია არა მხოლოდ იმ ნეგატიურ და ინვექტიურ კონოტაციებს, რაც მის სახელს ახლავს, არამედ ზემოთაღწერილ წეს-ჩვეულებათა კონტექსტში **ძაღლი** სიტყვის რეგულარულად გამოყენებასაც.

\* \* \*

დასასრულ განვიხილავთ საერთო ქართულ საალერსო გამოთქმებს **‘შენ’ შემოგველე // შენ თავს შემოგველე**, დიალ. (იმერ.) **შემოგაირე...** მეგრ. **‘სქანი’ გოლუაფირო** „‘შენ’ შემოგველე“ (ზედმიწ. „‘შენი’ შემოვლებულად“)...

თ. სახოკიას ეკუთვნის ცნობილი ახსნა ამ გამოთქმის წარმომავლობისა:

„საქართველოში, ძველად, როცა ავადმყოფის მოსარჩენად ყოველი ღონე იქნებოდა ნაღონები და ცდა მაინც უნაყოფოდ რჩებოდა, ავადმყოფის პატრონები მის გადასარჩენად უკანასკნელ საშუალებას მიმართავდნენ. ეს საშუალება იყო: ავადმყოფის გარშემო შემოვლება ცხოველის (დეკეულის, ხბოს, ცხვარის), რომლისათვის, ძველი აღთქმის „განყვანების ვაცის“ მსგავსად, უნდა ეტვირთებინათ ყოველივე სენი ავადმყოფისა და, ამგვარად, კარზე მომდგარი სიკვდილი ამით გაესტუმრებინათ... ავადმყოფის მორჩენის შემდეგ მის თავზე შემონავლები დაიკვლებოდა იმ ხატის სახელზე, რომელიც, მათი აზრით, ავადმყოფს მოარჩენდა“ (სახოკია 1979: 223-224).

ასეთი თვალსაზრისი არსებობს დღეს გამოთქმის წარმომავლობის შესახებ და იგი დამაჯერებელი ჩანს, თუმცა გამოთქმის ისტორიის შესწავლა მეტი სიცხადისათვის კვლავ საჭიროებს დამატებითი ენობრივი თუ ეთნოგრაფიული ცნობების მოძიებას.

<sup>1</sup> მაგ., ნ. ბალიაურის თხზულებაში დადასტურებული „ვირიმც იქნების მაში ჩემის მკვდრისად, თუ სხვას მიეცით ქალი“ (ბალიაური 1991: 78) გარკვეულწილად ანალოგიური ჩანს იმისა, რაც თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაში არის ფიცის ერთგვარი ფორმა, ე.წ. „დაგინება“.

ა. ქობალიას განმარტებით, მეგრული **გოლუაფა** „გარს შემოვლა, შემოსალტვა, გარს შემოყოლება (თხრილისა), შემოვლება (ავადმყოფს, მომაკვდავს ან სხვა საფრთხეში მყოფ ახლობელს საკუთარ თავს, ზვარაკს უპირატესად, ხარსა და მამალს, სანთელს, ჩითს ან საწინდროს შემოავლებდნენ იმ იმედით, რომ საფრთხე, სიკვდილი და ავადმყოფობა შემოვლებულზე გადაიხიზნებოდა; შემოვლებულ საქონელსა და ფრინველს დაკლავდნენ ან წითელ ძაფს შეაბამდნენ და გაუშვებდნენ“ (ქობალია 2010). ფშავში არსებობდა თავისებური რიტუალიც – „ყელის მოხვევა“. ს. მაკალათიას ცნობით, „ავადმყოფთან მიიყვანენ ხარს ან ცხვარს. ავადმყოფი მას ყელზე ხელს მოხვევს და ლაშარის ჯვარს შეევედრებიან... ხარს რქაზე ჭედს უკეთებენ და შუბლს კი სანთლით შესტრუსვენ. ხატობას ამ ხარს ხატში მიიყვანენ, ხევისბერი დაამწყალობებს და იქვე დაჰკლავენ“ (მაკალათია 1985: 163).

დამატებითი მასალის სახით შეიძლება მოვიხმოთ ცნობა დალესტნის ერთ-ერთი ხალხის – ხუნძების ეთნოგრაფიული სინამდვილიდანაც; ეს არის ყანისა და ნათესების დაცვის რიტუალი, რომლის სახელწოდებაცაა **ჭებერ ყო საჭერი**, ზედმიწ. „შავი რამის შემოვლა“, ხოლო სხვა ვარიანტით – **მედ საჭერუნ ყო ზაჩაიზე**, ზედმიწ. „ყანის ირგვლივ რამის ტარება“.¹ მ. საიდოვის განმარტებით, **ჭებერ ყო** (ზედმიწ. „შავი რამ“) ეწოდება შავ ცხვარს, რომელსაც გვალვის დროს ნათესებისა და სოფლის ირგვლივ შემოატარებდნენ ხოლმე წვიმის გამოწვევის მიზნით (საიდოვი 1967: 584).

ამ რიტუალის შესასრულებლად ხუნძები იკრიბებოდნენ ყოველი სოფლიდან ზაფხულის ბუნიობის დღეს (22 ივნისს) და თავიანთი ყანების ირგვლივ მსვლელობას აწყობდნენ. ამ დროს საგანგებოდ გამოჰყავდათ სამსხვერპლოდ განკუთვნილი შავი პირუტყვი, რომელსაც ყანის ირგვლივ დაატარებდნენ. შემოტარების შემდეგ პირუტყვს ყანაშივე დაკლავდნენ, ხარშავდნენ მის ხორცს და შეექცეოდნენ, ხოლო ძვლებს იქვე მდგარ ლატანზე ჩამოკიდებდნენ. ითვლებოდა, რომ ეს ქმედება ნათესს ზიანისა და უბედობისგან დაიცავდა (ნიკოლსკაია 1959: 324).

როგორც ვხედავთ, ხუნძურ და ქართულ რიტუალებს საფუძვლად უდევს საერთო მოტივი – ს ა გ ა ნ გ ე ბ ო ქ მ ე დ ე ბ ა შე ს ა მ ლ ო უ ბ ე დ უ რ ე ბ ის გ ა ნ დ ა ც ვ ის მი ზ ნ ი თ, რის აუცილებელ პირობასაც წარმოადგენს მ ს ხ ვ ე რ პ ლ შე წ ი რ ვ ა.

მაგრამ ქართულ გამოთქმაში (**შემოგველე**) მოქმედ სუბიექტად იგულისხმება თვითონ ადამიანი და არა სამსხვერპლო პირუტყვი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მართლაც დადასტურებულია ფაქტები გარსშემოვლის რიტუალში ადამიანის მონაწილეობისა: ხევსურეთში, მთიულეთსა და თუშეთში, მაგალითად, აღნიშნულია შემთხვევები, როცა სწულს შვილს დედა შემოველებოდა; მაგ., ხევსურეთში „დედა ან მახლობელი ავადმყოფს შემოუვლის და იტყვის: „ღმერთო, ჩემი თავი ააფარე და ეს აუშვი!“; მთიულეთში: „ზოგჯერ მძიმე

¹ ხუნძ. **მედ საჭერიზე** (ზედმიწ. „ყანის შემოვლა“) ცალკე ფრაზეოლოგიური ერთეულის სახით აქვს კიდევ შეტანილი თავის ლექსიკონში მ. მაჰომედხანოვს (იხ. მაჰომედხანოვი 1993: 216).

ავადმყოფს თვით დედაც მუხლმოყრით სამჯერ შემოევლება და იტყვის: „ჩ ე მ ი თ ა ვ ი შ ე ნ მ ი ი ღ ე და ეს (იტყვის შვილის სახელს) მომირჩინეო“ (მაკალათია 1930: 143, მაკალათია 1983: 199, მაკალათია 1984: 225. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). ლაზებში არსებობს წესი: ჭირისუფალი რამდენჯერმე შემოუვლის გარს სამძიმარზე მისულთ, რათა მათ თავიდან ააცილოს იგივე უბედურება (გაგულაშვილი 1986: 196).

სამეგრელოში არსებული წესი აღწერილი აქვს თ. სახოკიას:

„როდესაც დედას შვილი გაუხდება ავად, ზურგზე უნაგირს დაიდგამს, დაოთხდება, გამოხატავს მორჩილებას და აგრეთვე საფერხეს (ცხენი და სხვ.) ამათუიმ კეთილ სულისას, სამჯერ შემოუვლის ავადმყოფის სარეცელს და კეთილ სულს შეეხვეწება – ჩემი ავადმყოფი შვილის მაგიერ მე წამიყვანეო“ (სახოკია 1940: 165).

აღსანიშნავია ერთი გარემოება: გარსშემოვლის რიტუალის ძირითადი მომენტი არის მ ს ხ ვ ე რ კ ლ შ ე წ ი რ ვ ა, რაც გამოხატულია კიდევ პირუტყვის დაკვლით და სწორედ ეს მოტივი – „მ ს ხ ვ ე რ კ ლ ა დ გ ა ღ ე ბ ა“ (საკუთარი თავის) – უდევს საფუძვლად ქართულ გამოთქმასაც **შენ შემოგველე**.

ვითარება უფრო ნათელი რომ გახდეს, საანალიზო გამოთქმა უნდა განვიხილოთ სხვა ანალოგიურ გამოთქმებთან მიმართებით, რათა ანალიზი არ იყოს იზოლირებული ხასიათისა და არ ემყარებოდეს ოდენ ექსტრალინგვისტურ ფაქტზე მითითებას. საერთოდ, ხატოვანი გამოთქმების (იდიომების) ეტიმოლოგიური ანალიზის დროს ამ პირობათა გათვალისწინება აუცილებელია.

ანალოგიური გამოთქმებია: **„შენ“ გენაცვალე, შენი ჭირი მე, შენი კვნესა მე**, დიალ. (ფშ.) **კესანე, შენი კესანე** (← „შენი კვნესა მე“?, იხ. შანიძე 1984: 339), **დამიტირე, მოგიკვდე, შენსამც ჭირს დავლეე** (ვაჟა-ფშაველას ცნობით, ფშაველს „თუ სასმელს დააღვინებ, დაგიბრუნებს თასს და დააყოლებს: „შენსამც ჭირს დავლეე!“, იხ. ვაჟა-ფშაველა 1964x: 8)... მეგრ. **სქანი ჭირი მა** „შენი ჭირი მე“, **სქან მანგიორო მა დოვღურელედა** „შენ მაგიერ მე მოვმკვდარიყავ“... სვან. **ისგუ მწიგ მი** „შენი ჭირი მე“, „შენი ტკივილი მე“, **ისგტა ნაგნდ მი** „შენ გენაცვალე“ (ზედმიწ. „შენ სანაცვლოდ მე“)...

როგორც ვხედავთ, საერთო მოტივი ყველა ზემოთ დასახელებული გამოთქმისათვის არის „ვ ი ს თ ვ ი ს მ ე მ ს ხ ვ ე რ კ ლ ა დ გ ა ღ ე ბ ა ს ა კ უ თ ა რ ი თ ა ვ ი ს ა“ და, ამ თვალსაზრისით, მათ შორის სავსებით ორგანულად თავსდება გამოთქმა **შემოგველე**, ხოლო ეს ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას **შემოგველე**-ს აღნიშნული რიტუალიდან წარმომავლობის შესახებ. ამავე თვალსაზრისით ღირსსაცნობია ჯავახეთსა და აჭარაში დადასტურებული გამოთქმაც – **გეყურბანე**. თ.სახოკიას განმარტებით, „ყურბანი (ეს სიტყვა არაბულია, ქართულ დიალექტებში თურქულის გზით შემოსული, „მსხვერპლს“ ნიშნავს – ლ. ა.) სასოფლოდ შეკრებილი ფულით ნაყიდი ხარი, ძროხა და ყოჩია, რომელსაც ძველ დროში მსხვერპლად სწირავდა ხალხი ღმერთს გვალვისა და უწყვილობის დროს“ (სახოკია 1979: 90); შდრ. ლაზურში: **კურბანი** „შესაწირი, შეწირვა, შეწირულება“; **გაკურბანუ ნანა სქანიქ** „გენაცვალოს დედა“, ზედმიწ. „გ ე ყ უ რ ბ ა ნ ა დედა შენმა“ (თანდილავა 2013: 388).

შეიძლება მეტიც ითქვას: „ზრუნვის“ სემანტიკის შემცველი ისეთი ქართული ზმნებიც, როგორცაა **უვლის, მოუარა**, სავარაუდოდ, სწორედ გარსშემოვლის აღნიშნული წეს-ჩვეულების გამომდინარე შეიძლება იყოს.

მოსალოდნელია, რომ გარსშემოვლის ანალოგიური რიტუალები, თუნდაც განსხვავებული სახით, არსებობდეს არა მარტო კავკასიის, არამედ მსოფლიოს სხვა ხალხების ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც.

კავკასიის სხვა ხალხთა ენების სათანადო მასალა ამ თვალსაზრისით შეუსწავლელია, თუმცა ზოგიერთი ცნობა მოიპოვება.

მაგალითად, აფხაზურ ენაში მოიპოვება გამოთქმები, რომლებიც თვალსაჩინო სემანტიკურ სიახლოვეს ავლენენ ქართველურ ენათა სათანადო მონაცემებთან:

აფხ. **სუკ<sup>ჲ</sup>გზოჲტჷ** „შენზე გარს შემოვლებული ვარ“ – ქართ. **შემოგველე** (გვანცელაძე 2011: 354); შდრ. მეგრ. **სქანი<sup>1</sup> გოლუაფირო** „შენ შემოგველე“ (ზედმიწ. „შენი<sup>1</sup> შემოვლებული“) // **სქანი<sup>1</sup> გოლუაფირო** „id.“ (ზედმიწ. „შენი<sup>1</sup> შემოვლებულად“). ხომ არ არის აფხაზურის ფორმა მეგრულიდან კალკირებული? ამას გვაფიქრებინებს მეგრულ გამოთქმაში არსებული მიმდებარის ფორმა **გოლუაფირო // გოლუაფირო** („შემოვლებული“ // „შემოვლებულად“).

აფხ. **უხაწკვ სცემატ // უხაცკვ სცემატ** „შენი თავის მაგიერ წავედი“ – ქართ. **შენ<sup>1</sup> გენაცვალე** (გვანცელაძე 2011: 354). ესეც მეგრულის კალკი შეიძლება იყოს; შდრ. მეგრ. **სქან მანგიორო მა მილგდას** „შენ მაგიერ მე წავსულიყავ“, **სქან მანგიორო მა დოვღურელედა** „შენ მაგიერ მე მოვმკვდარიყავ“.

აფხ. **უხს<sup>ჲ</sup> ზგემატ** „შენი თავის ტკივილი წავიდე“ – ქართ. **შენი ჰირი მე, შენი კვნესა მე, შენი სატკივარი მერგოს** (გვანცელაძე 2011: 354); შდრ. სვან. **ის-გუ მაზიგ მი** „შენი ტკივილი მე“.

ხუნძურ ენაშიც შეიძლება დაიძებნოს გამოთქმები, რომელთაც ხსენებულ ქართულ გამოთქმათა მსგავსად, საფუძვლად უდევთ „ვისთვისმე თავის გადადების“ მოტივი. ასეთი გამოთქმების ასაგებად ხუნძური მიმართავს ხოლმე ზმნის II კავშირებითი კილოს ფორმებს (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 294-295), რომლებიც გამოირჩევიან ძლიერი ექსპრესიულობით.

მაგალითად, ერთ-ერთ ფოლკლორულ პოეტურ ტექსტში დედა მიმართავს ვაჟიშვილს:

უნგე, ე ბ ე ლ ხ უ ა დ ა უ, ტადე ხაუნზაჰე. დუფოგ ნუცალხანილ რეკინ ბათილებ

„ნუ წახვალ, დ ე დ ა გ ე ნ ა ც ვ ა ლ ო ს, ხუნძახში. შენ ნუცალხანი მახეს დაგიგებს“.

(ხუნძური სიმღერები 1971: 19).

**ებელ ხუააჷ**, ზედმიწ. „დ ე დ ა, დ ე, მ ო კ ვ დ ე ს!“ წარმოადგენს **ხუ<sup>1</sup>-ე-ზე** („მოკვდომა“) ზმნის II კავშირებითი კილოს ფორმისაგან (**ხუ<sup>1</sup>-ა-აჷ** „დე, მოკვდეს!“) მიღებულ გამოთქმას. აზრობრივად იგულისხმება: „დედაშენი (ხუნძ. **ებელ** „დედა“) მოკვდეს, შვილო, ოღონდ შენ მყავდე კარგად!“

დად მიმართავს თავის ძმას:

დიტუგე, დაეცხუადაუ, დარაბაღალდე, ინსულ თუმნანასულ ულ-ქა ბინიზე.

„ნუ გამგზავნი, დაეგენაცვალოს, ყარაბაღში, მამის მტრის ქვეყნის სანახავად“.

(ხუნძური სიმღერები 1971: 167).

**მაგ ხუააუ**, ზედმიწ. „დაე, დე, მოკვდეეს!“ ასევე II კავშირებითი კილოსაგან მიღებული გამოთქმაა.

ხუნძურ ენაში ამ მხრივ გამორჩეულია, აგრეთვე, ზმნის ნატვრითი კილოსაგან ნაწარმოები მყარი ექსპრესიული გამოთქმები და მათგან მიღებული გაარსებითებული ფორმები კომპოზიტთა სახით (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 292-293; აზმაიფარაშვილი 2019: 9-17).

მაგალითად, ამგვარი გავრცელებული გამოთქმა ხუნძურში **ებელ ხუად**. პ. უსლარი მას სიტყვასიტყვით ასე განმარტავს: «Умри-мать» („დედა, დე, მოკვდე!“). იგი შეიცავს სიტყვას **ებელ** „დედა“ და ნატვრითის ფორმას ზმნისა **ხუ-ე-ზე** „მოკვდომა“, ნატვრ. **ხუ-ა-დ** „დე, მოკვდე!“ . პ. უსლარის ცნობით, ეს სიტყვა-გამოთქმა შეიძლება იხმარებოდეს საალერსო მნიშვნელობით, თუ დედა მიმართავს ასე შვილს («Лучше бы матери твоей умереть, чем видеть тебя столь несчастным»; შდრ ქართ. „მოგიკვდეს, შვილო, დედა!“). იგი ზოგჯერ ხუმრობითაც ითქმის და ზოგჯერაც სალანძღავადო (უსლარი 1889, განყ. II: 75). ხშირად გვევლინება კომპოზიტურ არსებით სახელად: **ებელხუად**, ზედმიწ. „ის, ვისი დედაც, დე, მოკვდეს“ (კიდევ უფრო ზედმიწევნით – „დედადემოკვდეს“).

აღსანიშნავია, რომ სიტყვა **ებელხუად** ხუნძურში გამოხატავს შექებასაც, კერძოდ, ადამიანის სიყოჩაღეზე მიუთითებს, რაც შეუთავსებელი ჩანს მის სიტყვასიტყვით მნიშვნელობასთან („ის, ვისი დედაც, დე, მოკვდეს“) და, პირიქით, იგი თითქოს ნეგატიურ ემოციებს უნდა აღძრავდეს ადრესატში.

ასეთივე გამოთქმა არსებობს ლაკურ ენაშიც: **ბავა დირჭიგუა** „ყოჩაღ!“ (აბდულაევი 2018: 103), ზედმიწ. „დედა, დე, მოკვდე!“ (სტრუქტურითაც და სემანტიკითაც იგი ემთხვევა ხუნძურის **ებელ ხუად** გამოთქმას: ლაკ. **ბავა** „დედა“ + ნატვრ. **დ-ი-რ-ჭ-ი-გუა** „დე, მოკვდე!“; **დ-ი-რ-ჭ-ან** „მოკვდომა“); მაგ., აჰ ბ ა ვ ა დ ი რ ჭ ი ვ უ ე მურთაზაალიდ წარადარ კირისა იხთილათ ბუენა „აჰ, დედა მკვდა რმა (= ვაჟკაცმა, გმირმა) მურთაზალიმ ცეცხლივით მწველი სიტყვა წარმოთქვა“ (ლაკური სიმღერები 1969: 38). ლაკურში არსებობს, აგრეთვე, თავისებური გამოთქმა **ნითილ ლჷყა ჳჩიგუა** „დედის მუცელი (// სა-შო), დე, გასკდეს“ (ლაკური სიმღერები 1969: 63, 169). ერთი შეხედვით კაცს ეგონება, რომ ეს მეტად უშვერი გამოთქმაა, მაგრამ, სწორედაც რომ პირიქით, იგი წარმოადგენს საქებ ეპითეტს და გამოხატავს აღტაცებას ადამიანის მიმართ (= ქართ. „რა დედამ შობა ასეთი გმირი, ასეთი ვაჟკაცი!“ და მისთ.).

საინტერესო იქნება მასალის მოხმობა ქართული ენობრივი სამყაროდა-ნაც. საყურადღებოა, მაგალითად, ნ. ბალიაურის ცნობა:

„გენაცვალეს“ და „შენი ჭირიმეს“ ხევსურეთში ნაკლებად ხმარობენ. როდესაც მოხუცებული ქალი ახალგაზრდა ქალს მკაცრ სიტყვას ეტყვის, იქნება იგი მისი გვარისა თუ არა, ეს სულ ერთია, ოღონდ სოფლელი იყოს, ეს სიმკაცრე უფრო გარეგნულია, შინაარსში კი სიტყვა ღრმა სიყვარულით არის გამთბარი (შინაურობის გამომხატველია ასე მაგალითად: ქ ა ლ ა ვ, ქ ა ლ - შ ა ვ ა ვ, ქ ა ლ უ კ ლ ო ვ, ა ი თ ა რ ი, დ ა ე გ დ ი, წ ა ი თ ა რ ე და სხვა მრავალი ამისთანა გამოთქმები უცხოა და ყურმიუჩვეველს სხვანაირად ესმის, არასასიამოვნოდ: აქ კი პირიქით)“ (ბალიაური 1991: 71. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

მნიშვნელობის განვითარება ხუნძური **ებელხუად** „ყოჩალი“ (ზედმიწ. „ის, ვისი დედაც, დე, მოკვდეს“) სიტყვისა უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: ამოსავალს წარმოადგენდა საალურსო კონოტაცია, როცა დედა მიმართავდა შვილს ასე („დედაშენი“, დე, მოკვდეს“შვილო“) და, ამრიგად, მიმართვა იქცა დადებითი კონოტაციის შემცველ სიტყვად. ამის შემდეგ სიტყვამ გაიფართოვა მოხმარების არე და, დედასთან ერთად, უკვე სხვებიც ასე მოიხსენიებდნენ ადამიანს. ასეთ პირობებში სიტყვამ შეიძინა კიდევ ერთი დადებითი კონოტაცია („ყოჩალი“) და ადამიანის საქებ ეპითეტად იქცა. თუმცა სიტყვას მუდამ ვერ ექნება ოდენ ცალსახა მნიშვნელობა და, შესაბამისად, ხსენებული სიტყვაც, ბუნებრივია, ვერ ასცდა სახუმარო, დამცინავ თუ სალანძღავ კონტექსტში ხმარებას.

### ლიტერატურა

**აბაკელია, ალავერდაშვილი, დამბაშიძე 1991** – ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. დამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბილისი.

**აბდულაევი 2018** – И. Х. Абдуллаев, Лакско-русский словарь. Махачкала, 2018.

**აზმაიფარაშვილი 2019** – ლ. აზმაიფარაშვილი, მყარ ექსპრესიულ გამოთქმათაგან ნაწარმოები კომპოზიტები ხუნძურ ენაში. – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XLVII. თბილისი.

**აჯინჯალი 1969** – И. А. Аджинджал, Из этнографии Абхазии. Сухуми.

**ბალიაური 1991** – ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში. თბილისი.

**ბალიაური, მაკალათია 1940** – მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში. – კრ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III. თბილისი.

**ბოძაშვილი 1988** – ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშავლები. თბილისი.

**გაბუნია 1977** – ს. გაბუნია, ერთი ქართული იდიომის ეტიმოლოგიების ცდა ბასკურ წეს-ჩვეულებათა სინათლეზე. – „საქ.-ს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, ტ. 86, №1. თბილისი.

**გაგულაშვილი 1986** – ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია. თბილისი.

**გაზდელიანი 1988** – ე. გაზდელიანი, ზოგი სვანური რელიგიური ტერმინის წარმომავლობისათვის. – კრ. ეტიმოლოგიური მიებანი, თბილისი.



**გვანცელაძე 2011** – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბილისი.

**ვაჟა-ფშაველა 1964** – ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VII. მოთხრობები, დრამატული ნაწარმოებები. თბილისი.

**ვაჟა-ფშაველა 1964** – ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX. პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი.

**ვაჟა-ფშაველა 1964** – ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X. კორესპონდენციები, პუბლიცისტური წერილები, სხვადასხვა დამატებანი. თბილისი.

**ზეპირსიტყვიერება 1976** – ქართული ზეპირსიტყვიერება. შეკრებილი კახეთში ა. გაჩეჩილაძის მიერ. თბილისი.

**თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი. თბილისი.

**თაყაიშვილი 1961** – ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. თბილისი.

**თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი. თბილისი.

**კიკნაძე 1984** – ზ. კიკნაძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა. თბილისი.

**კიკნაძე 2009** – ზ. კიკნაძე, ანდრეზები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები. თბილისი.

**ლაკური სიმღერები 1969** – Лакрал лахъи балайрду (Лакские эпические песни). Махачкала.

**მაკალათია 1930** – ს. მაკალათია, მთიულეთი. ტფილისი.

**მაკალათია 1941** – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი.

**მაკალათია 1983** – ს. მაკალათია, თუშეთი. თბილისი.

**მაკალათია 1984** – ს. მაკალათია, ხევსურეთი. თბილისი.

**მაკალათია 1985** – ს. მაკალათია, ფშავი. თბილისი.

**მარგოშვილი 1985** – ლ. მარგოშვილი, პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა. თბილისი.

**მაჰომედხანოვი 1993** – М. М. Магомедханов, Аварско-русский фразеологический словарь. Москва.

**მელიქიშვილი 1986** – ლ. მელიქიშვილი, ტრადიციული საქორწილო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია. თბილისი.

**მოკიენკო 1973** – В. М. Мокиенко, Историческая фразеология: этнография или лингвистика? – „Вопросы языкознания“, №2. Москва.

**ნიჟარაძე 1962** – ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I. თბილისი.

**ნიკოლსკაია 1959** – З. Я. Никольская, Религиозные представления и земледельческие обряды аварцев. – Сб. Вопросы истории религии и атеизма, VII. Москва.

**ონიანი 1966** – ალ. ონიანი, ქართული იდიომები. თბილისი.

**ოჩიაური 1954** – თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბილისი.

**ოჩიაური 1967** – თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი.

**ოჩიაური 1980** – ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში. თბილისი.

**ოჩიაური 1991** – ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი), თბილისი.

**რამაზანოვა 2005** – М. Р. Рамазанова, Лакско-русский фразеологический словарь. Махачкала.

**რეხვიაშვილი 1939** – ნ. რეხვიაშვილი, ზემო-რაჭაში მივლინების ანგარიში. – „ენიმკის მოამბე“, IV.3. ტფილისი.

**რეხვიაშვილი 1964** – ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია. თბილისი, 1964.

**რობაქიძე 1939** – ალ. რობაქიძე, რაჭის ეთნოგრაფიული მივლინების ანგარიში (1938 წლის 16.VIII – 9.IX). – „ენიმკის მოამბე“, IV.3. ტფილისი.

**რობაქიძე 1941** – ალ. რობაქიძე, რაჭაში მივლინების ანგარიში (1939 წლის 10.VII – 7. VIII). – „ენიმკის მოამბე“, XI. თბილისი.

**რობაქიძე 1981** – ალ. რობაქიძე, ტრადიცია და ცხოვრების წესი. თბილისი.

**რობაქიძე 1987** – გრ. რობაქიძე, ენგადი. – ჟ. „მნათობი“, №8 (აგვისტო). თბილისი.

**საიდოვი 1967** – Аварско-русский словарь. Составил М.-С. Саидов, Москва.

**სარჯველაძე 2001** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ). თბილისი.

**საღლიანი 2016** – მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები. თბილისი.

**სახოკია 1940** – თ. სახოკია, მიცვალებულის კულტი სამეგრელოში. – კრ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III. თბილისი.

**სახოკია 1979** – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი.

**სეფერბეკოვი 2011** – Р. И. Сефербеков, Об одном земледельческом катартическом обряде табасаранцев. – „კავკასიოლოგიური ძიებანი“, III. თბილისი.

**სვან. პროზ. 1979** – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო. თბილისი.

**სტრუქტურული ერთობები 1978** – Структурные общности кавказских языков. Москва [Глава I. Лексические общности. Авторы: Г. А. Климов, С. М. Хайдаков, А.К. Шагиров].

**ტოლსტოი 1983** – Н. И. Толстой, О предмете этнолингвистики и ее роли в изучении языка и этноса. – Сб. Ареальные исследования в языкознании и этнографии (язык и этнос). Ленинград.

**უსლარი 1889** – П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. III. Аварский язык. Тифлис.

**ფოჩხუა 1974** – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974.

- ქობალია 1903** – И. Кобалия, Из мифической Колхиды. – Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XXXII, отд. III. Тифлис.
- ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი. თბილისი.
- შანიძე 1984** – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I. ქართული კილოები მთაში. თბილისი.
- შილინგი 1931** – Е. М. Шиллинг, Черкесы. – Сб. Религиозные верования народов СССР, т. 2. Москва-Ленинград.
- ჩიქობავა, ცერცვაძე 1962** – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა. თბილისი.
- ჩურსინი 1927** – Г. Ф. Чурсин, Культ железа у кавказских народов. – «Известия кавказского историко-археологического института», т. V. Тифлис.
- ჭანჭალეიშვილი 1988** – ლ. ჭანჭალეიშვილი, კალანდობა გურიაში (ახალი წლის წინა და პირველი დღე). – კრ. ეთნოგრაფიული ძიებანი. თბილისი.
- ჭინჭარაული 2005** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი. თბილისი.
- ხარაძე 1939** – რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში. ტფილისი.
- ხარაძე 1951** – რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი – ხალხური სამართლის წყარო. – „მომომხილველი“, ტ. II. თბილისი.
- ხორნაული 2000** – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი. თბილისი.
- ხუნძ.-რუს. ლექს. 2006** – Аварско-русский словарь. Под редакцией М. М. Гимбатова. Махачкала.
- ხუნძური სიმღერები 1971** – Аваразул къалул кучИдул ва балладаби (Героические песни и баллады аварцев), Махачкала.
- ჯანაშია 1968** – ს. ჯანაშია, შრომები, IV. თბილისი.

LEVAN AZMAIPARASHVILI

### **On the Ethnolinguistic Study of Word Formation and Phraseology**

#### **S u m m a r y**

Word formation and phraseology are one of the clearest manifestations of the inner form of language (W. von Humboldt) and, thus, contain some information about the linguistic worldview. Compounds and phraseologisms also appear as realia depicting material and spiritual culture, social and gender relations.

The ethnographic reality of any people is characterized by stereotyping human relationships, behaviors and actions, which is reinforced by traditions. It is also characterized by consistency and regularity - repetition in the same way and many times, which is reflected in the language: a solid stereotypical behavior, an

action or an event (custom, ritual) reinforced by a tradition in the discourse of a traditional society is often denominated and expressed by a solid linguistic unit (compound, fixed syntagm).

It is important to identify and study lexical and phraseological data that are conditioned and generated by the ethnographic reality in the language. This kind of linguistic material is large in number. Examples can be cited from a variety of languages and dialects. They include any area of traditional culture, such as agriculture, handicraft and home industry, material culture, food culture, folk medicine, social relations (community, surname, kinship), forms of folk governance, common law, family and family life, gender relationships, folk rules of upbringing, ancestral cult, cult of the dead, hospitality, etiquette, having fun, worldview, ideological and religious beliefs, etc.

The correlation between a linguistic unit and the fact of ethnographic reality is a notable phenomenon, which has a regular character. This situation is evident in the speech of a traditional society.

The copulative compounds containing antonymous couples occur which are noteworthy from the ethnolinguistic and ethnological viewpoints; for example, in the Georgian highland dialects, the compound word **kal-zali** (word-for-word: „*maiden[and]daughter-in-law*“) is a word having collective meaning and means: „*female representative of rural population*“. This compound word describes the old rule of exogamy in the village of Eastern Georgia's highland: **kal-i** was called an unmarried young woman who was born and raised in this village and the opposite word **zali** („*daughter-in-law*“) – a married woman who was brought from another village according to the exogamy rule.

It is noteworthy that in literary Georgian **kali** „*woman (female in general)*“ and **zali** „*daughter-in-law*“ do not form a pair of words with opposite meanings, while in the mountain dialects the same words appear as antonyms. From linguistic viewpoint, it is considered as antonymy, regular (not random) opposition of words, the opposition that is established in the language via usage (via language habit) and is commonly used by the linguistic collective. As we can see, the regular opposition between the words **kali** „*maiden, unmarried young woman*“ and **zali** „*daughter-in-law*“ in the mountain dialects is directly conditioned by the traditional-everyday reality of the speaking collective.

In Khevsurian dialect of Georgian, the copulative compound word **mamqlav-mamqvdroba** is derived from the words with an opposite meaning in which they occur as antonyms: **mamqlav-i** „*murderer*“ and **mamqvdari** „*murdered*“. This compound word is associated with the traditional vendetta and denotes the tense situation between two families as a result of the murder.

From ethnological standpoint, the copulative compound word of the Georgian highland dialects **disçul-dediszma** that consists of components **disçul-i** „*sister's son (or daughter)*“ and **dediszma** „*mother's brother*“ is noteworthy. This compound denotes a social institution that is known in science under the term „*avunculate*“.

In parallel with the compound word formation, similar examples of the correlation of linguistic and ethnographic facts are also found in phraseology, which is manifested in the form of peculiar fixed syntagms.

In Georgian, this type of fixed syntagms are **sisxlis ayeba** „*blood vengeance*“, „*vendetta*“ (word-for-word: „to draw blood“ **xatze dapiceba** „*swearing to justify oneself in the temple*“ (word-for-word: „to make oath in front of an icon“), **pic-vercxlis čama** „*to twin with someone*“ (word-for-word: „to eat oath silver“), **temidan mokveta** „*ostracism*“ (word-for-word: to cut from community), etc. The syntagm widespread in everyday life **čvrıs čera** „*marriage*“ (word-for-word: „to write a cross“) belongs to the same group.

This type of of fixed syntagms directly refer to tradition-based stereotypical behaviors or actions that are called customs. Customs are accompanied by various rituals that are also denominated with fixed syntagms.

At the same time, more and more fixed syntagms of a similar type are attested in dialects, the meaning, function and purpose of which are incomprehensible to members of the modern society without proper contexts and explanations, whose daily life is no longer defined by the proper traditional-everyday reality.

Some syntagms of this type are already used figuratively in literary Georgian in the form of idiomatic expressions. It is a common occurrence for syntagms that directly reflect extralinguistic facts to become figurative expressions as a result of metaphorization. The paper discusses examples based on the dialect data and ethnographic material

ნოდარ არდოტელი

**სომატურ სახელებთან დაკავშირებული კომპოზიტების  
სემანტიკური ანალიზი ქართულში, დიდოურსა და  
ბეჟიტურ ენებში<sup>1</sup>**

ამა თუ იმ ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში ადამიანის სხეულის აღმნიშვნელ სახელებს – სომატონიმებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ და, სულიერ-მატერიალური კულტურის ისტორიის გამომწვეურების გარდა, განუზომელი მნიშვნელობა ენიჭებათ გარესამყაროს ენობრივი აღქმისა და აზროვნების ჩამოყალიბების გარკვევის თვალსაზრისით. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ანატომიური ტერმინოლოგიის თემატური ჯგუფი ენის მთლიან სიტყვიერ საგანძურში ქმნის ძირითად ღერძს, რომლის გარშემო სხვა სემანტიკური ჯგუფები იყრიან თავს<sup>2</sup>. ამგვარი სახელები, როგორც ცნობილია, ლექსიკის ძველისძველ ფენას მიეკუთვნება და რეკონსტრუირდება ფუძეენის ქრონოლოგიურ დონეზე [მეიე 1938: 404-408; ჩიქობავა 2008: 60-90; ფოჩხუა 1974: 315-316...]. ცხადია, ცალკე აღებული სომატური სახელები თავისთავად მრავალმხრივ საინტერესოა, თუმცა უფრო მეტად საყურადღებოა ამგვარ სახელთა შერწყმით წარმოქმნილი კომპოზიტები, რომელთა მოტივაციისთვის, სემანტიკური განვითარებისა და სათანადო ცვლილებებისთვის თვალის გადევნება მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა: „სომატური სახელები იმ სიტყვათშეხამების გავლენით, რომლებშიც ისინია ჩართული, სიტყვის მნიშვნელობის განვითარების, პოლისემიის წარმოქმნის ნიმუშებსაც გვაწვდიან (სინტაგმატიკის გავლენა პარადიგმატიკაზე)“ [სუხიშვილი 2010: 8; იხ. ბუდაგოვი 1963: 150].

საკვლევ ენათა სომატურ სახელებთან დაკავშირებულ ლექსიკაში, უპირველეს ყოვლისა, გამოიყოფა **კოორდინაციული კომპოზიტები**, რომლებიც მიღებულია სხეულის ნაწილების ორ სრულმნიშვნელობიან და თანაბარფუნქციან სახელთა (resp. ფუძეთა) შეთხზვა-შეერთებით. ამ თემატურ ჯგუფ-

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

<sup>2</sup> მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში კომპოზიტთა სიტყვაწარმოების განხილვისას სომატურ კომპოზიტთა სტრუქტურასაც ეხება არაერთი მკვლევარი [შანიძე 1984: 147-162; ჩიქობავა 1966: 78-82; ბოკარევი 1959: 182-183; იმნაიშვილი 1963: 160-163; აბდულაევი 1981; ვან დენ ბერგი 1995: 54-55; არდოტელი 2007: 58-60; ისაკოვი, ხალილოვი 2012: 229-262; ქომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 452-597...], თუმცა ანალოგიური სახელები, ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით, საკმარისად შესწავლილი არ არის.

ში წამყვანი ადგილი „თავისა“ და „გულის“ შემცველ კომპოზიტებს უჭირავთ. ამასთანავე, „თავთან“ დაკავშირებული სომატური კომპოზიტების რიცხვი საგრძნობლად აღემატება „გულის“ („ასოთა კელმწიფის“) მონაწილეობით თხზულ სახელთა რაოდენობას<sup>1</sup>.

რაც შეეხება ლექსემა „ხელთან“ როგორც ადამიანის ყოფა-ცხოვრების მომგვარებელ იარაღთან, ჟესტიკულაციის ინსტრუმენტთან და მეტაფორულად გააზრებულ ძალაუფლების სიმბოლოსთან დაკავშირებულ კომპოზიტებს, ამგვარი სახელები რიცხობრივადაც და ფუნქციურადაც ჩამორჩება ზემოხსენებულ სომატონიმებს. ამ შემთხვევაში არ მართლდება ჟ. ვანდრიესის მოსაზრება „ხელ“ ლექსემის ხმარების სიხშირის უნივერსალურობაზე [ვანდრიესი 1937: 203].

სალიტერატურო ქართულში „თავ“ ლექსემის შემცველ კომპოზიტთა სიმრავლე თვალშისაცემია: **თავ-ბოლო, თავ-ზურგი, თავ-კისერი, თავ-კუდი, თავ-ლაში, თავ-მალა, თავ-პირი, თავსისხლი, თავ-ტანი, თავ-ფეხი, თავ-ქოჩორი, თავ-ყელი, თავ-ყური, თავ-ცხვირი** და ა. შ.

ისმის კითხვა: რამ შეაპირობა ქართულ კოორდინაციულ კომპოზიტებში ლექსემა „თავის“ ესოდენ დიდი ფუნქციურ-სემანტიკური დატვირთვა და თხზვის სიხშირე?

ამა თუ იმ სომატურ სახელზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს ამ ლექსემის ფუნქციური როლი და სემანტიკური ველი, რომელიც თითოეულ სომატონიმს მოეპოვება. კერძოდ, ქართულში „თავი“ რეალურადაც და მეტაფორულადაც კომპლექსური ორგანოა, რომელიც სხვადასხვა ქვეორგანოთა (ყურება-მხედველობის, სმენის, გემოს, მეტყველების, აზროვნების) ერთიანობას წარმოადგენს.<sup>2</sup> აქვე შეიძლება ითქვას, რომ „თავი“ ქართულში ერთგვარად დაპირისპირებულიც კია „ტანთან“, რაც ცნაურდება **თავ-ტანი** კომპოზიტით. მამასადამე, „თავი“-„ტანი“ სემანტიკური კორელაცია, თუ კომპოზიტის კომპონენტებს ანტონიმებად მივიჩნევთ, რეალურად იქნება წარმოდგენილი. **თავ-** ძირი ძველსა და ახალ ქართულში გამოყენებულია სხვადასხვა ფუძეების საწარმოებლად, რომელთაც ძირითად მნიშვნელობებთან ერთად განსხვავებული დენოტატებიც აქვთ. დაუდგენელია ამ სომატონიმის არქისემა, ვინაიდან ქართველურ ენებში მას მოეპოვება ნაირგვარი მნიშვნელობები [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 226-227]: 1. თავი – ადამიანის სხეულის ნაწილი; 2. თავი – თავთავი; 3. თავი – წინამძლოლი; 4. თავი – დასაბამი, დასაწყისი; 5. თავი – ნაცვ. თვითონ; 5. თავი – ცალკე, წინ, განკერძოებით. უკანასკნელი მნიშვნელობა უფრო სვანურსა და მეტნაკლებად ძველ ქართულს ახასიათებს, რომელიც შესაძლოა ერთ-ერთ არქისემადაც მივიჩნიოთ [შდრ. გიგინეიშვილი 2016: 183]. იგი, როგორც აღინიშნა, ბევრი კოორდინაციული კომპოზიტის ნაწილია და უმთავრესად თავისსავე შემადგენელ სომატონიმებთან შედის კომპოზიციაში, მაგ.: **თავ-ყური, თავ-ცხვირი, თავ-ყბა, თავ-ლაში, თავ-პირი, თავ-ქოჩორი, თავ-შუბლი** და მისთ.

<sup>1</sup> რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება იბერიულ-კავკასიურ ენათა სინამდვილეში ფართოდ გავრცელებული ფრაზეოლოგიზმები და სხვა ფიგურალური გამოთქმა-ფორმულები, რომელთა წარმოებაშიც „გულს“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია [ჩიქობავა 2008: 82-83].

<sup>2</sup> „თავი“ კუთვნილებით ნაცვალსახელადაც კი არის ქცეული.

გარდა ზემომოყვანილი სახელებისა, „თავი“ დასტურდება სხვა ანატომიურ სახელებთანაც, მაგ: **თავ-ბოლო**, **თავ-ზურგი**, **თავ-კისერი**, **თავ-ყელი**, **თავ-კუდი**, **თავ-ტანი**, **თავ-ფეხი**, **თავ-ხელი** და სხვ.

ქართული ენის (განსაკუთრებით ფხოური წრის) დიალექტები ანალოგიურ კომპოზიტებს მეტ-ნაკლები სისრულით წარმოგვიდგენენ, რომლებშიც საანალიზო ლექსემა კვლავ თავკიდურად გვხვდება, მაგ.: ხევს. თავ-გონი – ჭკუა, მოფიქრება, გააზრება (ჭინჭ. 2005, 382); თავ-ენა – მსჯელობის, საუბრის უნარი (ჭინჭ. 2005, 382); თავ-თორპილი – თავი და პირისახე (ჭინჭ. 2005, 384); თავ-რქა-ნ-ი – 1. რქები (ჩვეულებრივად ხატში შესაწირავად მიაქვთ ხოლმე). 2. თავი და რქები (ჭინჭ. 2005, 388); თავ-ცხვირი – ცხვირ-პირი, სახე (ჭინჭ. 2005, 396); თავ-წვერი – მოთავე, ვინც რასმე თავობს<sup>1</sup> (ჭინჭ. 2005: 396)...; თუმ. თავ-პირი: თავ-პირის დაპარსვა – (თავპირს იპარსავს) ნაზამთრ ცხვარს, გა-ზაფხულზე, მომატებას რომ დაიწყებს, თავზე მატყლი გასცვივდება (ცოც. 2012, 112); თავ-ბოლო – შნო, მარიფათი, შეძლება (ცოც. 2012, 110)...

ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, **თავ-თორპილი** („თავი და პირისახე“), მეორე მხრივ კი, **თავ-ცხვირი** („ცხვირ-პირი, სახე“), რომელიც უფრო გავრცელებულია და სალიტერატურო ენაშიც დამკვიდრებული: „თავი და ცხვირი, – ცხვირ-პირი, პირისახე“ (ქგლი IV ტ. 1955, 286). კომპოზიტი „ცხვირ-პირი“, რომელიც „თავ-ცხვირის“ განსამარტავად არის მოხმობილი, სემანტიკური ასპექტით, ქვეკლასს წარმოადგენს, ვინაიდან „თავ-ცხვირი“ (resp. „თავ-პირი“) მას მთლიანად მოიცავს. ამდენად, „ცხვირ-თავი“ (resp. „პირ-თავი“), მეორე კომპონენტის პრიორიტეტულობის გამო, კომპოზიტის ფორმირება ნაკლებმოსალოდნელი იყო. რაც შეეხება მეორე კომპოზიტ „თავ-თორპილს“, ხევსურულის ეს მონაცემი საყურადღებო იმ თვალსაზრისითაც არის, რომ კომპოზიტის მეორე ნაწილი ფონეტიკურად და სემანტიკურად საკმაოდ შეცვლილია: **თორპილი** < **თოლ-პირი** < **თვალ-პირი**<sup>2</sup>. ამ კომპოზიტის სემანტიკური გადააზრინება და მნიშვნელობის დავიწროება ასე გვესახება: **თვალ-პირი** (თვალი და პირი) > **თოლ-პირი** (პირისახე) > **თორპილი** (ლოყა, ღაწვი)<sup>3</sup>.

საგულისხმოა, რომ კომპოზიტებში „თავი“ ჩვეულებრივ წინ დგას, რაც შემთხვევითი არ ჩანს. პრეპოზიციურობა საზოგადოდ პრიორიტეტს წარმოადგენს და იმ საზოგადოების წევრებისთვისაც, რომელთა ცნობიერება-აზროვნებამაც ჩამოაყალიბა ამგვარი კომპოზიტები, სემასიოლოგიურად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო უფრო ფასეული წევრისთვის ადგილის წინ მიჩენა, სხვა შემთხვევაში თხზული სახელების უშუალო შემადგენელთა სხვაგვარ წყობასთან (გვაქვს **თავ-ცხვირი**, არ გვაქვს **ცხვირ-თავი**)<sup>4</sup>, ან მათ თავისუფალ მონაცვლეობასთან გვექნებოდა საქმე.

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში კომპოზიტი ნახმარია გადატანითი მნიშვნელობით.

<sup>2</sup> აღ. ჭინჭარაული ძირითად ტექსტში სალექსიკონო ერთეულად იმოწმებს ოდენ „თვალ-პირს“, თუმცა კომპოზიტის (თავ-თორპილი) შემადგენლობაში ეს სახელიც სწორად არის განმარტებული, იხ. ზემოთ.

<sup>3</sup> ბოლო მნიშვნელობა დანამდვილებით დასტურდება ხევსურული დიალექტის მიდამხურ თქმაში.

<sup>4</sup> ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა აიხსნას, სახელმდებელი ამა თუ იმ სახელს რატომ ანიჭებდა უპირატესობას, ფუნქციურ-სემანტიკურად რატომ აღემატებოდა „ცხვირი“ „პირს“ („ცხვირ-პირი“ ან პირიქით) და ა. შ.



ამ თვალსაზრისით, დიდოური ენები მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ვითარებას წარმოაჩენენ. კერძოდ, დიდოურ (resp. დალესტურ) ენებში, მართალია, „თავ-ფეხი“ ქართულის ანალოგიურია (საკ. დიდ. **ყიმ-კოშო** ზედმიწ. „თავ-ფეხი“, ბეჟ. **ყამ-ხანან** „თავ-ფეხი“) ისევე, როგორც „ჯიგარი, შიგნეული“ (**ახ-ზილ** „კუჭ-ნაწლავი, შიგნეული“ ზედმიწ. „მუცელ-მაჭიკი“, შდრ. პირიქით: **ინახუ-ახ** ზედმიწ. „ნაწლავ-კუჭი“ – sic!) [ისაყოვი, ხალილოვი 1986: 26], მაგრამ მინიმალურად განსხვავებული ან სხვა კომპოზიტები („თავ-ფეხი“, „ცხვირ-პირი“, „პირისახე...“) განსხვავებული წყობით დასტურდება: საკ. დიდ. **კონჭუ-ყიმ** „თავ-ფეხი“ (ზედმიწ. „წვივ-თავი“, შდრ. **ყიმ-კოშო** ზედმიწ. „თავ-ფეხი“), **ჰუტ-მჰალი** „სახე, პირისახე“ (ზედმიწ. „პირ-ცხვირი“), **ჰუტ-მალი** „სახე“ (ზედმიწ. „ლოყა-ცხვირი“), **ცოლ-რეტა** „ხელ-ფეხი“ (ზედმიწ. „ფეხ-ხელი“)...; ბეჟ. **მუჭ-ყამ** „თავ-თმა“ (ზედმიწ. „თმა-თავი“), **მოტო-ყამ** „თავ-პირი“ (ზედმიწ. „პირ-თავი“) და მისთ.

მაშასადამე, ირკვევა, რომ დიდოურ ენებში, ქართულისაგან განსხვავებით, კომპოზიტის წევრთა წყობა არ არის შეზღუდული მარცვალთრაოდენობით და შედარებით თავისუფალია.

რაც შეეხება საკვლევ ენებში ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ სომატონიმ „გულს“, მისი მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტებიც ხელშესახებად არის წარმოდგენილი: **გულ-გვამი**, **გულ-ღვიძლი**, **გულმკერდი**, **გულ-მუცელი**, **გულ-ფილტვი**, **გულყია** („ყელის ყანყრატო“ – საბა), **გულგულა** და ა.შ.

ამ რიგის თხზულ სახელებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ კოორდინაციულ კომპოზიტებში „გული“ პრეპოზიციურად, როგორც წესი, ეწყვილება ოდენ „ტანის“ ნაწილებს (იხ. ზემოთ), თუმცა პოსტპოზიციურად გამოყენების შემთხვევები უპირატესად დამახასიათებელია მთიდან გამოსული მწერლები-სა და პოეტებისათვის (ვაჟა-ფშაველა, გ. ჯაბუშანიური...): **ყელ-გული** – „ხალისი“ (ავთ. არაბ.) (ჭინჭ. 2005, 939), შდრ. **გულ-ჭელ არაზე მიუდის** – არაფრის გაკეთების ხალისი და სურვილი არ აქვს (ჭინჭ. 2005, 1143); **წელ-გულს მასწყვეტს** – ძალიან შეაწუხებს; წელსა და მკერდს წაართმევს (ჭინჭ. 2005, 1072); „ხვალ გაითბობენ წელ-გულსა, თუ დღეს არიან ცივადა“ (ვაჟა).

ზემოთ წარმოდგენილი კომპოზიტებიდან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რედუპლიცირებულ **გულგულა**-ს, ყურადღებას იპყრობენ **გულ-ღვიძლი** და **გულყია**<sup>1</sup>. სისხლის ფუნქციონირებასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირველი კომპოზიტის წინა კომპონენტი ფუნქცია-სემანტიკით მკვეთრად აღმატება მეორისას, რასაც ნათელყოფს მისი მეორე მნიშვნელობა – „იგივეა, რაც გული“ (ქეგლ II ტ. 2010, 1649). ლექსემა „გულის“ ფორმა-შინაარსის შესახებ მოსაზრებები, პ. უსლარიდან მოკიდებული და უკანასკნელი ნაშრომებით დასრულებული, ცნობილია იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში და დამატებით მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ [იხ. ჩიქობავა 2008: 8183; გიგინეიშვილი 2016: 98], მხოლოდ დავძენთ, რომ ბეჭიტურ ენაში ზუსტად ქართულის ანალოგიური კომპოზიტი შეიმჩნევა: საკ. ბეჟ. **იაკო-შებო** „გულ-ღვიძლი“. რაც შე-

<sup>1</sup> შებრუნებული წყობა ჩვეულებრივ არ შეინიშნება.

ეხება „**ღვიძლს**“ როგორც პირდაპირი მნიშვნელობით („ნაღვლის გამომყოფი შინაგანი სეკრეციის ორგანო“), ისე გადატანითი მნიშვნელობებითაც (1. „სისხლით მონათესავე“; 2. „მშობლიური, თავისიანი“) ჯერ კიდევ ძველ ქართულში დასტურდება, თუმცა მეორე მნიშვნელობით ძალიან იშვიათად გამოიყენება [გელენიძე 1974: 112]. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის დიალექტებში საანალიზო ლექსემას თვალსაჩინო სემანტიკური ცვლილებები განუცდია: იმერ. **ღვინჯა** (< ზან.) „ძალიან მწიფე ხილი“; ლეჩხ. **ყვინწლი** „ძლიერ მწიფე“; რაჭ. **ღვიძლი** „ლოღნოშოს და მისთანათა ნაყოფის კანქვეშა რბილი ნაწილი“ და ა. შ.

ქართველურ ენათა სინამდვილეში **ღვიძლ-** ფუძის კანონზომიერ ბგერათშესატყვისებსა და სემანტიკურ გადახრაზე ჯერ არნ. ჩიქობავამ [ჩიქობავა 2008: 83], შემდეგ კი გ. როგავამ [როგავა 1979: 169-172] მახვილგონივრული დასკვნითი დებულებები წარმოადგინეს. ირკვევა, რომ **ღვიძლ** სახელს სემანტიკური ტრანსფორმაცია შემდეგნაირად განუცდია: **ღვიძლი** (ქართ., სვან.) > **შავყვითლად დამწიფებული** (მეგრ.) > **ძალიან მწიფე** (იმერ., ლეჩხ.) > **ნაყოფის კანქვეშა რბილი ნაწილი** (რაჭ.). ვარაუდობენ, რომ სომატურ ტერმინ „**ღვიძლს**“ ძირითადი მნიშვნელობა გადატანით მნიშვნელობად (ღვიძლი ძმა, ღვიძლი და...) შეცვლილი უჩანს უკვე „ქილილა და დამანაში“: „ესე ყრმა, ჩემისა ღვძლისა ნაკუეთი, შენ შეგითვისებია“ [სუხიშვილი 2010: 263-264]. საინტერესოა, რომ დიდოურ ენებში უფრო „**გული**“ გამოიყენება ამ ფუნქციით: ბეჟ. **ააკო-ვაცცა** „გულითადი მეგობარი“ (ზედმიწ. „გულ-მეგობარი“).

რაც შეეხება „გულიყას“, ეს კომპოზიტი მეორე კომპონენტად **ყა-**ს გვიჩვენებს, რომელიც, ს.-ს. ორბელიანის დეფინიციით, არის „ყელის ყანყრატო“. ამჟამად იგი ორგვარად განიმარტება: 1) „სახმო სიმებს შორის გასწვრივ ნაპრალს ემახიან ყიას“ (გ. ახვლედიანი); 2) „ადგილი ისარზე, სადაც ფრთებია დაკრული“ (ალ. ჭინჭარაული). მეორე გადატანითი და მოტივირებული მნიშვნელობა აშკარად პირველი პირდაპირი მნიშვნელობის მსგავსებითი გადააზრიანება-გადაწევის შედეგია. თავად კომპოზიტის მნიშვნელობა ცალ-ცალკე აღებული კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს უფრო ნაკლებად უდრის, ვინემ „შიგნეულის“, „ჯიგრის“ მნიშვნელობას.

გარდა „გულის“ შემცველი კომპოზიტებისა, სალიტერატურო ქართულშიც და მის დიალექტებშიც დასტურდება „თვალთან“ დაკავშირებული თხზული სახელები, რომლებიც უფრო მეტად ვერ იგუებენ პოსტპოზიციას, მაგ.: **თვალ-გული**, **თვალ-ტანი** (> თვალტანადი), **თვალ-წამწამი**, **თვალ-წარბი**, **თვალ-კამარა**, **თვალ-პირი** და მისთ.

ქართული სომატური კომპოზიტების შედარება ჩვენს ხელთ არსებულ დიდოურ ენათა სათანადო მასალასთან ცხადს ხდის, რომ ამ ტიპის კომპოზიტები და ანალოგიური სემანტიკური გადახრა-გადაწევები, მიუხედავად ზოგი განსხვავებისა, იმ ენათათვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო. კერძოდ, საკუთრივ დიდოურ ენაში ლექსემა **ჰამორი** გამოხატავს „მკერდასაც“ და „ხველასაც“ (მეორე მნიშვნელობა პირველისგან არის განვითარებული: **მკერდი** > **ხველა**, **ნახველი**). იგი გამოიყენება კომპოზიტში **ჰამო-როკუ** „გულმკერდი“ (ზედმიწ.

„მკერდ-გული“), რომლის პირველ კომპონენტს პირვანდელი მნიშვნელობა („მკერდი“) მოეპოვება. ბეჟიტურში, მართალია, „მკერდს“ რაიმე კონოტაცია არ უდასტურდება, მაგრამ „სურდოს“ აღმნიშვნელ კომპოზიტში (**ღეია-ყმის ზედმიწ.** „მკერდ-თავის“ = „სურდო“, „გრიპი“) მისი სემანტიკური ველი, თავდაპირველ მნიშვნელობასთან მიმართებით, აშკარად გადაწეულია. გარდა ამისა, საინტერესო ჩვენებას გვაძლევს კომპოზიტი **ხოტორი-ყუბი** (საკ. დიდ.) „შიგნეული, ჯიგარი“ (ზედმიწ. „ფილტვ-ღვიძლი“, შდრ. **ახ-ხილ** „კუჭ-ნაწლავი, შიგნეული“, ზედმიწ. „მუცელ-მაჭიკი“), ე. ი. „შიგნეულის“ აღსანიშნავად, ერთი მხრივ, გამოყენებულია „ფილტვ-ღვიძლი“, მეორე მხრივ, ზედმიწ. „მუცელ-მაჭიკი“, ხოლო, მესამე მხრივ, ზედმიწ. „ნაწლავ-კუჭი“. ცხადია, ამ კომპოზიტებისა თუ მათში შემავალი კომპონენტების სემანტიკური ველები მეტნაკლებად განსხვავებული ჩანს და ისინი ერთმანეთს ვერ დაემთხვევა. დაახლოებით ანალოგიური ვითარება დასტურდება სხვა კოორდინაციულ კომპოზიტებშიც.

სემანტიკური თვალსაზრისით, **სუბორდინაციული კომპოზიტები** უფრო მეტად სტანდარტიზებული და რაფინირებულია, ამდენად თითქოს დიდ თავისებურებებს არ უნდა ამჟღავნებდნენ. მიუხედავად ამისა, ამ ტიპის კომპოზიტებიც ავლენენ არაერთ საინტერესო ნიშან-თვისებას. სახელდობრ, ქართულ ენაში ომონიმური „წელი“ (1. ანატომიური ორგანო; 2. წელიწადი; 3. სარტყლის ადგილი) საბასთან განმარტებულია „ნაწლევადაც“: „წელი ეწოდებიან **ნაწლევსა** (ხაზგასმა ჩვენია – ნ. ა.) კაცთასა, რომელ არს ურჩხი, კვალად წელი ეწოდებიან სიბასა კაცთასა და სხვათა ცხოველთასა, კვალად წელი ეწოდებიან წელიწადსა“ (საბა). ეს მნიშვნელობა ჩანს უწინარესი, ვინაიდან საანალიზო სახელი ზუსტ ფონემურ და სემანტიკურ შესატყვისობებს გვიჩვენებს ზანურში [ჩიქობავა 2008: 85-86]. მაშასადამე, ამ სომატონიმის სემანტიკური გარდასახვა-გარდაქმნა (წელი > ნაწლევი) ფორმობრივადაც ნათელყოფილია: **წელი > \*ნა-წელ-ევ-ი > ნაწლევი**.<sup>1</sup>

დიდოურ ენათა სინამდვილეში „წელი“ აღწერთად იწარმოება: საკ. დიდ. **აშუნამ მოჩი** „სასარტყლე ადგილი“, ბეჟ. **ცოტაყას მჩე** „სარტყლის ადგილი“.

ცნობილია, რომ დიდოურ ენებში ზოგი ანატომიური ორგანოს ნომინაციისთვის ფართოდ გამოიყენება მოდელი „მსაზღვრელი + ადგილი“ [ისაკოვი, ხალილოვი 1986: 27]. სწორედ ამ მოდელის მიხედვით არის ნაწარმოები არაერთი სომატონიმი, რომლებიც კომპოზიტური წყვილეულის წევრებად გვევლინებიან, მაგ.: საკ. დიდ. **პაპარუ მოჩი** „მელოტი“ (ზედმიწ. „უთმო ადგილი“), **შოღ-ესი მოჩი** „შორისი“ (ზედმიწ. „ფეხისეული ადგილი“)....; ბეჟ. **აკურ მჩე** „ხალი“ (ზედმიწ. „ხალის ადგილი“), **ფოდლწ მჩე** „ნაოჭი“ (ზედმიწ. „დანაოჭებელი ადგილი“) და მისთ.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს სომატონიმი „**საშვილოსნო**“, რომლის სემანტიკურ ეკვივალენტად საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში დასტურდება პოლისემანტიკური **სი**<sup>ნ</sup> (1. დათვი; 2. ბუდე; 3. საშვილოსნო), რომ-

<sup>1</sup> ეს ფუძე შეიძლება „წლევა“ ზმნასთანაც იყოს დაკავშირებული (ამაზე სხვა დროს).

ლის მეორე და მესამე მნიშვნელობები გენეზისურად ჩანს დაკავშირებული: **ბუდე**<sup>1</sup> > **საშვილოსნო**. რაც შეეხება ჰუნზიბური დიალექტის მონაცემს, იგი საკუთრივ დიდოური მონაცემის ანალოგიურია: ჰუნზ. **ყარას მარე**, საკ. დიდ. **ხეზას მოჩი** „საშვილოსნო“ (ზედმიწ. „ბავშვის ადგილი“). ანალოგიურ მოვლენას ადასტურებს ლ. აზმაიფარაშვილი ხუნძურში იმ განსხვავებით, რომ ანწუხურ დიალექტში მსაზღვრელად გამოყენებული **ჯიზან** („ოჯახი“), სემანტიკური ცვლილების საფუძველზე, „ბავშვად“ არის გადააზრიანებული (**ხიზანალჟულ ბაკ** „საშვილოსნო“, ზედმიწ. „ბავშვის ადგილი“) [აზმაიფარაშვილი 2015: 16].

საკვლევ ენათა შორის სტრუქტურული მოდელების მსგავსებისასაც შეიძლება გამოვლინდეს სემანტიკური სხვაობები. კერძოდ, ქართულში გვხვდება **გულისყური** „მოსწავლეთაგან სწრაფად სმენა, სწრაფად სწავლა, მიჯდომა და ქმნა“ (საბა); „ყურადღება, ინტერესი, გულისხმიერება“ (ქეგლ II ტ. 2010, 1633).

ზემომოყვანილი განმარტებებიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ მთლიანობაში ეს კომპოზიტი დაცლილია პირდაპირი და ძველი მნიშვნელობისაგან. დიდოურ ენათა სათანადო ეკვივალენტს თუ შევუდარებთ, სტრუქტურული მსგავსების პირობებში თვალსაჩინო სემანტიკური სხვაობა გვექნება, მაგ.: ბეჟ. **აკის ჴდჴ** (საკ. ბეჟ.), **რაკის ანდა** (ჰუნზ.), საკ. დიდ. **როკუს აპიამი** „აორტა“ (ზედმიწ. ბეჟ. „გულის ყური“, საკ. დიდ. „გულის ყურები“).

ამრიგად, თითოეულ საკვლევ ენაში შესაბამისი ემპირიული მასალის სემანტიკური ანალიზი და ამ ანალიზით მიღებული მონაცემების ურთიერთშედარება იძლევა ზოგი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას: ა) სომატურ სახელებთან დაკავშირებულ კოორდინაციულ კომპოზიტებში წამყვანი ადგილი „**თავისა**“ და „**გულის**“ შემცველ კომპოზიტებს უჭირავთ; ბ) „**თავთან**“ დაკავშირებულ სომატურ კომპოზიტთა რიცხვი საგრძნობლად აღემატება „**გულის**“ („ასოთა კელმწიფის“) მონაწილეობით თხზულ სახელთა რაოდენობას; გ) ქართულში „**თავი**“ მნიშვნელოვანი ორგანოა, რომელიც სხვადასხვა ქვეორგანოთა ერთიანობას წარმოადგენს და მისი პროდუქტიულობა კომპოზიტებში ამითაც ჩანს შეპირობებული; დ) „**თავი**“ ლექსემისთვის დამახასიათებელია პრეპოზიციურობა და იგი, უწინარესად, თავისსავე შემადგენელ სომატონიმებთან შედის კომპოზიციაში, მაგ.: **თავ-ყური**, **თავ-ცხვირი**, **თავ-ყბა**, **თავ-პირი** და მისთ.; ე) დგინდება არაერთი სემანტიკური რეინტერპრეტაცია: **თვალ-პირი** (თვალი და პირი) > **თოლ-პირი** (პირისახე) > **თორპილი** (ლოყა, ღაწვი), **ღვიძილი** (ქართ., სვან.) > **შავ-ყვითლად დამწიფებული** (მეგრ.) > **ძალიან მწიფე** (იმერ., ლეჩხ.) > **ნაყოფის კანქვეშა რბილი ნაწილი** (რაჭ.), **ბუდე** > **საშვილოსნო**...; ვ) ქართული კომპოზიტების შედარება დიდოურ ენათა სათანადო ეკვივალენტებთან გამოავლენს როგორც მსგავსებებს, ისე განსხვავებებს.

<sup>1</sup> **ბუდე** რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება საბასთან, მათგან უმთავრესია: 1) ფრინველთ სახლი; 2) საყოფელი მჭეცთა; 3. ქუთუთო თვალთა. ხევსურულში სხვა მნიშვნელობათა შორის დასტურდება **ბუდენი** (ფურისა) „ძროხის საშვილოსნო“. შესაძლოა, ოდესღაც ადამიანისთვისაც იგივე სახელი იყო გამოყენებული.

## ლიტერატურა

- აბდულაევი 1981** – А. К. Абдуллаев, Словообразование в цезском языке, АКД, Махачкала.
- აზმაიფარაშვილი 2015** – ლ. აზმაიფარაშვილი, ხუნძური ენის დიალექტური ლექსიკის სემანტიკური თავისებურებანი. – იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLIII, თბილისი.
- არდოტელი 2007** – ნ. არდოტელი, დიდოური ენა, თბილისი.
- ბოკარევი 1959** – Е. А. Бокарев, Цезские (дидойские) языки Дагестана, Москва.
- ბუდაგოვი 1963** – Р. Будагов, Сравнительно-семасиологические исследования. Романские языки, Москва.
- გელენიძე 1974** – ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი.
- გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.
- ვანდრიესი 1931** – Ж. Вандриес, Язык. Москва.
- ვან დენ ბერგი 1995** – Van den Berg, H. A. Grammar of Hunzib (with texts and lexicon), Leiden.
- იმნაიშვილი 1963** – Д. С. Имнайшвили, Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками, Тбилиси.
- ისაყოვი, ხალილოვი 1986** – И. А. Исаков, М. Ш. Халилов, Проблемы отраслевой лексики дагестанских языков: соматические термины, Махачкала.
- ისაყოვი, ხალილოვი 2012** – И. А. Исаков, М. Ш. Халилов, Гунзибский язык, Махачкала.
- მეიე 1938** – А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, Москва-Ленинград.
- როგავა 1979** – გ. როგავა, ქართულ დვიძლ-ფუძის ამოსავალი სახეობისათვის. – არნოდ ჩიქობავას (დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული), თბილისი.
- სუხიშვილი 2010** – თ. სუხიშვილი, სომატური სახელები ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით ძველი ბერძნულისა და ქართულის მიხედვით, თბილისი.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
- ფოჩხუა 1974** – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.
- ქომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015** – Бернард Комри, Мажид Халилов, Заира Халилова, Грамматика бежтинского языка, Лейпциг-Махачкала.
- შანიძე 1980** – აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი.
- ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, შრომები, IV, თბილისი.
- ჩიქობავა 2011** – არნ. ჩიქობავა, ეგზოცენტრული კომპოზიტები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში. – შრომები, V, თბილისი.
- ჩიქობავა, ცერცვაძე 1962** – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი.

NODAR ARDOTELI

## **Semantic Analysis of Compounds Related to Somatic Words in Georgian, Dido and Bezhta Languages**

### S u m m a r y

The thematic group of anatomical terminology, along with other semantic groups, forms the basic supply in the whole lexical treasure of a language that belongs to the ancient layer and is reconstructed at the chronological level of the protolanguage.

The vocabulary related to the somatic words of the research languages includes coordination compounds, in which compounds containing "head" and "heart" occupy a leading position. In addition, the number of somatic compounds related to "head" significantly exceeds the number of ones containing the word "heart" as an element. In Georgian, "head" (*tavi*) is a part of many coordination compounds and is mainly included in the compounds another constituent of which is a word being a part of a head, e.g. *tav-quri* (head-ear), *tav-cxviri* (head-nose), *tav-qba* (head-jaw), *tav-piri* (head-mouth), etc.

The semantic priority of the somatic word "head" is expressed by its nature of being postposition in Georgian compounds. In the Dido languages, the compound "head-foot" is similar to Georgian (Com. Did. *q'im-qošo*, Bez. *qām-xābā*) but some compounds show a different nature from Georgian: Com. Did. *huṭ-mwali* "face" (lit trans. "mouth-nose"), *h-uh-mali* "face" (lit trans. "cheek-nose"); Bez. *moṭo-qām* "face" (lit trans. "mouth-head"), *moṭo-qām* "face" (lit trans. "mouth-head"), etc.

The paper presents a number of semantic changes: *tval-piri* ("eye and mouth") > *tol-piri* ("face") > *torpili* ("cheek, cheek-bone"), *γvizli* (Geo. Svan "liver") > *šav-qvitlad damçipebuli* (Merg. "ripened in black-yellow") > *zalian mçipe* (Imer. Lechkh. "fully ripen") > *naqopis ḡankveša rbili naçili* (Rach. "pulp"), *bude* "nest" > *sašvilosno* "womb", etc.

ამირან ბასილაშვილი

### კომპოზიციის საკითხები უდიურ ენაში

წინამდებარე წერილში განხილულია კომპოზიციის საკითხები უდიურ ენაში, კერძოდ, რედუპლიკაციის სახეები და სხვადასხვაფუძიან სახელურ კომპოზიტთა სტრუქტურული მოდელები.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ კომპოზიციური წარმოება უდიურში უფრო მეტად ზმნებისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო სახელებში შედარებით ნაკლებად გვხვდება, თუმცა ეს ასე უფრო იმის გამო ჩანს, რომ მარტივ ზმნათა რიცხვი უდიურში დიდი არ არის, ამიტომ ზმნათა კომპოზიციურ წარმოებას ფართო გასაქანი მიეცა. სახელური კომპოზიცია კი უდიურში, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მრავალფეროვანია.

როგორც ცნობილია, კომპოზიტები შედგენილობის მიხედვით ორი სახისაა:

1) რედუპლიკაციით ანუ ფუძის გაორმაგებით წარმოქმნილი კომპოზიტები: გორ-გორ „ლატანი“ (შდრ.: ქართ. გოგორა ← \*გორგორა „ერქვანთ თვალი საბრუნავი“ (საბა)), ზიმ-ზიმ „რყევა“, „რხევა“, კიწ-კიწი „ცოტ-ცოტა“ (კიწი „ცოტა“), კორი-მორი „მიხვეულ-მოხვეული“ (კორი „მრუდე“), ხაშბახაშ „თვეობით“ (ხაშ „თვე“)...

2) ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები: ბაბა-ნანა „დედ-მამა“ (ზედმიწ. „მამა-დედა), ბინ-ბაგ „ნეფე-დედოფალი“ (ზედმიწ. „პატარმალი-ნეფე“, ფახლახუპ „ლობიოს ფლავი“ (ფახლა[ა] „ლობიოს“, ხუპ „ფლავი“), ჟომოხბერლალ „მეწისქვილე“ (ჟომოხ „წისქვილი“, ბერხალ „მფქველი“)...

სემანტიკური თვალსაზრისით კომპოზიტი შეიძლება იყოს ერთცნებიანი, ორცნებიანი ან ორზემეტცნებიანი. ორცნებიანი კომპოზიტი გამოხატავს ორ ცნებას ანუ უდრის კომპონენტთა შინაარსის ჯამს: დორღან-დრშაგ „საბან-ლეიბი“ (დორღან „საბანი“, დრშაგ „ლეიბი“), უყნახოდ „კაკლის ხე“ (უყნა[ა] „კაკლის“, ხოდ „ხე“), ხეყუჭკალ „წყლის მელაპავი“ (ხე „წყალი“, ყუჭკალ „მელაპავი“)... ერთცნებიანი კომპოზიტების კომპონენტები კი სემანტიკურ ერთიანობად არის ქცეული, დაჩრდილულია მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობა: პეჩოლა „ორპირი“ (პე „ორი“, ჩოლა „პირიანი“), ბერეჩო „ბალიშისპირი“ (ბერე[ა] „ბალიშის“, ჩო „პირი“), ჟენეელ „ქვამარილი“ (ჟენე[ა] „ქვის“, ელ „მარილი“), მაწიჟე „შაქარი“ (მაწი „თეთრი“, ჟე „ქვა“), ბედჭედალ „ადმოსავლეთი“ (ბედ „მზე“, ჭედალ „ადმოსავალი“)...

### რედუბლიკაცია

უდიურში, სხვა ენათა მსგავსად, კომპოზიციის ერთ-ერთ სახეს ფუძეთა გაორკეცება ანუ რედუბლიკაცია წარმოადგენს. უდიურში რედუბლიკაცია კომპოზიტთა მიღების საკმაოდ გავრცელებული გზაა. გაორკეცებულია:

ა) სიტყვის ფუძე: კოწ-კოწ „მოხრილი“ (კოწ „მოხრილი“, „ჩამოწეული“), ხური-ხური „წვრილ-წვრილი“ (ხური „წვრილი“);...

ბ) დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე მარცვლი (სინქრონიულ დონეზე), რომელიც გაორმაგების შედეგად იქცევა ლექსიკურ ერთეულად: ყუმყუმ „ლოკოკინა“ (შდრ.: ქართ. ლოკოკინა ← ლოკ-ლოკ-ინ-ა ?), დამდამ „დილა“ (შდრ.: დამნუნ (დამ-ნ-უნ ?) „ხვალ“), ტუტუ(-ფსუნ) „კანკალი“, ხხა „გატეხილი“, ბიბი „ხიდი“, ფუმ-ფუმ: მაწი ფუმფუმ „ფილტვი“, მაღნ ფუმფუმ „ღვიძლი“, „თირკმელი“...

ფუძეგაორკეცების დროს კომპოზიტის შემადგენელ კომპონენტთა დაკავშირება სხვადასხვაგვარია:

ა) მარტივი დაკავშირება, როდესაც მეორდება მარტივი ფუძეები ყოველგვარი დამაკავშირებლისა და ფონეტიკური ცვლილების გარეშე: აბუზ-აბუზ „დიდად“, „ფრიად“ (აბუზ „დამატება“, „დანამატი“), ბიზ-ბიზ „ყალყზე“ (ბიზ „სადგისი“), ბიპ-ბიპ „ოთხ-ოთხად“ (ბიპ „ოთხი“), ზოლ-ზოლ „ზოლებიანი“ (ზოლ „ზოლი“), თიქ-თიქ „ნაწილ-ნაწილ“ (თიქ „ნაწილი“, „წილი“), ყურუყურუყურ „მრგვალ-მრგვალი“ (ყურუყურ „მრგვალი“), განენ-განენ „ადგილ-ადგილ“, „ალაგ-ალაგ“ (განენ „ყველგან“)... მარტივი დაკავშირების შემთხვევებია აგრეთვე, როცა გვაქვს ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე მარცვალთა გამეორება: ტრა-ტრა „ტოროლა“ (შდრ.: ქართ. ტოროლა), ბაა-ბაა „კუნელი“, გუმ-გუმ „საცერი“ (შდრ.: გუმგუმ-ფესუნ „დიდინი“);...

ბ) კომპონენტები შეერთებულია **-ხა-** დამაკავშირებელი ელემენტით: ჩობაჩო „პირისპირ“ (ჩო „პირი“, „სახე“), ღიბაღი „დღედადღე“ (ღი „დღე“), უსენბაუსენ „წლითი წლად“ (უსენ „წელი“), შჰჰჰრბაშჰჰრ „ქალაქ-ქალაქ“ (შჰჰრ „ქალაქი“), გაბაგა „ყველგან“ (გა „ადგილი“), ჯურბაჯურბ „სხვადასხვაგვარი“ (ჯურბ „სახეობა“, „გვარი“), ვიბაჯი „შუაზე“, „სანახევროდ“ („ვი „ნახევარი“; შდრ.: ქართ. ნახევარი)... ერთგან **-ჰა-** ნაწილაკიც ჩანს დამაკავშირებლად – ტიტაჰატიტა „გაქცევა“, „სირბილი“ (შდრ.: ტიტეს „სირბილი“, „გაქცევა“).

გ) რედუბლიკაცია სუფიქსაციით: ლიპლიპ-კალ „საფეთქელი“, „კეფა“, ფოსფოს-კალ „ბუმბული“ (შდრ.: ქართ. პოს-ლ-იკ-ა ან ბუსუსი ← \*ბუს-ბუს-ი), ჯირჯირ-კალ „ჭრიჭინა“...

რედუბლიკაციის დროს ადგილი აქვს ფონეტიკურ ცვლილებებს:

ა) ერთ-ერთ კომპონენტში (როგორც წესი, პირველ კომპონენტში) იკარგება ბოლოკიდური თანხმოვანი ან ხმოვანი: ქაქალა (ნიჯ.) ← ქალქალა (ვართ.) (← ქალა-ქალა) „დიდ-დიდი“, „დიდრონი“ (ქალა „დიდი“), კიწ-კიწი (← კიწი-კიწი) „ცოტ-ცოტა“, „მცირედი“ (კიწი „ცოტა“), პეჩა-პეჩ „ჩურჩული“, მომოწ (← მოწ-მოწ ?) „ცინგლი“, „წვინტლი“, კოკოწ (← კოწ-კოწ ?) „ქათამი“...

ბ) კომპოზიტის მეორე წევრს ბოლოში დაერთვის ხმოვანი: ბულ-ბულა „ერთად“ (შდრ.: ბულ „თავი“), თურ-თურა „ფეხდაფეხ“ (შდრ.: თურ „ფეხი“);...



გ) შეცვლილია კომპოზიტის მეორე წევრის თავკიდური თანხმოვანი: კორი-მორი (← კორი-კორი) „მიხვეულ-მოხვეული“ (კორი „მრუდე“), კორწი-მორწი (← კორწი-კორწი ?) „თეთრყვავილა“, კოტორ-მოტორ „ნაჭრები“ (კოტორ „ნაჭერი“, „ნატეხი“), კაკულლა-მაკულლა „საბავშვო თამაში“, დორო-მოდო „აბდაუბდა“...

დ) კომპოზიტის ერთ-ერთ წევრში (როგორც წესი, მეორეში) შეცვლილია ხმოვანი ან შეცვლილია ხმოვანი და წინ დაერთვის თანხმოვანი: მალ-მულ „ცოტა“ (მალ „ცოტა“, „პატარა“), ქარ-ქურ „ნარევი“, „არეულ-დარეული“ (ქარ „ნარევი“), ადდა-ბუდდა „მიმოფანტული, მიმოყრილი“...

რედუპლიკაციითაა მიღებული უდიურში საურთიერთო ნაცვალსახელი სუნ-სუნ „ერთმანეთი“, რომელიც წარმოქმნილია სა „ერთის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის (სა-უნ → სუნ) გაორმაგებით (მდრ.: ქართული საურთიერთო ნაცვალსახელი ერთმანეთი ← ერთმანერთი) (ჯეირანიშვილი 1971: 43-44, ფანჩვიძე 1974: 102). კავკასიის ალბანურ ენაშიც საურთიერთო ნაცვალსახელს სუნ-სუნ წარმოადგენს (ლოლუა 2018: 160).

### სახელურ კომპოზიტთა სტრუქტურული მოდელები

უდიურში გვხვდება სხვადასხვაფუძიან კომპოზიტთა შემდეგი სტრუქტურული მოდელები:

ა) სუბსტანტიური კომპოზიტები (არსებითი სახელი + არსებითი სახელი): იმუ-ჩუბუხ „ცოლ-ქმარი“, ღუსმე-შუმ „ყველი-[და]-პური“, კოჯ-მეც „სახლ-კარი“ (ზედმიწ. „სახლი-ბუდე“), ხუნჩი-ვიჩი „და-ძმა“, ცამფიდადალ „ჭრელი მამალი“, მადრამდდდ „მარიამ მამიდა“, მადრამხალა „მარიამ დეიდა“, ხაშბაბა „ნათლია (კაცი)“ (ხაშ „სინათლე“, ბაბა „მამა“), ხაშნანა „ნათლია (ქალი)“ (ხაშ „სინათლე“, ნანა „დედა“), მარიამნანა/მადრამნანა „მარიამ ღვთისმშობელი“ (ზედმიწ. „მარიამ დედა“), ფულდეშიკ „ხარბი“, „გაუმადლარი“ (ფულ „თვალი“, დეშიკ „ნახვრეტი“), ხაშბაბაჩუბუხ „ნათლიის ცოლი“ (ხაშბაბა „ნათლია“, ჩუბუხ „ცოლი“)...

სუბსტანტიური კომპოზიტის პირველი წევრი (მსაზღველი) ნათესაობით ბრუნვაშიც შეიძლება იდგეს: ბაბაკოჯ „მამის სახლი“, „მამული“ (ბაბა[ა] „მამის“ + კოჯ „სახლი“), კოკოწუნკოჯ „საქათმე“ (კოკოწუნ „ქათმის“ + კოჯ „სახლი“), ბერლოკოჯ „გომური“ (ზედმიწ. „საქონლის სახლი“), ხალიკუნდარ „ბიძაშვილი (დედის ძმის შვილი) ვაჟი“ (ხალიკ-უნ „ბიძის“, დარ „ვაჟიშვილი“), ხალახინარ „დეიდაშვილი გოგონა“ (ხალა[ა] „დეიდის“, ხინარ „ქალიშვილი“), ნეპნატკე „ძილისგუდა“ (ნეპნა[ა] „ძილის“ + ტკე „გუდა“), მუჭანაყნაჩო „ნადები“ (მუჭანაყნა[ა] „რძის“ + ჩო „პირი“), ხენედალლაქ (ვართ.) / ხენედალლაჲ (ნიჯ.) „ბოლოქანქარა“ (ხენე[ა] „წყლის“ + დალლაქ „დალაქი“), თურინლეკერ „ფეხსაცმელი“ (ზედმიწ. „ფეხსაცმლის ჭურჭელი“), ფინ-ხაშ „თვალის ჩინი“ (ზედმიწ. „თვალის სინათლე“), ჰინტაშუმაკ „დედალი ინდაური“ (ზედმიწ. „ინდაურის დედალი“), ყანაქო (← ყან-ნაქო) „სიდედრი“ (ყანა[ა] „ცოლის-ძმის“ + ნაქო „დედა“)... ბოლო კომპოზიტის მეორე კომპონენტის თავკიდური **ნა** ნაწილი პირველი კომპონენტის ბოლოკიდურ **ნა** ნაწილთან მეზობლობაში

დაიკარგა, რაც ბუნებრივია კავკასიურ ენათა სიტყვაწარმოების დროს ამ ენათა ფონოტაქტიკის გათვალისწინებით.

ბ) ადიექტიური კომპოზიტები (ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი): ქალაუკლა „დიდგულა“ (ქალა „დიდი“ + უკლა „გულიანი“), ქალაბუქუნლა „ლიპიანი“ (ქალა „დიდი“ + ბუქუნლა „მუცლიანი“), ქალაბღხმღხლა „დიდცხვირა“ (ქალა „დიდი“ + ბღხმღხლა „ცხვირიანი“), ჯაჟუკლა „გულლია“ (ჯაჟ „ღია“ + უკლა „გულიანი“)...

როგორც ვხედავთ, ადიექტიური კომპოზიტის პირველი წევრი პირველადი ზედსართავი სახელი, ხოლო მეორე – არსებითი სახელისგან წარმოქმნილი ზედსართავი სახელია.

გ) ნუმერალური კომპოზიტები (რიცხვითი სახელი + რიცხვითი სახელი): საწწე „თერთმეტი“, ხიბეწწე „ცამეტი“, პყყო „ორმოცი“, ბიპყო „ოთხმოცი“, საყოკო „ოცდახუთი“, საყოფულ „ოცდაშვიდი“, საყოფულწწე „ოცდაცხრამეტი“, პყელპპ „ორმოცდაორი“, პყელბიპეწწე „ორმოცდაოთხმეტი“, ხიბელუქ „სამოცდაექვსი“, ხიბელმულეწწე „სამოცდათვრამეტი“, ბიპყელსა „ოთხმოცდაერთი“, ბიპყელვიწ „ოთხმოცდაათი“, საბაჩ „ასი“, ბაჩპა „ას ორი“, საპაზარ „ათასი“...

ნუმერალური კომპოზიტები რთული რიცხვითი სახელებია, რომელიც ორი, სამი, ოთხი, ხუთი ფუძის შეერთებით წარმოიქმნება. თერთმეტიდან (საწწე) ცხრამეტამდე (ფუდეწწე) რიცხვითი სახელების პირველ ნაწილად გამოიყენება მარტივი რიცხვითი სახელი ერთიდან ცხრამდე (ერთეულების აღმნიშვნელი), მეორე შემადგენელ კომპონენტად კი გამოიყენებულია ვიწ „ათი“ რიცხვითი სახელი, ბოლოში კი კვლავ სე ← სა „ერთი“ რიცხვითი სახელი დაერთვის: \*სა-ვიწ-სა → სა-ვიწ-სე → სა-წ-სე → საწწე „თერთმეტი“, \*ხიბ-ვიწ-სა → \*ხიბ-ვიწ-სე → ხიბ-ეწ-სე → ხიბ-ეწ-წე „ცამეტი“... (ფანჩვიძე 1974: 111-112, ლოლუა 2010: 113). აღსანიშნავია, რომ ა. დირს დადასტურებული აქვს საწსე, პყსე, ხიბეწსე, ბიპეწსე... ფორმები (დირი 1903: 29). ამგვარ წარმოებას სემანტიკურად ვლ. ფანჩვიძე ასე გაიაზრებს: „თორმეტი“ – \*პა-ვიწ-სა „ორი-ათი-ერთად“... (ფანჩვიძე 1974: 112). ერთიდან ცხრამეტამდე რიცხვით სახელთა კომპოზიციას სხვაგვარად განმარტავს ევგ. ჯეირანიშვილი. მეცნიერის აზრით, მეორე კომპონენტი (წე (ფუძეხმოვნთან მარტივ რიცხვით სახელებთან) ← ეწე (ფუძეთანხმოვნთან მარტივ რ. სახელებთან)) უკავშირდება ვიწ „ათის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელის არქაულ ფორმას \*ვიწე (ვიწე → ვიწ) (ჯეირანიშვილი 1971: 34). ევგ. ჯეირანიშვილი არ იზიარებს აღნიშნულ რიცხვით სახელთა ფონეტიკური ცვლილებით წარმოქმნის შესაძლებლობას (ვგულისხმობთ ფანჩვიძისეული ინტერპრეტაციის შუალედური საფეხურების \*სა-ვიწ-სა → სა-ვიწ-სე და \*საწ-სე → საწწე პროცესებს). ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, რიცხვით სახელებში გადმონაშთის სახით წე ინტენსიური აფრიკატი შემოგვენახა, ამიტომ ასიმილაციის (წ → ს) პროცესი გამოირიცხება (ჯეირანიშვილი 1971: 33). რაც შეეხება ბოლოკიდურ ე ხმოვანს, ის \*ვიწე ფუძის კუთვნილება გამოდის, ევგ. ჯეირანიშვილი მოიხმობს „ათის“ აღმნიშვნელ წახურ-მუხადურ მონაცემს მიწე (მიწე-დ, მიწე-ბ, მიწე-რ). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წახურ-მუხადურში რიცხვით სახელს კლასის ნიშნები დაერთვის და ბოლოკიდური გ იქნებ თანხმოვანთგამყარიც იყოს.

უდიურისთვის, სხვა კავკასიურ ენათა მსგავსად, თვლის ოცობითი სისტემა დამახასიათებელი. ოცეულების აღსანიშნავად გამოყენებულია სათანადოდ მარტივი რიცხვითი სახელი და ყა „ოცის“ გასუნსტანტივებული ვარიანტი ყო (← ყოო ←ყა-ო): პყო „ორმოცი“ („ორი + ოცი“), ხიბყო „სამოცი“ („სამი“ + „ოცი“), ბიპყო („ოთხი“ + „ოცი“).

ათეულების (30, 50, 70, 90) აღსანიშნავად გამოყენებულია სათანადოდ ოცეულები + ვიწ „ათი“: საყოვიწ „ოცდაათი“ („ერთი ოცი“ + „ათი“), პყ-ყო-ვიწ „ორმოცდაათი“ („ორი ოცი“ + „ათი“), ხიბყოვიწ „სამოცდაათი“ („სამი ოცი“ + „ათი“), ბიპყოვიწ „ოთხმოცდაათი“ („ოთხი ოცი“ + „ათი“).

ნიჯურ კილოში ოცობითი სისტემა მოშლილია, აქ ვართაშნულის „ოცის“ მიხედვით წარმოებულ რიცხვით სახელებს ენაცვლება „ათის“ მიხედვით წარმოებული რიცხვითი სახელები: ხიბ-ვიწ „ოცდაათი“ („სამი“ + „ათი“), ბიპ-ვიწ „ორმოცი“ („ოთხი“ + „ათი“), ჯო-ვიწ „ორმოცდაათი“ („ხუთი“ + „ათი“), უჯ-ვიწ „სამოცი“ („ექვსი“ + „ათი“)... ეს შეიძლება გამოწვეული იყოს აზერბაიჯანული ენის გავლენით. ნიჯურში ათეულების აღსანიშნავად აზერბაიჯანულიდან შემოსული რიცხვითი სახელები გამოიყენება საკუთრივ უდიური წარმოების პარალელურად (თუ უფრო ხშირად არა). ერთადერთი რიცხვითი სახელი, რომელიც თვლის ოცობითი სისტემის უქონლობის პირობებში ნიჯურში ნაშთის სახით შემოგვრჩა არის პყ-ყო „ორმოცი“ („ორი“ + „ოცი“) (ჯეი-რანიშვილი 1971: 35; ფანჩვიძე 1974: 110; ლოლუა 2010: 114).

„ოცდაერთიდან“ „ოცდაცხრამდე“, „ოცდათერთმეტიდან“ „ოცდაცხრამეტამდე“, „ორმოცდაერთიდან“ „ორმოცდაცხრამდე“ და ა. შ. „ოთხმოცდათერთმეტიდან ოთხმოცდაცხრამეტამდე“ რიცხვით სახელთა კომპოზიცია ასეთია – სათანადოდ ათეულის ან ოცეულის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი + მარტივი რიცხვითი სახელი ან რიცხვითი სახელი „თერთმეტიდან“ „ცხრამეტამდე“: სა-ყო-სა „ოცდაერთი“ („ერთი ოცი“ + „ერთი“), სა-ყო-საწწე „ოცდათერთმეტი“ („ერთი ოცი“ + „თერთმეტი“), ხიბ-ყო-ხიბ „სამოცდასამი“ („სამი ოცი“ + „სამი“), ბიპ-ყო-ვუღეწწე „ოთხმოცდაჩვიდმეტი“ („ოთხი ოცი“ + „ჩვიდმეტი“)...

ასეულებისა და შემდგომი რიცხვითი სახელების წარმოება დიალექტთა მიხედვით არ სხვაობს: ბაჩ/საბაჩ „ასი“ („ერთი“ + „ასი“), ბაჩ-ჯო „ას ხუთი“ („ასი“ + „ხუთი“), ბაჩ-პაწწე „ასთორმეტი“ („ასი“ + „თორმეტი“), ბაჩ-ყა „ასოცი“ („ასი“ + „ოცი“), ხიბ-ბაჩ „სამასი“ („სამი“ + „ასი“), საჰაზარ-მულბაჩ-საყოწწე „ათას რვაას ოცდათხუთმეტი“ („ერთი ათასი“ + „რვა ასი“ + „ერთი ოცი“ + „თხუთმეტი“), ვუღჰაზარ-ბიპბაჩ-უჯვიწ-ბიპ (ნიჯ.) „ცხრა ათას ოთხას სამოცდაოთხი“ („ცხრა ათასი“ + „ოთხი ასი“ + „ექვსი ათი“ + „ოთხი“), ხიბყოხიბეწწე-ჰაზარ-მულეწწე „სამოცდაცამეტი ათას თვრამეტი“, პუბაჩჰოჰაზარ-ხიბბაჩსა „ორას ხუთი ათას სამას ერთი“, „ოთხი მილიონ ას ოცდათექვსმეტი ათას ოთხასი“, ბიპმილიონ-საბაჩსაყოწწე-ჰაზარ-ბიპბაჩ „ოთხი მილიონ ას ოცდათექვსმეტი ათას ოთხასი“...

დ) სუბსტანტიურ-ადიექტიურიკომპოზიტები (არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი ან პირიქით): უკჰაა „გულღია“, „გულაზდილი“ (უკ „გული“ + ჰაა „ღია“), ბაჰანკოწ „წელმოხრილი“ (ბაჰან „წელი“, „ზურგი“ + კოწ „მო-

ხრილი“), ბულკოწ „თავდახრილი“ (ბულ „თავი“), აჯმაწი „თრითინა“, „სინდიოფალა“ (ზედმიწ. „გულთეთრა“, აჯ „მკერდი“ + მაწი „თეთრი“), მუქანაყ „რძე“ (მუქა „ტკბილი“ + ნაყ „დო“), ქალნანა (← ქალა-ნანა) „ბეზია“ (ქალა „დიდი“, „უფროსი“ + ნანა „დედა“; შდრ.: ქართ. დიდედა ← დიდი-დედა „ბეზია“, ბერდედა (თუშ.) „ბეზია“), ქალბაზა (← ქალა-ბაზა) „პაპა“ (ბაზა „მამა“), მუქაშუმ „ნამცხვარი“ (მუქა „ტკბილი“ + შუმ „პური“), აღუბადი „ველური აღუბალი“ (აღუ „მწარე“ + ბადი „აღუბალი“)...

ე) სუბსტანტიურ-პარტიციპიული (არსებითი სახელი + მიმღეობა ან პირიქით): ბულზაპკალ „წინამძღოლი“, „მეთაური“, „მოთავე“ (ბულ „თავი“ + ზაპკალ „გამწევი“), გონთაცი „გახუნებული“, „ფერწასული“ (გონ „ფერი“ + თაცი „წასული“), ხეზაპკალ „მეთულუხე“ (ზედმიწ. „წყლის მზიდველი“), ხორაგბოხალ „მზარეული“ (ზედმიწ. „საჭმლის მზარშაველი“), ფოფბარი „თმაგაცვივნული“ (ფოფ „თმა“ + ბარი „გაცვივნული“), პიწუმკალ „წურბელა“ (პი „სისხლი“ + წუმკალ „მწოველი“), ხებაქიჭანდ „ერბო“ (ხებაქი „დამდნარი“ + ჭანდ „ცხიმი“, „კარაქი“)...

ვ) პარტიციპულ-პარტიციპული (მიმღეობა + მიმღეობა): არცი-აფხალ „ამდგომ-დამჯდომი“, ეღალ-თაღალ „მომსვლელ-წამსვლელი“, ბოხი-ჩიჩალ „მზარშველ-გამომტანი“ (მსახური, რომელიც ამზადებს საჭმელს და ემსახურება ვისმე სუფრაზე)...

ზ) ადიექტიურ-ადველბიალური (ზედსართავი სახელი + ზმნისართი): თიქოყა „ციცაბო დაღმართი“ (თიქ „ვერტიკალური“, ოყა „დაბლა“, „ქვემოთ“)...

თ) ნუმერალურ-სუბსტანტიური (რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი): საბულ „მარტოხელა“, „განმარტოებული“ (სა „ერთი“, ბულ „თავი“), საჯჷრჷ „ერთფეროვანი“ (სა „ერთი“, ჯჷრჷ „ჯური“, „სახეობა“)... კვირის დღეთა სახელწოდებანიც (ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით) ამ მოდელით არის ნაწარმოები: პუშამატ „ორშაბათი“, ხიბშამატ „სამშაბათი“, ბიპშამატ „ოთხშაბათი“, ჯოშამატ „ხუთშაბათი“. ნიჯურ დიალექტში რაოდენობითი რიცხვითი სახელის ნაცვლად რიგობითი რიცხვითი სახელია გამოყენებული: სამჯი ღი „ორშაბათი“ (ზედმიწ. „პირველი დღე“), ფჷმჯი ღი „სამშაბათი“ (ზედმიწ. „მეორე დღე“), ხიბიმჯი ღი „ოთხშაბათი“ (ზედმიწ. „მესამე დღე“), ბიფიმჯი „ხუთშაბათი“ (ზედმიწ. „მეოთხე დღე“).

ი) ნუმერალურ-ადიექტიური (რიცხვითი სახელი + ზედსართავი სახელი): საქულლა „ცალხელა“ (სა „ერთი“, ქულლა „ხელიანი“), სათურრა „ცალფეხა“, „ხეიბარი“ (სა „ერთი“, თურრა „ფეხიანი“), პუთურრა „ორფეხა“ (პუ „ორი“ + თურრა „ფეხიანი“)...

კ) ნუმერალურ-პარტიციპული (რიცხვითი სახელი + მიმღეობა): პუდოფკალ „ორლულიანი“ (პუ „ორი“ + დოფკალ „გამხეთქი“)...

## ლიტერატურა

- გუკასიანი 1971** – В. Л. Гукасян, Удинско-азербайджанско-русский словарь, Баку.
- დირი 1903** – А. М. Дири, Грамматика удинского языка, Тифлис.
- კალენდარი 2018** – 2018 USENIN TUMARGIR.
- ლოლუა 2010** – რ. ლოლუა, უდიური ენა (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი.
- ლოლუა 2017** – რ. ლოლუა, უდიურ-ქართული ლექსიკონი (ლინგვისტური კომენტარებით, ინდექსითა და გრამატიკული ნარკვევით), თბილისი.
- ლოლუა 2018** – რ. ლოლუა, კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.
- ლოლუა 2019** – რ. ლოლუა, არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება უდიურ ენაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLVII, თბილისი.
- ორბელიანი 1991** – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. I, თბილისი.
- რუხაძე, ბასილაშვილი 2018** – ნ. რუხაძე, ა. ბასილაშვილი, უდიურ-ქართული ლექსიკონი, ვინოზრიცე.
- ფანჩვიძე 1974** – ვლ. ფანჩვიძე, უდიური ენის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.
- ღლონტი 1984** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.
- შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.
- ჭუმბურიძე 2011** – ნ. ჭუმბურიძე, სიტყვაწარმოება/კომპოზიტი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა), თბილისი.
- ჯეირანიშვილი 1971** – ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი), თბილისი.

AMIRAN BASILASHVILI

## Issues of Composition in the Udi Language

### Summary

The present paper discusses the composition issues in the Udi language, namely, the types of reduplication and structural models of nominal compounds with different stems.

As known, there are two types of compounds based on composition: 1) compounds formed through reduplication, i.e. stem doubling: zim-zim “wobble”, “fluctuation”, ჭიჭ-ჭიჭი “little by little”, ჭორი-მორი “meandering”, ხაშბახაშ “month

after month”, etc.; 2) compounds obtained by joining two or more different stems: baba-nana “mother and father”, bin-bäg “bride and groom”, paxlaxuṗ “bean pilaf”, etc.

In the Udi language, like in other languages, one type of composition is stem doubling or reduplication. Reduplication in the Udi language is a fairly common way to form compounds. The following elements are reduplicated: a) a word stem: ḳoḳ-ḳoḳ “bent”, xuri-xuri “smallish”, etc.; b) a syllable without an independent lexical meaning (at the synchronic level) that, as a result of doubling, becomes a lexical unit: ḳumḳum “snail”, damdam “morning”, tuṭu(-fsun) “tremble”, etc.

The combination of components of a compound during a stem doubling is diverse: a) a simple combination, when simple word stems are repeated without any connective and phonetic changes: abuz-abuz “greatly”, “extremely”, biz-biz “on end”, biṗ-biṗ “in fours”, etc.; b) components with the connective element **-ba-**: čobačo “face to face”, ḡibaḡi “day after day”, usenbausen “year after year”, etc. Sometimes the particle **-ha-** acts as a connective, e.g. ṭiṭahaṭiṭa “escape”, “run”, etc.

During reduplication, phonetic changes occur: a) in one of the components (as a rule, in the first one), the final consonant or vowel is lost: kakala (Nij.) ← kalkala (Vart.) (← kala-kala) “fairly large”, “vast”, ḳiḳ-ḳiḳi (← ḳiḳ-ḳiḳi) “little by little”, “small”, pəča-pəč “whisper”, etc.; b) a vowel is added to the second member of a compound: bul-bula “together”, tur-tura “step by step”, etc.; c) an initial consonant of the second member of a compound is changed: ḳori-mori (← ḳori-ḳori) “meandering”, ḳoṭor-moṭor “pieces”, doro-moro “nonsense”, etc.; d) in one of the members of a compound (as a rule, in the second one) a vowel is changed or a vowel is changed and a consonant is added in the front position: mal-mul “few”, kar-kur “mixture”, “confused”, adda-budda “scattered”, “thrown about”, etc.

მანანა ბუკია

**კომპოზიციური არსებითი სახელების წარმოებისათვის  
აფხაზურ და ადიღურ ენებში<sup>1</sup>**

წარმოქმნის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ნებისმიერი ენისათვის. ეს პრობლემა განსაკუთრებით იკვეთება მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში. სხვადასხვა ენაში კომპოზიციის თავისებური წესები არსებობს, განსხვავებულია კომპოზიტებში კომპონენტების შეერთების საშუალებები, მაგრამ თავად კომპოზიციის პრინციპი თითქმის ყველა სისტემის ენაში ერთია: ხდება ფუძის რედუპლიკაცია, ან ორი ან ორზე მეტი სიტყვის შეერთება. კავკასიურ ენების სახელის კომპოზიცია, მიუხედავად ცალკეული წარმატებული ცდებისა, მონოგრაფიულად, მითუმეტეს შედარებით-შეპირისპირებითი თვალსაზრისით არ გამოკვლეულა.

აფხაზური კომპოზიტებს განიხილავენ თავიანთ კვლევებში პ. ჭარაია, ბ. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ხ. ბლაჟბა, თ. გვანცელაძე, ნ. მაჭავარიანი.

**კომპოზიტების წარმოებისათვის აფხაზურ ენაში**

**რედუპლიცირებული კომპოზიტები**

აფხაზურ რედუპლიცირებულ კომპოზიტებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

ა. მარტივი რედუპლიკაცია – ფუძეები გაორმაგებულია, არ შეიმჩნევა ფონეტიკური პროცესები: **ა-ყ'ყ'ა** „ზურგი“; **ა-ყაყყაფ** „ოჩოფეხი“; **ა-შ'გრშ'გრ** „სასტვენი“; **ა-ცგც** „ბურბუმელა“; **ა-წ'წ'ა** „ზარი (პატარა)“; **ხუს-ხუს** „ხბო“ (ბავშვის ენაზე); **ა-კ'კ'კ** „გუგული“, **ა-ხ'აჩა-ხ'აჩა** „შხაპუნი“, **ა-ყგრ-ყგრ** „ხარხარი“ ...

ბ. რედუპლიცირებული კომპოზიტის ერთ კომპონენტში შეცვლილია თანხმოვანი: **ა-ხ'აჭა-მჭა** „ჭიაღუა, მწერი“ (შდრ. **ა-ხ'აჭა** „ხოჭო“), **ა-ხ'ტჟ-მგჟ** „წვრილმანი“, **ა-მახა-შახა** „კიდურები“.

გ. რედუპლიცირებულ ფუძეში იცვლება მარცვალი: **ა-მათა-ჯგთა** „ბარგი-ბარხანა“...

დ. რედუპლიცირებულ ფუძეში ჩართულია თანხმოვანი: **ა-ჟ'მგჟ** „ჯვალო, ძველმანი“...

<sup>1</sup> სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული FR 18-072 პროექტის ფარგლებში.

ე. რედუპლიცირებულ ფუძეში ჩართულია მარცვალი: **ა-რწ-მგრწ** „მწნილი“...

ვ. რედუპლიცირებულ ფუძეს ერთვის მასდარის მაწარმოებელი -რა სუფიქსი: **ა-ბარბარა** „ყბედობა“, **ა-პეიპერა** „პირთამდე ავსება, გაპიპინება“ **ა-ქვუქვურა** „ქვითინი“, **ა-შეშრა** „გამურვა“ (შდრ. მეგრ. **შირშოლი** „გაბინძურება, გამურვა“), **ა-შეშრა** „სტვენა“ **ა-ცვრცვრა** „ბრწყინვა, ციმციმი“ (შდრ. ქართ. **ციმციმი**), **ა-ჭვრჭვრა** „ჭიკჭიკი“, **ა-ჭვლ-ჭვლრა** „ფინია ძაღლის ყეფა, წკავწკავი“, **ა-ხარხარა** „ჟღარუნი“, **ა-ჰარსჰარსრა** „მსუქანი რამის ან ვინმეს სიარული“... (ამ ქვეჯგუფში ძირითადად ხმაბაძვითი სიტყვები გვხვდება).

ხშირად რედუპლიცირებული ფუძე მრავალგზისობას გამოხატავს: **აყვავ-ყვავ** „მრავალგზის კაკუნი, ბრახუნი“, **ა-ყვავ** :ზედიზედ გასროლის ხმა, ბათქა-ბუთქი“.

## 2. შეერთებითი კომპოზიტები (*composita copulativa*)

აფხაზურ კოპულარულ კომპოზიტებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. ერთცნებიანი კომპოზიტები: **ა-პგრპლჯკა** „დანაყილი წიწაკა სანელებლებით“ (ზედ. „პიმპილი + მარილი“)...

2. ტოლადშერწყმული ორცნებიანი კომპოზიტები: **ეიშიე-ეჰშიე** „დაძმა“, **აბი-ფეი** „მამა-შვილი“, **ხაწი-ფჰესი** „ცოლ-ქმარი“...

3. აბსტრაქტულობის -რა სუფიქსდართული ერთცნებიანი კომპოზიტები: **ანხა-ჰკვანრა** „დედაშვილობა“; **ხაწი-ფჰესრი** „ცოლქმრობა“...

4. სქესის აღმნიშვნელი **ა-ჟ** („ძროხა, ფური“), **ა-ც** („ხარი“) დართული კომპოზიტები: **ა-ცკამხაშ** „ხარკამეჩი“, **ა-კამხაშც** (ზხ.) „ფურკამეჩი“, **ა-ცხატ** „ხარხაქი“, **ა-ჟკამხაშ** „ფურკამეჩი“; **ა-კამხაშჟ** (ზხ.) „ფურკამეჩი“, **ა-ჟხატ** „ფურხაქი“, **ა-ჟმაყა** „ბებერი ძროხა“, **ა-ჟხატფშქა** „ახალდაბადებული ფურხაქი“, **ა-ჟწრგ** „ბერწი ძროხა“, **ა-ჟფგდა** „ბერწი ძროხა“ (ზედმ. „უშვილო ძროხა“, (ა)ფა (შვილი) + და უარყოფითი სუფიქსი) (კვარჭია 1981: 12, 28).

5. კოპულარულია პროფესიის აღმნიშვნელი **ა-ხჩა** („მწყემსი“, „მცველი“...) კომპონენტდართული შემდეგი კომპოზიტები: **ა-დექანჩა** „მედუქნე“ (ა-დექან „დუქანი“), **ა-ლანჩა** „მეძალღე, კურძალი“ (ა-ლან „ძალი“), **ა-ჟხჩა** „მეძროხე“ (ა-ჟ „ძროხა“), **ა-ჟარდგნჩა** „მეურმე“ (ა-ჟარდგნ „ურემი“), **ა-ძლაგარანჩა** „მეწისქვილე“ (ა-ძლაგარა „წისქვილი“); **ა-ჯმანჩა** „თხის მწყემსი“ (ა-ჯმა „მწყემსი“), **ა-ნგმხჩა** „მენავე“ (ა-ნგმ „ნავი“), **ა-მხგნჩა** „მეველე“ (ა-მხგ „მინდორი“) (ჯანაშია 1954: 100, 172, 374, 449) ქართულში პროფესიის აღმნიშვნელი სახელები დერივაციის საშუალებით გადმოიცემა (მედუქნე, მეძროხე, მეწისქვილე...).

6. სინონიმური კომპოზიტები: **ა-ჩაქაზალ** „ყურძნის სახეობა“, ზედმ. „პური-პური“, (ა)ქაზალ < მეგრ. ქობალი „პური“ (მაჭავარიანი 2006: 126); **ა-შთკაკაჰ** „ყვავილი“ (< ა-შთ „ყვავილი“, (ა)კაკაჰ „მინდვრის ყვავილი“.



### 3. განსაზღვრებითი კომპოზიტები (*composita determinativa*)

აფხაზური გამოირჩევა განსაზღვრებითი კომპოზიტების სიმრავლით. ის ლექსიკის ყველა დარგს მოიცავს.

ბრუნების სისტემის უქონელი აფხაზური ენა განსაზღვრებითი კომპოზიტების გადმოსაცემად სხვადასხვა საშუალებას იყენებს:

#### გაუფორმებელი განსაზღვრებითი კომპოზიტები:

აფხაზურში მრავლად გვხვდება **ა-ზნა** „ტყე“ კომპონენტის კომპოზიტივი არსებითი სახელები: **აზნარაპანა** „ველური რეჰანი“ (მაჭავარიანი 2006: 84); **აზნარას** „ველური თხილი“; **აზნატრურა** „ტევრი“; **აზნაწ** „მაჟალო, ველური ვაშლი“; **ა-ზნაწ** „ხარირემი“ (ზედმ. ტყის ხარი“), **აზნაუაჯგ** „ტყის კაცი, ქაჯი“ (ჯანაშია 1954: 69).

ხის ჯიშების აღმნიშვნელ აფხაზურ ფორმათა უმრავლესობას დართული აქვს ხის აფხაზური სახელწოდება **ა-წლა**: **ა-მჟა-წლა** „თუთის ხე“ (< ა-მჟა „თუთა“, **ა-წლა** „ხე“); **ა-ზაწ-წლა** „ზღმარტლის ხე“, **ა-თა-წლა** „ცაცხვი“; **აზიაწლა** „კომშის ხე“, **ალიმრწლა** „ლიმონის ხე“, **აწაწლა** „ვაშლის ხე“ (**აწ** „ვაშლი“), **აპაწლა** „მსხლის ხე“. ქართულში ამ სემანტიკის სიტყვები შესიტყვევით გადმოიცემა.

#### უქონლობის „და“ სუფიქსდართული კომპოზიტები:

**ა-ცადაყაბაყ** „თხელკანიანი გოგრა“ (<ა-ცა „კანი“, და უქონლობის სუფიქსი, (ა)ყაბაყ „გოგრა“), ზედმ. „უკანო გოგრა“ (მაჭავარიანი 2006: 105).

#### სხვა განსაზღვრებითი კომპოზიტები:

**ა-მშგნ-ყგზ** „გედი“ (<ა-მშგნ „ზღვა“, (ა)ყგზ „ბატი“), ზედმ. „ზღვის ბატი“;  
**ა-ყარმაწგს** „ბულბული“ (< ა-ყარმა „სვია, ფმატი“, ა-წგს „ჩიტი“), ზედმ. „სვიის, ფშალის ჩიტი“. შდრ. ქართ. მეფშატიე, მეგრ. **მაფშალია**;  
**ა-ცხამგალ** „თაფლის მჭადი“ (<ა-ცხა „თაფლი“, (ა)მგალ „მჭადი“;  
**ა-ცამგ** „ცვილის მოხდის შემდეგ დარჩენილი წყალი“ (<ა-ცა „ცვილი“, (ა)მგ წყალი“;  
**ა-დგერგნ** „ია“ (<ა-დგ „მინდორი“, აკრა „მუქურა“) (მაჭავარიანი 2006: 200).

#### კუთვნილებით ელემენტდართული კომპოზიტები:

**ა-ფეიფა** „შვილიშვილი (ვაჟი ვაჟის მხრიდან)“ < ა-ფა „ვაჟი“, -ი- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასისა, ა-ფა „ვაჟი“, ზედმ. „ვაჟი მისი ვაჟი“;

**ა-ფეიფა** „შვილიშვილი (ასული ვაჟის მხრიდან)“ < ა-ფა „ვაჟი“, -ი- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასისა, ა-ფა „ასული“, ზედმ. „ვაჟი მისი ასული“;

**ა-ფაალფა** „შვილიშვილი (ვაჟი ქალიშვილის მხრიდან)“ < ა-ფა „ქალიშვილი“ -ლ- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი ქალის კლასისა, ა-ფა „ვაჟი“, ზედმ. ქალიშვილი მისი ვაჟი“;

**ა-ფჰალფჰ** „შვილიშვილი (ასული ქალიშვილის მხრიდან)“ < ა-ფჰ „ქალიშვილი, ასული“, -ლ- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი ქალის კლასისა, ა-ფჰ „ასული“, ზედმ. ქალიშვილი მისი ასული“;

**პაპენი** „ყურძნის ჯიში“ (< პაპენ „მამაკაცის სახელი“, -ი- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასისა, აჟ „ყურძენი“), ზედმ. „პაპინის მისი ყურძენი“ (მაჭავარიანი 2006: 129);

**ა-ჟარჰასკენ** „ველური ციკორეა“ (< ა-ჟა „კურდღელი“, -რ- მესამე პირის მრავლობითობის კუთვნილების აფიქსი, (ა)ჰასკენ „ბალახი“) ზედმ. „კურდღლის (მათი) ბალახი“ (მაჭავარიანი 2006: 83).

**ა-ჰარჰაჰა** „მოცი“ (< ა-ჰა „ღორი“, -რ- მესამე პირის მრავლობითობის კუთვნილების აფიქსი, (ა)ჰაჰა „ტკიპა“), ზედმ. „ღორი (მათი) ტკიპა“ (მაჭავარიანი 2006: 52).

ზოგ კომპოზიტი ფუძეები ერთმანეთს მაკავშირებელი **o** „და“ ელემენტით უერთდებიან: **აჩე-ო-ჯგვა** „პურ-მარილი“ (< ა-ჩა „პური“, ა-ჯგვა „მარილი“), **აღე-ო-ჟ** „სხელი“ (< ა-ღა „ტყავი, კანი“, o „და“, ა-ჟე „ხორცი“ (გვანცელაძე 2003: 45), **აბ-ო-ფერ** „მამა-შვილი“...

#### **აფხაზური სახელური კომპოზიტი შეიძლება იყოს:<sup>1</sup>**

##### **ა. ორკომპონენტანი:**

**ალაჰარ-წეს** „ბელურა“ (< ა-ლაჰარ „საცეხველი, ჩამური“, ა-წეს ჩიტი“, ზედმ. „საცეხველის ჩიტი“);

**ა-მსტრ-ქაად** „პაპირუსი“ (< ა-მსტრ „ეგვიპტე“, ა-ქაად „ქალაღი“, ზედმ. „ეგვიპტის ქალაღი“);

**ა-ჩეჰჰასკენ** „სპეციალური ნორჩი ბალახი, იხმარება ცხენის საკვებად“, ზედმ. „ცხენის ბალახი“;

**ა-ცგჰასკენ** „კატაბალახა“ (შდრ. ა-ცგჰ „კატა“, (ა)ჰასკენ „ბალახი“);

**ა-ბჰჰა-წეწენდრა** „ხენდრო“ (შდრ. ა-ბჰჰა „ბალი“, (ა)წეწენდრა „ხენდრო“), ზედმ. „ბალის ხენდრო“;

##### **ბ. სამკომპონენტანი:**

**აზნჩაწ** „ხარირემი“ (< ა-ზნა „ტყე“, ა-ჩა „ცხენი“, ა-წ „ხარი“);

**აჟარგგ** „ყურძნის მარცვალი“ (< აჟ „ყურძენი“, ა-გგ „გული“, აც „მარცვალი“);

**აჩეგგაჟ** „ყურძნის ჯიში“ (< ა-ჩა „ცხენი“, (ა)გგვა „ძუძუ“, აჟ „ყურძენი“);

**ა-ჟჭეიმაა** „ქალამანი“ (< აჟ „ძროხა“, ა-ჭა „ტყავი, კანი“, აიმაა „წულა“);

**ა-ჟკამბაშურგ** „ბერწი კამეჩი“ (ა-ჟ „ფური“, (ა)კამბაშ „კამეჩი“, (ა) წურგ „ბერწი“);

**ა-ჩაშეგმგ~ალ** „ხორბლისგან დამზადებული ყველიანი ღვეზელი“ (ა-ჩა „პური“, ა-შე „ყველი“, მგ~ალ მჰადი“ (შაყრილი 1987:417);

**ა-ბნაჰარდკაკალ** (აბჟ.) „ქაცვი“ (< ა-ბნა „ველური“, (ა)ჰარდ „ვარდი“, (ა)კაკალ „მარცვალი“), ზედმ. „ველური ვარდი(ს) მარცვალი“.

##### **გ. ოთხკომპონენტანი:**

**აჟასარბ აჟმგ** „ყურძნის ჯიში“ (< აჟასა „ცხვარი“, ა-ბგ „ბორცი“, ა(გ)ჟ „ყურძენი“, (ა)შ, (< შკაკა „თეთრი“) (მაჭავარიანი 2006: 127).

<sup>1</sup> აფხაზური კომპოზიტის სტრუქტურისთვის იხ. ნ. მაჭავარიანი 2017.

რთული არსებითი სახელის (კომპოზიტის) წევრებად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი (იშვიათად), რიცხვითი სახელი (იშვიათად), მასდარი ან ზმნის ფუძე.

ა. არსებითი + არსებითი:

**ა-გარა-შა** „იავნანა“ (<ა-გარა „აკვანი“, (ა)შა „სიმღერა“), ზედმ. „აკვნის სიმღერა“; **ა-კინოსანა** „კინოსურათი“ (< ა-კინო „კინო“, (ა)სანა „სახე“), ზედმ. კინოსახე“; **ა-ბერთფფ / ა-ბაირთფფ** „მონასტერი“ (< ა-ბერ „ბერი“, ა-თფფ „ადგილი“), ეტიმოლოგიურად „ბერის ადგილს“ ნიშნავს (ბუკია 2013: 47).

ბ. არსებითი + ზედსართავი:

**ამშ-ცგა** „უამინდობა“ (< ამშ „დღე“-ცგა „ცუდი“), **აჩაფშ** „ხორბლის სახეობა“ (< ა-ჩა „პური“, (ა)ფშ „წითელი“), **ა-თაჟ** „სავსე ყურძენი“ (ა-თა „სავსე“, აჟ „ყურძენი“).

გ. არსებითი + რიცხვითი:

**ჯენტშგრა (აშატკა)** „ორნახადი (არაყი)“ (< ჯ-ჯბა „ორი“, ტგ – დანიშნულების სუფიქსი, (ა)შგრა „დუდილი“), ზედმ. ორჯერ მოდუღებული (არაყი); **ზნგკერშგრა (აშატკა)** „ერთნახადი (არაყი)“ (< ზნგ „ერთხელ“, კ – განუსაზღვრელობის აფიქსი, (ა)შგრა „დუდილი“), ზედმ. ერთნახადი, ერთხელ მოდუღებული (არაყი)“ (მაჭავარიანი 2006: 51).

დ. არსებითი + მასდარი:

**ა-შაყარ** „ყლორტი“, „ვაზის რქა“ (< ა-შაპე „ფეხი“, ა-ყარა „ქნევა“), ზედმ. „ფეხი ამონაყარი“ (ჯანაშია 2010: 22); **ა-ბჩარამზა** „ოქტომბერი“ (< **აბჩარა** „ლომის ცეხვა“, (ა)მზა „თვე“), ზედმ. „ლომის ცეხვის თვე“. შდრ. მეგრულში ოქტომბერს **გიმათუთა** აღნიშნავს, ზედმიწევნით ნიშნავს „ლომის ცეხვის თვეს“.

### კომპოზიტების წარმოებისათვის ადიღურ ენაში

კომპოზიტები ადიღური ენის ერთ-ერთ უძველეს ლექსიკურ პლასტს წარმოადგენს, ის იცვლებოდა და ვითარდებოდა ენის ისტორიულ განვითარებასთან ერთად. ბევრი ადიღური კომპოზიტი ადიღურ ენათა დიფერენციაციამდეა შექმნილი.

ადიღური ენის კომპოზიტურ არსებით სახელებს განიხილავდნენ თავიანთ ნაშრომებში ნ. იაკოვლევი, დ. აშხამათი, გ. ტურჩანინოვი, გ. ცაგოევი, რომელთა ნაშრომებში საკითხი განხილულია სინქრონიულ ჭრილში.

პრობლემის დიაქრონიულ სიბრტყეში განხილვის ცალკეული შემთხვევები გვაქვს გ. როგავას, ქ. ლომთათიძის, ა. შაგიროვის ნაშრომებში. საკითხს სპეციალურად ეხება მ. კუმახოვი, ა. აბრეგოვი.

ადიღურში, ისევე, როგორც ყველა ენაში, სპეციალისტები გამოყოფენ კომპოზიტთა სხვადასხვა სახეებს.

### 1. რედუპლიცირებული სახელური კომპოზიტები

რედუპლიცირებული კომპოზიტები სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება რამდენიმე მოდელად ჩამოყალიბდეს:

ა. მარტივი რედუპლიკაცია – ფუძეთა მარტივი გაორმაგებით მიღებული კომპოზიტები, რომლებშიც არანაირი ფონეტიკური ცვლილება არ ხდება. ასეთი კომპოზიტები ადილურში შედარებით ნაკლებია: **ღვრ-ღვრ** „თამაშის სახეობა“ (შდრ. ღვრ „ხის ბურთი“), **ჯარ-ჯარ** „ნება, სურვილი“, **ფსგ-ფსგ** „მარლა“... (აბრეგოვი 2000: 151).

კომპოზიტთა ასეთი წარმოება დამახასიათებელია ხმაბაძვითი სიტყვებისთვის: **ქვრ-ქვრ** „ინდაური“, **ტგვ-ტგვ** „ფეხსაცმელი“ (ბავშვთა ენაში), **მაყ-მაყ** „ცხვარი“ (ბავშვთა ენაში) (იქვე).

მარტივ რედუპლიცირებულ კომპოზიტებში ხშირად ხდება ა/ნ ხმოვანთა მონაცვლეობა სემანტიკის ცვლილების გარეშე, მაგ. **ნან/ნ** „დედა“, შდრ. **ნანნ დახნ** „ლამაზი დედა“, **მამ/მ** „მამა“, შდრ. **მამმ ცქმ** „ჭკვიანი მამა“. ასეთი კომპოზიტები (ა/ნ მონაცვლე) უფრო მეტია, ვიდრე მარტივი, ფორმაუცვლელი თხზული სიტყვები. შდრ. **ლალ** „ხორცი“ (ბავშვთა ენაში) – **ლა-ფსგ** „ბულიონი“ (< \*ლნ „ხორცი“), შდრ. თანამ. ლგ „ხორცი“, ფსგ „წყალი“, **ჭაჭნ** „კვერცი“ (ბავშვთა ენაში), შდრ. **ჭაჭან** „კაკანი“.

ა/ნ მონაცვლე რედუპლიცირებული კომპოზიტები ხშირად გვხვდება საკუთარ სახელებში: **ცაც/ც** (< \*ცნც) „ცაცა, ქაქნ“ (< \*ქნქნ) „ქვაქვა“, **ძაძ/ძ** (< \*ძძძ) „ძაძა“, **ზაზ/ზ** (< \*ზზზ) „ზაზა“.

ბ. ხმოვნის შეცვლა რედუპლიცირებულ კომპოზიტებში – ადილურ რედუპლიცირებულ კომპოზიტში ხმოვნის შეცვლა ძალზე იშვიათად ხდება. შეიძლება ძირისეული ა/ნ ხმოვანი შეიცვალოს უ ხმოვნით. ამ შემთხვევაში კომპოზიტი გამოხატავს კრებითობას: **ცსწ-ცსწ** (< \*ცსწ) „ტკბილეულობა“, შდრ. **ცსწ** „ტკბილი“.

გ. ხმოვნის ან თანხმოვნის ამოვარდნა რედუპლიცირებულ კომპოზიტში – რედუპლიცირების დროს ადილურ კომპოზიტში შეიძლება ამოვარდეს პირველი კომპონენტის ხმოვანი ან თანხმოვანი (ძირითადად აუსლაუტის ბგერა): **დნდნ** (< \*დნდნ) „სათამაშო“ (ბავშვთა ენაში), **ლგლგ** (< \*ლგლგ) საკუთარი სახელი.

დ. კომპოზიტის პირველი კომპონენტის ანლაუტის თანხმოვნის (ან თანხმოვანთკომპლექსის) შეცვლა მეორე კომპონენტში. ასეთი კომპოზიტები ძირითადად ზედსართავ სახელებში გვხვდება და აღმატებით ხარისხს გამოხატავს, მაგ. **დგჯგ-რგჯგ** „ძალიან მწარე, უმწარესი“, შდრ. **დგჯგ** „მწარე“, **ჭაბზნ-ძაბზნ** „ძალიან სუფთა“, შდრ. **ჭაბზნ** სუფთა“...

არსებით სახელებში ამ ტიპის რედუპლიცირება გვხვდება კრებით სახელებში: **კალნ-ღალ/ნ** „ახალგაზრდობა“, შდრ. **კალნ** „ახალგაზრდა“, **ჭაბარ-შაბარ** „სიახლეები, ახალი ამბები“, შდრ. **ჭაბარ** „ახალი ამბავი“ და სხვ.

ხშირად რედუპლიცირებულ კომპოზიტში პირველი კომპონენტის ბგერა მეორე კომპონენტში იცვლება უ თანხმოვნით და კრებითობას გამოხატავს: **მწქგ-წაქგ** „თივა და მისთ.“, შდრ. **მწქგ** „თივა“, **ჭაქგ-წაქგ** „ღუმელი და მისთ.“, **ყაფგნ-წაფგნ** „ნივთები, ხარახურა“, შდრ. **ყაფგნ** „ნივთი“, **ყაჭტო-ბუს-წაჭტო-ბუს** „ავტობუსი და მისთ. ტრანსპორტი“, შდრ. **ყაჭტო-ბუს** „ავტობუსი“, **შამსნთ-წამსნთ** „შამსათი და მისი ხალხი, შამსათიანი“, შდრ. **შამსნთ** – საკუთარი სახელი.

თუ კომპოზიტის პირველი კომპონენტი იწყება ან, ან, უნ, უა დიფთონგით, მეორე კომპონენტის უ იერთებს დიფთონგის ნაწილს, მაგ.: **ანზუგ-უნზუგ** „ნაკელი და მისთ.“, შდრ. ანზუგ „ნაკელი“, **ანჯუნა-უნჯუნა** „ეგერუხაი და-სხვა აულები“, შდრ. ანჯუნა – ეგერუხაი (აულის სახელწოდება)...

როდესაც სიტყვა იწყება ა ხმოვნით, უ თანხმოვანი მეორე კომპონენტს ერთვის ყოველგვარი ცვლილების გარეშე: **არკ-უნარკ** „არაყი და მისთ.“ შდრ. არკ „არაყი“, **აფრ-უნაფრ** „მინა და მისთ.“, შდრ. აფრ „მინა“, **აჩა-უნაჩა** „თხა და მისთ.“, შდრ. აჩა „თხა“.

ე. რედუპლიკაციისას პირველი მარცვლის შეცვლა. ამ ტიპის კომპოზიტის წარმოებისას ხდება პირველი მარცვლის შეცვლა. ზედსართავებში ასეთი ტიპის რედუპლიკაცია აღმატებით ხარისხს გამოხატავს, არსებითებში – კრებითობას. მაგ.: **წგკ-სწკ** „წვრილმანი“, შდრ. წგკ „პატარა“, **გგღგ-მგღ/გ** „მღელვარება“, შდრ. გგღგ „დარდი“ და სხვ.

ამავე ტიპის წარმოებისაა ხმაბაძვითი სახელური კომპოზიტები: **კალ-კვლ** „სისულელი, აბდაუბდა“, **კამ-კვრთ** „სისულელი“.

ვ. რითმული რედუპლიკაცია: ცალკე ჯგუფს ქმნის რითმული რედუპლიკაციით შექმნილი კომპოზიტები: **გუნ-მცუნ** „მიგანი, კუქმაჭი“, **ცუნ-ფსუნ** „ინსტრუმენტი“.

ზ. ადიღურ სახელურ რედუპლიციურებულ კომპოზიტებში ასევე გამოიყოფა ჯგუფი, სადაც რთული სიტყვის კომპონენტი სემანტიკისაგან დაცლილია და ძირითადად ფონოსემანტიკური ერთეულია: **კგმ-სგმ** „სიჩუმე“, **კგრ-სგრ** „ჭრიალი“, **წგრ-წგრ** „ჭიკჭიკი“.

## 2. შეერთებითი კომპოზიტები (*composita copulativa*)

შეერთებითად იწოდება ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით მიღებული კომპოზიტები, რომლებიც ახალ სემანტიკას იძენენ, მაგ. **ნაფ** „სახე“ (< ნწ „თვალი“, ფწ „ცხვირი“), **ფკგ-სწლგ** „სხეული“ (< ფკგ „ძვალი“, სწ „ტყავი, კანი“, ლგ „ხორცი“), **მწქ-მწშგ** „სოფლის მეურნეობა“ (< მწქ „თივა“, მწშგ ფეტვი“) (აბრეგოვი 2000: 156).

კოპულარულ კომპოზიტებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

ა. არსებითი სახელების ფუძეების შეერთებით მიღებული კომპოზიტები: **ნაფ** „სახე“ (ნწ „თვალი“, ფწ „ცხვირი“), **შგლ-პასტ** „პურ-მარილი“ (< შგლ „მარილი“, პასტ „ფაფა“), **ჩწმ-მაჭ** „დღე-ღამე“ (ჩწმ „ღამე“, მაჭ „დღე“).

ბ. ფუძეშეერთებულ კომპოზიტებზე დართულია უარყოფის აფიქსი: **მგსწ-მგლგ** „ხარახურა“ (ზედმ. „არც ტყავი, არც ხორცი“), **მგც-მგჩამ** „უგუნური ადამიანი“ (ზედმ. „არც ხარი, არც ძროხა“).

გ. საურთიერთო აფიქსით შეერთებული კომპოზიტები: **ზწა-ზწაგზ/გ** „ცოლ-ქმარი“ (ზედმ. ქმარი და ცოლი ერთმანეთისთვის“), **ზწშ-ზწშგზ/გ** „და-ძმა“ (ზედმ. „ძმა და და ერთმანეთისთვის“).

სემანტიკის თვალსაზრისით რთული სიტყვები შეიძლება იყოს როგორც შემდეგი სახის:

ა. სინონიმური:

**ბენუენაჟ** „ოჯახი“ (< ბენე „ოჯახი“, უენაჟა „ოჯახი“);

**ხუტ-ბორან** „ქარბუქი“ (< ხუტ „ქარბუქი“, ბორან „ქარბუქი“);

**გხუკ-გუაუ** „მწუხარება, უბედურება“ (< გხუკ „მწუხარება“, გუაუ „მწუხარება“);

**ხუუ-ხან** „შეტაკება, შეხლა“ (< ხუუ „ომი“, ხან „ბრძოლა“);

**ნებუდ-სუუ** „მეგობრობა“ (< ნებუდ „მეგობარი“, სუუ „მეგობარი“).

ბ. ანტონიმური:

**ჩუ-მატ** „დღე-ღამე“ (ჩუ „ღამე“, მატ „დღე“);

**მუდ-კარანდალ** „ვაჟკაცობა და სიმხდალე“;

**ინუდ-წუკლ** „სიდიდე, ზომა“ (< ინუდ „დიდი“, წუკლ „პატარა“);

**ხუდ-კალად** „ასაკი“ (ხუდ „სიბერე“, კალად „ახალგაზრდობა“).

გ. გარკვეული ნიშნით ერთმანეთთან ახლოს მდგომი კომპონენტები:

**ტესუ-უატუ** „ბზე და თივა“;

**კა-ფესუ** „ბატი და იხვი“;

**წუბლ-გამუ** „ჭილოფი და ჩანთა“.

შერწყმული კომპოზიციები წარმოქმნება მარტივი ფუძეების შეერთებით: მუ-ფესუ „ქვა და ქვიშა“, „ქვა ქვიშით“ (< მუ „ქვა“, ფესუ „ქვიშა“), მუ-წუბლ „ყიდვა-გაყიდვა“, მუნ-პასტ „სოუსი და პასტა“, „სოუსი ფაფით“ (მუნ „სოუსი“, პასტ „ფაფა“).

### 3. განსაზღვრებითი კომპოზიციები (*composita determinativa*)

ადილური ენის გამდიდრების საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობს განსაზღვრებითი კომპოზიციები. ადილური სიტყვათწარმოქმნის სისტემაში ასეთი წარმოება განსაკუთრებით პროდუქტულია და დომინანტი პოზიცია უჭირავს.

განსაზღვრებითი რთული სიტყვები ის ფორმებია, რომლებშიც შემადგენელი კომპონენტები ერთმანეთის მიმართ არიან მსაზღვრელ საზღვრული, ან საზღვრულ-მსაზღვრელი:

**ჭუბუჭუ** „ჭრიჭინა“ (ჭუ „მიწა“, ბუბუ „ჩიტი“, ბუბუ „მიწის ჩიტი“);

**უხუ** „დარი“ (< უხ „ცა“, ხუ „კარგი“, ბუბუ „კარგი ცა“);

**მუბუბუ** „კალენდულა“ (< მუბუბუ „ფრჩხილი“, მუ „თესლი“, ბუბუ „თესლი, რომელიც ჰგავს ფრჩხილს“);

**უამ** „ავდარი“, „წვიმა“ (< უხ „ცა“, მუ „ცული“, ბუბუ „ცული ცა“).

განსაზღვრებით კომპოზიციებში, როგორც წესი, მთავარი კომპონენტი არის არსებითი სახელი, რომელიც განსაზღვრულია არსებითით, ზედსართავით, რიცხვითი სახელით, ზმნიზედით.

## ლიტერატურა

**აბრეგოვი 2000** – А. Н. Абрегов, Исследования по лексике и словообразованию адыгейского языка, Майкоп.

**ბუკია 2013** – მ. ბუკია, ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი.

**გვანცელაძე 2003** – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. I. თბილისი.

**კვარჭია 1981** – В. Е. Кварчия, Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми.

**მაჭავარიანი 2006** – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში, თბილისი.

**მაჭავარიანი 2017** – ნ. მაჭავარიანი, აფხაზური ენის გრამატიკის საკითხები (აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების გათვალისწინებით), თბილისი.

**შაყრილი 1987** – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Л. П. Чадуа, Словарь абхазского языка, т. II, Сухуми.

**ჯანაშია 1954** – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ჯანაშია 2010** – Б. П. Джанашия, Абхазская лексика виноградарства и виноделия, Тбилиси.

## MANANA BUKIA

### On the Formation of Compound Nouns in Abkhazian and Adyghe

#### S u m m a r y

Abkhazian and Adyghe compounds are divided into the main groups that are generally typical for Ibero-Caucasian languages:

#### 1. Reduplicated compounds:

Abkhazian: *aq'áq'a* “back”, *aqapqáp* “stilts”, *axač'a-máč'a* “worm, insect” (cf. *axač'a* “beetle”), *a-xač'-mač'* “a little”; *á-mat'a-wič't'a* “belongings”, *á-barbarra* “to babble”, *á-peipera* “to bumper”, etc.

Adyghe: *γoγoɾ* “a type of a game” (cf. *γoɾ* “wood ball”), *žǝržǝr* “will, wish”, *pspsə* “butter-cloth”, *koɾk'oɾ* “gobbler”, *ɬəq'ɬəq'* “shoes” (child language), *ma'ma'* “sheep” (child language), etc.

## 2. Combined compounds (composita copulative):

Abkhazian: *a-pərpəlʒəka* “crushed pepper with spices” (lit. trns. “pepper +salt”), *eišei-ehšei* “sister and brother”, *abi-peí* “father and son”, *xaçei-phəsi* “wife and husband”, *á-cəkambaš* “bull and buffalo”, *a-cbát* “bull and baby buffalo”, *á-žəkambaš* “cow and bull”; *a-žəbať* “cow and baby buffalo”, *a-žəmaqa* “old cow”, *a-čəkəabal* “species of grapes” (lit. trans. “bread and bread”, (*a*) *kəabal* < Megr. *kobali* “bread”, etc.

Adyghe: *šəγəpastă* “groaning board” (< *šəγə* “salt”, *pastă* “porridge”), *čăšmaf* “day and night” (*čăšə* “night”, *mafă* “day”), *inəγăçəqəγă* “size” (< *inəγă* “big”, *çəqəγă* “small”), *zəγăkələγă* “age” (*zəγă* “being old”, *kələγă* “being young”), etc.

## 3. Attributive compounds (composita determinative):

Abkhazian: *abnarasá* “wild nuts”, *a-bnácə* “stag”, *amžəáçla* “mulberry tree” (< *amžəa* “mulberry”, *áçla* “tree”), *abácəçla* “medlar tree”, *a-mšəón-qəz* “swan” (< *a-mšəón* “sea”, (*a*)*qəz* “goose”), lit. trans. “sea goose”, *a-peipá* “grandchild (son of one’s son)”, *a-phalpá* “grandchild (son of one’s daughter)”, *açeižəka* “groaning board” (< *açə* “bread”, *ažəka* “salt”), *acəeiž* “body” (< *acəa* “skin”, *i* “and”, *ažə* “meat”, etc.

Adyghe: *çəbzəu* “cricket” (*çə* “earth”, *bzəu* “bird”, lit. trans. “earth bird”), *uăšə* “good weather” (< *uă* “sky”, *šə* “good”, lit. trans. “good sky”), *ăbzăňkă* “calendula” (< *ăbzăňă* “nail”, *kă* “seed”, lit. trans. “nail-shaped seed”), *uajă* “bad weather”, “rain” (< *uă* “sky”, *jă* “bad”, lit. trans. “bad sky”).



თეა ბურჭულაძე

**განსაზღვრებითდამოკიდებული წინადადების  
თავისებურებანი ზეპირ მეტყველებაში**

ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები ენობრივი თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა. მასში სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული კონსტრუქციები, ფორმები თუ წინადადების წევრთა განლაგება დასტურდება. მიჩნეულია, რომ ზეპირი მეტყველება არის წინასწარ მოუმზადებელი, არაოფიციალური საუბარი, რომელიც ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მიმდინარეობს. მართებულადაა შენიშნული, რომ „ზეპირი მეტყველება სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილი კი არ არის, როგორც ადრე ფიქრობდნენ, არამედ ცალკე სისტემაა, რომელსაც კვლევის სხვა კრიტერიუმი აქვს“ [კვანტალიანი 1990: 4]. სასაუბრო ენაზე სისტემურმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ზეპირ მეტყველებაში გამოვლენილი რიგი დამახასიათებელი ნიშნები მწერლობაში, მხატვრული თხზულებების ენაშია გადასული.

ზოგი თავისებურება ვლინდება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში ზეპირი მეტყველებისას. როგორც ცნობილია, ზოგადად ის რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს. რამდენადაც არსებითი სახელით გადმოიცემა წინადადების სხვადასხვა წევრი (ქვემდებარე, დამატებები, განსაზღვრება და გარემოება), ამის შესაბამისად, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში შემავალ ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე მათგანს. მასში დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება **მიმართებითი ნაცვალსახელებით** (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...), **მიმართებითი ზმნიზედებით** (სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც...), **მაქვემდებარებელი კავშირებით** (რომ, თუკი, სანამ, ვითომ თითქოს...). საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მნიშვნელობის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია: ერთი ჯგუფი იძლევა მთავარი წინადადების საზღვრული წევრით აღნიშნული საგნის თვისებრივ დახასიათებას. ასეთ დამოკიდებულ წინადადებაში საზღვრულ წევრს მთავარ წინადადებაში შეიძლება ახლდეს ჩვენებითი ნაცვალსახელები: **ის, იმ, ისეთი, იმდენი, იმისთანა...** ამათგან ზოგი -ვე ნაწილაკის დართვითაც გამოიყენება: **ისეთივე, იმდენივე** [კვაჭაძე 2010: 396]. ის ხაზს უსვამს იმ წევრს, რომელსაც განმარტავს დამოკიდებული წინადადება, მიემარ-

თება **როგორც** წევრ-კავშირს. იგი როგორობას გამოხატავს, მისამართი სიტყვის რაგვარობაზე მიუთითებს [ძიმიგური 1989: 260]. საკორელაციო სიტყვა **ისეთი** გვხვდება **თითქოს** კავშირთანაც. **როგორც** და **თითქოს** კავშირებთან მისი გამოყენების თავისებურება ისაა, რომ **თითქოს** კავშირის გამოყენებისას ყოველთვის გვხვდება მისათითებელი სიტყვა **ისეთი** ან **იმისთანა**. ამის გარეშე ვერ იწარმოება ამ ტიპის განსაზღვრებითი წინადადება, მისი ამოღება შეუძლებელია [ბურჭულაძე 2014: 114]. სხვაგვარი ვითარებაა **როგორც** მისათითებელ სიტყვასთან. ზოგჯერ საკორელაციო სიტყვა (მისათითებელი ნაცვალსახელი) არ არის მთავარში, მაგრამ შესაძლოა აღვადგინოთ ის: „ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, რომელსაც ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცადა დარჩენოდა იმედად“ – შდრ. „ფარნაოზს ეცოდებოდა [ის] მეგობარი, რომელსაც ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცადა დარჩენოდა იმედად“. ზოგჯერ მთავარ წინადადებაში არაა მისათითებელი სიტყვა და არც მისი არსებობისა და აღდგენის აუცილებლობა არ არის: „ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონისეს, რომელიც მისვლის შემდეგ ყველაზე მეტს მხიარულებდა“. მთავარ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალსახელი არ არის და მისი აღდგენაც შეუძლებელია, რადგან სტრუქტურა არ მოითხოვს მას [კვაჭაძე 2010: 398-399].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „არის შემთხვევები, როცა მთავარ წინადადებაში მისამართი სიტყვა – არსებითი სახელი გამოტოვებულია და კორელატი ასრულებს მის ფუნქციას“ [კვანტალიანი 1983: 67]. აქამდე ამგვარი კონსტრუქციები ქართულში ძირითადად გვხვდებოდა სულიერ სახელთან, როცა ის იგულისხმება და წინადადებაში გამოტოვებულია: ესენი **ისეთები არიან**, რომ ნამდვილად პატივს ვცემ – ესენი **ისეთი ადამიანები** არიან, რომ ნამდვილად პატივს ვცემ; ესენი **ისეთები არიან**, რომ სიყალბეს ვერ გამოაპარებ – ესენი **ისეთი ზავშეები** არიან, რომ სიყალბეს ვერ გამოაპარებ. ბოლო ხანს ასეთი ფორმები ზეპირ მეტყველებაში მკვიდრდება უსულო სახელებთანაც: „იმათ კიდევ **ისეთები დაუმატებიათ** ქორწილის ხარჯებზე, კრისტო ბედლიას რომ არც სმენია“; „მე აქ **ისეთები მინახავს**, რომ ყველა ქრისტიანს თმა ყალყზე დაუდგებოდა“; „და ისევ ვაგონის კართან დადგა, გამცილებლებს სახეში მიაჩერდა და იგრძნო, შამპანური რომ მოეკიდა და მასა და ჩემს დას შორის რაღაც **ისეთები დაიწყო**, რასაც მე ურთიერთდაცნოსვას დავარქმევდი“; „იმათგან **ისეთები ამირჩიეთ**, რაც ჩემთვის უფრო მარგებელია და ნაკლებად მავნებელი“; „ჩვენ **გვაინტერესებს ისეთები**, რომლებიც მოწამეობრივად აღსრულებულ წმინდანთადმია გამოთქმული“; „ამ ერთ კვირაში **ისეთები გადავიტანე**, მეტი რომ არ შეიძლება“.

ამგვარი აგებულების წინადადებებში მისათითებელი ნაცვალსახელი **ისეთი** გამოიყენება მრავლობით რიცხვში (ისეთები მინახავს, ისეთები დაუმატებიათ, ისეთები დაიწყო...), რაც, რა თქმა უნდა, ძალიან თავისებურ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის. ასეთი წინადადებები ჩამოყალიბდა მსაზღვრელი სიტყვის ჩაგდების (გამოტოვების) გზით. საზღვრულ მისათითებელ ნაცვალ-

სახელს არ ახლავს შესაბამისი მსაზღვრელი სიტყვა. ესაა შეკვეცილი ფორმები, მათში სწორედ მსაზღვრელი სიტყვა ივარაუდება მრავლობით რიცხვში, ხოლო რაკი ის აქ ამოვარდნილია, მრავლობითის ფორმა მისათითებელმა სიტყვამ მიიღო: იმათ კიდევ ისეთები (**ისეთი რაღაცები/ამბები...**) დაუმატებიათ ქორწილის ხარჯებზე, კრისტო ბედოიას რომ არც სმენია; მე აქ ისეთები (**ისეთი რაღაცები**) მინახავს, რომ ყველა ქრისტიანს თმა ყალყზე დაუდგებოდა; ისეთი (**ისეთი რაღაცები/ამბები**) დაიწყო, ღმერთმა არ განახვოს; და ისევ ვაგონის კართან დადგა, გამცილებლებს სახეში მიაჩერდა და იგრძნო, შამპანური რომ მოეკიდა და მასა და ჩემს დას შორის რაღაც ისეთები (**ისეთი რაღაცები**) დაიწყო, რასაც მე ურთიერთდაცნოსვას დავარქმევდი; იმათგან **ისეთები (ისეთი რაღაცები)** ამირჩიეთ, რაც ჩემთვის უფრო მარგებელია და ნაკლებად მავნებელი; ჩვენ გვანტერესებს **ისეთები (ისეთი ამბები/ისტორიები)**, რომლებიც მოწამეობრივად აღსრულებულ წმინდანთადმია გამოთქმული; ამ ერთ კვირაში **ისეთები (ისეთი რაღაცები/ამბები)** გადავიტანე, მეტი რომ არ შეიძლება. ვფიქრობთ, ამგვარი წინადადებები ენის ეკონომიის გზითაა მიღებული.

საინტერესო სურათს იძლევა **ისეთი** მისათითებელი ნაცვალსახელის შემცველი წინადადებები, რომლებშიც სხვაგვარი შინაარსი ჩანს: „დღევანდელი დღე მკითხავის ბანაკში სუ მაგ ყარაიაზე ლაპარაკობდნენ. აქებდნენ, **ისეთი აქებდნენ**, რო ჰა!“; ცოცხალ-მკვდარი მნახეს თურმე მუხის ქვეშ და წამიღეს სახლში. **ისეთი ავად შევიქენი**, ისეთი, რომ ჩემს მორჩენას ადამიანი აღარ ფიქრობდა თურმე“; „**ისეთი ტკბილად მეჩვენა** მისი ხმა, როგორც სალამურის“; „მაგრამ როდესაც თავისი აზრი გაუმჟღავნა იმას, ერთი **ისეთი გაოცდა** მოხუცებული თინათინი, რომ არ სჯეროდა თუ ამას ის ცხადლივ ისმენდა“. ამგვარ წინადადებებში მისათითებელი სიტყვა **ისე** უნდა გამოიყენებოდეს, რადგან სინამდვილეში ასეთი აგებულების წინადადებები ვითარებისგარემოებითაა: აქებდნენ, **ისე აქებდნენ**, რო ჰა!; **ისე ავად შევიქენი**, ისე, რომ ჩემს მორჩენას ადამიანი აღარ ფიქრობდა თურმე; **ისე ტკბილად მეჩვენა** მისი ხმა, როგორც სალამურის სტვენა; მაგრამ, როდესაც თავისი აზრი გაუმჟღავნა იმას, ერთი **ისე გაოცდა** მოხუცებული თინათინი, რომ არ სჯეროდა თუ ამას ის ცხადლივ ისმენდა. ამ საკითხს ნორმატიული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, აშკარად ჩანს, რომ მცდარი ფორმებია. დასახელებული აგებულების წინადადებები ვითარებითგარემოებითი დამოკიდებული წინადადებებია და მოითხოვს არა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების საკორელაციო ნაცვალსახელ **ისეთს**, არამედ ვითარებისგარემოებით დამოკიდებული წინადადების მისათითებელ სიტყვას **ისე**. ამგვარი ფორმები უფრო მეტად ახალგაზრდების მეტყველებაში შეინიშნება ჭარბად.

ზოგჯერ დასტურდება შემდეგი აგებულების წინადადებები: „ქალმა **ისეთი შეყვარა** და მოუქნია ხანჯალი ამ კაცს, რომ იმან საჭიროდ დაინახა უკან დახევა“; „ამ დროს იმ საჭურისმა, იმ ვირისშვილმა, **ისეთი გამილაწუნა** მათრახით ლოყაში“; „სთქვა და **ისეთი ამოიხენეშა**, თითქოს გულ-ღვიძლი ამოატანაო“.

ამგვარ წინადადებებში ენის ეკონომიის პრინციპით გამოტოვებულია მოქმედებითი მდგარი მსაზღვრელი სიტყვა: ქალმა **ისეთი ხმით/ძალით შეყვირა** და მოუქნია ხანჯალი ამ კაცს, რომ იმან საჭიროდ დაინახა უკან დახევა. ამ დროს იმ საჭურისმა, იმ ვირისშვილმა, **ისეთი ძალით გამილაწუნა** მათრახით ლოყაში. შევადაროთ ამ ტიპის მსაზღვრელით წარმოდგენილ შესაბამის წინადადებებს: „თვითონ **ისეთი ძალით** დასცა ხანჯალი მკერდში, რომ ტარიც ნახევრამდინ ჩაიძალა იარაში“; „იმათ, ხმალამოწვდილთ, **ისეთი სისწრაფით** შეუტის ერთს მხარეს, რომ მთელი ჯარი გააპეს და ის-იყო უნდა გასულიყვნენ მეორე ნაპირს, როდესაც გონს მოსული სალდათები ისევ შემოეხვივნენ“; „დილამდე არ მოვეშვებოდი, მაგრამ დაახლოებით თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა მთვარე **ისეთი სისწრაფით** გაექანა აღმოსავლეთისკენ, რომ ტელესკოპის მიდევნებას ძლივს ვასწრებდი“.

თავისებურ კონსტრუქციებს ქმნის ისეთი ტიპის წინადადებები, რომლებშიც მთავარი წინადადება გათიშულია დამოკიდებულისაგან, ხოლო საკორელაციო სიტყვა მისგან განკერძოებით დგას: „ცხოვრებაში ყველგან ნაღდია თითო ასეთი კაცი, – გაიფიქრა გრიშამ, – **ხელს რომ გიშლის, ისეთი**“. რამდენიმე წუთში მართლაც მოვიდა მოკლე, ყვითელი „მარშუტკა“, **ქალაქში რომ ყველგან დაქრიალებდნენ, ისეთი**“; კარგი ბიჭია ფათერაკ ღუნი, **ყველას რომ შვილად მოუნდება, ისეთი** – თქვა შიმას ბაკანმა“; „ქურთუკი მაგარი ეცვა, თეთრი ბეწვით გაწყობილი, ტყავის – **ანდების ავიახაზების მფრინავები რომ ატარებდნენ, ისეთი**“. ვფიქრობთ, ასეთ წინადადებებს ერთგვარი სტილისტიკური დანიშნულება აქვთ.

ზოგჯერ დასტურდება ისეთი წყობა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისა, რომელშიც მისათითებელი სიტყვა **ისეთი** მსაზღვრელთან შებრუნებული წყობითაა წარმოდგენილი: „**განცხრომა, ბრწყინვალეა ისეთი**, რომელზედაც ოცნებობენ რჩეულნი წუთის სოფლისა“; **დრო** მოვიდა, შვილო, **ისეთი**, რომ ყველა წუხს, ყველას ნამეტანი გასაჭირი ადგია“; „ამის გულისათვის ტალახი ბევრი ვსრისე, ლობე ბევრი გავარღვიე, **გზები ისეთი**, რომ ძლივს გავატანე“; „ჩემს თავზე იყვეს ეგ და რაც შეეხება ქალს, **ქალი ისეთი** მეგულება ერთი, რომ ქველიძის შვილი იმასთან რად უნდა გამოჩნდეს“. ახალ ქართულში მისამართი სიტყვის ადგილი განსაზღვრულია – ის საკავშირებელ სიტყვას ყოველთვის წინ უსწრებს. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მისი ადგილი თავისუფალი იყო, ნებისმიერ პოზიციამდე გვხვდებოდა. ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებში მისათითებელი ნაცვალსახელისა და მსაზღვრელის შებრუნებული წყობა დღეს ერთგვარი სტილებრივი დანიშნულებისაა.

ზეპირ მეტყველებაში საინტერესო სურათს იძლევა და ყურადღებას იქცევს ზოგი სახის ქვეწყობილი წინადადება არამართო შედგენილობით, არამედ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ნაწილების აზრობრივი მიმართებითაც. როგორც წესი, საკორელაციო სიტყვა დამოკიდებულ წინადადებაშია, ან ივარაუდება და მისი აღდგენაა შესაძლებელი. ასეა ყველა ტიპის და-

მოკიდებულ წინადადებაში, მაგრამ მეტყველებისას ზოგჯერ ისეთი წყობის განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადები დასტურდება, რომლებშიც საკორელაციო სიტყვა **ისეთი** დამატებითი ინფორმაციის სახითა თუ ჩართულის ფორმითაა წარმოდგენილი: „სულ ახალი დანიშნულება ჰქონდა, **ისეთი**, როგორც კაპიტან ფონ ვიტკოვიჩის ცხოვრებაში არც ერთ სხვა ფანჯარას არ ჰქონია“; „მოკლე კაბები აცვიათ, **ისეთი**, სირცხვილით ზედ არ შეეხედება არც ერთს“; „...და კიდევ – მეტალის სქელი წნელისგან თვითნაკეთი სახელური, **ისეთი**, მაღაზიებში რომ დიდრონ შეკვრებზე ამაგრებენ, იოლად სატარებლად“; „თეთრი პოლო ეცვა, **სწორედ ისეთი**, პრინსტონში რომ იცვამდა“; „ნაწარმოებში ოხრადაა მიმოფანტული სხვადასხვა უცნაური ნივთი, **ისეთი**, ტომ სოიერი რომ სიამოვნებით წააპოწიალებდა გადასაცვლელად“; „ის ისევ კაცი იყო ჩემთვის, **ოღონდ ისეთი**, რასაც მოსთხოვ, რომ აგისრულებს“.

ზეპირ მეტყველებაში ასევე გვხვდება ისეთი წინადადებები, რომლებშიც განმეორებით გვხვდება საკორელაციო სიტყვა **ისეთი**: „**ისეთი** ბროწეულია, **ისეთი**, როგორც შაქარლამა! პირდაპირ ჰერევიდან მიმიღია, მე და ჩემმა ღმერთმა“; „ჩვენი ურთიერთობა კი მაინც **ისეთი** გასაიდუმლოებული იყო, სერჟ, **ისეთი**“; „...მერე, როგორ შეიძლება არ გიყვარდეთ ზღვა, **ისეთი** ლამაზია, **ისეთი**“. ისინი, რა თქმა უნდა, სტილისტიკური დანიშნულებით, მეტი ექსპრესიისათვისაა გამოყენებული.

ჩვენ მიერ მოხმობილი ყველა ტიპის აგებულებისა და შინაარსის წინადადებები ექსპრესიულ-ემოციური ხასიათისაა და ის ზეპირ მეტყველებას ახასიათებს. განსაზღვრებითდამოკიდებულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მისათითებელ სიტყვასთან საზღვრული სიტყვის დაკარგვის გახშირება მეტყველებაში კი ენაში მოქმედი ეკონომიის პრინციპით უნდა აიხსნას.

## ლიტერატურა

**ბურჭულაძე 2014** – თ. ბურჭულაძე, ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში, თბილისი.

**კვანტალიანი 1983** – ლ. კვანტალიანი, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვლასახელის შეთანხმება ქართულში, თბილისი.

**კვანტალიანი 1990** – ც. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი.

**კვაჭაძე 2010** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**ძიმიგური 1989** – შ. ძიმიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში, თბილისი.

TEA BURCHULADZE

### The Peculiarities of a Relative Clause in the Spoken Language

#### S u m m a r y

Sometimes, in the complex sentence containing a relative clause, an indicative pronoun *iseti* “such/so” is given in the plural in the spoken language, e.g., *isetebi minaxavs, isetebi daumaṭebiat, isetebi daiṭgo*. Such sentences are formed by omitting a modifier. The indicative pronoun that is the head is not accompanied by a corresponding modifier. These are abbreviated forms, in which the modifier is assumed to be in the plural, and since it is omitted, the indicative word takes the plural form, e.g.: *imat ḳidev isetebi (iseti rayacebi/ambebi) daumaṭebiat korḳilis xarḟebze, ḳristo bedoias rom arc smenia; me ak isetebi (iseti rayacebi) minaxavs, rom ḡvela kristians tma ḡalqze daudgeboda*, etc. We think such sentences are created through language economy.

An interesting picture is given by the clauses containing the indicative pronoun *iseti* in which the correlative word *ise* should be used because, in fact, the clauses of such a structure are adverbial (manner) clauses: *akebdnen, iseti akebdnen (ise akebdnen), ro ha!; iseti avad ševikeni (ise avad ševikeni), ise, rom čems morčenas adamiani aḡar pikrobda turme; iseti ḡḳbilad mečvena (ise ḡḳbilad) misi xma, rogorc salamuris sḟvena*. If we consider this issue from a normative point of view, it is obvious that they are incorrect. The clauses with such a structure are adverbial subordinate clauses and require not the correlative pronoun *iseti* of a relative clause, but the indicative word *ise* of an adverbial (manner) subordinate clause. Such forms are more prevalent in the speech of young people.

In some relative clauses, the correlative word *iseti* is presented as an additional information or a parenthetic word or it is repeated in the spoken language. The sentences of such a type of structure and meaning are expressive-emotional in nature and are typical for the spoken language. The increasing frequency of the loss of a modifier next to the head in the relative clause should be explained by the principle of language economy.

თამარ გუჩუა

### ეთნოგრაფიულ წყაროებში დადასტურებული პერფორმატიული გამონათქვამების შესახებ

პერფორმატიული გამონათქვამის ცნება სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ჯონ ოსტინმა შემოიტანა. მის მიერ 1952-1954 წლებში ჯერ ოქსფორდში, ხოლო 1955 წელს – ჰარვარდში წაკითხული ლექციები თემაზე „სიტყვა და მოქმედება“ ერთ სალექციო კურსად შეიკრა და 1962 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „როგორ ვიმოქმედოთ სიტყვებით“ (How to do Things with Words). ჯონ ოსტინმა პირველივე ლექციაზე დასვა შეკითხვა, არსებობს თუ არა ენაში ისეთი ოპოზიცია, როგორცაა პერფორმატივი-კონსტატივი და თავადვე უპასუხა: „კონსტატიურ გამონათქვამს, როგორც მტკიცებას, ახასიათებს იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. პერფორმატიული გამონათქვამი კი არ შეიძლება იყოს ასეთი. მას თავისი მიზანი აქვს – მოქმედების განხორციელება“ (ოსტინი 2010: 22; ოსტინი 1962: 3).

ჯონ ოსტინის თანახმად, პერფორმატიული გამონათქვამის წარმოქმნით ჩვენ ვასრულებთ გარკვეულ აქტს, მოქმედებას, რომლის შესრულებაც სხვა საშუალებებით უბრალოდ გაგვიჭირდებოდა. პერფორმატიული გამონათქვამი უფრო მოქმედების ჩადენას ჰგავს, ვიდრე მის აღწერას. ფილოსოფოსი წერს: „როცა საკურთხეველთან ვამბობ, „დიახ, თანახმა ვარ“, ამით ვინმეს კი არ ვატყობინებ ჩემი ქორწინების შესახებ, არამედ თავად ამ სიტყვებითვე ვმონაწილეობ საკუთარი ქორწინების იურიდიულ აქტში“. როგორ აღვნიშნოთ ამ ტიპის გამონათქვამები? ოსტინი გვთავაზობს, ვუწოდოთ მათ პერფორმატიული გამონათქვამები ან შემოკლებით, პერფორმატივები: „სახელწოდება მომდინარეობს სიტყვისგან perform (წარმოდგენა, განხორციელება, შესრულება). ის მიუთითებს, რომ გამონათქვამი უკვე ნიშნავს მოქმედების შესრულებას და ასეთ დროს არ იქნება სწორი ვიფიქროთ, რომ სიტყვების შემთხვევით კრებულთან გვაქვს საქმე“ (ოსტინი 1962: 6-7).

როგორც ჯონ ოსტინის, ასევე მის შემდგომ და თანამედროვე სამეცნიერო კვლევებშიც პერფორმატივებად განიხილება ისეთი ტიპის გამონათქვამები, როგორებიცაა დალოცვა, დაფიცება, დაპირება, დამუქრება... საინტერესოა, რომ ამ ტიპის გამონათქვამები მეტწილად კულტურულ ტრადიციებთან და სხვადასხვა ადათ-წესთანაა დაკავშირებული. შევეცდებით რამდენიმე მათგანი განვიხილოთ ქართულში და საილუსტრაციოდ ქართველ ეთნოგრაფთა და ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერები მოვიხმოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში პერფორმატიული ფრაზების დადასტურების თვალსაზრისით ყველაზე პროდუქტიული გლოვის, ნიშნობისა და ქორწინების წეს-ჩვეულებებია. ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით, ისეც ხდება, როცა ერთი და იგივე პერფორმატივი რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებულ ტრადიციაშია წარმოთქმული. მაგალითად, „შენ – დედა, მე – შვილი!“ – ფიცის ფორმულაა ვინმესთან დანათესავების მიზნით თქმული და მისი გამოყენების პირველი შემთხვევა დაკავშირებულია ადამიანის გარდაცვალებასთან, როცა „ოჯახის წევრები გარდაცვლილის სანაცვლოდ შეარჩევდნენ ვინმეს, მისი თვისებების მქონეს, რომელიც მგლოვიარეს წვერს (თმას) სამჯერ ჩამოკრეჭდა ყველას თანდასწრებით და ასე ხდებოდა შვილნაფიცი“ (ლამბერტი 2011: 85, სახოკია 1956: 73-77); მეორე შემთხვევა უკავშირდება შვილად აყვანის რიტუალს, როცა „შვილად ასაყვანმა ქალის ძუძუს ორივე თავს კბილები უნდა დაადგას, ვითომ ძუძუმწოვარა ბავშვია და შეჭვიცოს სამჯერ: „შენ – დედა, მე – შვილი“. ამ სიტყვებით ის შვილნაფიცი ხდება“ (სახოკია 1956: 136; მაკალათია 2006: 347); მესამე შემთხვევა კი უკავშირდება ორი მოწინააღმდეგე მხარის ერთმანეთთან შერიგებას, როცა „საკმარისია დევნილმა მხარემ მიმართოს შუამდგომლობას იმ ქალისას, რომელიც ენათესავება მდევენელს ანუ მტრებს, მოუღობოს გული, შეაბრალოს თავი, დაითანხმოს, „ძუძუზე კბილი დაადგმევინოს“ და სამჯერ წარმოთქვას ფიცის ფორმულა: „შენ – დედა, მე – შვილი“. ამ წუთიდან კი ყოველი არსებული შუღლი და შფოთი მათ შორის სამუდამოდ დავიწყებული იქნება და ასე განმტკიცდება ნათესაური კავშირი“ (სახოკია 1956: 77).

ორი მხარის დანათესავებას გულისხმობს ნიშნობის ტრადიცია და მასთან დაკავშირებული პერფორმატიული გამონათქვამიც. ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მე-17 საუკუნეში სამეგრელოში საკმაოდ გავრცელებული იყო ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნის წესი, რომელიც შემდეგნაირად სრულდებოდა: ვაჟის დედა მიმართავდა თავის შვილს და მიუთითებდა გოგოს აკვანზე: „აი, შენი ცოლი!“ გოგოს დედა მიუბრუნდებოდა თავის შვილს, უჩვენებდა ვაჟს და ეტყოდა: „აჰა, შენი ქმარი! ღმერთმა გაგ ზარდოთ, დაგაქორწინოთ, ერთმანეთთან ბედნიერად და სიამტკბილობით გაცხოვროთ“. ნიშნობასთან დაკავშირებული ამ პერფორმატიული გამონათქვამების, როგორც დალოცვის ერთგვარი ფორმულის, ორივე მხარის მიერ სამჯერ წარმოთქმის შემდეგ ნიშნობის წესი შესრულებულად ითვლებოდა და ამ აღთქმის დარღვევა მასში მონაწილე პირებისთვის დაუშვებელი იყო (სახოკია 1956: 82; მაკალათია 2006: 331-332; მაკალათია 1984: 167-169).

გარდა ნიშნობისა, პერფორმატიული გამონათქვამი დასტურდება ქორწინების, ჯვრისწერის რიტუალშიც. საინტერესოა, რომ მასში მონაწილე მხარეების მიერ ლამის იურიდიული ძალის მქონე ფრაზა სხვადასხვა კულტურასა თუ ეთნოსში მეტწილად მსგავსია (იგულისხმება რიტუალის წამყვანი პირის მიერ ქორწინების თანხმობასთან დაკავშირებული შეკითხვის დასმა და მასში მონაწილე პირების მიერ პასუხის გაცემა). თუმცა მე-17 საუკუნის სამეგრელოს მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, მცირე, გენდერული ხასიათის გამონაკლის შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ჯვრისწერამდე მღვდელი სასიძოსა და საპატარ-



ძლოს მიმართავდა ტრადიციული კითხვა-ფორმულით: „*თანხმ ხართ?*“ სასიძოსგან ადვილი იყო თანხმობის მიღება, საპატარძლოსგან კი იშვიათად გაიგონებდით „ჰო“-ს ან „არა“-ს, რადგან საქორწილო ცერემონიალის დროს ქალის მხრიდან ხმის ამოღება იმდროინდელ საზოგადოებაში უწესობად ითვლებოდა და ქალის დუმილი ნიშნავდა დასმულ შეკითხვაზე მის თანხმობას (სახოკია 1956: 97). ქორწილში დედოფალს თავი ისე ეჭირა, თითქოს მის გარშემო მიმდინარე ამბების გულგრილი მაყურებელი ყოფილიყო. საინტერესოა, რომ სწორედ ამ წესს უკავშირდება ენაში გავრცელებული ფრაზეოლოგიზმი „პატარძალივით ზის“, ე.ი. ჩუმადაა, არაფერს არ აკეთებს.

პერფორმატიული გამონათქვამების სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ მხოლოდ კონკრეტულ, განსაზღვრულ სიტუაციაში აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც არ აღწერენ არანაირ მოქმედებას, პირიქით, თვითონ წარმოადგენენ მას. მსგავსი სიტყვა-ფორმულები თუ ფრაზები უხვად დასტურდება თანამედროვე ქართულშიც. მართალია, დღეს, ყოველდღიურ მეტყველებაში, ამ გამონათქვამებს სხვადასხვა მოქმედებასთან დაკავშირებული კონკრეტული და რიტუალური სარჩული გამოცლილი აქვთ, თუმცა მათი სემანტიკური ისტორიის დადგენა ეთნოგრაფიული ჩანაწერების მოხმობით შეგვიძლია. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

„*შენ ხარ ჩემი ბატონი*“ – გამოხატავს თანამოსაუბრისადმი დათანხმებას, მორჩილებას. გამონათქვამი მომდინარეობს იმ პერიოდიდან, როცა საზოგადოება კლასებად იყო დაყოფილი: „ამ თქმას გამოურევდნენ, როგორც ჩართულ წინადადებას ლაპარაკში, როცა მიჰმართავდა უმცროსი უფროსს, დაბალი წოდებისა (გლეხი) – აზნაურსა, თუ თავადს“ (სახოკია 1979: 756). ამ ფრაზით მოსაუბრე ხაზს უსვამდა საკუთარ დაბალ სოციალურ სტატუსს თანამოსაუბრესთან შედარებით. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც ეს გამონათქვამი ენაში დარჩა, როგორც ზრდილობიანი მიმართვის ფორმულა, როგორც გამოხატვა პატივისცემისა და კრძალვისა იმისადმი, ვისაც ველაპარაკებით ან რამეს მოვახსენებთ.

„*ჩემი წყალი გადაგესხას*“ – დალოცვის ფორმულაა და ამით მთქმელი უსურვებს თანამოსაუბრეს, რომ ისიც მასავით გაბედნიერდეს. „წყალი, როგორც ვიცით, ბედნიერების ნიშანი იყო. ამას ეუბნებოდა ხოლმე ახალი გათხოვილი ქალი გასათხოვარს და ამით ლოცავდა გათხოვების მომლოდინეს: ვითომდა შენც ჩემსებ გაბედნიერდი და ქმარი გელირსოსო“ (სახოკია 1979: 780, 877). ფრაზის სემანტიკა მომდინარეობს წყალთან დაკავშირებული წარმოდგენებიდან. ქრისტიანულ რელიგიაში ის განკურნების, განწმენდის და მიტევების სიმბოლოა; ქართულ ადათ-წესებშიც წყალი ამბივალენტური ბუნებისაა და თავვანისცემის ობიექტია, რაც ენაში სხვადასხვა პერფორმატიული გამონათქვამის არსებობითაც დასტურდება. მაგალითად, დაფიცება: „*წყალი არ გაუვა*“, წყევლა: „*წყალსაც წაულია*“, დალოცვა: „*წყლის ძალა მოგეცეს*“ და ა.შ.

„*შენს პირს შაქარი*“ – აღნიშნული დალოცვის ფორმულა მომდინარეობს ძველი ქართული საქორწილო ჩვეულებიდან, როცა სახლთან ნეფე-დედოფლის მოახლოებისას მაყრიონიდან ერთ-ერთი სახლში პირველი მიდიოდა, რათა მასპინძლებისთვის პატარძლის წამოყვანის ამბავი ეხარებინა. ასეთ მახა-

რობელს კი პირში შაქარს ჩაუდებდნენ, რომელიც მაშინ არც ისე ადვილი საშოვარი იყო. სახოკია წერს: „აქედან ეს მოქმედება (პირში შაქრის ჩადება) ზემორე ნათქვამში ჩაექსოვა, როგორც გახარების გამომხატველი, და თვით თქმას ხმარობენ სასიხარულო ამბის მოსმენის დროს, სასიამოვნო ამბის მთქმელისათვის პირში ნამდვილად შაქრის ჩადების მაგიერ“ (სახოკია 1979: 754). ქართულში ეს გამონათქვამი ერთგვარი დალოცვაა და მთქმელის მიერ საუბრის თემისა თუ ობიექტისადმი კეთილგანწყობას გამოხატავს.

„ეს ძველი და სხვა ახალი“ – დალოცვის ფორმულაა, რომლითაც მიმართავენ მას, ვისაც ახალი ტანისამოსი აცვია, „ე.ი. ეს დაგძველებოდეს და კიდევ ბევრი ახალი გაგეცვიტოს, ანუ: დიდხანს გაცოცხლოს, დღეგრძელი იყავ“ (სახოკია 1979: 188). ნიშნავს ვინმესთვის დიდი ხნის სიცოცხლის სურვებას.

„გადამიფარებია“ – წყევლის ფორმულაა. გამოთქმა დაკავშირებულია ქელებში ფულის აკრების ტრადიციასთან, როცა მიცვალებულის ოჯახის ახლობლებს ერთგვარი ფულადი შესაწირავი მიაქვთ დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად. ანალოგიური ფრაზა დასტურდება მეგრულშიც (სქან გინაფორალი ორდას „შენი გადასაფარებელი იყოს“). სახოკიას თანახმად, როცა მეგრელს ვინმე ფულს გამოართმევს და აღარ დაუბრუნებს, ის ამ ფრაზით უსურვებს მსესხებელს სიკვდილს, ისეთ მდგომარეობას, როცა მისთვის ფულის აკრება გახდება საჭირო (სახოკია 1956: 125; მაკალათია 2006: 352).

პერფორმატიული გამონათქვამები მეტწილად ვერბალური რიტუალების მთავარ კომპონენტებად გვევლინებიან. ვინაიდან რიტუალი თავისი ბუნებით სინკრეტული ხასიათისაა და თავის თავში მოიაზრებს როგორც მოქმედებას, ასევე მეტყველებასაც, ამიტომაც მის მთავარ ბირთვს სწორედ მსგავსი სიტყვა-ფორმულები წარმოადგენენ. აქ საინტერესოა ის, რომ ამ ტიპის ტექსტებში ადრესატად რეალური თანამოსაუბრე სულაც არ ჩანს და ფორმალურად არის ნაგულისხმევი. მიმართვის ობიექტი შეიძლება იყოს ღმერთი, ზებუნებრივი ძალა, წმინდა სულები და ა.შ. განვიხილავთ მსგავსი შემთხვევის რამდენიმე მაგალითს.

„გენაცვალე“ – ზრდილობის გამოხატვისა და თხოვნის ფორმულაა. ფრაზის წარმომავლობა დაკავშირებულია უძველეს დროში გარდაცვალების თემის ირგვლივ არსებულ სხვადასხვა ცრურწმენასთან, მათ შორის სიკვდილის ერთგვარ მომადლიერებასთან, როცა ავადმყოფის ოჯახის წევრები მომაკვდავის სანაცვლოდ სწირავდნენ საქონელს, ავეჯს, სხვა ძვირფას ნივთებს (სახოკია 1979: 89) და ასე, სხვადასხვა რიტუალის შესრულებით, ცდილობდნენ მომაკვდავს „ჩანაცვლებოდნენ“. მაკალათიას შენიშვნით, მსგავს წესს ვხვდებით მთაშიც, კერძოდ, ხევსურეთსა და თუშეთში, სადაც „თავშემოვლა იციან, დედა ან მახლობელი ავადმყოფს შემოუვლის და იტყვის: „ღმერთო, ჩემი თავი ააფარე და ეს აუშვი“ (მაკალათია 1984: 225; მაკალათია 1983: 199). ამ ე.წ. თავშემოვლის რიტუალს უკავშირდება ქართულში კიდევ ერთი გამონათქვამი – „შემოგველე“.

„შემოგველე“ – სიყვარულის გამომხატველი ფრაზაა და მიუთითებს იმაზე, რომ მთქმელი მზადაა მოკვდეს იმის მაგიერ, ვისაც ხელს შემოავლებენ. თ. სახოკიას შენიშვნით, თავზე ხელის შემოვლების ჩვეულება მომდინარეობს

ადამიანის რწმენისგან, რომ ერთს შეუძლია მეორის ნაცვლად მოკვდეს, რომ ერთს შეუძლია თავისი სიცოცხლე მეორის კარგად ყოფნას ამსხვერპლოს. ამ ჩვეულებას საყვარელი ადამიანის ავად გახდომის დროს მიმართავდნენ. მაგალითად, შვილის ავადმყოფობის დროს დედა ან მამა სამჯერ შემოავლებდა ხელს ავადმყოფი შვილის თავზე და ამით სიკვდილს თხოვდა, შვილის სულის მაგიერ მისი სული წაეყვანა (სახოკია 1956: 95).

პერფორმატიული გამონათქვამები ენაში სუბიექტურობის საკითხს უკავშირდება. თუ დავუკვირდებით, ადვილად შევნიშნავთ, რომ მსგავსი ტიპის ფრაზები მეტწილად პირველ პირშია წარმოდგენილი, ვინაიდან მთქმელის პოზიციაა, მისი სამეტყველო აქტია კონკრეტული მოქმედების საპირწონედ.

იმის შესახებ, რომ ენაში სუბიექტურობის მთავარ მაჩვენებლად სწორედ რომ პირველი პირის ნაცვალსახელი გვევლინება, საუბრობს ფრანგი ენათმეცნიერი ემილ ბენვენისტი: „მაგალითად, ფრაზა „მე ვფიცავ“ წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ფორმას, რამდენადაც ის ფიცის ნამდვილობას მიაწერს მთქმელს, პირველ პირს. აქ გამონათქვამი იმავდროულად მოქმედებაა. გამონათქვამი „მე ვფიცავ“ თვითონ ვალდებულების აღების აქტია და არა შესრულებული აქტის აღწერა. როცა ვამბობ, „მე გპირდები, „მე უზრუნველყოფ“ ამით ვიძლევი პირობასაც და გარანტიასაც“ (ბენვენისტი 1974, 299). პერფორმატიული გამონათქვამებით გამოხატული ფიცისა თუ პირობების განხორციელება (სოციალური, იურიდიული და ა.შ.) იწყება თქმის მომენტიდან. თუმცა ეს ყველაფერი ზმნის მნიშვნელობაში კი არაა ჩადებული, არამედ თვითონ მეტყველების სუბიექტურობა ხდის ამ მოქმედებას შესაძლებელს. განსხვავებას ადვილად დავინახავთ თუ მსგავს, პირველ პირში წარმოდგენილ ფრაზებს გადავიყვანთ მეორე პირში და, მაგალითად, ნაცვლად ფორმებისა „გენაცვალე“, „შემოგველე“ ვიტყვით „ენაცვალე“, „შემოველე“ და ა.შ. ამ შემთხვევაში პერფორმატიული გამონათქვამების ნაცვლად მივიღებთ უბრალოდ აღწერითი ხასიათის ფრაზებსა თუ წინადადებებს.

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, პერფორმატიული გამონათქვამი გარკვეული მოქმედების ჩადენას უდრის და აქედან გამომდინარე, ჯონ ოსტინის შენიშვნით, ის შეიძლება შედეგის მიხედვით იყოს როგორც წარმატებული, ასევე წარუმატებელი. ეს დამოკიდებულია იმაზე, მასში ნაგულისხმევი მოქმედება და მთქმელის პოზიცია რამდენად ჭეშმარიტი და ნამდვილია. მსგავსი სიტყვა-ფორმულების წარმატება-წარუმატებლობა დაკავშირებულია ადამიანებს შორის არსებულ ურთიერთობებთან, დამოკიდებულებებთან, მათ შესაძლებლობებსა და მზაობასთან, დადგან საერთო ლინგვისტური პერფორმანსი.

### ლიტერატურა

- ბენვენისტი 1974** – Бенвенист Э., Общая лингвистика, Москва.
- ლამბერტი 2011** – არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი.
- მაკალათია 2006** – სერგი მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.
- მაკალათია 1984** – სერგი მაკალათია, ხეცსურეთი, თბილისი.
- მაკალათია 1983** – სერგი მაკალათია, თუშეთი, თბილისი.
- ოსტინი 2010** – Austin J. L., Performative-constative, Univ. of Illinois Press, 1963 – В кн: Философия языка, редактор составитель Дж. Р. Сёрл, Москва.
- ოსტინი 1986** – Остин Дж. Л., Слово как действие – В кн: Новое в зарубежной лингвистике, Вып. XVII, С. 22-131, Москва.
- ოსტინი 1962** – Austin J. L., How to do things with words, Oxford.
- სახოკია 1979** – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.
- სახოკია 1956** – თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი.

TAMAR GUCHUA

### **On Performative Utterances Attested in Georgian Ethnographic Sources**

#### S u m m a r y

According to the traditional definition, performative utterances are sentences that not only describe a given reality but also change the social reality they are describing. In other words, performatives are words like congratulate, promise, permit, thank, etc. These types of expressions are largely related to cultural traditions and various customs. The paper discusses several similar expressions in Georgian and the records of Georgian ethnographers and European travelers are given as examples.

ქეთევან დათუკიშვილი

**ბრუნების ტიპებისათვის თანამედროვე ქართულში**

ბრუნების ტიპების შესახებ განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ლ. კვაჭაძე, ვ. თოფურია, თ. უთურგაიძე, ალ. ონიანი, ა. არაბული...).

ა. შანიძე ბრუნების ტიპებს გამოყოფს პარადიგმაში ბრუნვის ნიშანთა მიმდევრობის ანუ ყალიბის მიხედვით. შესაბამისად, გვაქვს ბრუნების სამი ტიპი:

	I ტიპი (თანხმოვანფუძ.)	II ტიპი (ხმოვანფუძ. კვეც.)	III ტიპი (ხმოვანფუძ. უკვეც.)
სახ.	-ო	-Ø	-Ø
მოთხ.	-მა	-მ	-მ
მიც.	-ს	-ს	-ს
ნათ.	-ის	-ის	-ს
მოქ.	-ით	-ით	-თი
ვით.	-ად	-დ	-დ
წოდ.	-ო	-Ø // -ვ // -ო	-Ø // -ვ // -ო

არნ. ჩიქობავაც ბრუნების სამ ტიპს გამოყოფს, ოღონდ კლასიფიკაციის პრინციპი განსხვავებულია. კერძოდ, იგი ეფუძნება სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნის ურთიერთგავლენას და ასახელებს შემდეგ შემთხვევებს:

1. არც ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში, არც ფუძის დაბოლოება მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე: ამხანაგ-ი, ვაჟკაც-ი...
2. ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი იწვევს ფუძის ცვლილებას (კუმშვას ან კვეცას): სოფელ-ი – სოფლ-ისა; გზა – გზ-ისა...
3. ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე – იკარგება ბრუნვის ნიშნის დასაწყისი ხმოვანი: წყარო – წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი... (ჩიქობავა 1998: 30).

ლ. კვაჭაძე ბრუნების ტიპების გამოყოფისას ითვალისწინებს ბრუნვის ნიშანთა ცვალებადობას ბრუნების დროს და გამოყოფს ორ ჯგუფს. „პირველ ჯგუფში შედის ის სახელები, რომელთაც ბრუნვის ნიშნები უცვლელად აქვთ დაცული; ესენია ბოლოთანი ხმოვნისანი სახელები; მეორე ჯგუფში კი ის სახელები, რომელთაც ბრუნვის ნიშნები არა აქვთ უცვლელად დაცული;

ესენია ბოლო ხმოვნის სახელები. ამის მიხედვით ქართულში ბრუნების ორი ტიპი გვაქვს: I და II. პირველი ტიპის ბრუნებას ბოლოთანხმოვნის სახელები განეკუთვნება, მეორეს – ბოლოხმოვნები“ (კვაჭაძე 1981: 120).

აღ. ონიანის აზრით, ბრუნების ტიპების გამოყოფას საფუძვლად უნდა დაედოს როგორც ბრუნვის მორფემათა ალომორფების მიხედვით სხვადასხვაობა, ისე ფუძის ვარიანტთა მიხედვით განსხვავება (ონიანი 2003: 49). ამ თვალსაზრისით იგი გამოყოფს ბრუნების 4 ტიპს:

I ტიპი – ფუძეკუმშვადი სახელები (მერცხალი, კედელი, მინდორი)

II ტიპი – ფუძეუკუმშველი სახელები (აწივი, ქალი, აქლემი)

III ტიპი – ფუძეკვეცადი სახელები (ძმა, მეფე, ღვინო)

IV ტიპი – ფუძეუკვეცელი სახელები (წყარო, ძუძუ, ჩაი)

თ. უთურგაძე გამოყოფს ბრუნების 7 ტიპს მორფონოლოგიური თვალსაზრისით:

I ტიპი – ფუძეუკუმშველი სახელები: გობი

II ტიპი – თანხმოვანფუძიანი კუმშვადი სახელები: ობოლი, მინდორი

III ტიპი – კვეცადი სახელები, რომლებიც ფუძის ბოლო ხმოვანს იკვეცავენ ორივე რიცხვში – ძმა

IV ტიპი – მხოლოდით რიცხვში არ იკვეცებიან, მრავლობით რიცხვში იკვეცებიან: გოგონა, შავჩოხა, სამურაი

V ტიპი – მხოლოდით რიცხვში კვეცადი და მრავლობით რიცხვში უკვეცელი სახელები: ხე

VI ტიპი – /ო/-ზე და /უ/-ზე დაბოლოებული სახელები, ისინი ფუძის ბოლო ხმოვანს არ იკვეცენ საერთოდ: ყრუ

VII ტიპი – კვეცად-კუმშვადი სახელები: ქვეყანა (უთურგაძე 2009: 104-6)

ა. არაბული ბრუნების მორფოლოგიის, კერძოდ, ფუძის ვითარების გათვალისწინებით წარმოადგენს 8 ტიპის პარადიგმას (ახალი ქართული ენა 2016: 187):

1	2	3	4	5	6	7	8
სახლ-	კედელ-	მაწონ-	წყარო	ძმა	ხე	თხუნელა	ქარხანა
„__“	კედლ-	მაწვნ-	„__“	ძმ-	ხ-//ხე	თხუნელა// თხუნელ	ქარხნ-

ფონეტიკური ქცევის გათვალისწინებით ა. არაბული კიდევ რამდენიმე ქვეტიპს გამოყოფს მე-2, მე-7 და მე-8 ტიპებისათვის. საბოლოოდ ავტორი ფონოლოგიური, მორფოლოგიური და მორფონოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით გვთავაზობს კლასიფიკაციის იერარქიულ (საფეხურებრივ) სისტემას (ახალი ქართული ენა 2016: 189).

თუ ზემოთ წარმოდგენილ სხვადასხვა კლასიფიკაციას შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ ბრუნების ტიპების გამოყოფისას მკვლევრებს გამოყენებული აქვთ სხვადასხვა კრიტერიუმი, კერძოდ:

- ბრუნების ყალიბი (ა. შანიძე)
- ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთგავლენა (არნ. ჩიქობავა)
- ბრუნვის ნიშანთა ცვალებადობა (სისრულე) (ლ. კვაჭაძე)
- მორფოლოგია (ფუძის ფონეტიკური ცვლილება) (თ. უთურგაძე)
- ბრუნების მორფოლოგია (ბრუნვის მორფემათა ალომორფები) და ფუძის ფონეტიკური ცვლილება (ალ. ონიანი, ა. არაბული)

ზოგადად, ბრუნების ტიპთა გამოყოფისას გათვალისწინებულია ორი ასპექტი:

1. მორფოლოგიური: ბრუნვის ნიშანთა პარადიგმა
2. ფონოლოგიური: ფუძის ფონეტიკური ცვლილება

ჩვენ გვინტერესებს თანამედროვე ქართული ენის სისტემაში ბრუნების ტიპების გამოყოფა პრაქტიკული, კერძოდ, ენის მოდელირებისა და სწავლების თვალსაზრისით. ამიტომ ტიპების გამოყოფისას ვირჩევთ შემდეგ მეთოდოლოგიურ მიდგომას: მონაცემებს აღვწერთ სინქრონიულ დონეზე. აღწერისას მნიშვნელოვანია ბრუნების პარადიგმის სტრუქტურა – რომელი ბრუნვის ნიშნები (//ბრუნვის ნიშანთა ალომორფები) დაერთვის ამა თუ იმ სახელის ფუძეს. ვითვალისწინებთ აგრეთვე ბრუნვის ნიშნის გავლენით ფუძის ცვლილებას (კუმშვასა და კვეცას), ხოლო რაც შეეხება ფუძის გავლენით ბრუნვის ნიშნის ცვლილებას, ჩვენი აზრით, ის სინქრონიული ანალიზისას არ უნდა იყოს განხილული. მაგალითისთვის: თანამედროვე ქართული ენის ბრუნების სისტემის აღწერისას ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებს ნათესაობით ბრუნვაში დაერთვის **-ს**, მოქმედებითში – **-თი**. ის ფაქტი, რომ ეს ალომორფები ფუძის გავლენით არის მიღებული (**-ის** და **-ით** ბრუნვის ნიშნებისაგან), წარმოადგენს ისტორიული პროცესის შედეგს. ამიტომ სინქრონიულ დონეზე პარადიგმის აღწერისას, ვფიქრობთ, ამისი აღნიშვნა რელევანტური არ არის. ამ პრინციპის გამო ჩვენ ვერ გავიზიარებთ ბრუნების ტიპების გამოყოფას აღნიშნულ მონაცემზე (ფუძის გავლენით ბრუნვის ნიშნის ცვლილებაზე) დაყრდნობით (იხ. არნ. ჩიქობავასა და ლ. კვაჭაძის კლასიფიკაციები).

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ჩვენ ბრუნების ტიპებს ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ საზოგადო არსებითი სახელებისათვის. საკუთარი სახელების, აგრეთვე ზედსართავი სახელების, რიცხვითი სახელებისა და ნაცვალსახელების ბრუნებას გარკვეული თავისებურება ახასიათებს, რაც ცალკე კვლევის საგანია. ამასთან, წარმოდგენილ სტატიაში ვაანალიზებთ მხოლოდ მითი რიცხვისა და ებიანი მრავლობითის პარადიგმებს. რაც შეეხება ნართანიან მრავლობითს, იქაც გარკვეული პრობლემები დგება. ამიტომ ამ შემთხვევაში ნართანიანი მრავლობითის პარადიგმა არ იქნება განხილული. მით უმეტეს, რომ იგი ბრუნების ტიპებს არ ცვლის.

ზემოთ განხილულ სისტემებში ბრუნების ტიპთა გამოყოფა უმეტესად ხდება ფონოლოგიური ნიშნით, რის გამოც გვაქვს გარკვეული შეუსაბამობა ყალიბის თვალსაზრისით, კერძოდ:

1. სხვადასხვა ყალიბის ბრუნება ერთ ტიპში განიხილება:

არნ. ჩიქობავა: II ტიპი: კუმშვადი, კვეცადი

ლ. კვაჭაძე: II ტიპი: ხმოვანფუძიანები: კვეცადი, უკვეცელი

2. ერთი და იმავე ყალიბის სახელები სხვადასხვა ტიპში განიხილება:

აღ. ონიანი: I ტიპი: ფუმეკუმშვადი სახელები; II ტიპი: ფუმეუკუმშველი სახელები

თ. უთურგაძე: ა) I ტიპი: ფუმეუკუმშველი სახელები; II ტიპი: ფუმეკუმშვადი სახელები; ბ) III ტიპი – კვეცადი სახელები, რომლებიც ფუძის ბოლო ხმოვანს იკვეცავენ ორივე რიცხვში: ძმა; V ტიპი – მხოლოდით რიცხვში კვეცილი და მრავლობით რიცხვში უკვეცელი სახელები: ხე

ა. არაბული: ა) I ტიპი: სახლ; II ტიპი: კედელ; III ტიპი: მაწონ; ბ) V ტიპი: ძმა; VI ტიპი: ხე.

ჩვენი აზრით, ამგვარ შეუსაბამობას ავიცილებთ თავიდან, თუ ბრუნების ტიპების გამოყოფის საფუძვლად ავიღებთ მორფოლოგიურ ასპექტს. კერძოდ, ტიპები უნდა გამოიყოს ბრუნების ყალიბის, ანუ პარადიგმის მოდელის მიხედვით. რაც შეეხება ფონეტიკურ ცვლილებებს, ისინი უნდა აისახოს ქვეტიპებში.

როგორც ცნობილია, ბრუნვის ნიშნებს (მიცემითი ბრუნვის გარდა) აქვს ალომორფები.

სახ.	-ო / - <del>ო</del>
მოთხ.	-მა / -მ
მიც.	-ს
ნათ.	-ის / -ს
მოქ.	-ით / -თი / -თ
ვით.	-ად / -დ
წოდ.	-ო / -ვ / - <del>ო</del>

ბრუნვის ნიშანთა ყალიბები ანუ მოდელები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელი ალომორფებია წარმოდგენილი პარადიგმაში. ალომორფთა რამდენი განსხვავებული მიმდევრობაც გვაქვს, იმდენი მოდელი გამოიყოფა. შესაბამისად, გვექნება ბრუნების იმდენივე ტიპი.

ბრუნების ტიპებს ბრუნების მოდელის (ყალიბის) მიხედვით გამოყოფს ა. შანიძე. თუ ამ პრინციპს ბოლომდე თანამიმდევრულად გავატარებთ, მაშინ ა. შანიძის სამ ტიპს კიდევ ორი უნდა დავუმატოთ. მართალია, ამ ორი ტიპის სახელებს მხოლოდ ერთ ბრუნვაში აქვთ განსხვავებული ნიშანი, მაგრამ კლასიფიკაციის პრინციპის მიხედვით ისინი ცალკე უნდა გამოიყოს. ეს სახელებია:

1. კუმშვად-კვეცადი სახელები: მეორე ტიპის ბრუნებისაგან ისინი განსხვავდება ვითარებითი ბრუნვის ნიშნით: **-ად** (**-დ** სუფიქსის ნაცვლად): ფანჯრ-ად, ქარხნ-ად, მოყვრ-ად...



	II ტიპი	კუმშვად-კვეცადები
სახ.	-Ø	-Ø
მოთხ.	-მ	-მ
მიც.	-ს	-ს
ნათ.	-ის	-ის
მოქ.	-ით	-ით
ვით.	-დ	-ად
წოდ.	-Ø // -ვ	-Ø // -ვ

კუმშვად-კვეცადი სახელებისთვის ახალი ტიპის გამოყოფის შესაძლებლობაზე მიუთითებს ალ. ონიანი: „უფრო ბუნებრივია მათი (კუმშვად-კვეცადი სახელების) III ტიპის ბრუნებაში გაერთიანება, თუმცა შეუძლებელი არ არის დაისვას კითხვაც: ხომ არ შეიძლება ამგვარ სახელთა ცალკე (მეხუთე) ტიპად გამოყოფა? საკითხი შემდგომ დამუშავებას მოითხოვს“ (ონიანი 2003: 51).

ავტორი არ აზუსტებს, რატომ თვლის საჭიროდ კუმშვად-კვეცადი სახელებისთვის ახალი ტიპის გამოყოფას, მაგრამ მსჯელობიდან ჩანს, რომ მისთვის ამ გამოყოფის საფუძველს წარმოადგენს ფონეტიკური ფაქტორი, რომლითაც კუმშვად-კვეცადი სახელები განსხვავდება მესამე ტიპის (კვეცადი) სახელებისაგან. მორფონოლოგიური თვალსაზრისით გამოყოფს კუმშვად-კვეცად სახელებს ცალკე ტიპად თ. უთურგაიძე, აგრეთვე – ა. არაბული.

ჩვენ ეს სახელები ცალკე ტიპად გამოვყავით არა ფონოლოგიური (ან მორფონოლოგიური), არამედ მორფოლოგიური ნიშნით: კუმშვად-კვეცად სახელთა ბრუნების მოდელი (ბრუნვის ნიშნთა პარადიგმა) განსხვავებულია.

2. **o**-ბოლოხმოვნიათ უკვეცილი სახელები: მესამე ტიპის ბრუნებისაგან ისინი განსხვავდება მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით: **-თ** (**-თი** სუფიქსის ნაცვლად): ჩაი-თ, ტრამვაი-თ...

	III ტიპი	o-ბოლოხმოვნიათ სახელები
სახ.	-Ø	-Ø
მოთხ.	-მ	-მ
მიც.	-ს	-ს
ნათ.	-ს	-ს
მოქ.	-თი	-თ
ვით.	-დ	-დ
წოდ.	-Ø // -ვ // -ო	-Ø // -ვ // -ო

**o**-ბოლოხმოვნიათ სახელებისთვის ახალი ტიპის გამოყოფის შესაძლებლობაზე მიუთითებს თ. უთურგაიძე. იგი აღნიშნავს, რომ ეს სახელები „თითქოს ცალკე ტიპად უნდა გამოყოფილიყო, რადგან მოქმედებით ბრუნვას აწარმოებს **-თ** სუფიქსით, მაშინ როცა ხმოვანფუძიანი უკვეცილი სახელები ამ ბრუნვაში **-თი** დაბოლოებას იჩენენ (წყარო-თი, პიურე-თი, ალფა-თი და ომეგა-თი...), ცალკე ტიპად არ გამოიყო, რადგან ეს (**-თ**) (**-თი**) მორფემის ერთ-ერთი ვარიანტია. მთის დიალექტებში დღესაც დასტურდება წყარო-თ „წყარო-თი“ ტიპის ფორმები (წყაროთ < წყაროთ)“ (უთურგაიძე 2009: 106).

ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ (-თ) (-თი) მორფემის ერთ-ერთი ვარიანტია, არ ნიშნავს იმას, რომ ის დამოუკიდებელ აფიქსად (ალომორფად) არ განვიხილოთ. შდრ. ნათ. ბრუნვა. აქაც იგივე ვითარებაა: -ს არის -ის მორფემის ალომორფი, მაგრამ ის ბრუნების სისტემაში დამოუკიდებელ ერთეულად განიხილება. აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჩვენ სისტემას განვიხილავთ სინქრონიულ დონეზე და აღვწერთ, რომელი სუფიქსი უნდა დაერთოს კონკრეტულ ფუძეს. ამ შემთხვევაში **ო**-ბოლოხმოვნისანი სახელების მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი (-თ) სხვაობს წყარო ტიპის სახელების მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისგან (-თი). ამიტომ ამ ორ პარადიგმას ერთ მოდელად ვერ განვიხილავთ. შესაბამისად, **ო**-ბოლოხმოვნისანი სახელებისთვის გამოვყოფთ ცალკე ტიპს.

მაშასადამე, გვექნება ბრუნების ხუთი ტიპი (მოდელი) ბრუნვის ნიშანთა ხუთი განსხვავებული მიმდევრობით:

	I ტიპი მოდელი 1	II ტიპი მოდელი 2	III ტიპი მოდელი 3	IV ტიპი მოდელი 4	V ტიპი მოდელი 5
სახ.	-ო	- <del>ო</del>	- <del>ო</del>	- <del>ო</del>	- <del>ო</del>
მოთხ.	-მა	-მ	-მ	-მ	-მ
მიც.	-ს	-ს	-ს	-ს	-ს
ნათ.	-ის	-ის	-ის	-ს	-ს
მოქ.	-ით	-ით	-ით	-თი	-თ
ვით.	-ად	-დ	-ად	-დ	-დ
წოდ.	-ო	- <del>ო</del> / - <del>გ</del> / - <del>ო</del>	- <del>ო</del> / - <del>გ</del>	- <del>ო</del> / - <del>გ</del> / - <del>ო</del>	- <del>ო</del> / - <del>გ</del> / - <del>ო</del>

დასახელებულ ტიპებში გამოიყოფა ქვეტიპები ბრუნებისას ფუძის ფონეტიკური ცვლილების მიხედვით. ცვლილება უნდა გავითვალისწინოთ როგორც მხოლოდითი, ისე მრავლობითი რიცხვის ფორმებში. აქვე უნდა შევეხოთ მრავლობითი რიცხვის პარადიგმის საკითხს ბრუნების ტიპების გამოყოფისას. როგორც ცნობილია, ბრუნების ტიპებს ძირითადად მხოლოდითი რიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით გამოყოფენ. ა. შანიძის განმარტებით, „ტიპებად დაყოფა შედეგია ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენისა ქართული ბრუნების ერთიან სისტემაზე და, როგორც ზემოთ ითქვა, მარტო მხოლ. რიცხვს ეხება“ (შანიძე 1980: 50).

ავტორის აზრით, ებიანი მრავლობითის ფორმები I ტიპის ბრუნებას უნდა მივაკუთვნოთ: „თანხმოვნისანთა ჯგუფში გადმოდის I მრავლობითში ყველა ხმოვანფუძიანი სახელი, რადგანაც I მრავლობითის ფუძე კეთდება -ებ-ის დართვით მხოლოდითის ფუძეზე და, მაშასადამე, აქ მრავლობითის ფუძეს ბოლოში უზის თანხმოვანი **ზ**, რომელსაც უშუალოდ მოსდევს ბრუნვის ნიშნები“ (შანიძე 1980: 51).

ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა გაუმართლებელია შემდეგი წინააღმდეგობების გამო:

- ა. შანიძეს II და III ტიპის ბრუნებათა განხილვისას, ჩვეულებრივ, წარმოდგენილი აქვს როგორც მხოლოდითი, ისე მრავლობითი რიცხვის პარადიგმები; გამოდის, რომ II ან III ტიპის ბრუნებაში განიხილება I ტიპის პარადიგმა;

- თუ ებიანი მრავლობითი I ტიპისაა, მაშინ რომელი ტიპის ბრუნებას მიეკუთვნება ნართანიანი მრავლობითი? ამ შემთხვევაში კიდევ ახალი ტიპი უნდა დავამატოთ, რადგან ნართანიანი მრავლობითის პარადიგმა არცერთ ტიპს არ მიჰყვება.

საკითხის განსხვავებულ გადაწყვეტას გვთავაზობს ა. ონიანი, რომელიც მიიჩნევს, რომ მრავლობითი რიცხვის ტიპებიც უნდა გამოიყოს ბრუნების მორფოლოგიისა და ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით იგი მრავლობითში მხოლობითის მსგავსად ოთხ ტიპს წარმოგვიდგენს:

- I ტიპი – ფუძეკუმშვადი სახელები (მერცხლები, კედლები, მინდვრები)
- II ტიპი – ფუძეუკუმშველი სახელები (არწივები, ქალები, აქლემები)
- III ტიპი – ფუძეკვეცადი სახელები (ძმები, დედები, კაბები)
- IV ტიპი – ფუძეუკვეცილი სახელები (წყაროები, ძუძუები, მეფეები)

ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობას შეიცავს. აქაც ერთი და იმავე სახელის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის პარადიგმები სხვადასხვა ტიპებს მიეკუთვნება: მეფე – III ტიპი, მეფეები – IV ტიპი; გოგონა – IV ტიპი, გოგონები – III ტიპი და ა.შ. რაც შეეხება ნართანიან მრავლობითს, წინააღმდეგობა აქაც იჩენს თავს: რომელ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ ნართანიანი მრავლობითის ფორმები?

ბრუნების ტიპების გამოყოფისას მრავლობითი რიცხვის მონაცემების გათვალისწინებას მხარს უჭერს თ. უთურგაიძე: „როდესაც სახელთა ბრუნების ტიპებად კლასიფიკაცია ემყარება ფუძის ფონეტიკურ ცვლილებას და სწორედ სინკოპე და აპოკოპე წარმოადგენს ბრუნების I და II ტიპების განმასხვავებელ ნიშნებს მხოლობითი რიცხვის ფორმებში, ფონეტიკურ ცვლილებათა უგულუბელყოფა გაუმართლებელია მრავლობით რიცხვში, სადაც ამ მხრივ ვითარება განსხვავებულია. ამავე დროს, რადგან **ეხ** სუფიქსს ვერ მივიჩნევთ ფუძის შემადგენელ ნაწილად, ფუძე საერთო ხდება მხოლობითი და მრავლობითი რიცხვების ფორმათათვის და ბუნებრივია, ფონეტიკურ ცვლილებებზე დამყარებული კლასიფიკაცია ორივე რიცხვის ფონეტიკურ ცვლილებებს ითვალისწინებდეს“ (უთურგაიძე 2009: 104).

ჩვენ ვიზიარებთ თ. უთურგაიძის თვალსაზრისს, რომ ფონეტიკური ცვლილებები ორივე რიცხვის ფორმებში უნდა გავითვალისწინოთ. შესაბამისად, თითოეული ტიპის შიგნით წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვის პარადიგმები. რეალურად ეს ასეც ხდება ბრუნების სისტემის აღწერისას, მაგრამ ტიპიზაციის დროს მრავლობითი რიცხვის პარადიგმას მხოლოდ ერთ ტიპს მიაკუთვნებენ.

მრავლობითი რიცხვის პარადიგმა (მოდელი) უცვლელია ყველა ტიპისთვის. იცვლება მარტო მხოლობითი რიცხვის პარადიგმა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ბრუნების ტიპების გამოყოფა ხდება მხოლობითი რიცხვის პარადიგმის მიხედვით, მრავლობითი რიცხვის პარადიგმა კი ერთია ყველა ტიპში. ის ფაქტი, რომ მრავლობით რიცხვში პარადიგმა არ იცვლება, არ ნიშნავს იმას,

რომ მრავლობითის პარადიგმა მხოლოდ ერთ ტიპს მიეკუთვნება. იგი თოთო-ეული ტიპის ბრუნების შემადგემელი ნაწილია. რაც მთავარია, მრავლობითი რიცხვის პარადიგმები განსხვავებულია ფუძის ფონეტიკური ცვლილების მიხედვით, რაც განსაზღვრავს ქვეტიპების გამოყოფას.

	I ტიპი		II ტიპი		III ტიპი		IV ტიპი		V ტიპი	
	მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.
სახ.	-ი	-ებ-ი	-ი	-ებ-ი	-ი	-ებ-ი	-ი	-ებ-ი	-ი	-ებ-ი
მოთხ.	-მა	-ებ-მა	-მ	-ებ-მა	-მ	-ებ-მა	-მ	-ებ-მა	-მ	-ებ-მა
მიც.	-ს	-ებ-ს	-ს	-ებ-ს	-ს	-ებ-ს	-ს	-ებ-ს	-ს	-ებ-ს
ნათ.	-ის	-ებ-ის	-ის	-ებ-ის	-ის	-ებ-ის	-ს	-ებ-ის	-ს	-ებ-ის
მოქ.	-ით	-ებ-ით	-ით	-ებ-ით	-ით	-ებ-ით	-თი	-ებ-ით	-თ	-ებ-ით
ვით.	-ად	-ებ-ად	-დ	-ებ-ად	-ად	-ებ-ად	-დ	-ებ-ად	-დ	-ებ-ად
წოდ.	-ო	-ებ-ო	-ი/-ე/-ო	-ებ-ო	-ი/-ე	-ებ-ო	-ი/-ე/-ო	-ებ-ო	-ი/-ე	-ებ-ო

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენილ ტიპებში გამოიყოფა ქვეტიპები ფუძის ფონეტიკური ცვლილების მიხედვით. განვიხილავთ ამ ცვლილებებს.

ცნობილია, რომ ბოლოხმოვნიან ფუძეებში ფონეტიკური ცვლილების თვალსაზრისით გამოიყოფა სამი ჯგუფი: უკვეცელი, კვეცადი და კუმშვად-კვეცადი. კვეცის პოზიცია ორგვარია: 1. მხოლოდითი რიცხვის ორი ბრუნვა: ნათესაობითი და მოქმედებითი და 2. ებიან მრავლობითი. ცნობილია აგრეთვე, რომ კვეცადი ფუძეები თავის მხრივ სამგვარია იმის მიხედვით, თუ რომელ პოზიციაში იკვეცებიან ისინი:

1. ფუძეები, რომლებიც იკვეცება როგორც მხოლოდითში, ისე მრავლობითში: დედა: დედ-ის, დედ-ებ-ი
2. ფუძეები, რომლებიც იკვეცება მარტო მხოლოდითში: სარკე: სარკ-ის, სარკე-ებ-ი
3. ფუძეები, რომლებიც იკვეცება მარტო მრავლობითში: გოგონა: გოგონა-ს, გოგონ-ებ-ი

ჩვენი აზრით, ეს მნიშვნელოვანი სხვაობაა და მსჯელობა გაადვილდება, თუ კვეცის ამ სამ სახეობას შესაბამისი ტერმინებით აღვნიშნავთ. კერძოდ:

- კვეცადი ორივე რიცხვში: დედა
- კვეცადი მხოლოდითში: სარკე
- კვეცადი მრავლობითში: გოგონა.

ამ სახეობების გარდა ბოლოხმოვნიან ფუძეებში გვაქვს კიდევ ორი ჯგუფი: უკვეცელი და კუმშვად-კვეცადი.

რაც შეეხება თანხმოვანფუძიან სახელებს, იქ გვაქვს უკუმშველი და კუმშვადი ფუძეები. კუმშვა ხდება მხოლოდითი რიცხვის სამ ბრუნვასა (ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი) და ებიან მრავლობითში. კუმშვის პოზიციის მიხედვით აქ ფუძეთა შემდეგი სახეობები გამოიყოფა:

კუმშვადი ორივე რიცხვში: *სოფელ*  
 კუმშვადი მხოლობითში: *სასმელ*  
 ნაწილობრივ კუმშვადი (ორივე რიცხვში): *ნიორ*

ცალკე სახეობად უნდა გამოიყოს ფუძე *ამზავ*, რომელშიც ხმოვანთან ერთად თანხმოვანიც იკარგება. მას შეიძლება პირობითად მარცვალდამკარგველი ფუძე ვუწოდოთ.

ფუძის თითოეული ფონეტიკური სახეობა მიეკუთვნება ბრუნების ამა თუ იმ ტიპს. ფონეტიკური სახეობების მიხედვით გამოვყოფთ ბრუნების ქვეტიპებს. ამგვარად წარმოდგენილ სისტემაში დამოუკიდებლად არის აღწერილი ორი ასპექტი: მორფოლოგიური (ტიპების სახით) და ფონოლოგიური (ქვეტიპების სახით). ეს საშუალებას გვაძლევს, რომ ერთი და იმავე მოდელის მქონე სახელები წარმოდგენილი იყოს ერთ ტიპში, ხოლო სხვადასხვა მოდელის ერთეულები – სხვადასხვაში. ფონეტიკური ცვლილების მიხედვით განსხვავებული ერთეულები კი გარჩეული იქნება ქვეტიპების სახით.

თანხმოვანფუძიანი სახელები მიეკუთვნება მხოლოდ ერთი ტიპის ბრუნებას (აქვთ ერთი მოდელი), ხმოვანფუძიანი სახელები კი ოთხ განსხვავებულ ტიპს (ოთხ მოდელს) ქმნიან. პირველ, მეორე და მეოთხე ტიპებს აქვს ქვეტიპები ფონეტიკური სხვაობის მიხედვით, მესამე და მეხუთე ტიპის სახელები კი ერთგვარ ფონეტიკურ ვარიანტებს გვიჩვენებს, ამიტომ იქ ქვეტიპები არ გამოიყოფა.

**თანხმოვანფუძიანები**

**I ტიპი – მოდელი 1**

- I ქვეტიპი** – უკუმშველი (კაცი)
- II ქვეტიპი** – კუმშვადი ორივე რიცხვში (სოფელი)
- II ქვეტიპი** – კუმშვადი მხოლობითში (სასმელი)
- IV ქვეტიპი** – ნაწილობრივ კუმშვადი (ნიორი)
- V ქვეტიპი** – მარცვალდამკარგველი (ამზავი)

**ხმოვანფუძიანები**

**II ტიპი – მოდელი 2**

- I ქვეტიპი** – კვეცადი ორივე რიცხვში (დედა)
- II ქვეტიპი** – კვეცადი მხოლობითში (სარკე)

**III ტიპი – მოდელი 3** – კუმშვად-კვეცადი (ფანჯარა)

**IV ტიპი – მოდელი 4**

- I ქვეტიპი** – *ა, ე, ო, უ*-ბოლოხმოვნიანი უკვეცელი (წყარო)
- II ქვეტიპი** – კვეცადი მრავლობითში (გოგონა)

**V ტიპი – მოდელი 5** – *ო*-ბოლოხმოვნიანი უკვეცელი (ტრამვაი)

## ლიტერატურა

**ახალი ქართული ენა 2016** – ახალი ქართული ენა, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, გიორგი გოგოლაშვილია და ავთანდილ არაბულის რედაქციით, თბილისი.

**კვაჭაძე 1981** – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

**ონიანი 2003** – ალ. ონიანი, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბილისი.

**უთურგაძე 2009** – თ. უთურგაძე, ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში, თბილისი.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ., ტ. III, თბილისი.

**ჩიქობავა 1998** – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი.

KETEVAN DATUKISHVILI

## On the Types of Declension in Modern Georgian

### S u m m a r y

We distinguish the types of declension in terms of practicality, in particular, language modeling and teaching, so we describe the system at a synchronous level, taking only the data of the modern Georgian literary language into account.

In order to distinguish the types of declension, we take the morphological aspect, in particular, the declension pattern or the paradigm model as a marker and we separate the subtypes considering the phonetic change of the base. We present five types of declension (models), three of which have subtypes:

#### Consonant-base:

**I Type: I Subtype** – non-syncopated (*kaci* “man”); **II Subtype** – syncopated in singular and plural (*sopeli* “village”); **III Subtype** – syncopated in singular (*sasmeli* “drink”); **IV Subtype** – partly syncopated (*niori* “garlic”); **V Subtype** – having a lost vowel (*ambavi* “story”)

#### Vowel-base:

**II Type: I Subtype** – apocopated in singular and plural (*deda* “mother”); **II Subtype** – apocopated in singular (*sarḱe* “mirror”)

**III Type:** syncopated-apocopated (*panḱara* “window”)

**IV Type: I Subtype** – having the final vowel *a, e, o, u*, non-apocopated (*ḱqaro* “spring”); **II Subtype** – apocopated in plural (*gogona* “girl”)

**V Type:** having the final vowel *i*, non-apocopated (*tramvai* “tram”).

თამარ ვაშაკიძე

**ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელის  
საზღვრულთან შეთანხმებისათვის ახალ ქართულში**

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელი თავის საზღვრულს ყველა ბრუნვაში ეთანხმება (მიუხედავად იმისა, თანხმობანფუძიანია ის თუ ხმობანფუძიანი): „გვერდს უზის ქალი ლამაზი, სანთელივითა დნებაო“ (ხალხური); „ხეზე შემოჯდა ჩიტი პატარა“ (ვაჟა); „თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს ამას კაცი თავმომწონე“ (აკაკი); „მაგრამ საქმემ უკუღმართმა შეაწუხა, დააღონა“ (აკაკი); „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა“ (აკაკი); „ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა“ (ილია); „ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა“ (ილია); „ქალს დაღალულსა მისძინებოდა“ (ილია); „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“ (ვაჟა); „აღუდას აუგს ეტყოდნენ სიტყვითა შამიანითა“ (ვაჟა); „გადის დუმილი ოთახიდან ნაბიჯით ზანტით“ (მუხრანი); „იმ ჩვენი ობლის სული კი იქცა პეპელად ჭრელადა“ (ვაჟა); „კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები!“ (ვაჟა) და ა. შ.

ფუძეუკუმშველი პოსტპოზიციური მსაზღვრელი		ფუძეუკვეცილი პოსტპოზიციური მსაზღვრელი
სახ.	ქალ-ი ლამაზ-ი	ბედ-ი უწყალო
მოთხრ.	ქალ-მა ლამაზ-მა	ბედ-მა უწყალო-მ
მიც.	ქალ-ს ლამაზ-ს	ბედ-ს უწყალო-ს
ნათ.	ქალ-ის ლამაზ-ის	ბედ-ის უწყალო-ს(ი)
მოქმ.	ქალ-ით ლამაზ-ით	ბედ-ით უწყალო-თი
ვით.	ქალ-ად ლამაზ-ად	ბედ-ად უწყალო-დ
წოდ.	ქალ-ო ლამაზ-ო	ბედ-ო უწყალო-ვ

პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუძე იკუმშება ან იკვეცება, თუ ის საზოგადოდ კუმშვადია ან კვეცადი (კვაჭაძე 2018: 195).

ფუძეკუმშვადი პოსტპოზიციური მსაზღვრელი		ფუძეკვეცადი პოსტპოზიციური მსაზღვრელი
სახ.	მთა მაღალ-ი	ჩიტ-ი პატარა
მოთხრ.	მთა-მ მაღალ-მა	ჩიტ-მა პატარა-მ
მიც.	მთა-ს მაღალ-ს	ჩიტ-ს პატარა-ს

ნათ.	მთ-ის მაღლ-ის	ჩიტ-ის პატარ-ის
მოქმ.	მთ-ით მაღლ-ით	ჩიტ-ით პატარ-ით
ვით.	მთა-დ მაღლ-ად	ჩიტ-ად პატარა-დ
წოდ.	მთა-ო მაღალ-ო	ჩიტ-ო პატარა-ვ

რაც შეეხება ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელის საზღვრულთან მრავლობით რიცხვში შეთანხმების საკითხს, აქ რამდენიმე შემთხვევაა გასათვალისწინებელი:

1. საზღვრულიცა და პოსტპოზიციური მსაზღვრელიც ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი: „ნაქერალაში დამდგარან **თუშები თექიანები**“ (ვაჟა); „გარს სანგლად შემოუვლიათ **ხევები ბექიანები**“ (ვაჟა); „მინდვრები, ქართლის მინდვრები, **ქედები მხარგაშლილები**“ (ანა) და სხვ.

სახ.	ქედ-ებ-ი მხარგაშლილ-ებ-ი
მოთხრ.	ქედ-ებ-მა მხარგაშლილ-ებ-მა
მიც.	ქედ-ებ-ს მხარგაშლილ-ებ-ს
ნათ.	ქედ-ებ-ის მხარგაშლილ-ებ-ის
მოქმ.	ქედ-ებ-ით მხარგაშლილ-ებ-ით
ვით.	ქედ-ებ-ად მხარგაშლილ-ებ-ად
წოდ.	ქედ-ებ-ო მხარგაშლილ-ებ-ო

2. საზღვრულიცა და პოსტპოზიციური მსაზღვრელიც წარიანი მრავლობითით დასტურდება: „სად ჰყვავებულან დიდებულად **ქალაქნი ვრცელნი**“ (ალ. ჭავჭავაძე); „წყალნი, მთით **დაქანებულნი**, აღმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან“ (გრ. ორბელიანი); „ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ **სვავნი მყივარნი**“ (ნ. ბარათაშვილი)...

სახ.	სვავ-ნ-ი მყივარ-ნ-ი
მოთხრ.	სვავ-თ-ა მყივარ-თ-ა
მიც.	სვავ-თ-ა მყივარ-თ-ა
ნათ.	სვავ-თ-ა მყივარ-თ-ა
მოქმ.	–
ვით.	–
წოდ.	სვავ-ნ-ო მყივარ-ნ-ო

3. საზღვრული ებიანი მრავლობითით დაჩნდება, პოსტპოზიციური მსაზღვრელი კი – წართანინით: „მოგროვდენ ყოველის მხრიდამ **ვაჟები ლომისფერანი**“ (ვაჟა); „მწყობრად მოდიან **მხედრები სახეგაშლილნი**, მზე ვით“ (ანა); „**სიტყვებს**, – წინაპართ მიერ **გახედნილთ**, დიდი რუსთველის უღელში **ნახამთ**, **შობილთ** კლარჯეთით, ქართლით, კახეთით, – ერთად შეკრიბნა რომელნიც საბამ!“ (მუხრანი).



სახ.	სიტყვ-ებ-ი გახედნილ-ნ-ი
მოთხრ.	სიტყვ-ებ-მა გახედნილ-თ-ა
მიც.	სიტყვ-ებ-ს გახედნილ-თ-ა
ნათ.	სიტყვ-ებ-ის გახედნილ-თ-ა
მოქმ.	–
ვით.	–
წოდ.	სიტყვ-ებ-ო გახედნილ-ნ-ო

4. საზღვრული ნარიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, პოსტპოზიციური მსაზღვრელი – ებიანით: „**მთანო თავჩაჩქიანეზი** ფიქრს მისცემიან მწარესა“ (ვაჟა)...

სახ.	მთა-ნ-ი თავჩაჩქიან-ებ-ი
მოთხრ.	მთა-თ-ა თავჩაჩქიან-ებ-მა
მიც.	მთა-თ-ა თავჩაჩქიან-ებ-ს
ნათ.	მთა-თ-ა თავჩაჩქიან-ებ-ის
მოქმ.	–
ვით.	–
წოდ.	მთა-ნ-ო თავჩაჩქიან-ებ-ო

სახელობითსა და წოდებითში პარალელურად შეიძლება შეუთანხმებელი მსაზღვრელიც იქნეს დატოვებული: მთანო მაღალი, მთანო მაღალო (ნორმები 1970: 147).

5. საზღვრული ებიანი მრავლობითით დასტურდება, ხოლო პოსტპოზიციური მსაზღვრელი მხოლოდით რიცხვშია: „გულს მიკლავს, გონებას მირევს **ფიქრები გაუგებარი!**“ (ვაჟა); „იქ ჰყრია დიდი **ლოდები, შავფერი, ციხისკარული**“ (ვაჟა); „როგორც **პეპლები, მშვიდი და ფრთხილი, შემდეგ აშლილი და აფრენილი...**“ (გალაკტიონი); „დარჩება აუზთან სანდალი და ძველი **ფოთლები, ყვითელი**“ (გალაკტიონი); „დილაა. სველია ბალახი. სველია **ბელტები ნედლი**“ (მუხრანი); „და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს, **სერებს თოვლიანს**“ (ანა); „ხომ არის ისეთი **დღეები, დარიანი**, ჰაერის სითბო მხრებში რომ აგწევს, აგამჩატებს“ (გ. კვარაცხელია) და სხვ.

სახ.	ბელტ-ებ-ი ნედლ-ი
მოთხრ.	ბელტ-ებ-მა ნედლ-მა
მიც.	ბელტ-ებ-ს ნედლ-ს
ნათ.	ბელტ-ებ-ის ნედლ-ის
მოქმ.	ბელტ-ებ-ით ნედლ-ით
ვით.	ბელტ-ებ-ად ნედლ-ად
წოდ.	ბელტ-ებ-ო ნედლ-ო

ზოგჯერ პოსტპოზიციური მსაზღვრელი (როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს) განკერძოებულია; ხშირად ის გავრცობილიც არის მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით.

ცალკე გამოიყოფა აგრეთვე განმარტოებული პოსტპოზიციური მსაზღვრელი (ასეთ შემთხვევებში წინა გამონათქვამის გათვალისწინებით აღდგება ხოლმე ის წევრი, რომელსაც მიემართება პოსტპოზიციური მსაზღვრელი) (კვაჭაძე 2010: 203-206): „[ის] – **ირგვლივ დამკვიდრებული მყუდროებით თავმოხეზრებული**, მოუთმენლად ელოდა ჩვენს მისვლას“ (რ. გვეტაძე)...

ხშირად პოსტპოზიციური მსაზღვრელი გათიშულია თავისი საზღვრულისაგან წინადადების სხვა წევრით (კვაჭაძე 2010: 203-206): „გაჭირდა, **გლოვას** ვერავინ ვერ უძლებს **ამისთანასა**“ (რ. ერისთავი); „**წელიწადები** წავლიან **ძველნი**, შეიცვლებიან ქარით სიონი“ (გალაკტიონი); „**ხარს** ვგვევარ **ნაიალადარს...**“ (ვაჟა); „და... როდესაც **მზეს** შევხედე **გვირგვინოსანს**, ჩემო კარგო, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს...“ (ანა).

საინტერესო ჩანს აგრეთვე იმ ტიპის პოსტპოზიციური მსაზღვრელი, რომელიც არამხოლოდ ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება თავის საზღვრულს, არამედ თანდებულიანი საზღვრულის კვალობაზე თავადაც გათანდებულიანდება:

„ეს ორი დღეა, რატომღაც,  
ვარ **ხასიათზე ისეთზე...**  
ისე...  
რომ მკითხო მიზეზი, –  
ვერაფერს მოვიმიზეზებ“ (მუხრანი).

ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელი ახალ ქართულში, როგორც ჩანს, მაინც პოეტური მეტყველების კუთვნილებაა – ერთ-ერთი მხატვრულ-სტილისტიკური მახასიათებელი თუ რითმულ-რიტმული სტრუქტურის კომპონენტი.

## ლიტერატურა

**აკაკი 1958** – ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, თბილისი.

**ანა 2004** – ა. კალანდაძე, ლექსები, თბილისი.

**ნ. ბარათაშვილი 1939** – ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, თბილისი.

**გალაკტიონი 1982** – გ. ტაბიძე, რჩეული, თბილისი.

**რ. გვეტაძე 1946** – რ. გვეტაძე, პროზა, თბილისი.

**რ. ერისთავი 1995** – რ. ერისთავი, ქართული მწერლობა, ტ. 10, თბილისი.

**ვაჟა 1964** – ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბილისი.

**ილია 1974** – ი. ჭავჭავაძე, რჩეული ორ წიგნად, თბილისი.

**გ. კვარაცხელია 2000** – გ. კვარაცხელია, მართალთა და უკუღმართთა გზები, ლექსები და პოემა, თბილისი.

**კვაჭაძე 2018** – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

**კვაჭაძე 2010** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**მუხრანი 1999** – მ. მაჭავარიანი, ყოველი ტოტი და ტოტისტოტი, თბილისი.

**ნორმები 1970** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

**გრ. ორბელიანი 1935** – გრ. ორბელიანი, ლექსები, თბილისი.

**ჩიქობავა 1998** – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი.

**ალ. ჭავჭავაძე 1949** – ალ. ჭავჭავაძე, ლექსები, თბილისი.

**ხალხური 2010** – ხალხური პოეზიის ანთოლოგია, თბილისი.

TAMAR VASHAKIDZE

## **On the Agreement Between an Attributive-Postpositional Modifier and the Head in New Georgian**

### S u m m a r y

The paper discusses the cases of the agreement between an attributive-postpositional modifier and the head in New Georgian.

As a result of the analysis of syntagms, it has been found out that the modifier of the above-mentioned type (in New Georgian) belongs mainly to the poetic speech and, therefore, it is one of the artistic-stylistic features or a component of a rhyme-rhythm structure.

დიანა კაკაშვილი

**თხზულ არსებით სახელთა სტრუქტურა და  
კლასიფიკაციის საკითხი ქართულ და ნახურ ენებში<sup>1</sup>**

კომპოზიციური სიტყვაწარმოება უნივერსალური ლინგვისტური მოვლენაა, არ არსებობს ენა მის გარეშე. ბევრ ენაში ის წარმოადგენს სიტყვაწარმოების ყველაზე პროდუქტიულ საშუალებას. მკვლევრები მიუთითებენ, რომ იგი უნდა განეკუთვნებოდეს სიტყვაწარმოების ყველაზე ძველ სახეობას და გვიჩვენებს ენის განვითარების ადრეულ საფეხურს, დიდი ალბათობაა, რომ თხზვა წინ უსწრებდა დერივაციულ წარმოებას, ვინაიდან, დერივაციისაგან განსხვავებით, თხზვის დროს შეზღუდვები თითქმის არ არსებობს და ამდენად, მისი წარმოება უფრო ადვილია (ჯაკენდოფი 2009: 55). სიტყვაწარმოების ეს სახე მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ყოველთვის თავისი გამორჩეული ბუნების გამო, კომპოზიციები სტრუქტურით მოქცეულნი არიან სიტყვისა და წინადადების, მორფოლოგიისა და სინტაქსის მიჯნაზე.

კომპოზიტთა ყველაზე ძველი კლასიფიკაცია მოცემულია პანინის გრამატიკაში. მისი ტერმინები დღემდე გამოიყენება, მათ შორის ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა უფრო და უფრო ნაკლები მკვლევარი მიმართავს მას, რადგან მასში გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ენის მონაცემები და ხშირად გამოუსადეგარია ამა თუ იმ ენის სისტემის სრულად აღსაწერად. ამასთანავე, პანინისთან არ გვაქვს მკაფიო ცნება კომპოზიტის მეთაური სიტყვისა, რომელიც გახლავთ რთული სახელის ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი; მას უკავშირდება სიტყვის სემანტიკური, სინტაქსური და მორფოლოგიური მახასიათებლები. აღნიშნული კლასიფიკაციის ნაკლოვანებაზე მიუთითებს ვ. თოფურიაც: „ინდოელ გრამატიკოსთა კლასიფიკაციით გარჩეულია ოთხი ძირითადი ტიპი, მაგრამ საკლასიფიკაციო ნიშანი აღრეულია; მხედველობაშია მიღებული კომპოზიტის წარმოების საშუალება, კომპონენტთა ფუნქცია და კომპონენტი რომელი მეტყველების ნაწილია. ამდენად, ესა და მსგავსი კლასიფიკაცია გაუმართლებელია“ (თოფურია 1940: 534).

მიუხედავად იმისა, რომ თხზული სახელების კვლევას დიდი ისტორია აქვს, მათი კლასიფიკაცია მაინც საკამათო საკითხად რჩება. ენათა მრავალფეროვანი სტრუქტურიდან გამომდინარე, რთულდება საერთო საკლასიფიკაციო

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (№FR-18-072, არსებით სახელთა კომპოზიციური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)).

სისტემის შემუშავება. როგორც ქართულ, ისე უცხოურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კომპოზიტებს სხვადასხვაგვარად აჯგუფებენ, ძალზე მრავალფეროვანია ტერმინოლოგიაც. საკლასიფიკაციო ნიშნად ზოგიერთი მკვლევარი იყენებს სემანტიკურ მახასიათებლებს, ზოგი მხოლოდ გრამატიკულს, ზოგი გრამატიკულსა და სემანტიკურს ერთდროულად და სხვ. ყველა ეს სისტემა ერთი კუთხით წარმოაჩენს აღნიშნულ სიტყვებს და სრულად არ აღწერს კომპოზიტთა მახასიათებლებს. არსებულთაგან ყველაზე სრულყოფილად მიიჩნევა იტალიელ მეცნიერთა, შალისესა და ბისეტოს სქემა (2009), რომელიც წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ოჯახის ენათა რთული სიტყვების საკლასიფიკაციოდ. მასში გრამატიკულთან ერთად გათვალისწინებულია კომპოზიტთა შემადგენელ კომპონენტებს შორის არსებული სემანტიკური ურთიერთობა – ენდოცენტრულობა – ეგზოცენტრულობაც.

როგორც ქართული, ასევე ნახური ენების რთულმა სიტყვებმა არაერთი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო. ცალკეული ენების მიხედვით არაერთი წერილი, მონოგრაფია თუ დისერტაცია დაწერილა, თუმცა მათი შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი აქამდე არ ჩატარებულა. ამასთანავე, მათ აღსაწერად გამოყენებული სქემებიც გარკვეულწილად ნაკლებია. ქართული ენის შემთხვევაში ყველა შემდგომი პერიოდის მკვლევარი ძირითადად მიჰყვება აკაკი შანიძის მიერ „გრამატიკის საფუძვლებში“ შემოთავაზებულ სქემას, სადაც გამოყოფილია ატრიბუტულმსაზღვრელიანი, მართულმსაზღვრელიანი, ტოლად შერწყმული, არტოლად შერწყმული სახელები. არნოლდ ჩიქობავას შემოაქვს ქართულ კომპოზიტთა განხილვაში ენდოცენტრულობა, ეგზოცენტრულობის ცნებები თავის წერილში „ეგზოცენტრული კომპოზიტები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში“ (ჩიქობავა 1966: 24). ნახური ენების აღსაწერად უმეტესად გამოყენებულია პანინის გრამატიკის სქემა.

ჩვენ შევეცადეთ შალისესა და ბისეტოს მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით აღგვეწერა და დაგვეჯგუფებინა იბერიულ-კავკასიურ ენათა (ამ შემთხვევაში ქართულისა და წოვათუშურ-ჩეჩნურ-ინგუშურის) თხზული არსებითი სახელები. ამ სქემის მიხედვით, ცალ-ცალკე ჯგუფდება **სუბორდინაციული, ატრიბუტული** და **კოორდინაციული** კომპოზიტები, თითოეულ მათგანში კი გვაქვს *ეგზოცენტრული* და *ენდოცენტრული* ჯგუფები. ენდოცენტრულ კომპოზიტებში სიტყვის მნიშვნელობა უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. ამასთანავე, მეორე ელემენტი არის ძირითადი შინაარსის მატარებელი, პირველი კი მხოლოდ განსაზღვრავს მას, მაგ., ქართ. ბჭისკარი/ჭიშკარი, ვაჟიშვილი, დედაქალაქი და სხვ.; ჩეჩნ. მაშიენ-ნიეყ „რკინიგზა“ (სიტყვასიტყვით მანქანის გზა), ნანა-ქურთამ „კრუხი“ (სიტყვასიტყვით „დედა ქათამი“); წოვათ. ჟერფსტუ „ქვრივი ქალი“, ყანნან/ყანონ ნან „ბერდედა, ბებია“ და სხვ. ყველა მოცემულ სიტყვაში მეორე წევრი წარმოადგენს რთული სახელის როგორც შინაარსობრივ, ისე გრამატიკულ ცენტრს. ეგზოცენტრულ კომპოზიტებში კი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამი არ იძლევა სიტყვის საბოლოო შინაარსს. აქ არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს მეთაურ სიტყვას,

იგი სიტყვის გარეთ მდებარეობს. მაგ., ქართ. გარემომსხმელი – „თავდები“ (ძვ.ქართული); თოხისტარაი – „ტანგრძელი, ფრთებფართო, მოზრდილი მწერი“ (გურული); ბაბუასაგძალა – „წითელი კუნელი“ (იმერული); ჩეჩნ. ბიყსა – „მარგალიტი“, ბრილიანტი (სიტყვასიტყვით ბიყ – ოთხი, სა – ზღვარი, კიდე) – და სხვ.

საანალიზოდ გამოვიყენეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსი, დიალექტური კორპუსი, სხვადასხვა ლექსიკონი და ლიტერატურულ-ფოლკლორული ტექსტები, ნახური ენებისათვის ყველა ხელმისაწვდომი ელექტრონული და ბეჭდური რესურსი – დამუშავების ეტაპზე მყოფი წოვათუშური ენის კორპუსი, ლექსიკონი, ლაიფციგის ჩეჩნური ენის კორპუსი, აგრეთვე, ყველა ხელმისაწვდომი ინგუშური თარგმნითი ლექსიკონი, თუმცა კომპოზიტთა მონაცემთა ბაზა მუდმივად ივსება ჩვენ მიერ მუშაობის პროცესში, ემატება ახალი ერთეულები და საბოლოო სურათის შექმნისას შეიძლება მონაცემებმა მცირე, უმნიშვნელო ცვლილებაც განიცადოს რაოდენობრივი მახასიათებლების კუთხით.

როგორც ქართულ, ისე ნახურ ენებში კომპოზიცია წარმოადგენს ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას, ქართული-საგან განსხვავებით, არ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვათუშურის ადრეულ, საუკუნეების წინანდელ მდგომარეობას, თუმცა, ის ფაქტი, რომ ძველ ტოპონიმთა უმრავლესობა რთული შედგენილობისაა, გვაძლევს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ სიტყვაწარმოების ეს სახე ახალი, უცხო არ უნდა ყოფილიყო არც ნახური ენებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ წოვათუშურზე დიდი გავლენა აქვს ქართულ ენას, ჩეჩნურსა და ინგუშურზე კი – რუსულს, ასევე გვხვდება არაბულიდან შემოსული ერთეულებიც. აქედან გამომდინარე, ყველა ამ ენაში გვხვდება როგორც ნახსესხები კომპოზიტები, ასევე კალკური წარმოებაც. შეიძლება ნახსესხები იყოს რთული სიტყვის ყველა კომპონენტი ან მხოლოდ რომელიმე მათგანი.

საზოგადოდ, კომპოზიტური წარმოებისა შეიძლება იყოს არსებითი სახელები, რიცხვითი სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები და ზმნიზედები ანუ ყველა სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილი, გარდა ნაცვალსახელისა. მიჩნეულია, რომ სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით, განსაკუთრებით პროდუქტიულია არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება. ნახურ ენებში რთული არსებითი და ზედსართავი სახელები თითქმის თანაბარი რაოდენობისაა. მკვლევრები მიუთითებენ, რომ თხზვა უფრო აქტიურია ზმნებში.

ქართულ და ნახურ ენებში რთული არსებითი სახელების სტრუქტურა შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

[N+N]<sub>N</sub>

**ქართ.** მინდორ-ველი; ქვაბქოთანი; ფერ-ხორცი; ასო-ტანი – სხეული (კახური);

**წოვათუშ.** ატყ-წაქი „მშვილდ-ისარი“ (მშვილდი+ისრები); აპყარბასი<sup>5</sup> „ნაცრისფერი“ (ნაცარი+ფერი); დადეშო- „მამიდა“ (მამა+და);

**ჩეჩნ.** ნანა-ღალა „დედაქალაქი“ (დედა+ქალაქი); ნანა-პელგ „ცერა თითი“ (დედა+თითი); დნ – ნანა „მშობლები“ (მამა+დედა);

**ინგუშ.** მა<sup>~</sup>რ – იშია „მული“ (ქმარი+და); მა<sup>~</sup>რ – ნანა „დედამთლი“ (ქმარი+დედა);

[N+ADJ]<sub>N</sub>

**ქართ.** რძეჭრელი – „მოხეური კერძი“ (რძეში ჩაყრილი ერბო); პირლამა-ზი – მცენარის სახელია; ხელმწიფე „მთავარი, მბრძანებელი, მეფე“.

**წოვათუშურში.** გვხვდება უმეტესად ქართულიდან ნასესხები ერთეულები: ჯორცმეტ „ხორცმეტი“; წელტი „ახალი წელი“; თუმცა კომპონენტთა ამგვარი მიმდევრობა ბუნებრივია წოვათუშური ზედსართავი სახელებისათვის: მოტაჰაჰე „ენაგრძელი“, ქოდაცუ „მოკლევხელიანი“ (ხელი+მოკლე).

**ინგუშ.** ქორთამტუქა „თავისუფალი, დამოუკიდებელი“;

[ADJ+N]<sub>N</sub>

**ქართ.** ახალთავი – „ჩიხტა-კოპი“ (კახური); პატარმალი; ზერდედაი – „ბებია“ (თუშური)

**წოვათუშ.** ჟერფსტუ „ქვრივი ქალი“; წინუს „პატარმალი, რმალი“; ყაი-ნდად, ყაი<sup>~</sup> დად „ბერმამა, პაპა, ბაბუა“;

**ჩეჩნ.** ნჟხაქრთამ „ხოხობი“ (სიტყვასიტყვით – გარეული ქათამი);

**ინგუშ.** იოლ – საგ- „ქალწული, გაუთხოვარი ქალი“, ვოკჰ საგ „მოხუცი, ბებერი“

[NUM+N]<sub>N</sub>

**ქართ.** ორღობე; ორშაბათი; ოთხეკალი – მცენარის სახეობა;

**წოვათუშ.** ცჰანდითხო „ნათესავი“ (ერთი+ხორცი); ცჰანნაყი „თანამგზავრი, თანამავალი“ (ერთი გზისა);

**ჩეჩნ.** შუ<sup>~</sup>სთა „ხარის მოსართავი, აღკაზმულობა“ (სიტყვასიტყვით ორი ხარი);

[ADV+N]<sub>N</sub>

ამგვარი სტრუქტურა მხოლოდ ქართულში დასტურდება.

**ქართ.** წინკარი – „ზღურბლი“; ზედსიძე; ზედწოდება;

[N+INF]<sub>N</sub>

ქართულში ეს მიმდევრობა ბუნებრივია როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელების საწარმოებლად, ნახურ ენებში კი უფრო ზედსართავების შემთხვევაში.

**ქართული:** კბილანმჭრელი „კბილანების მჭრელი“; ხედმძებნი „ფოტოპარატის ნაწილი, რომლის საშუალებითაც ობიექტის მიმართავენ გადასაღებ ობიექტზე“; თაყვანისმცემელი და სხვ.

მხოლოდ ნახურ ენებში გვხვდება ნაცვალსახელი თხზული არსებითი სახელის კომპონენტად [POSS+N]<sub>N</sub>. ვაინახ – „ვაინახები“;

ერთ-ერთი თვალსაჩინო განმასხვავებელი ქართული რთული სიტყვისა ნახურისაგან არის ის, რომ აქ უხვად გვხვდება იდიომატური შინაარსის კომპოზიტები. ერთ-ერთი ან ორივე კომპონენტის მნიშვნელობა გაზუნდოვა-

ნებულა, შემენილი აქვს მთლიანად ახალი სემანტიკა და ამდენად შეუძლებელია კომპონენტების მიხედვით შინაარსის გამოცნობა. ამგვარი თხზული სახელები განსაკუთრებით უხვად გვხვდება ქართული ენის დიალექტებში. მაგალითად, **დედაფუტკარა** – „ჭინჭრისდედა, მინდვრის ფხალი“ (იმერული); **თაგვისკვილაი** – „მირმაგარას მსგავსი, მტკივნეული მუწუკი“ (გურული); **თაგადასაგდები** – ქორწილის დროს მეფე-პატარძლის მისალოცი ან ფული ან რაიმე ნივთი (იმერული); **თაგადასახურავი** – „მიცვალებულის ჭირისუფლისათვის ფულადი შემწეობა მოტირალთაგან“ (იმერული).

ნახურ ენებში ისინი, ისიც მცირე რაოდენობით გვხვდება უმეტესად ზედსართავი სახელის კომპოზიციური წარმოებისას (როგორებიცაა, მაგალითად, წოვათუშური **ქოჭაღო**<sup>5</sup> – „ხელმოჭერილი, ძუნწი“; დოკდალინზ, **დოკდაალნ**<sup>6</sup> – „გულმკვდარი, დანადვლიანებული“; **დოკდარი**<sup>6</sup> – გულდაკოდილი, გულდარდიანი), ქართულში კი ამგვარად შედგენილი არსებითი სახელებიც მრავლად გვაქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში კომპოზიტი შეიძლება შედგებოდეს ორი ან ორზე მეტი ნაწილისაგან, ნახურ ენების სახელურ კომპონენტებში კი ორზე მეტკომპონენტის თხზული სახელები თითქმის არ გვაქვს. ამასთანავე, ჩანს, რომ ნახურ ენებში სახელურზე მეტად აქტიურია ზმნური კომპოზიცია.

### ლიტერატურა

**ბაუერი 1978** – L. Bauer The Grammar of Nominal Compounding, Odense University Press.

**გ. გოგოლაშვილი და ავტორთა ჯგუფი, 2011** – თანაედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა), თბილისი.

**დეშერიევი 1953** – Дешериев Ю. Д., Бацбийский язык, Москва.

**დეშერიევი 1960** – Дешериев Ю. Д., Современный чеченский литературный язык. Ч. 1. Фонетика, Грозный.

**დეშერიევი 1963** – Дешериев Ю. Д., Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный.

**დეშერიევი 1967** – Дешериев Ю. Д., Бацбийский язык. – Сб. Языки народов СССР, т. IV. Иберийско-кавказские языки, Москва.

**თოფურია 1940** – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან II. – ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი.

**მიქელამე 2011** – მ. მიქელამე, წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია, თბილისი.

**ოქსფორდის საცნობარო წიგნი კომპოზიტების შესახებ 2009**, The oxford handbook of compounding (ed. By Rochelle Lieber and Pavol Stekauer).



**სანიკიძე 1966** – ლ. სანიკიძე, ფუძის გაორკეცება ბაცბურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.15, გვ. 304-316.

**სანიკიძე 1968** – ლ. სანიკიძე, რედუპლიკაცია ქართველურ ენებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

**სულეიბანოვა 2009** – М.У. Сулейбанова Композитное словообразование в нахских языках, Диссертация, Грозный.

**ფოჩხუა 1966** – ბ. ფოჩხუა, სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 15, გვ.104-123.

**ფოჩხუა 1974** – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

**ქადაგიძე დ., ქადაგიძე ნ.** 1984 – დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეცნიერება, თბილისი.

**შანიძე 1953** – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, მორფოლოგია, თბილისი.

DIANA KAKASHVILI

### **The Structure of Compound Nouns and the Issue of Classification in Georgian and Nakh Languages**

#### S u m m a r y

The compound word formation is a universal linguistic phenomenon. There is no language without it, although the rules of formation differ according to the internal nature and characteristics of a language.

In general, the compound word formation of nouns is particularly productive compared to the other parts of speech. The structure of compound nouns in Georgian and Nakh can be as follows:

[N+N]<sub>N</sub>

[N+ADJ]<sub>N</sub>

[ADJ+N]<sub>N</sub>

[NUM+N]<sub>N</sub>

[ADV+N]<sub>N</sub>

[N+INF]<sub>N</sub>

Only in Nakh languages it is possible to find a pronoun as a component of a compound noun [POSS + N]<sub>N</sub>.

Due to the diverse structure of languages, it is difficult to develop a common classification system. Compounds are grouped differently in both Georgian and foreign linguistic literature, and the terminology is also very diverse. Some scholars

use semantic features as a classification marker, some of them use only grammatical features while others use both grammatical and semantic ones at the same time, and so on. All these systems present the mentioned words from one angle and do not fully describe the characteristics of compounds. The scheme of the Italian scholars Shalise and Biseto (2009) that has been successfully used to classify compound words of the languages of different families around the world is considered to be the most complete. Both grammatical and semantic relationships between the components of compounds are taken into account including the state of being endocentric and exocentric that means having or not having the head word. The comparative analysis of compound words of Georgian and Nakhic languages has not been conducted so far. In addition, the schemes used to describe them are somewhat incomplete. We have tried to describe and group the compound nouns of the Iberian-Caucasian languages (in this case, Georgian and Bats-Chechen-Ingush) according to the scheme proposed by Shalise and Biseto. Subordinated, attributive and coordinated compounds are grouped separately. In each of them we can distinguish exocentric and endocentric groups. There are also the so-called synthetic compounds where, in addition to the composition, derivation occurs simultaneously. Among attributive compounds, appositive units can be distinguished as a separate group which allows us to describe the system in full and based on multiple characteristics.

მაკა ლაბარტყავა

**-გან / -დან თანდებულიან სახელთა მართლწერისათვის**

(სამეცნიერო ენაში)

როგორც ცნობილია, „თანდებულებს ტრადიციულად ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფენ და მათ, კავშირებთან და ნაწილაკებთან ერთად, ფუნქციონალურ ლექსიკას მიაკუთვნებენ. საგნობრივი მიმართების მქონე სრულმნიშვნელოვან სიტყვათაგან განსხვავებით, ფუნქციონალურ ლექსიკას საგნობრივ მნიშვნელობათაგან მეტ-ნაკლებად დაცლილი სიტყვები (და ზგერათკომპლექსები) ქმნიან. ამ სიტყვებს სხვაგვარად დამხმარე სიტყვებსაც უწოდებენ. დამხმარე სიტყვებს „საგნობრივი მიმართების ფუნქცია არა აქვთ – თავისთავად არაფრის სახელებს არ წარმოადგენენ. მათი დანიშნულებაა – გამოხატონ ურთიერთობა, რომელიც არსებობს სხვა სიტყვებს ან საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებით აღნიშნულ მოვლენებს შორის“ (ფოჩხუა 1974: 127). თანდებულები „ მხოლოდ სხვა სიტყვასთან ურთიერთობისას ასრულებენ გარკვეულ ფუნქციას და მათი ლექსიკური მნიშვნელობაც მაშინ მჟღავნდება“ (მარტიროსოვი 1946: 203); „თანდებულების მნიშვნელობა მხოლოდ შესიტყვებაშია ცხადი“ (ჩიქობავა 1952: 315).

ირკვევა, რომ „...-გან თანდებულს ეტიმოლოგიურად სიტყვა **გან**-ს უკავშირებენ. როგორც ვარაუდობენ, მისი (სიტყვა **გან**-ის) თავდაპირველი მნიშვნელობა ადგილის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო. იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა -გან თანდებულსაც: **ერთგან** სხვა არაფერია, თუ არა– ერთ ადგილას, ბევრგან – ბევრ ადგილას, ყველგან – ყველა ადგილას...“ (ბერიძე 1942: 382). ა. მარტიროსოვი შენიშნავს, რომ -გან თანდებული იძლევა შემადგენელ ნაწილებად – **გა** ძირეული მასალა და **-ნ** ელემენტი. **-გა** ის ძირეული მასალაა, რომელიც სხვადასხვა თანდებულებში, ზმნისართებსა და ზმნისწინებშიც დასტურდება (**გა**-მო, **გა**-რეშე, **გა**-რ-და...). **ნ** ხმოვანმოკეცილი ნაწილი ჩანს თანდებულებსა და ზმნისართებში დადასტურებული **ნა** ელემენტისა: ში-**ნა**, თა-**ნა**, ზე-**ნა**...**ნა** სხვა შემთხვევაში შეიძლება **და** სახესხვაობითაც იყოს წარმოდგენილი: ში-**და**, ზე-**და**, გარ-**და**... (მარტიროსოვი 1946: 228).

ცნობილია, რომ -გან თანდებული ორ ბრუნვას დაერთვის: ნათესაობითსა და მოქმედებითს. -გან თანდებულიანი ნათესაობითი აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მოგვიგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? .მაგ.: „ასეთი შეტყობინება მივიღე ჩემი ოპოზიციონერი

**მეგობრისგან**“ (tavisufleba.org.); „ორშაბათს ჯენიმ **ქმრისგან** წერილი მიიღო, შაბათით დათარიღებული“ („ლიტ. საქართველო“, 2002); „**თიხისგან** ადამიანის შექმნა ღმერთის საქმე იყო, მისი „გამოწვა“ კი თავად ადამიანის“ (ნ. გელაშვილი); „თედოს ყინჩაწითელი კვერცხი მართლა კვერცხი კი არა, **ხისგან** იყო გამოთლილი“ (თ. ბიბილური).

ხოლო **-გან** თანდებულისანი მოქმედებითი გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან მოქმედების დაწყების დროს, შესაბამისად, მოგვიგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? მაგ.: „მ...მმარგუში, მე მივდივარ ამ **სახლიდან**...მოდიხარ თუ რჩები?“ (მ. ჯავახიშვილი); „წირვა გათავდა, **ეკლესიიდან** ხალხმა გამოსვლა იწყო“ (დ. კლდიაშვილი); „არა **ხვალიდან** არაფერს შევჭამ“ (გ. რჩეულიშვილი); „ოპოზიციის პროტესტი თბილისის ქუჩებში გრძელდება **შაბათიდან** და ისინი დაემთხვა ღონისძიებებს“ („საქ. რესპუბლიკა“, 2011)...

მაშასადამე, ქართულ სალიტერატურო ენაში მოქმედი წესის თანახმად, თუ სახელი კონტექსტის შესაბამისად იგუებს კითხვას – **ვისგან? რისგან?** (ხისგან, მეგობრისგან...) იგი **-გან** თანდებულისანი ნათესაობითი უნდა დაისვას და თუ იგუებს კითხვას – **საიდან? რა დროიდან?** ( **ეკლესიიდან, შაბათიდან**) ის **-გან** თანდებულისანი მოქმედებითი უნდა დაისვას.

როგორც ცნობილია, **-გან** თანდებულისანი მოქმედებითი თანამედროვე ქართულში **-ო (დან)** დაბოლოებით არის წარმოდგენილი. „ეს დაბოლოება მორფმათა ზღვარზე ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის ფონეტიკური ცვლის შედეგად არის მიღებული. პროცესი, რომელიც ძველსავე ქართულში იღებს სათავეს, ისტორიულად ასე მიმდინარეობდა: **-(ო)თ + გან > -(ო) დან**“ (მარი 1925: 21). ასე რომ, არნოდდ ჩიქობავას აზრით, „არავითარი **-დან** თანდებული ქართულს არ გააჩნია: **დ** სახეცვლილი **თ** არის და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებას ეკუთვნის“. **-ან** ელემენტი კი **-გან** თანდებულის ნაშთია (ჩიქობავა 1937: 55). გიორგი ცოცანიძის თვალაზრისით, **-გან** თანდებულისანი მოქმედებითი დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ფაქტი არაა. დღეს **-დან** თანდებულისანი მოქმედებითი გვაქვს (ცოცანიძე 1981: 23-27).

მრავალგვარია **-გან / -დან** თანდებულისანი ფორმათა სემანტიკური ფუნქციები.

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, **-გან** თანდებულისანი ნათესაობითისა და ამავე თანდებულისანი მოქმედებითი ბრუნვების გამოყენების არე განსხვავებული იყო ახალი ქართულისაგან. „**-გან** თანდებულისანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ადგილის სემანტიკისა და მასთან განაზრებული სემანტიკის მქონე სახელები, რომლებიც თანამედროვე ქართულში, ჩვეულებრივ, სივრცეში დაწყებითობას გამოხატავენ, ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება. ძველ ქართულში ამ ფუნქციას, როგორც წესი, უთანდებულო მოქმედებითი ან **-გან** თანდებულისანი ნათესაობითი ასრულებს“ (მარტოროსოვი 1946: 230, შარაშენიძე 1956: 414, იმნაიშვილი 1957: 211). ამ თვალაზრისით საინტერესო მასალას იძლევა ადიშის ოთხთავის რედაქციები, რომლებშიც უთანდებულო მოქმედებითის კონსტრუქციებს ჯრუჟ-პარხლისაში

იმავე ფუნქციით **-გან** თანდებულისანი ნათესაობითი ენაცვლება. მაგ.: „მაცადე და აღმოგილო წუელი ეგე **თუალით შენით**“ მ, 7, 4, C და „მაცადე , აღმოგილო წუელი **თუალისაგან შენისა**“ DE. შდრ. თანამედროვე ქართული: **ამოგილო თვალიდან** ბეწვი“ (კალანდაძე 2016: 102).

დღეს თანამედროვე ქართულში მწვავედ დგას **-გან** და **-დან** თანდებულისანი სახელთა მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები. ხშირია **-გან** თანდებულდართული ნათესაობითისა და და მოქმედებითის აღრევის შემთხვევები. ეს პრობლემა გასულ საუკუნეშიც აქტუალური იყო. თანამედროვე სიტყვათხმარებაში ვარიანტული, პარალელური კონტრუქციებით წარმოდგენილი ფორმები, სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, ჩარევას საჭიროებს.

ხშირად **-გან** თანდებულის ნაცვლად **-იდან** არის გამოყენებული: „სა-ლმონელა უმეტესად ფრინველისა და მათი **კვერცხიდან** მომზადებულ საკვებში ხვდება“ („ხვალინდელი დღე“, 2005) (უნდა იყოს: **კვერცხისგან**); „ჰაჰა, აი, **კახადან** რომ გამოხვედი, რაღაცნაირად ვიფიქრე, რომ შენ იყავი“ (forum. ge) (უნდა იყოს: **კახასგან**); ხანაც **-იდან** თანდებულის ნაცვლად – **-გან**: „მან ველურივით მიმოიხედა ირგვლივ, **ზღვისგან** მხოლოდ ერთი ნახტომი აშორებდა“ („ლიტ. პალიტრა“, 2008) (უნდა იყოს: **ზღვიდან**), „**უნივერსიტეტისგან** მაღაზიმდე გზა საოცრად გრძელი მეჩვენა“ (lib.ge) (უნდა იყოს: **უნივერსიტეტიდან**)...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენაში ნორმად მიჩნეული **-გან** თანდებულისანი ნათესაობითის ფუნქციით სალიტერატურო ენის თვალსაზრისით საეჭვო **-გან** თანდებულისანი მოქმედებითის მოჭარბება შეინიშნება სამეცნიერო ენაში. ჩვენი მიზანია, ამ ვარიანტული კონსტრუქციების გამოვლენა-აღწერა და შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავება.

ასევე საყურადღებოა ისიც, რომ ხშირად (უმეტესად სამეცნიერო ენაში) ერთმანეთს ენაცვლება ნათესაობითი ბრუნვის **თანისანი** მრავლობითის **-გან** თანდებულისანი და მოქმედებითი ბრუნვის **-ებისანი** მრავლობითის **-იდან** თანდებულისანი ფორმები. მაგ.: „*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან* რომელმა ფაქტმა შეიძლება განამტკიცოს ეს ვარაუდი?“ (forum.ge), შდრ.: „*ქვემოთ ჩამოთვლილიდან*, რომელ შემთხვევაშია აკრძალული სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია?“ (teoria.org.ge); „მოცემული *სიტყვებიდან* შეარჩიეთ სწორი ფორმა და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას“ (nplg.ge), შდრ.: „*მოცემულ სიტყვათაგან* რომელია ნეოლოგიზმი?“ (propfcs.com)...

ამ შემთხვევაში **-გან** და **-იდან** თანდებულისანი ვარიანტებით წარმოდგენილია „გამორჩევითობის“ სემანტიკა და ვფიქრობთ, მათ შორის სხვაობა სტილისტიკური ხასიათისაა. ამდენად, ორივე ვარიანტი მისაღებია და შეიძლება ორივე – **-გან** და **-დან** გემოვნებისამებრ გამოვიყენოთ (**ჩამოთვლილიდან // ჩამოთვლილთაგან, სიტყვებიდან // სიტყვათაგან**...).

**-გან** თანდებულისანი ნათესაობითის ფუნქციით **-გან** თანდებულისანი მოქმედებითის მოჭარბების შესახებ თავის დროზე ვიოლა კალანდაძე შენიშნავდა: „**-გან** თანდებულისანი ნათესაობითში დაისმის სახელი, რომელიც რაიმესგან **წარმოქმნა-მიღება-მომდინარეობას** გამოხატავს. ამ ტიპის შესიტყვებებს

ძირითადად **მიიღება (მიიღო, მიღება), იწარმოება, წარმოიშობა, წარმოიქმნება** ზმნები ქმნიან“ (კალანდაძე 2016:105). მისივე აზრით შესიტყვევები სამეცნიერო ენისათვის არის დამახასიათებელი, (ეს ეხება აგრეთვე სახელზმნებსაც) რაც დაადასტურა კიდევ ჩვენ მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში მოპოვებულმა მასალამ.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითებს სამეცნიერო ლიტერატურიდან:

„უმეტესად, ერთი **ფუძისგან** უქონლობის სახელი **იწარმოება** მხოლოდ ერთ-ერთი კონფიქსით: უ-ქუდ-ო“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 20:50); „ძირითადად განხილულია სახელთა **ფუძისაგან წარმოქმნილი** სახელები, ნა-ზმნარი სახელები, ნასახელარი ზმნები“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 20:55);

„ზმნური **ფუძისგან იწარმოება** ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 20:57); „ტყაპუნის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შემდეგი მოსაზრება: ფუძედრეკადი **ზმნებისაგან** ნა-ზმნარი სახელების **წარმოებისას** ფუძისეული ე ხმოვანი შეიძლება ა ხმოვნით შეიცვალოს“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 20:31);

„უმუალოდ **ზმნისგან წარმოებისას** გამოიყენება ნამყო ძირითადის ფუძე: გან-საჯ-ა < მ-საჯ-ი, გა-ზარდ-ა < მ-ზარდ-ი“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 20:32); „სცოდავს **ზმნისგან ნაწარმოებ** მიმღეობებში ორი სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობა ზოგჯერ მხოლოდ კონტექსტით განირჩევა“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 20:40);

„... ეს ზმნა **მიღებულია ზმნისგან** „თქვა“ (თქვა < თქო < ო)“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 22:15);

„მსაზღვრელი სახელი (ატრიბუტივი) შეიძლება **იწარმოოს**: ა) არსებითი **სახელისაგან** (კაც-ურ-ი, კაც-იან-ი)...“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 22:26); „რიგობითი რიცხვითი **სახელისაგან აწარმოებენ** წილობითი რიცხვითი სახელის ფუძეს“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 22:30);

„ქართულში ნასესხებია ზედსართავეები – კომპოზიციური და კომპოზიტური, რომლებიც სხვადასხვა **სახელისგანაა ნაწარმოები**“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 22:44);

„ამკარა ალ- **ვარიანტისგან მომდინარეობს** ა- და არა პირიქით“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 22:46);

„ეს არის საკვები, რომელიც მცენარეული და ცხოველური ნედლეულიდან გამოყოფილი **ნივთიერებებისგან** ან **ბიომასისგან მიიღება**“ (mepa.org.ge); „... ნაწილობრივ მცენარეებში არსებული ქიმიური **ნივთიერებებისგან იწარმოება**“ (jv.org);

„**ნახშირწყლებისგან წარმოიქმნება** ყველა ბუნებრივი ორგანული ნივთიერება“ (mkurnli.ge); „**მოლეკულისაგან წარმოიქმნება** A ვიტამონის ორი მოლეკულა“ (mkurnli.ge)...

„ამ **სახელებისგან იწარმოება** ზმნები (ათამაშებს, თამაშობს, შრიალებს, ღიღინებს), რომლებსაც მასდარის მაგივრობას ისევ ეს სახელები უწევენ“ (<http://sml.corpora.co/#/>, 20.12.19, 22:47);

„იგი **მიღებულია** თვით **ზედსართავისგან** ან სხვა მეტყველების ნაწილი-საგან“ (AkhaliGza);

„თბილისი **ზედსართავისაგან წარმოქმნილი** (ვხვდებით ორ არამონათე-სავე ენაში) ოიკონიმიას“ (iliauni.edu.ge)...

ზემოთ წარმოდგენილ **-გან** თანდებულიან ფორმათა გვერდით (იმავე ზმნებთან თუ სახელზმნებთან: **იწარმოება, წარმოიშობა, წარმოიქმნება, მიიღე-ბა...**) ვაწყდებით **-დან** თანდებულიან ფორმებსაც.

საილუსტრაციო მაგალითები სამეცნიერო ლიტერატურიდან:

„არტისტ- **ფუმიდან ნაწარმოებია** შემდეგი ფორმები: ზედსართავი სახე-ლი (არტისტული), განყენებული (აბსტრაქტული) არსებითი სახელი (არტის-ტულობა)...“ (<http://sml.corpora.co/#/,20.12.19,23:27>);

„ბრალ- და მსჯავრ- **ფუძეებიდან ნაწარმოები** კომპოზიტები (ისევე რო-გორც ბრალი და მსჯავრი): ბრალდება – ბრალდადება, მსჯავრდება – მსჯავ-რდადება... – ერთ ტერმინოლოგიურ (სამართლებრივ) კონტექსტში განიხილე-ბა“ ( <http://sml.corpora.co/#/,20.12.19,23:27>);

„ის, რაც ახლა მიმდებარის კუთვნილ ფუძედაა მიჩნეული, ჩანს, ზმნური **ფუმიდან მომდინარეობს**“ (<http://sml.corpora.co/#/,20.12.19,23:27>);

„ეს ორი ზედსართავი – კომპოზიციური და კომპოზიტური– ფორმოზ-რივად ძალზე ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვა **სახელიდან მომდინა-რეობენ**“ (<http://sml.corpora.co/#/, 20.12.19,23:27>);

„ინგლისური პროფესიის სახელი ranger **მომდინარეობს** პოლისემიური **ზმნიდან** to range (გამწვრივება, დაჯგუფება, მოწესრიგება)“ (<http:// sml.corpora.co/#/, 20.12.19,23:27>);

„სანსკრიტული სიტყვა პრანა **მოდის ფუმიდან** პრა-, **პრეფიქსიდან**, რო-მელიც წინა-ს ნიშნავს“ (yoga.ge)...

ამდენად, დაისმის საკითხი რომელია უფრო მისაღები სალიტერატურო ენისათვის?

ზემოთ წარმოდგენილი კონტექსტების მიხედვით ირკვევა, რომ **-გან** და **-დან** თანდებულები (ერთსა და იმავე შინაარსის ზმნებთან) თავისუფლად მო-ნაცვლეობენ. სტატისტიკურად **-გან** თანდებულიანი ფორმები ჭარბობენ. თუმცა **-დან** თანდებულიან ფორმებს უმართებულოდ ვერ მივიჩნევთ (**-დან** თანდებულიანი ფორმები თანამედროვე ქართულში ტენდენციური გახდა). ვფიქრობთ, ორივე დასაშვებია:

**-დან// -გან (ფუმიდან მომდინარეობს // ფუძისგან მომდინარეობს, ნივ-თიერებებიდან მიიღება // ნივთიერებებისგან მიიღება)...**

საყურადღებოა შემდეგი გარემოება – ამავე თანდებულიანი ფორმების სხვა ზმნებთან (**დაერთვის, ამოუღია, ივარაუდება, იმართვის...**) – შესიტყვევის შემთხვევაში ეს პრობლემა არ დგას. **-დან** თანდებული გამორიცხავს **-გან** თან-დებულს და პირიქით:

მაგ.: „საშუალო **ზმნებიდან** მეშველი ზმნები ძირითადად „მედიოპასი-ვებს“ **დაერთვის**, იშვიათად მედიოაქტივებს“ (<http://sml.corpora.co/#/>, 21.12.19, 12:39); „ამავე ლექსის **ვარიანტიდან ამოუღია** ეს სტრიქონები: „აღარ ეტყობა რტოებს რტობა, როცა ნისლია და მარტობა“ (<http://sml.corpora.co/#/>, 21.12.19, 12:40); „ამ **ფუძეებიდან გამომდინარე**, ყველაფერი ნათელი გახდა (<http://sml.corpora.co/#/>, 21.12.19, 12:42); შდრ.: „ორპირიანი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე დრო-კილოთა ამავე **ზმნისგან იმართვის** სახ. ბრუნვაში“ (<http://sml.corpora.co/#/>, 21.12.19, 12:50)...

მაშასადამე, სამეცნიერო მასალაზე დაყრდნობით, ერთი მხრივ, გამოიკვეთა ერთმანეთის მონაცვლე ნათესაობითი ბრუნვის **თანიანი** მრავლობითის **-გან** თანდებულიანი და მოქმედებითი ბრუნვის **-ებიანი** მრავლობითის **-იდან** თანდებულიანი ფორმები (მაგ.: „**ზმნათაგან** რომელია“, შდრ.: „**ზმნებიდან** რომელია“) რომელთა მართებულობის საკითხი სალიტერატურო ენაში არ დგას და ორივე ვარიანტი მისაღებად მიგვაჩნია. მეორე მხრივ, დადასტურდა **-გან** თანდებულიანი ფორმები (**მიიღება (მიიღო, მიღება)**, **იწარმოება, წარმოიშობა, წარმოიქმნება** ზმნებთან), თუმცა იმავე ზმნებთან ტენდენციურია **-დან** თანდებულიანი ვარიანტებიც [„არტისტ- **ფუძიდან ნაწარმოებია** შემდეგი ფორმები...“, შდრ.: „უმეტესად, ერთი **ფუძისგან** უქონლობის სახელი **იწარმოება**...“).

ბუნებრივია, შესაბამისი ნორმატიული რეკომენდაციის დაძებნა ამ ეტაპზე კატეგორიული ვერ იქნება. თუმცა, ვფიქრობთ, მართებულად იქნეს მიჩნეული როგორც **-გან**, ისე **-დან** თანდებულიანი ვარიანტები.

### ლიტერატურა

**ბერიძე 1942** – ვ. ბერიძე, **საგან** სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV ტ., თბილისი.

**თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები**, 1970, თბილისი.

**კალანდაძე 2016** – ვ. კალანდაძე, თანდებულთა სტილისტიკური ფუნქციები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, თბილისი.

**მეტაენა** – სამეცნიერო კორპუსი.

**ფოჩხუა 1974** – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

**ქეიკი** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

**ქევი** – ქართული ენის კორპუსი.

**ჩიქობავა 1952** – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

**ცოცანიძე 1981** – გ. ცოცანიძე, „გან“ თანდებულიანი მოქმედებითის საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. V, თბილისი.



MAKA LABARTKAVA

**On Spelling Nouns with the Postpositions *-gan /-dan***

(In the Scientific Language)

S u m m a r y

The paper discusses the issues related to spelling nouns with the postpositions *-gan/dan* and the semantic functions of the word forms containing the mentioned postpositions in Old and New Georgian. The problem that was relevant in the last century is also analyzed, in particular, the cases of confusion of the genitive and instrumental cases having the postposition *-gan*, e.g. *universitetisgan mayaziamde gza saocrad grzeli mečvena*, cf.: *universitetidan saxlamde pexit čavdivar*.

It presents the free alternation of the postpositions *gan/dan* (with the verbs of the same meaning) in the scientific language, e.g. *arṡist- pužidan načarmoebia šemdegi pormebi: zedsartavi saxeli (arṡistuli), ganqenebuli (abstrakṡuli) arsebiti saxeli (arṡistuloba)*, cf.: *zmnuri pužisgan ičarmoeba namqo drois saobiekṡo mimyeoba*, etc. and it is noted that according to the statistical data, the forms with the postposition *-dan* is prevalent, e.g. *es ori zedsartavi – ṡompoziciuri da ṡompozituri – pormobrivad zalze hgvanan ertmanets, magram sxvadasxva saxelidan momdinareoben, bral- da msžavr- puzeebidan načarmoebi ṡompozitebi (iseve rogorc brali da msžavri): braldeba – braldadeba, msžavrdeba – msžavrdadeba... – ert ṡterminologiur (samartlebriv) ṡontekṡṡi ganixileba*, etc.

The paper also analyzes the form of the genitive case with the plural suffix *t* and the postposition *-gan* and the form of the instrumental case with the plural suffix *-eb* and the postposition *-idan* that often alternate with each other, e.g. *kvemot čamotvliltagan romelma pakṡma šeižleba ganamṡkicos es varaudi?*, cf.: *kvemot čamotvlilidan romel šemtxvevašia aṡrṡaluli saṡransporṡo sašualebis ekspluatacia?*, etc.

Relevant recommendations are given on these issues.

რომან ლოლუა

**არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება  
ლეზგიურ ენაში<sup>1</sup>**

ლეზგიური ენისათვის დამახასიათებელია არსებით სახელთა კომპო-  
ზიტური წარმოება. კომპოზიტთა შორის ჭარბობს **შეერთებითი კომპოზიტე-  
ბი**, რომელიც ორი (ან მეტი) დამოუკიდებელი, თანაბარუფლებიანი სიტყვისა-  
გან შედგება. შეერთებითი კომპოზიტების კლასიფიკაციის საფუძველს წარმო-  
ადგენს ა) კომპოზიტისა და კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობა და  
ბ) კომპოზიტის სტრუქტურა (აგებულება).

**შეერთებითი კომპოზიტები (composita copulativa)**

შეერთებითი კომპოზიტების უმრავლესობის ლექსიკური მნიშვნელობა  
წარმოადგენს მისი კომპონენტების ლექსიკურ მნიშვნელობათა ჯამს, მაგ.,  
**დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ბუბა** „მამა“), **მეს-ყრგან**  
„საბან-ლეიბი“ (ზედმიწ. „ლეიბ-საბანი“; **მეს** „ლეიბი“, **ყრგან** „საბანი“ და სხვ.  
ზოგჯერ კომპოზიტის მნიშვნელობა უფრო ფართოა, მაგ., **მეს-ყრგან** საბანისა  
და ლეიბის გარდა აღნიშნავს ყოველგვარ ქვეშაგებსა და გადასაფარებელ-თეთ-  
რეულს.

ზოგიერთი ამდაგვარი კომპოზიტი იძენს კნინობით მნიშვნელობას,  
მაგ., **გადა-ბაზარ** „ბრბო“, „ქაოტური შეკრება“, **ლუტუ-პტუ** „ცბიერი მატყუარა“, „გა-  
ქექილი“...

კომპონენტთა ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთობების თვალსაზრი-  
სით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მოდელები:

1) სინონიმური (სრული სინონიმები ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე  
სიტყვები): **пад-къерех** „უცხო მხარე“ (**пад** „მხარე“ + **къерех** „მხარე“, „კიდე“);  
**жегъил-жаван** „ახალგაზრდა“ (პოეტ.) (**жегъил** „ახალგაზრდა“ + **жаван** (პოეტ.)  
„ახალგაზრდა“); **рахун-луйкуьн** „ურთიერთობა“ (**рахун** „საუბარი“, „ურთიერ-  
თობა“ + **луйкуьн** „საუბარი“)...

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072 „არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)“).

2) ანტონიმური: **ჩილერ-ცავარ** „მსოფლიო“, „სამყარო“ (**ჩილერ** „მიწა“ (მრ. რ.) + **ცავარ** „ცა“ (მრ. რ.); **გვეჩი-ჩიხი** „ყველა“, „დიდიან-პატარიანად“ (**გვეჩი** „უმცროსი“ + **ჩიხი** „უფროსი“); **კგინ-ჩიურუ** „დამწერლობა“, „წერის ცოდნა“ (**კგინ** „წერა“ + **ჩიურუ** „გადაშლა“)...

ასოციაციური: **დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ბუბა** „მამა“); **ხვა-სტა** „ნათესავი“ (**ხვა** „შვილ + **სტა** ძმა“); **ქამ-ქარას** „შეშა“ (**ქამ** „ფიჩხი“ + **ქარას** „შემის ნაჭერი“); **კვალ-სტალ** „ნალექი“ (**კვალ** „წვიმა“ + **სტალ** „წვეთი“)...

ერთგნობიანი კომპოზიტების გარდა, ამ ტიპს მიეკუთვნება ორგნობიანი კომპოზიტებიც, მაგ., **ჩან-თან** „სული და ხორცი“ (ზედმიწ. სული და სხეული, ტანი); **ჩინარ-გილერ** „პირი და ხელი“ (ზედმიწ. სახეები და ხელები)...

შეერთებითი კომპოზიტების კომპონენტებად შეიძლება მოგვევლინოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა. ამ კომპოზიტს ერთნაირი კომპონენტები შეადგენს. დასტურდება შემდეგი მოდელები: 1) არსებითი სახელი + არსებითი სახელი; 2) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი; 3) ზმნა + ზმნა. შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ორივე კომპონენტი სხვა მეტყველების ნაწილს წარმოადგენს, ვიდრე მათგან ნაწარმოები კომპოზიტი, მაგ., **კეციქილ-ქიი** „ახალი ტანსაცმელი“ (**კეციქილ** „შიშველი“ + **ქიი** „ახალი“); **ტიუზ-ხუზ** „საჭმელი“, „სუფრა“, „ნადიმი“ (**ტიუზ** „ჭამა“ + **ხუზ** „სმა“) და ა. შ.

პირველი ტიპი (არსებითი სახელი + არსებითი სახელი) ყველაზე პროდუქტიულია შეერთებით კომპოზიტთა შორის. აქ გამოსარჩევია სამი მოდელი:

ა) ორი არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით მხოლოდობით რიცხვში: **დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ბუბა** „მამა“); **ტივარ-ვან** „დიდება“, „ცნობადობა“ (**ტივარ** „სახელი“ + **ვან** „ხმა“, „ხმაური“)...

ბ) ორი არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით მრავლობით რიცხვში: **ვეკერ-კვალარ** „ბალახები“, „მცენარეები“ (**ვეკერ** „ბალახები“, „თივა“ + **კვალარ** „ღეროები“);

აღსანიშნავია, რომ გვხვდება პარალელური ფორმები, სადაც ერთმანეთს ენაცვლება მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში მდგარი კომპონენტებისაგან შემდგარი კომპოზიტები, მაგ., **გაფ-ქალ** / **გაფარ-ქალარ** „მეტყველება“, „საუბრები“ (ზედმიწ. სიტყვა/სიტყვები + ლექსი/ლექსები); **ქვალ-იუგ** / **ქვალერ-კვარ** „მთელი ქონება“ (ზედმიწ. სახლი / სახლები + დღე / დღეები)... აღსანიშნავია, რომ ასეთი პარალელური ფორმებიდან უფრო მეტად გამოიყენება კომპოზიტები მრავლობით რიცხვში მდგარი კომპონენტებით.

გ) რთული არსებითი სახელი + სუფიქსი **-ვალ**: **არ-დუხვალ** „მეგობრობა“ (**არ-დუხ** „მეგობარი“)...

აქ ყველაზე პროდუქტიულია პირველი მოდელი.

2) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი. ლეზგიურ ენაში შეერთებითი კომპოზიტების წარმოების ეს ტიპი არ არის პროდუქტიული და აქ ერთი მოდელი დასტურდება – ორი ზედსართავი სახელის ფუძე, მაგ., **კეციქილ-ქიი** „ახალი ტანსაცმელი“ (**კეციქილ** „შიშველი“ + **ქიი** „ახალი“); **ქიუ-ცურუ** „ბედ-უბედობა“ (**ქიუ** „მლაშე“ + **ცურუ** „მყავე“)...

3) ზმნა + ზმნა. ამ ტიპის შეერთებითი კომპოზიტები სამი მოდელის მიხედვით იწარმოება:

ა) მასდარი + მასდარი: **ტიუზი-ხუნი** „საჭმელი“, „სუფრა“, „ნადიმი“ (**ტიუზი** „ჭამა“ + **ხუნი** „სმა“); **კგინი-ჭიური** „დამწერლობა“, „წერის ცოდნა“ (**კგინი** „წერა“ + **ჭიური** „გადაშლა“); **ფინ-ხუნი** „სიარული“, „ურთიერთობა“ (**ფინ** „სიარული“, **ხუნი** „დაბრუნება“)...

ბ) იმპერატივი + იმპერატივი: **აღად-ხაშა** „სირბილი“, „სიარული“ (უმიზეზო); ლაქია (**აღად** „იარე!“ + **ხაშა** „დაბრუნდი!“)...

გ) მიმღეობა + მიმღეობა: **ათაი-ხაფეი** „სტუმარი“, „ჩამოსული“ (**ათაი** „მოსული“ + **ხაფეი** „წასული“); **კისაი-ილისაი** „ჩუმჩუმელა“ (**კისაი** „უთქმელი“ + **ილისაი** „მიმწოლი“, „მიმჭერი“)...

ამას გარდა, ლეზგიურ ენაში დასტურდება შეერთებითი კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არ მოეპოვება, **მუკვა-კხილი** „ნათესაობა“ (ზედმიწ. „ნათესავი“, „ნათესაური“ + ?); **კაბ-კაჯახ** „ჭურჭელი“, „სამზარეულოს აქსესუარები“ (ზედმიწ. „თევში“ + ?)...

არსებითი სახელები როგორც შეერთებითი კომპოზიტების კომპონენტები შეიძლება იყოს კონკრეტული, აბსტრაქტული ან ნივთიერებათა აღმნიშვნელი. მაგალითად, კომპოზიტებში **ხვა-სტა** „ნათესავი“ (ზედმიწ. „შვილძმა“), **იჩ-ჩუხვერ** „ხილი“ (ზედმიწ. ვაშლ-მსხალი“) კომპონენტები კონკრეტულ არსებით სახელებს მიეკუთვნება, კომპოზიტები **დერდი-გალ** „მწუხარება“, „დარდი“ (ზედმიწ. „დარდი-მდგომარეობა“), **ვან-სეს** „ხმა“, „ხმაური“, „ჭორი“, „ამბავი“ (ზედმიწ. „ხმა“, „ბგერა“- „ხმა“, „ხმაური“ აბსტრაქტული არსებითი სახელებისაგან შედგება, ხოლო კომპოზიტები **აკარ-ქემერ** „სურსათი“ (ზედმიწ. „ხორც-ზეთი/ცხიმი“), **ერეკ-ჩეხირ** „ალკოჰოლი“ (ზედმიწ. „არაყდვინო“) შედგება ნივთიერებათა არსებითი სახელებისაგან.

აღსანიშნავია, რომ სულიერი და უსულო არსებითი სახელები შეერთებით კომპოზიტში დასტურდება, როგორც წესი, თავისივე ჯგუფის არსებით სახელებთან, მაგ., **კლექ-ვერჩ** „შინაური ფრინველი“ (ზედმიწ. „მამალ-დედალი“), **პაბ-აჟლ** „ოჯახი“ (ზედმიწ. „ცოლ-შვილი“); **ხუზ-კვალ** „მშობლიური მხარე“ (ზედმიწ. „სოფელ-სახლი“), **კაბ-ტიურ** „ჭურჭელი“ (ზედმიწ. „თებშ-კოვზი“).

შეერთებით კომპოზიტთა უმრავლესობა არანაწარმოებ ფუძეთაგან შედგება, მაგ., **მეზ-გველ** „დარწმუნება“ (ზედმიწ. „ენა-ნაფხვენი“), **კაშ-მეხ** „შიმშილ-სიცივე“ და ა.შ.. ზოგიერთი კომპოზიტი ზმნური – სხვადასხვა პრევერბის მეშვეობით ნაწარმოები ფუძეებისაგან, მაგ., **კუკლუნ-ჩუხუნ** „ჩხუბი“, „გარჩევა“, „სკანდალი“ (**კუკლ-უნ** „ჩხუბი“ + **ჩუხ-უნ** „კაწვრა“), **აუკუნი-კარაგუნი** „ავეჯი“, „წესრიგი სახლში“ (**აუკუნი** „ჯდომა“ + **კარაგუნი** „ადგომა“)...

ამას გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, ლეზგიურ ენაში გვხვდება კომპოზიტები, რომელიც **-ვალ** სუფიქსით არის გაფორმებული (ეს სუფიქსი აბსტრაქტულ არსებით სახელებს აწარმოებს), მაგ., **არ-დუხვალ** „მეგობრობა“ (**არ-დუხ** „მეგობარი“), **ჯუზრეა-ჯუზრევალი** „მრავალფეროვნება“ (**ჯუზრეა-ჯუზრე** „სხვადასხვა“, „განსხვავებული“); **არუ-ცარუვალი** „სიჭრელი“ (**არუ-ცარუ** „ჭრელი“)...

**განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa)**

მ. ჰასპელმათის აზრით, ლეზგიურს საერთოდ არ მოეპოვება აღნიშნული კომპოზიტები (ჰასპელმატი 1993: 107), რასაც ვერ გავიზიარებთ. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია ნაჩვენები (ჰაიდაროვი და სხვ. 2009: 132-133; სელიმოვა 2009; სულთანოვა 2011; შაჰბანოვა 2019 და სხვ.), ლეზგიურში არაიშვიათად გვხვდება composita determinativa.

განსაზღვრებითი კომპოზიტები ზოგადად წარმოიქმნება მსაზღვრელ-საზღვრულის ლექსიკალიზაციის გზით. ამ ტიპის კომპოზიტები ლეზგიურ ენაში კომპონენტთა შერწყმისას წარმოქმნილი ცვლილებების მიხედვით შეიძლება დავეყოს სამ ჯგუფად:

1) ფონეტიკური ცვლილებების გარეშე წარმოებული განსაზღვრებითი კომპოზიტები, მაგ., **кьуру-кьерех** „ნაჭრის სიგრძე, გრძელი მხარე“ (**кьуру** „მშრალი“ + **кьерех** „კიდე“);

2) მცირე ფონეტიკური ცვლილებებით წარმოქმნილი განსაზღვრებითი კომპოზიტები, მაგ., **халад-хва** „დეიდაშვილი (მამაკაცი)“ (**хала-д(ин)** გენ. ფორმა **хала** „დეიდა“ + **хва** „ვაჟიშვილი“);

3) მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებებით წარმოქმნილი განსაზღვრებითი კომპოზიტები, მაგ., **баде** „ბებია“ (**(бу)ба-(дин)** „მამის“ + **(ди)де** „დედა“)...

განსაზღვრებითი კომპოზიტები სამ ჯგუფად იყოფა სემანტიკური სტრუქტურის თვალსაზრისითაც:

1) მოტივირებული კომპოზიტები, ანუ ამ კომპოზიტების ლექსიკური მნიშვნელობა გამომდინარეობს კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობისაგან, მაგ., **халад-руш** „დეიდაშვილი (ქალი)“ (**хала-д(ин)** გენ. ფორმა **хала** „დეიდა“ + **руш** „ქალიშვილი“);

2) ნაწილობრივ მოტივირებული კომპოზიტები, მაგ., **къизилкъуш** „მიმინო“ (**къизил** „ოქრო“ + **къуш** „ჩიტი“, „ფრინველი“); **къизилбалугъ** „ორაგული“ (**къизил** „ოქრო“ + **балугъ** „თევზი“);

3) არამოტივირებული კომპოზიტები, მაგ., **агъу-тIур** „ძუნწი“ (**агъу-(дин)** „შხამის“, „საწამლავის“ + **тIур** „კოვზი“)...

აგებულების მიხედვით composita determinativa ლეზგიურ ენაში შედგება, ერთი მხრივ, წარმოშობით არსებითი სახელისა (სახელობითში) ან გასუბსტანტივეებული მიმღეობისაგან (საზღვრულის კომპონენტი) და, მეორე მხრივ, არსებითი სახელისაგან (როგორც წესი – გენტივის, ზოგჯერ კი – სახელობითისა ან IV ლოკატიური ბრუნვის ფორმით), რიცხვითი სახელისაგან, ზედსართავისა ან მიმღეობისაგან (მსაზღვრელის კომპონენტი).

სტრუქტურული მოდელი არსებითი სახელი ნომინატივში + არსებითი სახელი ნომინატივში: უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოდელის განსაზღვრებითი კომპოზიტები ლეზგიურ ენაში იშვიათია, მაგ., **къуза-пад** „ჩრდილოვანი მხა-

რე“ (**кьуза** „ჩრდილი“ + **пад** „მხარე“); **цIай-лапан** „ელვა“ (**цIай** „ცეცხლი“ + **лапан** < **алпан** „მეტეორიტი“); ამავე ტიპს მიეკუთვნება სპარსული, არაბული და თურქული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები, მაგ., თურქული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტია **къизил** „ოქრო“: **къизил-кьуш** „მიმინო“ (**къизил** „ოქრო“ + **кьуш** „ჩიტი“, „ფრინველი“); **къизил-балугъ** „ორაგული“ (**къизил** „ოქრო“ + **балугъ** „თევზი“)... ან ირანული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტია **кар** „საქმე“: **зиян-кар** „მავნებელი“ (**зиян** „ზიანი“, „ზარალი“ + **кар** „საქმე“); **даве-кар** „ჩხუბისთავი“, „წამქეზებელი“ (**даве** „დავა“, „ჩხუბი“, „ომი“ + **кар** „საქმე“); ლეზგიურ ენაში ამ ჯგუფის 15 ლექსემა დასტურდება.

სტრუქტურული მოდელი არსებითი სახელი გენიტივში + არსებითი სახელი ნომინატივში: ეს მოდელი ლეზგიურ ენაში პროდუქტიულია. აქ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ქვეტიპი:

ა) პირველმა კომპონენტმა დაკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, თუმცა ინარჩუნებს მის მნიშვნელობას, მაგ., **кьасумхуър** „ყასუმკენტი“ (ზედმიწ. **кьасум(-ан)** „ყასუმის“ (საკ. სახელი) + **хуър** „სოფელი“; **чуква-тIур** „საწვნი“, „ჩამჩა“ (**чуква(-дин)** „ქვების“ + **тIур** „კოვზი“)... ამავე ქვეტიპს უნდა განეკუთვნებოდეს აღმოსავლური ენებიდან ნასესხები რთული არსებითი სახელები, რომელთა მეორე კომპონენტია სპარსული **хана** „შენობა“, „შენობა-ნაგებობის შიდა სივრცე“. ეს ლექსემა ლეზგიურ ენაში ცალკე არ გვხვდება, მხოლოდ კომპოზიტებში, რომელთა რაოდენობა დაახლ. სამ ათეულს შეადგენს, მაგ., **кар-хана** „ქარხანა“ (**кар** „საქმის“ + **хана**), **устар-хана** „სახელოსნო“ (**устар** „ოსტატის“ + **хана**); **кIтаб-хана** „ბიბლიოთეკა“ (**кIтаб** „წიგნის“ + **хана**)...

ბ) მეორე ქვეტიპს განეკუთვნება ისეთი კომპოზიტები, რომელთა პირველმა კომპონენტმა ნაწილობრივ დაკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, მაგ., **кьаркьу-лув** „ღამურა“ (**кьаркьу(н)** „ტყავის“ + **лув** „ფრთა“...

გ) მესამე ქვეტიპს განეკუთვნება სახელები, რომელთა პირველ კომპონენტს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვს, მაგ., **иран-диде** „სიდედრი“ (**иран/яран** „პატარძლის“, „შეყვარებულის“ + **диде** „დედა“; **кьулан-тар** „ხერხემალი“ (**кьулан** „შუა“ (გენ.) + **тар** „ხე“)...

იშვიათად გვხვდება ამ მოდელის კომპოზიტები, რომელთა პირველი ან მეორე კომპონენტი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ., **тапарн-кIват** „ცრუპენტელა“, „მატყუარა“ (**тапарн(н)** „ტყუილების“ + **кIват** „გუნდა“); **кьилин-пацар** „კოტრიალი“ (**кьилин** „თავის“ + **пац-ар** „თათები“)... მეორე მოდელი ლეზგიურ ენაში პროდუქტიულია.

სტრუქტურული მოდელი არსებითი სახელი IV ადგილობითი ბრუნვის ფორმით + არსებითი სახელი სახელობითში ლეზგიურ ენაში არაპროდუქტიულია. სულ გამოვლენილია ამ მოდელის რამდენიმე სახელი, მაგ., **рекье-кьуъл** „ავშანი“, „აბზინდა“ (**рекье** IV ლოკ. **рехъ** „გზა“, „გასასვლელი“ ფორმისა + **кьუъл** „ტერფი“, „ცეკვა“);

იმ კომპოზიტთა რიცხვი, რომელთა პირველი კომპონენტია ზედსართავი სახელი, ლეზგიურ ენაში არ არის დიდი, მაგ., **яргъи-руш** „ცისარტყელა“ (**яргъи** „მაღალი“, „გრძელი“ + **руш** „ქალიშვილი“); **цIийи-варз** ქალის საკუთარი სახელი, ზედმიწ. „ახალი მთვარე“; გვხდება ამ მოდელის კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი ან ორივე კომპონენტი ნასესხებია, მაგ., **дегъ-заман** „ძველი დრო, ეპოქა“ (**дегъ** „ძველი“ + **заман** (არაბ.) „დრო“, „ეპოქა“; **ата-буба** „წინაპარი“ (**ата** (თურქ.) „უფროსი“ + **буба** „მამა“); **агъсакъал** (თურქ.) „ავტორიტეტის მქონე მოხუცი“ (ზედმიწ. „თეთრი წვერი“)... ამავე მოდელს მიეკუთვნება ზოგიერთი ოიკონიმი, მაგ., **цIийи-хуър** (ზედმიწ. „ახალი სოფელი“), **яру-дагъ** (ზედმიწ. „წითელი მთა“)...

რთული არსებითი სახელები, რომელთა პირველი კომპონენტია რიცხვითი სახელი, ლეზგიურ ენაში იშვიათია და იწარმოება ორგვარად: რიცხვითი სახელი + არსებითი სახელის ნომინატივის ფორმა მხოლოობითში, მაგ., **къве-къат** „ორი შრე“ (**къве(д)** „ორი“ + **къат** „შრე“)... მეორე მოდელი იმით განსხვავდება პირველისაგან, რომ მასში მეორე კომპონენტად გვხვდება არსებითი სახლის მრავლობითი რიცხვის ფორმა, მაგ., **пуд-фер** „სამგლოვიარო რიტუალები“ (**пуд** „სამი“ + **фер (йифер)** „ღამეები“); **къве-рикIар** „ეჭვი“, „მერყეობა“ (**къве(д)** „ორი“ + **рикI-ар/рикI-ер** „გულეები“)... გამოვლენილია ერთადერთი მაგალითი მესამე ქვეტიპისა, რომელიც რიცხვითი სახელისა და მიმღეობისაგან შედგება: **къвет-хверар** „ტყუპები“ (**къвет (къвед)** „ორი“ + **хвер-ар** „დაბადებულები“) და ა. შ.

რთული არსებითი სახელები, რომლებიც არსებითი სახელისა და მიმღეობისაგან შედგება, იწარმოება სამგვარად: მიმღეობა + არსებითი სახელი ნომინატივში, მაგ., **тур-фъ** „ხორცის ღვეზელი“ (**тур** „ჩადებული“ + **фъ** „პური“); არსებითი სახელი ნომინატივში + მიმღეობა + არსებითი სახელი ნომინატივში: **рагъ-екъечIдай-пад** „აღმოსავლეთი“ (**рагъ** „მზე“ + **екъечIдай** „ამოსული“ + **пад** „მხარე“ (ზედმიწ. „მზემოსული მხარე“); კომპოზიტი, რომელიც შედგება არსებითი სახელისაგან IV ადგილობითი ბრუნვის ფორმით და მიმღეობა - **вайди (ავайди)** „მყოფი“, მაგ., **вилле-вайди** „ის, რაც თვალშია“ (ზედმიწ. თვალში მყოფი“); **рикIе-вайди** „ის, რაც გულშია“ (ზედმიწ. გულში მყოფი“)...

### ლიტერატურა

**სელიმოვა 2009** – Селимова З. О. Структурная и лексико-грамматическая характеристика сложных имен в современном лезгинском литературном языке. Автореферат диссертации ... кандидата филологических наук. Махачкала.

**სულთანოვა 2011** – Султанова А. В. Словообразование имен существительных в лезгинском языке. – Известия Дагестанского государственного педагогического университета. Общественные и гуманитарные науки. Махачкала.

**შაჰბანოვა 2019** – Шахбанова А. Р. Разновидности собсвеннословных слов в лезгинском языке. – Мир науки, культуры, образования, Горно-Алтайск, №2 (75).

**ჰაიდაროვი და სხვ. 2009** – Гайдаров Р. И., Гюльмагомедов А. Г., Мейланова У. А., Талибов Б. Б. Современный лезгинский язык, Махачкала.

**ჰასპელმათი 1993** – M. Haspelmath, A Grammar of Lezgian. B.; N.Y.: Mouton-deGruyter.

ROMAN LOLUA

### **Forming Compound Nouns in Lezgian**

#### S u m m a r y

The Lezgian language is characterized by forming compound nouns. The combined compounds that consist of two (or more) independent, equal words are predominant.

The attributive compounds are generally formed through the lexicalization of a modifier and a head.

According to M. Haspelmat, Lezgian does not have any attributive compounds (Haspelmat 1993: 107). We cannot share this opinion. As shown in the special literature (Haidarov et al. 2009: 132-133; Selimova 2009; Sultanova 2011; Shahbanova 2019 et al.), composita determinativa is not uncommon in Lezgian.

The basis of the classification of compounds is a) the lexical meaning of the compound and its components and b) the structure of the compound. The paper presents examples of compound nouns in the Lezgian language and their classification according to these principles.



თამარ ლომთაძე

## საქართველოს ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი

ებრაელებს საქართველოში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. ისინი მიგრაციის თარიღისა და ენის ფლობის თვალსაზრისით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება გავყოთ: 1) სეფარდული ტრადიციის ებრაელები, რომლებიც საქართველოში 26 საუკუნის წინ გამოჩნდნენ 2) აშქენაზი ებრაელები, რომლებიც საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ჩნდებიან 3) ლახლუხი ებრაელები, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლდნენ საქართველოში და 4) საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან მიგრირებული ( ძირითადად კავკასიელი და ცენტრალური აზიის) ებრაელები, რომლებიც საქართველოში მე-20 საუკუნიდან ჩნდებიან, როგორც შერეული ქორწინების შედეგი (რადგან ეს ჯგუფი რუსულენოვანები არიან უმეტესად, მათ აშქენაზებთან გავაერთიანებთ).

### 1. სეფარდული ტრადიციის ებრაელები

სეფარდული ტრადიციის მქონე ებრაელები (დღევანდელი გაგებით, თორემ ადრეულ ეტაპზე ამგვარი დაყოფა არ არსებობდა), როგორც ისტორიული წყაროები გვაუწყებენ, საქართველოში 26 საუკუნის წინ გამოჩნდნენ და მიიჩნევიან კიდევ უძველეს ებრაულ თემად, რომლებმაც ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში ბაბილონურ ტყვეობას დააღწიეს თავი და საქართველოში დამკვიდრდნენ საცხოვრებლად (მამისთვალაშვილი 1995; პაპისმედოვი 1945). სავარაუდოდ პირველი ნაკადი (ბაბილონიდან დევნილები) საქართველოში ებრაული ენით უნდა მოსულიყვნენ. ისტორიულ წყაროებში მითითებულია, რომ წმიდა ნინოს მცხეთის ებრაელებთან კონტაქტი გაუადვილდა იმიტომ, რომ მათ ებრაულად ესაუბრებოდა (ყაუხჩიშვილი 1955). თუმცა მეორე ნაკადის ებრაელები, სავარაუდოდ, არამეულით უნდა გამოჩენილიყვნენ საქართველოში, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები ლოცვისას იყენებდნენ ებრაულს, თვით პალესტინაში პირველი საუკუნისთვის ებრაული სასაუბრო ენა აღარ იყო, იგი არამეულმა ჩაანაცვლა, რადგან, ასე ვთქვათ, არამეული საერთაშორისო ენად იქცა რეგიონში.

ფაქტია, საქართველოში მოსულ ებრაელებს, რომელი ენითაც არ უნდა მოსულიყვნენ ისინი, ქართული უნდა შეეთვისებოწათ მალევე. რ. ენოხის მიხედვით, მე-11 საუკუნეში იმის გამო, რომ თავიანთი მშობლიური ენა აღარ იცოდნენ, მათ გააკეთეს თორის ზეპირი ქართული თარგმანი (ენოხი 2008).

ივარაუდება, რომ თავდაპირველად ებრაელები აღმოსავლეთ საქართველოში უნდა დასახლებულიყვნენ. მე-19 საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ებრაელები საცხოვრებლად ძირითადად დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს ირჩევენ თითქმის მთელ საქართველოში, სადაც ქმნიან ებრელთა დასახლებებს, აგებენ სინაგოგებს. დაკავებულნი არიან წვრილი ხელოსნობითა და ვაჭრობით.

1926 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში 20,897 სეფარდი ებრაელი ცხოვრობდა. რომელთა მშობლიური ენა ქართული იყო: „მათი ენა ქართულია, ყოველმხრივ ქართველობის ნაწილს წარმოადგენენ. ლოცულობენ ებრაულად, ხოლო ქადაგება აქვთ საერთო ქართულად“ (ჭიჭინაძე, 1904). მეოცე საუკუნის 40-იან წლებში ჩაწერილი ტექსტები გვაჩვენებენ, რომ საქართველოში მცხოვრები ებრაელები იყენებენ ქართულის ნაირსახეობას, რომელიც სტანდარტული ქართულისაგან განსხვავებულია და რომელსაც თანამედროვე პერიოდში ჯუდეო-ჯორჯიანსაც უწოდებენ (ენოხი 2016; ლომთაძე და ენოხი 2019). ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელები ენობრივად ყოველთვის ემიჯნებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას (იხილეთ ვაინრაიხი 1980; ბუნისი 1981; გოლდი 1981ა, 1981ბ; გოლდი და პრაგერი 1981–1987; ვექსლერი 1981, 2006; ალვარეს-პერეირე და ბაუმგარტენი 2003; ფიშმანი 1985ბ; ბენორი 1998, 2007; სპოლსკი და ბენორი 2006; ლომთაძე და ენოხი 2019 და სხვა).

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის დედაქალაქ თბილისში 1902 წლიდან 1920-იანი წლების შუა რიცხვებამდე ფუნქციონირებდა სკოლა ებრაულ ენაზე, ეს ენა ცოტა ებრაელმა იცოდა და ეს ცოდნაც ძირითადად ლოცვის ენით შემოიფარდებოდა.

როგორც ჭიჭინაძე მიუთითებდა, ებრაელთა უმეტესობა მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის გაუნათლებელი იყო (ჭიჭინაძე 1904). გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სიტუაცია იცვლება: სეფარდი ქართულენოვანი ებრაელები განათლების მიღებას იწყებენ. ამ პერიოდში საქართველოში საბჭოთა რეჟიმია, საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილია, დაიწყო რუსიფიკატორული პოლიტიკა და რუსული გახდა დომინანტი ენა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფო ენად ქართულს მიიჩნევდა, არაოფიციალური სტატუსით რუსული გამოიყენებოდა სახელმწიფო ენის ფუნქციით. რუსული გავრცელებული იყო სახელმწიფო ადმინისტრაციაში, კომუნისტური პარტიის სხდომები მხოლოდ რუსულად იმართებოდა, სამხედრო ენა რუსული იყო. ფართოდ გავრცელებული გახლდათ იგი კულტურისა და მეცნიერების სფეროშიც. რუსულის ცოდნა აუცილებელი იყო კარიერული წინსვლისათვის (გოგოლაშვილი 2013). ერთი სიტყვით, რუსულის სოციოლინგვისტური პრესტიჟი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ქართულისა. რუსული იყო ეროვნებათშორისი კომუნიკაციის ენაც. აღნიშნულ პერიოდში შესაბამისად იზრდებოდა რუსული ბალების, სკოლებისა თუ უმაღლეს სასწავლებლებში რუსულენოვანი ფაკულტეტების რიცხვი. პირებს, რომლებიც ლინგვისტურად ასიმილირდნენ რუსულენოვან გარემოში, სოციოლინგვისტიკაში რუსოფონე-

ბი ეწოდებათ. მაცხოვრებელთა სპეციალური ჯგუფი – რუსოფონები – ენობრივი კონკურენციის გარკვეულ ვითარებაში ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე იმ დროის განმავლობაში, როცა რუსულის სოციალური პრესტიჟი გაიზარდა სახელმწიფო პოლიტიკის მიერ ხელოვნურად შექმნილი ხელსაყრელი პირობების გამო, რაც მიზნად ისახავდა, წაექეზებინა რუს ერთან გაიგივების სურვილი (იომა და მეხსი 2008). თუ გადავხედავთ საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიური ენების მონაცემებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსიფიკაციის პროცესი საკმაოდ წარმატებული ქართველ ებრაელთა შემთხვევაშიც გამოდგა. საქართველოში მაცხოვრებელ ებრაელთა დიდი ნაწილი, აღნიშნული პერიოდისათვის, თავის მშობლიურ ენად რუსულს აღიარებდა. საყურადღებოა ერთი გარემოებაც: აშქენაზი ებრაელები, რომელთა უმეტესობა საქართველოში რუსულენოვანი იყო, გახლდნენ უფრო განათლებული, კულტურული და მაღალ სოციალურ წრეებთან ინტეგრირებულები. აღნიშნული გარემოებები გახდა წამახალისებელი ფაქტორი სეფარდი ებრაელებისათვის და ისინიც იწყებენ ინტენსიურად განათლების მიღებას და რუსულის გამოყენებას. შვილები უმეტესად რუსულ ბაღებში შეჰყავდათ და სწავლას რუსულ სკოლებში, ხოლო შემდგომ რუსულ უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებინებდნენ. ბევრი ებრაელი სწავლობდა რუსეთში, განსაკუთრებით მედიცინის მიმართულებით, რადგან იმ პერიოდში რუსული სამედიცინო სკოლა ბევრად უფრო პრესტიჟულად ითვლებოდა, ვიდრე ქართული. ამასთანავე რუსეთის ბევრ ქალაქში ფუნქციონირებდა სამედიცინო ინსტიტუტი და შესაბამისად მოწყობის შანსიც ბევრად მეტი იყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ რუსული ენა მათ რუსულ განათლებაზე მიუთითებდა, რაც პაციენტებისათვის საიმედოობისა და მაღალი პროფესიონალიზმის გარანტი გახლდათ (ლომთაძე 2018:331). ასე თანდათან ჩანაცვლა ქართული რუსულმა და მალე ზოგი ებრაელის როგორც საოჯახო, ასევე საკომუნიკაციო ენად იქცა იგი. რუსულის გამოყენებამ თავისთავად გამოიწვია შვილების რუსულით ენით აღზრდა და მშობლიურ ენად რუსული იქცა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: რუსულის მაღალ სოციალურ პრესტიჟისა და ეკონომიკური ღირებულების განცდის შეგრძნება 70-იან წლებში ქართულენოვან ებრაელებსაც უჩნდებათ. ამიტომ მათ ქართული მეტყველება ძალიან გამდიდრდა რუსიზმებით (ლომთაძე 2018: 330). მართალია რუსიზმებს ამ პერიოდში არაებრაელებიც ხშირად იყენებდნენ, მაგრამ ებრაელთა მეტყველებაში გაცილებით მეტი რუსიზმი გაჩნდა, ვიდრე არაებრაელებთან. ამდენად, ის ებრაელები, რომლებიც რუსულენოვანები არ ხდებიან, რუსიციზმების გამოყენების სიჭარბით მაინც გამოირჩევიან. 90-იანი წლების შემდეგ არაებრაელებთან მოიკლო რუსიციზმების გამოყენებამ. ებრაელებთან კი დღემდე შენარჩუნებულია როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნიდან ებრაელები თითქმის მთელ საქართველოში სახლობდნენ. ისინი ყველა კუთხის მოსახლეობასთან ჰარმონიული, მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობით გამოირჩეოდნენ. ამიტომ კარგად ითვისებდნენ ადგილობრივ ენებსა თუ დიალექტებს.

სწორედ ამიტომ, რომ ყველა კუთხის ებრაელის მეტყველება ეფუძნება ადგილობრივ დიალექტს. გარდა ამისა, სამაჩაბლოში მცხოვრები ებრაელები ფლობდნენ ოსურს, აფხაზეთში მაცხოვრებლებმა იცოდნენ აფხაზური, ხოლო სამეგრელოში მაცხოვრებლები საუბრობდნენ მეგრულადაც. ეს ენები, ენობრივი სახესხვაობები თუ დიალექტური ნაირსახეობები მათ ისრაელში რეპატრიაციის შემდეგაც შეინარჩუნეს, მაგრამ თაობებისათვის აღარ გადაუციათ. გადასცეს მხოლოდ ქართული და რუსული.

ამდენად, საქართველოში მცხოვრები სეფარდული ტრადიციის მქონე ებრაელებისათვის ენათა იერარქიის მწვერვალზე იყო ქართული, მას მოსდევდა რუსული (რუსულენოვანებთან პირიქით – რუსული და მას მოსდევდა ქართული), რეგიონების მიხედვით შემდეგ ადგილს იჭერდა ოსური, აფხაზური, მეგრული, ხოლო იერარქიაში ყველაზე დაბალი ადგილი, ფლობის თვალსაზრისით ეკავა ებრაულს, რომლის ცოდნაც ძირითადად ლოცვებითა და რელიგიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიით შემოიფარგლებოდა. ამასთან, იყვნენ მორწმუნე ებრაელებიც, რომლებმაც იცოდნენ ებრაული, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც კი, იერარქიაში იგი მაინც ქართულს ან რუსულს მოსდევდა, რა თქმა უნდა, მათივე თვითშეფასების მიხედვით.

ისრაელში რეპატრიაციის (გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან) შემდგომ ებრაელთა ენობრივ რეპერტუარს თავისთავად დაემატა ივრითი და ის ენობრივი იერარქიის მწვერვალზეც მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის სახელმწიფო ენა ებრაულია და ქართულსა თუ რუსულს იქ არანაირი იურიდიული სტატუსი არა აქვს, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში მიგრირებულ ებრაელთა უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენელთა დიდმა ნაწილმა ებრაულის შესწავლა ვერ მოახერხა და ივრითის ფლობის კომპეტენცია ბოლომდე დაბალი დარჩა. ამიტომ ენობრივ იერარქიას თითქმის არ განუცდია ცვლილება უფროს და ზოგჯერ საშუალო თაობასთან. რაც შეეხება 90-იან წლებში მიგრირებულთა უმეტესობას, ასევე 70-იან წლებში რეპატრირებულთა შთამომავლებს, აქ იერარქია დაირღვა. მათთვის მწვერვალზე მოექცა ივრითი, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში მოსდევს ინგლისური, შემდეგ ქართული ან რუსული, ხოლო ოსური, აფხაზური და მეგრული საერთოდ დაიკარგა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ის აღარ გადაუციათ თაობებისათვის.

ამდენად, სეფარდი ებრაელების სამეტყველო ენა საქართველოში საუკუნეების განმავლობაში გახლდათ ქართული, მაგრამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციალური წარმატება უშუალო კავშირში აღმოჩნდა რუსულ ენასთან, ამიტომ ებრაელების სოციალურად მაღალი ფენა (რომლებიც უმეტესად საქართველოს დიდ ქალაქებში – თბილისში, ცხინვალში, ქუთაისში, ფოთში, სოხუმსა და ბათუმში – ცხოვრობდნენ) რუსულენოვანი გახდა. საქართველოში ცხოვრების პერიოდში მათი ნაწილი ფლობდა ოსურს, აფხაზურსა და მეგრულს, თუმცა ქართულისა და რუსულისაგან განსხვავებით ისრაელში რეპარტიაციის შემდეგ ეს ენები თაობებისათვის აღარ გადაუციათ. ისრაელში კი იერარქიის სათავეში უკვე მოექცა ივრითი, საშუალო და უმცროს თაობებთან მას მოსდევს ინგლისური, შემდგომ კი ქართული ან რუსული.

## 2. აშქენაზი ებრაელები

საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, დედაქალაქ თბილისში დაიწყო დასახლება როგორც რუსეთში, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებმა აშქენაზმა ებრაელებმა. მიგრაციები გაგრძელდა საბჭოთა პერიოდშიც როგორც რუსეთიდან, ასევე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან. უკვე მე -19 საუკუნის 30-იანი წლებში საქართველოში მუდმივად ცხოვრობდა რამდენიმე ასეული აშქენაზი ებრაელი. რუსეთის იმპერია საქართველოში ქართულს ისედაც ყოველმხრივ ავიწროვებდა და სწავლა-განათლების მიღებაც მხოლოდ რუსულად იყო შესაძლებელი. ამდენად, როგორც ცარიზმის დროს, ასევე საბჭოთა პერიოდში ჩამოსახლებული აშქენაზები ებრაელების წინაშე ქართულის შესწავლის საჭიროება არც დამდგარა. მათი ნაწილი ფლობდა იდიშს და ზოგჯერ მშობლიურ ენადაც აცხადებდა. ასეთ შემთხვევაშიც კი საოჯახო ენად მაინც რუსულს იყენებდნენ, რადგან ოჯახის ყველა წევრი იშვიათად ფლობდა იდიშს. აშქენაზთა დიდი ნაწილისათვის მშობლიური ენა ან რუსული, ან იდიში, ან ორივე – რუსული და იდიში, იყო. თუ თბილისსა და სოხუმში მცხოვრები აშქენაზებისათვის ქართული საკომუნიკაციო ფუნქციით ნაკლებად იყო საჭირო, ქუთაისში, ფოთსა და სხვა ქალაქებში ქართულის შესწავლა ამ მხრივ ყველას დასჭირდა, რადგან სხვა მოსახლეობასთან კომუნიკაცია სხვაგვარად შეუძლებელი იყო.

1897 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 12540 აშქენაზი ებრაელი ცხოვრობდა. თავდაპირველად აშქენაზები უმრავლესობას წარმოადგენდნენ საქართველოს უდიდეს ორ ებრაულ თემში – თბილისსა და ბათუმში. ხოლო ქუთაისში, საქართველოს მესამე დიდ ქალაქში, ასევე ფოთში, სოხუმსა და ცხინვალში უპირატესობდნენ სეფარდი ებრაელები (გულედანი 2019: 26). გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან აშქენაზი ებრაელები ბათუმში, ქუთაისსა თუ ფოთშიც უფრო მეტი რაოდენობით გამოჩნდა. 1902 წელს თბილისში დაარსდა რელიგიური სკოლა ქართველ ებრაელთა შვილებისთვის. 1930-იანი წლების შუა რიცხვებამდე ებრაული სკოლა იყო იდიშზე სწავლებით.

1889 წლის მონაცემის მიხედვით, აშქენაზი ებრაელების უმრავლესობა (13500) ცხოვრობდა თბილისში. სწავლობდნენ უმეტესად რუსულ სკოლებსა და რუსულენოვან ფაკულტეტებზე ან რუსეთში მიდიოდნენ უმაღლესი განათლების მისაღებად. სეფარდი ებრაელებისაგან განსხვავებით, აშქენაზები უმეტესად მაღალ სოციალურ წრეს განეკუთვნებოდნენ. ამიტომ ისინი საქართველოში ცხოვრების პერიოდში თითქმის ყოველთვის რუსულს იყენებდნენ და შვილებსაც რუსული ენით ზრდიდნენ. მათი უმეტესობა მშობლიურ ენად რუსულს მიიჩნევდა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ ცხოვრობდნენ ქართულენოვანი აშქენაზები. რა თქმა უნდა, ცხოვრობდნენ, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით სეფარდულ ებრაელებთან შედარებით.

ამდენად, აშქენაზი ებრაელები საქართველოში მოვიდნენ იდიშითა და რუსულით, ან რუსულით და საქართველოში ცხოვრების პერიოდში საკომუნიკაციოდ ოჯახსა და გარეთ უმეტესად რუსულს იყენებდნენ. რუსული იყო ძირითადად მათი მშობლიური ენა. აშქენაზი ებრაელების ნაწილი, რა თქმა

უნდა, ქართულსაც ფლობდა და შვილებსაც ქართულით ზრდიდნენ. იერარქიის სათავეში იდგა რუსული, მას მოსდევდა იდიში და ქართული. ისევე როგორც სეფარდი ებრაელები, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მცხოვრები აშქენაზი ებრაელებიც ფლობდნენ ოსურსა და აფხაზურს, რომლებიც ისრაელში რეპატრაციის შემდეგ თაობებისათვის აღარ გადაუციათ.

ისრაელში რეპატრაციის შემდგომ აშქენაზებისათვის ენათა იერარქიის სათავეში მოექცა ებრაული, ამასთანავე მათ გაიღრმავეს იდიშის ცოდნა და აიმაღლეს იდიშის ფლობის კომპეტენცია, ებრაულსა და იდიშს მოსდევს რუსული (უფროს და საშუალო თაობასთან), ასევე მაღალი კომპეტენციით, ინგლისური (უმცროს და საშუალო თაობასთან), რომლის ფლობის დონეც საკამაოდ მაღალი აქვთ და ბოლოს ქართული, რომელიც თაობებს თითქმის აღარ გადაეცემა.

### 3. ქურთისტანელი ებრაელები

არამეულ ენაზე მოსაუბრე ებრაელთა მცირე ჯგუფები ყოველთვის ცხოვრობდნენ საქართველოში. როგორც თ. კურტანიძე მიუთითებს, 1894 წელს ლ. ლოპოტინსკიმ გამოაქვეყნა სტატია კავკასიაში მცხოვრები ბასრელი ებრაელების შესახებ და აღნიშნა, რომ 1828 წელს, რუსეთ-სპარსეთის ომის შემდეგ, რამდენიმე ებრაული ოჯახი, სხვა ქრისტიან ასირიელ ოჯახებთან ერთად, ირანული აზერბაიჯანიდან გადავიდა კავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც (კურტანიძე 2020). თბილისში მცხოვრები არამეულენოვანი ებრაელების შესახებ პირველი ცნობები გვხვდება ებრაულ ჟურნალში "ჰაკარმელი", რომელიც 1862 წელს დაიბეჭდა ვილნოში და მასში ნახსენები არიან ტიფლისში (თბილისი) მცხოვრები სპარსეთიდან წამოსული ებრაული ოჯახები. პირველი მსოფლიო ომის დროს ახალ არამეულზე მოსაუბრე ადამიანთა უმეტესობა, ემიგრაციაში წავიდა სხვადასხვა ქვეყნებში, ძირითადად ერაყსა (ბასრა, ბაღდადი) და საბოლოოდ პალესტინაში (მოგვიანებით ისრაელში); ამრიგად სალმას საზოგადოება მთლიანად ევაკუირებულ იქნა 1916 წელს. ამ მოვლენებამდე თბილისსა და სტამბულში ემიგრანტების მხოლოდ მცირე ჯგუფები არსებობდა. მოგვიანებით კი სალმას ენაზე მოსაუბრე ადამიანებმა იწყეს შემოსვლა ერევანში, თბილისსა და ბაქოში. მათ ჩამოაყალიბეს ახალი დასახლებები საქართველოში: რუსთავეში, მანგლისსა და კოჯორში. აღსანიშნავია, რომ ნ. მარმა ეს მცირე მოსახლეობა ასევე მოიხსენია როგორც "ებრაელები, რომლებიც საუბრობენ ახალ სირიულ ან ებრაულ ასირიულ ენაზე" (მარი 1920). არამეულ ენაზე მოსაუბრე ებრაელებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ ებრაელებთან, ამიტომაც გვხვდებოდა შერეული ქორწინებები ქართველ ებრაელებთანაც. მათ საკუთარი სინაგოგა ჰქონდათ ავლაზარში. სწორედ ამ უბანში ცხოვრობდა მათი მოსახლეობის დიდი ნაწილი. მოგვიანებით მათ ააშენეს ახალი სინაგოგა ლესელიძის ქუჩაზე, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ აშქენაზმა ებრაელებმა დაისაკუთრეს. მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე თბილისში მოსახლე ქართულ ენაზე მოსაუბრე ამ თემმა მიიღო უცნაური სახელწოდება ლახლუხები. ისრაელში არამეულენოვანი ებრაელები ცნობილნი არიან როგორც „ქურთები“ ან „ქურდიმი“. საქართველოში ქურთები და „ლახლუხი“ განსხვავებული მნიშვნელობისაა. ლახლუხები ბასრადან წამოსულ ებრაელებს

ეწოდება, რომელთა ნაწილი საქართველოში ჩამოვიდა ურმიას (ირანი) და ვანის (ამჟამინდელი თურქეთი) მიმდებარე ტერიტორიიდან მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში. რას ნიშნავს „ლახლუხი“? მართალია, ისრაელში ისინი საკუთარ თავს უწოდებენ „Nashdidan“ – „ჩვენს ხალხს“ და თავიანთ თავს აიგივებენ ბასრას ებრაელებთან, თუმცა ამასთანავე ყველამ იცის სახელი „ლახალუხი“ ან „ლახლუხი“, რომელიც ქართველმა ებრაელებმა უწოდეს ბასრელ ებრაელებს. ვარაუდობენ, რომ ქართველებს ეს სახელი უნდა შეერქვათ მათ მეტყველებაში ხშირად გამოყენებული –Lax და –lox (–ლახ და –ლოხ არის მეორე პირის მხოლოდითი რიცხვის სუფიქსები და კავშირის ფორმები) ფორმების გამო.

საქართველოში მცხოვრები სალმას ხალხის დიალექტზე გავლენა მოახდინა რუსულმა და ქართულმა ენებმა (გაბრიელოვა 1969). როგორც ირინე გარბელი მიუთითებს, ისინი საკუთარ ენაზე საუბრობდნენ სახლში, მაგრამ ყველა მათგანმა იცოდა სპარსული, ასევე ისწავლეს რუსული და ქართული. გარბელის მითითებით, თითქმის ყველა მათგანი მრავალენოვანია, რადგან ასევე საუბრობენ აზერბაიჯანული თურქულად (ყველა უბანში), ქურთულად და გარკვეულწილად სპარსულად. ამ ენებმა გავლენა მოახდინა მათ დიალექტზე. საქართველოში ბავშვები დადიოდნენ რუსულ ან ქართულ სკოლებში.

დღესდღეობით საქართველოში არამეულ ენაზე მოსაუბრე ებრაული საზოგადოება ჩვენს ქვეყანაში აღარ მოსახლეობს. შემორჩენილია მხოლოდ შერეული ოჯახების რამდენიმე შთამომავალი და მათ, როგორც წესი, არამეული არ იციან. ლახლუხების უმეტესობა დღეს ისრაელში ცხოვრობს. ხანდაზმულებმა ჯერ კიდევ იციან ენა და შეუძლიათ ისაუბრონ, მაგრამ ახალი თაობა არ საუბრობს ამ ენაზე და ზოგიერთ მათგანს არც კი ესმის (კურტანიძე 2020). ისრაელში მცხოვრები ზოგიერთი ბასრული წარმოშობის ებრაული თემი ბოლო დროს განსაკუთრებით ამაყობს თავიანთი უნიკალური და უძველესი ისტორიითა და ენით და ცდილობენ მის გადარჩენას .

ამდენად, როგორც ვხედავთ, საქართველოს ებრაელთა ენობრივი კომპეტენციები უშუალო კავშირშია მათ გარე და შიგა მიგრაციებთან, ასაკთან და სხვა სოციალურ მახასიათებლებთან. ისინი ენობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ საქართველოშიც და გამოირჩევიან დღესაც როგორც ისრაელში, ასევე სხვა ქვეყნებშიც. მიგრაციებმა მათ ენობრივ რეპერტუარზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. თუ საქართველოს ებრაელებმა (სეფარდებმა, აშქენაზებმა, ლახლუხებმა) საქართველოში ცხოვრების პერიოდში იცოდნენ ქართული, რუსული, ოსური, აფხაზური, მეგრული, ებრაული, იდიში, არამეული, ახალი არამეული, სპარსული, თურქული და ამასთანავე აღნიშნული ენების სხვა სახესხვაობანი და დიალექტები, თანამედროვე მიგრაციების შედეგად ისინი ებრაულს, იდიშს, ქართულსა და რუსულს გადასცემენ ძირითადად მომავალ თაობებს, ხოლო ენობრივ სახესხვაობებსა და დიალექტურ ნაირსახეობებს თითქმის აღარ. სამაგიეროდ მათ რეპერტუარში გაჩნდა ივრითი და ინგლისური და ენობრივი იერარქიის სათავეშიც მოექცა, ასევე ცალკეულ ქვეყნებში მიგრირებულ ებრაელებთან სხვა ევროპული ენებიც ენობრივ იერარქიაში საკმაოდ მაღალ ადგილს იჭერს (გერმანული, ფრანგული და სხვა).

## ლიტერატურა

**ალვარეს-პერიერიე ფ. და ბაუმგარტენი ჯ. 2003** – Alvarez-Péreyre, F, & Baumgarten, J (eds.), *Linguistique des Langues Juives et Linguistique Générale*, CNRS Éditions, Paris, France.

**ბენორი 1998** – Benor, S, ‘Yavnish: A Linguistic Study of the Orthodox Jewish Community at Columbia University’, *Iggrot ha’Ari: Columbia University Student Journal of Jewish Scholarship*, vol. 1, no. 2, pp. 8-50.

**ბენორი 2007** – Benor, S, ‘Lexical Features of Jewish English in the Southern United States’, in M Picone and C Davies (eds.), *Language Variety in the South III: Historical and Contemporary Perspectives*, The University of Alabama Press, Tuscaloosa, pp. 1-16. Birnbaum, SA, 1937, “Judezmo” (in Yiddish), *YIVO Bleter*, vol. 11, pp. 192-98.

**ბუნისი 1981** – Bunis, DM, ‘A Comparative Linguistic Analysis of Judezmo and Yiddish’, *International Journal of the Sociology of Language*, vol. 30, pp. 49-70.

**გაბრიელოვა 1969** – Gabriellova A. G. *Obrazec arameiskoi rechi salmasskix evreev. Vostochnaja Filologija*, Tbilisi.

**გოგოლაშვილი 2013** – ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები, თბილისი.

**გოლდი 1981a** – Gold, D, 1981a, ‘Jewish Intralinguistics as a Field of Study’, *International Journal of the Sociology of Language*, vol. 30, pp. 31-46.

**გოლდი 1981b** – Gold, D, ‘Recent American Studies in Jewish Languages (Review-Essay)’, *Jewish Language Review*, vol. 1, pp. 11-88.

**გოლდი და პრაგერი 1981-1987** – Gold, D, & Prager, L, (eds.), *Jewish Language Review*, Association for the Study of Jewish Languages, Haifa, Israel

**გულედანი და ლომთაძე 2019** – იერუსალიმში/ისრაელში ალია/ასვლა (გამონათქვამის სტრუქტურისა და წარმოშობისათვის), მოამბე, ტ. 13-3, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა <http://science.org.ge/bnas/vol-13-3.html>.

**გულედანი 2019** – აშქენაზები საქართველოში. – სემიტოლოგიური მიეზანი. 3, თბილისი.

**ენოხი 2008** – Enoch, Reuven, *Tavsili: The Traditional Oral Translation of the Bible in Judeo-Georgian (Genesis)*. Jerusalem: Magnes Press.

**ენოხი 2015** – ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი გორის მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი.

**ენოხი 2016** – Enoch, Reuven. “Jewish Georgian.” In *Handbook of Jewish Languages*, eds. Lily Kahn & Aaron D. Rubin. Leiden: Brill, 178-193.

**ვაინრაიხი 1980** – Weinreich, M, *History of the Yiddish Language*, translated from Yiddish by S Noble and J Fishman, University of Chicago Press, Chicago, IL.



**ვექსლერი 1981** – Wexler, P, ‘Jewish Interlinguistics: Facts and Conceptual Framework’, *Language*, vol. 57, no. 1, pp. 99-145.

**ვექსლერი 2006** – Jewish and Non-Jewish Creators of ‘Jewish’ Languages with Special Attention to Judaized Arabic, Chinese, German, Greek, Persian, Portuguese, Slavic (Modern Hebrew/Yiddish), Spanish, and Karaite, and Semitic Hebrew/Ladino: A Collection of Reprinted Articles from Across Four Decades with a Reassessment, Harrassowitz Verlag, Wiesbaden, Germany.

Kavkazec – Caucasian Jews, magazine “Hakarmel” 1862 №3.

**კურტანიძე 2020** – Kurtanidze T., Neo-Aramaic speaking jews in Georgia, (in press).

**ლერნერი 2008** – Евреи в Грузии, от Эллинизма до позднего феодализма, იერუსალიმი, 2008, გვ. 68.

**ლოპატინსკი 1894** – Л. Лопатинский, Еврейско-арамейские тексты. – СМОМПК, Тифлис.

**ლომთაძე 2018** – Lomtadze T, Russicisms in Judeo-Georgian Speech. *Languages. Cultures. Translation* 6, 2018, 329-335.

**ლომთაძე, ენობი 2019** – Lomtadze T, Enoch R Judeo-Georgian Language as an Identity Marker of Georgian Jews (The Jews Living in Georgia)” *Journal of Jewish Languages* 7.

**მამისთვალაშვილი 1995** – ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი.

**მარი 1920** – Marr N. Plemennoj sostav naselenija Kavkaza. Trudi Komissii po izucheniju plemennogo sostava naselenija Rossii.

**პაპისმედოვი 1945** – საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემის ისტორიისათვის, საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 3, თბილისი.

**საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1970** – ტ. 1, რედაქტორი აკად. გ. მელიქიშვილი, თბილისი.

**სპოლსკი და ბენორი 2006** – Spolsky, B, & Benor, SB, ‘Jewish Languages’, in K Brown (ed.), *Encyclopedia of Language and Linguistics*, 2nd edn, vol. 6, pp. 120-4, Elsevier, Oxford, UK.

**ფიშმანი 1985** – Fishman, J. ‘The Sociology of Jewish Languages from a General Sociolinguistic Point of View’, in J Fishman (ed.), *Readings in the Sociology of Jewish Languages*, pp. 3–21, E.J. Brill, Leiden, The Netherlands.

**ქართლის ცხოვრება 1955** – ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი.

**ჭიჭინაძე 1904** – ქართველი ებრაელები საქართველოში, თბილისი.

TAMAR LOMTADZE

**The Linguistic Repertoire of Georgian Jews**

## S u m m a r y

Sociolinguistic factors (migration, social conditions, status, political situation etc.) have been instrumental in shaping the linguistic repertoire of Georgian Jews. Therefore, the linguistic repertoire of Georgian Jews before and after their repatriation is considerably different. Linguistic competencies of Georgian Jews is directly linked with their internal and external migration, age, and other social characteristics. The Jews have always been distinguished by their linguistic diversity in Georgia as well as in Israel and other countries. Migrations are identified as one of the key factors that have been instrumental in shaping their linguistic repertoire. Georgian Jews (Sehardi, Ashkenazi, Lakhlukhi Jews) could speak Georgian, Russian, Ossetian, Abkhazian, Megrelian, Hebrew, Yiddish, Aramaic, Neo-Aramaic, Persian, Turkish as well as varieties and dialects of these languages while they lived in Georgia, but after their migration from Georgia they passed down only Hebrew, Yiddish, Georgian and Russian to their generations but not their varieties and/or dialects. Instead, Ivrit and English play the leading role in the hierarchy of their linguistic repertoire today.

ნანა მაჭავარიანი

## ლექსემა „რეცა“ ბველ ქართულში

(ეტიმოლოგია)

ბველ ქართულ ტექსტებში გვხვდება ლექსემა „რეცა“, რომელიც საბას განმარტებით ნიშნავს „ვითამსავით“.

რეცა-თითქოს, ვითომც:

„ნეტარ იყვნენ, რომელთა ესხნენ ცოლ და **რეცა** არა ესხნენ“ (თეკლა 93, 23);

„ჩუენ **რეცა** მოუძღურდით“ (II კორ. 11, 21); კორინთელთა

„**რეცა** თუ გარდახუალთ ველად“ (0, ივდ. 14, 2) ივდითი (აბულამე 1973: 347);

„...წმიდამან, **რეცა სიცილის სახედ** და ლაღობისა, განზიდნა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქვა: „აღმოხედ და ნუ ხარ მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულქმენ ტაძარი ჩემი“. (აბუსერიძე ტბელი, „სასწაულნი წმიდისა გიორგისანი“).

„და ოდეს ამას უბრძანებდა, მრავალნი ძმანი შეკრებულ იყვნეს წინაშე მამისა იოვანესსა და **რეცა განცხრომის სახედ** უბრძანა, ვითა: „ყრმანო, საწვიმრები უკუანა წაიღეთ, რამეთუ ვესავ ღმერთსა, რომელ არა შევიქცეთ ამაოდ“, (გიორგი მთაწმინდელი, „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში, „ჩვენი საუნჯე“, ტ. 1, გვ. 313).

„და, **რეცა განცხრომით**, ჰრქუა პატრეაქსა: „წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რათა წოდებულ იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ!“ (გიორგი მცირე, „გიორგი მთაწმინდელის (ათონელის) ცხოვრება“, „ჩვენი საუნჯე“, ტ. 1, გვ. 37).

დამოწმებულია ლ. ბრეგაძის ნაშრომიდან – „რეცა განცხრომით“ ანუ დამატებითი არგუმენტები უილიამ ბასკერვილელისთვის“.

სიტყვათმეხამება – „რეცა განცხრომით“. ლევან ბრეგაძის აზრით, უნდა ნიშნავდეს „ხუმრობით“...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „**რეცა**“ მიღებული უნდა იყოს ასე: \***რაიცა** > **რეიცა** > **რეცა**, რეგრესული ასიმილაციით. **რ**- თანხმოვანი უნდა იყოს ყოფნა-არსებობა ზმნის **რ**- ძირისეული ელემენტი, რომელიც გამოიყოფა **ვ-არ**, **ხ-არ**, **არ-ს** ზმნებში და ამ ზმნის ნაყარ ძირებში.

იგივე **რ-** ჩვენ ადრე დავაკავშირეთ **არა** უარყოფით ნაწილაკთან, ვფიქრობთ, რომ **რა** ნიშნავს „**მყოფს**“, სადაც **-რ-** ასევე ყოფნა/არსებობის გამომხატველი ძირია, ხოლო **ა-რა** ნიშნავს „**არმყოფს**“, ანუ ყოფნა/არსებობის გამომხატველ ძირს წინ ერთვის უარყოფითობის გამომხატველი **ა-** პრეფიქსი. (მაჭავარიანი 2015).

**რეცა** ლექსემის **-რ-** ძირი გაფორმებული **-ც(ა)** ნაწილაკით, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ასეთი შინაარსისა: „**მყოფიც**“ რომ არის, „**არსებულებიც რომ არის, ისეთი**“.

იგივე **რ-** ელემენტი უნდა იყოს ასეთი სინტაგმის შემადგენელ ზმნისართშიც: „ჩვენ ქვემო**რე** ხელის მომწერნი“, რომელიც ძველად ერთვოდა ხოლმე საქმიან წერილებს.

### ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ბრეგაძე 2003** – ლევან ბრეგაძე, „რეცა განცხრომით“ ანუ დამატებითი არგუმენტები უილიამ ბასკერვილელისთვის“, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, კითხვითობის **-მა** და უარყოფითობის **-მ-** მორფემათა ისტორიისათვის აფხაზურში და მათი საერთო ამოსავლის კავშირი ქართული ენის ანალოგიურ კატეგორიებთან. – ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

NANA MACHAVARIANI

### The Lexeme *reca* in Old Georgian

#### S u m m a r y

The paper presents an attempt to etymologize one of the old Georgian words *reca*.

It has been suggested that *reca* was derived through the regressive assimilation as follows: *\*raica* > *reica* > *reca*. The consonant **r-** is an element of the root of the verbs **v-ar**, **x-ar**, **ar-s** “am, is, are” and the roots derived from this verb.

We think that the root **r-** of the lexeme *reca* added by the particle **-c(a)** have the following meaning: one that exists.

The same element **r-** may be present in the adverb of such a syntagm: *čven kvemore xelis momčerni* “We, the undersigned” that was the beginning of the official letters in old times.

თამარ მახარობლიძე

### ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგიის შესახებ

დღეისათვის აღიარებული მოცემულობაა, რომ ჟესტურ ენებს მდიდარი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვთ როგორც ფლექსიური, ასევე დერივაციული თვალსაზრისით. უცხოელ მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ ჟესტურ ენებში ძირითადად გვაქვს არა აფიქსური მორფოლოგია, არამედ თანადროული ანუ სინქრონული მოცემულობა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ ჟესტი თავისი კინეტიკით ერთდროულად გადმოსცემს რამდენიმე გრამატიკულ მნიშვნელობას და განსხვავებით სამეტყველო ენებისგან, ის არ მოიცავს თანმიმდევრულ აფიქსებს. თუმცა ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ჟესტურ ენებში სინქრონულ მორფოლოგიასთან ერთად პარალელურ რეჟიმში ასევე მოცემული გვაქვს რიგი გრამატიკული კატეგორიების აფიქსური წარმოებაც. უკანასკნელ პერიოდში ამ მოსაზრებას გაცილებით ბევრი მომხრე გამოუჩნდა. მკვლევარებმა ასევე შენიშნეს, რომ ჟესტური ენები ახლადწარმოქმნილი კრეოლური ენების ბევრ მახასიათებელს იზიარებდნენ, თუმცა ჟესტური ენები კრეოლური ენებისგან მნიშვნელოვნადაც განსხვავდებოდნენ ერთი თვისებით – კერძოდ, თავისი რთული სინქრონული მორფოლოგიით. ქართული ჟესტური ენა არის დამოუკიდებელი, ბუნებრივი მოცემულობების ენა და ამით ის იმსახურებს მეცნიერთა ინტერესს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში იყო ერთიანი ჟესტური ენა ამ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეროვნების ყრუთათვის. ცხადია, საბჭოთა მთავრობა არ ზრუნავდა ცალკეულ რესპუბლიკებში ნაციონალური ჟესტური ენების განვითარებაზე. „საბჭოთა ჟესტური ენა“, ბუნებრივია, ეყრდნობოდა რუსულ ჟესტურ ენას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობით არის ფრანგული ჟესტური ენიდან და ამავდროულად ყოველთვის განიცდიდა სამეტყველო რუსულის გავლენას. საბჭოთა პერიოდის მოცემულ ვითარებაში, რა თქმა უნდა, დიდი იყო რუსული ჟესტური ენის გავლენა ქართულ ჟესტურ ენაზე და ეს გავლენა დღესაც ნათლად ჩანს ამ ენის ლექსიკაზე. ამის მიუხედავად, ქართული ჟესტური ენის გრამატიკული სტრუქტურა გარკვეულწილად მაინც ვითარდებოდა დამოუკიდებლად და დღეს მას გააჩნია რუსულისგან დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა. რასაკვირველია, ქართულ ჟესტურ ენაში არის ჟესტური ენებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური ენობრივი მოვლენები, ასევე გვაქვს რუსული ჟესტური ენიდან შემოტანილი გრამატიკული მოვლენებიც და ამის პარალელურად ქართულ ჟესტურ ენას ახასიათებს ერთობ ორიგინალური ლინგვისტური მიდგომა რიგი ენობრივი კატეგორიებისადმი.

აქვე მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ქართული ჟესტური ენისადმი არაპროფესიული დამოკიდებულება და ფსევდოაკადემიური მოღვაწეობა დიდ საფრთხეს უქმნის ამ ენას. როგორც უკვე ზემოთ ვისაუბრე, ეს არის ბუნებრივი ენა (ქართული ჟესტური ენა – GESL – Georgian Sign Language) და არაჯანსაღი, არაპროფესიული ჟესტმომოქმედებითი პროცესი და ხელოვნური გრამატიკალიზაცია ამ ენას გადააქცევს ქართული სამეტყველო ენის ჟესტურ იმიტირებულ სისტემად (Signed Georgian). ასეთი ენა კი უკვე მოკლებული იქნება ყოველგვარ სამეცნიერო ინტერესს.

ჟესტური ენების მორფოლოგიისათვის ძირითადი პრობლემა მდგომარეობს შემდგომში: როგორც ასეთი – მორფემა ამ ენებში არის ჟესტით წარმოდგენილი, რამდენადაც ეს ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა, თუმცა ზოგ ჟესტურ ენაში გვაქვს გრამატიკული მნიშვნელობის მქონე მიმიკაც. ჟესტით წარმოდგენილი მორფემა რომ მორფემად იქნეს გააზრებული, საჭიროა რიგი პარამეტრების გათვალისწინება. ერთ-ერთი დასტური იმისა, რომ ეს ფორმა აფიქსია და არა თავისუფალი სიტყვა, არის მისი მუდმივი ადგილი. ასეთი ჟესტი ყოველთვის თან მოჰყვება (ან წინ უძღვის) სახელის ფუძეს. ზოგ ენაში სიტყვათა რიგი თავისუფალია და ზმნასთან დაკავშირებული თავისუფალი სიტყვა-ჟესტი შეიძლება ზმნის წინაც იყოს და შემდეგაც, მაგრამ არსებობს ფიქსირებული მორფემული პოზიცია. აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იმისათვის, რომ ჟესტი იქნეს მიჩნეული მორფოლოგიურ აფიქსად, არის მისი გრამატიკალიზაციის პროცესი, რაც უმეტესწილად აისახება ჟესტის დელექსიკალიზაციითა და ეროზიით.

ჟესტურ ენებში მეტყველების ნაწილების გარჩევა განსხვავებულია სამეტყველო ენების შესაბამისი კლასიფიკაციისგან. ჟესტურ ენაში არსებითი სახელი, შესაძლოა, გადმოცემული იყოს მისთვის დამახასიათებელი ნიშნით და ამდენად, იგი ზედსართავს უფრო მოაგავდეს. ასევე, შესაძლოა, არსებითი სახელი გადმოცემული იყოს მისთვის დამახასიათებელი მოქმედების აღმნიშვნელი ჟესტით და ამრიგად, იგი ვეღარ განირჩევა ზმნისგან ასეთ შემთხვევებში. ასევე რთულია ზმნებისა და სახელების გარჩევა, რამდენადაც ერთი და იგივე ჟესტი, შესაძლოა, სახელსაც აღნიშნავდეს და ზმნასაც. მაგალითად:



წერა და კალამი.



საჭმელი და ჭამა.

ასეთივე დამოკიდებულებაა ჟესტთა შორის 'გადაღება' და 'ფოტოაპარატი', 'სკამი' / 'დასაჯდომი' და 'დაჯდობა' და ა.შ.

ზოგ შემთხვევაში მცირედი სხვაობა არის მოცემული ზმნისა და სახელების აღმნიშვნელ იდენტურ ჟესტთა შორის. ამერიკულ ჟესტურ ენაში სახელი უფრო მეტ ფაზას მოიცავს, ვიდრე ზმნა. ქართულ ჟესტურ ენაში კი – პირიქით: ზმნა უფრო დინამიკური და მრავალფაზიანია, ვიდრე შესაბამისი სახელი. ზოგ შემთხვევაში გვაქვს მცირედი კინეტიკური განმასხვავებელი ცვლილებებიც.

ჟესტურ ენებში ზმნათა სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა შესაძლებელია ორი პრინციპის მიხედვით:

1. პირველი მიდგომა გაუყვება და გაიმეორებს სამეტყველო ენების მიდგომებს. აქ ზმნათა საკლასიფიკაციო მოდელები ზმნების ძირების ლექსიკური სემანტიკის მიხედვით დაჯგუფდება. შესაბამისად, შესაძლებელია, გამოვყოთ გრძნობა-აღქმის, კოგნიტური კონტენტის ანუ ფიქრისა და აზრის, მოძრაობა-გადაადგილების, შრომა-კეთებისა და ვითარება-მდგომარეობის ზმნები. ცხადია, ამ ჯგუფებში ასევე გამოიყოფა რიგი ქვეჯგუფებისა.
2. მეორე მიდგომა კერძოდ ჟესტური ენების ზმნათა საკუთრივი მახასიათებლების მიხედვით შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული. ასეთი მიდგომით ზმნათა სემანტიკური კლასიფიკაცია გაითვალისწინებს ზმნის კინეტიკურ მახასიათებლებს და არა მის ლექსიკურ-სემანტიკურ კონტენტს. კერძოდ, შესაძლებელი იქნება ზმნათა შემდეგი ძირითადი ორი ჯგუფის გამოყოფა:

- ა. სხეულთან დაკავშირებული ზმნები და
- ბ. თავისუფალი ზმნები.

აღსანიშნავია, რომ ზმნის ვალენტობის ცნება, როგორც ასეთი, ჟესტურ ენებში დაკავშირებულია სწორედ ზმნის კინეტიკასთან. ამ თვალსაზრისით, ა-ჯგუფის ზმნები, (სხეულთან დაკავშირებული ზმნები) სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც წესი, განიხილება მარტივ ზმნებად. ხოლო მეორე ტიპის ზმნებს, შესაძლოა, ჰქონდეთ აქტანტების მიერთების საშუალება. ეს საშუალება (ანუ ჟესტური ვალენტობა) გააზრებულია კინეტიკურ დონეზე. თუ კინეტიკურად ზმნა მიემართება ობიექტისკენ (ან სუბიექტისკენ), მაშინ ითვლება, რომ ზმნა არის აქტანტებიანი (უცხოეთში ფართოდ გავრცელებული ტერმინოლოგიით – ე. წ. ინკორპორირებული, ანუ ინფლექსიური). ქართული ტრადიციული ენათმეცნიერული სკოლა კი ამ მოვლენას მოიხსენიებს ტერმინით ‘პოლიპერსონალიზმი’.

ჟესტურ ენებში ეს ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა (მარტივი და ინფლექსიური). როგორც წესი, მარტივი ზმნები თითქმის ყველა ჟესტურ ენაში საგრძნობლად სჭარბობს მეორე ჯგუფს.

ქართულ ჟესტურ ენაში (და საერთოდ, ჟესტურ ენებში) ზმნები ძირითადად დინამიკური ჟესტებია. ჟესტის მოძრაობის ზოგადი დახასიათებისათვის შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი ჯგუფი:

1. ნეიტრალური დინამიკის ვექტორის მქონე – ეს არის ნებისმიერი ტრანსექტორის სხვადასხვა ტიპის ფაზების მქონე დინამიკური ჟესტები.
2. მიბაძვითი ანუ პანტომიმური კინეტიკის ჟესტები – ეს არის ჟესტები, რომლებიც იმეორებენ ზმნის ლექსიკური სემანტიკით გამოხატულ მოძრაობას. ამავე ჯგუფში შედის ზმნები, რომლებიც რაღაც ინსტრუმენტის მეშვეობით სრულდება. როგორც წესი, ჟესტური ენები წარმოადგენენ ამ ინსტრუმენტით შესრულებული მოძრაობის პანტომიმურ ჟესტურ მოდელებს.
3. შეხებითი დინამიკის ფორმები – ეს არის ჟესტები, რომელთა წარმოებისას ხდება სხეულზე შეხება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე და მესამე ჯგუფების ჟესტებს, შეიძლება, საზიარო ფორმებიც ჰქონდეთ – მაგალითად: ჭამა, წერა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ზმნათა ფორმები, შესაძლოა, გადმოგვეცემდეს ნულოვან მოქმედებას, ანუ იყოს სტატიკური. ასეთი ფორმებია მდგომარეობა-ვითარების აღმნიშვნელი ანუ სტატიკურ-აღწერილობითი ფორმები.

მდგომარეობა-ვითარების ზმნები უმეტესწილად სტატიკური ჟესტებია. მნიშვნელოვანია, იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ეს ზმნები ასევე, შესაძლოა, იყოს სხეულთან შეხებითი ჟესტებიც.

ზოგადი სემანტიკური კლასიფიკაცია (ანუ როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი პრინციპის მიხედვით განხორციელებული კლასიფიკაცია), ცხადია, იქნება უნივერსალური ხასიათის. აქ, შესაძლოა, გამოვყოთ ზმნის შემდეგი ჯგუფები:



- ფიზიკური აქტივობის ზმნები,
- გონებრივი და ინტელექტუალური აქტივობის ზმნები,
- ფიზიოლოგიური აქტივობის ზმნები,
- კომუნიკაციური აქტივობის ზმნები,
- ვექტორული მახასიათებლების მქონე ზმნები,
- მდგომარეობა-ვითარების აღმნიშვნელი ზმნები.

ამ ჯგუფების სემანტიკა ხშირად განაპირობებს ჟესტურ ენებში ზმნათა ფორმებს და ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ამ ენებში იკონურობა საკმაოდ მნიშვნელოვან ლინგვისტურ როლს თამაშობს ენის იერარქიის ყველა დონეზე.

### ლიტერატურა

- Aarons, Debra/Bahan, Ben/Kegl, Judy/Neidle, Carol (1992) Clausal Structure and a Tier for Grammatical Marking in American Sign Language. In: *Nordic Journal of Linguistics* 15, 1032142.
- Aronoff, Mark/Meir, Irit/Sandler, Wendy (2005) The Paradox of Sign Language Morphology. In: *Language* 81, 3012344.
- Aronoff, Mark/Padden, Carol/Meir, Irit/Sandler, Wendy (2004) Morphological Universals and the Sign Language Type. In: Booij, Geert/Marle, Jaap van (eds.), *Yearbook of Morphology 2004*. Dordrecht: Kluwer Academic Publishers, 19240.
- Brentari, Diane (ed.) 2010 *Sign Languages (Cambridge Language Surveys)*. Cambridge: Cambridge University Press.
- Fischer, Susan (1975) Influences on Word Order Change in American Sign Language. In: Li, Charles (ed.), *Word Order and Word Order Change*. Austin, TX: The University of Texas Press, 1225.
- Fischer, Susan (1996) The Role of Agreement and Auxiliaries in Sign Languages. *Lingua* 98, 1032120.
- Fischer, Susan/Gough, Bonnie (1978) Verbs in American Sign Language. *Sign Language Studies* 18, 17248.
- Friedman, Lynn (1976) The Manifestation of Subject, Object, and Topic in the American Sign Language. In: Li, Charles (ed.), *Subject and Topic*. New York, NY: Academic Press, 1252148.
- Marschark, Mark/Spencer, Patricia E. (eds.) 2010 *Oxford Handbook of Deaf Studies, Language, and Education, Volume 2*. Oxford: Oxford University Press.
- Meir, Irit/Sandler, Wendy 2008 *A Language in Space. The Story of Israeli Sign Language*. New York: Lawrence Erlbaum.
- Pfau, Roland/Steinbach, Markus 2011 Grammaticalization in Sign Languages. In: Narrog, Heiko/Heine, Bernd (eds.), *The Oxford Handbook of Grammaticalization*. Oxford: Oxford University Press, 683-695.
- Sandler, Wendy/Lillo-Martin, Diane 2001 Natural Sign Languages. In: Aronoff, Mark/John Rees-Miller (eds.), *The Handbook of Linguistics*. Oxford: Blackwell, 533-562.
- Sandler, Wendy/Lillo-Martin, Diane 2006 *Sign Languages and Linguistic Universals*. Cambridge: Cambridge University Press.
- Wilcox, Sherman 2007 Signed Languages. In: Geeraerts, Dirk/Cuyckens, Herbert (eds.), *The Oxford Handbook of Cognitive Linguistics*. Oxford: Oxford University Press. 1113-1136.

Wilcox, Sherman/Wilcox, Phyllis P. 2010 The Analysis of Signed Languages. In: Heine, Bernd/Narrog, Heiko (eds.), *The Oxford Handbook of Linguistic Analysis (Oxford Handbooks in Linguistics)*. Oxford: Oxford University Press, 739-760.

Makharoblidze Tamar (2018) Verbal Temporal Categories in Georgian Sign Language (GESL) Moambe – Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. Georgian Academy Press. ISSN-0132-1447. Vol.12, no 1. Pp. 125-128.

თ. მახარობლიძე (2013), ზმნათა უღვლილება ქართულ ჟესტურ ენაში. – კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“. თსუ. თბილისი. 231-233 გვ.

თ. მახარობლიძე (2018), მოდალობის ზოგი საკითხისათვის ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. XIV, თბილისი. გვ. 61-75.

თ. მახარობლიძე (2020), ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი.

თ. მახარობლიძე (2015), ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5.

თ. მახარობლიძე (2012), ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International, თბილისი.

თ. მახარობლიძე (2014), დროის სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში. ენათმეცნიერების საკითხები. ეძღვნება ი. მელიქიშვილის ხსოვნას. ISSN 1512-0673. თსუ, თბილისი. გვ. 209-218.

TAMAR MAKHAROBLIDZE

### **On Verbal Morphology of the Georgian Sign Language (GESL)**

#### S u m m a r y

The Georgian sign language (GESL) as a natural language has rich morphology. The presented paper describes the general parameters of GESL verbal morphology. GESL has the manual dominant morphological marking for the most morphological categories. The paper reveals the verb classification based on verbal kinetics. It deals with the problems of semantic and morphological sign-based representations for the different categories of GESL verbal system.

მედეა საღლიანი

**რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა  
სესხება-ადაპტაციისათვის სვანურში. II.<sup>1</sup>**

უცხოენოვან რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა ფუძეები სვანურში შეთვისებული ჩანს ძირითადად ქართულ-მეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალო-ბით), რომელთაც შეთვისების შემდეგ ძალზედ მნიშვნელოვანი ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ცვლილებები განუცდიათ. ხშირ შემთხვევაში, ბუნებრივია, საქმე გვაქვს მეტად რთულ ფონოლოგიურ გარდაქმნებთან, რაც, ჩვენი თვალსაზრისით, საკმაოდ ძველ ნასესხობებზე მიანიშნებს.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს სწორედ ნასესხებ რელიგიურ ტერმინთა სესხების მიმართულებისა და სესხებისას მიმდინარე ფონეტიკური ადაპტაციის წესების გარკვევა წარმოადგენს.

საანალიზოდ თავმოყრილი დიდძალი ნასესხები რელიგიური ტერმინოლოგია სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობითა და სესხებისას მიმდინარე სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გათვალისწინებით დავაჯგუფეთ რამდენიმე ნაწილად.

**1. ფონეტიკურად სრულიად უცვლელი ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულები**

**აიაზმა** (ზს.) „წმინდა, ნაკურთხი (წყალი)“ < ქართ. აიაზმა < ბერძ. **Αγιασμαός** (აგაიასმოს) „კურთხევა“ (შდრ. ზს., ლშხ. **ღვპრისდე**, ბქ., ლნტ. **ღვპრისტე** [ლიც/ნიც] „ნაკურთხი წყალი“)

**ბარძიმ** (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. ბარძიმ-ი „საეკლესიო ფეხიანი ჭურჭელი ვერცხლისა (ან სხვა ძვირფასი ლითონისა), განკუთვნილი ზიარებისათვის“ < ფალ. **Barzin** „მაღალი“

**გამჩენ** (ზს., ქს.) < ქართ. გამჩენ-ი „შემქმნელი, შემოქმედი; დამზადებელი, მშობელი“ (შდრ. ბქ. **მუთუნენი**)

**გომიჯ** (ზს., ლნტ.), შდრ. ბზ., ლნტ. **გომეჯ**, ლშხ. **გომინჯ** 1. „სეფისკვერი; სარიტუალო პური“, 2. „მრგვალი პური, კვერი“ < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., აჭ.) გომიჯ-ი „უსაფუვრო და უმარილო მრგვალი პური, ნაღვერდალში გამომცხვარი“

<sup>1</sup> მოხსენება მომზადდა 2018 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „**სვანური ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)**“ ფარგლებში.

**კალანდა** (ლნტ.), შდრ. ბქ. **კანდა** < ქართ. (გურ.) კალანდა < ლათ. **calendae** „თვის პირველი დღეები“ (შდრ. ბზ., ლშხ. **ზომხა** „ახალი წელი“)

**კუტირია** (ზს.), შდრ. ლშხ. **კუტირია/კუტირია**, ლნტ. **კუტირია** „სადეთო სიმღერის სახელწოდება“ < ქართ. (ფშ., ხევს.) კვირია „ხალხური ღვთაება, რომელიც ხმელეთის მზრუნველად (მოურავად) მიაჩნდათ“ (შდრ. ბზ. **ლაჟღუშ**, ბქ. **ლაჟღუშ**, ლშხ. **ლაჟღუშ**)

**მთაჟარანგელოზ** (ჩოლ.), შდრ. ზს. **თარგლეზერ**, ბზ. **თარინგზელ/თარგნგზელ**, ლშხ. **თარი[ნ]გზელ/თარი[ნ]მელ/თარგლეზერ**, ლნტ. **თარიგზელ/თარიგლეზერ**, ჩოლ. **თარინგზელ/თარიზელ/თარზელ/თარიგზელ** < ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი

**მიქელ-გაბრიელ** (ჩოლ.), შდრ. ბქ. (ბეჩ.) **გებრელ** < ქართ. მიქელ-გაბრიელ-ი „მთავარანგელოზი“

**საკმეშელ** (ლშხ.) < ქართ. სა-კმ-ევ-ელ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **ნატუსუნ**, ბქ., ლნტ. **ნატუსუნ**)

**საკურთხ** (ზს., ქს.) < ქართ. სა-კურთხ-ი (შდრ. ზს., ქს. **ლეჯგრი**; ბზ., ლშხ., ჩოლ. **ლეფანე**, ბქ., ლნტ. **ლეფანე**; ბზ., ლშხ. **ნაფანუნ**, ბქ., ლნტ. **ნაფანუნ**)

**საკურთხეშელ** (ზს., ქს.), შდრ. ბზ. **საკურთხეშელ** < ქართ. სა-კურთხ-ევ-ელ-ი (შდრ. უშგ. **ლაყურ** „საზვარაკო [ადგილი]“/**ყურია ლაჭდა არგი** „ზვარაკი[ს] მოსატანი ადგილი“)

**სამება** (ზს., ქს.), შდრ. ჩოლ. **სანება** < ქართ. სამება

**სანთელ** (ზს., ქს.), შდრ. ჩოლ. **სამთელ** < ქართ. სანთელ-ი (შდრ. ზს. ლშხ. **ლეტურე**, ლნტ. **ლეტურე**)

**საყდარ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ბზ., ლნტ. **საყდარ** < ქართ. საყდარ-ი (შდრ. ბზ. **ლაჭუშ**, ბქ. **ლაჭუში**, ქს. **ლაჭუამ**)

**სახარება** (ლნტ.), შდრ. ზს. **სახრბ**, ლშხ. **სახრებ** 1. „სახარება“, 2. „აღდგომის ცისკრის წირვა“ < ქართ. სა-ხარ-ებ-ა

**უფალ** (ზს., ქს.), შდრ. ზს., ლნტ. **უფალ** < ქართ. უფალ-ი

**ქრისტე** (ბქ., ლნტ.), შდრ. ზს., ლშხ. **ქრისტე** < ქართ. ქრისტე < ბერძ. **χριστός**

**ყელიერ** (ჩოლ.), შდრ. ბზ. **ყელიერ**, ბქ. **ყულიერ** < ქართ. ყველიერ-ი „დიდმარხვის წინა კვირა, როცა ხორცეული არ იჭმებოდა“

**ცხონებულ** (ზს., ქს.) < ქართ. ცხონებულ-ი

**ცხოშელ** (ბქ.) „ძლიერი, ცხოველი (ხატი, ეკლესია...)“ < ძვ. ქართ. ცხ-ოვ-ელ-ი „მაცოცხლებელი, ცხოველმყოფელი, ძლიერი“

**ხატ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს., ლნტ. **ხატ** < ქართ. ხატ-ი < არაბ. **خاٹ**

**ხსნილ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს. **ჟსნილ**, ჩოლ. **ხსინ** < ქართ. ხსნილ-ი

**ჯუარ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს., ლნტ. **ჯურ**, ჩოლ. **ჯარ** < ქართ. ჯვარ-ი (შდრ. ბზ. **სტარუნ**, ბქ. **სტარინ**, ლშხ. **სტარუნ**, ლნტ. **უსტარუნ**, **უსტარუინ** „ჯვარი; პირჯვარი“)..., რომელთა რაოდენობა საკმაოდ ხშირია, თუმცა ხშირად ფონეტიკურად უცვლელი რომელიმე ლექსიკური ერთეულის პარალელურად, როგორც სვანურის სხვა დიალექტ-კილოკავებთან შედარება-შეპირისპირებამ აჩვენა, ფონეტიკურად ადაპტირებული ერთეულებიც დასტურდება.

## 2. ფონეტიკური ნიუანსებით სახეცვლილი ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულები

**აუსლაუტის გამარტივება, დიამარცვლიანი სტრუქტურების მიდრეკილება დახურულმარცვლიანობისაკენ:**

ა) -ა ხმოვანმოკვეცილი (უუმლაუტო) ძირები:

**ადგომ** (ზს., ლნტ.) „მძიმე მარხვა და უქმე, ნათლისღების წინა დღე“ < ქართ. ა[ღ]დგომა

**აზმა** (ლშხ.) „წმინდა, ნაკურთხი (წყალი)“ < ქართ. აიაზმა < ბერძ.

**Αγιασμα** „კურთხევა“

**ანლღაბ** (ზს.)/**ანლღაბ** (ლნტ., ჩოლ.)/**ანლღებ** (ლშხ.) < ძვ. ქართ. ამაღლება

**აღაბ** (ზს., ლნტ.)/**აღაბ** (ზზ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. აღება „ყველიერის მარხვის წინა დღე“

**განცხაბ/განცხადაბ** (ზს.)/**განცხაბ** (ბქ.)/**განცხებ** (ლშხ.)/**განცხადაბ** (ლნტ.)/**განცხადაბ** (ჩოლ.) „ნათლისღება, გამოცხადება“ < ძვ. ქართ. განცხადება „გამოცხადება, ჩვენება, განმარტება, გამოჩენა, ზმანება, გამოაშკარავება“

**დიდაბ** (ზს.)/**დიდაბ** (ლშხ.)/**დიდაბ** (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. დიდება

**დღეობ** (ლნტ.) < ქართ. დღეობა (შდრ. სვან. **ღენ**)

**ზირაბ** (ზს.)/**ზირებ/ზიარებ** (ლშხ.)/**ზირაბ** (ლნტ.)/**ძიარება** (უშგ.) < ძვ. ქართ. ზიარება

**კანდა** (ბქ.) < ქართ. (გურ.) კალანდა < ლათ. **calendae** „თვის პირველი დღეები“ (შდრ. ბზ., ლშხ. **ზომხა** „ახალი წელი“)

**ლამპრობ/ნამპრობ** (ზს., ლშხ.) „რელიგიური დღესასწაული“ < ქართ. ლამპრობა

**ლოც** (ლშხ.) < ქართ. ლოცვა (შდრ. ზს., ლშხ. **ლიმზერ/ლიმზურ/ლიმ-ზირ**, ლნტ. **ლიმეზრე/ლიმეზერ**)

**მარხ[ა]** (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. მარხვა < ფალ. **pāhr**-იდან მეტათეზის გზით **pāhr** > **parx** > **მარხ** (ანდრონიკაშვილი 1966:256), შდრ. ზს., ლნტ. **ტიჰმ**, ბზ. **ლინ/ლჩა** „მარხვა“

**მარხ[ობ]** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. მარხულობა < ფალ. **pāhr**-იდან მეტათეზის გზით **pāhr** > **parx** > **მარხ** (იქვე), შდრ. ზს., ლნტ. **ტიჰმ**, ბზ. **ლინ/ლჩა** „მარხვა“

**მეისარობ/მეისარაბ** (ბზ.)/**მეისარაბ** (ბქ., ლნტ.)/**მერსანაბ** (ბქ.)/**მეისარობ** (ქს.)/**მეისარობ** (ლნტ.) „საქონლის სიძლიერისა და გამრავლებისათვის განკუთვნილი დღესასწაული“ < ქართ. (ლექს.) მეისარობა „დღეობა, ლოცვა“

**იან** (ზს.)/**იან** (ბქ.) 1. სკ. სახ. „იონა“, 2. რელიგ. „წმინდა იონა წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარი“ < ქართ. იონა წინასწარმეტყველი

**იანობ** (ბქ.) „ახალი წლის ციკლის დღეობა; განკუთვნილი იყო ფეტვის მოსავლიანობის ავკარგიანობის და, ასევე, თავისა და თვალის ტკივილისაგან მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაული (ზედმიწ. – **იონა-ობ-ა**)“ < ქართ. იონა წინასწარმეტყველი, შდრ. ბზ. **იენშიერ**, ჩზხ. **იენშიერი**

**იელ/იელ** (ბზ.)/**იელი** (ზს., ქს.), შდრ. ზს., ლნტ. **იელა/იელია**, ბზ. **იელა**, ლშხ. **იელია**, ლნტ. **იელია** < ქართ. ელია<sup>1</sup>

<sup>1</sup> ძველი და ახალი აღთქმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წინასწარმეტყველი. „ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარში“ 20(2) ივლისს ტაროსის განმგებლის – ელიას ან ელია-ზაქარიას სახელობის დღეობა აღინიშნება, ხოლო საეკლესიო კალენდრის მიხედვით, ამ დღეს მოიხსენიება ილია წინასწარმეტყველი.

**შენიშვნა:** ქართულიდან ნასესხები *ელია* დასტურდება, ასევე, შესიტყვების *ელია მგლამ* (ზზ.)/*ელია მგლამ* (ბქ.)/*ელია ლემეს* (ლზზ.) „ელვის ცეცხლი“ პირველ კომპონენტად.

**ელიაობ** (ზზ.)/**ელიაობ** (ბქ., ქს.)/**ელიაობ/ელიაობ** (ბქ.) „რელიგიური დღესასწაული“ < ქართ. ელიაობა (||ლიაობა)

**საკურთხოზ** (ზს., ქს.) *ზედმიწ.* – \*საკურთხოზა < ქართ. საკურთხი (შდრ. ზს., ქს. **ლიაგრი/ლიაგრელ**)

**სახრან** (ზს.)/**სახრან** (ლზზ.) 1. „სახარება“, 2. „აღდგომის ცისკრის წირვა“ < ძვ. ქართ. სახარება

**სურ** (ზზ.) „შალიანის ხატის ჩამონახანი წყლის ჭურჭელი“ < ქართ. სურა

**სტიმონ** (ზს.), შდრ. ზზ. **სტიმონი** „მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი დღეობა“ < ქართ. სვიმონობა < სვიმონ უფლისმოქმედი

**ტაზრობ** (ზზ.) „საქონლის სიძლიერისა და გამრავლებისათვის განკუთვნილი დღესასწაული“ < ძვ. ქართ. ტაძრობა

**უსხუობ** (ზს.)/**უსხუ[ან]ობ** (ზზ.)/**უსხუობ**, შდრ. ბქ., ლზზ. **უსხუობიერ** „ღვთისადმი შეწირული ხარების დაკვლის დღე“ < ქართ. \*უსხობა, შდრ. ძვ. ქართ., რაჭ. უსხ-ი

**ფერცულობ** (ზზ., ქს.)/**ფერცლობ** (ზზ.)/**ფერცლან/ფერცლან** (ბქ.)/**ფერცულობ** (ქს.)/**ფერცლობ/ფერცულობ** (უშგ.) „რელიგიური დღესასწაული; ცხენებისათვის განკუთვნილი დღეობა“ < ძვ. ქართ. ფერისცვალება, შდრ., ასევე, იმ., გურ. ფერცვალება და მეგრ. **ფერცვალობა/ფერცვალობა/ფერცვალობა**

**ქრისტიანობ** (ზს.)/**ქრისტიანობ** (ბქ., ქს.) < ქართ. ქრისტიანობა

**შობ** (ზს., ქს.) < ქართ. შობა „დაბადება“

**ცხონან** (ზს.) < ქართ. ცხონება

**წირ** (ზს., ქს.)/**წირ[უ]** (ზზ., ლზზ.) < ძვ. ქართ. წირვა

**წმინდა** (ქს.) < ქართ. წმინდა < ფალ. **spand** (შდრ. ზზ. **წყვანამ**, ზს. **წყილიან**, ჩოლ. **დაიან**). მ. ანდრონიკაშვილის მოსაზრების თანახმად, საანალიზო ლექსემა ეკუთვნის იმ რელიგიურ ტერმინთა რიცხვს (ემმაკი, მართალი, იადგარი, მოგვ და სხვ.), რომლებიც ქართულში შემოსულია ირანული რელიგიების (ზოროასტრიზმის, მანიქეიზმის ან მითრაიზმის) გავრცელების შედეგად და გადმონაშთის სახით შემონახულია ქრისტიანობაშიც (იქვე:06).

**კაბგობ** (ზს.)/**კაბგობ** (ქს.) „რელიგიური დღესასწაული (ზედმიწ. – **კაბუკობ-ა**)“ < ქართ. კაბუკ-ი < ფალ. **kapuk** „სწრაფი, მოხერხებული, ცოცხალი, მარდი“

**კანტილობ** (ზზ., ლზზ., ჩოლ.)/**კანტილობ** (ლნტ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ.) კანტილობა „კორკოტობა; წანდილობა“

**კიმკარობ/კინკარობ** (ლნტ.)/**კიმკაობ/კიმკარობ** (ჩოლ.) „ჭინკების მოსვლასთან დაკავშირებული დღესასწაული; ჭინკობის თვე“ < ქართ. ჭინკობა

**ხარან** (ზს.)/**ხარან** (ლზზ., ლნტ.)/**ხარან** (ლზზ., ჩოლ.)/**ხარან** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. ხარება

**ხატიშობ** (ჩოლ.) *ზედმიწ.* – \***ხატ-ის-ობ-ა** < ქართ. ხატობა „ხატის დღე; დღეობა, ხატის დღესასწაული, – ჯვარობა“

**ხუწლობ** (ზზ.) „ყელის ტკივილისა და ხველების საწინააღმდეგო დღეობა“ < ქართ. (ლეჩხ.) ხვამლობა...

**ბ) -ე ხმოვანმოკვეცილი ძირები:**

**ზედაშ** (ზს., ლნტ.)/**ზედაშ** (ლშხ.) < ქართ. ზედაშე. შდრ. ძვ. ქართ. ზედა-შე-ე „ჟამისწირვისას აუცილებელი ღვინო“, სვანეთში კი დღეს ასეთ შემთხვევაში არაყს იყენებენ, მაგრამ ბზ. **ზედაშ** ისტორიულად რომ მხოლოდ ღვინოს ნიშნავდა, ეს კარგად ჩანს ვ. თოფურისა მიერ 1927 წელს სოფ. კალაში ჩაწერილი ერთი უძველესი სვანური სიმღერის ტექსტიდან: **მეშა ძულუას ზერალ ხეგებს, ღვინალ-ზედაშ ეჩხან იშგუმინ** – „მავ ზღვაზე ბერები სახლობენ, ღვინო-ზედაშე იქიდან მოითხოვა“ (სვ. პოეზ. 1939: 10:84-85), თუმცა მთლად არც ისაა გამორიცხული, რომ აქ კომპოზიტიც (ღვინო-არაყი) იგულისხმებოდეს (საღლიანი 2005: 267).

**იურდან** (ბქ.) „ნაკურთხი წყალი, აიაზმა“ < ქართ. იორდანე < ბერძ.

**Иорданъ**

**სამეთხ** (ლნტ.) < \***სამტეთხ** < ქართ. სამთხე „ღმერთის მიერ შექმნილი ბალი, წალკოტი, სადაც შეცოდებამდე ცხოვრობდნენ ადამი და ევა, – ედემი“

**უიქმ** (ზს., ლნტ.)/**უქმ** (ლშხ.) < ახ. ქართ. უქმე, შდრ. ძვ. ქართ. უქმ-ი...

**გ) -ო ხმოვანმოკვეცილი ან ნარედუქციალი (ო > უ) ძირები:**

**სამარხუ** (ბზ., ქს.) < ქართ. სამარხო (შდრ. ზს., ლნტ. **სატიქმ/სატიქმ**, ლშხ. **საუქმ**)

**სამრპკუ** (ზს., ლნტ.) < \***სამრეკუ** < \***სამრეკლუ** < ქართ. სამრეკლო (შდრ. ბზ. **ლაზენგლანგ**, ბქ. **ლაზენდლაგარ**)

**საწუთრ** (ლშხ.) < ძვ. ქართ. საწუთრო

**საკსნილ** (ბზ.)/**სახსნილ** (ლნტ.)/**სახსნილ** (ჩოლ.) < ქართ. სახსნილო (არა-სამარხვო საჭმელი), შდრ. ზს., ლშხ. **ღეშრაუე**, ზს. {**ტოხდრის**

**სატიქმ/სატიქმ** (ზს., ლნტ.)/**საუქმ** (ლშხ.) „სამარხო“ < ქართ. \*საუქმელო (შდრ. ძვ. ქართ. უქმეზა „უქმელოზა“, უქმელი „მარხული“)

**ურწყუ** (ბქ.) „ადამიანი, რომელიც მარხულობს მგლოვიარობის გამო“ < ქართ. ურწყო (ურწყლო – საბა). ძვ. ქართულში ურწყო ნიშნავს „წმინდა, წყალზე-ურევენელი“...

**3. აუსლაუტში თანხმოვანმოკვეცილი ძირები****ა) სახელები, რომელთაც აუსლაუტში ცალი თანხმოვანი აქვთ მოკვეცილი:**

**ლოც** (ლშხ.) < ქართ. ლოც-ვა (შდრ. ზს., ლშხ. **ლიმზერ/ლიმზურ/ლიმ-ზირ**, ლნტ. **ლიმეზრე/ლიმეზერ**)

**მარხუობ** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. მარხ-ულ-ობ-ა < ფალ. **pahr**-იდან მეტათეზის გზით **pahr** > **parx** > **მარხ**, შდრ. ზს., ლნტ. **უიქმ**, ბზ. **ლინ/ლჩალ** „მარხვა“

**სამრპკუ** (ზს., ლნტ.) < \***სამრეკუ** < \***სამრეკლუ** < ქართ. სა-მ-რეკ-ლ-ო (შდრ. ბზ. **ლაზენგლანგ**, ბქ. **ლაზენდლაგარ**)

**წირ** (ზს., ქს.), შდრ. ბზ., ლშხ. **წირ[ტ]** < ძვ. ქართ. წირ-ვა

**ჭანტი** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ჭანტი** (ლნტ.) „კორკოტი“ < ქართ. (ლექს., რაჭ.) **ჭანტილა** „წანდილი, კორკოტი“

**ხსინ** (ჩოლ.), შდრ. ზს. **ვსნილ**, ლშხ., ჩოლ. **ხსნილ** < ქართ. ხსნილ-ი...

ბ) **სახელები, რომელთაც აუსლაუტში ერთი, ორი ან მეტი მარცვალი აქვთ მოკვეცილი:**

**შემინდ** (ბზ.)/**შემინდუილ** (ბქ., ლშხ.) „ნებადართული, ღვთისაგან შენდობილი, დასაშვები; შეწყნარებული“ < ქართ. შე-ნ-დ-ობ-ილ-ი

**წირ** (ზს., ქს.), შდრ. ბზ., ლშხ. **წირ[უ]** < ძვ. ქართ. წირ-ვ-ა

**შრნდო** (ლშხ.) „საგალობელი მიცვალებულის პატივსაცემად, შენდობის სიმღერა“ < ქართ. შე-ნ-დ-ობ-ა...

#### 4. თანხმოვანთა ცვლილებები ნასესხებ რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა აუსლაუტში

ა) გ ა მ ჟ დ ე რ ე ბ ა:

**ზანგლანგ** (ბზ.)/**ზანდლანგ** (ბქ.) „ზარი“ < ქართ. ზან-ზალ-აკ-ი „ზარი“, შდრ. ფშ. ზანგალაკ-ი

**ლაზენგლანგ** (ბზ.)/**ლაზენდლანგან** (ბქ.) „სამრეკლო“ < ქართ. \*სა-ზან-ზალ-აკ-ო

**ლიზენგლანგი** (ბზ.)/**ლიზენდლანგი** (ბქ.) „ზარ[ებ]ის რეკვა“ < ქართ. \*ზან-ზალ-აკ-ებ-ა

**მოქრისდეშ** (ბზ.) „შობის მასპინძელი ( *ზედმიწ.* – \*[მო]-ქრისტე-ი[ს]-ა)“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. **Χριστός**

**პრისდაჟ** (ბზ.)/**პრისდაჟ** (ქს.) < ქართ. პრისტავ-ი < რუს. **Прислав**. სვანური **პრისდაჟ** სავარაუდოდ ქართულიდან ისესხა სვანურმა, მაგრამ სვანურში გავრცელებული მონათვლის აღმნიშვნელი ომონიმური ტერმინი **ლი-პრისდ-ი/ლი-პრისტ-ე** (**მგ-პრისდ-ი/მგ-პრისტ-ე**, **უ-პრისდ-ა/უ-პრისტ-ა** და სხვ.), ე. გაზდელიანის მოსაზრების თანახმად, შესაძლოა უკავშირდებოდეს ბერძნულ სიტყვას **πρῆστον** – „მეთაურობა, ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა, ზრუნვა, დაცვა...“. მისთვის საყურადღებოა ასევე ბერძ. **prister** – მღვდელი; ქურუმი და ინგლ. **priest** – 1. მღვდელი, ეკლესიის მსახური, 2. ქურუმი (გაზდელიანი 1988: 70). აღნიშნული სიტყვის ანალიზი მოცემული აქვს მ. ჩუხუასაც. მისი აზრით, აქ უნდა ჩანდეს ქართულ-მეგრული (← ბერძნ.) **პირისელ-ი/პირგსელ-ი** „ნათლია (**ჰუმ**)“ სიტყვა (ჩუხუა 2000-2003: 26).

**სამხდო** (ზს.) < ქართ. სა-მხთ-ო < სა-მღთო < სა-ღმთ-ო < სა-ღმრთ-ო < \*სა-ღმერთ-ო

**ქრისდე** (ზს., ლშხ.) < ქართ. ქრისტე < ბერძ. **Χριστός**

**ქრისდეშ** (ბზ., ლშხ.)/**ქრისდეშ** (ბქ.), შდრ. ლნტ. **ქრისტეშ**, ჩოლ. **ქრისტეშ** 1. „შობა, ქრისტეშობა“, 2. „დეკემბერი, ქრისტეშობის თვე (ზედმიწ. – **ქრისტე-ის-{ა}**)“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. **Χριστός** (შდრ. ძვ. ქართ. ქრისტეშობა)

**ქრისდიანობ** (ზს.), შდრ. ბქ., ქს. **ქრისტიანობ** < ქართ. ქრისტ-იან-ობ-ა < ქართ. ქრისტე < ბერძ. **Χριστός**

**ქრისდიან** (ზს.)/**ქრისდიან** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ქრისტიან** < ქართ. ქრისტ-იან-ი < ქართ. ქრისტე < ბერძ. **Χριστός**

**ჭაბგობ** (ზს.), შდრ. ქს. **ჭაბკობ** „რელიგიური დღესასწაული“ < ქართ. ჭა-ბუკ-ი < ფალ. **ჭაბუკ** „სწრაფი, მოხერხებული, ცოცხალი, მარდი“...



ბ) ა ფ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ა :

**წნგულეჯ** (ლნტ.), შდრ. ბზ., ლნტ. **წნგ[ტ]ლევ/წნგლოზ**, ბქ. **წნგლევ**, ბქ., ლშხ. **ანგლოზ**, ლნტ. **წნგელოზ**, ჩოლ. **ანგულევ** < ძვ. ქართ. ანგელოზ-ი < ბერძნ. **ἄγγελος** „მიკრივი, მაცნე; მოციქული, მოამბე ანუ მაუწყებელი“ (**ზ** > **ჯ**)

**თწრი[ნ]ქელ/თწრიგქელ/თწრიძელ** (ლშხ.)/**თწრგქელ** (ჩოლ.), შდრ. ზს. **თწრგლევერ**, ბზ., ლშხ. **თწრინგზელ/თწრგნგზელ**, ლშხ. **თწრი[ნ]გზელ/თწრ-გლევერ**, ლნტ. **თწრიგზელ/თწრიგზელ/თწრიგლევერ/თწრიგლევერ**, ჩოლ. **თწრგზელ/თწრინგზელ/თწრიზელ/თწრზელ/თწრიგზელ** < ძვ. ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი (**ზ** > **ძ**)...

გ) დ ა ყ რ უ ე ბ ა (შედარებით იშვიათად):

**ბწარწ** (ზს.)/**ბწარახ/ბწარახ** (ლშხ.) < ქართ. ბაირალ-ი „ეკლესიის წმიდა დროშა, რომელიც გამოიყენება დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ჯვრით მსვლელობის დროს. ის აღნიშნავს მართლმადიდებლობის ამ ქვეყანაზე გამარ-ჯვებას“ < სპარს. **hajrak**...

## 5. გაუმლაუტებული ფუძეები

ა) **პალატალური უმლაუტი (სახელობითი ბრუნვის მორფემის მოკვეცის შედეგები):**

**დღესასწაული** (ლნტ.) < ქართ. დღესასწაულ-ი

**მაცხუწრ** (ბზ.)/**მაცხუწრ** (ბქ., ლნტ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **მაცხუწრ**, ჩოლ.

**მაცხუწარ** 1. „მაცხოვარი“, 2. „მაცხოვრის ეკლესია“ < ძვ. ქართ. მაცხოვარ-ი

**მწდლიან/მწლდიან** (ზს.)/**მადლიან** (ლნტ.) < ქართ. მადლიან-ი

**მოდლუწრ** (უშგ.) „მამაო“ < ქართ. მოძღვარ-ი

**საყდარ** (ზს., ლნტ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **საყდარ** < ქართ. საყდარ-ი (შდრ.

ბზ. **ლაკუწმ**, ბქ. **ლაკუწმი**, ქს. **ლაკუწამ**)

**სწცეცხუწრ** (ლნტ.) < ქართ. საცეცხლოურ-ი „საკმევლის დასაკმევი ჭურ-ჭელი, სასაკმევლე“

**ტაბგ** (ზს., ლნტ.)/**ტაბაგ** (ლშხ.) 1. „ტაბაკი, მაგიდა, სუფრა“, 2. *რელიგ.*

„ტაბლა (სულებისათვის გაშლილი სუფრა)“ < ქართ. ტაბაკ-ი < ფალ. **tapak** „ტაფა“

**უსურმან** (ზს.) < ქართ. მუსულმან-ი

**უფალ** (ბქ.) < ქართ. უფალ-ი (შდრ. ზს. **ფუსდ**, ბზ., ლშხ. **ფუს[ტ]ნ**, ბზ.

**ფუს**, ქს. **ფუსტ** „მეუფე, უფალი, ღმერთი; ბატონი, მფლობელი, მბრძანებელი“)

**ქრისდიან** (ზს.)/**ქრისტიან** (ლნტ.), შდრ. ლშხ. **ქრისდიან** < ქართ. ქრის-

ტიან-ი < ბერძ. **χριστός**

**ხატ** (ზს., ლნტ.)/**ხატ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ხატ-ი < არაბ. **xaṭ**

**შენიშვნა:** საანალიზო სიტყვის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები (**ხატ/ხაწ/ხაზ**) დასტურდება ერთ-ერთი სვანური რელიგიური დღესასწაულის აღმნიშვნელი კომპოზიტის – **ხწკუენალ/ხაზსკუეჯნალ/ხატსკუეჯნალ/ხატს-გუეჯნალ** პირველ კომპონენტად.

**ხუჭლმი** (ბზ.)/**ხუჭლმი** (ბქ.) „ხველებისა და ყელის დაავადების დროს სალოცავი ღმერთი“ < ქართ. (ლექს.) ხვამლ-ი

**ჯუჭრ** (ზს., ლნტ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ჯუჭარ**, ჩოლ. **ჯარ** < ქართ. ჯვარ-ი (შდრ. ბზ. **სტარჟნ**, ბქ. **სტარინ**, ლშხ. **სტარუნ**, ლნტ. **უსტარუნ**, **უსტარუინ** „ჯვარი; პირჯვარი“)...

**უმლაუტი სახელობითი ბრუნვის მორფემის -ა ალოფონის წინ:**

**სუინა** (ბზ.) „ნათლია, სვინა; ნათლიმამა, ნათლიდედა“ < ძვ. ქართ., ქართლ. სვინა „ნეფის მეჯვარე“; „შვილის მომნათლავი“ (შდრ. ბზ., ლშხ. **პეპი**, ბქ., ლნტ. **პაპი**)

**უსხუა** (ბზ.)/**უსხუა** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს. **უსხუ**, ლნტ. **უსხუა** „სამხვერპლო მოზვერი“ < ძვ. ქართ., რაჭ. უსხ-ი

**ჰემმა** (ბზ.) „ემმა, გრძნეული, ემმაკი“ < ძვ. ქართ. ემმა < ფალ. **hēm**, **hīm** „ავი, ბოროტი, ცოფიანი, მრისხანი“!...

**უმლაუტი აუსლაუტის დია მარცვალში**, რასაც ჩვეულებრივ, სვანური ენის ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში აქვს ადგილი:

**სუინა** (ბქ.) „ნათლია; ნათლიმამა, ნათლიდედა“ < **სუინა** < ქართ. (ქართლ.) სვინა „ნეფის მეჯვარე“; „შვილის მომნათლავი“ (შდრ. ბზ., ლშხ. **პეპი**, ბქ., ლნტ. **პაპი**)...

**ფუძისეულ ხმოვანთა (ა+ი > ა) უმლაუტი:**

**გაბრელ /გებრელ {თარგლეზერ}** (ბქ.) < ქართ. გაბრიელ მთავარანგელოზი. **გაბრელ/გებრელ** ქართული ენიდან შესული **გაბრიელ** ფორმის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია. აღნიშნულ ლექსემაში დაიკარგა სახელობითი ბრუნვის -ი მორფემა, ხოლო შემდეგ ფუძისეული ი ხმოვნის სინკოპირებამ გამოიწვია წინამავალი ა'ს ჯერ ნაწილობრივი გაუმლაუტება, მერე კი სრული პალატალიზაცია (**გაბრიელ-ი** > **გაბრიელ** > **გაბრელ** > **გებრელ**).

**ბარძიმ** (ზს., ლნტ.) 1. „ბარძიმ-ი“, 2. „შხამი, საწამლავი“ < ძვ. ქართ. ბარძ-ი/ზიმ-ი < ფალ. **barzin** „მაღალი (ჭურჭელი)“

**სახსნილ** (ლნტ.), შდრ. ბზ. **საჯსნილ**, ჩოლ. **სახსნილ** < ქართ. სახსნილო „არასამარხვო საჭმელი“ (შდრ. ზს., ლშხ. **ლგშრაჟე**, ზს. {ჟ}ოხდრის)

**ფარისეულ** (ბზ.) < ქართ. ფარისეველ-ი (შდრ. ზს. **ჩითახუირ**)

**შშშობ** (ბზ.)/**სშშობ** (ბქ., ლნტ.) „ჭიაკოკონობა, ჭინკობის თვის ბოლო ღამე“ < ქართ. საშიშობა

**ჭანტილობ** (ლნტ.), შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **ჭანტილობ** < ქართ. (რაჭ., ლექს.) ჭანტილობა „კორკოტობა; წანდილობა“...

<sup>1</sup> სახელობითი ბრუნვის -ა ალოფონის წინ (ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში) ლაშხურსა და ჩოლურულში, როგორც წესი, უმლაუტს არა აქვს ადგილი (მაგ.: **არუიგა** (ლშხ., ჩოლ.) „ზვარაკი, შესაწირავი (საქონელი იმ ხატისა, რომლის სახელიც შემწირველმა არ იცის)“ < ქართ. არ-ვ-ი-ც-ი. **ეკლესია** (ლშხ., ჩოლ.)/**იეკლესია** (ჩოლ.) < ქართ. ეკლესია (შდრ. ბზ. **ლაჭუბ**, ბქ. **ლაჭუმი**, ქს. **ლაჭუამ**)...

**ფუძისეული ან სუფიქსისეული ე ხმოვნით გამოწვეული უმლაუტი:**

ა+ე

**ზედჷშ** (ზს., ლნტ.) < ქართ. ზედამე

**იტრდჷნ** (ბქ.) „ნაკურთხი წყალი, აიაზმა“ < ქართ. იორდანე < ბერძ.

**Иорданъ...**

**ო ხმოვნის უმლაუტი, გამოწვეული სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვით:**

**წნგ[ჷ]ლეზ/წნგლოზ** (ბზ., ლნტ.)/**წნგტლეჯ** (ლნტ.)/**ანგტლეზ** (ჩოლ.), შდრ. ბქ. **წნგლეზ**, ბქ., ლშხ. **ანგლოზ**, ლნტ. **წნგელოზ** < ძვ. ქართ. ანგელოზ-ი < ბერძნ. **αγγελος** „შიკრიკი, მაცნე; მოციქული, მოამბე ანუ მაუწყებელი“

**კირტენ** (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**კირონ** (ლშხ., ლნტ.)/**კირენ** (ლნტ.) „კელაპტარი, ცვილის დიდი სანთელი (უნთებენ მიცვალებულს)“ < ძვ. ქართ. კერეონ-ი, კეროვან-ი „დიდი სანთელი ცვილისა“. ზს. **კირტენ** < ლშხ. **კირონ** < \***კერონ** < ძვ. ქართ. კერეონ-ი (ე > ი მოულოდნელია, ასევე მოსალოდნელი იყო სვანურში **კერეტენ** ფორმა, რომელიც არც ერთ დიალექტში არ დასტურდება)

**მირტენ** (ლნტ.) „ნათელ-მირონი; ნათლია“ < ქართ. მირონ-ი < ბერძ. **მენონ** „სურნელოვანი ზეთი, ნელსაცხებელი“...

**უ ხმოვნის უმლაუტი, გამოწვეული სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვით ან მომდევნო პოზიციამში მყოფი პალატალური ხმოვნით:**

**დღესასწატილ** (ლნტ.) < ქართ. დღესასწაულ-ი

**მოცქტილ/მეცქტილ** (ზს.)/**მოცქტილ** (ლნტ.)/**მოცქულ** (ლშხ.) < ძვ. ქართ. მოციქულ-ი

**რჯტილ** (ბზ.), შდრ. ბქ., ლშხ. **რჯულ**, ბქ. **ჯტრილ**, ლშხ. **ჯრულ**, უშგ. **ჯრულ[ი]** „რწმენა, რელიგია“ < ქართ. რჯულ-ი „ესა თუ ის რელიგიური მოძღვრება, – კულტი, სარწმუნოება, სჯული...“ (შდრ. ზს., ლშხ. **ჯილ**, ქს. **ჯილაი**)

**სატიჰმ/სატიჰმ** (ზს., ლნტ.), შდრ. ლშხ. **საუჰმ** „სამარხო“ < ქართ. \*საუჰმე-ო (შდრ. ძვ. ქართ. უჰმეზა „უჰმელობა“, უჰმელი „მარხული“)

**საგეცხტირ** (ლნტ.) < ქართ. საცეცხლოურ-ი „საკმეველის დასაკმევეი ჭურჭელი, სასაკმეველე“

**უტკუტინ** (ქს.), შდრ. ქს. **უტკუნ** „ბნელი, უკუნი, სიბნელე“ < ძვ. ქართ. უკუნ-ი „მარადისი, მუდმივი, საუკუნე“

**უსხტუ** (ზს.)/**უსხტუა** (ლნტ.), შდრ. ბზ. **უსხტამ**, ლშხ., ჩოლ. **უსხტამ** „სამსხვერპლო მოზვერი“ < ძვ. ქართ., რაჭ. უსხ-ი

**უსხტობ** (ზს.), შდრ. ბზ. **უსხტ[ამ]ობ**, ბქ., ლშხ. **უსხტობ/უსხტობიერ** „ღვთისადმი შეწირული ხარების დაკვლის დღე“ < ქართ. \*უსხობა, შდრ. ძვ. ქართ., რაჭ. უსხ-ი

**უჰმ** (ზს., ლნტ.), შდრ. ლშხ. **უჰმ** < ახ. ქართ. უჰმე, ძვ. ქართ. უჰმ-ი

**უქმი** (ზს., ლნტ., ჩოლ.), შდრ. ლშხ. **უქმ** 1. „მარხვა, ქრისტეშობის მარხვა“, 2. „ქრისტეშობისთვე, დეკემბერი“ < ძვ. ქართ. უქმი-ი, უქმება „უქმელობა“, უქმელ-ი „მარხული“ (შდრ. ზს. **ლილჩაწლ**, ბზ. **ლინ/ლჩაწლ**, ბქ. **ლილჩაწლ**, ლშხ. **ლინჩაწლ**, **ლილჩაწლ** „დაცვა“), ამოსავალია ქართული **უქმ-ელ-ობ-ა**

**შემინდუილ** (ბქ., ლშხ.), შდრ. ბზ. **შემინდ** „ნებადართული, ღვთისაგან შენდობილი, დასაშვები; შეწყნარებული“ < ქართ. შენდობილ-ი

**შენიშვნა:** ბქ., ლშხ. **შემინდუილ** < \***შემუნდუილ** < ბქ. **შემუნდილ** < \***შემუნდობილ** < ქართ. შენდობილ-ი (შესაძლოა, რომ სვანური **შემინდ** < ქართ. შემინდე)...

ბ) **უკანა მიმართულების უმლაუტი:**

**ანდლაზ** (ზს.)/**ანდლაზ** (ლნტ.) < ქართ. ამაღლ-ებ-ა

**განცხადაზ** (ზს.), შდრ. ლნტ. **განცხადაზ** „ნათლისღება, გამოცხადება“ < ძვ. ქართ. განცხად-ებ-ა

**გგრცმ** (ზს.)/**გარცმ** (ბქ.)/**გგრცმ/გარცმ** (ლნტ.), შდრ. ლშხ. **გარცემ** „ხატზე გადაცემა, ხატზე დაფიცება“ < ძვ. ქართ. გარდაც-ემ-ა „გადადინება, თავს გადასვლა, ავსება; ზეშთ-გარდაცემა“, ახ. ქართ. გადაც-ემ-ა (ზს. **გგრცმ** < **გარცმ** < **გარდაცმ** < ქართ. გარდა-ც-ემ-ა)

**დაზდაზ** (ზს.) „დაზადება, ბედი“ < ქართ. დაზად-ებ-ა (ზს. **დაზდაზ** < \***დაზადაზ** < ქართ. დაზადება)

**დიდაზ** (ზს.), შდრ. ლნტ., ჩოლ. **დიდაზ**, ლშხ. **დიდეზ** < ქართ. დიდ-ებ-ა

**ზირაზ** (ზს.), შდრ. ლშხ. **ზირეზ/ზიარეზ**, ლნტ. **ზირაზ**, უშგ. **ძიარება** < ძვ. ქართ. ზიარ-ებ-ა

**სახრაზ** (ზს.), შდრ. ლშხ. **სახრეზ**, ლნტ. **სახარება** 1. „სახარება“, 2. „აღდგომის ცისკრის წირვა“ < ძვ. ქართ. სახარ-ებ-ა

**ფერცლაზ** (ბქ.)/**ფერცლოზ/ფერცულოზ** (უშგ.), შდრ. ბზ., ქს. **ფერცულოზ**, ბზ. **ფერცლოზ**, (ბქ.) **ფერცლაზ**, ქს. **ფერცულოზ** „რელიგიური დღესასწაული; ცხენებისათვის განკუთვნილი დღეობა“ < ძვ. ქართ. ფერისცვალ-ებ-ა, შდრ., ასევე, იმ., გურ. **ფერცვალ-ებ-ა** და მეგრ. **ფერცვალაზ/ფერცველოზ/ფერცელოზ**

**ხარაზ** (ზს.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ხარეზ**, ლნტ., ჩოლ., ლხმ. **ხარაზ** < ძვ. ქართ. ხარ-ებ-ა...

## 6. ხმოვანთა სიგრძის მოვლენები

ა) **ხმოვანთა შერწყმა (კომბინატორული სიგრძე):**

**დრკუნ** (ბზ.)/**დრკონ/დრკუნ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **დიაკუნ/დიაკუნ**, ლნტ., ჩოლ. **დიაკუნ**, ლნტ. **დიაკონ** < ქართ. დიაკონ-ი < ბერძ. **διάκονος**, შდრ. ბქ. **დიკუნ** **ილ** გადატ. „დაბალი და მსუქანი“

**ზირეზ** (ლშხ.), შდრ. ზს. **ზირაზ**, ლშხ. **ზიარეზ**, ლნტ. **ზირაზ**, უშგ. **ძიარება** < ძვ. ქართ. ზიარ-ებ-ა

**ლალგოტუნლ** (ბზ.)/**ლალგოტუნლ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ლალგოტუნალ**, ლნტ. **ლალგოტუნალ** 1. „სალოცავი“, 2. „ლოცვა“ < ქართ. სა-ლოც-ავ-ი. ბზ. **ლა-ლგოტუნლ** და ლშხ. **ლა-ლგოტუნლ** < \***ლა-ლოც-ავ-ა-ალ** (შდრ. ბზ. **ლაკტუნბ**, ბქ. **ლაკტუმი**, ქს. **ლაკტუამ**; ზს. **ლამზგრ**, ლშხ. **ლამზგრ**, ლნტ. **ლამეზგრ**)

**მაცხტუნრ** (ბზ.)/**მაცხტუნრ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ბქ., ლნტ. **მაცხტუნრ**, ჩოლ. **მაცხტუნრ** 1. „მაცხოვარი“, 2. „მაცხოვრის ეკლესია“ < ძვ. ქართ. მაცხოვარ-ი

**პერპოლდამ** (ბზ.)/**პერპოლდამ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ბქ. **პერპოლდამ**/ **პერპოლდამ**, ლნტ. **პერპოლდამ** (ლნტ.) < ქართ. პეტრე-პავლობა „უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული“

**საკმეტელ/საკმეტელ** (ბზ.), შდრ. ბზ. **საკმეტელ**, ბქ., ლნტ. **საკმეტელ**, ლშხ. **საკმეტელ/საკმეტელ** < ქართ. საკმეველ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **ნატუსუნ**, ბქ., ლნტ. **ნატუსუნ**); ბზ. **საკმეტელ** < ბზ. **საკმეტელ** < ბზ. **საკმეტელ**

**ქრისდემ** (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. **ქრისდემ**, ლნტ. **ქრისტემ**, ჩოლ. **ქრისტემ** 1. „შობა, ქრისტეშობა“, 2. „დეკემბერი, ქრისტეშობის თვე“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. **χριστός** (შდრ. ძვ. ქართ. ქრისტეშობა)

**შუნდბა** (ბზ., ლშხ.) < ქართ. შე-ნდ-ობ-ა (ბალსქვემოურ კილოკავებში დასტურდება **შენდბა** (ლხმ.) და **შუნდბა** (ცხმ.) ვარიანტები, ლენტეხურში კი გვაქვს **შონდობა** ფორმა), აუხსნელი პროცესებია, საკითხი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს.

**ჰიმკარობ** (ჩოლ.), შდრ. ლნტ. **ჰიმკარობ**, ლნტ. **ჰინკარობ**, ჩოლ. **ჰიმკაობ** (ჩოლ.) „ჰინკების მოსვლასთან დაკავშირებული დღესასწაული; ჰინკობის თვე“ < ქართ. ჰინკობა...

ბ) **საკომპენსაციო სიგრძე** (ხმოვანი დაგრძელებულია თანხმოვნის დაკარგვის სანაცვლოდ):

**თარინგზელ/თარინგზელ** (ბზ., ლშხ.)/**თარინგზელ/თარინგზელ** (ლშხ.)/**თარინგზელ/თარინგზელ** (ჩოლ.), შდრ. ზს. **თარინგზელ-ზერ**, ლშხ. **თარინგზელ/თარინგზელ**, ლნტ. **თარინგზელ/თარინგზელ/თარინგზელ-ზერ/თარინგზელ**, ჩოლ. **თარინგზელ** < ძვ. ქართ. მთავარანგელოზ-ი...

**ზოგჯერ თანამედროვე ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში ნასესხებ სიტყვათა ხმოვნების სიგრძის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს, ასეთებია:**

**ამენ** (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. **ამენ/ამინ/ჰამენ**, ლნტ. **ამენ!** < ქართ. ამინ!

**მეისარობ** (ბზ.), შდრ. ზს., ლნტ. **მეისარობ**, ბქ. **მერსანობ**, ქს. **მეისარობ**, ლნტ. **მეისარობ** „საქონლის სიძლიერისა და გამრავლებისათვის განკუთვნილი დღესასწაული“ < ქართ. (ლექს.) მეისარობა „დღეობა, ლოცვა“

**ქაშუეთ** (ბზ.), შდრ. ბქ. **ქაშუეთ** ტოპ. „სოფელი, ეკლესია“ < ქართ. ქაშუეთ-ი

**ყუელიერ** (ბზ., ლშხ.)/**ყუელიერ** (ბზ.), შდრ. ბქ. **ყუელიერ**, ლშხ. **ყუელიერ** < ქართ. ყველიერ-ი „დიდმარხვის წინა კვირა, როცა ხორცეული არ იჭმებოდა“

**ჰანტილობ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შდრ. ლნტ. **ჰანტილობ** < ქართ. (რაჭ., ლექს.) ჰანტილობა „კორკოტობა; წანდილობა“...

## 7. ხმოვანთა რედუქცია ნასესხებ რელიგიურ ფუძეებში

ა, ა, ე, ი, გ ხმოვანთა რედუქცია მსუბუქ ბირთვში:

**ანგ[ტ]ლეზ/ანგლოზ** (ბზ., ლნტ.)/**ანგლეზ** (ბქ.)/**ანგლოზ** (ბქ., ლშხ.)/**ანგტლეჯ/ანგტლეზ** (ჩოლ.), შდრ. ლნტ. **ანგელოზ** < ძვ. ქართ. ანგელოზ-ი < ბერძნ. **ἄγγελος** „შიკრიკი, მაცნე; მოციქული, მოამბე ანუ მათუწყებელი“

**ბარბლჷშ** (ბზ., ლნტ.)/**ბარბტლჷშ/ბარბოლ** (ბქ.)/**ბარბლამ** (ლშხ., ჩოლ.) „ბარბალობა ზედმიწ. – **ბარბალე**-ის-{ა}“ < ქართ. წმ. ბარბარე < ბერძნ. **Βαρβάρα** (შდრ. ბქ. საკ. სახელი **ბარბალა**)

**განცხადბ** (ზს.)/**განცხადებ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **განცხადებ** „ნათლისღება, გამოცხადება“ < ძვ. ქართ. განცხადება

**დაბდაბ** (ზს.)/**დაბდებ** (ქს.) „დაბადება, ბედი“ < ქართ. დაბადება (შდრ. ზს., ლშხ. **ლითნე**, ლნტ. **ლითენე**)

**დიაკუნ** (ბზ.)/**დიაკონ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **დიაკუნ/დიაკენ**, ლნტ. **დიაკუნ** < ქართ. დიაკონ-ი/დიაკვან-ი < ბერძ. **διάκονος**

**ზანგლზ** (ბზ.)/**ზანდლზ** (ბქ.) „ზარი“ < ქართ. ზანზალაკ-ი „ზარი“, შდრ. ფშ. ზანგალაკ-ი

**თარგლეზერ** (ზს.)/**თარინგზელ/თარგნგზელ** (ბზ., ლშხ.)/**თარი[ნ]გზელ/თარი[ნ]მელ/თარიგმელ/თარგლეზერ/თარიმელ** (ლშხ.)/**თარინგზელ/თარიგზელ/თარინგლეზერ/თარი-გლეზერ** (ლნტ.)/**თარგზელ/თარინგზელ/თარიზელ/თარზელ/თარიგზელ** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. მთავარ-ანგელოზ-ი

**კირტენ** (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**კირონ** (ლშხ., ლნტ.)/**კირენ** (ლნტ.) „კელაპტარი, ცვილის დიდი სანთელი (უნთებენ მიცვალებულს)“ < ძვ. ქართ. კერეონ-ი, კეროვან-ი „დიდი სანთელი ცვილისა“

**ლეკლანდ** (ბქ.), შდრ. ლნტ. **ლე-კალანდ** < ქართ. სა-კალანდ-ო „საახალწლო“ (შდრ. ბზ. **ლეზომზ**)

**მულზონ** (ბზ.)/**მელზონ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **მოლაზუნ** „ეკლესიის მსახური კაცი“ < ქართ. (იმერ.) მოლოზან-ი

**სეფსკ[ტ]ერ** (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფსკერ** 1. „სეფსკვერი“, 2. **ბოტ.** „კიდობანა, ჩვეულებრივი ჭანჭყატა“ < ქართ. სეფსკვერ-ი „დიდებულთ კვერი“ (საბა)

**სტიმნობ** (ზს.)/**სტიმნიშ** (ბზ.) „მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი დღეობა“ < ქართ. სვიმონობა < სვიმონ უფლისმოქმედი...

ბ) ა, ა, ე, ი ხმოვანთა რედუქცია მძიმე ბირთვში ანაბტიქსური გ ხმოვნის მონაცვლეობით:

**აზგნგლზგი** (ბზ.)/**აზგნდლზგი** (ბქ.) < ქართ. \*ზანზალაკებს „ზარს რეკს“ (ძირისეული მეორე მარცვალი სვანურში არ ჩანს)

**წწერტელი** (ბზ.), შდრ. ბქ. [წ]-**წირ-ტ-ელ-ი** „გალობს“ < ქართ. წირავს

**გარცამ** (ზს., ლნტ.), შდრ. ბქ., ლნტ. **გარცამ**, ლშხ. **გარცემ** „ხატზე გადაცემა, ხატზე დაფიცება“ < ძვ. ქართ. გარდაცემა „გადადინება, თავს გადასვლა, ავსება; ზემთ-გარდაცემა“, ახ. ქართ. გადაცემა

**ლაზენგლანგ** (ზზ.)/**ლაზენდლაგარ** (ბქ.) „სამრეკლო“ < ქართ. \*საზანზალაკო  
**ლიზენგლანგი** (ზზ.)/**ლიზენდლანგი** (ბქ.) „ზარ[ებ]ის რეკვა“ < ქართ.  
 \*ზანზალაკება

**ლიწერუელი** (ზს.), შდრ. ზს. **ლი-წირ-უ-ელ-ი** 1. „წირვა“, 2. „გალობა“,  
 3. „წირპინი (ჩიტისა)“ < ქართ. წირვა

**სადგრმათ/სანდგრმათ** (ბქ.)/**სადგრბეთ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **სანდგრბეთ** <  
 ქართ. საღმრთო (შდრ. ზზ. **ღერბეთ**, ზს., ლშხ. **ღერმეთ**, ლნტ. **ღერბეთ**  
 „ღმერთი“)

**წყელმან** (ზს.)/**წყელმან** (ლშხ.)/**წყელიან** (ლნტ.), შდრ. ზს. **წყილიან**, ბქ.  
**წყილან** „წმინდა, სუფთა“ < ქართ. წყლიან-ი < \*წყალიან-ი...

გ) უ **სონანტთან მონაცვლე ზაგისმიერ ხმოვანთა რედუქცია მსუ-**  
**ბუქ ბირთვში:**

**იურდან** (ბქ.) „ნაკურთხი წყალი, აიაზმა“ < ქართ. იორდანე < ბერძ.  
 Ἰορδανης

**ქაშუქეთ** (ზზ.)/**ქაშუქეთ** (ბქ.) ტოპ. „სოფელი, ეკლესია“ < ქართ. ქაშუქეთ-ი...

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ნასესხებ რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა უმეტესი ნაწილი შეთვისებული ჩანს ქართულიდან (მაგ.: **სამება, სანთელ, საყდარ, ყუელიერ, ჯუარ...**), ნაწილი კი – სხვა ენებიდან, კერძოდ: ბერძნულიდან (მაგ.: **აიაზმა, ქრისტე, იურდან, ანგ[უ]ლეზ/ანგლზ, მირუენ...**), ლათინურიდან (მაგ.: **კალანდა/კანდა..**), ფალაურიდან (მაგ.: **ზარ-ძიმ, მარხუ, წმინდ, ჭაბგობ...**), არაბულიდან (მაგ.: **ხატ...**) და ა. შ. ქართულ-მეგრულის მეშვეობით; ცხადია, გზადაგზა მათ თვალსაჩინო ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ცვლილებები განუცდიათ, თუმცა ხშირად ფონეტიკურად სრულიად უცვლელი ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულებიც (მაგ.: **აიაზმა, საკმეულ, საკურთხ, სამება, სანთელ, საყდარ, ქრისტე, ხატ, ხსნილ, ჯუარ...**) დასტურდება.

ზოგიერთი ნასესხები ფუძე, როგორც უკვე ითქვა, „გასვანურებულია“, ანუ შეიცავს სვანური ენისათვის დამახასიათებელ რიგ მოვლენას: პალატალურ, ველარულ თუ ლაბიალურ უმლაუტს (მაგ.: **მაცხუარ, მოძლუარ, საყდარ, უფან, ჯუარ; სუინამ, უსხუამ, {ჰ}ემამ; ზარძიმ, სანსნილ, ფარისეულ; ზედამ, იურდან; ანგ[უ]ლეზ, კირუენ, მირუენ; დღესასწაული, მოცქილ, რჯუილ, სუიჰმი; ანლან, განცხადან, ზირან, ფერცლან...**), გრძელ ხმოვანს (მაგ.: **დიკუენ, ზირებ, მაცხუარ, პარპოლან, საკმელ, ჰიმკარობ; თარინგულ; ამენ, მემარობ, ყუელიერ, ჰანტილობ...**), ანაპტიქსურ ელემენტს (მაგ.: **გგრანმ, ლაზენგლანგ, ლიწერუელი, სადგრმათ/სანდგრმათ, წყელმან...**) და ა. შ., რაც ერთგვარ დახმარებას გვიწევს სესხების გეოგრაფიული მიმართულების გარკვევაში.

ნასესხებ რელიგიურ ლექსემათა ერთ ნაწილში მკაფიოდ გამოიკვეთა სვანურ სახელთა აუსლაუტის ბუნების ერთი ფრიად გამოკვეთილი ტენდენცია ღიამარცვლიან სტრუქტურათა დახურულმარცვლიანებად გარდაქმნისა.

შეგვხვდა როგორც -ა ხმოვანმოკვეცილი (უუმლაუტო) ძირები (მაგ.: **ადგომ, აზმა, განცხდებ/განცხადაბ, სახრაბ, სტიმნობ, ტაზრობ, ცხონაბ/-ცხონებ, წირ, ხტალმობ...**), ასევე, -ე ხმოვანმოკვეცილი (მაგ.: **ზედშ, იტრდწ, სწმეთხ...**) და -ო ხმოვანმოკვეცილი ან ნარედუქციალი (ო > უ) ძირები (მაგ.: **სამარბუ, სამრწკუ, საწუთრ, საწსნილ, ურწყუ...**), რაც ფორმათა გამარტივებას გულისხმობს. გარდა ამისა, საკმაოდ ხელშესახები აღმოჩნდა თანხმოვანთა ცვლილებები აუსლაუტში: გამჟღერება (მაგ.: **ზანგლწგ/-ზანდლწგ, პრისდწტ/პრისდაწტ, კრისდწდე, სამხდო, ჭაბგობ...**), აფრიკატიზაცია (მაგ.: **წწგტლეუჯ, თწრი[წ]ქელ/თწრიგ-ქელ/თარძქელ...**), დაყრუება (მაგ.: **ბწდრწბ/ბწდრწბ/ბწრწბ...**) და სხვ.

ცხადია, ნასესხებ რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა საკუთარ ყალიბში მოსაქცევად სხვა ფონეტიკური პროცესებიც (*თანხმოვანთა და ხმოვანთა მონაცვლეობა, ლ/მ/წ/რ (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა, ბგერათა ჩართვა-დაკარგვა, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, მეტათეზისი...*) მოქმედებენ, რომელთა შესახებ დაწვრილებითი ანალიზი წარმოდგენილი იქნება შემდგომში.

### ლიტერატურა

**ანდრონიკაშვილი 1966** – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბილისი.

**გაზდელიანი 1988** – ე. გაზდელიანი, ზოგი სვანური რელიგიური ტერმინის წარმომავლობისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**საღლიანი 2005** – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

**ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

MEDEA SAGHLIANI

### **Borrowing-Adaptation of Religious Lexical Units in Svan. II.**

#### S u m m a r y

The present paper deals with foreign lexical units in Svan, most of which seem to be borrowed from Georgian and Megrelian (directly or indirectly). These lexical units have undergone very significant phonetic-phonological and semantic changes. In many cases, of course, we are dealing with very complex phonological transformations, which, in our view, indicate rather old borrowings.



The main aim of our paper is to clarify the direction of borrowing religious terms and the rules of phonetic adaptation when borrowing. For this purpose, we divided the huge borrowed religious vocabulary into two groups based on the Svan dialect data and the various phonetic processes involved in borrowing: 1. Phonetically unchanged borrowed religious lexical units and 2. Phonetically changed religious lexical units.

As the research has shown, some of the borrowed stems are “Svanized” i.e., they contain morphological inventory typical for the Svan language: palatal, velar or labial umlauts, long vowels, etc. which is a kind of guide to clarify the geographical direction of borrowing.

In one of the parts of the borrowed religious lexemes, one of the tendencies of the nature of auslaut of the Svan nouns to transform open-syllable structures into closed-syllable ones was clearly evident. In addition, the changes in the consonants in auslaut turned out to be quite clear: voicing, affrication, becoming voiceless, etc.

ნარგიზა სურმავა

**ატიპიურის ტიპიურად გარდაქცევისკენ სწრაფვის ტენდენცია  
ქართულ დიალექტებში**

(კუთვნილებით ნაცვალსახელთა მრავლობითის  
ფორმაწარმოების მაგალითზე)

კუთვნილებითი ნაცვალსახელი გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას საგანსა და ნაცვალსახელით ნაგულისხმევ პირს შორის. ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელები მეორეული წარმოებისაა: მიღებულია პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვისაგან, ნაგენიტივარი სახელება (შანიძე 1973: 43).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები განეკუთვნებიან ატრიბუტულ ნაცვალსახელთა კლასს და წინადადებაში ასრულებენ მსაზღვრელის როლს. მათთვის დამახასიათებელია ორგვარი ფუნქციური დატვირთვა. ეს ფუნქციები: ერთი მხრივ, სინტაგმატიკური ურთიერთობის დამყარება მსაზღვრელისა საზღვრულ წევრთან, და მეორე მხრივ, საკუთრებითი ურთიერთობის გამოხატვა სამეტყველო აქტში მონაწილე პირთა როლის (მოსაუბრე-თანამოსაუბრე-საუბრის საგანი) შესაბამისად. ეს უკანასკნელი ფუნქცია ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძითვეა „მატერიალიზებული“: **ჩემ-ი** მიუთითებს რომ მესაკუთრე, „მკუთვნელი“ (ა. არაბული) მოსაუბრე პირია, **ჩვენ-ი** მესაკუთრედ გულისხმობს პირველი პირის ექსკლუზიურ ან ინკლუზიურ სიმრავლეს, **შენ-ი** და **თქვენ-ი** მიემართება მეორე პირს, ხოლო **მის-ი** / **მათ-ი** ფორმებით გამოხატულია კუთვნილებითი მიმართება სამეტყველო აქტში არა უშუალოდ მონაწილე მესამე პირის / პირების მიმართ.

ფუძის მეშვეობით მკუთვნელი პირის წარმოსახვა ადვილად ხერხდება იმ შემთხვევაშიც, როცა ეს მკუთვნელი პირი წინადადებაში, როგორც წევრი, არ მონაწილეობს (მაგალ.: ის ჩემს შვილს უვლის). იმავდროულად კუთვნილებითი ნაცვალსახელის მეშვეობით გვეძლევა ინფორმაცია სამეტყველო პროცესის შესახებ, მაგალითად, „ჩემი“-ს გამოყენება მიგვანიშნებს, რომ გამონათქვამი ეკუთვნის მოსაუბრე პირს.

ამგვარად, ფუნქციონალური დატვირთვიდან გამომდინარე, კუთვნილებითი ნაცვალსახელები ქმნიან ორგვარ ოპოზიციურ პარადიგმას: 1) ბრუნვების – ბრუნვათა და რიცხვის მიხედვით ფორმაცვალების – პარადიგმას: ჩემი საქმე, ჩემმა საქმემ... ჩემნი საქმენი, ჩემთა საქმეთა.... კუთვნილებით სახელთა ფორმაცვალება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თანხმობანფუძიანი ზედ-

სართავი სახელისაგან. (განსხვავებათა შესახებ იხ. არაბული 2011: 192-193), და 2) სემანტიკურ პარადიგმას, რომელიც ყალიბდება პირთან მიმართების მიხედვით შეპირისპირების საფუძველზე.

მე, ჩვენ – ჩემი, ჩვენი

შენ, თქვენ – შენი, თქვენი

მან, მათ – მისი, მათი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელურ ფუძეზე დაყრდნობილი კუთვნილებითი ნაცვალსახელები ფლობენ უკუქცევითობის გამოხატვის უნარს. ამით ისინი უპირისპირდებიან მესამე პირის გენტივის ფორმისაგან ნაწარმოებ **მის-ი** და **მათ-ი** კუთვნილებით ნაცვალსახელებს, რომლებიც მხოლოდ შენაცვლებითი, ანაფორული ფუნქციით გამოიყენებიან.

ზოგ დიალექტურ ქვესისტემაში რეფლექსივის გამოხატვის პოტენციას ავლენენ მესამე პირის ფუძისაგან ნაწარმოები **მისი**, **მათი** კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც. ამ დიალექტებს (აჭარული, გურჯული კილო-თქმები – იმერხეულის გამოკლებით, ქვემოიმერული, გურული) უკუქცევითობის გამომხატველი სხვა კუთვნილებითი ნაცვალსახელი არც მოეპოვებათ, ანუ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ქვესისტემებში დაპირისპირება პირველ, მეორე და მესამე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელებს შორის რეფლექსურობის გამოხატვის შესაძლებლობის მიხედვით, მოხსნილია. რეფლექსურობის სემანტიკას მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი შეიძლება გამოხატავდეს გარკვეულ პოზიციაში: თუკი ის გვევლინება ობიექტის ან ლოკატივის მსაზღვრელად. ეს ის პოზიციებია, რომლებშიც რეალიზდება რეფლექსურ-კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თავისი**.

სემანტიკური პარადიგმის შიდა დონეზე გრამატიკული რიცხვის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება კუთვნილებითი ნაცვალსახელური წყვილი **მისი – მათი**.

ორივე ნაცვალსახელი მეორეული წარმოებისაა, ნაგენტივარი ფორმებია, მომდინარეობს ერთი და იმავე პირის ნაცვალსახელისაგან **მან**. კუთვნილებითი ნაცვალსახელის რანგში მათ თან „გადმოიყოლეს“ **მან** ნაცვალსახელისათვის ნიშანდობლივი ბრუნვაწარმოების სპეციფიკურობა. როგორც ცნობილია, **მან** მხოლოდითში ძირითადად ტიპიურ ბრუნვაწარმოებას მისდევს: ნათესაობითის ფორმა **მ-ის** ნაწარმოებია **-ის** ფლექსიის დართვით **მა-ნ** ნაცვალსახელის შეკვეცილ **მა-** ფუძეზე. მაგრამ სრულიად ატიპიურია, სპეციფიკურია, ამ ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმაწარმოება: **მან** ნაცვალსახელი იწარმოებს მრავლობითის ერთადერთ ფორმას (რომელიც საზიაროა სამი ბრუნვისთვის: მოთხრობითის, მიცემითის და ნათესაობითისათვის) **მა-თ**: **მან** ნაცვალსახელის შეუკვეციელი ფუძე+**-თ** მრავლობითის სუფიქსი. ამდენად, ცალკე აღებული **მათ**, როგორც ბრუნვის ფორმა, კონკრეტულობას მოკლებულია და მხოლოდ რეალიზაციის პროცესში (წინადადებაში / გამონათქვამში) ხდება მისი ფუნქციურ-შინაარსობრივი კონკრეტიზაცია (ა. შანიძე, ივ. იმნაიშვილი, არ. მარტიროსოვი, ა. არაბული).

დიალექტებში თავს იჩენს საინტერესო მოვლენა: რიგ ქვესისტემებში, – როგორც კახური, ინგილოური, ფერეიდნული, სამცხურ-ჯავახური, მუჰაჯირული ზემოაჭარული, – ვლინდება მიდრეკილება **მათი** ნაცვალსახელის ცვლილებისა **მითი** ფორმად. ცვლილება ეხება ამ ნაცვალსახელის დიექტურ სახეობებსაც: **იმათი**→**იმითი**, **ამათი**→**ამითი**. (დიალექტებში მეტწილად სწორედ დიექტური სახით რეალიზდება აღნიშნული ნაცვალსახელი).

სპეციალურ ლიტერატურაში ცალკეულ დიალექტთა დახასიათებისას მითითებულია ამ მოვლენის შესახებ (ჩიქობავა 1927: 214; ფუტყარაძე 2016: 350; მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956: 76-77; მარტიროსოვი 1984: 57).

მაგალითები:

*ჯავახურიდან*: „შავარდა ტრის გუნდში, **იმით სარდალ** ხმლით თავი წაართვა“; „**დედა ამითი** ტყავშია პირვანდელი“; „**ამითი ტანსაცმელი** სულ არის ტყავებით“; „**იმითი ნიშანი** ქონდა“; „ჩამოჰკრა **იმითი ფრთა**“; „**იმითი სარდლის მთავარი** იყო ჟოჭიკი“; „შვილდ-ისარი დეცა **მითი ეზოში**“; „**იმით საუბედუროთ** ჯალლათები ერთმანეთში ლაპარაკობდნენ“; „შვილმა **იმითი ამდერმი** არ გატეხა“; „**ამით ლაპარაკს** ფილავხაძალი ჰქვია“; „ის არის **იმითი არჩეული**“; „შვიდობიანობა დამყარდა, ხალხი **იმითიც** და ჩვენიც აღარ ჩხუბონდა“. (მაგალითები დამოწმებულია „ქართული დიალექტური კორპუსიდან“).

*აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველებიდან*: „**მეზობელი** ვიყავით ჩვენ **ამითი**“; „**მით ანამ** ასე მითხრა“; „**მით სახლში** გურჯიჯა არ დეილაპარაკებენ“; „**მითიდან** ისტანბულ იყვენ“... (ფუტყარაძე 2016: 350); პრატები **მითთვინაი** დაკალიბდენ. (ქდვ, ფუტყარაძე). აქ: **მითთვინაი** → მათთვინაი მნიშვნელობით უდრის „მათ-მათთვის, თავ-თავიანთთვის“.

*კახური დიალექტიდან*: **იმით მამა** იყო; **იმითი მამულები**....(მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956: 76).

*ფერეიდნული დიალექტიდან*: „ეს წყალი **იმით სახლებთან** გამოდის“; „ჩემ დედასა უთხარ, რო: მე **იმით ყორი** (ყორი „გოგო“) მინდა.“ „**ლამეს წაადიყე იმით სახჩი**“; „**მოადეს ემით სორაღზე**, **მოადეს ემით უკან**“; „**ემით პაპამა**“; „**იმით ენაზე**“; „**ამით ყმაწილებია**“ (ქდვ). „ავიდეს **მეთოფეები იმითი**“ (ჩიქობავა 1927: 214).

ამ ჩანაცვლებით ომონიმია იქმნება ჩვენებითი ნაცვალსახელის **ეს** მოქმედებითის ფორმასთან, ინსტრუმენტალისის ფუნქციით: **იმით**, **ემით**. მაგალ.: „**იმითაცა** (არნადით – ნ.ს.) ფირფლი თოვლი რო მუა, ცოტა თხელი, **იმით** გადმოვყრით“. მაგრამ ეს ომონიმია ორაზროვნებას არ იწვევს, რადგან მათი სიტაქსურ-როლებრივი პოზიციები განსხვავებულია: კუთვნილებითი ნაცვალსახელი, როგორც წესი, მსაზღვრელის როლში გვხვდება და საზღვრულთან შედის წყვილში, ხოლო მოქმედებით-ბრუნვიანი ჩვენებითი ნაცვალსახელი – უბრალო დამატების როლში და ზმნასთან წყვილდება.

თუ სხვა მხრიდან შევხედავთ, **მათი**-ს **მითი**-თ სახეცვლა ზოგ შემთხვევაში ომონიმის დამლევასაც კი უწყობს ხელს. ხშირია ფორმალური დამთხვევა კუთვნილებით ნაცვალსახელის **მათ** მიცემითის ფორმასა და პირის / ჩვენე-

ბითი ნაცვალსახელის მრავლობითის **მათ** (ერგატივის, დატივის) ფორმას შორის. კუთვნილებითი ნაცვალსახელი ფუძის სახით (მათ) ხშირად ფუნქციონირებს, ერთი მხრივ, ლოკატიური მსაზღვრელის როლში და, მეორე მხრივ, როგორც გაუფორმებელი ატრიბუტული მსაზღვრელი (მათ ყანაში; მათ კაცმა, მათ კაცის...). ომონიმის სიტუაცია შესაძლოა შეიქმნას ამ ტიპის შემთხვევებში: „იმათ სახლი-მახლი წამოხყვებო!“ (ფერეიდნული, ქდვ). **იმათ** აქ შეიძლება გააზრებული იქნას როგორც მსაზღვრელის, ისე ირ. ობიექტის ფორმად. მსაზღვრელის ფუნქციით სახენაცვალი ვარიანტის – **იითი**-ს გამოყენება ხელს უწყობს ორაზროვნების დამღეევას.

მაგრამ ომონიმია, მისი დამღევა არ უნდა იყოს მთავარი მიზეზი **მათი**-ს ამგვარი სახეცვლილებისა. ომონიმის დამღევა უფრო ხელის შემწყობი ფაქტორი ჩანს.

ტერიტორიულად ისეთ დაშორებულ დიალექტებში, როგორცაა კახური, ფერეიდნული, სამცხურ-ჯავახური, მუჰაჯირული აჭარული, ერთი და იმავე მოვლენის წარმოჩენა მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს საერთო-ენობრივი ტენდენციის გამოვლინებასთან. შევეცდებით ამ მოვლენის ახსნას: დიალექტის მატარებელთა ენობრივ ფსიქოლოგიაში **მისი** – **მათი** აღიქმება როგორც ერთი და იმავე ნაცვალსახელის მხოლობითის და მრავლობითის ფორმები, აქედან მომდინარეობს სწრაფვა ფუძეთა მიხედვით მათი დაახლოებისა, ერთ ფუძეზე დაყვანისა, არატიპიური წარმოების ტიპიურ საწარმოო მოდელის ჩარჩოებში მოქცევისა. სპეციალურ ლიტერატურაში **მითი/იითი** ფორმები ახსნილია **მისი** და **მათი** ფორმების კონტამინაციისა და ანალოგიის საფუძველზე წარმოჩენილად (არნ. ჩიქობავა, არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი). ჩვენი აზრით, აქ ანალოგიას უფრო ზოგადი კანონზომიერება განაპირობებს: ანომალიების, გამონაკლისების, სპეციფიკური სტრუქტურული წარმონაქმნების საერთო-ენობრივ (მეტყველებრივ) წესების ჩარჩოებში მოქცევისკენ სწრაფვა.

კახურში შენიშნულია მსგავსი პროცესი **სხვა** ნაცვალსახელის მრავლობითის წარმოებისას. „სხვათა“-ს პარალელურად იხმარება **სხვითა**: „ჩემია თუ სხვითა?“ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956: 76). აქაც ანალოგიას იგივე საფუძველი უნდა ედოს: მხოლობითისა და მრავლობითის ფორმათა ერთ ფუძეზე დაყვანისკენ სწრაფვა: სხვის-ა – სხვი-თ-ა.

იგივე ტენდენცია – არატიპიური სტრუქტურული წარმონაქმნების ტიპიურ საწარმოო მოდელეებში მოქცევისკენ სწრაფვა – ვლინდება უკუქცევით-კუთვნილებით ნაცვალსახელის მრავლობითის წარმოებასთან დაკავშირებით: ზოგ დიალექტში (სამცხურ-ჯავახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში) **თავი-სი** ნაცვალსახელის მრავლობითის მეწყვილედ ჩნდება **თავითი** ფორმა: „რო წოლონ **თავით ქაღეფსა, თავით დეფსა**“ (მესხური, ქდვ), „**თავით ეზოში**“ (მესხური, ქდვ); „**თავით სოფელში**“ (მესხური, ქდვ); „შაინარჩუმეს **თავით მიწა** და ფართოვ“ (ფერეიდნული, ქდვ), „**თავით სახლი** ან ქარი“ (ფერეიდნული, ქდვ); „**თავით საქმე**“; „**თავით სახლები**“ (ფერეიდნული, ქდვ). **თავითი** ამ ქვე-

სისტემებში გამოიყენება **თავეთი/თავიეთი** და **თავიანთი** ფორმების პარალელურად. ეს ფაქტი შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: **თავეთი** და **თავიანთი** სპეციფიკური წარმოების მრავლობითის ფორმებია – ნაწარმოები **-ეთ**, **-იანთ** სადერივაციო სუფიქსებით. სპეციფიკური დერივაციული წარმოების გვერდით ჩნდება ტიპიური საწარმოო საშუალებით – მრავლობითის **-თ** სუფიქსით – ნაწარმოები **თავითი** ფორმა.

თუ მათი→მითი-ს შემთხვევაში სპეციფიკური სტრუქტურული წარმონაქმნის ტიპიურ სამოდულო ჩარჩოებში გადაყვანის ტენდენცია გამოვლინდა საწარმოებელი ფუძის კორექციის გზით, სხვა შემთხვევაში იგივე ტენდენციის მოქმედება გამოიხატა მაწარმოებელი სუფიქსის შეცვლის ფაქტით.

აღნიშნული ტენდენციის მოქმედებას მეტი გასაქანი ეძლევა ცოცხალ მეტყველებაში, დიალექტურ ქვესისტემებში, ნორმებით შეუზღუდავ ენობრივ გარემოცვაში.

### ლიტერატურა

**არაბული 2011** – ა. არაბული, ნაცვალსახელი. – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა), თბილისი.

**იმნაიშვილი გ. 1974** – გ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბილისი.

**იმნაიშვილი ი. 1957** – ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

**მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956** – ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი.

**მარტიროსოვი 1984** – არ. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი.

**ფუტკარაძე 2016** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, II, ბათუმი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**ჩიქობავა 1927** – არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი. – ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, ტფილისი.

**ქდკ** – ქართული დიალექტური კორპუსი: <http://www.corpora.co/#/>

NARGIZA SURMAVA

**The Tendency of Converting the Atypical to the Typical  
in Georgian Dialects**

(On the Example of Forming the Plural of Possessive Pronouns)

S u m m a r y

The paper analyzes some linguistic facts observed in several non-neighboring dialect subsystems:

The plural form of the possessive pronoun *mati* “their” changes its stem: *mati*→*miti*. The correction of the stem is based on its analogy with the singular form.

The replacement of the plural markers (suffixes) is observed with the pronoun *tavianti* (sing. *tavisi* “his/her”): *tavianti* → *taviti*. The specific derivative suffix *-ian-t* is replaced by the typical plural suffix *-t*.

The paper argues that in both cases the changes are based on a common linguistic tendency: to fit anomalies, the specific structural formations into typical model frames.

მურმან სუხიშვილი

**სვანური ლიჩფე „გამოკვება“ ზმნის  
ქართული შესატყვისის ძიებისათვის**

ზამთრობით საქონლის გამოკვებას სვანურში ლიჩფე ჰქვია (შდრ.: ლიბრიე „ზაფხულობით სხვისი საქონლის მოვლა მთაში“ – ეტიმოლოგიურად „გაბარება“); ლიჩფე-სახელი ჩიფე ზმნის მოქმედებისა, – საქონლის გამოზამთრება. „ამზაჟ კუმში ლიჩფე გარჯ მერა (ბზ.) – „წელს საქონლის გამოზამთრება გამიჭირდება („გარჯა მექნება““ (სვ. ლ. 2000). **ლიჩფე** დამოწმებულია ი. ნიჟარაძის რუსულ-სვანურ ლექსიკონში корм- ფუძიდან ნაწარმოებ ფორმებთან: корм ლასალვა „დასარჩენი“, ლეზვებ „საჭმელი“, ლაჩფა „საკვები“..., кормить ლიმნე („ჭმევა“, ლითენე „დარწყულება“, ლირდი „გაზრდა“, ლიცხმუნე „გაზრდევინება“, ლიჩფე, ლისალვე „რჩენა“..., кормление – დუდულა ლიმნე („თივის ჭამა“, ლისალვე „რჩენა“, ლიჩფე..., закармливать ოჩფე და სხვ. (ი. ნიჟარაძე 1910).

**კვება** – ლიჩფე, ლისალვე, **გამოკვება** – ქალიჩფე, выкормить დამოწმებულია ბ. ნიჟარაძის ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში (ბ. ნიჟარაძე 2007).

ასლან ლიპარტელიანის სვანურ-ქართულ ლექსიკონში (ჩოლური კილო) გვაქვს ჩიფე „კვებავს“, „აზამთრებს“, ჩიფნი ვნ.– გამოკვებილი ხდება; ზამთარგადატანილი, გამოზაფხულებული, მეჩფე „გამომზამთრებელი“... (ლიპარტელიანი 2014).

**ლიჩფე** ზმნის უღლების ძირითადი ფორმებია: ჩიფე (ოჩფე, აჩიფ, აჩფე) ზს., ჩიფე (აჩფე) ლშხ. „კვებავს“... (ი-ჩფ-ი ვნ. „იკვებება“, ადჩიფან – „გამოიკვება“(?). წარმოვადგენთ სათანადო კონტექსტებს:

ხოლა იხოჩა ლეჩფე თანაფს ესერ იცხირ-  
„ცუდად და კარგად ნაკვები საქონელი აღდგომას გამოჩნდებაო“  
ალამგ კუმშს დემ ჩვიფე ამზავ (ბზ.) (ანდ. 659) –  
„ამდენ საქონელს ვერ გამოკვებავ წელს“  
რშმ ეჯჟი ად ჩიფე ხ, ერე დეცთე მგჟკმარს ხეშდრალდა (ბქ. 68) –  
„რამი ისე გამოკვებეს, რომ ცაში ვარსკვლავებს ეთამაშებოდა“.  
ალამგ კუმში მეჩფე დესა ხვი ამზაჟ (ბზ.) –  
„წელს ამდენი საქონლის გამოკვებავი არა ვარ“ (სვ. ლ. 2000)...

სვანური ზმნური ჩიფ-ჩიფე-ფუძის სათანადო ფონეტიკური ეკვივალენტი ქართულსა და მეგრულ-ჭანურში თითქოს არ ჩანს. ასეთ ეკვივალენტად ქართულისათვის თეორიულად ც – ფ თანხმოვანმიმდევრობით შექმნილი ძირეული CVC ტიპის მორფემა უნდა დავუშვათ, და საერთოქართველურ



არქექტიპად შუასიბილანტური ც – ფ მიმდევრობით გაწყობილი ფუძე უნდა ვივარაუდოთ, თუმცა საერთოქართველურში ასეთი მიმდევრობით შექმნილი CVC ტიპის ძირეული არქექტიპები არ აღდგება. ე. ი. საერთოქართველურში (გვიანდელი თუ ადრინდელი პერიოდისა) არ გვაქვს რეალიზებული არც ც – ფ (და არც ც – ხ, ც – პ) თანხმოვანთა მიმდევრობით შექმნილი CVC ტიპის ძირეული მორფემები (პ. ფენრიხი 1978, 81), ამდენად, სვან. ჩიფ-ჩეფ- ზმნური ფუძის ქართველური შესატყვისების მოძიებას შესაძლო კომბინატორული ცვლილებების კუთხითაც უნდა შევხედოთ. კერძოდ, ჩვენი განსახილველი სვანური ფუძე შეიძლება კომბინატორული გზით იყოს მიღებული. საერთოქართველური როგორც წინასიბილანტური, ასევე შუასიბილანტური ხშულების განსხვავებული რეფლექსები სვანურ შესატყვისობებში (შიშინა რიგის ხშულების, შესაბამისი სპირანტების, მ მორფემის...) ამ ფონემების არამდგრად პოზიციებს აფიქსირებენ; მაგალითისთვის: საერთოქართველური \*წ > ქართ. წ: მეგრ.-ჭან. ჭ : სვან. ჭ | ჰ, ძ, მ... (მაჭავარიანი 1965, 33-38). ასეთი მერყეობა გარკვეულ ბიძგს იძლევა განსხვავებული ვარაუდებისთვის.

კომბინატორული ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი კანონზომიერი შესატყვისობების რღვევის შემთხვევები ქართველური ენებისათვის უცხო არ არის. მაგ., ქართ. ციხე (< საერთოქართვ. \*ძიხე – რეგრესული ასიმილაცია): მეგრ.-ჭან. ჯიხა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 629-630), ქართ. ცენ- „ცენება“ (< საერთოქართვ. \*ცენ-): მეგრ.-ჭან. ჩან-/ნჩან- „ცენება“: სვან. შენ-/შან-/შნ- (<\*ჩენ), ხეშან „ასხია“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 533-534) და სხვ.

ამ წინაპირობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ეტიმოლოგიურად სვანური ჩიფ- ზმნური ფუძე (ლი-ჩე-ე „გამოკვება“) შეიძლება ქართულ წიფ-ფუძეს უკავშირდებოდეს.

ძვ. ქართულში წიფ- ფუძე აღნიშნავს „დაწევას, მიწვდომას, მოსწრებას“, წიფ- ფუძიდან იწარმოება წიფ-ება (მი-წიფ-ება, მო-წიფ-ება-ა, კელ-წიფება (კელ-მ-წიფე) შემო-წიფ-ება-ა), მო-უ-წიფ-ებ-ელ-ი, მ-წიფ-ოგ-ა...

წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს ძველი ქართულიდან (აბულაძე 1973).

**წიფება** – წევა: „ვერ ეწიფოს მათ წელიწადი ცხოვრებისა“ იგ. სოლ. 2, 19;

**მიწიფება** – მიწევნა, გათანასწოლება: „ვერ მივწიფნეთ შესუენებულთა მათ“, I თეს. 4, 14; „მისწიფე იგი კურთხევასა სიტკბოებისა შენისა“ II თეს. 20, 4.

**მომწიფება** – „მოწევნა“, მოსწრება, შემოსვლა, დამწიფება...

„მომწიფდეეს ყურძენი თესლსა შინა“ G, – მწიფოოდის ყურძენი თესლს შინა“ I, ამოს. 9, 13. „ოდეს მოიწიფნის (ხილნი)... მოჰნახვიდიან ხილნართა“. ი. – ე. 44,5...;

**შემოწიფება** – მოწევნა: „ღამე შემოეწიფა და ეუწყა თავით თვსით, ვითარმედ საწუთროსა ამას სოფელსა დაუტეობს“ მ. სწ. 294, 15;

**მიუწიფებელი** – მიუწეველი: „გამოაჩინე ჩემ ზედა მიუწიფებელი შენი კაცთ-მოყუარებად“. საკითხ. წიგ. II 48,3;

**მწიფე** – მოწეული: „ტევან მწიფე ჭემმარტისა მის ვენახისა“, ფლკტ. 136, 2. (ქართლურში მწიფე „მსუქანსა და დიდსაც ნიშნავს: „დასხდენ ორთავება და სუ მარტო იმათ გაათავეს ამოდენა მწიფე დედალი (ბროწლ.). – ქართლური 1981).

ზ. სარჯველადის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ წიფება განმარტებულია სამი განსხვავებული ზმნური ფორმით: **წიფება** – დაწევა; მიწევა; შეძლება, განმმარტებელი ფორმებიდან ორის (დაწევა-, შეძლება-) მნიშვნელობა ახალი ქართულისას ემთხვევა, ერთის – **მიწევა (მიწევნა)** ზმნის, მნიშვნელობა კი სინონიმებით არის ახსნილი: **მიწევნა** – მისვლა, მიღწევა.

ვგიქრობთ, რომ განმმარტველი სიტყვების მნიშვნელობათა შეჯერებით წიფება-ეზ-ა ზმნური ფუძით გამოიხატება ზოგადად დროში განხორციელებული რაიმე მნიშვნელოვანი ქმედება.

ილ. აბულადის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ **წიფება** განმარტებულია მხოლოდ წევა ზმნით: **წიფება** – წევა; „ვერ ეწიფოს მათ წელიწადი ცხოვრებისა“ O, იგ. სოლ. 2, 19; პარალელურ ვარიანტში წიფება ჩანაცვლებულია წევა ფორმით; სრულად წარმოვადგენთ ორივე ვარიანტს:

OS „ყოველნი რომელნი ვლენან მას შინა, არა მოიქცენენ, არამედ ინანდენ და ვერ ეწივენ ალაგთა სიწრფოებისათა, რამეთუ ვერ ეწიფოს მათ წელიწადი ცხოვრებისა“

B. „ყოველნი რომელნი ვლენან მას შინა, არა მოიქცენენ, არამედ ინანდენ და ვერ ეწივენ კვალთა მართალთასა, რამეთუ ვერ ეწივენ წელიწადსა ცხოვრებისათა“ იგ. სოლ. 2, 9

ძვ. ქართულის ტექსტებში ასეთი ურთიერთჩანაცვლების შემთხვევები უჩვეულო არ არის:

„...და მახენი სიკუდილისანი მეწიენეს მე“. II მეფ. XXII, 6 FS

„და მომეწიფნეს მე მახენი სიკუდილისანი!“ B, O

„მო-ძი-იწიოს რაჲ სიტყუაჲ ჩემი“. pb., რიცხ. 11, 23

„უკუეთუ მოგეწიფოს სიტყუაჲ ჩემი“. G

თ. სახოკია „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის“ **წევა** (მოწევა) ზმნის ფიგურალური მნიშვნელობების შეჯამებისას იმოწმებს ილიასეულ ილუსტრაციას, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ **მოწევა** და **წიფება (წიფება)** ფორმებს სინონიმური მნიშვნელობები აქვთ: **მოწევა** – დაჰკვიანება, გამოცდილების მიღება, გარემოების მიერ ხელისშემწყობ მდგომარეობაში ჩავარდნა, საქმის მოგვარება. „იგი ორი საქმე დღეს იმოდენად მოიწია, იმოდენად მომწიფდა... რომ გადაჭრილს, გადაწყვეტილს სიტყვას თხოულობს და არა მიკერ-მოკერებას (ილია). (სახოკია 425).

საბასთან **წიფებაც** („შეძლება“) დასტურდება და **წიფვაც** „მოსწრობა“ ZACD, **სწრება** B, შდრ., ასევე: **მოწიფვა** – მოსწრობა, მოსწრება, მოწიფული – მოსწრებული; „წიფვა“ – „მოსწრება“ მნიშვნელობათა მიმართების გარკვევაში განმარტებითი ლექსიკონი დაგვეხმარება: მოსწრება – 1. დროზე გაკეთება, დროზე შესრულება რისამე... (აქ ჩართულია ფრაზეოლოგიური გამოთქმები თავისი განმარტებებით: „სულზე მოსწრება“. დროზე მიშველება, დროზე დახმარების გაწევა..., „მისი დღე და მოსწრება“ მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში“, „... „**მოსწრებაზე**“ დროზე... 2. სხვაზე უფრო ადრე გაკეთება, შესრულება, თქმა (რისამე)... 3. წარმატება (ქეგლ V); **მოსწრება** ზმნის ფიგურალურ მნიშვნელობას განმარტავს თ. სახოკია:

**მოსწრება** გაზრდა, დიდად გახდომა, ბავშვობის პერიოდს გადაცილება: „ლექსო მომესწრო, მალე ვანოც შეძლებს სახრის აღებას (ი. ვედ.). (სახოკია 422).

ამ მნიშვნელობით გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ წიფვა ზმნა:

„მივწიფე, დავემსგავსე, მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“. 324, 4, იგი ასრე მოიწიფა, მე შემეძლო შესვლა ომსა“. 332, 1... (რუსთაველი 1986).

ნ. ჩუბინაშვილი **წიფ-** ფუძის განმარტებას ახალი ლექსიკური ნიუანსითაც აცხებს (ჩუბინაშვილი 1986):

**მიწიფვა...** მომზადება, ანუ მოსწრობა (ფსალ. 20, 9 და 76, 4), предвирать.

**მოწიფვა...** მოწიფვა ანუ მოსწრება, მოზრდა (ვეფხ. 315) возрасти, придти в возраст.

**წიფ-** ფუძის განმარტების ახალი ნიუანსები დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონშიც გვაქვს.

ქართ. **წიფ-** ფუძეს რიგი მკვლევარი ზანურ **ჭიფ-** „ჭერა (აღება, ყიდვა) ფუძესთან აკავშირებს (შმიდტი 1962; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 270; მაჭავარიანი 1965: 60). შდრ. ჭან.-მეგრ. **ჭ-იფ-**: ქართ. **ჭ-ერ-** ჩიქობავა 1938: 418). სხვა თვალსაზრისით **წიფ-** ფუძე იშლება: \***წ-იფ** და უკავშირდება ქართულისავე \***წ-იფ-ა** ფუძეს, ზანურ **ჭ-(ნჭ-)** ძირს: **ჭ-აფ-ა** || **ნჭ-აფ-ა** „მიღწევა“, ჭან. **ი-ნჭ-უ** „მოწევა“, ხოლო სვანურში მისი შესატყვისია **ჭ-**: **ლი-ჭ-ე** / **ლი-მჭ-ე** „მოწევა“... (სარჯველაძე, ფენრიხი 2000; იხ., შანიძე 1953: 433).

ქართ. **წიფ-** ფუძის ზანური შესატყვისის დამებნის ამ ორივე ცდას გარკვეული სირთულეები ახლავს. პირველ შემთხვევაში (**წიფ: ჭიფ**) ესაა სხვაობა ვოკალიზმში (თუმცა ფიქრობენ, რომ მეგრულ-ჭანური და ქართული ფუძეები ამ შემთხვევაში აბლაუტის განსხვავებულ საფეხურზე არიან წარმოდგენილი, მაჭავარიანი 1965: 60), და, გარკვეულწილად, ფუძის სემანტიკა ჭანურში („ყიდვა“), მეორე შემთხვევაში (**წ-იფ-** / **წ-იფ:** ზან. **ჭ / ნჭ-**), სააღბათოა **წიფ-** ფუძის დაშლა (სარჯველაძე, ფენრიხი 2000) და ამოსავალი ლატერალის საკითხი.

სემანტიკური განსხვავება სვანური და ქართული სათანადო ფუძეების თითქოს არ არის ძნელი ასახსნელი. სვან. „გამოკვება“ < ქართ. „მოწიფება“, „გამოზრდა“... შდრ. ძვ. ქართ. განზრდა – გამოზრდა, გამოკვება, აღზრდა: „განზარდის კაცმან დიაკეული ზროხათაჲ“ ფს. 7, 21, იხ. აგრეთვე, გამოზრდა „გამოკვება, ჭმევა“ (აბულაძე 1973). ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ი. ნიჟარაძის ლექსიკონში „გამოკვების“ (кормить) განსამარტავად **ლიჩფე**-ს გვერდით **ლირდი** „გამოზრდა“ და **ლისედ** „რჩენა“ ზმნებიცაა შეტანილი. შდრ.: განმარტებით ლექსიკონში „კვებაჲს“ ზმნური ფორმის განარტებები: I. საზრდოს, საჭმელს აძლევს ხოლმე, აჭმევს ხოლმე რასმე, ასაზრდოებს რამეთი... || არჩენს, აცხოვრებს, ინახავს. რა კვებაჲ და ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? (ილია). გლეხი მუშაობაში გამოჯეკილია და იცის, რომ ზაფხულის შრომა მთელ წელიწადს კვებაჲს (ი. გოგებ). 2. აწვდის, ამარაგებს. კახეთი და ქართლი ყოველთვის კვებაჲდენ პურით ქართველ ხალხს.

ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში **ზარდ-** ფუძე აღნიშნავს როგორც **ზრდას**, ასევე **გამოკვებას** (**საზრდო, საზრდელი**), შდრ.: **ზრდი** და მათ პურითა და წყლითა, III მეფ. 18, 4... „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაში **მზრდელი** განმარტებულია ორგვარად: 1. **მზრდელი** 2. **მკვებაჲს** - შემნახველი, შდრ.:

„ღმერთსამცა ვით არ შეემლო კვლა განკურნება წყლულისა?

იგია მ ზ რ დ ე ლ ი ყოვლისა დანერგულ-დათესულისა (938 – 3, 4).

თუ სვანური **ჩიფ-** (**ჩიფ-ე** „კვებავს“) ეტიმოლოგიურად ქართული **წიფ-** ფუძეს დაუკავშირდება, მაშინ სვანურისათვის ამოსავლად \***ჭ**- ფონემა უნდა აღდგეს (ქართ. **წ** < საერთოქართვ. <\***წ**): სვან. **ჭ** კანონზომიერი შესატყვისობის ფორმულის თანახმად), უნდა აღინიშნოს, რომ საერთო-ქართველური შუასიბილანტური **ძ, ც, წ** ხშულების შესატყვისი ფონემების პოზიცია სვანურში მყარი არ არის. აქ ორგვარი რეფლექსები გვაქვს შიშინა რიგის ხშულებისა და შესაბამისი სპირანტების სახით, იხ. გ. როგავა 1949: 46-47; ვ. თოფურია 1960: 151-155. გ. მაჭავარიანი 1965: 30... ე. ი. ქართ. **წიფ-**: სვან. \***ჭიფ-** > **ჩიფ**. სავარაუდოდ \***ჭიფ-** ფუძის **ჩიფ-** ფუძედ ქცევის ფონეტიკური საფუძველიც არსებობს: თავკიდურ (**ჭ**/ ფონემა **ჩ**/-დ იქცა რეგრესული ასიმილაციის შედეგად. მასიმილირებელია ფშვინვიერი (**ფ**/; ასიმილაციის პროცესის განხორციელებისათვის ხელი უნდა შეეწყოს ფუძის რედუქციას აორისტის, მყოფადსრულისა თუ მიმღეობა-მასდარის ფორმებში (ა-ჩფ-ე, ლგ-ჩფე, მგ-ჩფ-ე...)). მ კ ვ ე თ რ ი + ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ი /**ჭფ**/ კომპლექსის ნაცვლად მივიღეთ სვანურისთვის ბუნებრივი აქცესიური ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ი + ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ი /**ჩფ**/ კომპლექსი (დადგენილი ფონოტაქტიკური წესების მიხედვით, სვანურში ხმოვანთა რედუქციის გზით მიღებულ კომპლექსებში არ დასტურდება **ჭფ** კომპლექსი, მაგრამ გვაქვს – /**ჩფ**/ (ბაბლუანი 1985).

როგორც ჩანს, თავკიდურა **ჭ**/-ს **ჩ**/-ში გადასვლა სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში სვანურისათვის უცხო არ არის, შდრ.: სვან. **ჭიჭონდ** || > **ჩიჭონდ** „ძეწნა“... (თოფურია 1979), შდრ., აგრეთვე: ჩიჭუნი (ლეჩხ.) – ჩიჭუნჭი (ოკრიბ. მ. ალავიძე) (ღლონტი 1984), სვან. **ჭონტო** – წიწილისა და მოზრდილი ქათმის შუალედს ჰქვია „**ჩონტო**“ (ა. ლიპარტელიანი 2014). სვან. **ლი-ჩგშ-ე** (<\***ლი-ჭშ-ე**) „მოსწრება“ ზმნური ფუძის ეტიმოლოგიის გახსნა მეგრ. **ჭიშ-აფ-ა** და ქართ. **მ-წგ-ს** ფუძეებთან მიმართებით ამავე **ჭ**/ > **ჩ**/ ფონეტიკურ პროცესს ვარაუდობს (ჩუხუა 1990).

სვან. **ჩიფ-** (<\***ჭიფ**): ქართ. **წიფ-** ფუძეთა შესატყვისობის რეალურობის (გენეტური იდენტობის) დასაბუთება დამატებით არგუმენტებს (სემანტიკურს, ფონეტიკურს, სტრუქტურულ-მორფოლოგიურს, ფაქტობრივს) საჭიროებს; კერძოდ, საგულვებელი კომბინატორული გზით კანონზომიერი შესატყვისების ქართ. **წ** : სვან. **ჭ** > ქართ. **წ** > სვან. **ჩ** ბგერათფარდობად გარდაქმნის იდენტურ პოზიციურ ანალოგებს, ქართ. **წიფ-** და სვან. **ჩიფ-** ფუძეთა ყველა შესაძლო ზმნურ და სახელურ (სახელზმნურ) ფორმათა მოძიებას და ანალიზს წარმოდგენილი ზმნების პარადიგმათა მიახლოებითი საერთოქართველური სქემის წარმოსაჩენად (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 202, 268...), სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული **წიფ-** ფუძის შესატყვისად ნავარაუდევო მეგრულ-ქანური **ჭიფ-** ფუძის მართებულობა-არამართებულობის განხილვას (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 270, შდრ.: კლიმოვი 1964: 248; 1998: 293; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 738) და მოპოვებული ფაქტობრივი მასალისა თუ თეორიული ვარაუდების სვანური **ჩიფ-** ფუძის ფლექსიურ და დერივაციულ მონაცემებთან შეჯერებას და მისთ.

**წიფ-** ზმნური ფუძე ძველ ქართულში დასტურდება როგორც მარტივი (ე-წიფ-ი-ს ისე რთული (კომპოზიტი) ზმნის (კელ-ე-წიფ-ებ-ი-ს) სახით, როგორც გარდამავალი, მოქმედებითი გვარის (მი-ს-წიფ-ა, კელ-ი-წიფ-ა), ისე ვნებითი გვარის (ძირითადად **ენიანის**, იშვიათად, – ინიანის), ასევე საშუალო გვარის (მწიფ-ო-ოდ-ი-ს) ფორმით. ფუძე ყველაგნ **ი-** გახმოვანებითაა წარმოდგენილი. აბლაუტის თეორიის მიხედვით, **ი-** ვოკალიზმის მქონე ძირები რედუქციის საფეხურს გულისხმობენ; სრულ საფეხურზე **წიფ-** ფუძის შემთხვევაშიც **ე-** ხმოვანი უნდა ვივარაუდოთ.

ამ თვალსაზრისით განიხილება მი-ე-წიფ-ა ზმნა (აწმყ. ე-წიფ-ებ-ი-ს, შდრ.: კელ-ე-წიფ-ებ-ი-ს „შეუძლია, უფლება აქვს“) როგორც შინაგანად რეკონსტრუირებული ფუძედრეკადი ზმნის \***ვ-წიფ** – \***ვ-წიფ-ე** ვნებითური კორელატი, ნაწარმოები პრეფიქსული ტიპის მიხედვით. ფუძედრეკად ზმნათაგან პრეფიქსიანი ვნებითის წარმოებისას ფუძე ყოველთვის რედუქციის საფეხურზეა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 270): შდრ., ოდეს მო-იწიფის [ხილი] მოჰნახვიდიან ხილნართა ი. ე. 44, 5. „რაათა მივეწიფო მე მამათა ჩემთა“ შუშ. III, 15...

ის, რომ **წიფ-** ზმნური ფუძე ისტორიულად ფუძედრეკადთა კლასს ეკუთვნის, – \***წიფ-/წიფ-** რეკონსტრუქცია, ე. ი. ფუძის გახმოვანების სრულ საფეხურზე **ე-** ხმოვნის აღდგენა, – თეორიული ვარაუდებია; ეს ვარაუდები ფაქტობრივი მასალით არ არის გამყარებული. **წიფ-** ზმნის უღლების პარადიგმებში, მასდარსა (წიფ-ებ-ა, წიფ-ვ-ა) და მიმღებობებში (მ-წიფ-ე, მო-წიფ-ებ-ულ-ი, მო-წიფ-ულ-ი) **ე-** ვოკალიზმი არ ჩანს. ჩვენთვის ცნობილ ერთადერთ შემთხვევაში ფუძედრეკადი გარდამავალი აწმყოს ფორმისა, მოსალოდნელი **ე-**ს ნაცვლად **ი-** ხმოვანია: „ვერ კელს-იწიფებ და“ მრ. 6, 190). სხვათა შორის, ეს სავარაუდო **ე-** ვოკალიზმი, როგორც ჩანს, ვერც მეგრულ-ჭანურის ჭოფ-უნ-ს „იჭერს“, ო-ჭოფ-უ „დაიჭირა“ ფორმებთან გენეტური ურთიერთობის გაზიარებაში გვეხმარება; შდრ.: „მეგრულ-ჭანური **ი** არ შეესატყვისება ქართულ **ი**ს (თუნდაც \***ე** საგან მომდინარეს)“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 271); ეს შეუსაბამობა იხსნება იმით, რომ მეგრულ-ჭანური უღლების სხვა მოდელს ასახავს, თუმცა, კერძოდ რომელს, – სააღბათთა (იქვე), აქვე დაფუძნებით, რომ **წიფ-** ფუძის **ე-** ალოფონიანი ვარიანტი არ იძებნება არც ახალ ქართულში და არც დიალექტებში (ქურდაძე 2005: 133-194); მართალია, წიგნს დართულ ხმოვანმონაცვლე დიალექტურ ფორმათა ზმნური ფუძეების ჩამონათვალში მხოლოდ **ი-** ხმოვნიანი, ან მხოლოდ **ე-** ხმოვნიანი ფორმები შეტანილი არ არის, შესაბამისად, – არც **წიფ-** ფუძე, რაც არაპირდაპირ იმის დასტურიცაა, რომ ეს ფუძე სხვა გახმოვანებით არ ჩანს.

ოდენ **ი-** ვოკალიზმის მქონე ქართული ზმნური ფუძეები, რომელთაც ზანურსა და სვანურში შესატყვისები უდასტურდება, ალბათ სამ ათეულს აღწევს (ძირითადად ვეყრდნობით გ. კლიმოვისა (1964 წ. და 1998 წ.) და ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის 1990 წ., 2000 წ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებს); აქედან უმეტესობა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისად არის კვალიფიცირებული, არ ეძებნებათ სვანური ეკვივალენტები: ზ ი დ ვ ა,

თიბვა, თითხნა, თხიფვა, კიდება, კიკნა, სივება, სისინი, ტისვნა, ჩირგვნა, ცხიკვება, ძინება, ცინცვლა, ძიმგნა, წივილი, წილვა, ხინწვა და სხვ., როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი; ჩამოთვლილთაგან საერთოქართველური ერთიანობის ხანიდან მომდინარე არქეტიპები რამდენიმეა მხოლოდ და პრობლემატური: მაგ., ქართ. **თიბ-** (თიბავს) ძირის სვანურ შესატყვისად ვ. თოფურიამ **შდაბ-** (ლი-შდაბ „მუშაობა“ 1926: 202; შდრ.; დეტერსი 1957: 390) მიიჩნია. მკვლევართა ერთმა ნაწილმა (გ. მაჭავარიანი 1965: 15; გ. მაჭავარიანი, გამყრელიძე 1965: 311-312; მ. ქალდანი 1969: 64-65) ეს დაკავშირება გაიზიარა, ივარაუდა, რომ **ი-** ხმოვნისანი **თიბ-** ძირი, \*სთებ-ძირის რედუქციის საფეხური შეიძლება იყოს: \*ტ-სთებ - \*უ-სთიბ-ე (შდრ., სვან. \*სთაბ- „შრომა“, სადაც იგივე ზმნური ძირი წარმოდგენილია ავოკალიზმით (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 311-312).

ქართ. თიბ- ძირის სვან. შდაბ- თან დაკავშირებას არ იზიარებენ გ. კლიმოვი, ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე (კლიმოვი 1964: 94; 1998: 71; ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 2000: 236); „შდაბ- ძირთან თიბ-ის დაკავშირებას ხელს უშლის როგორც სხვაობა ვოკალიზმში, ისე სემანტიკური დაშორება“ – აღნიშნავს ბ. გიგინეიშვილი (2016: 198).

გ. კლიმოვმა საერთოქართველური ერთიანობის ხანისად აღადგინა \*ძიმგუნ არქეტიპი (ქართ. **ძიმგ-** (ძიმგ-ნ-ა): მეგრ. **ძგიძგ-/ძგძგ-** (ძგიძ-გინ-უ-ა): სვან. **ძგ-** ლა-ლ-ძგ-გნ-ა „ღეჭვა“ (კლიმოვი 1998: 281) და **ი-** ხმოვნისანი ძიმგ- ძირი მიიჩნია ძემგ-ის დერივატად, რომელიც ნაწარმოებია -ტუნ აფიქსის მეშვეობით, ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე არ განიხილავენ კლიმოვის ამ დასკვნას და აღდგენილ \*ძიმგ- არქეტიპს ქართულ-ზანური ერთიანობის ხანას მიაკუთვნებენ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 617).

პრობლემატური ჩანს, საერთოქართველური დონისათვის აღდგენილი \*კიდ- (ჰ-კიდ-ებ-ს, მო-ჰ-კიდ-ა) არქეტიპის საკითხიც (კლიმოვი 1964: 112; 1998: 96); სათანადო სვან. **კედ-/კად-** ძირი გამოავლენს საერთოქართველური ზმნური ძირისათვის დამახასიათებელ აბლაუტურ მონაცვლეობას; შესაბამისად, ფენრიხი და სარჯველაძე აღადგენენ არა კიდ- ძირს (საერთოქართველური \*კედ ძირის რედუქციის საფეხურს, არამედ სრულხმოვნისან \*კედ-ძირს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 267)...

ქართ. **წიფ-** (<\*წიფ-) ზმნური ძირის ჩვენ მიერ კომბინატორული ცვლილების შედეგად ნავარაუდები სვანური შესატყვისი **ჩიფ-** (<\*ჭიფ) თემატური აწმყოსა და ათემატური აორისტის მქონე გარდამავალი ზმნაა: ჩიფ-ე „კვებავს“ – აჩიფ „გამოკვება“, აწმყოს ფუძე **ი-** გახმოვანებითაა წარმოდგენილი, აორისტი – თავისთავად; ფუძის **ი-** ვოკალიზმი, როგორც უკვე ითქვა, რედუქციის საფეხურს ასახავს და სრულ საფეხურზე **ე-** ვოკალიზმი ივარაუდება.

სვანური თემატური აწმყო – **ჩიფ-ე** და ათემატური აორისტი – **ჩიფე** „გამოკვებე“, **ჩიფე** „გამოკვება (მან)“ გარდამავალ ფუძედრეკად ზმნათა მოდელს იმეორებს, შდრ.: ტიხ-ე „აბრუნებს“ – ოტებ „დავაბრუნე“, ატბხ „დააბრუნა“... ათემატურ აწმყოში აქაც **ე** ხმოვანი ივარაუდება ამოსავლად: \*ტებ > \*ტებ-ე > ტიხ-ე, შდრ.: კედ || კიდ-ე „იღებს“, ეს **ე** ხმოვანი დაჩნდება ვნებითში

(ე. წ. მეორე ტიპის ვნებითებში). ტეხ-ნ-ი (ლნტ. ტეხ-ენ-ი) „ბრუნდება“, კედ-ნ-ი „იღება“, სედ-ნ-ი „რჩება“... (შდრ.: პრეფიქსული ტიპის ვნებითი **ი-** გახმოვანებით: ი-ტრხ-ი, ი-კრდ-ი).

თუ ამ თვალსაზრისს მივიღებთ, მაშინ **ჩიფ-** ფუძისათვის ამოსავლად **ე-** ხმოვნისანი არქეტიპი უნდა ვიგულისხმოთ: \*ჩეფ- > \*ჩეფ-ე > ჩიფ-ე (<\*ჭეფ- > \*ჭეფ-ე > \*ჭიფ-ე).

სხვათა შორის, სვანურში დასტურდება ფონეტიკურად მსგავსი და სტრუქტურულად მოსალოდნელი ვნებითური მოდელი (**ე-** გახმოვანებით) **ჩეფ-** ფუძით: **ხე-ჩეფ-ენ-ი** (<\***ხ-ე-ჩეფ-ენ-ი**), თუმცა მნიშვნელობა განსხვავებულია (მასდარი: **ლი-ჩეფ**):

მახელვაჟს მეკვარელ დემის ხ ე ჩ ფ ე ნ ი „ვაჟკაცს გადამდები ავადმყოფობა არ შეეყრება“.

ჩუ მესგვარა მწივი ხოშამ ესერ ხ ე ჩ ფ ე ნ ი „მჯდომარეს ჭირი მეტად ეტანებაო (ანდ. ჩ. 17).

ხოლა მწივიშალ სგა ლ წ მ ჩ ა ფ<sup>1</sup> „გლახა ავადმყოფობასავით შემეყარა“... ვნებითის **ხეჩეფენი** „ეტანება, შეეყრება...“ მიმართების გარკვევას **ჩიფ-ე** „კვებავს“ ფორმასთან დამატებითი მასალა სჭირდება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ **ხ-ე-ჩეფ-ენ-ი** „შეეყრება, შეხვდება, ეტანება...“ ფორმას სემანტიკურად როგორც ქართ. **წიფ-** ფუძის, ასევე სვანური **ჩიფ-** ფუძის მნიშვნელობასთან სიახლოვე უთუოდ აქვს. ანალოგიური სემანტიკური გადასვლები ქართულში ბუნებრივია; შდრ.: **შეეყრება... წილად ხვდება, ერგება**<sup>2</sup>... 1. წილად ხვდება, შეხვდება – **შეერგება**... „შვილო, დედის ძუძუ მაგას შეერგებია (ილია)“; **ეწევა** – ...უახლოვდება, გაუსწორდება, მისწვდება. – **შეწევა** (შდრ.: **მაწიერი** ნოყიერი, ყუათიანი), ხალხმა თავი მოიყარა – დრო გავიდა, ქალიც გაიზარდა და მოიყარა თოთხმეტი-ხუთმეტი წლისა (ზღაპ.)... შდრ.: ძვ. ქართ. **რგება** – შეწევნა, სარგებლის მიღება, **ხუდომა** – შეყრა, შეხუდომა, რგება.

ა. ლიპარტელიანის სვანურ-ქართულ ლექსიკონში (ჩოლოური კილო) დაფიქსირებულია აბსოლუტური ვნებითის ფორმაც – ჩეფ-ნ-ი ფუძის ე-ვოკალიზაციით და ჩვენთვის სასურველი მნიშვნელობით: **ჩეფენი** – გამოკვებილი ხდება, ზამთარგადატანილი, გამოზაფხულებული... ფორმალურად და სემანტიკურად ყველაფერი თითქოს დალაგდა:

გრდმ. ჩ ი ფ - ე „ზამთრებს (კვებავს) საქონელს“ – გრდუვ. ჩეფ-ნ-ი „გამოკვებილი ხდება, ზამთარგადატანილი“...

ერთი და იმავე ფუძის აბლაუტის საშუალებით იწარმოება როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნა. ასეთი ფაქტები სვანურში ცალმორფემიან ფუძედრეკად ზმნათა განსაკუთრებულ არქაულ ნიშნად ითვლება: კუიშ-ე „ტეხს“ – კუეშ-ნ-ი „ტყდება“, კიდ-ე „მოაქვს, მოიტანს“ – ჯედ-ნ-ი „მოდის, მოვა“, დიგ-ე „აქრობს“ – დეგ-ნ-ი „ქრება“... (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 207).

<sup>1</sup> აორისტის III პირის ფორმაში ა ხმოვნის გამოჩენა ე-ს მაგივრად სუფიქსისეული -ა-ს გავლენის შედეგია: \***ლა-ხ-ჩეფ-ა** > **ლწ-ხ-ჩაფ**. (აორისტის ფუძეში ე/ა ხმოვანთმონაცვლეობის შესახებ იხ. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტი სვანურში, თბ., 1969, გვ. 35).

<sup>2</sup> დამოწმებები ქეგლ-იდან, ტ. III, V, VII.

ასევე, არქაიზმად მიიჩნევა ფუძედრეკად ზმნათათვის დამახასიათებელი მასდარის წყვილი ფორმა სვანურში:

გრდმ. ლი-კჷმ-ე „ტეხა“ – გრდუვ. ლი-კჷემ „ტყდომა“

ლი-ქჷც-ე „ჭრა, წყვეტა“ – გრდუვ. ლი-ქჷც „ჭრა, წყდომა...“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 208-211).

ასეთივე წყვილი მასდარი უდასტურდება ჩიფ-ე ზმნასაც:

გრდმ. ლი-ჩეფ-ე, საქონლის გამოზამთრება (სვ. ლ.), «გამო»კვება (ი. ნიჟარაძე, ბ. ნიჟარაძე) – გრდუვ. ლი-ჩეფ „გამოკვებილად ყოფნა“ (?)

ჩოლურში დამოწმებული აბსოლუტური ვნებითის ჩვენთვის ცნობილი ჯერჯერობით ერთადერთი ფორმა ჩეფ-ნ-ი „გამოკვებილი ხდება მასდარად ლი-ჩეფ“ს „გამოკვებილად ყოფნა“ გულისხმობს. შდრ.: რელატიური ვნებითი ხ-ეჩენი და მისი მასდარი ლი-ჩეფ „შეყრა (სენისა)... აბსოლუტურ და რელატიურ ვნებითებს შორის სინტაქსური და, შესაბამისად, სემანტიკური სხვაობა ქართველური ენებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, შდრ., თუნდაც: **ო-კვებე-ბა** (ის) „საჭმელს იღებს“ – **ე-კვებება** (მას ის) „ვითომდა ჩვეულებად ექცევა“ (ქეგლ III).

როგორც ჩანს, სასურველია ამ ტიპის (**ჩეფ-ჩიფ**) ფუძეთა ზმნურ და სახელზმნურ ფორმათა კილოური მსგავსება-განსხვავებების აღწერა სვანურში და, შეძლებისდაგვარად, მათი უღლების პარადიგმის სრულად წარმოჩენა.

ასე რომ, სვან. **ლიჩეფ** „გამოკვება“ ზმნის ქართული თუ ზანური შესატყვისის ძიების სივრცე ჯერ ისევ ღიაა.

### ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ბაზლუანი 1981** – ლ. ბაზლუანი, თანხმოვანთა კომპლექსები სვანურში, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი (რუსულ ენაზე), თბილისი.

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.

**დავითიანი 1973** – ა. დავითიანი, სვანური ანდაზები, თბილისი.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

**თოფურია 1960** – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იკე XII, თბილისი.

**თოფურია 1979** – ვ. თოფურია, მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში, შრომები, III, თბილისი.

**თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**კლიმოვი 1965** – გ. კლიმოვი, Этимологический словарь картвельских языков, Москва.



**ლიპარტელიანი 2014** – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლური კილო), თბილისი.

**მაჭავარიანი 1965** – გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.

**ნიჟარაძე 1910** – И. Нижарадзе, Русско-сванский словарь, Сборник материалов для описания местностей и племён кавказа, 41, Тифлиси.

**ნიჟარაძე 2007** – ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი (ბალსზემოური დიალექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ლელა ნიჟარაძემ, თბილისი.

**როგავა 1949** – გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იკე III, თბილისი.

**რუსთაველი 1986** – შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“, მეორე სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ, თბილისი.

**სახოკია 1979** – თ. სახოკია,; ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, II შესებული გამოცემა, თბილისი.

**სარჯველაძე, ფენრიხი 2000** – ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, ქართველურ ენათა ლექსიკონი, თბილისი.

**სარჯველაძე 2001** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

**საბა 1991, 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, II, ავტორისეული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკონი სამიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი.

**ფენრიხი 1978** – ჰ. ფენრიხი, ენათა გენეტური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძეების ძირეულ მორფმათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი.

**ქალდანი 1969** – მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი.

**ქართლური 1981** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი.

**ქურდაძე 2005** – რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბილისი.

**ქეგლ 1953, 1958, 1962** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8-ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, III, V, VII, თბილისი.

**შანიძე 1953** – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი.

**შიდტი 1962** – K. H. Schmidt, Studien zur renkonstuktion des Lautstandes der südkaukasische Grundsprache, Wishaden.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 1990** – მ. ჩუხუა, ქართული ლექსიკონიდან: 1. სუ-, 2. მწკს-, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

MURMAN SUKHISHVILI

### **Searching for the Georgian Correspondence of the Svan Verb Ličpe (to Feed)**

#### S u m m a r y

Li-čp-e is a word for feeding cattle during the period of winter in Svan. The form of the infinitive has undergone vowel reduction: li-čp-e < \*li-čip-e, cf. čip-e / čəp-e 'he/she feeds it'. However, the phonetic correspondence of the verbal stem čip-e has not yet been attested in the Kartvelian languages. Theoretically the basic morpheme of the CVP (< \*C<sub>1</sub>VP) structure might be the corresponding Georgian equivalent of the Svan čip- stem, though the basic morpheme of the CVP sequence has not been reconstructed at the Proto-Kartvelian level (Fähnrich, 1978).

The Svan čip- stem can be considered to be connected with the Georgian stem čip- meaning 'to attain, to reach, to achieve', and the sequence of phonemes Geo. čip- (< \*čip): Svan. čip- (< \*čip-) seems to be the result of the combinative phonetic change. In Svan, the transformation from the presumable \*čip- stem into the čip- stem has phonetic grounds: the phoneme /č/ at the beginning of the word (the anlaut) has been transformed into the phoneme /čp/ as a result of the regressive assimilation. The aspirated consonant /p/ is an assimilator. In participles, infinitives and conjugated forms, the reduction of a vowel in the stem might have been conducive to the process of assimilation (li-čp-e / lə-čp-e, mə-čp-e, a-čp-e...). Instead of the glottal + aspirate /čp/ cluster we get an accessive one /čp/: aspirate + aspirate, which is natural for Svan. According to the phonotactic rules, there is no evidence of the /čp/ sequence in the clusters formed as a result of the vowel reduction in Svan, though the /čp/ cluster is attested (Babluani, 1985).

მედეა ლლონტი

**„მიზანი“ ძველ ქართულში  
(ძვ.ქართ.: განი, საგანი, პირი)**

**I. საკითხის დასმა:**

ძველ ქართულ ენობრივ სივრცეში არ დასტურდება არაბულიდან ნასესხები ლექსემა **მიზანი**, შდრ.: არაბ. მიმლეობური **mizān[un]** „აწონილი“; არაბ. **mizān** „სასწორის წამი, სასწორი“; არაბ. **vazāna** „აწონა“, „სასწორი (მეშვიდე ეტლი)“; თურქ. **nizām** „ჯარი; ჯარისკაცი; ჯერი, რიგი, წესრიგი“, შდრ.: ჭან. (მეგრ.) **მიზან-ი/ნიზამ-ი** (ბარანოვი 1977; ყიფშიძე 1914, 484; ჯავახიშვილი 1925; შანიძე 1972: 63; ანდრონიკაშვილი 1996; მელიქიშვილი 1993: 217).

ცხადია, ძველ ქართულში მოიპოვებოდა „მიზნის“ სემანტიკის ამსახველი ქართული წარმომავლობის ლექსიკა, რომელიც აღბეჭდილია როგორც ძველქართულ მრავალჭანობრივ საეკლესიო, ისე მხატვრულ ლიტერატურულ და ძველი ქართული ენის სალექსიკონო მასალაში<sup>1</sup>. დღეისათვის კი ეს ლექსიკა ჩანაცვლებულია ზემოხსენებული ნასესხები პოლისემანტიკური სიტყვა-ტერმინით **მიზანი**.

უაღრესად საგულისხმოდ წარმოდგება „მიზნის“ სემანტიკის შემცველი ძველი ქართული ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე, რომლის ჯერისამებრ კვლევა-შესწავლა საჭიროებს შემდეგ მიმართულებათა კომპლექსურად გათვალისწინებას:

- **მიზნის** აღმნიშვნელი ძველი ქართული ლექსიკური მარაგის შევსება-გადამოწმება;
- **მიზნის** აღმნიშვნელი ძველი ქართული ლექსიკის სინონიმია.
- **მიზნის** აღმნიშვნელი ლექსიკური მარაგი ქართულ დიალექტებში;
- **მიზეზისა** და **მიზნის** მრჩობლად (წყვილად) გამომხატველ სემანტიკურ ერთეულთა მორფო-სემანტიკური თავისებურება და მათი ლექსიკურ-სინტაქსური ფუნქციონირება ძველ ქართულში (**-თვს/-გან** თანდებულებსა და **-თვს/-გან**-თანდებულიან ლექსემებთან დაკავშირებული ლექსიკოგრაფიული პრობლემა);

<sup>1</sup> იხ: ბიბლია 2015; ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 1961; დიონისე არეოპაგელი 1995; ბასილი დიდი 2002, გრიგოლი ნოსელი 1989, იოანე ოქროპირი 1993, იოანე დამასკელი 2000; გიორგი მთაწმიდელი 2011; იოანე პეტრიწი 1999; თომა აქვინელი 2011; ავალიანი 2016; ვეფხისტყაოსანი 1992, ბალაგარიანი 1957; სულხან-საბა I-II; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; ჩუბინაშვილი ნ. 1961; ჩუბინაშვილი ნ. I-II; ჩუბინაშვილი დ. 1984; და სხვ.

• „მიზნის“ სემანტიკის შემცველ ძველი ქართულ ლექსიკასთან დაკავშირებული საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, ლოგიკური და სხვა ექსტრალინგვისტური მონაცემები, დეფინიციები და პოსტულატები (მაგალითად: **მიზეზი** ↔ **მიზეზოვანი**; **მიზეზი** ↔ **მიზანი**; **მიზეზი** ↔ **შედევგი**; და სხვ.).

წინამდებარე ნაშრომში, საკითხის დასმის წესით, საგანგებოდ განიხილება „მიზნის“ ცნების აღმნიშვნელი სამი ძველი ქართული პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეული – **განი**, **საგანი** და **პირი**, ასევე – მათგან წარმოებულნი და რამდენიმე -**თვს**-თანდებულიანი ლექსემა (**ამის პირის[ა]თვს**, **ამის ჟერის[ა]თვს**, და სხვ.)<sup>1</sup>, მათი მორფო-სემანტიკა და ლექსიკურ-სინტაქსური ფუნქციები; წარმოვადგენთ რამდენიმე შესატყვისს ქართული დიალექტებიდან, ნიმუშებს მათი სინონიმიკიდან და მათთან დაკავშირებულ რამდენიმე ექსტრალინგვისტურ მონაცემს.

**II.** ძვ.ქართ. **განი**, **საგანი** „მიზანი; საგანი; ნიშანი; სამიზნე“;  
ძვ.ქართ. **პირი** „მიზანი“:

**1)** ძვ.ქართ. **განი** – თანდებულ -**გან**-ის გასუბსტანტივებული ქართული ენობრივი ერთეულია. გარდა „მიზნისა“, იგი აღნიშნავდა: „საგანს; ნიშანს; წერტილს; სიგანეს; სივრცეს, სიფართოვეს“ (სულხან-საბა I-II; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961), მაგალითად:

→ „გარდაიცუა მშვლდსა თვსსა და განმავსო მე, ვითარცა **განი**, საისრედ“ (გოდება იერემიასი 3,12), ანუ → „მოზიდა მშვილდი და გამომსახა მე, ვითარცა ისართა **სამიზნე**, **სასროლი მიზანი**“.

→ „ანუ ვითარცა ისარი, განტყორცვებული **განსა**, განაპის აერი და მეყსეულად მუნვე შიერწყვს, და ვერ საცნაურ იქმნის განსლვად მისი“ (სიბრძნე სოლომონისი 5,12), ანუ → „და როგორც **მიზანში** ნასროლი ისრით გარღვეული ჰაერი მყისვე შეიკრავს პირს და ისრის კვალიც კი აღარ ჩანს“;

→ „და კრძალულებით ვსდევ **განსა** მას ზეცისა ჩინებისა ღმრთისასა ქრისტე იესუმს მიერ“ (ფილიპელთა მიმართ 3,14), ანუ → „და ვესწრაფვი **მიზანს**, ზეციერი ღვთისაკენ ხმობის იმ უზენაეს პატივს, იესო ქრისტემ რომ გვიბოძა“.

→ „ემსგავსა მოისარსა, რომელმან უფროდს ზომისა არა მოჰზიდნის მშვლდსა, ნუუკუე გარდაავლოს **განსა**... არამედ ზომით ყვის და მართლ თუალი მიაყვანის, რადთა განემარჯოს მიმთხუევა **განისაი**“ (ბალავარიანი 1957), ანუ → „ემსგავსა იმ მშვილდოსანს, რომელიც ზომაზე მეტად არ მოზიდავს მშვილდს, **მიზანს** რომ არ ააცდინოს... არამედ ზომიერად, სწორად მიადევნებს თვალს, რათა მარჯვედ მოახვედროს **მიზანს**“.

დავით და ნიკო ჩუბინაშვილები **განის** სემანტიკას შესაბამისი რუსული ლექსიკური მონაცემებით აზუსტებენ: „საგანი, ნიშანი, მიზანი, знамение на стрельяние; цель; мишень – კატელ.ანტ. 23“ (ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961).

<sup>1</sup> ასევე, ფრაგმენტულად -**გან**-თანდებულიანი **ამისგან**, **ამისგანად** „ამის გამო; ამისთვის“, **მისგანად** „მის გამო, მისთვის“ (აბულაძე 1973).

„მიზნის“ სემანტიკის შემცველი დამოუკიდებელი სუბსტანტივებული ლექსემა **განი** ქართულ დიალექტებში არ დასტურდება. იპოვება მხოლოდ აკაკი შანიძის მიერ მოძიებული **გან**-თანდებულისგან წარმოებული ზმნური ფორმები: **დაგანება, მიგანება, ვღანდები**, რომელთაგან „მიზნის“ სემანტიკის შემცველია ფშ., მთ., მოხ. **დაგანება** – „დამიზნება, დაღირება. **დაუგანა** „დაუმიზნა, დაუღირა (თოფი, ქვა, ხმალი, ხანჯალი). **დაგანება** – დაღირების, დამიზნების მნიშვნელობით, მღეთში (მთიულეთში) არ იცინა“ (შანიძე 1984: 300; 308; 361)<sup>1</sup>.

**2)** ძვ.ქართ. **საგანი** – წარმოებულია ზემოთ განხილული პოლისემანტიკური ძვ.ქართ. **განი**-სგან<sup>2</sup>, მასუბსტანტივებელი<sup>3</sup> ფუნქციის მქონე დანიშნულების **სა**-თავსართის დართვით, და პოლისემანტიკურია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში, შდრ.:

ძვ.ქართ. **საგანი** – „(+3,12 გოდება) ისრის (ისართ) ნიშანი; განი; მიზანი; ჰაზრი, წადილი, განზრახვა; გულის-წადილი, გულის-ხმა; შინა განი ძალი არსისა, არსი, ძაღლ, предмет; мишень; намерение; საგანში მოხვედრება, попасть в цель. სამიზნე; სამიზნო, დასამიზნებელი“ (სულხან-საბა I-II; სარჯველაძე 2001; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961).

ძვ.ქართ. **საგან**-ის ამავე ლექსიკოგრაფიულ მონაცემებს ნიკო ჩუბინაშვილი უადრესად საგულისხმოდ ადასტურებს თავის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“:

„**Цель** ნიშანი, სასროლი, საგანი, მიზანი. || ცეცხლსასროლის იარაღის ტუჩზედ დასმული რამ ნიშანში მისამართად. || საგანი, ჰაზრი, დასასრული“; „**Цельный** и **цельный** მარჯვე, ნიშანში ამომღები. – **Цельно** и **целько** მარჯვედ, ნიშანში ამოღებით“; „**Целью**, нацелил გავეუნიშნავ, გავეუმარჯვებ, მოვეუმიზნებ. || ჰაზრს მივიტან, საგნად მაქუს რამე. – **Цельюсь** ნიშანში ამოვიღებ, გავეუმიზნებ“ (ჩუბინაშვილი. ნ. I.-II)<sup>4</sup>.

**მიზნის** აღმნიშვნელი ძვ.ქართ. **საგანის** სარწმუნოებას, თავის მხრივ, გვიმოწმებს პოლისემანტიკური ახ.ქართ. **საგანი** და ახ.ქართ. **მიზანი**, რომელთა სალექსიკონო განმარტებებით თვალსაჩინოდ აღიბეჭდება მათი ზიარი სემანტიკა – „მიზანი; სამიზნო; საგანი (ობიექტი); ისრის ნიშანი“, შდრ.:

ერთი მხრივ, ახ.ქართ. **საგანი** – „**1.** კონკრეტული მატერიალური მოვლენა, რომელსაც გრძნობის ორგანოებით აღვიქვამთ, რაც ცალკე, სუბსტანციის სახით არსებობს და გარკვეულ თვისებათა მქონეა, – ნივთი. **2.** რის შესახებაც ვაზროვნებთ ან რის მიმართაც რაიმე მოქმედებას ვაწარმოებთ; რასაც მსჯე-

<sup>1</sup> იხ. იქვე: „**გან**: ხევს. **ვღანდები** ვხვდები ა) შევხვდები, ბ) მივხვდები, თუმ. პირდაპირ ვუღებ, ნ. **დაგანება**“; ასევე: „ხევს. **მიგანება** ა) **მივაგანე** მივარტყი, ნ. დაგანება, გან. ბ) მიხვედრა, მიხვედრება. **ვღანდები** ვხვდები. **მივაგანებთ** მივახვედრებთ“ (შანიძე 1984: 300; 361).

<sup>2</sup> იხ.: (ბერიძე 1942: 10); შენგელია 2004: 57.

<sup>3</sup> შდრ.: ძვ.ქართ. **მაგუამოვნებელი** – „ბერძნ. υποστατικόν τό – მაგუამოვნებელ [არს] ნეოპლატ. – არსებობის მიმცემი, მასუბსტანტივებელი, მარსებელი, – „ერთი ყოველთა არს **მაგუამოვნებელ**“ (პრ., კავშ., პეტრ., 138: 84.17; D. §136)“ (ძვ.ქართ-ძვ.ბერძნ ლექსიკონი 2010).

<sup>4</sup> შდრ. იქვე: „Мишень ნიშნის ამოსაღები, ნიშანზედ დასაყენებელი ხაზი მზომელობის იარაღისა ანუ თოფისა, ზარბაზნისა და სხვ. || ნიშანი, საგანი სასროლისა. || Мишеньный ნიშანზედ დასაყენებელი. – Мишенью გავეუნიშნავ, ნიშანში ამოვიღებ. – Мишулюсь – ნიშანს ავაკედენ“.

ლობა, საუბარი ეხება, – ო ბ ი ე ქ ტ ი, || ვინც (ან რაც) რაიმე გრძნობას ან დამოკიდებულებას იწვევს. „შენ ხარ ჩემი ტრფობის საგანი“ (აკაკი). **3.** ცოდნის, მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, – სასწავლო დისციპლინა. **4.** ძვ. ისრის ნიშანი, – სამიზნო. „გული ძეს საგნად ისრისა, მესვრის საკრავად სამალი“ (რუსთაველი). **5.** ძვ. იგივეა, რაც მიზანი (მნიშ.1.)“ (ქეგლ 1950-1964);

მეორე მხრივ, ახ.ქართ. **მიზანი** – „**1.** რაც უნდა განახორციელონ; რისკენაც მიისწრაფვიან; რასაც უნდა მიაღწიონ; ... **მიზნით** ენაცვლება -თვის თანდებულს: იმ მიზნით (=იმისათვის); **2.** წერტილი, რომელსაც თოფსა და მისთ. უმიზნებენ; ადგილი ან საგანი, რომელსაც უნდა ესროლონ – სამიზნი ნიშანი. მიზანში სროლა – ♦ მიზანში ამოიღებს. ♦ მიზანში იღებს. **3.** ცეცხლსასროლი იარაღის ლულის წინა ნაწილზე მცირედ ამოზურცული ადგილი დამიზნების გასაადვილებლად“ (ქეგლ 1950-1964).

მოიპოვება ძვ.ქართ. **საგან**–ისგან წარმოებულნი:

ძვ.ქართ. **სასაგ[ა]ნო** – „ასაბადი, ესე არს მშვილდოსანნი სადა ნიშანსა დასდებენ ისართა სასროლელად [სწავლებისათვის] ჳელის წაყრის სიმარჯვისათვის (წაყრისათვის მარჯვეობად); სასროლი ადგილი; ისართ სასროლად დადებული ნიშანი სიმარჯვის საწუართნელად; ისართ სასროლი დადებული ნიშანი<sup>1</sup>, цѣль [мѣта]; мишень; ვისრამიანი 145; ზედ. საგნისადმი საკუთვნელი; სასროლი ადგილი; -ასაბადი, мишень“;

ძვ.ქართ. **უსაგ[ა]ნო** – „ზედ. უბოლოვო ან უცოდინარი საგან ზედ სროლისა, ერისთ. 22, безцѣльный, немѣткий; მიზანს ამცილებელი“;

ძვ.ქართ. **უსაგანობა** – „საგანთ სროლა არ იცოდეს; საგანთ სროლის უცოდინარი (დიონის. 4,26); საგნისა არა ქონა, неимѣние цѣли, немѣткость; მიზანს აცილება“ (იხ.: სულხან-საბა I-II; სარჯველაძე 2001; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961).

ძვ.ქართ. **საგანი** და მისგან მომდინარე ზმნური ფორმები „მიზნის“ მნიშვნელობით დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“, მაგალითად:

→ „გული ძეს **საგნად** ისრისა, მესვრის საკრავად სამალი“, ანუ → ავთანდილი ეუბნება თინათინს: „ჩემი გული [სიყვარულის] ისრის **სამიზნედ** არის ქცეული“ (ვეფხისტყაოსანი 1992: 713.2);

→ „მშვილდოსანნი **გასაგანნა**, იტყოდინან: „შაბა, შაბა!“, ანუ → [მეფე ფარსადანმა] „მშვილდოსნებს **მიზანში ასროლინა**“ (ვეფხისტყაოსანი 1992: 373.4).

ძვ.ქართ. **განი**-სგან განსხვავებით, ქართულ დიალექტებში მოიპყრება როგორც „მიზნის“ სემანტიკის შემცველი **საგანი**, ისე მისგან წარმოებულნიც, მაგალითად:

<sup>1</sup> უნდა ითქვას, რომ სემანტემა „ნიშანი“ მართლაც ნიშანდობლივად აისახება „მიზნის“ სემანტიკის შემცველ ქართულ ლექსიკაში, შდრ. ზემოთ წარმოდგენილი: ძვ.ქართ. **განი** „საგანი, ნიშანი, მიზანი, знамение на стреляние; цѣль; мишень – კატელანტ. 23“ და ძვ.ქართ. **საგანი** – „ისრის (ისართ) ნიშანი; განი; მიზანი; цѣль, предмет; мишень; намерение (ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961; ჩუბინაშვილი ნ. I-II);

ახევე შდრ. ძვ.ქართ. **განიშენა** – „გავუმარჯვებ; მოვუმიზნებ, цѣлить, мѣтить, наводить на цѣль“, შდრ.: **ნიშანში ამოღება** – „მიხვედრება საგნისა (დამიზნება), попадать в цѣль“ (ჩუბინაშვილი დ. 1984), იხ. ზემოთ სათანადოდ დამოწმებული რუს. **Цѣль** „ნიშანი“, **Цѣльный** и **цѣльный** „მარჯვე, ნიშანში ამოიღები“, **Цѣлю**, нацѣлил „გავუნიშნავ, გავუმარჯვებ, მოვუმიზნებ“ (ჩუბინაშვილი ნ. I-II).

ხევს., ფშ., თუშ., **საგანი** – „სამიზნე; თოფის სამიზნე“, – „გორისპირს მე-  
თოფეები ტყვიას აძლევდნენ **საგანსა**“;

ფშ. **გასაგნვა** – „(გა)სროლა ისრისა, ჯოხისა“;

ხევს. **საგანს შახკრავს** – „მიზანში მოარტყამს“ (იხ.: შანიძე 1984: 386; ჭინ-  
ჭარაული 2005; ცოცანიძე 2002).

**3)** ძვ.ქართ. **პირი** – წმიდა დიონისე არეოპაგელის შრომათა ეფრემ მცი-  
რისეული თარგმანის (XI ს.) ღირსების თაობაზე საგანგებოდ აღინიშნება, რომ:

„წმ. დიონისე არეოპაგელისა და წმ. მაქსიმე აღმსარებლის მითითებულ  
შრომათა ენა **უადრესად რთულია**, მაგრამ **სინტაქსურად გამართული** და, შე-  
საბამისად, **ტექსტობრივად გასაგები**. ქართული თარგმანი შესრულებულია  
**დედანთან ზედმიწევნითი ტერმინოლოგიური თანხვედრის პრინციპით და**  
**სურვილით**. შესაბამისად, თარგმანიც, ორიგინალის კვალობაზე, სინტაქსურ-  
ტერმინოლოგიურად **რთულია**, მაგრამ, ლინგვისტურ კანონიკას დაქვემდებარ-  
ებული“ (დიონისე არეოპაგელი 1996: 3-4).

ამ ღირსების ერთ-ერთ თვალსაჩინო დასტურად გვესახება ეფრემ მცი-  
რის ძველქართულენოვანი არჩევანი, კერძოდ: არეოპაგელის შრომათა მთარ-  
გმნელმა „მიზნის“ გამომხატველი ბერძნული ტერმინი  $\sigma\tau\omicron\pi\acute{o}\varsigma$ -ის იმხანად არ-  
სებულ ძველ ქართულ შესატყვისთაგან (**განი, საგანი, პირი**) გამოარჩია  
ძვ.ქართ. **პირი**, რომელიც ამ თარგმანში სამი სემანტიკური ჯგუფის სახით  
წარმოჩნდება, შდრ.:

„**პირ-ი** [1] 13,11; 139,15 სახე, გამომეტყველება  $\pi\rho\acute{\iota}\sigma\tau\alpha\pi\omicron\nu$ ,  $\tau\acute{o}$ “.

„**პირ-ი** [2] 203,16; 110,27; 155,4 მიზანი, გეგმა  $\sigma\tau\omicron\pi\acute{o}\varsigma$   $\acute{o}$ <sup>1</sup>: რაჲ არს პირი  
სიტყვსაჲ 5,3  $\tau\acute{\iota}\varsigma$   $\acute{o}$   $\tau\omicron\upsilon\tilde{\nu}$   $\lambda\acute{\gamma}\omicron\upsilon\varsigma$   $\sigma\tau\omicron\pi\acute{o}\varsigma$ ; პირი საქმისაჲ 44,29, პირ ყოვლისა  
მღდელთ-მთავრობისა 119,31“.

„**პირ-ი** [3] ნარკვევი, მიმოხილვა  $\sigma\upsilon\nu\sigma\iota\psi\acute{\iota}\varsigma$ ,  $\epsilon\alpha\delta$ ,  $\eta$ : პირებსა საცნაურთა  
შემოკვრებენ 227,13  $\tau\omicron\sigma\iota\sigma\upsilon\tau\omicron\nu$   $\omicron\acute{\iota}$   $\lambda\acute{\gamma}\omicron\upsilon\iota$   $\tau\alpha\acute{\iota}\varsigma$   $\sigma\upsilon\nu\sigma\iota\psi\epsilon\sigma\iota$   $\tau\alpha\nu$   $\nu\omicron\iota\eta\tau\alpha\nu$ “ (იხ.: ფსევდო-  
დიონისე არეოპაგელი 1961: 281-282).

საკუთრივ ძვ.ქართ. **პირ-ი** ასევე პოლისემანტიკურია და ორ ათეულა-  
მდე მნიშვნელობას შემოიკრებს:

<sup>1</sup> ეფრემ მცირისეულ თარგმანში ერთგზის აღიბეჭდება **მიზნის** აღმნიშვნელი ბერძნ.  
ტერმინ  $\sigma\tau\omicron\pi\acute{o}\varsigma$ -ის კიდევ ერთი შესატყვისი – ძვ.ქართ. **წეს-ი** (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი  
1961: 23,18; 292): → „ხოლო ჩუენ, ვინაჲთგან **წესი სიტყვსა** ჩუენისაჲ წარმოვთქუთ აქა“, ანუ → „მას  
შემდეგ, რაც აქ ჩვენ მიერ **სიტყვის მიზანი** განიმარტა“;

მეორე მხრივ, შდრ.: „წესის“ აღმნიშვნელი ბერძნ.  $\kappa\alpha\upsilon\sigma\omicron\nu$ -ის სამშენებლო-ხუროთმოძღვ-  
რული არქაული ტერმინოლოგიური შესატყვისი – ძვ.ქართ. **გეგმი** (ჭელიძე 1996: 324-326) და ამავე  
სიტყვა-ტერმინის სალექსიკონო განმარტებანი: „**გეგმი** – „ესე არს რისა(დ)ც(ა) აღშენება ეწადოს,  
პირველ მოხაზოს მგავსება; ლაროს კრვა, გინა მოხაზვა: გეგმა, მონახაზი; კ ა ნ ო ნ ი, წ ე ს ო;  
შენობის მოხაზულობა; აღსაშენებელი ადგილის პირველ მოხაზული სახე,  $\mu\lambda\alpha\eta$ ,  $\phi\alpha\sigma\alpha\delta$ “; ასევე:  
ძვ.ქართ. **განგეგმ[ვ]ა** – „გამართვა; შექმნა; გეგმის (პროექტის, მაკეტის) გაკეთება“ (სულხან-საბა I-II;  
ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001);

შდრ.: ახ.ქართ. პოლისემანტიკური **გეგმა**, სემანტემით – „მიზანი“: „**გეგმა... 2.** გარკვეული  
მ ი ზ ნ ი ს მისაღწევად წინასწარ შემუშავებულ ღონისძიებათა პროექტი“, და ახ.ქართ. **გეგმიანი** –  
„გეგმის მქონე; გეგმით განსაზღვრული, განხორციელებული, გეგმით წინასწარ შემუშავებული“;

მსგავსადვეა ახ.ქართ. **ამოცანა**, სემანტემით – „მიზანი“: „**1.** ამოსაცნობი, გადასაწყვეტი,  
გადასაჭრელი საკითხი... **3.** მ ი ზ ა ნ ი, მიზანდასახულობა“ (ქეგლ 1950-1964; ქეგლ ახ.რედ.).

„პირველი; სიტყვიერობის (სათქმელის) კარი; ... პირუტყვთა ზედა არა ითქმის, არამედ სიტყვიერთა ზედა (იოანე დამასკელის კათილორიდან, თავი 27-ე); ტუჩი, დრუნჩი; განხმულემა ბაგეთა და შინაგანი მისი (ფსალმ. 16,2,4; 21,22); პირისახე (მათე 6,16); სახე; გამომეტყველება; გუამი განუკვეთელი, персона; მჭრელი იარაღის, დანის ან მახვილის პირი; თავი; რიგი; კიდე; წინა ნაპირი; ნაპირი; საზღვარი; ზედაპირი; წინამხარე; შესასვლელი; თვისება; სახეობა; განზრახვა; პირიქით; საპირისპირო; საწინააღმდეგო; სიტყვა; საქმე; ს ა გ ა ნ ი“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 1961: 281-282; დიონისე არეოპაგელი 1996: 5,4; სულხან-საბა I-II; სარჯველაძე 2001; იმნაიშვილი 1986; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961).

ამა თუ იმ ცნებისა თუ ტერმინის<sup>1</sup> საღვთისმეტყველო შინაარსსა და ჭეშმარიტ მნიშვნელობასთან დაკავშირებულ თარგმანებას წმიდა დიონისე არეოპაგელი, როგორც წესი, საკითხის დასმით შეუდგება, რაც საგანგებოდ აისახება კონკრეტული ნაშრომის შესაბამისი თავის სათაურშივე ან საკუთრივ თარგმანებაში. წმიდა ეფრემ მცირე „მიზნის“ სემანტიკის შემცველ ძვ.ქართ. ტერმინს **პირი** უპირატესად მოიმარჯვებს საღმრთო სახელდების, საღმრთო სიტყვისა და საქმის, ზეციერ დასთა და საეკლესიო იერარქთა დანიშნულებისა და მიზანდასახულობის განსამარტავად, მაგალითად:

საღმრთო სახელთა ღირსეულად და უცდომლად გაცნობიერებისა და მიღების მიზნით, წმიდა დიონისე გამოწვლილვით განგვიმარტავს საკუთრივ **საღმრთო სიტყვისა** და **კაცობრივი სიტყვის მიზანდანიშნულებას**, მაგრამ ამ საკითხს თავის შრომაში „საღმრთოთა სახელთათვს“ უკვე **თავი ა**-ს სათაურითვე დასვამს მოჭრით:

→ „რად არს **პირი სიტყვსად** და რად არს მოცემულ საღმრთოთა სახელთათვს“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 1961: 5,3), ანუ → „რად არის **სიტყვის მიზანი** და რად არის საღვთო სახელთა შესახებ გადმოცემა“ (იხ.: დიონისე არეოპაგელი 1996: 5,4).

მსგავსად ამისა, წმიდა დიონისეს შრომაში – „საეკლესიო მდღელთ-მთავრობისათვს“ – **თავი ა**-ს სათაურითვე მოინიშნება ღვთიებობებულის უმაღლესი საეკლესიო იერარქიული საფეხურის („**მღდელთ-მთავრობის**“) უზენაესობისა და მისი ჭეშმარიტი მიზნის რაობა-რაგვარობის გაცნობიერების აუცილებლობა:

→ „რად არს მღდელთ-მთავრობისა მოცემა<sup>2</sup> და რად არს **პირი** მისი“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 1961: 155,4), ანუ → „რად არის მღვდელთმთავრობა და მისი **მიზანი**“;

<sup>1</sup> როგორებიცაა, მაგალითად: საღმრთო სახელი, საღმრთო სიტყვა, საღმრთო საქმე; საღმრთო ცოდნა (ძვ.ქართ. **მეცნიერება**), საღმრთო ნათელი, საღმრთო ძალი, საღმრთო სიბრძნე, საეკლესიო საიდუმლონი, ლოცვა, სათნოებანი, ჭეშმარიტება; გონება; გული; ბოროტი; შური, უარის თქმა (ძვ.ქართ. **უკუ-თქუმა**) და სხვ. მრ.

<sup>2</sup> ძვ.ქართ. **მოცემა**, **მოცემული** – აქ: „ბომება, ბომებული“ (აბულაძე 1973) → ძვ.ქართ. „მღდელთ-მთავრობისა მოცემა“, ანუ – „ღმრთისგან ბომებული და ღმრთის მიერ ეკლესიაში დადგენილი მღვდელთმთავრობა, ეპისკოპოსობა“.



შდრ. შრომიდან – „ზეცათა მღდელთ-მთავრობისათჳს“, თავი ა:

→ „საწმარ უკუე არს. ვითარ ვჰგონებ<sup>1</sup>, პირველად ამისი წარმოთქუმად, თუ რასა პირსა ვჰგონებთ ყოვლისა მღდელთ-მთავრობისასა და თუ რად არს სარგებელი თითოეულისა ღმრთის მგალობელთა მათგანისა“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 1961: 103,16), ანუ → „ასე რომ, ვფიქრობ, ჯერ ის უნდა ვთქვათ, თუ რა მიზანს ვისახავთ მღვდელთმთავრობის სრულყოფისათვის ...“.

ასევე, იხ. არეოპაგელის შრომიდან – „თუ რად არს მღდელთ-მთავრობად ანუ რად არს სასყიდელი მღდელთ-მთავრობისა“, თავი გ:

→ „ხოლო პირ მღდელთ-მთავრობისა არს ღმრთისა მიმართი, რაოდენ მისაწდომელ არს მსგავსებად და ერთობად მისისა მქონებელობითა წინამძღუ-რად სამღდლოდსა კელოვნებისა და მოქმედებისა“ (ფსევდო-დიონისე არეო-პაგელი 1961: 110,27), ანუ → „ხოლო მიზანი მღვდელთმთავრობისა – ღმრთის-კენ სწრაფვაა...“;

შრომიდან – „სერაბინთათჳს და ქერობინთა და საყდართა და პირველი-სათჳს მათისა მღვდელთ-მთავრობისა“, თავი ზ:

→ „პირ ყოვლისა მღვდელთ-მთავრობისა არს ღმრთისა მსგავსისა ღმრთის სახეობისა შემშჳალულობისაგან განუზნეველ ყოფად, და განმრჩე-ველ ყოფად<sup>2</sup> ყოვლისავე მღვდელთ-მთავრობითისა მოქმედებისა“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 1961: 119,31), ანუ → „მიზანი სრულქმნილი მღვდელ-თმთავრობისა არის მთელი ძალისხმევით ზრუნვა ღვთის მსგავსებისთვის, და ყოველი სამღვდელთმთავრო საქმის გამორჩევა და განმსჯელობა“;

და კვლავ შრომიდან – „სადმრთო სახელთათჳს“, თავი დ:

→ „ყოველთა არსთა<sup>3</sup> პირსა საქმისასა დასაბამად და აღსასრულად კე-თილი აქუს (რამეთუ არა ბოროტისა ბუნებისა მიხედვითა ჰყოფს, რასა-იგი ჰყოფს)“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 1961: 44,29), ანუ → „ყველა არსებუ-ლის მიზნის თავი და ბოლო – სიკეთის ქმნაა...“.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ლექსემა პირ-ისგან წარმოე-ბულთაგან (200-მდე მაგალითიდან) რამდენიმე – „მიზნის“ სემანტიკის შე-მცველია, მაგალითად: პირიანი – „გამართლებული; მიზანშეწონილი“, პირობა – „რჩევა, გეგმის აწონ-დაწონა; მიზანი“<sup>4</sup> და სხვ.:

→ „შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყვედლად შენი ხლება,  
შეყრა არის პირიანი, ორთავეა რათგან ნება“.

(ვეფხისტყაოსანი 1992: 1104).

<sup>1</sup> ძვ.ქართ. გონება „ფიქრი; აზრი; ზრახვა“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

<sup>2</sup> ძვ.ქართ. შემშჳალულობა – აქ; „რამეთი შეპყრობა, მოცვა; რაიმეზე ზრუნვა“;

ძვ. ქართ. განუზნეველ-ყოფა – „ყურადღებინობა“;

ძვ. ქართ. განმრჩეველ-ყოფა – „არჩევა; შერჩევა; განმსჯელობა“ (იხ.: აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

<sup>3</sup> ძვ.ქართ. არს[ნი] „არსებულ[ნი]; მყოფ[ნი]; მყოფ[ნი] არსებასა შინა“ (იხ.: სულხან-საბა I-II; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961).

<sup>4</sup> შდრ. ძვ.ქართ.: პირობა – „განზრახვა, რჩევა, გეგმის აწონ-დაწონა; მიზანი; მიზან-დასახულობა; სიტყვის დასკვნა; გაძლოა“, ასევე: ძვ.ქართ. გაპირება – „საქმის დაწყების ნება“ (იხ.: სულხან-საბა I-II; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961).

→ „ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა, თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, **პირობა**“.

(ვეფხისტყაოსანი 1992: 1410).

### III. „მიზნის“ სემანტიკის შემცველ -**თვს**-თანდებულიანთა ლექსიკურ-სინტაქსური ფუნქციონირება:

ძველ ქართულში მოიპოვება ზემოთ განხილული „მიზნის“ სემანტიკის შემცველი ძვ.ქართ. **პირ**-ისგან<sup>1</sup> -**თვს** თანდებულის დართვით წარმოებული პოლისემანტიკური **პირის[ა]თვს** – „მიზანი; საგანი; ნიშანი“, და ძვ.ქართ. პოლისემანტიკური ლექსემა **პირის[ა]თვს** – „მიზანი; საგანი; ნიშანი“, და ძვ.ქართ. **ამის პირის[ა]თვს** – „1. ამ მიზანით, ამისთვის; 2. ამ მიზეზით, ამის გამო, ამიტომ“.

ნიშანდობლივია ამ ძველი ქართული ორწევრა სემანტიკური ერთეულის მეორე კომპონენტის მორფო-სემანტიკა, კერძოდ: **მიზნის** აღმნიშვნელ ძვ.ქართ. **პირ**-ზე -**თვს**-თანდებულის დართვით იწარმოება კვლავაც „მიზნის“ სემანტიკის შემცველი დამოუკიდებელი ლექსემა – **პირის[ა]თვს**, რომელიც უკვე ვითარცა ორწევრა შესიტყვების კომპონენტი – **ამის პირის[ა]თვს** – საგანგებოდ იმოსება **მიზეზისა** და **მიზნის** მრჩობლად გამომხატველი მორფო-სინტაქსური ფუნქციით.

საქმე ის არის, რომ ამგვარი მორფო-სინტაქსური ფუნქციონირება ძველ ქართულ ენაში მაღალი სიხშირით ხორციელდებოდა, და დღემდეც ნაწილობრივ მოქმედებს. ძველ ქართულში მოიპოვება ხსენებული **მიზეზისა** და **მიზნის** თავდაპირველი მრჩობლი მორფო-სინტაქსური ფუნქციონირების მქონე -**თვს**-თანდებულიანი ზმნიზედისა და კავშირის გარკვეული სემანტიკური ჯგუფი: **ამის[ა]თვს**, **მისთვს**; **ამის პირის[ა]თვს**, **ამის ჯერის[ა]თვს**<sup>2</sup>, და ამავე მრჩობლი სემანტიკის შემცველი თანდებულები: -**თვს** „«ძლით», «-გან», «გამო», შესახებ“ და -**გან** „«-თვს», «მიერ», «ძლით»“ (იხ.: აბულაძე 1973)<sup>3</sup>. ძველი აღთქმის წიგნში „ფსალმუნნი“ დადასტურებულ -**თვს**-თანდებულიანთა 90-მდე სინტაქსურ ერთეულთაგან ერთი მესამედით (35%-მდე) გადმოიცემა მოქმედების **მიზანი** (სამიზნე საგანი ან ობიექტი), დანარჩენით კი (65%-მდე) – მოქმედების **მიზეზი** (მოტივი ან მამოძრავებელი ძალა).

შესაბამისად: ჯრუჭ-პარხლისა და ადიშის ოთხთავებში იმავე -**თვს**-თანდებულიანთა 60-მდე სინტაქსურ ერთეულთაგან ერთი მეხუთედი (17%-მდე) მოქმედების **მიზნის** გამომხატველია, ოთხი მეხუთედი (83%-მდე) კი – მოქმედების **მიზეზისა**, შდრ.: ერთი მხრივ – „**ამ მიზნით, ამისთვის**“ (რა მიზნით? რისთვის?):

<sup>1</sup> საკუთრივ პოლისემანტიკური ძვ.ქართ. **პირის** ორ ათეულზე მეტი მნიშვნელობიდან (იხ. ზემოთ, გვ. 5-6), სემანტემა „მიზანთან“ ერთად, ყურადღებას იქცევს სემანტემა „საგანი“, რომელიც, როგორც ვნახეთ, ძველ ქართულ ენობრივ სივრცეში „მიზნის“ აღმნიშვნელი დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია.

<sup>2</sup> ასევე, ფრაგმენტულად -**გან**-თანდებულიანი **ამისგან**, **ამისგანად** „ამის გამო; ამისთვის“, **მისგანად** „მის გამო, მისთვის“ (აბულაძე 1973).

<sup>3</sup> შდრ.: ძვ.ქართ. **გამო** – „თანდებულები -**გან**; მიზეზით; გამოისობით; -ით; -იდან; «-თვს»“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

→ „და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რადთა გამოეცხადოს ისრაჴლსა, **ამისთვის** მოვედ მე წყლითა ნათლის-ცემად“ (მათე 1,32);

→ „ხოლო ვითაცა ესმა იესუს, თქუა: ესე სწეულებად არა არს სასიკუდი-  
ნე, არამედ **დიდებისათვს** ღმრთისა, რადთა იდიდოს ძე ღმრთისად მისგან“  
(იოანე 11,4);

და, მეორე მხრივ – „**ამიტომ, ამის გამო**“ (რა მიზეზით? რის გამო? რატომ?):

→ „და მოიციდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისად საფლავად უცხოთა. **ამისთვის**  
ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისად ვიდრე აქა დღედმდე“ (მათე 27,7-8);

→ „მხილებათა მიერ **უშუალოებისათვს** განსწავლე კაცი და დაადნვე,  
ვითარცა დედაზარდლისა ქსელი, სული მისი“ (ფსალმუნი 38,12).

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ის ლექსიკოგრაფიული არჩევანი, რომელიც **-თვის**-თანდებულისა განმარტებისას არაერთგვაროვნად აისახება ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, კერძოდ:

**-თვის** და **-გან** თანდებულებთან ერთად, ზემოხსენებული ლექსიკურ-სე-  
მანტიკური ერთეულები – **ამის[ა]თვის, ამის პირის[ა]თვის, ამის ჯერის[ა]თვის, მით, მისთვის** – ერთი მხრივ, **არ განიხილება** დამოუკიდებელ ლექსემებად, მეორე მხრივ კი, – როგორც ეს უკანასკნელნი, ისე – **ამისგან, ამისგანად, მისგანად** – წარმოდგენილია დამოუკიდებელ ლექსემებად, რომელთაგან ნაწილი (-თვის, მისგანად, მით, მისთვის) განმარტება **მრჩობლად: „1. ამისთვის, მისთვის; 2. ამის გამო, მის გამო“**, ხოლო დანარჩენი ნაწილი (ამის[ა]თვის, ამით, ამისგან, ამისგანად, ამის პირის[ა]თვის, ამის ჯერის[ა]თვის) განმარტება **ოდენ მიზეზის** გამოხატველად: „ამიტომ, ამის გამო, ამ მიზეზით“ (იხ.: აბულაძე 1973, სარჯველაძე 2001; სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი 2009; იმნაიშვილი 1975; სინური მრავალთავი 1959: 239,31)<sup>1</sup>.

**მიზეზისა** და **მიზნის** მრჩობლად გამოხატვის თვალსაზრისით, ძვ.ქართ. **ამის პირისათვს** საგულისხმოდაა აღბეჭდილი წმიდა გიორგი მთაწმიდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში – „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთემესი“, რომლის დასკვნით ნაწილში ავტორი წარმოაჩენს ბერძენთა სასტიკ, უკეთურ დამოკიდებულებას ათონის ივერთა მონასტერში მყოფ ქართველთა მიმართ, და გულმტკივნეულად შენიშნავს:

<sup>1</sup> „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველი რედაქცია არა მარტო ითვალისწინებს მიზნის კავშირის (ქართ. **ამისთვის**) სინტაქსური ფუნქციის მრჩობლობას, არამედ საგანგებოდ (გასაყოფი ნიშნით – ||) დაურთავს განმარტებით უწყებას მის მიერ მოქმედების **მიზეზის** უმართებულოდ გამოხატვის თაობაზე, შდრ.:

**„ამისთვის** – (-თვის-თანდებულისანი ნაცვალსახელი ა მ ი ს). **1.** ამის გულისთვის. ამისთვის არაფერს დაიბურებს. – ამისთვის არა ხარჯი არ დაზოგა (**ილია**). რა ფიცი მინდა ამისთვის? (**ვაჟა**). **2.** მიზნის კავში. **ამ მიზნით**. საგანგებოდ ამისთვის მოვედი, რომ ეს წიგნი გადმომეცა“. || ზოგჯერ შეცდომით ხმარობენ **მიზეზის** აღსანიშნავად“ – **ამიტომ**-ის ადგილას. ავად იყო. ამისთვის მეცადინებოა გაუცდა (უნდა კი ითქვას: **ამიტომ ... გაუცდა**)“ (ქეგლ 1950-1964).

შდრ. საკუთრივ თანდებულები: „**თვის** – **1.** გადმოსცემს დანიშნულებას, – (ვისიმე ან რისამე) გულისთვის; (რისამე ან ვისიმე) გ ა მ ო. წიგნი იყიდა შეილისთვის. – შენობა ააშენეს სკოლისათვის. – პასუხისგებაში მისცეს ჩადენილი დანაშაულისათვის“ (ქეგლ 1950-1964) და „**გამო** – თანდებული (იხმარება ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან): მიზეზით, მიზეზისათვის; ...-თ ვ ი ს. მის გ ა მ ო. – ამის გამო. – შენს გამო. – ჩემს გამო. – შორიდან სროლა... სიბნელის გამო არ შეიძლება (ლ.ქიაჩ.)“ (ქეგლ 1950-1964; შდრ.: ქეგლ ახ.რედ.).

→ „და **ამის პირისათვის**, რადთა ესევეითარი ესე ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევეითარსავე ჭირსა შთაცვვენ, **ამისთვის** ზოგადითა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შევკვრებით“ (გიორგი მთაწმიდელი 2011: 611).

ბერძენთაგან ქართველთა თავს დატეხილი „ბოროტი ჭირის“ სამხილებლად და მოსალოდნელი მსგავსი ბოროტებისგან თავის დასაღწევად, ავტორი მოიმარჯვებს **მიზეზისა** და **მიზნის** მრჩობლად გამომხატველ **თვის**-თანდებულისან მორფო-სინტაქსურ ერთეულებს – **ამის პირისათვის** და **ამისთვის**. მათაგან პირველი (**ამის პირისათვის**) მრჩობლად იტევს **მიზეზსაც**: → „ესევეითარი ესე ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა“ და **მიზანსაც**: → „ესევეითარი ესე ბოროტი... არა დავიწყებულ იქმნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევეითარსავე ჭირსა შთაცვვენ“.

აქ მრჩობლად შეზიარებული **მიზეზისა** და **მიზნის** გადამკვეთი სინტაგმა – „ესევეითარი ესე ბოროტი / ესევეითარსავე ჭირსა“, შდრ.: → „**ესევეითარი ესე ბოროტი**, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი **ესევეითარსავე ჭირსა** შთაცვვენ“, რომელსაც უშუალოდ მიემართება ამჯერად უკვე ძვ.ქართ. **მიზეზ-შედეგობითი** ორწევრა კავშირი – **ამის პირისათვის**.

რაც შეეხება მეორე მორფო-სინტაქსურ ერთეულს – **ამისთვის**, მას ამ კონტექსტში ეკისრება შემკრებლობითი, დამაგვირგვინებელი სინტაქსური დანიშნულება და მრჩობლადვე გვითითებს წმიდა ბერების შეკრების როგორც **მიზეზზე**, ანუ უკვე მოწეულ „ესევეითარ ბოროტებასა და ჭირზე“, ისე **მიზანზე**, ანუ ამ „ბოროტებისა და ჭირის“ მსგავსი განსაცდელისაგან თავის დაღწევაზე მომავალში. წმიდა მამა ამიტომ დასძენს ხაზგასმით: → „**ამისთვის ზოგადითა განზრახვითა** ყოველნი ძმანი ერთად შევკვრებით“, ანუ: „**ამ მიზეზითა და ამ მიზნით** შევიკრიბეთო ყველანი ერთად – ჩვენი საერთო საფიქრალით შეწუხებულნი“.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ამ ამონარიდის შინაარსის ახალ ქართულად გადმოცემა, სათანადო ლექსიკის გარდა, ითხოვს ამ შინაარსის სწორედ ამგვარ მორფო-სინტაქსურ გამოხატვას: → „და **იმისათვის**, რომ არ დავივიწყოთ ის ბოროტება, რაც ბერძენებმა დაგვაწიეს, და მომავალშიც რომ არ ჩავცვივდეთ ამგვარ გასაჭირსა და განსაცდელში, – **ყოველივე ამის გამოისობით**<sup>1</sup> შევიკრიბეთ ერთად ჩვენ, ყველა ძმა“.

ამავე თხზულებაში სხვა არაერთი მაგალითიც აღიბეჭდება, სადაც მორფო-სინტაქსური ერთეული [**ამის**] **პირის[ა]თვის** გამომხატველია, ერთი მხრივ, „მიზნისა“ – „**ამ მიზნით, ამისთვის**“ (რა მიზნით? რისთვის?), მაგალითად:

→ „შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვად, რამეთუ მე ვიცი, თუ **რომლისა პირისათვის** მიჰმოხენ“ (გიორგი მთაწმიდელი 2011: 572), ანუ → „არ შეიძლება ჩემი წასვლა მეფეთა წინაშე, რადგანაც ვიცი, **რისთვისაც, რა მიზნით, რომელი საქმისათვის** მიხმობენ“;

<sup>1</sup> შდრ.: „**გამოისობით** საუბ. ზმნს. (იხმარება წინამავალ ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან) მიზეზის გამო. მიზეზით. **გულისთვის; -თვის**“ (ქეგლ 1950-1964; ქეგლ ახ.რედ.).

→ „და **ამის პირისათვის** წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რადთა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი“ (გიორგი მთაწმიდელი 2011: 578), ანუ → „და **ამ მიზნით** მიაღწია ავიდოსს, რათა ესპანეთისაკენ მიმავალი ხომალდი მოემეზნა“;

და მეორე მხრივ, „მიზეზისა“ – „**ამიტომ, ამის გამო**“ (რა მიზეზით? რის გამო? რატომ?), მაგალითად:

→ „ვინაჲც ვევედრები ღირსებასა თქუენსა, ღმერთშემოსილნო მამანო, რადთა არა ბრალეულ ვიქმნე **ამის პირისათვის**“ (გიორგი მთაწმიდელი 2011: 567), ანუ → „ვინაიდან გევედრებით, ღირსეულნო ღმერთშემოსილნო მამანო, რათა არ დავისაჯო **ამის გამო, ამ საქმის გამო**“;

→ „მუნ ჟამადმდე ძნიად უზნობნ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ **ამის პირისათვის**“ (გიორგი მთაწმიდელი 2011: 584), ანუ → „იმ დრომდე ძლივს ლაპარაკობდა ქართულად და **ამ მიზეზით** ვიყავი შეწუხებული“.

**მიზეზისა** და **მიზნის** მრჩობლად გამომხატველი ძვ.ქართ. სინტაქსურ ერთეულთა **პირის[ა]თვის** და **ამის პირის[ა]თვის** სრული სინონიმია ძვ.ქართ. **ჯერ-ისგან**<sup>1</sup> ასევე **-თვის** თანდებულის დართვით ნაწარმოები – ძვ.ქართ. **ჯერის[ა]თვის** „მიზანი, მიზნით; მიზეზი, მიზეზით“ და ძვ. ქართ. **ამის ჯერის[ა]თვის** „ამ მიზნით, ამისთვის; ამის გამო, ამის მიზეზით“, შდრ.:

ერთი მხრივ, მნიშვნელობით – „**იმ მიზნით, იმისათვის**“:

→ „არა ესე არსა, რომელი-იგი ტყუენვიდა იერუსალჴმს შინა, რომელნი ხადოდეს სახელსა იესუმსსა, და აჟაცა **მის ჯერის[ა]თვისვე** მოსრულ იყო, რადთა კრულნი აღიყვანნეს იგინი მღდელთ მოძღუართა თანა?“ (იხ.: აბულაძე 1973)<sup>2</sup>, ანუ → „დამასკოს განცვიფრებული მკვიდრნი ახალმონათლულ წმიდა მოციქულ პავლეზე ამას ამბობენ: „განა ეს არ არის, იერუსალიმში მუსრს რომ ავლებდა იესო ქრისტეს სახელის მხმობელთ? აჟაც ხომ **იმ მიზნით, იმისთვის** მოვიდა, რომ შეეკრა და მღვდელმთავართათვის მიეგვარა ისინი?“;

მეორე მხრივ, მნიშვნელობით – „**რა მიზეზით, რის გამო**“:

→ „რომლისა **ჯერისათვის-მე** გუაშრომებს ჩუენ დედოფალი ესე?“ (სინური მრავალთავი 1959: 239,31), ანუ → „**რის გამო, რა მიზეზით** გვაშრომებს ამდებს ჩვენი დედოფალი?“.

<sup>1</sup> ძვ.ქართ. **ჯერ-ი**: „დრო; მიზეზი; გამო; რიგი; წესი; რიგი; ხვედრი; საქმე; მსგავსი, სახე“ (იხ.: იმნაიშვილი 1986; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი 2009; ჩუბინაშვილი ნ. 1961); შდრ.: ძვ.ქართ. **ჯერთაგან** „<-თვის>; გამო“ (აბულაძე 1973).

<sup>2</sup> ქართველ ლექსიკოგრაფს ძვ.ქართ. **ჯერ**-თან მოჰყავს საილუსტრაციო მასალა „საქმე წმიდათა მოციქულთაჲს“ a რედაქციის ტექსტიდან (9,21), რომელშიც დასტურდება „მიზნის“ მნიშვნელობის **ვე**-ნაწილაკდართული **-თვის**-თანდებულიანი **ჯერის[ა]თვისვე**. ხოლო გიორგი მთაწმიდისეულ რედაქციაშია ამავე მნიშვნელობის **-თვის**-თანდებულიანი **მისთვის** → „არა ესე არსა, რომელი-იგი ტყუენვიდა იერუსალჴმს შინა, რომელნი ხადოდეს სახელსა იესუმსსა, და აჟაცა **მისთვის** მოსრულ იყო, რადთა კრულნი აღიყვანნეს იგინი მღდელთ-მოძღუართა თანა?“ (აბულაძე 1973: 011; 019; ბიბლია 2015).

**IV. მიზეზისა და მიზნის** თავდაპირველი მრჩობლი ლექსიკურ-სინტაქსური ფუნქციონირების მქონე ძველ ქართულ ლექსიკატან დაკავშირებული რამდენიმე ექსტრალინგვისტური მონაცემი:

**მიზეზისა და მიზნის** თავდაპირველი მრჩობლი გამოხატული ლექსიკურ-სინტაქსური ფუნქციონირების პირველწყარო სამიებელია საკუთრივ **მიზეზისა და მიზნის** ექსტრალინგვისტური მონაცემებით აღბეჭდილ დეფინიციებსა და პოსტულატებში.

ა) ძვ.ქართ. **მიზეზო[ვ]ანი** (< ბერძნ. αιτιατόν τό): „მიზეზისაგან გამომდინარე, თავის თავში მიზეზის მქონებელი, შ ე დ ე გ ი“ (ძვ. ქართ-ძვ. ბერძნ. ლექსიკონი 2010)<sup>1</sup>.

ნიკო ჩუბინაშვილი ძვ.ქართ. **მიზეზოვანის** განსამარტავად მიმართავს იოანე პეტრიწისეული **მიზეზობრიობის** კონცეფციით ნასაზრდოებ სულხან-საბასეულ განმარტებას<sup>2</sup>, და საილუსტრაციოდ იმოწმებს ბერძნულიდან მომდინარე ტერმინ **მიზეზოვანის** წმინდა საღვთისმეტყველო (ლოგიკურ-თეოლოგიურ) დეფინიციას – „მიზეზი მიზეზისა მიზეზი არს მიზეზოვანისა“, შდრ.:

„**მიზეზოვანი წარმოი** მიზეზისაგან, произведение или действие, causatum (კულადად § 128, დადებ. 3). მიზეზი მიზეზისა მიზეზი არს მიზეზოვანისა причина причины бывает причиною или действия оной“ (ჩუბინაშვილი ნ. 1961: 281), შდრ.: „**მიზეზიანი, მიზეზოვანი**, ზედ. მიზეზის მქონე, причинный, винословный, содержащий в себе причину, ლოდიკ. 128; კატიდ. 65; კავშ. 100“ (ჩუბინაშვილი დ. 1984).

ამ სალექსიკონო განმარტებაში ხაზგასმით აისახება **მიზეზობრიობის** ამოსავალი დებულება ღვთივდადგენილი სამშემადგენლიანი „მიზეზობრივი კავშირის“ შესახებ – მისი უმაღლესიდან უდაბლესამდე **დაღმავალი** იერარქიით:

**მიზეზი მიზეზისა → მიზეზი → მიზეზოვანი,**

რაც წმიდა იოანე პეტრიწის მიერ უდაბლესიდან უმაღლესამდე **აღმავალი** იერარქიით მოგვეწოდება:

<sup>1</sup> „ძველქართულ-ძველბერძნულ ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებულ ლექსიკონში“ აღბეჭდილია ძვ.ქართ. **მიზეზო[ვ]ანის** რამდენიმე თვალსაჩინო ილუსტრაცია პროკლე დიოდოხოსის შრომათა იოანე პეტრიწისეული თარგმანებიდან, მაგალითად: „საჭირო არს, რამათა **მიზეზიანი** თან იქონებდეს მიზეზსა, ვითარ მის გამო მქონებელი არსებისაჲ (პრ., კავშ., პეტრ., 28; 24.12-13)“;

„ყოველი **მიზეზიანი** ჰგვის შორის მიზეზსა თვსსა და იწარმოებს მისგან და უკუნ-იქცევის მისდადვე. ხოლო ეგოს თუ ოდენ, არამთ განეყოს მიზეზსა, იყოს განუყოფელ მისგან (პრ., კავშ., პეტრ., 35; 27.29-34)“ (ძვ. ქართ-ძვ. ბერძნ. ლექსიკონი 2010).

<sup>2</sup> „**მიზეზოვანი წარმოი** შეისწავე, სამ სახედ განიც(ა)დების: პირველად თვისსა მიზეზსა შორის, რამეთუ პირველად (პირველ AB) წა(რ)მოყენებისა მიზეზსა შორის ეგოს მიზეზიანი“ [სქოლიოშია მითითება: „აღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (30-ე თავი II გვ. 79, 34-80, 4)“] (სულხან-საბა I-II).

**მიზეზოვანი ← მიზეზი ← მიზეზი მიზეზისა,**

შდრ.: „ყოველ **მიზეზოანზე** უზესთაესი – **მიზეზია**, ყოველ **მიზეზზე** უზესთაესი კი – **უმიზეზო** [ანუ **მიზეზი მიზეზისა**]“ (იხ.: იოანე პეტრიწი 1999: 62; ავალიანი 2016: 56).

ამ სამშემადგენლიანი მიზეზობრივი კავშირის უმაღლეს საფეხურზეა **მიზეზი მიზეზისა**, ანუ – ღვთაებრივი **პირველმიზეზი** და უზენაესი შემოქმედი ღმერთი ყოველივე არსებულისა, მათ შორის – მიზეზობრივი კავშირის მეორე **დადმაველ** იერარქიულ საფეხურზე მდგომი **მიზეზისაც** და მესამე **დადმაველ** იერარქიულ საფეხურზე მდგომი **მიზეზოანისაც**, რომელთაგან საკუთრივ **მიზეზი** – ღვთივმონიჭებული „შემოქმედი ძალისა და მოქმედების უნარის მქონეა“, ხოლო საკუთრივ **მიზეზოვანი** – წარმოებულია მისი წინამავალი **მიზეზისგან** (ავალიანი 2016: 55-56).

თავის მხრივ, მიზეზობრივი კავშირის ეს ორი შემადგენელი – **მიზეზი** და **მიზეზოანი**, მათი ოდენ წარმომავლობის ნიშანდებიდან გამომდინარე, – ასევე იმ ერთად აღებულ სიმრავლედ განიხილება, რომელიც წმიდა იოანე პეტრიწის მიერ სახელდებულია ტერმინით **მიზეზო[გ]ანნი**, ანუ „პირველი მიზეზიდან წარმოშობილნი და **მისი** მქონენი“<sup>1</sup>, შდრ.: „ყველა დანარჩენი მიზეზი „მიზეზოანებია“, ანუ **პირველი მიზეზის შედეგებს** წარმოადგენს, და მისგან არის ნაწარმოები“ (იქვე).

ღვთაებრივი მიზეზობრივი კავშირის ზემოთ წარმოდგენილი პეტრიწი-სეული თარგმანების გათვალისწინებით, სარწმუნოდ წარმოჩნდება ამ ორი შემადგენლის – **მიზეზისა** და **მიზეზოვანის** მიერ საკვირველად აღბეჭდილი მრჩობლი ლექსიკურ-სემანტიკური ფუნქციონირება, შდრ.:

ერთი მხრივ, **მიზეზი** არის **მიზეზთა მიზეზისგან** ქმნილი „შედეგიც“ და **მიზეზოვანის** წარმომშობი „მიზეზიც“, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთრივ **მიზეზი** თავის თავში მრჩობლად შეიცავს „მიზეზსაც“ და „შედეგსაც“;

მეორე მხრივ, **მიზეზთა მიზეზისგან** ქმნილი **მიზეზოვანიც** ასევე მრჩობლად შეიცავს „მიზეზს, მიზეზის მქონეობასაც“ და „შედეგსაც“, ვითარცა საკუთრივ **მიზეზისგან** ნაწარმოები.

ასე რომ, ქართველ ლექსიკოგრაფთა მიერ შემოთავაზებულ სალექსიკონო განმარტებათა გათვალისწინებით, ბერძნ. αιτιατόν τό-ის შესატყვისი ძველი

<sup>1</sup> ტერმინ **მიზეზ-ოვან**-ის მორფო-სემანტიკასთან დაკავშირებით, საყურადღებოა **ოვან**-მაწარმოებლის სემანტიკური მრავალფუნქციონირება ძველ ქართულში, კერძოდ: ვარდა სიმრავლისა (მრავალთა ქონებისა) და საგნის კრებულისა (ძვ.ქართ.: **ნერგ-ოვან-ი** „ხშირი ტყე“, „**ნამ-ოვან-ი** „ნამებთან ადგილი“, **ნიგუზ-ოვან-ი** „ნიგუზ-ნარი“...), –**ოვან** სუფიქსი თვისებისა და მსგავსების გამოხატველიცაა, უმთავრესად – მწიგნობრულ მეტყველებაში (შდრ.: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა **კლდოვანი**“ [ვეფხისტყაოსანი 1992]). საგულისხმოდ აღინიშნება ისიც, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგში –**ოვან**-სუფიქსი განსაკუთრებით „ცნებების აღმნიშვნელ ტერმინთა შესაქმნელად“ გააქტიურდა, ამასთან – სწორედ თვისებისა და სისტემური სიმრავლის მრჩობლად თანაზიარისემანტიკით: მაგ.: **მრგლ-ოვან-ი**, **თანხმ-ოვან-ი**, **ხმ-ოვან-ი**, **მარცვლ-ოვან-ი**; **კუნთ-ოვან-ი**; **ხრტილ-ოვან-ი**; **წახნაგ-ოვან-ი**... (იხ.: ტუსკია 1993:123-125; ჯიბუტი 1993: 171-172).

ქართული საღვთისმეტყველო ტერმინი **მიზეზო[გ]ანი** არის: „პირველი მიზეზის-გან გამოდინარე შედეგი“, ანუ – „მიზეზისა“ და „შედეგის“<sup>1</sup> მრჩობლად მქონე.

**ბ)** უაღრესად საგულისხმოდ გვესახება წმიდა პავლე მოციქულის სწავლება ღვთაებრივი **პირველმიზეზის** სრულყოფილების შესახებ – **ჰემმარიტი მიზეზისა** და **ჰემმარიტი მიზნის** შეცნობის ღვთივდაწესებულ საქმეში:

„რამეთუ უხილავნი იგი მისნი დაბადებითან სოფლისადთ ქმულთა მათ შინა საცნაურად იხილვებიან – სამარადისოდ იგი ძალი მისი და ღმრთეებად“ (რომაელთა მიმართ 1,20), ანუ – წმიდა მოციქული ბრძანებს: „მისი [შემოქმედი ღმერთის] უხილავი სრულყოფილება, წარუვალი ძალა და ღვთაებრიობა, ქვეყნიერების დასაბამიდან, მისსავე ქმნილებებით შეიცნობა და ხილული ხდება“.

ამ ახალაღმოჩენილ უწყებაში – „სამარადისოდ იგი ძალი მისი“ – ის უხილავი მარადიული ძლევამოსილებაა, რომელიც ჩვენ, კაცთა, ღვთის მიერ ქმნილი ხილული მრავალსახე სამყაროს მეშვეობით უნდა შევიცნოთ, მის „ღმრთეებით“ კი უნდა ვიგულოთ ღვთაებრივი სათნოებანი: სიბრძნე, სიკეთე, სამართლიანობა, სიწმინდე...<sup>2</sup>.

წმიდა პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში შემოქმედი ღმერთის იმ კეთილ ნებას განგვიცხადებს, რომლის მეოხებითაც ჰემმარიტიზის მაძიებელმა უზეშთაესი ღვთაებრიობა უნდა განიცადოს – გულისყურით, და განჭვრიტოს – გონებისთვალთ, რათა ყოველთა **პირველმიზეზი** განასხვავოს საწუთისოფლო მიზეზისგან, და ამ სარწმუნო გზით შეიცნოს, თუ რა არის ღვთის მიერ ქმნილ სამყაროში **ჰემმარიტი მიზეზი** და რა – **ჰემმარიტი მიზანი**, რამეთუ: „ყოველივე ღმრთისაგან არს“ (1 კორინთელთა მიმართ 11,12; იხ. ლოპუხინი 1911-1913: 409-410); შდრ.:

„სამყარო მხატვრული ქმნილებაა, რომლის ჰვრეტაც ყველას შეუძლია, და რომლის მეშვეობითაც შემოქმედის სიბრძნე შეიცნობა“ (ბასილი დიდი 2002: 212).

<sup>1</sup> შდრ.: ძვ.ქართ. **შედეგი** – „მორე; შემდეგი, შემდგომი; შესრულება ნაკლებისა“ და ძვ.ქართ. **შედეგინება** – „განგრძობა შედეგისა“ (სულხან-საბა I-II; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001). შდრ.: რუს. **следствие** „შედგომილება, შედგინება. დატკიცება. || გამოძიება, გამოჩხრეკა. **Вследствие чего** რომლისგანამო, ამისგანამო“ (ჩუბინაშვილი ნ. I-II).

**შედეგისა** და **მიზნის** ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, ყურადღება იქცევს თომა აქვინელის „Summa Theologica“-ში ჩაწერილი 5 მტკიცებულება რწმენის (თეიზმის), ანუ ღმერთის არსებობის შესახებ, რომელთაგან მე-5 – ტელეოლოგიური მტკიცებულება, რომელიც: „გამომდინარეობს სამყაროს მოწყობიდან. მაგალითად, ბუნებრივი სხეულები ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის მიისწრაფვიან რაღაც მიზნისკენ, რათა მიაღწიონ საუკეთესო შედეგს (უმალეს ინტელექტს)... ის, ვისაც ცოდნის ნაკლებობა აქვს, ვერ დაიწყებს უმალესისკენ სვლას, თუკი მას ბიძგი არ მისცა იმან, რომელსაც ეს ცოდნაც და ინტელექტიც მოეპოვება, მსგავსად იმ ისრისა, რომელიც ნიშნულსკენ მიიწევს, თუმცა ეს ისარი – მშვილდოსნის მიერაა ნასროლი. ასე რომ, უნდა არსებობდეს ინტელექტუალური არსება, რომლისგანაც ყველა სხეული მიმართულია მიზნისკენ. და ეს ის არსებაა, რომელსაც ღმერთს ვუწოდებთ“ (თომა აქვინელი 2011); იხ. ასევე ეპისკოპოსი გაბრიელი: §72. მოკლე შენიშვნა მიმართებების ცნებათა შესახებ.

<sup>2</sup> შდრ.: „რამეთუ მას შინა [ქრისტეს შინა] დამკვდრებულ არს ყოველივე სავსება ღმრთეებისად ჯორციელად“ (კოლასელთა მიმართ 2,9).



**გ) ღვთაებრივი მიზეზისა და ღვთაებრივი მიზნის** თავდაპირველი თანაარსობის საღვთისმეტყველო შინაარსი ასევე აღიბეჭდება ძველადღებულ-საქმიანო უწყებებში „სოფლის შესაქმის“ შესახებ.

წმიდა მამათა აღიარებით, ყოვლისშემძლე შემოქმედი ღმერთი ერთდროულად ჰქრეტდა „სოფლის“ შესაქმის **მიზეზსაც** და **მიზანსაც**, რაზეც „შესაქმის“ წიგნში რამდენიმეგზის გვითითებს სინტაქსურად შეწყვილებული – „**თქუა**“ და „**იქმნა**“: „და **თქუა** ღმერთმან ... და **იქმნა** ეგრეთ ...“ (შესაქმე 1: 3-15; 19-31).

ორივე ზმნური ფორმა („თქუა“ და „იქმნა“) – ანუ საღმრთო **სიტყვა** და საღმრთო **საქმე**, ერთმანეთის მიმართ სრული შესატყვისობა და იგივეობაა, რამეთუ, როგორც წმიდა გრიგოლი ნოსელი განგვიმარტავს: „სიტყუად ღმერთისად – საქმე არს, და ყოველივე დაბადებული სიტყვთა მისითა დაიბადების“ (გრიგოლი ნოსელი 1989: 207; შდრ. ფსალმუნნი 32,9), რაც იმას ნიშნავს, რომ ნივთიერი სოფლის „მყისსა შინა“ დაბადებისას **თანადროულად ხორციელდება ღვთაებრივი მიზეზიც** და **ღვთაებრივი მიზანიც** (იხ.: გრიგოლი ნოსელი 1989: 348-349; თეოფილაქტე 2000; ლოპუხინი 1904-1907).

**დ) მიზეზისა და მიზნის** თავდაპირველი მრჩობლად თანაარსებობის კიდევ ერთ საგულისხმო ექსტრალიბგვისტურ ნიმუშად გვესახება მუცლადღებული დედის წიაღში დავანებული ნაყოფის „საღმრთო-საწუთისოფლო“ ხატება:

დედის წიაღში ნაყოფის აღმოცენებით (მუცლადღებით) მრჩობლად აღიბეჭდება მუცლადღების **ღვთაებრივი მიზეზიც** და **ღვთაებრივი მიზანიც**, ანუ ღვთის ნება და განგება – ეს შვილი ამ დედისგან იშვას.

ამასთან, აქ **კაცობრივი მიზეზი** – მუცლადღებული დედაა, **კაცობრივი მიზანი** კი ცხადდება თავად მუცლადღებულის ნებით – შვას ან არ შვას შვილი. სწორედ ღვთაებრივ და კაცობრივ ნებათა (resp. მიზეზთა) კეთილნაყოფიერი სინერგიით („მიზეზითა ყოველთა მიზეზისადათა“) განხორციელდებული კაცობრივი **მიზანია** სათნო – ღვთისათვის, და კეთილი – კაცთათვის, რამეთუ – იშვება ღვთის შვილი!

**მიზეზისა და მიზნის** თავდაპირველი მრჩობლობითი თანაარსებობის ამსახველ ექსტრალინგვისტურ მონაცემებად ასევე შეიძლება შეირაცხოს: **მიზანი ↔ საშუალება; მიზანი ↔ თვითმიზანი; სული ↔ ხორცი; დრო ↔ სივრცე; ჰორიზონტალი ↔ ვერტიკალი (→ ჯვარი); ერთი ↔ მრავალი**; და სხვ.

### ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“, თბილისი.

**ავალიანი 2016** – სერგი ავალიანი, იოანე პეტრიწი მიზეზობრიობის შესახებ. – სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი „რელიგია“, №3, გვ. 52-57.

**ანდრონიკაშვილი 1996** – მზია ანდრონიკაშვილი, II. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი.

**ბალაგარიანი 1957** – ცხორებად ნეტარისა იოდასაფისი, მისა აბენეს ჰინდოთა მეფისად, რომელი მოაქცია ნეტარმან მამამან ბალაჰვარ მოძღუარმან: ბა-

ლავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი.

**ბარანოვი 1977** – X. К. Баранов, Арабско-Русский Словарь, Москва.

**ბასილი დიდი 2002** – კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი, ფსალმუნთა განმარტებანი, ჰომილიები ექვსი დღისათვის; ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, მეორე გამოცემა, თბილისი, გვ. 205-318.

**ბერიძე 1942** – ვუკოლ ბერიძე, „საგან სიტყვის ეტიმოლოგიისათვის“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახ. მეცნიერების განყოფილების VI სამეცნიერო სესია, 24-25. IV. თბილისი.

**ბიბლია 2015** – ყველა არსებული რედაქციისა და და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი.

**გრიგოლი ნოსელი 1989** – წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა და პეტრეს მიმართ ძმისა თვისისა პასუხი ექუსთა მათ დღეთათვს, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1989, გვ. 194-412.

**გიორგი მთაწმიდელი 2011** – წმიდა გიორგი მთაწმიდელი, „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“. – ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ორიგინალური ტექსტები და თარგმანები ახალქართულად, მეორე გამოცემა, თბილისი, გვ. 566-618.

**დამასკელი 2000** – წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისი.

**დიონისე არეოპაგელი 1995** – თანახუცეს ტიმოთეს დიონისე ხუცესი, საღვთო სახელთა შესახებ (თავი I), მაქსიმე აღმსარებლის კომენტარებითურთ. ძველი საეკლესიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა №3, „გზა სამეუფო“, №1, რედაქტორი ედიშერ ჭელიძე, თბილისი, გვ. 5-38.

**ეპისკოპოსი გაბრიელი** – წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, რუსულიდან თარგმნეს: ო. ტაბიძემ, თ. ბუაჩიძემ, ვ. გოგობერიშვილმა, იხ.: <http://www.orthodoxy.ge/fsiqologia/gabriel/sarchevi.htm>

**ვეფხისტყაოსანი 1992** – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, რედაქტორი ალ. ჭინჭარაული, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

**თეოფილაქტე 2000** – ნეტარი თეოფილაქტე, იოანეს სახარების განმარტება, მოსკოვი (რუსულ ენაზე).

**თომა აქვინელი 2011** – თომა აქვინელი, 5 არგუმენტი ღმერთის არსებობის სასარგებლოდ, იხ.: <https://charlius.com/2011/06/17/quinqve-via/>

**იმნაიშვილი 1975** – სინური მრავალთავი. გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი.

**იმნაიშვილი 1986** – ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი.

**იოანე ოქროპირი 1993** – წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, 1, თბილისი.

**იოანე პეტრიწი 1999** – განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღვთისმეტყველების საფუძვლებისა“ იოანე პეტრიწისა, თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დამანა მელიქიშვილმა. თბილისი, 336 გვ.

**ლოპუხინი 1904-1907** – Толковая Библия, А.П.Лопухина, I, Петербург.

**ლოპუხინი 1911-1913** – Толковая Библия, А.П.Лопухина, 3, Петербург.

**მელიქიშვილი 1993** – დამანა მელიქიშვილი, ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების ზოგადი პრინციპები და ფილოსოფიურ ტერმინთა სისტემატიზაცია გელათის სკოლაში, კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ტ. X, თბილისი, გვ. 189-217.

**სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი 2009** – „ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი“, ეძღვნება აკაკი შანიძის 120 წლის იუბილეს; შეადგინეს: ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და ჭთეიმურაზ მეტრეველმა, თბილისი.

**სარჯველაძე 2001** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

**სინური მრავალთავი 1959** – სინური მრავალთავი 864 წლისა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, სასტამბოდ მოამზადეს კათედრისწევრებმა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი.

**სულხან-საბა I-II** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991; II, 1993.

**ტუსკია 1993** – სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციები და შეხამებადობა სახელურ ფუძეთა სემანტიკური დაჯგუფების მიხედვით. – კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ტ. X, თბილისი, გვ. 118-168.

**ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 1961** – პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბილისი.

**ქეგლ 1950-1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. I-VIII, თბილისი.

**ქეგლ ახ.რედ.** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, მთავარი რედაქტორი ავთანდილ არაბული, ტ. I, ა-ბ., 2007; ტ. II, გ., 2010; ტ.; III, დ., 2015. თბილისი.

**ყიფშიძე 1914** – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка. Мингрельско-русский словарь, Санкт-Петербург.

**შანიძე 1972** – აკაკი შანიძე, ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის, თბილისი.

**შანიძე 1984** – აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, ქართული კილოები მთაში, ტომის რედაქტორი შოთა ძიძიგური, თბილისი.

**შეერთებული ლექსიკონი 2008** – ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, შემდგენელი გრიგოლ რუხაძე, თბილისი.

**შენგელია 2004** – ვაჟა შენგელია, ქართველური **გა/გან** და აფხაზური **აგა**, არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 63-ე სამეცნიერო სესია, ეძღვნება პოეტ-აკადემიკოს ანა კალანდაძეს, თბილისი.

**ჩუბინაშვილი დ. 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუბინაშვილი ნ. 1961** – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი.

**ჩუბინაშვილი ნ. I-II** – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, I.–1971, II.–1973., აღ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი.

**ცოცანიძე 2002** – გიორგი ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი.

**ძვ. ქართ-ძვ. ბერძნ. ლექსიკონი 2010** – ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი. – Old georgian-greek documented dictionary of philosophical-theological terminology. (მასალები). ქართველო., ჰუმანიტ. და სოც. მეცნ. ფონდი რუსთაველის ფონდი; პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. დამანა მელიქიშვილი; პ/მგ რედ. ანა ხარანაული, ბერძნ. ტექსტის რედ.: ლევან გიგინეიშვილი, ვიქტორია ჯუღელი, I გამოც., თბილისი. – იხ.: [www.nplg.gov.ge/gwdict](http://www.nplg.gov.ge/gwdict)

**ჭელიძე 1996** – ედიშერ ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, სვეერიანე გაბალოვნიელის „ექუსთა დღეთა“-ს უძველესი ქართული თარგმანის საფუძველზე, „მეცნიერება“, თბილისი.

**ჭინჭარაული 2005** – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1925** – ივანე ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წ. III, ნაკვ. I, თბილისი.

**ჯიბუტი 1993** – -იან, -ოვან, -ა სუფიქსთა ფუნქციისათვის ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში. – კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ტ. X, თბილისი, გვ. 169-216.

## MEDEA GHLONTI

### *mizani* “Goal” in Old Georgian (Old Geo.: *gani*, *sagani*, *piri*)

#### S u m m a r y

The present paper deals with three old Georgian polysemantic lexical units denoting the concept of “goal”: *gani* – “goal; subject; sign”, *sagani* – “width; goal; sign; target; aim”, *piri* – “goal, plan”, as well as the lexemes derived from them and several lexemes having the postpositions *-twis* and *-gan*, e.g., *amis piri[s/a]twis*, *amis žeris[s/a]twis*, *mistwis*; *amisganad*, etc., their morpho-semantics and peculiar lexical-syntactic functioning.

We present the correspondences of these lexical units from the lexical supply of the Georgian dialects and the samples from the old Georgian synonymous vocabulary, and some extralinguistic data related to them (*mizezi* and *mizezovani*, *mizezi* and *mizani*, *mizani* and *šedegi*, etc.).

ნატო შავრეშიანი, მედეა საღლიანი, ლელა გიგლემიანი

**უარყოფითი კონოტაციის მქონე ემოციური  
შორისდებულებისათვის სვანურში**

შორისდებულთა ჯგუფებად დაყოფა პირობითია, რადგან შეიძლება ერთი და იგივე შორისდებული სხვადასხვა გრძნობისა და განცდის გამომხატველი იყოს, რაც ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ინტონაციით, წინადადების კონტექსტით და შეიძლება შესტ-მიმიკითაც. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც ხდება მათი დაყოფა სამ ძირითად ჯგუფად – *ექსპრესიული, იმპერატიული, ფიცილის ფორმულები*, რომელთაც თავის მხრივ გააჩნიათ კიდევ ქვეჯგუფები. აღნიშნული ჯგუფები პირობითად სვანურშიც გამოიყოფა და საკმაო მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. ზოგიერთი მათგანი საერთოა არა მარტო სვანური დიალექტებისათვის, არამედ – ქართულთანაც, ვინაიდან დასტურდება ქართულის გზით შემოსული ფორმებიც.

ამჯერად წარმოვადგენთ **გაწერომა-დატუქსვისა და დამუქრების, დაცინვა-ნიშნისმოგებისა და ზიზღის** გამომხატველ ემოციურ შორისდებულებს სვანურის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის) და ჩოლურული მეტყველების ნიმუშების გათვალისწინებით.

როგორც ცნობილია, შორისდებულებს ხშირად თან ახლავს გრამატიკულად გაფორმებული წინადადება, რომელიც შორისდებულის ემოციას უფრო მეტ ელფერს სძენს და აზუსტებს მის მნიშვნელობას. ჩვენ მიერ განსახილველ შორისდებულებსაც თან ახლავს განმვრცობი წინადადებები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს მათგანში წინადადების დაურთველადაც აშკარად ჩანს ის უარყოფითი კონოტაცია, რომელიც თან სდევს თითოეულ მათგანს.

1. **გაწერომა-დატუქსვისა და დამუქრებისა:** {**ტო**}, **შაჟ სი** (ბქ.), **ტო, შაჟ სია/ჯაა** (ლშხ., ჩოლ.) „[ვაი], შე საწყალო (ზედმიწ. – ვო, შაგ-ი შენ/თვითონ, შდრ. ქართ. (გურ.) ვო „იგივეა, რაც ო! ოჰ!)“; **ლუცხტლე სი/ლუცხტლე ისგუ ბედ** (ბქ.) „შე საწყალო (ზედმიწ. – შეტრუსული/დამწვარი შენ/შეტრუსული/დამწვარი შენი ბედ-ი)“; **საბრალ სი[ა]** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „შე საწყალო (ზედმიწ. – საბრალ-ო შენ)“; **ატ/ატკვ** (ზს., ჩოლ.), **ატკ** (ჩოლ.) „მოიცა; დაიკარგე, გამეცაღე“; **ჰატ** (ზს., ქს.) „ჰაიტ“; **ა** (ბქ., ლნტ.), **ა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ა[ჰ]“; **ო** (ზს., ქს.), **ო** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ოო“; **ტაი/ტუი** (ზს., ქს.) „ვაი/ვუი“; **ცოხ/ცაჰ** (ზს., ქს.)

„ოჰ/აჰ“; **ე** (ზს., ქს.), **ე** (ზზ., ლზზ., ჩოლ.) „ე“; **აია/ა** (ჩოლ.) „აი“; **ეცე** (ბქ.), **აფე/აფე** (ჩოლ.) „მოიცა/დამაცადე; გაიწიე“; **თატატ** (ჩოლ.) „ატატატ“; **ლოდ/ლო** (ჩოლ.) „მოიცა/მაცადე (ზედმიწ. – მერე)“; **ალტე** (ბქ.), **ალო/ალო** (ბქ., ჩოლ.) „მოიცა/მაცადე (ზედმიწ. – აბა)“; **ჰე** (ზს., ქს.) „ე“; **ჰომ** (ჩოლ.) „ვაი (ზედმიწ. – ოი)“...

### საილუსტრაციო მასალა

#### ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი:

**ტო**, საბრალ სი, ხოლა ლიმნრ ერ ჯიჩუმნა! (სვ. პრ. ტექსტ., 1939:74) „ოჰ, შე საწყალო, ცუდი კაცობა ჩაგიდენია (ზედმიწ. – ო, **საბრალ**-ო შენ, ცუდი კაცობა რომ \*გიქმნია)“

**ატკვდ**, საბლუ, ალა ჰამა ორა მიშგუა თერლე ჟაგბრ?! (იქვე:163) „გაჩერ-დით/მოიცათ, საცოდავებო, ეს როგორ იქნება ჩემი თვალების წამალი (ზედმიწ. – მოიცათ, **საბრალ**-ო-ებ-ო, ეს როგორ იქნება ჩემი **თვალ**-ებ-ის წამალი?!)“

**ჰაბ**, მიჩა ხოლა წეჭურ-მეძბურ ესერ! (იქვე:269) „ჰაბიტ, ჩემო მწევარ-მეძებრებო (ზედმიწ. – **ჰაბიტ**, მისი ცუდი **მწევარ-მეძებარ**-ო-ო!)“

**ა**, თტელ ესერ მნმა ხოზ ი ჩტუ ესგურდა (იქვე:237) „ოჰ, ტვინი არ გაქვს და დაჯექიო (ზედმიწ. – აჰ, **ტვინ**-ი-ო არა უ-მ-ევ-ს და დაჯდამცაო)“

**რ**, სი პილწიან, მი გიერგი გეზალ ხუტი ი სი ჩტეჯხროლი! (იქვე:185) „ო, შე წაბილწულო, მე გიერგის შვილი ვარ და შენ დაგხვდები (ზედმიწ. – ო, შე **ბილწ**-იან-ო, მე **გიერგ**-ის შვილი ვარ და შენ დაგხვდები!)“

**ყაჰ**, – რჭტუ ათხე ჰაბიგუდ, – ჯა ესერ ლეჰბათუ ლი, მეშხა კოჯბრთე ესერ მოდ აჩეს! (იქვე:266) „აჰ, – თქვა ახლა ჰაბუკმა, – დაწყველილი ვიყო, თუ შავ კლდეებში არ წავიდეო (ზედმიწ. – აჰ, – თქვა ახლა **ჰაბუკ**-მა, – თვითონო დაწყველილიმც არის, შავი კლდეებ[ის]კენო არ წავიდე!)“

**ჰე**, ისგუა კინჩხს დაშნაძმუ ქწჯკუნანე! (იქვე:227) „ჰე, დაშნით კისერს მოგაჭრიო (ზედმიწ. – ჰე, შენ[ს] **კინჩხ**-ს **დაშნ**-ით გაგაგდებიანბ!)“...

#### ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი:

**ატ**, ჯი მუქუნია, ამეჩუ პრდა ჯი?! (სვ. პრ. ტექსტ., 1957:114) „ჰაბიტ, შე სადაგელო, აქ ხარ (ზედმიწ. – **ჰაბიტ**, თვითონ სუნიანი, აქ არის თვითონ?!)“

**ა**, მუქუნია, ქაიჯ ნომანგე, ოდო მეშხე ლადელიჯ ჯარ! (იქვე:186) „აჰ, სადაგელო, არ გამოხვიდე-თქო, თორემ შავი დლე დაგადგებათქო (ზედმიწ. – აჰ, სუნიანო, **ნუ**-არ გამოხვიდე-თქო, თორემ შავი **დლე**-თქო გაქვს!)“

**შაჟ სი**, **ა**, ხეწდენი, შოლუ ჯანყრის ამლა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ლალი საღლიანი, სოფ. ცხუმარი, 55 წლისა) „შე საწყალო, ნახავ, მაგის გამო რა გიქნან (ზედმიწ. – **შავ**-ი შენ, აი, დაინახავ, რამცა დაგმართონ ამისთვის!)“

**ლუცბტლე სი**, ადამდ ეჯთხანი ი ეჩქას ოგუერი! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზოია საღლიანი, სოფ. ცხუმარი, 62 წლისა) „შე საწყალო, კიდევ გადაგეყრები და მაშინ გაჩვენებ სეირს (ზედმიწ. – დამწვარი/შეტრუსული შენ, კიდევ/ისევ გადაგეყრები და მაშინ გვექნება!)“

**ლუცბუღე ისგუ ბედ**, ხეწდენი, ამლა მოღუ ჯაყრის ისგომუდ! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ჯოტო სადლიანი, სოფ. ცხუმარი, 78 წლისა) „შე საწყალო, ნახავ, ამის გამო რას გიზამს მამაშენი (ზედმიწ. – დამწვარი/შეტრუსული შენი **ბედ**-ი, დაინახავ, ამისთვის რამცა დაგმართოს შენ[მა] **მამა**-მ!)!“

**ეექე**, ეთეყ ხოლემიშ ლიზრენეს, ედო მოად ხანისგა მგ სი ჯეშუალნი, ეჯგუშარ დრეუ ჯარ ბაცს! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ჯოტო სადლიანი, სოფ. ცხუმარი, 78 წლისა) „მოიცა/გაჩერდი, თავი დაანებე ცუდ ქმედებას/საქციელს, თორემ ცოტა ხანში ყველა შენზე ილაპარაკებს, იმისთანა დრო დაგიდგება (ზედმიწ. – მოიცა/გაიწი, შეეშვი ცუდის მოქმედებას, თორემ ცოტა **ხან**-ში ყველა შენ დაგიტირებს, იმ-**გვარ**-ი დრო გაქვს შესაძლებელი/შემღებას!)!“...

**ეექე**, სი ზურალ, იმ რავდი?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: მურადი ქალდანი, სოფ. ცხუმარი, 50 წლისა) „გაჩუმიდი/გაჩერდი („გაიწიე“), შე ქალო, რას ლაპარაკობ?!“...

### ლ ა მ ხ უ რ ი:

**შაუ სია**, ალეს ლუჟარს ედო დემ ცურე! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ონისე ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 42 წლისა) „ვაი, შე საწყალო, ამას ცოცხალს თუ არ დატოვებ (ზედმიწ. – **შავ**-ი შენ, აი, ამას ცოცხალს თუ არ ტოვებ!)!“

მეხარ ძინარს ონჯუდენი, **საბრალ სია**, ჩუადლუდრაუნე! (მივლინ. მასალ., მთქმელი: მერი ნემსაძე, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა) „ხვალ დილას მოვალ და, შე საწყალო, დაგტუქსავ (ზედმიწ. – ხვალ დილას მოვალ და, **საბრალ**-ო შენ, აი, დაგტუქსავ!)!“

**ჰაბ**, დიარ ლოქ დესა არი აბგადას! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ონისე ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 42 წლისა) „[ჰაბ]იტ, პური არ არსო აბგაში (ზედმიწ. – **ჰაბ**იტ, პურიო არ არის **აბგა**-ში!)!“

ნ, ქა ნომა ამჯედა, ედო დემ ემსიდხი! (მივლინ. მასალ., მთქმელი: მერი ნემსაძე, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა) „ოჰ, არ გამომიყვანო, თორემ ვერ გადამირჩები (ზედმიწ. – **ა/აი**, **ნუ**-არ გამომიტანო, თორემ ვერ გადამირჩები!)!“

რ, მიწად მწლე, ოდო აქედან გუადგარის! (მივლინ. მასალ., მთქმელი: გუსეინა ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 80 წლისა) „ოო, მიშველე რამე, თორემ ორივეს მოგვკლავენ (ზედმიწ. – **ოო**, მიშველე რამე, თორემ ორივეს გვკლავენ!)!“

**უაბ**, წვრნი მწრას ნოსანუ ლოქ ათყიდე, ედო ჩუ ლოქ აშგუდი! (მივლინ. მასალ., მთქმელი: მერი ნემსაძე, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა) „ვაი, წითელ კაცს არ მიყიდოო, თორემ დაგახრჩობო (ზედმიწ. – **ვაი**, წითელ კაცს **ნუ**-არ-მცა-ო მიყიდა, თორემ დაახრჩობსო!)!“

**ყობ**, მწ ლოქ ხაყა ლეგუატიდ ი ჩ'უტ ლოქ ადგარხ ალე ჟედ! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ონისე ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 42 წლისა) „ოჰ, გასაჩერებელი არ არისო და მოკლანო ეს ძაღლი (ზედმიწ. – **ოჰ**, არო ვარგა გასაჩერებლად და მოკლესომცა ეს **ძაღლ**-ი!)!“

**ე**, ქირაჟულ ლიჯმაგირს დემ ლოქ ჯაცურე სი! (მივლინ. მასალ., მთქმელი: გუსეინა ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 80 წლისა) „ეე, ქირის გარეშე მოჯამაგირეობას არ შეგარჩენო შენ (ზედმიწ. – **ეე**, **უ-ქირა**-ო-დ მო-**ჯამაგირ**-ე-ობ-ას არო გატოვებ შენ!)!“

ე, ხემა ლოქ ათჩედა ლექაჩ ერსკენ?! – ბგვიდ ოხტეწე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ონისე ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 42 წლისა) „ეე, როგორ გაგექცაო დაჭრილი არჩვი?! – ძალიან დატუქსა (ზედმიწ. – ეე, როგორო გაქცევია დაჭრილი არჩვი?! – მაგრად შე-უ-ტ-ი-ა)“

ჰე, ამჟი ნაგნოწურ ლაცხუტარწმ დაგრა ლოქ ხეხროის (მივლინ. მასალ., მთქმელი: მერი ნემსაძე, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა) „ეკ, ასეთი ტყუილებისთვის მშვილდ-ისრით სიკვდილი ეკუთვნითო (ზედმიწ. – ეკ, ასე მოგონებისთვის საისრით სიკვდილიო ერგებათ)“...

### ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი:

ჰოი, ძვრს ლოქ ათობედატა მიჩა ქორხოისკა?! (სვან. ქრესტ., 1978:346) „ოკ, ვინ გაბედაო ჩემ სახლში {შემოსვლა} (ზედმიწ. – ჰოი, ვისო გა-უ-ხედ-ავ-ს მის სახლში?)!“

ჰაი, ჟიბაწ ლოქ ხწვლე დეცხო, აწე ლოქ დემ ადწჟმი! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნოდარ ჩანქსელიანი, სოფ. ბავარი, 58 წლისა) „ჰაი, ზეცას მიგახევო, თუ არ გაჩუმიდებო (ზედმიწ. – ჰაი, ზემოთო ახვეს ც-ის-კენ, თუო არ გა-ჩუმი-დ-ება!)“

ა, ჩუ ლეკედ ერ მერა, ეჩქა ჩუ ჯიზბი! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნოდარ ლიპარტელიანი, სოფ. მეღურა, 69 წლისა) „აი, თუ ჩამოსასვლელი შემექმნა, მაშინ შეგჭამ (ზედმიწ. – აი, ჩამოსასვლელი რომ მექნება, მაშინ შეგჭამ!)“

ტუმი, ჩუ ლოქ ერ ათოკუშურნე, შიშტ ლოქ ჯწჭებდეს! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ლოლა ლიპარტელიანი, სოფ. კახურა, 83 წლისა) „ვაი, თუ გაუტეხავო, მაშინვე დაგამწყვდევენო (ზედმიწ. – ვუი, რომ დაუმსხვრევო, ხელადო გამწყვდევენ!)“

ეჯმინ მად მაკუ ნწმირას, ცაპ, ედო სი ჯწტყაცი! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ლოლა ლიპარტელიანი, სოფ. კახურა, 83 წლისა) „ისინი არ მინდა ახლომახლო, აპ, თორემ შენ დაგარტყამ (ზედმიწ. – ისინი არ მ-ე-წუკ-ვ-ი-ს ახლომახლოს, აპ, თორემ შენ გცემ!)“

ჰე, ეჯმინს მი ასტაგენი მეშეხე ლწდელს! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნოდარ ჩანქსელიანი, სოფ. ბავარი, 58 წლისა) „აი, მათ ვუზამ სეირს (ზედმიწ. – აი, იმათ მე დავაყენებ შავ დღე-ს!)“

ე, ეში ხოლა გუჟი ხწწრი, სკა ბაზი მიშკტა ბედიშდ ხისყიდ! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნოდარ ლიპარტელიანი, სოფ. მეღურა, 69 წლისა) „ეე, ისედაც ცუდ ხასიათზე ვარ, თქვენ ამაღამ ჩემი წერა გახდებით (ზედმიწ. – ეე, მაინც ცუდ გულ-ზე ვარ, თქვენ ამაღამ ჩემს ხედ-ის-ად კეთდებით!)“...

### ჩ ო ლ უ რ უ ლ ი:

შწტ სია, მაღ ჯწრ ანღელს ამნიწწურ?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „შე საწყალო, ამისთვის რა გელის (ზედმიწ. – შავ-ი შენ, რა გაქვს მოსალოდნელი ამისათვის?)!“



**ატკ.** ქორთე ნოსაჲ ლოქ ლეხკუჲაჲ ბაზი ლიკედს! (მივლ. მასალ., მთქმელი: ცისანა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „ჰაიტ, სახლში მოსვლა არ გაბედოსო ამაღამ (ზედმიწ. – ჰაიტ, სახლ[ის]კენ **ნუ**-მცაო სცადოს ამაღამ მოსვლას!)!“

**ატ,** ნად ლოქ ლოგონდე ნათამადს, ლაწირაკალ ლოქ ნად, იმ ლოქ ხუტიკუჲარიელ ამე, ჭუჲელფ ი ფანაგა ლოქ გუჲინ ამე?! (მივლ. მასალ., მთქმელი: ცისანა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „თქვენ გაჩვენებო თამადობას, თქვე ლაწირაკებო, რას დაეხეტებო აქ, ჭველფი და ფანაგა გგონიათო აქ (ზედმიწ. – **ატ,** ჩენო მოგვემს ნა-**თამად**-ევ-ს, **ლაწირაკ**-ებ-ო-ო ჩვენ, რასო და-ეთრევი/ეგდები აქ, **ჭველფ**-ი და **ფანაგა**-ო ვიცით აქ?!)!“

**აჲმ,** დაგროლ, ეშხუ პარტია ლოქ ქემფრშტა ბუზულარ მი, იმნარ ლოქ ეჯჩად?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკვლეში, 74 წლისა) „ვაი, სიკვდილო, ერთი წყება ფუტურები გაგიშვიაო, რატომ გაგექცაო (ზედმიწ. – **ვაი,** სიკვდილუკა, ერთი **პარტია**-ო გამიშვია **ბუზ**-უკ-ებ-ი მე, რისთვისო გა-გექცა?!)!“

**აჲმ,** ეჯის ლოქჲ, თეურ გირგოლს? ეჯის ლოქ ჯეღ ლეხჭუჲენდი, მერმა თესრ ლოქ ქა ლოქ ოხციკე! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 78 წლისა) „ვუი, იმასო, ცალთვალა გირგოლს? იმას მე ვკითხავო, მეორე თვალსაც დავთხრიო (ზედმიწ. – **ვუი,** იმასო, **თვალ**-ის გარეშე **გირგოლ**-ს? იმასო თვითონ შეეკითხება, მე-**ორ**-ე **თვალ**-ს[ა]-ც-ო დათხრისო!)!“

დესა წრდა ლათხელიდ ი, **ცრხ, საბრა,** ალე ქა იმჟი ხუჲუჲდ, მწ ჯიმ-გურხა?! (მივლ. მასალ., მთქმელი: გრიშა ლიპარტელიანი, სოფ. ჭველიერი, 75 წლისა) „არ იშოვებოდა და, ოჰ, საბრალო, ეს როგორ უთხარით, არ გრცხვენიათ (ზედმიწ. – არ იმყოფებოდა და, **ოჰ, საბრალ**-ო, ეს როგორ უთხარით, არ გრცხვენიათ?)!“

**ამწ,** მისდგნიხი სრმაგ, მაკაჲ დურემჲ ოსტყუფა! (მივლ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „აი, შენც ნახავ, რა დღეს დადაყრი (ზედმიწ. – **აი,** შემხედავ შენც, რა-**ყალიბ**-ი **დრო**-მც დადაყარო!)!“

**აცე/ეცე.** ნოსა ლემწუჲენენ ფედიას! (მივლ. მასალ., მთქმელი: ცისანა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „გამეცალე, ახლოს არ დაგინახო (ზედმიწ. – გა-მ-ე-ც-ალ-ე, **ნუ**-არ დამენახო ახლოს!)!“

**თატატ,** იმ ხაშტბად ამჟუ სგად?! (მივლ. მასალ., მთქმელი: გრიშა ლიპარტელიანი, სოფ. ჭველიერი, 75 წლისა) „ჰაიტ, რას აკეთებთ თქვენ აქ (ზედმიწ. – ჰაიტ, რას მუშაობთ აქ თქვენ?)!“

**ღრ,** გაღბთე ანჯედ, მრჲუჲენს! (მივლ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „გონს მოდი, მეთქვას (ზედმიწ. – მერე, გონებ[ის]კენ მოდი, მ-ე-**თქვ**-ა-ს!)!“

**იაღო,** ნომა ღენ ლახტხხი მიჩა დურემს?! (მივლ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკვლეში, 74 წლისა) „აბა, ერთი, არ დააბრუნო თავის დროზე?! (ზედმიწ. – აბა, **ნუ**-არ-მცა დაუბრუნო მის **დრო**-ს?)!“

**აღო,** ქადენ ადბედუჲას ი მაშგმენას?! (მივლ. მასალ., მთქმელი: ცისანა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „აბა, გაბედოს და მთხოვოს?!“...

2. **დაცინვა-ნიშნისმოგებისა:** **ჰატ** (ზს., ქს.) „ჰაიტ“; **ცოიტ** (ზს.) „ჰაიტ“; **ეჰე** (ზს., ქს.) „აჰა“; **ჰე** (ზს., ქს.), **ჰე** (ზზ., ლშზ., ჩოლ.) „ჰე/ჰა“; **ჰე** (ზზ.) „აი“; **ჰი** (ბქ., ლნტ.), **ჰი** (ზზ., ლშზ., ჩოლ.) „ჰე“; **ჰე** (ზს., ქს.), **ჰე** (ზზ., ლშზ., ჩოლ.) „ჰე“; **ჰი დე-დე** (ჩოლ.) „ვაი, დედა“; **ჰი** (ბქ.), **ჰი** (ჩოლ.) „ვე“; **ჰალი** (ბქ.), **ჰალე** (ჩოლ.) „აი, ასე, ახია შენზე“; **ჰე/ეე** (ზს., ქს.) „ა[ი]/ე“; **ჰო** (ზს., ქს.), **ჰო** (ზზ., ლშზ., ჩოლ.) „დიახ/ჰო“; **ჰო/ჰალო/ჰალე** (ზს., ლნტ.), **ჰო** (ზზ., ლშზ., ჩოლ.) „აბა“; **ჰ** (ზს., ლნტ.), **ჰ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.) „ა/აი“; **ჰი** (ლნტ.) „აი“; **ჰი** (ზს., ლნტ., ჩოლ.), **ჰი** (ზზ., ლშზ., ჩოლ.) „ვაი“; **ჰი/ჰი ხიად** (ჩოლ.) „ვაი, ასე (ზედმიწ. – ვაი, სი-ხად-ულ-ო)“; **ჰადო** (ლშზ.) „ჰა-ჰა-ჰა/ოჰა“; **ჰო-ხო-ხო** (ზს., ქს.) „ოჰო-ჰო-ჰო“; **ჰ** (ზს., ქს.), **ჰ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.) „ჰა/აბა“; **ჰ** (ზს., ქს.), **ჰ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.) „ო/აი“; **ჰჰა** (ბქ.), **ჰჰა** (ზზ.) „აჰა“; **ჰა-ჰა-ჰა-ჰა** (ბქ.) „ჰა-ჰა-ჰა-ჰა“; **ჰეი, ა** (ბქ.) „ახია, ასე გინდა (ზედმიწ. – ასე, აი)“; **ჰეთეჰა დეჰ ჰარ** (ბქ.) „ახია შენზე, ასე გინდა (ზედმიწ. – შუამდე ვერ გაქვს)“; **ჰ, ჰეჰელოჰე ჰი მიშეჰე ჰე** (ბქ.) „აი, ასე გინდა, ახია შენზე (ზედმიწ. – აი, ნეტარიმც არის ჩემი ჰე-ი)“; **ჰეჰე-ჰეჰე** (ბქ.) „სა-ჩვენებელი თითის ჩვენებით გამოჯავრება ნიშნისმოგების ნიშნად“...

*საილუსტრაციო მასალა*

### ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი :

**ჰატ**, საბრალ ამსუწლდ, ლეჰრი ამსუწლდ, ალა მწ ორი მიშეჰე ლემშეჰუნად?! (სვ. პრ. ტექსტ., 1939:79) „ჰაიტ, საცოდავო ადამიანო, საწყალო ადამიანო, ეს რა იქნება ჩემ გასასტუმრებლად (ზედმიწ. – ჰაიტ, საბრალ-ო ადამიანო, საწყალო ადამიანო, ეს რა იქნება ჩემ გასასტუმრებლად?!)“!

**ცოიტ**, სი მწრე, ეჰნემ ნწ ამჰუნლორჰე (იქვე:155) „ჰაიტ, შე კაცო, მაგან ჩვენც ასე მოგვატყუა (ზედმიწ. – ჰაიტ, შე კაცო, იმან ჩვენც ასე მო-გვ-ა-ლორ-ა)“

**ჰე**, ათხუნში მწ პრის წუნჰარ-მეძმარ, სგუნთგრ ი ლო ჰუნხტებდწ! (იქვე:245) „ჰე, ახლა მაინც არ არიან მწეჰარ-მაძმებრები, შემოეთორიე და გათბი (ზედმიწ. – ჰე, ახლა მაინც არ არიან მწეჰარ-მაძმებრ-ებ-ი, შე-მო-ე-თორ-ი-ე და მერე გათბი!)“

**ჰე**, ალა როჰ ხოყრა მიჩ! (იქვე:218) „აი, ეს ვუქენიო მე (ზედმიწ. – აი, ესო დაუმართავს მას!)“

**ჰი**, ეჩქად ეში მწდ ათირკ, ე, ჰოდ ალა დო გუნდ ი ათხე გუნერი სერ მწგ ხოლმდ (იქვე:338) „ეჰ, მანამდე მაინც არ გაჩერდი, ე, სანამ ეს არ დაგვემართა და ახლა ყველაფერი ცუდად გვექნებაო (ზედმიწ. – ეჰ, მაშინად მაინც არ დაიკიდე, ე, სანამ ეს არ გვექნება/დაგვემართა და ახლა გვექნება უკვე ყველაფერი ცუდად)“

**ჰო**, სგა ჰუნზარ, ნომ მეღროჰუნდ, მომჩიუნწ პრი ჰიშგრი ყორჰი! (იქვე:71) „ოჰ, ვეზირებო, ნუ მატყუებთ, მომჩივანი ჰიშკართანაა (ზედმიწ. – ო, თქვე ვეზირ-ებ-ო, ნუ-არ მ-ა-ლორ-ებ-თ, მომჩივან-ი არის ჰიშკრ-ი[ს] კარზე!)“

**ჰალო**, ეჰა მწრ ლეჩუმე, ნწ ამხუ რგდინ-გუროღუნჰა გუნუნჰა-დ გუნბდაჰა დესამა ი მედა ჰუნწი, კესწრს! (იქვე:337) „აბა, ეს მაქვს გასაკეთებელი, ჩვენ ერთი როდინისა და ქვასანაყის გარდა არაფერი გაგვაჩნია და იმას დავპატიჰებ, კეისარს (ზედმიწ. – ის მაქვს საქმნელი, ჩვენ ერთი როდინ-ქვასანაყის გარდა გაგვაჩნია და გვ-ა-ხად-ია არაფერი და იმას დავპატიჰებ, კეისარ-ს!)“

რ, სი გარ ხი თუელიან ი ეჯლა ჯერი ხოჩნმდრ! (იქვე:307) „ოჰ, შენ მარტო ხარ ჭკვიანი და ამიტომაც გექნება კარგად საქმე (ზედმიწ. – **ოჰ**, შენ მხოლოდ ხარ **ტვინ**-იან-ი და იმისთვის გექნება კარგადაც!)!“

**ახჰჰ**, წმლორუტე კამნოლდა? – ათხნდ ლუაჭარს (იქვე:335) „ოჰ, მომატყუა ციდამტკაველამ? – უთქვამს ვაჭარს (ზედმიწ. – **აჰა**, მო-მ-ა-**ღორ**-ა **მტკაველ**-ამ? – უთქვამს **ვაჭარ**-ს)“

**ჰ**, ლეკვე, მწმწუნყუს ხუი ნწკუიდ (სვან. ლექს.) „ო, მაღლობა უფალს, არა ვარ დაკლებული (ზედმიწ. – **ა**, სიხარულო, არამცა ვარ დანაკლები)“...

**ბ ა ლ ს ქ ე ე მ ო უ რ ი :**

**ჰე**, მიჩ ესერ მწ ლემშერწლ ხელტენი მიჩემცწლ?! (სვ. პრ. ტექსტ., 1957: 272) „ეჰ, შენ ჩემხელა სადარდებელი რა გექნებაო (ზედმიწ. – **ჰე**, მასო რა საჩივ-ლეელი ექნება მისი **ცალ**-ი?!)!“

**ჰე**, ხოლა ბაბა, მაგტურ ესერ ირი ათხე ჟი ლწგნალთე! (იქვე:37) „ჰე, ბაბუ-ავ, ვნახოთ ახლა როგორ ადგებო (ზედმიწ. – **ჰე**, ცუდო **ბაბუა**, რა-**გვარ**-ი-ო იქნება ახლა ა-**დგ**-ომ-ის}-{-ა}-კენ!)!“

**ა**, ხოლა რწმ, სერ როქ მამაგტუმ ხწმედაა?! (იქვე:99) „არიქა, რაშო, სხვა არა-ფერი შეგიძლიაო (ზედმიწ. – **ა**, ცუდო **რაშ**-ო, მეტიო არა საქმე ე-**იმედ**-ებ-ა?!)!“

**ტუბ**, სგწიჯ მაროლ, ამანდ ხოშამიჯ დწშდუ იმ მეჩმუდ?! (იქვე:16) „ვაი, ხალხნო, ამაზე მეტს დათვი რას მიზამდა-თქო (ზედმიწ. – **ვაი**, თქვენ-მეთქი კაცებო, ამაზე დიდს-თქო **დათვ**-ი რას დამმართებდა?!)!“

**ჰა, ჰა, ჰა, ჰა**, სურუ მადწმლორუტეა ლეთი ტიშიმ მაჯონ სეშილდ?! (იქვე: 127) „ჰა, ჰა, ჰა, ჰა, როგორ მომატყუა წუხელ ტილის მსგავსმა სეშილდმა (ზედ-მიწ. – **ჰა, ჰა, ჰა, ჰა**, მეტისმეტი არ მო-მ-ა-**ღორ**-ა წუხელ **ტილ**-ის მსგავსმა **სე-შილდ**-მა?!)!“

**ამეი, ა**, მერმად დემ ადრგნე ეჩხაუ! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნადია საღლიანი, სოფ. ცხუმარი, 104 წლისა) „აი, ასე გინდა, მეორედ არ წახვალ იქ (ზედმიწ. – ასე, **აი**, მე-**ორ**-ედ არ წავა იქით!)!“

**ისტექა დემ ჯარ**, მწ ლეჰუდი ჯად მწგ ჟაბწრდ?! (მივლინ. მასალ., მთქმე-ლი: ნადია საღლიანი, სოფ. ცხუმარი, 104 წლისა) „ახია შენზე, რატომ მიეცი ყველაფერი ბალსზემოელებს (ზედმიწ. – შუამდე ვერ გაქვს, რა მისაცემი გქონ-და ყველა[ფერ] ზემოელები[ს]თვის?!)!“

**ა, ლეკჩეოლუ ლი მიშგუ ბედ**, ბაჟთე ენწდენი ათხენლუტე ეჯღბ! (მი-ვლინ. მასალ., მთქმელი: ავთო საღლიანი, სოფ. ცხუმარი, 55 წლისა) „აი, მად-ლობა უფალს, აწი მაინც მოხვალ ჭკუაზე (ზედმიწ. – **აი**, ნეტარიმც არის ჩემი **ბედ**-ი, გონებ[ის]კენ მოვა ამის მერე მაინც!)“...

**ლ ა შ ხ უ რ ი :**

დემ ლოქ აზოი, **ხიად**, ეჩხაუ მიჩა ჯგმილს, ჩუ ლოქ დრსამა ედზიგუწნას (სვ. პრ. ტექსტ., 1979:78) „ვერ გავაგზავნიო, ბატონო, იქ ჩემ ძმას, რამე არ იტკი-ნოსო (ზედმიწ. – ვერო ა-**გზ**-ავ-ნ-ი-ს, სი-**ხად**-ულ-ო, იქით მის ძმას, რამე არ იტკინოსო)“

**ტაძ**, უორმრძასა მეჭურე როსტომშულ, ფოლადშუ ლელაზე უილს მადეჲ, ჩხირს ლოქ დემ აქტე! (იქვე:122) „ვაი, ორმოში ჩამპალო როსტომ, ფოლადით დატვირთულ ჯორს კი არა და, ჩხირსაც ვერ გაჭრიო (ზედმიწ. – ვაი, ორმო-ში დამპალო **როსტომ**-უკა, **ფოლად**-ით დატვირთულ ჯორს კი არა და, **ჩხირ**-ს-[ა]-ც-ო ვერ გაჭრი/გაჭრის!)!“

**ადადრ**, ქა დერ ანკუტარ ჩაჟდ?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ონისე ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 42 წლისა) „აჰა, არ გადმოაგდო ცხენმა (ზედმიწ. – აჰა, ხომ გადმოაგდო ცხენმა?!)!“

**ტაღე**, მიჩა დიემდ ლოქ დო ხოშგმრნა, ქა ლოქ ეთქადრლ ლიკუტანე! (მივლინ. მასალ., მთქმელი: მერი ნემსაძე, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა) „ახია, დედამისს რატომ არ სთხოვაო, ასცდებოდაო გადაგდება (ზედმიწ. – ო, ეს, მისი **დედ**-ის-თვის-ო ხომ უთხოვია, აცდებოდაო გადაგდება!)!“

დემ ლოქ ხერინ, **აყ**, კუმამ ლოქ მაგ ჩ'ოთგელგრა თხერას (მივლინ. მასალ., მთქმელი: ონისე ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 42 წლისა) „არ ეყოფაო, აი, საქონელი სულ დაუგლიჯაო მგელმა (ზედმიწ. – ვერო ეყოფა/ექნება, აი, **კუმამ**-ი-ო ყველა და-უ-**გლეჯ**-ი-ა მგელს)“

**ტრ**, ქა დერ ხტუნქარ: სგ'აჯ შეყენი ლიცთე! (მივლინ. მასალ., მთქმელი: გუსეინა ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 80 წლისა) „აი, ხომ ვუთხარი: ჩავარდები-თქო წყალში (ზედმიწ. – ო, ხომ ვუთხარი: ჩავარდება-მეთქი წყლ[ის]კენ!)!“

ამჟი ლოქ ხოხა იშგნა ლერქტალე ლიქტემს, **ადრ**?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: მერი ნემსაძე, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა) „ასე იცისო სხვისი ტანსაცმლის ჩაცმამ, აბაა (ზედმიწ. – ასეო იცის სხვისი ტანსაცმელების ჩაცმას, აბა?!)!“

**ტაშეი**, ხოჩა დინა მამ იკდუნე, ხეყადეს ათხე ნამეჩურა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნანა ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 48 წლისა) „აი, ასე, კარგი გოგო არ ინდომა, ჰყავდეს ახლა მოხუცი (ზედმიწ. – ო, ასე, კარგი გოგო არ ინდომა, ჰყავდეს ახლა ნამოხუცარი!)!“

**გ**, მაღ ლოქ ჯგმილ ჯაყა, ჟი ლოქ ჯეთრახ მაიდნარუს (მივლინ. მასალ., მთქმელი: მერი ნემსაძე, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა) „აი, რა ძმაღ გყავსო, გეტყობათო მშივრებს (ზედმიწ. – აი, რაო ძმა გყავსგეტყობათო დამშეულებს)“ ...

## ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი:

**აი**, ჭირა, ნომა ყვლე, ედო ალე ხოლა ლადელს ჯეჩო (სვ. პრ. ტექსტ., 1967:221) „ოჰ, ჭირიმე, ნუ ამბობ, თორემ ეს ცუდ დღეს დაგაყრის (ზედმიწ. – **აი**, ჭირ-ი-მე, **ნუ**-არ **ყ**-ი-ვ-ი, თორემ ეს ცუდ **დღე**-ს \*გიქმს)“

**ჰე**, იმესკიბ მად მიხალდა, სი ერ ზიჯისა ხარდ? (იქვე: 229) „ოჰ, განა არ ვიცოდი შენ რომ ტიკში იყავი (ზედმიწ. – ჰო, განა არ ვიცოდი, შენ რომ ტიკში იმყოფებოდი?)“

**ჰატ**, იმჟი ლოქ ათოჯირაჟა ტაბაგი ლილეშკალ? (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნოდარ ჩანქსელიანი, სოფ. ბავარი, 58 წლისა) „აი, როგორ დაიჯერეო ტაბლის ცილაობა (ზედმიწ. – **ჰაიტ**, როგორო და-უ-**ჯერ**-ებ-ი-ა **ტაბლ**-ი[ს] ცილაობა?)“

**ჰე**, ამჟი ლოქ ხოხა სკობენაჟ ლიფაშტუდელს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ლოლა ლიპარტელიანი, სოფ. კახურა, 83 წლისა) „აი, ასე იცისო წინასწარ ტრაბახმა (ზედმიწ. – აი, ასეო იცის წინასწარ ტრაბახს)“

ხოლა ჩქიმ ხაგ, როშს ერ მნდ ხამნე, **აღუე?** (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნოდარ ლიპარტელიანი, სოფ. მელურა, 69 წლისა) „ცუდად გამოიყურება, ქატოს რომ არ აჭმევს, აბაა (ზედმიწ. – ცუდი იერი ა-**დგ**-ა-ს, ქატოს რომ არ აჭმევს, აბა?)“...

**ჩოღურული:**

**ჰაიტ,** სგამ ლეზუბა შედუ, ალეს იმეი დემ ახწინდად?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: გრიშა ლიპარტელიანი, სოფ. ჭველიერი, 75 წლისა) „ჰაიტ, თქვე მუქთახორებო, ამას როგორ ვერ მოერიეთ (ზედმიწ. – **ჰაიტ,** თქვენ საჭმლი[ს] ჭურჭლებო, ამას როგორ ვერ მოერიეთ?)!“

**ივე,** ჯაკვფნ ლიჯედ ი დემ ანჯედ, დერა? – ნომა მნცტნე! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ცისანა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „ოჰ, გინდოდა მოსვლა და ვერ მოხვედი, არა? – ნუ მაცინებ (ზედმიწ. – **აჰა,** გასურდა მოსვლა და ვერ მოხვედი, არა? – **ნუ**-არ მ-ა-**ცინ**-ებ!)!“

**ჰე,** მი მეკუდ'ი სგამ ემგენიდნ სგობინ? – ჯებჟენხ! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 78 წლისა) „აი, მე მინდოდეს და თქვენ დამიდგებით წინ? – გეგონოთ (ზედმიწ. – ჰო, მე მენდომება და თქვენ და-მ-ი-**დგ**-ებ-ი-თ წინ? – გეგონოთ!)!“

**ჰე,** სი ლახ ჯაბჟა, ამეი ორი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 75 წლისა) „ოჰ, შენ რაკი ასე გგონია, ასე იქნება (ზედმიწ. – ჰო, შენ თუ გგონია, ასე იქნება)“

**გჰე,** ისკთეჟა დემ ჯან, მამ დერ ემემნარ?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკვლეში, 74 წლისა) „აჰა, ახია შენზე, ხომ არ მომისმინე (ზედმიწ. – აჰა, შუამდე ვერ გაქვს, არ ხომ მომისმინე?)!“

**უიდედე,** სი ლახ ლექტუნე უოლიოლ! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 75 წლისა) „ვაი, დედა, რახან შენ იტყვი ოლია (ზედმიწ. – **ვაი, დედა,** შენ თუ იტყვი **ოლია**-უკა!)!“

**უი,** ეჯის ლოქნ, თეურ გირგოლს? – ეჯის ლოქ ჯეი ლეხჭუედნი, მწრმა თესნ ლოქ ქა ლოქ ოხცხიკე! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 78 წლისა) „უი, იმასო, ბრმა გირგოლს? იმას მე ვკითხავო, მეორე თვალსაც ამოვთხრიო (ზედმიწ. – **ვუი,** იმასო, უ-**თვალ**-ო **გირგოლ**-ს? იმასო თვითონ შეეკითხება, მე-**ორ**-ე **თვალ**-ს-**[ა]**-**ც**-ო ამოთხრისო!)!“

**უანლე,** ქა ჯესმონინხ ამუნლო ხომემი ნაგერგალ! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ცისანა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „აი, ასე, გაიგონებთ აწი უფროსის ნათქვამს (ზედმიწ. – ჰო, ეს, მო-გ-ე-**სმ**-ებ-ა-თ ამის მერე დიდი[ს] ნა-ლაპარაკევი!)!“

**აგ, ურ,** სგა ლეჯრებე ლოქ ხან, ეჯეი ლოქ ეჯგობა კასრუკუაჟ (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკვლეში, 74 წლისა) „ოჰ, ჩამჯდარი აქვსო, ისე დაგისვრიაო ქვაბი (ზედმიწ. – აჰ, ჰო, მიკრულიო აქვს, ისეო დაგისვრია ქვაბი)“

მამ ოთჯირტე ი, **ყყ**, შიშტ ქწნკტწრ, ჩ'ტედჯაცან (მივლინ. მასალ., მთქმელი: ლალი ბაბლუანი, სოფელი უკვლეში, 68 წლისა) „არ დაუჯერა და, ე, ხელად გადმოაგდო, დაილუპა (ზედმიწ. – არ და-უ-**ჯერ**-ა და, ე, ხელად გადმოაგდო, დაიქცა)“

**ტრ**, ბაბას ხრქტა, ეჯღა ლოქ ათყტეჩა ალე, ა, ჭიშხ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ლალი ბაბლუანი, სოფელი უკვლეში, 68 წლისა) „ჰო, ბაბუას უთქვამს, ამიტომ მომტყდაო ეს, აი, ფეხი (ზედმიწ. – ჰო, **ბაბ**-უა-ს უ-**თქვ**-ამ-ს, იმისთვისო მოტეხვია ეს, აი, ფეხი)“

კომუნისტარდ ჩომინხ ეჯი, ე, ეჯთეჩა ადმეხ გტემ, **აყ**, ამჩუ მამ გტყყერხ, ა, ჩტერ ოწჯადდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 75 წლისა) „კომუნისტებმა ქნეს ის, აი, იქამდე მიიყვანეს საქმე, აი, აქ რაც გვიქნეს, აი, რომ ჩამოვედით (ზედმიწ. – **კომუნისტ**-ებ-მა ქნეს ის, ე, იქამდე წაიდეს საქმე, აი, აქ რაც დაგვმართეს, **აი**, რომ ჩამოვედით)“

ეერტემტირშთხტ მწრად დიტიზინლ ანხტიტხ, ეერტემტირშთხტ მწრად, **აყ**, ექკაპლი გტემ ანსყეხ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 78 წლისა) „ოცდაოთხმა კაცმა დივიზიები ამოწყვიტა, ოცდაოთხმა კაცმა, აი, ისეთი საქმე გააკეთეს (ზედმიწ. – ოცდაოთხმა კაცმა **დივიზი**-ებ-ი ამოწყვიტეს, ოცდაოთხმა კაცმა, აი, ის-**ყალიბ**-ი საქმე გააკეთეს)“

**აყ**, ამჟი ლას, ეჩა ქა ლიჯედ ბალკონთეჟ'რ ჩუ ლიდევ ეშხუ ლას (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკვლეში, 74 წლისა) „აი, ასე იყო, იმისი გამოსვლა აივანზე და ჩაქრობა ერთი იყო“

**ადრ**, ტეჯი ოხსყეხ ხალხს ი აღმარ აჯახ ლატლანტის, ლაყებხ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „აბა, ეს გაუკეთეს ხალხს და ესენი კიდევ ტლიკინებენ, ლაყებობენ (ზედმიწ. – აბა, ჰო, ის გაუკეთეს **ხალხ**-ს და ესენი კიდევ ტლიკინებენ და **ლაყ**-ობ-ენ)“

წ, ათხე ესეტხ დერა მიშგტა ნწზუარს?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ცისანა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „ოჰ, ახლა ითვალისწინებ ჩემ დარიგებას (ზედმიწ. – ა, ახლა დაუბრუნდი ხომ ჩემ ნაკვალევებს?!)!“

**ობო-ხო-ხო**, ალე მწა ჩტრწრანი, მწა ჩტყყტეელი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნათელა ქურდიანი, სოფ. ლეუშერი, 69 წლისა) „ოჰო-ჰო-ჰო, ეს ხან წითლდება, ხან ყვითლდება“

გ, იმშა ლოქა? – ხოჩა ჯუმილ ლოქ ხაყენა ი ჩუ ლოქ ოთდწტმა დაჩტირს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 75 წლისა) „ჰა, რისიო? – კარგი ძმა ჰყავდაო და დამ დალუპაო (ზედმიწ. – ჰა, რისიო? – კარგი ძმამო ჰყოლია და და-უ-**შავ**-ებ-ია-ო დას)“...

3. **ზიზღისა**: **ტწტ**, **ტეტწ**/ტყდედწ (ლშხ., ჩოლ.)/ტყუი (ბქ., ლწტ.) „ვაი, დედა“; **იჰ** (ჩოლ.); **ოჰ/ობ** (ბქ.); **აბა-ბა-ბა/ბა-ბა-ბა-ბა** (ბქ.)/**აბა-ბწა/ბა-ბწა**, **პო-პოი** (ჩოლ.); **ფუ[ჰ]** (ზს., ქს.)/**ფწი** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ფუი** (ბქ.)/**ფგ** (ლშხ.) „ფუ“; **თფუ** (ბქ., ლწტ.)/**თფუ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „თფუ“...

საილუსტრაციო მასალა

**ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი:**

**ფუ**, მან-უნყუტს ამსუტლდნ ქუტინ მაჯან? (სვ. პრ. ტექსტ., 1939:134) „ფუ, ადამიანის სუნი მცემს (ზედმიწ. – **ფუ**, რამცა ადამიანი[ს] სუნი მცემს?)“

**თფუ**, ფისეუტ ესერ ხაბა, ძალო, მწლენტუბ ესერ ქაჯიმ ლი! (იქვე:236) „თფუი, დაწყველილი იყავიო, აბა, ვილაც ეშმაკი ხარო (ზედმიწ. – **თფუი**, **ფის**-იმც-ო ა-**ზ**-ია, აბა, რაცხაო **ქაჯ**-ის არის!)“...“

**ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი:**

**ფუ, ფუ**, მაგტუბ ლამუჟენა! (სვ. პრ. ტექსტ., 1957:102) „ფუ, როგორ დამძინებია (ზედმიწ. – **ფუ, ფუ**, რა-**გვარ**-ი დამძინებია!)“

**თფუ** ესერ, მინ ქაჯდუშმაუ! (იქვე:338) „ფუჰ, თქვე ქაჯ-ეშმაკებო (ზედმიწ. – **ფუჰ**-ო, თვითონ **ქაჯ-ეშმ**-ებ-ო!)“

**ოჰ/ოხ**, მან ლემწიწყუ ამსუტლდ ხი?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: კარლო მიქიანი, სოფ. ფარი, 65 წლისა) „ოჰ, რა საძაგელი ადამიანი ხარ (ზედმიწ. – **ოჰ**, რა საწირპლე ადამიანი ხარ?)!“

**აბა-პა-პა/პა-პა-პა-პა**, ამფხტრე მაჯონ ზურალ ლი! (მივლინ. მასალ., მთქმელი: კარლო მიქიანი, სოფ. ფარი, 65 წლისა) „ფუ[ჰ], ბაყაყების მსგავსი ქალია (ზედმიწ. – **აბა-პა-პა**, ბაყაყების მსგავსი ქალი არის!)“...“

**ლ ა შ ხ უ რ ი:**

**ტიდედეძე**, მან მასისგ კახბა ზურალელ! (მივლინ. მასალ., მთქმელი: მერი ნემსაძე, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა) „ვაი, დედა, როგორ მძულს კახბა ქალები!“

**ტიტბტბძე**, ეჯმარე ჯიშიმ დე თერლა მაკუ ი დე ჩრეე (მივლინ. მასალ., მთქმელი: გუსეინა ჯანხოთელი, სოფ. ჩიხარეში, 80 წლისა) „ვაი, დედა, მათი ჯიშის არც რძალი მინდა და არც სიძე (ზედმიწ. – ვაი, **დედა**, იმეების **ჯიშ**-ის არც რძალი მ-ე-**ნუკ**-ვ-ი-ს და არც სიძე)“

**ფგ**, ისგუტი ლიზურნლს, იმჟი ხაშგედ ალე ლამთილს?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: მერი ნემსაძე, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა) „ფუჰ, შენს ქალობას, როგორ აკადრე ეს ქმრისიანებს (ზედმიწ. – **ფუჰ**, შენ ქალობას, როგორ აკადრა ეს სა-**მამამთილ**-ო-ს?)!“...“

**ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი:**

**ფუ**, ლეკდალ გუშუტე ზურელალ, იშკენ ეში ნომა ლოქუ პრ იგანდებდა ალ გუტეშს (სვ. პრ. ტექსტ., 1967:117) „ფუჰ, გასაწყვეტი ჩვენი ქალები, სხვამ მაინც არ გაიგოსო ეს ამბავი (ზედმიწ. – **ფუ**, ასალები ჩვენი ქალები, სხვა მაინც **ნუ**-არ-ო-მცა ვინ იგებდა ამ საქმეს)“

**ტუძე**, ჯან ლოქ საჯანყ, მანმაბედიგუტემ ლოქ ხაკუ მიჩა! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ლოლა ლიპარტელიანი, სოფ. კახურა, 83 წლისა) „ვუი, შე უბედუროო, არაფერი მინდაო შენი (ზედმიწ. – **ვუი**, თვითონო ცუდი, არა-**ბედ**-ი-სა-ქმე-ო ე-**ნუკ**-ვ-ი-ს მისი!)“...“

## ჩოღურული:

ათხე სგ'რთმიტქუენ, მა, **ტუში, ტატეშ**, იმჟი მასისკ პეპსინტუშ ნაყელ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 78 წლისა) „ახლა მივეჩვიე, მაგრამ, ვაი, დედა, როგორ მეზიზღება პეპსინით ამოყვანილი ყველი (ზედმიწ. – ახლა მივეჩვიე, მაგრამ, **ვაი, დედა**, როგორ მეზიზღება **პეპსინ**-ით \*ამო-ყველ-ებ-ულ-ი)“

**აპ**, ამგუაჟ, ხინტ, ჟ'ოგფიმ ეჯნემდ, ხოლა ლეთი ლი, ქა ლიბერტყლაჟი ი მაგ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „ოჰ, თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს, დაგვალა იმან, ცუდი მოსამკელია, გასარჩევი და ყველაფერი (ზედმიწ. – ეჰ, დამაყენე, სი-**ხად**-ულ-ო, დაგვალა იმან, ცუდი მოსამკალი არის, გა-სა-**ხერტყ**-ი და ყველა)“

**ტატეშ**, ლაყრყარდ შიდხ მედად (მივლინ. მასალ., მთქმელი: ლალი ბაბ-ლუანი, სოფ. უკვლეში, 71 წლისა) „ფუჰ, მუდამ საზიზღრები არიან (ზედმიწ. – **დედა**, გულის ასარევად/შესაზიზღებლად ყრიან მუდმივად)“

**ტიდედეშ**, ეჯიარს ხემა ლოხუნტლოჟნე თხუმს, ქა ორა ღო?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკვლეში, 74 წლის) „ვაიმე, დედა, იმათ როგორ გავუყადრებ თავს, არასდროს (ზედმიწ. – **ვაი, დედა**, იმეებს როგორ გა-ვ-უ-**ტოლ**-ებ თავს, ქე იქნება მერე?!)!“

**აპაპა/პაპა**, მამ ხოლა ლესგდი ლი! (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „აჰ, რა ცუდი შესახედია (ზედმიწ. – **ა-პა-პა-პა/პა-პა**, რა ცუდი სახედი არის!)!“

**პოპო**, ჟედ დემ ლესსენ ი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნათელა ქურდია-ნი, სოფ. ლეუშერი, 69 წლისა) „ფუ, ძალი არ მიაფსამს (ზედმიწ. – ფუ-ფუ, **ძაღლ**-ი არ მიაფსამს)“

ექკამ ლექტერე ანჯად, ერე, **ფუშ**, ჟი ლამწიწყუე ლიდარანლ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „ისეთი ჭუჭყიანი მოვიდა, რომ, ფუ, შემაზიზლა ჭამა (ზედმიწ. – ის-**ყალიბ**-ი ჭუჭყიანი მოვიდა, რომ, **ფუი**, შემაზიზლა პურობა)“

**ფუჰ**, დარ მასსკენა ამზუმ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 60 წლისა) „ფუჰ, არავინ შემძულეზია ასე (ზედმიწ. – **ფუჰ**, არავინ მძულეზია **ამ-ზომა**)“...

როგორც უკვე აღინიშნა, ერთი კონკრეტული შორისდებული შეიძლება სხვადასხვა ემოციის გამოსახატავად იყოს გამოყენებული, მაგალითად: **ფუ/ფუშ/ფუჰ** ქართულის მსგავსად სვანურშიც *ზიზღის* გარდა შეიძლება გამოხატავდეს *აღშფოთებას* (ჩოლ. **ფუშ**, ამშა ბადჟუ დემ ოდე ლამშაათე „ფუ, ამის გამო ვერ წავედი სამუშაოზე“; ბქ. **ფუა**, ალი მწ მეყარ?! „ფუი, ეს რა დამე-მართა?!“...), *კავრს* (ჩოლ. **ფუ**, ჩუამრუანლე ლეთი ლალგენს „ფუ, გამათენები-ნა წუხელ ლოდინში“; ბქ. **ფუჰ**, იმდა ოთჯერაჟ უთოლ სიმაქარს?! „ფუი, რა-ტომ დავუჯერე უტვინო ქალიშვილებს?!“...),... რომლის წარმოთქმასაც გარკვე-



ული ფიზიოლოგიური და რეფლექსური აქტივ შეიძლება ახლდეს თან. ასევე რამდენიმე მნიშვნელობა აქვს **ტიტქმ/დია** შორისდებულსაც, იგი, გარდა **ზი-ზლისა**, გადმოგვცემს **ნატვრას** (ჩოლ. **ტიტქმ**, ჩუ ლოქ უარ ემგენე ლადი ემჩუ „დედა, ნეტავი იქ დამაყენა დღეს ვინმემ (ზედმიწ. – **დედა**, და-მ-**დგ**-ა-ო ვინ დღეს იქ)“; ბქ. დია, ეზერ მად ირია ეჩხაუ ლიზი? „დედა, რა კარგი იქნება იქ წასვლა (ზედმიწ. – **დედა**, კარგი არ იქნება იქით სვლა?)“...), **დარდს** ვინმეზე ან რამეზე (ჩოლ. **ტიტქმ**, ოსჭლექნდ ამშა ისკლქთარისა ლიზელაღლს „დედა, გადავეყვით ამის შუალამისას სიარულს (ზედმიწ. – **დედა**, \*და-ვ-ე-**ქლექ**-ეთ ამის შუალამეებისას სიარულს“; ბქ. **დია**, გონაბშუ გარ მიხპენი გუი „დედა, დარდით აღარა ვარ (ზედმიწ. – **დედა**, **გონებ**-ით მხოლოდ მიხეთქდება **გულ**-ი)“...) და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში შორისდებულის კონკრეტულ მნიშვნელობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, თანმხლები წინადადების შინაარსიც წარმოაჩენს.

განხილულ ემოციურ შორისდებულთა ჯგუფებში გვხვდება როგორც ერთმარცვლიანი, ისე ორმარცვლიანი ბგერათა კომპლექსებისაგან ან სიტყვებისაგან შემდგარი შორისდებულები (**ნ/ა**, **ნ/ე**, **რ/ო**, **გ/გ**, **ატკ/ატკგ**, **ფუ/ფუშ**, **ტიტქმ/დედექ**, **ეცქე**, **აღტე**, **თატატ**, **ლუცხტლე**, **საბრალ**, **ტიდედექ**...), რომელთა ეტიმოლოგიისა და წარმოშობის ისტორიის გარკვევა ხშირად ვერ ხერხდება მათი სპეციფიკურობიდან გამომდინარე.

როგორც **გაწყრომა-დატუქსვის**, **დამუქრების**, **დაცინვა-ნიშნისმოგებისა** და **ზიზღის** გამომხატველ ემოციურ შორისდებულებზე დაკვირვებამ აჩვენა, მათი ერთი ნაწილი საერთოქართველურია (მაგ.: **ოხო-ხო-ხო** (ზს., ქს.) < ქართ. ოჰო-ჰო „გამოხატავს გაკვირვებას“; {**ტუმა/ტუამ**}, **ხიად** (ჩოლ.) „ვაი, ასე (ზედმიწ. – **ვაი**, სი-**ხად**-ულ-ო)“; **დია** (ბქ.) „დედა“...), ნაწილი საკუთრივ სვანური (მაგ.: **ატ/ატკგ** (ზს., ჩოლ.), **ატკ** (ჩოლ.) „მოიცა; დაიკარგე, გამეცალე“; **ეცქე** (ბქ.), **აფე/აფე** (ჩოლ.) „მოიცა/დამაცადე; გაიწიე“; **ღომ/ღო** (ჩოლ.) „მოიცა/მაცადე (ზედმიწ. – მერე)“; **აღტე** (ბქ.), **იაღო/აღო/აღტე** (ზს., ლნტ., ჩოლ.)/აღრ (ზზ., ლშხ., ჩოლ.) „მოიცა/მაცადე (ზედმიწ. – აბა)“; **ჭტ** (ზზ.) „აი“; **ისტექა დეშ ჯარ** (ბქ.) „ახია შენზე, ასე გინდა (ზედმიწ. – შუამდე ვერ გაქვს)“; **ღჯღ-ღჯღ** (ბქ.) „საჩვენებელი თითის ჩვენებით გამოჯავრება ნიშნისმოგების ნიშნად“; **ამჟი**, **ა** (ბქ.) „ახია, ასე გინდა (ზედმიწ. – ასე, აი)“; **ადადრ** (ლშხ.) „ჰა-ჰა-ჰა“; **გ** (ზს., ქს.), **გ** (ზზ., ლშხ., ჩოლ.) „ჰა/აბა“; **ცომტ** (ზს.) „ჰაიტ“...), ნაწილი კი ქართულიდან შეთვისებული (მაგ.: **აპაპაპა/პაპაპაპა** (ბქ.)/აპაპაპა/პაპაპა, **პოპოი** (ჩოლ.) < ქართ. აპაპაპა „გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას, – არა და არა! არავითარ შემთხვევაში!“; **ეჰე** (ზს., ქს.) „აჰა (ზედმიწ. – **ეჰე**)“ < ქართ. ეჰე/ეჰეე! „გამოხატავს ნიშნის მოგებას, გაკვირვებას, გაფრთხილებას“; **თატატ** (ჩოლ.) „ატატატატ“ < ქართ. (ქართლ.) ათათა „ძალღის გასაგდება შე-ძახილი“; **თფუ** (ბქ., ლნტ.)/თფუ (ზზ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. თფუ/ტფუ; **ტუამ/ტუამ** (ზს., ქს.)/ტუამ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/ტუამ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/ტუამ (ზზ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ვაი/ვუი; **ტო** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (გურ.) ვო „იგივეა, რაც ო! ოჰ!“; **ტუშ**, **ტიტქმ/ტიდედექ**

(ლშხ., ჩოლ.)/**უიდედე** (ჩოლ.) „ვაი, დედა“; **ფუ[ჰ]** (ზს., ქს.)/**ფუჰ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ფუი** (ბქ.)/**ფე** (ლშხ.) „ფუ“; **ჰატ** (ზს., ქს.) < ქართ. ჰატ/ჰაიტ! „გამოხატავს გაწყრომას, დატევას“; **ჰა-ჰა-ჰა-ჰა** (ბქ.) „დაცინვა/ნიშნის მოგება“ < ქართ. ჰა-ჰა „გამოხატავს ხმამაღალ სიცილს“; **ჰე** (ზს., ქს.), **ჰე** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ჰე „გამოხატავს დანანებას“; **ჰი** (ბქ., ლნტ.), **ჰი** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ჰე“ < ქართ. ჰი/ჰიი! „გა-მოხატავს დაცინვას/ნიშნის მოგებას...“ სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტი, სიგრძე, რედუქცია, ხმოვანთა შემართვა, ბგერათა ჩართვა-დაკარგვა, გამკვეთრება* და ა. შ.) გავლით.

საკუთრივ სვანურად მიჩნეულ რამდენიმე სიტყვიან შორისდებულებში (მაგ.: **ა, ლეკჩოლუ ლი მიშგუ ბედ** (ბქ.) „აი, ასე გინდა, ახია შენზე (ზედმიწ. – აი, ნეტარიმც არის ჩემი ბედ-ი)“; **ლუცხულე სი/ლუცხულე ისგუ ბედ** (ბქ.) „შე საწყალო (ზედმიწ. – შეტრუსული/დამწვარი შენ/შეტრუსული/დამწვარი შენი ბედ-ი)“; **საბრალ სი[ა]** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „შე საწყალო (ზედმიწ. – საბრალ-ო შენ)“; **ჟო, შაუ სი** (ბქ.), **უო, შაუ სია/ჯააა** (ლშხ., ჩოლ.) „ვაი, შე საწყალო (ზედმიწ. – ვო, შაგ-ი შენ/თვითონ, შდრ. ქართ. (გურ.) ვო „იგივეა, რაც ო! ოჰ!)“...) ზოგი სიტყვა საერთოქართველურია (მაგ.: **მიშგუ, ისგუ, სი...**), ზოგიც ქართულიდან შეთვისებული (მაგ.: **ბედ, საბრალ, შაუ...**), თუმცა მთლიანი ფრაზები საკუთრივ სვანურად მივიჩნიეთ, ვინაიდან სხვა ქართველურ ენებში იგივე ფრაზები (ანუ შორისდებულთა მზა ფორმულები) იმავე სემანტიკით არ დასტურდება. შესაძლოა, ასეთ შორისდებულებს ნარევი სახის შორისდებულებიც ვუწოდოთ.

აქვე შევნიშნავთ, რომ ხშირად თვით ქართულიდან ნასესხებ შორისდებულებსაც აქვთ სემანტიკა მეტნაკლებად შეცვლილი, ანუ სემანტიკურად სახეცვლილი შორისდებულებიც გვიდასტურდება.

რაც შეეხება შორისდებულის ადგილს, თუ ის ახლავს წინადადებას, მკაცრად განსაზღვრული არ არის, მაგრამ, სხვა ენების მსგავსად, სვანურშიც ჭარბობს წინადადების საწყის პოზიციებზე და წინმსწრები შორისდებული, მისთვის დამახასიათებელი ექსპრესიულობით, ზეგავლენას ახდენს მომდევნო წინადადებაზე და წინადადებაც შორისდებულის ემოციის მატარებელი და მისი სემანტიკის ამხსნელია. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა შემთხვევებში (წინადადების შუაში ან ბოლოში) გამოყენებული შორისდებულის მნიშვნელობა არ სუსტდება და ემოციური ფონი მთელ წინადადებას გასდევს.

<sup>1</sup> შორისდებულთა ფორმულებში დადასტურებული ლუ-ცხულ-ე, რომლის ძირითადი მნიშვნელობა არის „შეტრუსული“, ამ შემთხვევაში სემანტიკურად სახეცვლილი ფორმით „საწყალო/დასაწვავი/საცოდავი...“ გვევლინება. მისი ეტიმოლოგია კი, რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, დღემდე გაურკვეველია და აქედან გამომდინარე, მიჩნეულია საკუთრივ სვანურად (შდრ., ასევე: ლი-ცხულ-ე „შეტრუსვა“, **ცხულ/ცხულა** „ტრუსვა“ და ა. შ.). ჩვენი აზრით, არაა გამორიცხული, საანალიზო ლექსემის ქართულ *ცეცხლ*-თან ან *სივხე*-სთან დაკავშირება, თუმცა ამჯერად მისი ეტიმოლოგიის გარკვევისგან თავს შევიკავებთ და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთრივ სვანურ ლექსემად მივიჩნევთ.

### ლექსიკონები

**დონდუა 2001** – ვ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**ლიპარტელიანი 1994** – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლოურული კილო), თბილისი.

**ნიქარაძე 2007** – ბ. ნიქარაძე, ქართულულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

### წყაროები

**სვან. ენის ქრესტ.** 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1939** – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1957** – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1967** – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1979** – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა. რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

### ინფორმატორთა სია

**ბაბლუანი ლალი** (ჩოლოურული მეტყველების წარმომადგენელი, სოფ. უკლემი, 71 წლისა); **მიქიანი კარლო** (ბალსქვემოური დიალექტის წარმომადგენელი, სოფ. ფარი, 65 წლისა); **კვასტიანი ცისანა** (ჩოლოურული მეტყველების წარმომადგენელი, სოფ. ჭველფი, 61 წლისა); **ლიპარტელიანი გრიშა** (ჩოლოურული მეტყველების წარმომადგენელი, სოფ. ჭველიერი, 75 წლისა); **ლიპარტელიანი ლოლა** (ლენტეხური მეტყველების წარმომადგენელი, სოფ. კახურა, 83 წლისა); **ლიპარტელიანი ნოდარი** (ლენტეხური დიალექტის წარმომადგენელი, სოფ. მელურა, 69 წლისა); **ნემსაძე მერი** (ლაშხური დიალექტის წარმომადგენელი, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა); **საღლიანი ავთო** (ბალსქვემოური დიალექტის წარმომადგენელი, სოფ. ჩიხარეში, 72 წლისა).

ტის წარმომადგენელი, სოფ. ცხუმარი, 55 წლისა); **საღლიანი ნადია** (ბალსქვემოური დიალექტის წარმომადგენელი, სოფ. ცხუმარი, 104 წლისა); **ქურდიანი ნათელა** (ჩოლოურული მეტყველების წარმომადგენელი, სოფ. ლეუშერი, 69 წლისა); **შავრეშიანი ალიოშა** (ჩოლოურული მეტყველების წარმომადგენელი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა); **ჩანქსელიანი ნოდარი** (ლენტეხური დიალექტის წარმომადგენელი, სოფ. ბავარი, 58 წლისა); **ჩეგიანი თინა** (ჩოლოურული მეტყველების წარმომადგენელი, სოფ. უკვლეში, 74 წლისა); **ხაბულიანი ვიტალ** (ჩოლოურული მეტყველების წარმომადგენელი, სოფ. მუწდი, 81 წლისა); **ჯანხოთელი გუსენა** (ლაშხური დიალექტის წარმომადგენელი, სოფ. ჩიხარეში, 80 წლისა); **ჯანხოთელი ნანა** (ლაშხური დიალექტის წარმომადგენელი, სოფ. ჩიხარეში, 48 წლისა); **ჯანხოთელი ონისე** (ლაშხური დიალექტის წარმომადგენელი, სოფ. ჩიხარეში, 42 წლისა).

NATO SHAVRESHIANI, MEDEA SAGHLIANI,  
LELA GIGLEMIANI

### **On the Emotional Interjections with Negative Connotations in Svan**

#### S u m m a r y

As the observation on emotional interjections expressing harassment, threats, ridicule and disgust has shown, some of them are common Kartvelian, common Svan, and borrowed from Georgian through different phonetic processes (umlaut, length, reduction, inserting or losing vowels, sharpness, etc.).

In an interjection consisting of several words that are considered to be common Svan, some words are common Kartvelian, some of them are borrowed from Georgian, although we considered whole phrases to be common Svan, since in other Kartvelian languages the same phrases (or such fixed formulas of interjections) are not attested with the same semantics. Such interjections may also be called mixed interjections.

As for the position of an interjection, if it accompanies a sentence, it is not strictly defined, but, like other languages, in Svan an interjection in the initial position in a sentence and a prepositional interjection prevail with their expressiveness, influencing the sentence and making it have the same semantics and emotions as the interjection itself.

ვაჟა შენგელია

**ქართველურ და ჩერქეზულ ენათა აღწერითი და  
ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხები. VI-VIII**

სტატიაში გაერთიანებულია სამი მცირე მოცულობის ნარკვევი, რომლებიც გაგრძელება ადრე სხვადასხვა კრებულში გამოქვეყნებული ნარკვევებისა (შენგელია 2009: 231-236 და შენგელია 2011: 79-82).

**1. ქართველურ ენათა სიბილანტებში გამოვლენილი  
ერთი შესატყვისობის შესახებ**

ქართველურ ენათა სიბილანტების სისტემაში გამოვლენილია სამგვარი შესატყვისობა: ა) წინასიბილანტურ რიგში (**ძ, ც, წ, ზ, ს**) – იდენტური შესატყვისობები, ამოსავალიც სათანადოა. ბ) ქართული წინასიბილანტური რიგის შესატყვისად – მეგრულ-ლაზურსა და სვანურში შიშინა თანხმოვნები. ამ შემთხვევაში, გ. მაჭავარიანის აზრით, ამოსავალია შუასიბილანტური (სისინ-შიშინა) რიგი (მაჭავარიანი 1965: 28); გ) ქართული უკანასიბილანტური (შიშინა) რიგის შესატყვისად, ერთი მხრივ – შიშინა თანხმოვანი + ველარული ხშული, მეორე მხრივ – სისინა სიბილანტი + ველარული ხშული. ეს უკანასკნელი დასტურდება ლაბიალურ **ჟ/ვ** ბგერის წინა პოზიციაში: ქართ. **შუ**: მეგრ.-ლაზ. **სქუ**: სვან. **სგუ** (მაგ., ქართ. **\*მშუ**: მეგრ.-ლაზ. **სქუა**: სვან. **ემსგე** || **სგეი** – სვანურში ლაბიალური ბგერა არ არის შენარჩუნებული) და ქართ. **ჯუ**: მეგრ.-ლაზ. **ძგუ**: სვან. **სგუ** (მაგ., ქართ. **მარჯუნე**: მეგრ.-ლაზ. **მარძგანი**: სვან. **ლერსგუნ**). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, აქ ლაბიალური ბგერის დისიმილაციურ გავლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე, კერძოდ, ლაბიოველარიზებულ **ჟ/ვ**-ს გავლენით შიშინა **შ**-ს და **ჯ**-ს შესაბამისად სისინა **ს**-სა და **ძ**-ში გადასვლასთან (გამყრელიძე 1959: 75-77).

ვფიქრობთ, პროცესი – **\*შუ** > **\*შქუ** > **სგუ** და **\*ჯუ** > **\*ჯგუ** > **ძგუ** შეიძლება სხვაგვარადაც აიხსნას: კერძოდ, ცვლილების მიზეზი უნდა იყოს არა დისიმილაცია, არამედ – ლაბიალური **ჟ/ვ**-ს რეგრესულ-ასიმილაციური გავლენა; მოხდა არტიკულაციის წინ გადმოწევა – უკანასიბილანტური რიგის თანხმოვნები (**შ, ჯ**) გადავიდა წინასიბილანტური რიგის (**ს, ძ**) თანხმოვნებში. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ი. ყიფშიძის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ქართველური ენებისათვის დამახასიათებლად მიიჩნევა რეგრესული ასიმილაცია და პროგრესული დისიმილაცია (ყიფშიძე 1919-1920; 1-8).

## 2. სისინ-შიშინა თანხმოვნები ჩერქეზულ ენათა ნასესხებ სიტყვებში

აღმოსავლერ და ევროპულ ენათაგან ნასესხებ სიტყვებში ყურადღებას იქცევს ჩერქეზულ ენათა სპეციფიკური თანხმოვნების გამოვლენა; საქმე ეხება აბრუპტივებს, ლატერალურ, ლაბიალიზებულ და სისინ-შიშინა თანხმოვნებს. ამჯერად ნასესხებ ლექსიკაში დადასტურებულ სისინ-შიშინა თანხმოვნებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ა) სისინ-შიშინა მჟღერი სპირანტი **ჩ** წარმოდგენილია რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში.

ადილ. **მეზუჯ**, ყაბ. **მეზუყ** „გლეხი“ – შდრ. რუს. **мужик**. აქ ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, რუსული **ж**-ს გადმოცემა სისინ-შიშინა **ჩ**-თი, მეორე მხრივ, რუსული **ж**-ს შესატყვისად ფარინგალური ხშულების გამოვლენა – ადილ. **ჭ** და ყაბ. **ყ**.

ადილ. **არგაჯუჯ**, ყაბ. **არგაჩუჯ** „ჭილოფი“ – შდრ. რუს. **порожа**. ყაბარდოულში **ჩ** რუსული **ж**-ს გადმოსაცემად გამოიყენება, ადილურს კი ამ შემთხვევაში **ჯ**-ს იყენებს. საყურადღებოა ჩერქეზულ ენებში რუსული სიტყვის პირველი მარცვლის **о**-ს რედუქცია და **რ**-ს წინ **ა**-ს გაჩენა.

ყაბ. **ჩაჭრეჟაძა** „შემწვარი კარტოფილი“. შემოსულია რუსულიდან – შდრ. რუს. **жаркое** „შეწვის საშუალებით მომზადებული (ხორციანი ან უხორცო) საჭმელი“ რუს. **ж** → ყაბ. **ჩ** პროცესის გარდა, ყურადღებას იქცევს რუს. **кое** → ყაბ. **ქაძა** და **რ**-სა და **ქ**-ს შორის გაჩენილი **ჯ** (შაგიროვი: 962: 160).

ბ) საკმაოდ ხშირია ყაბარდოული ენის თურქულიდან თუ თურქულის გზით ნასესხებ მასალაში სისინ-შიშინა ყრუ სპირანტი **ს**-ს გამოვლენა, ადილურში წარმოდგენილი **შა**-ს ნაცვლად:

ყაბ. **საწ**, ადილ. **შაწ** „ხასიათი“

ყაბ. **ნაწან** „სამიზნე“, ადილ. **ნაშან** „ნიშანი“

ყაბ. **ასყ** „შეყვარებული“, ადილ. **აშაჯ** „შეყვარება“. აქ ყაბ. **ს**-: ადილ. **შა**-ს გარდა, ყურადღებას იქცევს ყაბ. **ყ**- ადილ. **ჭ**.

ყაბ. **ალას**, ყაბ. **ალაშა** „ლაფშა, იაბო“

ყაბ. **სასუბ** „ლოგინის გადასაფარებელი“, ადილ. **შაშაბ** „საბნის შალითა“. ბგერათფარდობა ყაბ. **ს**: ადილ. **შა**, ყაბ. **ბ**: ადილ. **ჭ** საკუთრივ ჩერქეზულ სიტყვებშიც დასტურდება.

ყაბ. **ბასლყ**, ადილ. **ბაშლჯ** „ყაბალახი“ (შდრ. მეგრ. ბაშლაყუ)

ყაბ. **სეჭარ**, ადილ. **შეჭარ** „ქალაქი“. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩერქეზულ ენებში „ქალაქის“ მნიშვნელობით უფრო ხშირად გამოიყენება ასევე ნასესხები **ყალ**, **ქალ**.

ყაბ. **ფასთეჭ**, ადილ. **ფაჩეჭ** „მეფე, ხელმწიფე“. წარმოშობით სპარსული სიტყვაა, შემოსულია თურქულის მეშვეობით – თურქ. **ფადიშაჰ** > \***ფადშაჰ** > ყაბ. **ფასთეჭ** (**დშ** → \***დშ** → **თს**); ადილ. **ფაჩეჭ** < **ფათეჭ** (**ჩა** ← \***თშ** ← \***დშ**).

ერთ ადილურ ნასესხებ სიტყვაშიც გვაქვს ს: ხის „ნამდვილი ამბავი“

ა. შაგიროვის აზრით, ყაზ. ს<sup>ა</sup>ზ<sup>ა</sup>თ და ადილ. შ<sup>ა</sup>ზ<sup>ა</sup>თ ამ ენებში ქართულის მეშვეობით არის დამკვიდრებული (შაგიროვი 1962: 208), თავად ქართულში კი მკვლევართაგან შემოსულა (ქეგლი 1962: 601).

გ) თუ ა. შაგიროვის მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ერთი ყაზარდოული სიტყვა, რომელშიც მკვეთრი სისინ-შიშინა სპირანტია წარმოდგენილი, შესაძლებელია თურქული ნასესხობა იყოს: ყაზ. გას<sup>ა</sup>ზ, ადილ. კა<sup>ა</sup>ჭ<sup>ა</sup>ზ „ძალა, შრომა“ (შაგიროვი 1977ა: 110).

### 3. კიდევ ერთხელ უმლაუტის შესახებ ჩერქეზულ ენებში

ზოგადი დებულება – იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა სისტემის სიმარტივე და თანხმოვანთა სისტემის სირთულე – ყველაზე მკვეთრ გამოხატულებას აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში ჰპოვებს. ხმოვან ფონემათა რაოდენობა ორ-სამს არ აღემატება, თანხმოვანთა რაოდენობა კი ენების მიხედვით ხუთი ათეულიდან რვა ათეულამდეა.

აფხაზურ და აზაზურ ენებში ძირითად ხმოვნებად ორი ხმოვანი – ა და გ, მიიჩნევა, სხვა ხმოვნები კი კომბინატორულ ცვლილებათა შედეგია (ლომთათიძე 1976: 24-64), თუმცა თანამედროვე ვითარებაში შეიძლება ვილაპარაკოთ სხვა ხმოვანი ფონემების არსებობის შესახებაც, რომლებიც შედარებით გვიან უნდა იყოს წარმოქმნილი, კერძოდ, აფხაზურისა და აზაზურის ტერიტორიული გათიშვის შემდგომ ეპოქაში (გვანცელაძე 2011: 29-33).

ჩერქეზულ ენებში (ადილეურსა და ყაზარდოულში) სამი ხმოვანი ფონემა გამოიყოფა, რომელთა არსებითი ხასიათის ფონემატური ნიშანია ღიაობა: ა ყველაზე ღია ხმოვანია, გ – ყველაზე ნაკლებ ღია, ზ – საშუალო ღიაობისა; ეს ხმოვნები სამწევრა ხაზოვან სისტემას ქმნიან (ტრუბეტკოვი 1960: 108).

აფხაზურ-ჩერქეზული ენებისათვის ამოსავალი სისტემა ორწევრა უნდა ყოფილიყო – ა და გ (კუმახოვი 1973: 64-65; ლომთათიძე 1979: 75-78; შენგელია 1983: 657-659). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომლის თანახმადაც ჩერქეზული ენების საშუალო ღიაობის ხმოვანი ზ ხმოვანი მიღებულია ღია ა ხმოვნისაგან მახვილის ზემოქმედებით, ე. ი. მახვილიანი ხმოვანი დავიწროვდა (ლომთათიძე 1979: 79), რაც ფონეტიკური თვალსაზრისით არ არის დამაჯერებელი.

1983 წელს გამოქვეყნებულ წერილში წამოყენებულ იქნა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ჩერქეზული ენების ხმოვანთა სამწევრა სისტემა შედეგია უმლაუტისა, კერძოდ, ბოლოსწინა მარცვლის ზ მიღებულია ა ხმოვნისაგან მომდევნო მარცვლის ვიწრო გ ხმოვნის ზეგავლენით, ე. ი. უმლაუტის შედეგად (შენგელია 1983). შემდგომ პუბლიკაციებში განვითარებულ იქნა ეს თვალსაზრისი, კერძოდ, გაფართოვდა იმ შემთხვევათა რიცხვი, რომლებშიც უმლაუტი-

რებული წ მიიღება **ა**-საგან, მეორე მხრივ, დადასტურდა ვიწრო **გ**-ს გაფართოების – წ-ში გადასვლის, შემთხვევები მომდევნო ბაგისმიერი და ლაბიალიზებული ბგერების გავლენით.

ადილური (ჩერქეზული) ვოკალიზმის ისტორიის საკითხებზე კვლევის შედეგები შეჯამებული სახით წარმოდგენილია 2006 წელს გამოცემულ წიგნში (შენგელია 2006: 32-65).

**გ** ხმოვნის წ-ში გადასვლის პროცესს დაზუსტების მიზნით კიდევ ერთხელ შევხებით.

ა) **გ** გადასვლა წ-ში მომდევნო (სუფიქსისეული) ბილაბიალური **ჟ**-ს გავლენით:

ადილ.-ყაბ. **ჩგ** (<<sup>ა</sup>ქგ) „წნელი“ – **ჩაჟგ** (< ქაჟგ „ლობე“ (შდრ. შაფს. ქგ, ქაჟგ).

ადილ. **ფაგ**, ყაბ. **ჰყე** „ბოძი“ – ადილ. **ფაჟგ**, ყაბ. **ჰყაჟგ** „ტანი, კორპუსი, ჩონჩხი“

ადილ.-ყაბ. **ლ'გ** „სისხლი“ – ადილ. **ლ'აჟას** „მკვლელობის სახლაური“, ზედმიწ. „სისხლის ფასი“.

ადილ. **ბაშ**, ყაბ. **ბაშ** – ადილ. **ბაშაჟგ** „ხელნა, რვილი“.

ბ) ლაბიალიზებული თანხმოვნის გავლენით განხორციელებულა პროცესი **გ** → წ:

ადილ.-ყაბ. **გოგ** „გული“ – გაწლო „დარდი, ნაღველი“ (კუმახოვი 1964: 122).

ადილ. **ნგბგ**, ყაბ. **ნგბზ** „ასაკი“ – ადილ. **ნგბჟაღ**, ყაბ. **ნგბზაღ** „მეგობარი“ (იქვე).

ადილ. **ხგმგ** „ძუძუ“ – **ხგმას** „ჩვილი“, ზედმიწ. „ძუძუ(ს) სმა, წოვა“.

გ) პროცესი **გ** → წ შეიძლება გვეკონდეს შიშინა და სისინ-შიშინა თანხმოვნების გავლენით:

ადილ. **შაგ**, ყაბ. **შგ** „ცხენი“ – ადილ. **შაშ**, ყაბ. **შას** „საჯინიბო“

ადილ. **მწაგ**, ყაბ. **მწყ** „თივა“ – ადილ. **მწააშ**, ყაბ. **მწყაას** „სათივე“

ადილ. **ჩათგ**, ყაბ. **ჯაღ** „ქათამი“ – ადილ. **ჩათაშ**, ყაბ. **ჯადას** „საქათმი“

საყურადღებოა ჩერქეზულ ენათა „ღამის“ აღმნიშვნელი სიტყვის აგებულება: ადილ. **ჩაშგ**, ყაბ. **ყას** „ღამე“, რომლის პირველი ელემენტი – **ჩა**- და **ყა**- ჩერქეზულ ენათა „ძილის“ აღმნიშვნელ ფუძეს – ადილ. **ჩაგ**-, ყაბ. **ყგ**- უნდა უკავშირდებოდეს, **-შ**/-ს კი სუფიქსური ელემენტია, ადილურში \***ჩა** → **ჩ** შ-ს ასიმილაციური გავლენით (შაგიროვი 1977ა: 195).

დ) ყურადღებას იქცევს გადახმოვნება **გ** → ა:

ადილ. **ცოგ**, ყაბ. **ვეგ** „ხარი“ – ადილ. **ცაჟა**, ყაბ. **ვაჟა** „მეხრე“

ადილ. **მწაგ**, ყაბ. **მწყ** „თივა“, ადილ. **მწააჟა**, ყაბ. **მწყაჟა** „მთიბავი“.

ადილ. **მწაღ**, ყაბ. **მწაღ** „ცხვარი“ – ადილ. **მწაღას**, ყაბ. **მწაღას** „მეცხვარი“ (ყაბარდოულში **გ** → **ა** არ მომხდარა).



ადილ. **ჯაგე**, ყაბ. **ჯაგე** – „ლხინი, ქორწილი...“ ადილ.-ყაბ. **ჯაგაგე(ნ)** „ხუ-მარა, მასხარა; ცეკვების განმკარგულელებელი; მოთამაშე“.

ადილ. -ყაბ. **ფსგ** „წყალი“ – ადილ. **ფსასაზ** „სარწყულელებელი“.

გ → ჰ პროცესი (გაფართოება) ლაბიალური თუ ლაბიალიზებული თან-ხმოვნის გავლენით დასახელებულ შემთხვევებში არ განხორციელდა ჩერქეზული სიტყვის აგებულების გაბატონებული მოდელის შემოქმედებით: თუ ბოლო მარცვლისეული ხმოვანი არის ჰ, წინა მარცვლის ხმოვანიც არ შეიძლება იყოს ჰ. ამ პოზიციაში გვექნება ა ან გ (მაგ., ადილ. **მათ** „კალათა“, **ჟან** „უნაგირი“, **დახ** „ლამაზი“, **ნატ** „შუბლი“, **წენ** „სველი“, **ფმეგ** „ზღაპარი“, **ფთ** „ძლიერი, მტკიცე“ და სხვ.).

### ლიტერატურა

**გამყრელიძე 1959** – თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

**გვანცელაძე 2011** – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა (სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება), თბილისი.

**კუმახოვი 1964** – М. А. Кумахов, Морфология адыгских языков. I, Москва.

**კუმახოვი 1973** – М. А. Кумахов, Теория моновокализма и западно-кавказские языки. – Журн. "Вопросы языкознания", №6, Москва.

**კუმახოვი 1981** – М. А. Кумахов, Сравнительно-историческая фонетика адыгских (черкесских) языков, Москва.

**ლომთათიძე 1976** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი.

**ლომთათიძე 1979** – К. В. Ломтатидзе, К вопросу о вокализме адыгских языков – ЕИЖЯ, т. VI, Тбилиси.

**როგავა, კერაშევა 1966** – Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп.

**მაჭავარიანი 1968** – გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.

**ტრუბეცკოი 1960** – Н. С. Трубецкой, Основы фонологии, Москва.

**ქეგლი 1962** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VII, თბილისი.

**შაგიროვი 1962** – А. К. Шагиров, Очерки по сравнительной лексикологии адыгских языков, Нальчик.

**შაგიროვი 1977ა** – А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, т. I, Москва.

**შაგიროვი 1977ბ** – А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, т. II, Москва.

**შენგელია 1983** – ვ. შენგელია, ადილურ ენათა ვოკალიზმის ისტორიისათვის. – სმამ, ტ. 112, №3, თბილისი.

**შენგელია 2006** – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი.

**შენგელია 2009** – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხები. I-III. – იკვ, ტ. 37-ე, თბილისი.

**შენგელია 2011** – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხები. IV-V. – ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. I, თბილისი.

**ჩიქობავა 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი

VAZHA SHENGELIA

### **Issues of Descriptive and Historical-Comparative Studies of Kartvelian and Circassian Languages. VI-VIII**

#### S u m m a r y

The paper unites three small essays that are a continuation of the essays previously published in various journals.

The first essay is dedicated to the exceptions found in the correspondence of Kartvelian sibilants when a Georgian sibilant preceding a bilabial sound corresponds not to a hushing consonant + faucal plosive consonant clusters, but to a hissing + a faucal consonant. According to the view expressed in the scientific literature, this phenomenon is explained by the dissimilative influence of the bilabial sound. In the opinion of the author of the present paper, in this case, we have to deal with partial regressive assimilation – putting the articulation forward as a result of the influence of a bilabial sound ( $\zeta \rightarrow s, \check{\zeta} \rightarrow \check{z}...$ ).

The second essay deals with identifying specific hissing-hushing consonants in the borrowed vocabulary by the Circassian languages.

The third essay presents the view that the Circassian umlaut is the result not only of the assimilation effect of the following sound on the previous sound, but also of the influence of a labialized consonant and the consonant  $\zeta$ .

იზა ჩანტლაძე, ქეთევან მარგიანი-სუბარი,  
რუსუდან ზეკალაშვილი (თბილისი), ნანა ოდიშელიძე (იენა)

**გერმანულ ეთნოლინგვისტთა ღვაწლი  
ქართველოლოგიაში**

I – პროფესორი გერჰარდ დეეტერსი  
(1892-1961 წ.წ.)

თითქმის ყველა ქვეყანაში მუშაობენ გამორჩეული მეცნიერები ქართველოლოგიურ პრობლემებზე, თუმცა მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გერმანულ ეთნოლინგვისტურ სკოლას. საკმარისია დავასახელოთ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორები: **გერჰარდ დეეტერსი, გერტრუდ პეჩი, კარლ ჰორსტ შმიდტი, ვინფრიდ ზოედერი, ჰაინც ფენრიხი, იოსტ გიპერტი...**, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას იმ უცხოელ კოლეგათა ღვაწლზე, რომელთაც საქართველო ყოველთვის მიაჩნდათ თავიანთ მეორე სამშობლოდ. მათ ფეხდაფეხ მოიარეს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭული, შეისწავლეს და ღრმად შეისწავლეს ანალიზით წარმოგვიდგინეს არა მხოლოდ სახელმწიფო ენა – სალიტერატურო ქართული უძველესი ტექსტებითა და თანამედროვე დიალექტებითურთ, არამედ მისი მონათესავე უმწერლობო ენებიც: სვანური, მეგრული და ლაზური; ფუნდამენტურად გამოიკვლიეს ძველი ხალხური პოეზია და გერმანულად თარგმნეს როგორც ქართული, ისე სვანური, მეგრული და ლაზური ზღაპრები. ერთ-ერთმა ჩვენმა კოლეგამ – პროფესორმა ჰაინც ფენრიხმა კი – ქართულად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია („ენათა გენეტური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთოქართველური ფუძემდებლის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგი საკითხი“) აკადემიკოს აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1971 წელს...

ამ მცირე ექსკურსის შემდეგ საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ლაიფციგის, იენის, მიუნხენისა და ბონის უნივერსიტეტების პროფესორზე, ბატონ **გერჰარდ დეეტერსზე** (1892-1961 წ.წ.), რომელიც კაშკაშა ვარსკვლავად ბრწყინავს მსოფლიო შედარებითი ენათმეცნიერებისა თუ კომპარატივისტული აზროვნების ისტორიაში. ალბათ, ვერავინ გამოხატავს სამადლობელს მეცნიერხელმძღვანელის („Doktorvater“) მიმართ ისე, როგორც ეს ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა, დიდებულმა კავკასიოლოგმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელმა წევრმა კარლ ჰორსტ შმიდტმა აღნიშნა თავისი ერთ-ერთი

საუკეთესო წიგნის „Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache“ (Wiesbaden, 1962) წინასიტყვაობაში:

**„მადლობის გრძნობა**, რითაც მე ვალდებული ვარ ჩემი პატივცემული მასწავლებლის, ბატონი პროფესორის გერჰარდ დეეტერსის წინაშე, **არ შემიძლია სიტყვებით გამოვხატო**. ის ყოველთვის თავგანწირულად მეხმარებოდა სიტყვითა თუ საქმით. განსაკუთრებით ძნელად მისაღწევი სვანური მასალის ათვისება ჩემთვის ამ მოცულობით შეუძლებელი იქნებოდა მისი დახმარების გარეშე. სამწუხაროდ, ჩემი ნაშრომის გამოქვეყნების განცდა პროფესორ გერჰარდ დეეტერსს უკვე აღარ შეუძლია, **ამიტომ წიგნი ეძღვნება მის ხსოვნას, როგორც გარეგნული ნიშანი უსაზღვრო მადლიერებისა** (1961 წლის ოქტომბერი)“.


ჩვენთვის, ქართველოლოგებისთვის, უპირველეს ყოვლისა, ძალზე მნიშვნელოვანია გ. დეეტერსის Das kharthwelische Verbum (Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen), Leipzig, 1930, გვ. X + 258. ასევე, ძალზე საამაყო ისიც, რომ სვანური ზმნის მორფემათა რანგის „თავბრუდამხვევ სიმრავლეში“ არაკანონზომიერებათა ნაცვლად ჭეშმარიტმა მეცნიერმა ამოიკითხა „თანმიმდევრობის დიდი სისტემა“ (გვ. 17). ავტორი მონოგრაფიის დასაწყისშივე განსაზღვრავს მის წინაშე მდგარ ორ ამოცანას:

I – **წიგნი ივარაუდება სამხრეთ კავკასიის ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის წინა სამუშაოდ**, მხოლოდ ასეთი ნაშრომის საფუძველზე გახდება შესაძლებელი სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ენათა შედარება; როგორც კი მოხერხდება მათი ერთ ფუძენაზე დაყვანა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ ძველი წინა და მცირე აზიის ენებთან კავკასიურ ენათა ურთიერთობაზე. **ჯერჯერობით ეს ნათესაობა მეტწილად სრულიადაც არ არის დამტკიცებული**. სისტემატურ შედარებით გრამატიკაში მორფოლოგიის საფუძველი უნდა იყოს შედარებითი ფონეტიკა, მაგრამ ცოცხალ ენებთან კავშირის გარეშე, გარკვეული ბგერების ექსპერიმენტული კვლევის გარეშე, ასეთი ფონეტიკა ვერ დაიწერება. აქვე იგულისხმება ყველა სვანური დიალექტის ლექსიკური მარაგის ფართო ცოდნა და არა ის, რასაც დღეისათვის ჩვენ ვფლობთ. **სამწუხაროდ, ამჟამად სვანურ ენაში ძალზე მცირეა რიცხვი მემკვიდრეობითი სიტყვებისა (Erbwörter) ნასესხებ სიტყვათა რაოდენობასთან შედარებით**<sup>1</sup>.

II – მეორე მხრივ, გამოკვლევა მიმართულია იმ ენათმეცნიერებისკენ, რომლებიც არ სჯერდებიან ჰუგო შუხარდტის, ადოლფ დირისა და ფრიდრიხ ფინკის შემოთავაზებებს ზმნის თავისებური ტიპის შესახებ, დიდ როლს რომ თამაშობს დისკუსიაში „გარდამავლობის პასიურ ხასიათთან“ დაკავშირებით.

<sup>1</sup> ვფიქრობთ, გ. დეეტერსი ასეთ რადიკალურ განცხადებას არ გააკეთებდა, საანალიზოდ მულახურ-კალურ-ხალღურ-უშგულური მასალები რომ ჰქონოდა, სადაც დღემდეც საკმაოაა დაცული ძველისძველი ლექსემები და საერთოქართველური ენიდან მომდინარე არქაული ფონოლოგიური სისტემა თუ გრამატიკული სტრუქტურა.

გ. დეეტერსს მიაჩნია, რომ მის მონოგრაფიაში წარმოდგენილი სამუშაო ჯერ კიდევ შორსაა საკუთრივ შედარებითი გრამატიკისგან, რადგანაც მასში რეკონსტრუქციები კი არაა მოცემული, არამედ ოთხი ენის (ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური) ერთნაირი ან შესადარებელი გრამატიკული მოვლენები ერთმანეთის გვერდითაა დაყენებული. „გერმანიაში, კავკასიოლოგიის დონის დღევანდელი ვითარების გამო, ჩვენ მეტს ვერაფერს ვახერხებთ, გარდა ამ მიმართულებით მეცნიერული საფუძვლის ჩაყრისა“ – აცხადებს შესანიშნავი გამოკვლევის ავტორი ძალზე თავმდაბლურად. არადა, **სწორედ ამ წიგნში იქნა წარმოდგენილი პირველად ქართველურ ენათა გენეალოგიური სქემა, რომელსაც დღემდე იზიარებს კომპარატივისტთა უმრავლესობა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში:**



თუმცა ეს სქემა არ გაიზიარა აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ, რომელმაც ყველა კავკასიოლოგისგან განსხვავებული თვალსაზრისი წარმოადგინა სვანური ენის შესახებ. მისი აზრით, **„სვანური შეუძლებელია მივიჩნიოთ ქართველურ ენათა ჯგუფის ისტორიულად თავისთავადს ძველ წევრად. სვანური ენა „აგრეგატია“ – უაღრესად ფასეული ქართველურ ენათა ისტორიისათვის, მაგრამ მაინც „აგრეგატი“**“ (Чикобава 1948: 273).

სრულიად სამართლიანი მოთხოვნაა წარმოდგენილი გ. დეეტერსის ნაშრომში: თუ ენებს შორის არ არის დადგენილი ფონემათშესატყვისობანი, რომელთა ფუნდამენტზეც უნდა იყოს შექმნილი მეცნიერული შედარებითი ფონეტიკა (შედარებითი გრამატიკის საფუძველი), მანამ ისინი მონათესავე ენებად არ უნდა განვიხილოთ. მიუხედავად ამისა, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მეორე ტომში გამოქვეყნებულ სტატიაში **არნოლდ ჩიქობავა კატეგორიულად აცხადებს: „Можно считать установленным...“**, что вопрос о родстве между различными группами кавказских языков **принципиально** уже получает положительное решение: **кавказские языки** (картвельские и горские кавказские языки) **понятие генеалогическое**. Очередная задача – показать генетическое единство этих языков конкретно в процессе исторического развития их“ (გვ. 356). იგივე მოსაზრებაა წარმოდგენი-

ლი ცოტა ხნით ადრე ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ენიმკი“) „მომბეში“ (XII, 1942, გვ. 287), თუმცა მოგვიანებით დაბეჭდილ სტატიაში (იხ. „Вопросы языковедения“, 1955, №6, გვ. 66-92), რომლის ვრცელი ვარიანტი დანართის სახით შევიდა არნოლდ ჩიქობავას ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ (1979, გვ. 257-306), ავტორის კატეგორიული სტილი რამდენადმე შერბილებულია:

„არც ერთი იმ კავკასიოლოგთაგანი, რომელიც კავკასიურ ენათა გენეტური ერთიანობის თვალსაზრისს იზიარებს, არ თვლიდა და არც თვლის სადავოდ იმას, რომ ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი ცალკეული ენობრივი ჯგუფების შედარებით-ისტორიული გრამატიკების შესაქმნელად, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შევუდგეთ ერთობლივ კავკასიურ ენათა ოჯახის ერთიანი ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის დამუშავებას. **მხოლოდ ამგვარი მიდგომა თუ შესძენს კავკასიურ ენათა ერთიანობის შესახებ დებულებას სრულ დამაჯერებლობას და არსებულ ვარაუდებს მეცნიერულად დასაბუთებულ მტკიცებად აქცევს**, მაგრამ, თუკი სპეციალისტი საკვლევი ენის მასალას ფლობს, მას გარკვეული რწმენა შეიძლება გაუჩნდეს (და უნდა გაუჩნდეს!) ჯერ კიდევ შედარებით-ისტორიული გრამატიკის შექმნამდე. **ენათა გენეტური კავშირების შესწავლა შედარებით-ისტორიული გრამატიკების შედგენით კი არ იწყება, არამედ თვით ამგვარი გრამატიკა წარმოადგენს შემაჯამებელ შედეგს ამგვარი კვლევისათვის**“ (გვ. 212-263).

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ არნოლდ ჩიქობავა არსად ახსენებს გ. დეეტერსის თეორიას ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ, რომელიც „ქართველურ ენათა ზმნაში“ საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი, თუმცა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალში“ არაერთ ადგილას ეხება ავტორი არამხოლოდ „Das kharthwelische Verbum“-ს, არამედ გ. დეეტერსის ბოლო ნაშრომში (Die kaukasischen Sprachen, Leiden-Köln, 1963) წარმოდგენილ მსჯელობასაც: „სამი ფუძეენის (აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) ლექსიკის ერთი ნაწილისა და გრამატიკულ კატეგორიათა რეკონსტრუქცია ბუნებრივი განზრახვავა, მაგრამ ეს უფრო ძნელი ამოცანაა, ვინემ ინდო-გერმანული ფუძეენის აღდგენა: ათასი წლების მანძილზე სესხების პროცესმა ხშირად დააბნელა ბგერათშესატყვისობანი“. **ეს სიმწლე უდავოა** – შენიშნავს ბატონი არნოლდი (გვ. 84).

1942-1948 წლებში კი არა, დღემდე არ გვაქვს შედარებითი გრამატიკები არათუ მთის კავკასიურ ენათა ცალკეული ჯგუფებისა, არამედ თავად ქართველური ენებისაც (გივი მაჭავარიანის შესაბამისი ნაშრომი შედგენილია მისი გარდაცვალების შემდეგ, სტუდენტთა სალექციო ჩანაწერების მიხედვით).<sup>1</sup>

<sup>1</sup> აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე (პირად საუბრებშიც კი!) სულ წუხდა ამის გამო, („ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა ვერ დავწერთ“).

არნოლდ ჩიქობავა დიდ ივანე ჯავახიშვილთან ერთად ძირითადი ფუძემდებელია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა; მან მთელი სკოლა შექმნა ამ მიმართულებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფრის გაკეთება ვერ მოასწრო, რაც წარმოუდგენელიცაა; ამიტომ მისი მოწაფეები ვალდებულნი არიან, სწორად წარმართონ მოძღვრის დაწყებული საქმე.

კარგია, რომ ამ მხრივ ბოლო ხანებში წინ წავედით და ახალგაზრდა თუ საშუალო თაობის მეცნიერები აქტიურად ჩაებნენ ისტორიულ-შედარებით კვლევა-ძიებაში:

2007 წელს თბილისში გამოქვეყნდა პროფესორ მიხეილ ქურდიანის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“, 2008-ში – პროფესორ მერაბ ჩუხუას „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“, ხოლო 2017 წელს – მისივე „ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი“, მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის?! აუცილებლად უნდა შეიქმნას „ქართველურ-დაღესტნური“ და, რაც მთავარია, „იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა“; მანამდე კი ჰიპოთეტურ განცხადებებს უნდა მოვერიდოთ – ისეთებს, რომელთაც აკადემიკოსი ნიკო მარი „С ветра берушиися анализ“-ს უწოდებდა ხოლმე.

მაშასადამე, თითქმის საუკუნის წინ გერმანულ ენაზე ლაიფციგში გამოცემულ ქართველოლოგიურ წიგნში დასმული პრობლემები დღესაც აქტუალურია და მეცნიერულად გადასაწყვეტი; ამიტომაც ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ დიდ გერმანელ ქართველოლოგს (განსაკუთრებით ქართველებმა!), ვთარგმნოთ მისი ნაშრომები ქართულ ენაზე და შევაფასოთ კრიტიკული თვალსაზრისით, რაც ნაწილობრივ აქამდეც გაკეთდა, მაგრამ ეს არ კმარა. მთავარი მაინც ისაა, რომ თავად თანამედროვე გერმანელი კავკასიოლოგებიც წუხან იმის გამო, რომ ბატონი გერჰარდ დეეტერსის ღვაწლი დღეს ერთგვარად თითქოს მივიწყებულიც კია.

პოლიპერსონალური ზმნა ქართველურ ენათა უმნიშვნელოვანესი და ურთულესი მეტყველების ნაწილია. დიდი ავსტრიელი მეცნიერის, პროფესორ ჰუგო შუხარდტის აზრით, „ვინც ზმნა იცის, იმან ენაში თითქმის ყველაფერი იცის“ (იხ. *Über den passiven Charakter der kaukasischen Sprachen*, Wien, 1895). მორფოლოგიური კატეგორიების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა გრამატიკული წყობის განვითარების კანონზომიერებათა გაგებისათვის. წინადადების მეტად რთული და ორიგინალური სინტაქსური მექანიზმი (ბრუნვასა თუ რიცხვში შეთანხმება, მართვა, მირთვა, კოორდინაცია, პარატაქსი, ჰიპოტაქსი, პირდაპირი და ირიბი ნათქვამი, სხვათა სიტყვის გამოხატვის სპეციფიკა, განსაკუთრებით სვანურში, სადაც ნებისმიერი პირის ნათქვამი ზმნათა მესამე პირის ფორმებითა და შესაბამისი ნაცვალსახელებითაა გადმოცემული,...) სწორედ ზმნის თავისებური ბუნებით აიხსნება. ამგვარი კვლევების წარმოება აუცილებელია ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის დამუშავებისათვის. ამ თვალსაზრისით, „გ. დეეტერსის მონოგრაფია,

რომელიც საგანგებოდაა მიძღვნილი ქართველური ზმნის შედარებითი შესწავლისადმი, სერიოზულ გამოკვლევას წარმოადგენს და თავის მნიშვნელობას დღემდეც ინარჩუნებს (მაჭავარიანი 1953: 7).

ჩვენს საანალიზო წიგნში ერთი მეტად საინტერესო დებულებაა, რომლის მსგავსი სხვა ავტორთან (არც 1930 წლამდე და არც მას შემდეგ!) არ შეგვხვედრია: „**ლაზურ-მეგრულს ზოგი რამ საერთო აქვს სვანურთან, მაგრამ ისინი ერთი წონისანი არ არიან ქართული ენიდან მომდინარე უთვალავი საერთო სიახლეების მიმართ...** ლაზური და მეგრული, რა თქმა უნდა, ერთმანეთს შეერწყმებოდა, რომ ისინი გეოგრაფიულად არ გაეთიშა ქართული ენის გურულ კილოს“.

გ. დეეტერსი თავის გამოკვლევაზე მუშაობისას, უმთავრესად ეყრდნობოდა ნიკო მარისა და იოსებ ყიფშიძის ლაზურ და მეგრულ გრამატიკებს, აგრეთვე, ნიკო მარის ძველი ქართული ენის ძირითად ტაბულებს. რაც შეეხება 1925 წელს ლენინგრადში გამოცემულ „Грамматика древнелитературного грузинского языка“-ს, ის, მისი აზრით, არავითარ წინსვლას არ წარმოადგენდა, რადგანაც ამ წიგნში ისე არია ფაქტები დაუმტკიცებელმა და დაუმტკიცებელმა თეორიულმა მოსაზრებებმა და აპოდიქტიკურად მოცემულმა ახსნებმა ნ. მარისა, რომ **ვეღარ მივიღეთ ძველი ქართული ზმნის სურათი**. ამიტომ გ. დეეტერსმა, მაშინ მის ხელთ არსებული სპეციალური ლიტერატურიდან, საუკეთესოდ მიიჩნია ადოლფ დირის მოკლე (XIV+171 გვ.), თუმცა ძალზე საინტერესო ნაშრომი „Theoretisch-praktische Grammatik der modernen georgischen (grusinischen) Sprache“ (Wien und Leipzig, 1904).

მონოგრაფიაში „Das kharthwelische Verbum“ გაანალიზებულია ძველი ქართული ტექსტები (მათ შორის პალიმფსესტებიც) და თანამედროვე ქართული დიალექტების მონაცემები. ავტორი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს აკაკი შანიძის მიერ გამოცემულ ბესარიონ გაბუურის ხევისურული ხალხური პოეზიისა და პროზის ნიმუშებს.

რაც შეეხება სვანურ ენას, აქ გ. დეეტერსი ეყრდნობა აკადემიკოს აკაკი შანიძის დიდებულ გამოკვლევას „უმლაუტი სვანურში“ (1924 წ.) და დიდი მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებულ დიალექტთა საკლასიფიკაციო სამ კრიტერიუმს (უმლაუტი, ხმოვანთა სიგრძე, რედუქცია) უმატებს მეოთხესაც – ესაა **ჰ** ფონემა, რომელიც ქვემოსვანურში გაუჩინარებულია ან **ა**-ადაა ქცეული (ზსვ. **ჰებ** – ქსვ. **აებ** „ბალი“). სვანური ზმნის მორფოლოგიური ანალიზი გერმანელმა მკვლევარმა წარმოგვიდგინა აკადემიკოს ნიკო მარის მიერ 1917 წელს პეტროგრადში გამოცემული არსენ ონიანის ლაშხური ტექსტების მიხედვით. ამიტომაც, თავისთავად ცხადია, ის ვერ შენიშნავდა **ჰ** > **ა** პროცესს ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ მეტყველებაში.

გარდა ლაშხური მონაცემებისა, გ. დეეტერსს გამოყენებული აქვს, აგრეთვე, სვანეთისა და სვანური ენისადმი მიძღვნილი სამი კრებულიც („Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа: X – 1890, XVIII – 1894, XXXI – 1902“, Тифлиς), თუმცა, როგორც ცნობილია, მათში გამოქვეყნებულ ტექსტებში არაერთი შეცდომაა.



გულდასაწყვეტია, რომ დღემდე არაა დამუშავებული პროფესორ გერ-ჰარდ დეეტერსის არქივი ქართველ ლინგვისტა მიერ ზონის ფრიდრიხ ვილ-ჰელმ რაინის უნივერსიტეტში, თორემ სადღაც, ალბათ, ვიპოვოდი არსენ ონიანის სვანური ბოტანიკური ლექსიკონის (1917 წ.) მისეულ თარგმანს (ხელ-ნაწერს მაინც!), რომლის შესახებაც ავტორი მსჯელობს საანალიზო მონოგრაფიის წინასიტყვაობაში. შევეცდებით, გამოვასწოროთ ჩვენი წინაპრების მუშაობის ნაკლი გერმანელი კოლეგების დახმარებით და ზონში სამეცნიერო მივლინებით.

მეტად საინტერესოა გ. დეეტერსის **სეგმენტაციები**: მაგალითად, ზმნა **და-მ-ი-დგ-ინ-ნ-ე-ს** შემადგენელ 12 ელემენტად სქემატური წარმოდგენის შემდეგ ფუნქციონალურად ასე განისაზღვრება:

№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	შენიშვნა
ა)	და	მ	ი	დგ	.	ინ	ნ	.	.	ე	ს	.	
ბ)	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	
გ)	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	

და ა. შ.

I: მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა – 4; მიმართულება უფრო ზუსტად განისაზღვრება 1-ით;

II: პ ი რ ი – 2 და 11;

III: რ ი ც ხ ვ ი – 7 და 12, ნაწილობრივ, აგრეთვე, 2 და 11;

IV: დ ი ა თ ე ზ ა – 5, 6 და, ნაწილობრივ, 3;

V: ვ ე რ ს ი ა – 3;

VI: კ ი ლ ო – 10, სვანურში, აგრეთვე, 11;

VII: მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ს ა ხ ე – 1, 8, 10, 11;

VIII: დ რ ო ი ს ს ა ფ ე ხ უ რ ი – 11, აგრეთვე, 8, 9, 10.

ჩვენი საანალიზო წიგნის წინასიტყვაობის ბოლოს მითითებულია ის თავები, სადაც საგანგებო მსჯელობაა სქემაში წარმოდგენილი ფუნქციების შესახებ და ხაზგასმულია, რომ „ყოველი სახელი შეიძლება ვაქციოთ ზმნის ფორმის საფუძვლად... ძალიან იშვიათად თუ გამწვანდება პირველადი და ნასახელარი ზმნების ერთმანეთისგან გამიჯვნა“!

„Das kharthwelische Verbum“ შედგება 15 თავის, 471 პარაგრაფისა და ძველი ქართული, მეგრული, ლაზური თუ სვანური ზმნების ძირთა ინდექსისაგან (ამ უკანასკნელში ლაზური მასალა ძალზე მოკრძალებულად გამოიყურება!), აქვეა წიგნის რედაქტორისა და ავტორის წინასიტყვაობანი, აგრეთვე, შემოკლებანი (სპეციალური ლიტერატურისა თუ სხვა მონაცემებისა). მათ შესახებ დეტალურად ვიმსჯელებთ მხოლოდ მას შემდეგ, როცა საფუძვლიანად შევისწავლით გერჰარდ დეეტერსის არქივს გერმანიაში<sup>1</sup> და ქართულ ენაზე

<sup>1</sup> უღრმეს მადლობას მოვასხენებთ ოლდენბურგის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორს, ბატონ ვინფრიდ ბოედერს ჩვენთვის დეტალური არქივის მოწოდებისა და გარკვეული კონსულტაციებისთვის.

გადავთარგმნით შესანიშნავ ქართველოლოგიურ მონოგრაფიას, ამჯერად კი დავკმაყოფილდებით მისი წინასიტყვაობის ანალიზით, თუმცა ზოგი რამ ახლაც შეიძლება ითქვას:

საყურადღებოა, რომ „ქართველურ ენათა ზმნაში“ არაერთი მნიშვნელოვანი დებულებაა წარმოდგენილი, რომლებიც კონკრეტული ენობრივი ფაქტებითაა გამყარებული. ასე მაგალითად:

„სახელებში ხმოვნის რედუქციის როლი შეზღუდულია, რადგანაც სიტყვები უფრო მოკლეა ზმნებთან შედარებით და პრეფიქსებიც იშვიათად ჩნდება. სვანური მორფოლოგიური სტრუქტურის სირთულეს სწორედ რედუქცია ქმნის, თუმცა ლენტეხური დიალექტი არავითარ ხმოვანთა რედუქციას არ იცნობს“ (გვ. 18)<sup>1</sup> – გახაზავს გ. დეეტერსი და ასეთი კატეგორიული განცხადება არცაა გასაკვირი – მაშინ ხომ, ცალკეულ სიტყვათა გრამატიკული ფორმების გარდა, ლენტეხური მეტყველების არანაირი ნიმუში არ იყო გამოქვეყნებული, თანამედროვე კვლევების მიხედვით კი ლენტეხურს, სხვა დიალექტებთან შედარებით, ხმოვანთა სუსტი რედუქცია ახასიათებს.

ქართულ-მეგრულ-ლაზურში საობიექტო ქცევას აწარმოებს **ჟ**- პრეფიქსი, ხოლო სვანურში – **თ**. რასაკვირველია, ასეთ სხვაობას ყველა მკვლევარი მიაქცევს ყურადღებას საერთო გენეტიკის ენებში და სრულიად ბუნებრივია, რომ მასზე საგანგებო მსჯელობაა საანალიზო მონოგრაფიაში. მისი ავტორის აზრით, სვანური **ჟ** < **თ**- რედუქციის გზით (გვ. 81). მოგვიანებით (1953 წ.) ამ საკითხს შეეხო გ. მაჭავარიანიც თავის საკანდიდატო დისერტაციაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაშრომი დღემდე გამოუქვეყნებელია.<sup>2</sup> მართალია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებმა, პროფესორ ივანე ლეჟავას ხელმძღვანელობით, იგი კომპიუტერულადაც წარმოგვიდგინეს, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში. ასე რომ, როცა იზა ჩანტლაძის ნაშრომი (იხ. საობიექტო ვერსია ქართველურ ენებში და მისი **ჟ**- ალომორფი სვანურში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. VII, თბილისი, 1999) დაიბეჭდა, მაშინ ხელთ არ გვექონია არც გერჰარდ დეეტერსის „Das kharthwelische Verbum“ და არც გივი მაჭავარიანის დისერტაცია. ჩვენი ასპირანტობის წლებში გერმანელი პროფესორის წიგნი ყველა სოლიდურ ბიბლიოთეკაში იდო, იქ ვისხედით და ვამუშავებდით მას, ახლა კი იგი თვით საქართველოს პარლამენტის საჯარო თუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-

<sup>1</sup> გ. დეეტერსის მონოგრაფიაზე დაყრდნობით, სვანური ზმნის მორფმათა რანგის შესახებ დამაჯერებლად მსჯელობს ჩვენი ინგლისელი კოლეგა ჯორჯ ჰიუიტი თავის ერთ-ერთ ნაშრომში („Morphologically – sensitive phonological Rules in the Svan Verbalcomplex“), ოღონდ, ვვიქრობთ, დაშვებულია ძალზე უხეში (ალბათ, კორექტურული) შეცდომა სტატის დასაწყისში (გვ. 331), რადგანაც **არე**- პრევერბი სვანურ ენაში არ არსებობს.

<sup>2</sup> ხელნაწერზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა მაია მაჭავარიანი, რადგანაც მის გამოცემას აპირებდა (სამწუხაროდ, ეს სურვილი განუხორციელებელი აღმოჩნდა), ამიტომ გივი მაჭავარიანის ნაშრომი სხვა მკვლევართათვის მიუწვდომელი იყო იმ დროს. მაია მაჭავარიანის წიგნში „ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა“ (1987) წარმოდგენილი თვალსაზრისი გარკვეულად ეხმაურება გივი მაჭავარიანის ნააზრევს (იხ. გვ. 3).

ვერსიტეტის ბიბლიოთეკებშიც კი აღარაა. მხოლოდ ერთადერთი ცალი მოიპოვება არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში – ისიც ნაჩუქარი წიგნების ფონდში.

ვის არ უკვლევია ქართველი ხალხის მრავალმხრივი ეთნონიმური ტერმინოლოგია ჩვენში თუ უცხოეთში, მაგრამ პროფესორი გერჰარდ დეეტერსი ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია 1956 წელს გამოქვეყნებული სტატიით „Der Name der kaukasischen Iberer“.

დიდი ქართველოლოგი დეტალურად მიმოიხილავს იმ დროისათვის მსოფლიოს ცნობილ ეთნოლინგვისტთა თუ ისტორიკოს-არქეოლოგთა არაერთ თვალსაზრისს როგორც ქართველი, ისე ესპანელი „იბერების“ შესახებ და საგანგებოდ მსჯელობს პეტერბურგსა და თბილისში მოღვაწე ბასკოლოგის, პროფესორ იური ზიცარის ნააზრევზე, რომელიც მაშინ ახალი გამოქვეყნებული იყო „Вопросы языкознания“-ს V ნომერში (1955 წ.). ის საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს რუს ენათმეცნიერს ტერმინ „იბერის“ ქართულ **ბარ**-თან, ზემოსვანურ ტოპონიმებთან **იფარ**-თან თუ **ფარ**-თან და ბასკურ **ibar** („მდინარის მდელო“-)თან დაკავშირების გამო (**ბარ**-სა თუ **ფარ**-ში ი. ზიცარი **o**- პრეფიქსის დაკარგვას ვარაუდობს, რომ ეს ლექსემები როგორმე ბასკურ **ibar**-ს დაუკავშიროსო – Deeters 1956: 86). არათუ იური ზიცარს, არამედ ივანე ჯავახიშვილსაც კი, რომელსაც ბატონი გერჰარდი უდიდეს პატივს სცემდა, ის ფანტასტიკოსად მოიხსენიებს შეთხზული **\*სიბერ** ფორმის **სპერ**-თან (მდინარე ჭოროხის მახლობლად) დაკავშირების გამო (იქვე: 85). შევნიშნავთ, რომ ზემოსვანურ **იფარ** და **ფარ** ტოპონიმთა განხილვა ერთ-ერთი ბალსქვემო სოფლის სახელწოდების (**იფარ-არ**) ანალიზის გარეშე შეუძლებელია. გარდა ამისა, ეს სვანური ფუძე მოსალოდნელია კოპიტის ქართულ სახელწოდებას („ი ფ ა ნ ი“) უკავშირდებოდეს (მდრ. ქართული ტოპონიმები: **იფნ-არ-ა/ი**, **იფნ-ის-გორ-ა**,...). საკითხს სპეციალური შესწავლა სჭირდება.

დიდი ქართველი მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ნოდარ ანდლულაძე და სხვები, არა მარტო აღიარებენ ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა გენეალოგიურ ერთიანობას, არამედ მათ არაერთ ნაშრომში მოცემულია მსჯელობა კლასკატეგორიის აღმნიშვნელ მორფემათა ძიების შესახებ ქართველურ პიროვან უღლებაში. რაც შეეხება გერჰარდ დეეტერსს, მან სპეციალური სტატია (Gab es Nominalklassen in allen kaukasischen Sprachen?, „Corolla Linguistica“, Wiesbaden, 1955) მიუძღვნა ამ საკითხს და **კატეგორიულად უარყო კლასის აღმნიშვნელ პრეფიქსთა არსებობა ქართველურ ენებში**. უცხოელ მეცნიერს ჩვენმა ზოგიერთმა მკვლევარმაც (თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი,<sup>1</sup> ტოგო გუდავა, ბაქარ გიგინეიშვილი, ალექსანდრე ონიანი, ზურაბ სარჯველაძე...) აუბა მხარი,

<sup>1</sup> თუმცა 1953 წელს გივი მაჭავარიანი საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებდა: „ქართველურ ენათა ადრინდელი ისტორიის ზოგი საკვანძო საკითხის მართებულად დასმა და გადაჭრა სწორედ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონზე გახდა შესაძლებელი – გავიხსენოთ თუნდაც გრამატიკული კლასკატეგორიის საკითხი ქართველურ ენებში“ (მაჭავარიანი 1953: 6).

ხოლო მისმა საუკეთესო მოწაფემ კ. ჰ. შმიდტმა მოგვიანებით (1987 წ.) დასვა საკითხი ამ პრობლემასთან დაკავშირებული მასალის ხელახალი გადამუშავების თავის ნაშრომში „Die Stellung des svanische innerhalb der kartvelischen Sprachfamilie“. ერთი წლის შემდეგ დაახლოებით იგივე აღნიშნა პროფ. ვაჟა შენგელიამ: „დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანისა და ნივთის სემანტიკური ოპოზიციის ფუნქციონირება არ ამოიწურება სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მოძიებულით. შემდგომი კვლევა, ვფიქრობთ, ახალ ფაქტებს გამოავლენს“ (1988: 147).

საჭიროა უფრო მეტი მასალის მოძიება გ. დეეტერსის არქივში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გვეჩვენება მისი რეცენზია იოსებ კარსტის კომპარატივისტულ ნაშრომზე „Grundzüge einer vergleichenden Grammatik des Ibero-kaukasischen“ (Leipzig-Straßburg-Zürich, 1932), რომელიც დაბეჭდილია 1934 წელს „Caucasica“-ს მე-11 ნომერში და რომელსაც საქართველოში ვერსად მივაკვლიეთ.

მეორე რეცენზიაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას, რომელშიც კრიტიკულადაა შეფასებული კარლ ბოუდას წიგნი „Südkaukasisch-nordkaukasischen Etymologien“ და, რაც მთავარია, პარიზულ „ბედი ქართლისაში“ (№23, 1957) გამოქვეყნებული შემაჯამებელი სტატია გ. დეეტერსისა „Die Stellung der Kharthwelsprachen unter den kaukasischen Sprachen“.

გ. დეეტერსი ძალზე პოპულარული მეცნიერი იყო, უპირველეს ყოვლისა, თავის სამშობლოში. ვფიქრობთ, ამ გავლენის შედეგი უნდა იყოს ბრწყინვალე ქართველოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის, პროფესორ ჰაინც ფენრიხის ერთი გამოკვლევის სათაურიც – „Gab es Sonanten in der gemeindaghestanischen Grundsprache?“ (ოსუ შრომები, ტ. 140, თბილისი, 1971). მასზე არანაკლებ პოპულარული იყო აკადემიკოსი ვარლამ თოფურია და რაოდენ სამწუხაროა, რომ მათ თავიანთი მონოგრაფიები (ერთი და იმავე პრობლემების შესწავლისადმი მიძღვნილი) ერთმანეთის ნაშრომებში ვერსად გამოიყენეს. ვფიქრობთ, ეს დიდად სამწუხარო ფაქტი იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ „სვანური ზმნა“ და „Das kharthwelische Verbum“ თითქმის ერთდროულად შეიქმნა.

გ. დეეტერსი ბრწყინვალე პედაგოგი და ძალზე ობიექტური კოლეგაც იყო. შემთხვევითი არაა, რომ პროფესორი კარლ ჰორსტ შმიდტი მას „Doktorvater“-ს უწოდებდა. არც ისაა შემთხვევითი, რომ მან გუსტავ შმიდტის უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ ნაშრომს კავკასიოლოგიაში „Über Aufgaben und Methoden der Kaukasologie“ (1952) შესანიშნავი, თუმცა საკმაოდ კრიტიკული რეცენზია უძღვნა „Orientalistische Literaturzeitung“-ის 51-ე ნომერში (1956). მასში ნათქვამია: მიუხედავად ჯანსაღი მსჯელობის უნარის მქონებლობისა, თავის საუკეთესო პუბლიკაციაში ავტორს შეცდომა გაეპარა – ჩერქეზული **ṭhamade** („უხუცესი“), ყაზარდ., ადიღ. **ṭḥamate** ინგუშური **teamada** ან ქართული **tamada** („სუფრის წინამძღოლი“)'დან კი არ მომდინარეობს, არამედ რო-

გორც ფონეტიკურად, ისე სემასიოლოგიურად სრულიად ნათელია, რომ მისთვის ამოსავალია წინარეჩერქეზული \***thēmate**, რომელიც, ჟორჟ დიუმევილის მიხედვით, ალბათ, „ღვთაებრივ მამას“ აღნიშნავდა. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. დეეტერსის რეცენზიები დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომებს წარმოადგენენ და ამიტომაც სპეციალისტებმა მათ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ასე რომ, **ქართველი კავკასიოლოგები გადაუხდელ ვალში ვართ გერმანულ კავკასიოლოგთა წინაშე**, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, რათა ჩვენს კოლეგებს (განსაკუთრებით ახალგაზრდებს) სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ მათი ღვაწლის შესახებ.

### ლიტერატურა

**დეეტერსი 1930** – G. Deeters, Das kharthwelische Verbum (Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen), Leipzig.

**დეეტერსი 1956** – G. Deeters, Der Name der kaukasischen Iberer, "Mnemosinarin", Bd. 1, Wien-Wiesbaden.

**დეეტერსი 1957** – G. Deeters, Die Stellung der kharthwelsprachen unter den kaukasischen Sprachen, „ბედი ქართლისა“, №23, პარიზი.

**დეეტერსი 1963** – G. Deeters, Die kaukasischen Sprachen, Leiden-Köln.

**ზიცარი 1955** – Зыцарь Ю. В., О родстве баскского языка с кавказскими, "Вопросы языкознания", №5, Москва.

**მაჭავარიანი 1953** – გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, ნაკვეთი I, საკანდიდატო დისერტაციის კომპიუტერული ვარიანტი, თბილისი.

**მაჭავარიანი 2002** – გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

**ფეიქრიშვილი, ვაშაკიძე 2012** – ჟ. ფეიქრიშვილი, ი. ვაშაკიძე, მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის, წიგნი I, თბილისი.

**ფენრიხი 1978** – ჰ. ფენრიხი, ენათა გენეტური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთოქართველური ფუძემდებლის ძირეულ მოფუძეობის სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

**ქურდიანი 2007** – მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი.

**შენგელია 1988** – ვ. შენგელია, ადამიანის (პიროვნებისა) და ნივთის სემანტიკური კატეგორიის ფუნქციონირების ერთი შემთხვევის შესახებ ქართულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული“, ტ. XV, თბილისი.

**ზმიდტი 1952** – K. H. Smidt, Über Aufgaben und Methoden der Kaukasologie, "Studia Orientalia", 17, 4, Helsinki.

**ზმიდტი 1987** – K. H. Smidt, Die beiden antiken Iberiae, Sprachwissenschaftlich gesehen, "Zeitschrift f. vengl. Sprachforschung", Bd.100, H.1, Göttingen.

**ზმიდტი 1987** – K. H. Smidt, Die Stellung des Svanische innerhalb der Kartvelischen Sprachfamilie, "Studia Caucasica", Peters-Leuven, vol. 7.

**ზმიდტი 1964** – K. H. Smidt, Gerhardt Deeters: Die kaukasischen Sprachen, "Bedi Kartlisa", vol. XVII-XVIII, Paris (რეცენზია).

**ზმიტდი 1976** – K. H. Smidt, Zur Rekonstruktion der Svanischen Sprachgeschichte, BK, XXXIV, Paris, s. 214-219.

**შუხარდტი 1895** – H. Schuchardt, Über den passiven Charakter den kaukasischen Sprachen, Sitzungsberichte der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften in Wien, Philosophisch-historische Klasse, 133, 1, Wien.

**ჩანტლაძე 1999** – ი. ჩანტლაძე, საობიექტო ვერსია ქართველურ ენებში და მისი -ჟ- ალომორფი სვანურში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. VII, თბილისი.

**ჩიქობავა 1948** – Чикобава А. С., Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. II, თბილისი.

**ჩიქობავა 1979** – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

**ჩუხუა 2008** – მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

**ჩუხუა 2008** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჰიუიტი 1982** – Hewitt B. G., Morphologically-sensitive phonological Rules in the Svan Verbalcomplex, "Revue de Kartvelologie", v. XL, Paris.

თბილისი

ივნა

2020 წ.

IZA CHANTLADZE, KETEVAN MARGIANI-SUBARI,  
RUSUDAN ZEKALASHVILI, NANA ODISHELIDZE

## **The Contribution of German Ethnolinguists to Kartvelology**

I - Professor Gerhard Deeters  
(1892-1961)

### S u m m a r y

Distinguished scholars have worked on Kartvelological problems in almost all progressive countries, although the German Ethnolinguistic School has a special place among them. It is enough to name world-renowned professors: Gerhard Deeters, Gertrude Pech, Carl Horst Schmidt, Winfried Boeder, Heinz Fenrich, Jost Gippert, etc. to give a clear idea of the contribution of those foreign colleagues who have always considered Georgia as their second homeland. They traveled to every corner of our country, studied and analyzed not only the state language - literary Georgian, with its ancient texts and modern dialects, but also its related unwritten languages: Svan, Megrelian and Laz. They thoroughly researched old folk poetry and translated Georgian, Svan, Megrelian and Laz fairy tales into German. One of our colleagues - Professor Heinz Fenrich defended his doctoral dissertation in Georgian ("Criteria for substantiation of the genetic kinship of languages and some issues of the basic morpheme structure of the early Proto Kartvelian") under the supervision of Academician Akaki Shanidze at the meeting of the Linguistic Council of Tbilisi State University in 1971.

The present paper deals with the works of Gerhard Deeters, a great German Caucasologist, professor of the Universities of Jena, Munich and Bonn. It discusses only a few works, some of which, unfortunately, are not available in any library in Georgia. The particular attention is paid to the important book "Das kharthwelische Verbum" (Leipzig, 1930, p. X + 268) by Deeters and the question of its translation and publication in Georgian is raised, especially since it is not discussed in any edition of Academician Varlam Topuria's "Svan Verb". This work attracts the attention of specialists in many respects. We should emphasize the fact that it uses the data of Lashkhan dialect published under the editorship of Academician Niko Marr in Petrograd in 1917 as research material (authored by Arsen Oniani).

ირინე ჩაჩანიძე

**ნიკოლო მაკიაველის ლინგვისტური ტრაქტატი  
„საუბარი ანუ დიალოგი ჩვენი ენის შესახებ“  
("Discorso o dialogo intorno alla nostra lingua")**

ენობრივი სიტუაცია კომპლექსური ხასიათის მოვლენაა; ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ აქვს სწორხაზოვანი ბუნება, მისი დამახასიათებელი ნიშნები ყოველთვის ვერ ლაგდება ერთ, სწორ ხაზზე, ყოველთვის არ იზომება ერთი და იმავე კრიტერიუმებით. აქედან გამომდინარე, მის არსში ჩასაწვდომად ვერ ვიტყვით უარს ამ პრობლემის კვლევაში არსებულ მიდგომათა მრავალრიცხოვნებასა და მრავალფეროვნებაზე, ვერც შესაბამისი გზით მიღებული მონაცემების გათვალისწინებაზე. ენობრივ სიტუაციათა ტიპოლოგიური მოდელიზაციიდან ერთ-ერთი ამგვართაგანია შეფასებითი ანუ ესტიმაციური მიდგომა. იგი გულისხმობს იმ ნიშან-თვისებათა გამოვლენა-წარმოჩენას, რომლებიც იდიომთა შინაგანი და გარეგანი შეფასებიდან გამომდინარეობს. ენა ფასდება თავისი ძირძველი მომხმარებლებისა და სხვა ენებზე მოლაპარაკეების მიერ მისი საკომუნიკაციო გამოსადეგობის თვალსაზრისით, ესთეტიკური, კულტურული, პოლიტიკური პრესტიჟულობის ჭრილში და ა. შ. შინაგან შეფასებათა ერთობლიობის საშუალებით შეიძლება დადგინდეს მოცემული ენობრივი ერთობის ე.წ. „ენობრივი ლოიალობის“ ხარისხი, ანუ საკუთარი დედაენის მიმართ ერთგულების დონე.

ლიტერატურაში (მათ შორის, საენათმეცნიეროშიც) საკმაოდ ხშირად ვხვდებით შეფასებით გამონათქვამებს. ერთი მხრივ, რომელიმე ენის აპოლოგია უსაზღვრო ხოტბაში გადადის, ხოლო, მეორე მხრივ, გვხვდება საჩოთირო გამონათქვამებით გაჯერებული გაკიცხვებიც. თვით ეს ფაქტიც კი ადასტურებს ისეთი პრობლემის აქტუალობას, რომელიც სოციოლინგვისტის ყურადღებას უთუოდ იმსახურებს. არაიშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ენა პრინციპულად განსხვავებულად ფასდება, ზოგჯერ პოლარულად განსხვავებულადაც კი.

საერთოდ, როდესაც ამა თუ იმ ენის შესახებ ვსაუბრობთ, ხშირად გვიწევს სხვადასხვა სახის შეფასებების კეთება; ფასდება სიტყვები, გამონათქვამები, ტექსტები, ასევე იდიოლექტები, დიალექტები და მთლიანად ენებიც კი.

ენათმეცნიერების ისტორიაში მრავლად გვხვდება ენათა შეფასებითი შედარების მაგალითები; ეს ის შემთხვევებია, რომელთა დროსაც მკვლევარი თითქოს ერთმანეთს აჯიბრებს ორ ან მეტ ენას. მიუხედავად იმისა, რომ



ამგვარ წიაღსვლათა უმრავლესობას არაკორექტული შედეგი ჰქონდა, ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ “პრობლემის სირთულის წინაშე კაპიტულაცია გამოვაცხადოთ“ (კომლევნი 1981: 99).

ლინგვისტური ხასიათის დისკუსიები, რომელიც იტალიაში რენესანსის პერიოდში მიმდინარეობდა, ევროპული ენათმეცნიერების ისტორიისათვის მრავალი თვალსაზრისით უნიკალურია. სხვადასხვა ენებსა და დიალექტებთან ერთად საერთო ნორმების საკითხების შემუშავება, მშობლიური ენის დაცვა და განდიდება, ლათინური ენის ხალხურ ენებთან თანაფარდობა, ენობრივი კონტაქტებისა და ნასესხობების პრობლემები – ეს ის საკითხებია, რომელიც ზოგადად ევროპული რენესანსული ენათმეცნიერებისთვისაა დამახასიათებელი. ამ თვალსაზრისით, XVI საუკუნეში იტალიური ენის ნორმების დადგენის საკითხმა, რომელიც ფართოდ და აქტიურად განიხილებოდა, განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. ამ მხრივ, სხვადასხვა სახის დისკუსიებში თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა და გამოთქვა თავიანთი მოსაზრება ხალხური ენისა და მისთვის მისანიჭებელი სახელის შესახებ.

იტალიური რენესანსის თხზულებებს ენის შესახებ განსაკუთრებით კრიტიკულად აფასებენ მკვლევრები ტერეზა ლაბანდ-ჟანრუა (ლაბანდ-ჟანრუა 1925) და რობერტ ჰოლი (ჰოლი 1942: 1-10). მათი თვალსაზრისით, დისკუსიის მონაწილეები განიხილავდნენ პრობლემას, რომელიც სინამდვილეში არ არსებობდა და არგუმენტებად არ ასახელებდნენ რაიმე ფაქტობრივ მასალას. რ. ჰოლის თანახმად, კამათის ის მონაწილეები, ვინც ეწინააღმდეგებოდა სალიტერატურო ენის სახელწოდებას "ტოსკანური", მათ უბრალოდ არ ესმოდათ, რომ ეს უკანასკნელი სწორედ ფლორენციულიდან იღებდა სათავეს.

ჩვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ რენესანსის დროინდელი იტალიელი სახელმწიფო მოღვაწისა და ფილოსოფოსის, დიპლომატისა და მწერლის ნიკოლო მაკიაველის (1469-1527) საენათმეცნიერო თხზულებაზე „**საუბარი ანუ დიალოგი ჩვენი ენის შესახებ**“ (“**Discorso o dialogo intorno alla nostra lingua**”, 1524), რომელშიაც იტალიური სალიტერატურო ენის დიალექტების მასალებზე მსჯელობის პროცესში მეტად საინტერესო დაკვირვებებს იძლევა (ჩაჩანიძე 2012: 69).

ფაქტორები, რომლებიც XIII-XIV საუკუნეების იტალიის ენობრივი სიტუაციის სირთულეს განაპირობებენ, ენობრივ პროცესთა მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგია. ამ პროცესში უმთავრესია ლათინურის, როგორც რომაული ცივილიზაციის ენისა და მის საფუძველზე და მისივე წიაღში ჩამოყალიბებული იტალიური volgare-ს ურთიერთმიმართება. ლათინური ენა, როგორც ცნობილია, საუკუნეთა განმავლობაში ემსახურებოდა სახელმწიფოს ყველა პოლიტიკურ თუ კულტურულ მოთხოვნას. ეს ნორმირებული ენა დაცული იყო, სანამ ფუნქციონირებდა სახელმწიფო. მის გვერდით კი თანაარსებობდა ხალხური-სასაუბრო ლათინური, რომლის ბუნებრივ განვითარებას არაფერი აფერხებდა. იმპერიის დაშლის შემდეგ მისი დიფერენციაციისა და

დამოუკიდებელი განვითარების პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და დაჩქარდა. საკმაოდ მალე ხალხური-სასაუბრო ლათინურის მრავალფეროვანი ტერიტორიული ნაირსახეობანი გადაიზარდნენ იმ მოვლენაში, რასაც ადრეული რომანული ენები ეწოდება (ჟღენტი 1999: 8).

მაკიაველის ენობრივი ნააზრევის მიმართ ჩვენს ინტერესს განაპირობებს არა მარტო მისი ავტორის უდიდესი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკურ და კულტურის ისტორიაში, ჩვენთვის უპირველესად საინტერესოა ქართული აუდიტორიის პოზიციებიდან აღქმული ტრაქტატი, თუნდაც იმიტომ, რომ ენის საკითხი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ქართველი მოაზროვნეებისათვის.

მაკიაველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფლორენციაში, იმ დროს, როდესაც იტალია დაქუცმაცებული იყო რამდენიმე მეტოქე ქალაქ-სახელმწიფოდ, რომლებსაც ახასიათებდათ არასტაბილურობა და რელიგიური კონფლიქტები. ასეთმა მდგომარეობამ საუკეთესო პირობები შექმნა დიალექტების ჩამოსაყალიბებლად. ჯერ კიდევ დანტეს დროს 14 დიალექტი და 1000 კილოკავი არსებობდა. სალიტერატურო იტალიური ენის ჩამოყალიბებაში არსებითი როლი ფლორენციის (ტოსკანურმა) დიალექტმა ითამაშა, რომელიც სამი უდიდესი პოეტისა და აღორძინების ეპოქის ჰუმანისტის – დანტეს, პეტრარკასა და ბოკაჩოს მშობლიური დიალექტი იყო.

ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს დანტე ალიგიერის დამსახურება, რომელმაც თავის ლინგვისტურ ტრაქტატში „**ხალხური მჭერმეტყველების შესახებ**“ („**De vulgari eloquentia**“) დაასაბუთა ხალხური ენების უპირატესობა მკვდარი კლასიკური ენების წინაშე. მან ეს მიდგომა საქმიანად დაამტკიცა და შედეგად, თავისი ცნობილი „ღვთაებრივი კომედია“ შექმნა არა კლასიკურ ლათინურზე, არამედ ხალხურ იტალიურ ენაზე (ჭრელაშვილი 1990: 64).

დანტე შემდეგნაირად ახასიათებს განსხვავებებს მშობლიურ ენასა და წმინდა ენებს შორის:

„მშობლიური ენა ეწოდება მეტყველების იმ ფორმას, რომელსაც ახლად ფეხადგმული ბავშვი ითვისებს უფროსებისაგან, როცა იგი თავდაპირველად იწყებს სიტყვების გარჩევას ყოველგვარი წესების გარეშე. ჩვენ ასევე გაგვაჩნია მეტყველების მეორეული ფორმა, რომელსაც რომაელები „გრამატიკას“ უწოდებენ. მეტყველების ეს მეორეული ფორმა ბერძნებსაც აქვთ, სხვა ერებსაც, მაგრამ ყველას არა. ცოტა ვინმე თუ ახერხებს მის კარგად დაუფლებას, რადგან ამას დიდი დრო და ენერგია სჭირდება. ამ ორთაგან მშობლიური ენა უფრო კეთილშობილურია, რადგან ის ადამიანთა რასამ პირველად გამოიყენა და რადგან მსოფლიოში ყველა იყენებს მას, მაშინაც კი, თუ ის სხვადასხვა კილოდ და სიტყვებადაა დაყოფილი, იმიტომ, რომ მშობლიური ენა ბუნებრივია ჩვენთვის მაშინ, როდესაც სხვა შემოქმედებითადაა შექმნილი“ (ლო 2010: 205).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, საინტერესოა იქნება გავიხსენოთ ნაწყვეტი კონსტანტინე გამსახურდიას წერილიდან "დანტე ალიგვიერი", რომელშიც განხილულია დანტეს პოეზიის მნიშვნელობა საერთო იტალიური სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში. „იტალიური ენა წარმო-

მდგარია სხვადასხვაგვარი ლათინური დიალექტებისაგან, რომელთაც “ლინგუა რომანა რუსტიკა“ ეწოდებოდა – რომანული გლეხური ენა. ამ დიალექტების ურთიერთთან ჭიდილში XII-XIII სს. იმარჯვებს და ბატონდება ტოსკანური ენაკავი, რომელიც პეტრარკამ და დანტემ ლიტერატურულ ენად დაამკვიდრეს პოეზიაში. ტოსკანური, ანუ ფლორენციული გახდა იტალიური პროზის ენაც, რამდენადაც ბოკაჩიოც ამ დიალექტზე წერდა“ (გამსახურდია 2012).

ლინგვისტურ პოლემიკურ დიალოგში ნიკოლო მაკიაველი დიალექტების საკითხს უკავშირებს მწერლების წარმომავლობას და აღნიშნავს: “საყოველთაოდ ცნობილია, ის რომ სამი მწერალი დანტე, ბოკაჩო და პეტრარკა ფლორენციელებია. ამ სამეულიდან მხოლოდ ბოკაჩო აცხადებს “დეკამერონში”, რომ წერს ფლორენციულ ხალხურ ენაზე (**volgare**); პეტრარკა თითქოს ამის შესახებ არაფერს ამბობს; დანტე წიგნში სახელწოდებით “ხალხური მჭერმეტყველების შესახებ” უარყოფს იტალიის ყველა კილოკავს და ამტკიცებს, რომ წერს არა ფლორენციულ, არამედ კურიალურ, სამეფო კარის ენაზე“ (მაკიაველი 2002: 59-71).

ნაშრომში მაკიაველი ეყრდნობა არა მხოლოდ ლოგიკურ და იდეოლოგიურ ხასიათის არგუმენტებს, არამედ ენობრივ ფაქტებსაც. იგი იტალიას ყოფს ხუთ მთავარ ზონად (ლომბარდია, რომანია, ტოსკანა, რომის რეგიონი და ნეაპოლის სამეფო) და უამრავ მაგალითს ასახელებს, რათა წარმოაჩინოს ზონებში გავრცელებულ დიალექტებს შორის სიღრმისეული განსხვავებანი:

„ამ მხარეების ყურადღებით დაკვირვებისას, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დიალექტებით. მაგრამ სანამ გავერკვეოდეთ, თუ საიდან მომდინარეობს ეს განსხვავებები, უნდა გვესმოდეს, თუ რითაა განპირობებული დიალექტების მსგავსება. ეს იმდენად გასაოცარია, რომ დღევანდელ მწერლებს ეჩვენებათ, თითქოს წარსულის მწერლები წერდნენ საერთო იტალიურ ენაზე. მაგრამ, მიუხედავად ენაში მრავალგვარი განსხვავებისა, ჩვენ გვესმის ერთმანეთის“ (მაკიაველი 2002: 60).

თხზულებაში ნიკოლო მაკიაველი იტალიური ენის დიალექტების მსგავსებას შემდეგი თავისებურებებით ხსნის: “რვა მეტყველების ნაწილიდან, რომელიც ნებისმიერ ენაში არსებობს, ჩვენ დავრწმუნდებით იმაში, რომ ენის მთავარ ნერვს წარმოადგენს ზმნა. თუ ამ მეტყველების ნაწილში მოსაუბრეთა შორის განსხვავება არ მოიძებნება, მაშასადამე, სახეზე გვაქვს ურთიერთგაგებინება, მაშინაც კი, თუ მეტყველების სხვა ნაწილებში ბევრი განსხვავებაა და სახელები უცხოა, მათ შორის მდგომი ზმნა გაარკვევს სახელების მნიშვნელობას“ (მაკიაველი 2002: 60).

სხვადასხვა ენათმეცნიერული შეხედულებებისა და დასკვნების საფუძველზე მაკიაველი თავის ტრაქტატში საინტერესოდ აგრძელებს მსჯელობას:

„ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ყოველი ენა შემოიფარგლება იმ საზღვრებში, რომლებშიც გამოიყენება ერთი და იგივე თანხმობის ნაწილაკი. მაგალითად, ასეთია იტალიური „**si**“. ამავე დროს, ისინი იმოწმებენ დანტეს, რომელსაც თავის "ღვთაებრივ კომედიაში" გამოყენებული აქვს "si":

"ვამ, შენ პიზავ, სამარცხვინო ლაქავ ხალხისა, მშვენიერ ქვეყნის სად სჩვევიათ წარმოთქმა „si“-სა" (ალიგჰიერი დანტე 1933: 161).

ანალოგიურად, მტკიცების ნიშნად ფრანგულ ენაშია „**si**“, გერმანულში – „**io**“, ინგლისურში – „**yes**“. აი, რის საფუძველზეა შესაძლებელი რომ ვიფიქროთ, თითქოს იტალიაში ყველა ლაპარაკობს და წერს ერთ ენაზე" (მაკიაველი 2002: 60).

ამ საკითხთან დაკავშირებით, შენიშვნის სახით, მეტად საინტერესო და ფასეულია „ღვთაებრივი კომდიის“ მთარგმნელის კონსტანტინე გამსახურდიას ინტერპრეტაცია:

„**si**“ – იტალ. ჰო, დიახ – დანტეს დროს რომანულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს არჩევდნენ: **Langue de si, Langue d'oc, Langue d'oui**. დანტე თავის ტრაქტატში: **De vulgare eloquentia** შემდეგსა სწერს: „მთელი ამ ხმელეთის მოსახლეობა დონაუს, ან პაულუს მაეოტის შესართავიდან დასავლეთისაკენ ვიდრე ინგლისის, იტალიისა და საფრანგეთის სამზღვრებამდის ერთ ენაზე ლაპარაკობს, თუმცა იგი ენა სლავონიერებსა, უნგრელთა, ტედესკის (გერმანელების), საქსონელებისა და ინგლისელებისათვის სხვადასხვა დიალექტად იქცევა, მათ ის გარემოება აკავშირებთ, რომ ყველანი „ჰო“-ს თქმის დროს ja-ს ამბობენ. იქიდან დაწყებული აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. უნგრეთის სამზღვრებიდან იწყება სულ სხვა ენა. ხოლო ის ნაწილი, რომელიც ამ ქვეყნებს გარეშე მდებარეობს ევროპაში, აქვთ მესამე ენა, თუმცა იგი ამჟამად სამეზობის დანაწილებული. ვინაიდან როცა მათ რაიმეზე „ჰო“-ს თქმა ნებავთ, ზოგნი იტყვიან: **oc**-ს, ზოგნი – **oui**, ხოლო სხვანი **si**-ს. სახელდობრ: ესპანელნი, ფრანგნი, იტალიელნი“. რატომღაც დანტეს არეგია გეოგრაფიული ცნებები. შესაძლოა სლავონიელებსა და უნგრელებს იგი ტედესკის – გერმანელებს იმიტომაც მიაკუთვნებს, რომ ამ ხალხებს იმ დროში კარგად ეცოდინებოდათ გერმანული“ (ალიგჰიერი დანტე 1933: 162).

იტალიაში მშობლიური ენის დამკვიდრება დაკავშირებულია დანტესთან. მან იტალიური ენის დაცვას მიუძღვნა სპეციალური ტრაქტატი "ხალხური მჭერმეტყველების შესახებ" – „**De vulgare eloquentia**“, რომელიც თარიღდება 1304-1309 წლებით. ავტორმა ნაშრომში იტალიური ენისა და მისი დიალექტებისადმი დიდი ინტერესი გამოხატა. შემთხვევითი არ არის ის, რომ ნიკოლო მაკიაველის ლინგვისტური დიალოგის ერთ-ერთი პერსონაჟი სწორედ დანტე ალიგიერია. მაკიაველის აზრით, თხზულებაში მსჯელობის მთავარი მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: ფლორენციული, ტოსკანური ან იტალიური წარმოადგენენ თუ არა ფლორენციელი მჭერლების ენებს? ამის გასარკვევად ავტორი საგანგებოდ, თავის წარმოსახვაში იხმობს დიალოგში დანტე ალიგიერის. საილუსტრაციოდ, პუბლიკაციის ტექსტის მიხედვით, გთავაზობთ ფრაგმენტს დიალოგიდან:

**ნიკოლო** – ზოგადად, რომელია პოემის ენა? (მხედველობაშია "ღვთაებრივი კომედია)

**დანტე** – კურიალური, სამეფო კარის.

**ნიკოლო** – ეს როგორ გავიგო?

**დანტე** – როგორ და, მასზე საუბრობენ პაპის კურიაში, ჰერცოგის კარზე, სადაც ხალხი უფრო განათლებულია და შესაბამისად, მეტყველებენ უკეთესად, ვიდრე იტალიის ქალაქებში.

**ნიკოლო** – ცრუობ! მითხარი, რას ნიშნავს ამ ჰერცოგის კარის ენაზე სიტყვა “მორსე”?

**დანტე** – ნიშნავს “გარდაიცვალა”.

**ნიკოლო** – ფლორენციულ ენაზე რას ნიშნავს?

**დანტე** – ფლორენციულზე – “უკბინა”.

**ნიკოლო** – შენს ლექსებში “მორსე” როგორი მნიშვნელობითაა გამოყენებული?

**დანტე** – “შეურაცხყოფას”, “თავდასხმა”-ს ნიშნავს. იგი გამოყენებულია ფლორენციული “მორდარე”ს გადატანითი მნიშვნელობით “კბენა”.

**ნიკოლო** – მაშასადამე, შენ საუბრობ ფლორენციულ და არა კურიალურ ენაზე.

**დანტე** – უმეტეს წილად, კი, მაგრამ მე თავს ვარიდებ გადაჭარბებულ ფლორენციულ სიტყვებს.

**ნიკოლო** – ნუთუ, ჩვენი კამათი უაზრობა არაა?! პოემაში შენ არაერთხელ ახსენებ, რომ ლაპარაკობ ტოსკანურ და ფლორენციულ ენებზე“ (მაკიაველი 2002: 64).

დიალოგის დასასრულ, “ღვთაებრივი კომედიიდან” მსგავსი არგუმენტების მოხმობის საფუძველზე, მაკიაველი არწმუნებს დიალოგის პერსონაჟს დანტე ალიგიერის, რომ ენა, რომელზეც იგი ქმნის განუმეორებელ შედეგებს, ფლორენციულია.

„არ არსებობს ენა, რომელიც საერთოა იტალიისთვის, რადგან ყველა ენას გააჩნია ძირი ნასესხები ფლორენციელი მწერლებისა და ფლორენციული ენისაგან. ასე რომ, თუ ამოდ არ გაჯიუტდები, მაშინ უნდა შევთანხმდეთ, რომ ფლორენციული ენა წყარო და საწყისია ყველაფრისა. საბოლოოდ, დანტე დაეთანხმა ჩემს შეხედულებებს და გავიდა. მე კი დავრჩი ბოლომდე კმაყოფილებით სავსე, რადგან მჯეროდა, რომ ის გაურკვეველი მდგომარეობიდან გამოვიყვანე“ (მაკიაველი 2002: 69).

ნიკოლო მაკიაველის ლინგვისტური ხასიათის ტრაქტატი “მეტყველება ან დიალოგი ჩვენი ენის შესახებ” ფასეულია იმდროინდელი იტალიის ლინგვისტური სიტუაციის რეკონსტრუქციისათვის ისტორიული და ფაქტოლოგიური თვალსაზრისით. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან და ღირებულ წყაროს როგორც დიაქრონიული სოციოლინგვისტიკის ობიექტი.

## ლიტერატურა

**ალიგჰიერი დანტე 1933** – ალიგჰიერი დანტე, ღვთაებრივი კომედია, კონსტანტინე გამსახურდიას და კონსტანტინე ჭიჭინაძის თარგმანი, ჟურნალი „მნათობი“, ტფილისი.

**გამსახურდია 2012** – ვ. გამსახურდია, დანტე ალიგჰიერი, თხზულებანი 10 ტომად. ტ. 8, კრიტიკა. თბილისი.

**კომლევი 1981** – Н. Комлев, Лингвистическая аксиология. Постановка проблемы. В кн.: Теоретические проблемы социальной лингвистики, Москва.

**ლაბანდ-ჟანრუა 1925** – T. Labande-Jeanroy, La question de la langue en Italie. Strasbourg- Paris: En depot Librairie Istra Maison d'édition.

**ლო 2010** – ვ. ლო, ლინგვისტიკის ისტორია ევროპაში პლატონიდან 1600 წლამდე, The history of linguistics in Europe from Plato to 1600, თბილისი.

**მაკიაველი 2002** – Н. Макиавелли, Речь, или Диалог о нашем языке, сочинения великих итальянцев XVI в., Санкт-Петербург.

**ჟენტი 1999** – თ. ჟენტი, დანტეს ნააზრევი ენის შესახებ, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციისა, თბილისი.

**ჩაჩანიძე 2012** – ი. ჩაჩანიძე, ნიკოლო მაკიაველის ლინგვისტური თვალსაწიერი: პოლემიკური დიალოგი ენის თაობაზე. – XXXII რესპუბლიკური დი-ალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ქუთაისი.

**ჭრელაშვილი 1990** – ვ. ჭრელაშვილი, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, თბილისი.

**ჰოლი 1942** – R. A.Hall, The significance of the Italian Questione della Lingua, Studies in Philology, Vol. 39, №1. C.1-10.

IRINE CHACHANIDZE

**Niccolo Machiavelli's Linguistic Treatise**  
**"A Discourse or Dialogue Concerning Our Language"**  
**("Discorso o dialogo intorno alla nostra lingua")**

S u m m a r y

The problem of name to be applied to the Standard Italian language was one of the issues most widely discussed in the XVI-century Italian linguistic treatises. By that time, it had become clear that the developing Italian language standard was mainly based on one of the Tuscan dialects – namely, the dialect of Florence. The same historical period, marked by intense international contacts, was the time when the Italians were living a kind of national identity crisis. The linguistic treatises created in the XVI-century Italy reveal the intricate correlation between their authors' position in the discussion of name to apply to standard language, and their concept of national state and national identity. In the present paper, we analyze the linguistic treatise of the Italian politician-diplomat Niccolo Machiavelli (1469-1527) entitled as "A Discourse or Dialogue Concerning Our Language" ("Discorso o dialogo intorno alla nostra lingua", 1524).

ნინო ხახიაშვილი

**ერთი იშვიათი დერივატისათვის  
შატბერდულ კრებულში**

„ხელნაწერმა, რომელიც შატბერდის კრებულის სახელით არის ცნობილი, პირველად მიიქცია ყურადღება თითქმის ასი წლის წინათ, როდესაც ნიკო მარმა გამოაქვეყნა დ. ალექსი-მესხიშვილის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეწირულ ხელნაწერთა მოკლე კატალოგი. ეს მოხდა 1888 წელს და მას შემდეგ მეცნიერთა რამდენიმე თაობას არასოდეს შენელებია ინტერესი ამ ხელნაწერისადმი...“ – ვკითხულობთ გამოცემის რედაქტორის, მზექალა შანიძის წინასიტყვაობაში. კრებული იწყება გრიგოლ ნოსელის თხზულებით „კაცისა შესაქმისათვის“, რომლის ტექსტიც წარმოადგენს XI საუკუნეში გიორგი მთაწმიდელის მიერ შესრულებული თარგმანისაგან განსხვავებულ ძველ თარგმანს. მას მოჰყვება ეპიფანე კვიპრელის „თუალთაჲ“ – ეს ნაწარმოები ორიგინალის ენაზე, ბერძნულად, მხოლოდ ფრაგმენტული სახითაა შემონახული. შემდეგ – „ფიზიოლოგი“, რომლის ავტორობაც ბასილი კესარიელს მიეწერება (მისი ქართული თარგმანი „მხეცთათვს სახისა სიტყუაჲ“, ასე ეწოდება ქართულში ამ ტექსტს, ნიკო მარის თვალსაზრისით, არა უგვიანეს IX ს-ის დასაწყისისა). სხვა თხზულებებთან ერთად კრებულში ასევე შესულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ – ორიგინალური თხზულება ანონიმი ავტორისა; დიონისე თრაკიელის გრამატიკის კომენტარების ფრაგმენტები; იპოლიტე რომაელის ქრონიკონი, რომელიც მსოფლიო ისტორიის მოკლე გადმოცემას წარმოადგენს. შატბერდის კრებულში ასევე შეტანილია ორი თხზულება: „ცხორებაჲ წმიდისა იაკობისი“ და „თარგმანება დავითის ფსალმუნებისაჲ“, რომლის ავტორადაც ხელნაწერი ეპიფანე კვიპრელს მიიჩნევს. კრებულის შემდგენელს სურდა თავი მოეყარა ისეთი შრომებისათვის, რომელთაც, მისი თვალსაზრისით, გარკვეული შემეცნებითი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა [ე. წ. ენციკლოპედიური კრებული, რომლის მსგავსიც კარგადაა ცნობილი ბიზანტიურ და ძველ რუსულ მწერლობაში] (შატბ. კრებ. 1979, 6-10).

X საუკუნის ცნობილი ხელნაწერი „შატბერდის კრებული“ ქართული მწერლობის ღირსშესანიშნავი ძეგლია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მრავალი ლიტერატურულ-ისტორიული საკითხის გასარკვევად, აგრეთვე, ძველი ქართული ლიტერატურული ენის შესასწავლად. კრებულის ენა გამოირჩევა მრავალფეროვანი, საინტერესო ლექსიკური ერთეულებით: ზოგ-

ჯერ ნასესხები, კალკირებული, ხშირად ძალზე თავისებური, როგორც არქაული, ისე – ახლებური წარმოების სიტყვებით.

შატბერდის კრებულის ბოლოს, ანდერძის წინ, საკუთრივ დავითის ფსალმუნების თარგმანების ტექსტს („თარგმანებად დავითის ფსალმუნებისა“) ერთვის დაჩის (მოდვარეობდა IX ს-ის დასასრულსა და X ს-ის პირველ მეოთხედში) ცნობილი წერილი ანტონ მროველისადმი „მიწერილი დაჩისი (მრ)უველ ებისკოპოსისა ანტონისა“. ეს წერილი ძალიან საინტერესო ლექსიკურ მასალას შეიცავს. ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ ეპისტოლეში დადასტურებულმა ერთ-ერთმა სიტყვამ **გრები**: „...მიჰყარ ხელი მარჯუენე ჩემი და ელომენოსად მიძლოდე მე წინაშე ჩემსა და **განმავლენ მე გრებნი იგი ძნიად-ძნიად სავალნი...**“ (შატბ. კრებ. 424) – აქ: **გრებნი იგი ძნიად-ძნიად სავალნი** ნიშნავს „გრებილს, მრუდს, უსწორმასწოროს, ძნელად სავალს“ [„აილე ჩემი მარჯვენა ხელი და წინამძღვრად [ელომენოსი < ბერძნ. hegyemenos „წინამძღოლი“] მიძლოდე და გამატარე უსწორმასწორო, ძნელად სავალი [გზები]“.

ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ სიტყვა **გრები** სწორედ შატბერდის კრებულიდანაა დამოწმებული და ასეა განმარტებული: „**გრებ**-ი მრუდი, გრებილი. განმავლენ მე გრებნი იგი ძნიად-ძნიად სავალნი...“ (შატბ. კრებ. 424, 8) (სარჯველაძე 1995).

ვფიქრობთ, **გრები** „გრებილი, მრუდი, უსწორმასწორო, ხვეული (მიხვეულ-მოხვეული), კლაკნილი...“ უძველესი, უსუფიქსო დერივაციული წარმოების სიტყვაა, რომელიც იშვიათად დასტურდება უკვე ძველ ქართულ ტექსტებშივე. **გრებ**-ი უნდა მომდინარეობდეს **გრება** (გრებ-ს) ზმნისაგან. ეს დერივატი ისევეა ნაწარმოები, როგორც წნები < წნება (წნებ-ს), კვეთი < კვეთა (კვეთ-ს), წვეთი < წვეთა (წვეთ-ს) და ა. შ.

„**გრებილი** მიმღ. ვნებ. ნამ. რაც [და]გრებიხს ან [და]იგრებიხს, 1. გრებით მიღებული, გრებით დამზადებული (საგალანტერიო ნაწარმი). ოქრომკედის გრებილს შემოვავლებ, ალმასებივით ავაბრჭყვიალებ და ქალს სხვა რა უნდა? (ეკ. გაბ.)... ფიგურ. ჩვენის მეგობრობის გრებილი ისევ გაორფავდა (აკაკი)... 2. ხვეული. საამო გრებილები ვაზის ბარდისა ზოგან შემხმარა (ნ. ლორთქ.). ცისფრად შეღებილი რკინის გრებილი ჭიშკარი: დაბლა, ცოტაზე – ფურცლოვანი რკინა, ზემოთ – გრებილი არმატურა (რ. ინან.)... ფიგურ. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ გრებილი აზრისა განუწყვეტელია (ილია). //კლაკნილი. ...გრებილი ორნამენტი. გრებილი ხაზი...  
◇ **მთების (მთათა) გრებილი** იგივეა, რაც **მთაგრებილი...**“ (ქეგლ II 2010);

ქართულ ენაში **გრებილი** (-ილ სუფიქსიანი მიმღეობური ფორმა, და, რა თქმა უნდა, თავისთავად, ზმნური ფორმები) თითქმის ყველა ზმნისწინით გვხვდება: **აგრებილი** მიმღ. ვნებ. ნამ. რაც აგრებიხს ან აიგრებიხს. – 1. გრებით მალლა ამართული. ყანწივით აგრებილი ულვაშები სიამოვნებით მოიწიწვნა (კ. ლორთქ.)... 2. დაგრებილი, გადაგრებილი. ფიგურ. განვლილი გზა უსწორმასწოროდ იყო აგრებილი და აპენტილი (მ. ჯავახ.) (ქეგლ I 2008); **გაგრებილი**



იგივეა, რაც დაგრებილი... **გადაგრებილი** მიმღ. ვნებ. ნამ. რაც გადაგრებიეს, გადაიგრებიეს ან გადაიგრება. ვერძები თავიანთი გადაგრებილი რქებით ამაყად მიუძღოდნენ ფარას (კ. გოგ.)... **გადმოგრებილი**... მიმღ. ვნებ. ნამ. რაც გადმოგრიხეს ან გადმოიგრება (ქეგლ II 2010); **დაგრებილი** მიმღ. ვნებ. ნამ. რაც დაგრებიეს ან დაიგრება. – 1. გრებით მიღებული, გადაგრებილი... 2. გადატ. უსწორმასწორო, დაღრეკილი. მამა დაგრებილი, დედა დაჭყლეტილი, შვილი გადარეული (გამოცანა). სად წავიდა ვიწრო ქუჩა, დაგრებილი, როგორც ვაზი (ი. გრიშ.)... (ქეგლ III 2015); **მიგრებილ-მოგრებილი** მიგრებილი და მოგრებილი, მიკლავნილ-მოკლავნილი, დაკლავნილი. უწინდელი მიგრებილ-მოგრებილი ბილიკის მაგივრად სოფელს მოუდის კარგა განიერი გზა (ეკ. გაბ.)... **მოგრებილი** რაც მოგრებიეს ან მოიგრება, – დაგრებილი; მოღუნული, მოკაკული, მოდრეკილი... ირმის სუნი მოსდის ირმის რქით მოგრებილ თხილსა და წიფლის ბონცვრებს (ვაჟა). [ძროხამ] მოგრებილი კუდი... გადიგდო გავაზე (ნ. ლორთქ.)... (ქეგლ V 1958). **შეგრებილი** ...გრებით შეერთებული, ერთმანეთზე მიგრებილი (მაფი, თასმა...)... **შემოგრებილი** (ქეგლ VII 1962). **ჩაგრებილი**... გრებით ჩართული. // მიხვეულ-მოხვეული, ჩაკლავნილი, გრებილად მავალი... [მოხუცი] თვალს აყოლებდა მთიდან ბარისკენ ჩაგრებილ თეთრ ბილიკს (დ. გოგოჭ.)... (ქეგლ VIII 1964). ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზმნისწინები ამ სიტყვების ძირეულ სემანტიკას [„გრებილი, მრუდი, უსწორმასწორო, ხვეული (მიხვეულ-მოხვეული), კლავნილი...“] არ ცვლის.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დადასტურებულია **გრებ-**ფუმესთან დაკავშირებული შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **გრება** „სახელი გრებს, იგრებება ზმნათა მოქმედებისა. – 1. გაჭიმული ძაფების (თოკის, ბაწრის, წნელის, მავთულისა...) გასწვრივი ღერძის ირგვლივ ბრუნვით ხვეული სახის მიცემა, – დახვევა... 2. გადატ. კლავნა, წრება... // პრანჭვა, მანჭვა...  
 ◇ **გრება თუთუნი** [და]ხვევით დამზადებული თუთუნი, ხვეული თუთუნი. ჩვენ იმ გრება თუთუნს ვეწეოდით, ჩემო თამაზ ბატონო! (რ. ჭეიშვი.); **გრება-გრებით** ზმნს. პრანჭვით, მიხრა-მოხრით... **გრება-წრება** გრება და წრება...<sup>1</sup> **გრებ-ს...** 1. გაჭიმულ ძაფებს (თოკს, წნელს, მავთულს...) გასწვრივი ღერძის ირგვლივ ბრუნვით ხვეულ სახეს აძლევს, – ახვევს... 2. საუბ. გადატ. ამახინჯებს, მანჭავს, ბრეცს... **გრებია** პრანჭვა-გრების მოყვარული, – პრანჭია, მანჭია; **გრებითი** გრებისათვის ნიშანდობლივი... **გრებითი სასწორი** სპეც. ხელსაწყო... **გრებილა** დარგ. ორნამენტის სახე (ნაქსოვისა)... **გრებილური** გრებისათვის დამახასიათებელი; **გრებილ-ხვეული** ხის ჩუქურთმა. ეტყობა ძველი ნაკეთობაა, იმიტომ, რომ წინა პირზე გამოხარატებულია სხვადასხვა სახე და ძველებური გრებილ-ხვეულები სილამაზისათვის (ილია). ხარატით ნაკეთები და გრებილ-ხვეულით შემკული მუხის ბომები დალურსმული და დაჭდეულნი არიან ურიდოდ და დაუნდობლად (მ. ჯავახ.) (ქეგლ II 2010). **დაგრებ-ს...**

<sup>1</sup> **წრება** კუთხ. (იმერ. გურ.) 1. იგივეა, რაც გრება. 2. თამბაქოს გრებილი. სიგარეტის შექმნა-ბა კია არა, საჩიბუხე წრებას ვეღარ ვშოულობ (პ. ჩხიკვ.).

1. რამდენიმე წვერ ძაფს (თოკს...) ერთმანეთს ჩაახვევს, ერთმანეთზე შეგრებს. დაგვრებ თოკსა ბაწარსა, ჩავუღდებ, ამოვიყვან ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა (ხალხ...)... // ნედლ წნელს მოქნის და ღვლერჭად აქცევს... 2. გადატ. (სახეს) დამანჭავს... **დაგრება**... სახელი დაგრებს, დაიგრიხება ზმნათა მოქმედებისა. – 1. რამდენიმე წვერი ძაფის (თოკის...) ერთმანეთზე დახვევით, ტრიალით ერთმანეთისთვის შეგრება... ◊ **ერთი დაგრება (თუთუნი)** კუთხ. (იმერ.) ერთი გახვევა თამბაქო. ჩვეულება ჰქონდა გამოერთმია თითო დახვევა [თუთუნი] ყველასთვის, ვინც კი შემოვიდოდა (ს. კლდ.). 2. გადატ. დაკლაკნა, დამანჭვა... (ქეგლ III 2015). **მოგრება**... 1. დაგრება, მოღუნვა, მოკაკვა, მოდრეკა. წვეპლის მოგრება. – კისრის მოგრება. // გადატ. მოღრეცა, მოქცევა... 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. მიგრებ-მოგრება... **ნაგრები**... დაგრებილი. ბუზი აეცმება მისი უღვაძის ნაგრებ წვერზე (გ. ლეონ.) ... (ქეგლ V 1958). **საგრებელა** კუთხ. (ფშ.). „ხის ჯამურა, თითისტარის სატრიალებელი“ („დედაკაცის სახელსაქმო იარაღები: ტარები, ჯარა-ჯარისტარი, კალათა, საგრებელა (რაზედაც ტარს აბრუნებენ) (ვაჟა)... **საგრებელი** მიმდ. ვნებ. ნამ. 1. იგივეა, რაც საგრები. 2. კუთხ. (ფშ.). იგივეა, რაც საგრებელა. [შამანდუხმა] ხოკრიდან საგრებელი ამოიღო და დაუწყო მატყლს რთვა (ვაჟა)... **საგრები** 1. რაც უნდა გრიხონ. საგრები ძაფი. 2. რითაც უნდა გრიხონ. საგრები ხელსაწყო. 3. სადაც უნდა გრიხონ... (ქეგლ V 1958). **ცხვირმოგრებილი**... **ყბამოგრებილი**... **ყელმოგრებილი**... **კისერმოგრებილი**... **რქებგადაგრებილი**..... და უამრავი სხვა ლექსემა.

ავთ. არაბული მონოგრაფიაში „ზმნური და სახელური ფუძეთქმნალობის პრობლემა ქართველურ ენებში“ შენიშნავს, რომ „მანჭია, პრანჭია, ღრეჭია, გრებია, წუნია, ხაპია... ფორმათა წარმოების მოდელი მთლად ახალი არ არის, სახელის ფუძის გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე უნდა ჩამოყალიბებულიყო. კერძოდ, ზოგი ლექსიკური ერთეულის წარმოებაში შეიძლება ამგვარი დაბოლოების ფორმირების ისტორიული პროცესი დავინახოთ. მაგალითად: დასტურდება ძირეული სახელი მელი... და მისი -ა სუფიქსიანი ვარიანტი მელა...<sup>1</sup> მელია არსებითად ამ ორი ფუძის კონტამინაციაა. ეს კონტამინაცია, როგორც ჩანს, ასახავს იმ ეტაპს, როცა -ი უკვე მკვიდრ ელემენტად აღიქმებოდა სახელური ფუძისა: ე. ი. სახელის სუფიქსური წარმოება გაბატონებულ წესს წარმოადგენდა. -ია დაბოლოების ამგვარი გენეზისი ხელშესახებად ჩანს ჭყეტძირიდან მომდინარე ფუძეების შეფარდებით: ხევს. ჭყეტი, მთიულ. ჭყეტია „ჭყეტელა“ ... (არაბული 2001: 90).

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ქართულში ვაზის ერთ-ერთ ჯიშს **გრები** ჰქვია: „გრებიც ამპელოგრაფიულად სრულებით აღწერილი არ არის, იმისდა მიუხედავად, რომ „მეტად გავრცელებული ჯიში იყო მაღლობ ზეგან სოფლებში [მევენახ., 33, § 10 და С6СвЕрЕдК, IV, 72, § 2]“ (ჯავახიშვილი 1986: 465). ისიც საინტერესოა, რომ ბატონი ივანე ჯავახიშვილი ყურძნის სხვა 67 ჯიშის სახელთან ერთად, რომელთა წარმომავლობაც „სათუო“ ან „გაუგება-

<sup>1</sup> შდრ. გრები // გრება [გრება თუთუნი] // გრებიან.

რია“, აღნიშნავს გრეხსაც: „უნდა ითქვას, რომ 67 ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელის აღმნიშვნელობა ან გაუგებარია, ანდა სადაურობის მხრითაა სათუო“. სქოლიოში ჩამოთვლილია ეს სახელები: „აი ასეთი სახელების სიაც: ანადას-ტური, ანდა ალადასტური, არაბოული, ასანბეგური... გორგოული, გოროთანა, გრეხი, დაქცეული, ეგორძული...“ (ჯავახიშვილი 1986: 609).

**გრეხი** იგივეა, რაც თანამედროვე **გრეხილი** ([და]გრეხ-ი-ლი) „მრუდი, უსწორმასწორო...“ ეს სიტყვა გაარსებითებული მსაზღვრელია (ტიპოლოგიისათვის შდრ. სემანტიკურად თანხვედნილი **ხვეული**: „**ხვეულ**-ი 1. **მსაზღვრელად**: გრეხილი, კლაკნილი... 2. **არსებითი სახ.** 1. დახვეული, დაგრეხილი რამ... 2. **მიხვეულ-მოხვეული გზის ნაწილი**...“ (ქეგლ VIII 1964).

### ლიტერატურა

**არაბული 2001** – ავთანდილ არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

**სარჯველაძე 1995** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

**ქეგლ V 1958** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. V, თბილისი.

**ქეგლ VI 1960** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VI, თბილისი.

**ქეგლ VII 1962** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VII, თბილისი.

**ქეგლ VIII 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII. თბილისი.

**ქეგლ I 2008** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ავთ. არაბულის რედაქტორობით, ტ. I. თბილისი.

**ქეგლ II 2010** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ავთ. არაბულის რედაქტორობით, ტ. II. თბილისი.

**ქეგლ III 2015** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ავთ. არაბულის რედაქტორობით, ტ. III. თბილისი.

**შატბ. კრებ. 1979** – შატბერდის კრებული (X საუკუნისა), გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, ტომის რედაქტორი მზექალა შანიძე, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1986** – ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბილისი.

NINO KHAKHIASHVILI

**On One of the Rare Derivatives  
in the Shatberdi Collection**

S u m m a r y

The famous manuscript of the 10<sup>th</sup> century "the Shatberdi Collection" is a remarkable monument of Georgian literature, that is of great importance for clarifying many literary-historical issues, as well as for studying the Old Georgian literary language. At the end of "the Shatberdi Collection", before the will, the text of the translations of the Psalms by David is accompanied by the famous letter written by Dachi (the late 9<sup>th</sup> century - the first quarter of the 10<sup>th</sup> century) to Anton Mroveli. The letter contains very interesting lexical material. This time our attention is drawn to the word *grexi* attested in this epistle: *mipqar xeli maržuene čemi da eyomenosad mižyode me činaše čemsa da ganmavlen me grexni igi zniad-zniad savalni*. The phrase *grexni igi zniad-zniad savalni* means the road that is difficult to walk on, bumpy [Take my right hand and lead me like a *hegyemenos* "Gr.: leader" to walk on a bumpy road].

*grexi* is the same as *grexili* (*[da]grex-i-li*) "twisted, curved, bumpy". This word is a substantiated modifier (cf. *xveuli* 1. As a modifier: twisted, 2. As a noun: a. something that is twisted, b. twisted road).

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

**ქართული ხორბლის უძველესი სახეობის – მახას  
(Triticum macha) – თავდაპირველი სემანტიკისათვის**

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კავკასია, კონკრეტულად კი საქართველო, ხორბლეული კულტურების წარმოშობის ერთ-ერთი დამოუკიდებელი კერაა. ისტორიის უადრეს ხანაშიც კი ამ ტერიტორიის მოსახლეობა უკვე იცნობდა ხორბლის სახეობათა უჩვეულო მრავალგვარობას. „თუ საქართველო ცნობილია თავისი ძველისძველი სამიწათმოქმედო კულტურით და „აშკარად გამოირჩევა სხვა ქვეყნებს შორის“ ხორბლის უძველესი ჯიშებითა და მათი კულტურულ სახეობათა და სახესხვაობათა „მაქსიმალური რაოდენობით“ (დეკაპრელევიჩი), ქართული ენა არანაკლებ მდიდარია პურეულის ამ სახეობათა აღმნიშვნელი ძალიან დიდი ხნოვანების ნაირნაირ ტერმინებით“ (კახაძე 1987: 94-95).

ჩვენ გვანტერესებს, ამ ჯიშ-სახეობათა აღმნიშვნელი სახელებიდან რომელი შეიძლება ვიგულოთ უძველესად.

საკითხის კვლევისას ამოსავალია: 1. ხორბლის ქართული ენდემური სახეობები და მათი სახელები; 2. თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და აგრონომიის დასკვნები; 3. ხალხის ემპირიული გამოცდილება; 4. კულტურულ-ისტორიული, არქეოლოგიური მონაცემები.

კულტურული ხორბლის ქართულ ენდემურ სახეობებზე საყოველთაოდ აღიარებულია **ზანდური, ჩელტა ზანდური, მახა, კოლხური ასლი და დიკა**. მათ შორის უძველესად მიიჩნევა ე.წ. „კილიანები“<sup>1</sup>, რომელთა საშემოდგომო სახეობები – **მახა** და **ძველკოლხური ასლი** – თავდაპირველი, შეიძლება ითქვას, არქაული სახეობებია.

ყურადღებას მივაპყრობთ **მახას**, რომლის წარმოშობას სპეციალისტები პრეისტორიული ხანიდან ვარაუდობენ და ფიქრობენ, რომ ხორბლის ამ სახეობის თავდაპირველი, უძველესი სახე, „**პროტომახა**“, ჯერ კიდევ შემგროვებლობის ხანაში იქცა ადამიანის მუდმივ თანამგზავრად. მან სათავე დაუდო

<sup>1</sup> საზოგადოდ, კილიანი კულტურები მიჩნეულია უძველეს სახეობებზე. „განსხვავებულია მათი (**მახას, ზანდურისა და ასლის**) მარცვლეულის გამოფშვნის ხერხი: კალოზე ან კერის თავზე გამხმარი თავთავები იცეხებოდა საგანგებო ხელსაწყო-იარაღის – საცეხველის – მეშვეობით... განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი მოსახლეობა კილიანი ხორბლეულის პროდუქტებსაც“ (ბრეგაძე 2004: 42).

კულტურული ხორბლის ძირითად ფილოგენეტიურ რიგს, რბილ და მაგარ ხორბლეულთა სახეობებს (მენაბდე 1948: 110; ბრეგაძე 2004: 31). **მახა** ვარიაციათა სიმრავლითაც აჭარბებს საქართველოს ყველა სხვა ენდემურ კილიანებს. მისთვის დამახასიათებელი სახეობათაშორისი ნიშნები (მტვრევადავთავიანობა, თავუქნა თანდათანობითი შემოსვლა-დამწიფება, მათი ჩაცვენა და თვითჩათესვა) მის გამორჩეულ არქაულობას ადასტურებს.

**მახას** გავრცელების არეალად მიჩნეულია რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, იმერეთი და სამეგრელო, თუმცა, ივარაუდება, რომ უძველესი დროიდან ის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოჰყავდათ. არქეოლოგიური გათხრების (არუხლოს გორა – ქვემოქართლი, დიხაგუმუბა – კოლხეთი) შედეგად მოპოვებული მასალები ადასტურებს **მახას** გავრცელებას როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. არქეოლოგები მონაპოვარს ნეოლითის პერიოდს უკავშირებენ.

ეთნოგრაფიული მასალის თვალსაზრისითაც **მახა** საყურადღებო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა, კერძოდ: **1.** არქაულია მისი მოკრეფის წესი, „...აღება წარმოებს არა ნამგლით ან ცელით, არამედ ორი გაშალაშინებული ხის ჯოხით („შნაკვით“)<sup>1</sup>... რაც ადების პრიმიტიული და პირველყოფილი საშუალება გახლავთ... და ადასტურებს **Tr. Maxa**-ს კულტურის სიძველეს და პირველყოფილობას“ (დეკაპრელევიჩი 1938:10); **2.** გამორჩეული ადგილი უჭირავს **მახას** ხალხურ ყოფაში, რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალებში: ა) **მახა** შესაწირავ ანუ „მართალ პურთა“ რიგშია, შდრ.: „...მართალი პური, რომელი არს შესაწირავი ღ-თისა იფქლთა, დიკათა, მახათა და ასლთაგან იქმნებინ...“ (საბა 1991); ბ) ზოგიერთ კუთხეში წლის პირველი მოსავლის ხმევა მხოლოდ **მახას პურით** ხდებოდა, მაგ., ლეჩხუმში „ოჯახში დაილოცებოდნენ რა წლის პირველი მოსავლის აღებისას, ჭამდნენ სწორედ **მახას** პურს“ (ბრეგაძე 2004: 42); გ) წვეულების დროს საპატიოდ ითვლებოდა **მახას** პურით გამასპინძლება<sup>2</sup> (ჩვენი ფასეულობები 2016: 214); დ) **მახას** მარცვალი მიჩნეული იყო სამკურნალო საშუალებად, „[სამეგრელოში] ძველად მხედველობის გასაუმჯობესებლად სვამდნენ **მახას** მარცვლის ნახარშს“ (მაისაია 2009: 56); ე) სახელწოდება **მახა** ფიგურირებს უძველესი პლასტების მქონე ხალხურ რიტუალებში, მაგ., რაჭა-ლეჩხუმში კვირიკობისთვის ორშაბათს სრულდებოდა რიტუალი, რომელსაც **მახიკრეფის ჭაბუკობას** ეძახდნენ. ამ რიტუალს ასრულებდნენ ქალები და **ღვთაება-ჭაბუკს** ვედრებით მიმართავდნენ. სწორედ ამ დროიდან იწყებოდა **მახის კრეფა**. ეს დღე უძველესი აგრარული კალენდრის თავთარილი, ახალი წლის დასაწყისი იყო. მამაკაცური ბუნების ნაყოფიერების **ღვთაება-ჭაბუკი** ნათეს-ნამუშევრის მფარველად მიიჩნეოდა და მასთან ასოცირდებოდა

<sup>1</sup> „...იმისათვის, რომ საქართველო აღიარებულ იქნას ენდემური პურული კულტურების ერთ-ერთ უძველეს კერად, შნაკვის არსებობა მალზედ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს“ (ჩიტაია 1997).

<sup>2</sup> ხალხურ კულინარიაში არსებობდა განსაკუთრებული რეცეპტი: „მახას ფქვილისაგან მზადდებოდა „ხაბიზგინა“, ნივჯითა და ხახვით შეზავებული პური“ (მაისაია 2009: 56).

**ხარი** (ბარდაველიძე 1939: 7; რუხაძე 1968: 67; გარდაფხაძე 1995: 42; ბრეგაძე 2002: 105-106; აბაკელია 1997: 17-35); ვ) სახელი **მახა** დღესაც დასტურდება ქართულ ხალხურ გადმოცემაში<sup>1</sup>, სიმღერაში<sup>2</sup>.

ენობრივი თვალსაზრისითაც იკვეთება სახელ **მახას** გამორჩეულობა, არქაულობა. ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგ მონაცემებზე:

**I.** ფორმის სიმარტივე: **მახ**-ა განეკუთვნება პირველად, საწყის სიტყვა-წარმოების კატეგორიას.

**II.** სახელ **მახას** ყველაზე ადრეული წერილობითი დადასტურება გვაქვს საბას „სიტყვის კონაში“, შდრ.: „**მახა** (ბალ.) ყანაა, ასლს ჰგავს (ZAB; ყანა(ა) ასლის მსგავსი CD; ერთი ყანა E.“ (საბა 1991). ამ განმარტებით ხაზგასმულია **მახასა** და **ასლს** შორის მსგავსება, რაზეც სხვა ლექსიკოგრაფებიც მიუთითებენ (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, რ. ერისთავი). სახელი **მახა** არ ჩანს უფრო ადრეულ წერილობით ტექსტებში (როგორც, მაგალითად, იფქლი, დიკა, ასლი, ქრთილი, ქერი). ჩვენი ვარაუდით, ძველ ტექსტებში დადასტურებული „**ასლი**“ გულისხმობდა **მახასაც**, რადგან: 1. ასლი ხორბლეულთა გარკვეული ჯგუფის საერთო თვისების – **კილიანობის** – გამომხატველი ზოგადი ტერმინი იყო (ბრეგაძე 2004: 338); 2. არ ხდებოდა, ან ვერ ხერხდებოდა კილიან სახეობათა დიფერენცირება. დღესაც ადგილობრივი მოსახლეობა მეტწილად ვერ ასხვავებს ამ ჯგუფის სახეობებს (სამეცნიერო წრეებისთვისაც სახეობა **მახა** ცნობილი გახდა 1932 წ-დან, როცა ის ცალკე ენდემურ სახეობად აღწერეს ლ. დეკაპრელევიჩმა და ვ. მენაბდემ). როგორც ჩანს, ყველა კილიანი ხორბალი იყო ასლი, ხოლო უძველესი სახელი **მახა** ლოკალურ, დიალექტურ სახელად აღიქმებოდა (იხ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2020).

**III.** **მახა** ფართო გავრცელების სახელი იყო: „მართალია, „მახა“ (*Triticum macha* Dek. Et Men.), რაც ხორბლის უძველესი სახეობის ქართული სახელია, დღეს გვხვდება მხოლოდ ლეჩხუმსა და რაჭაში, მაგრამ წინათ საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიც ყოფილა ცნობილი... მახას მონათესავე იბერიულ-კავკასიური სიტყვები მიკვლეული ჰქონდა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილს... „...პურელის ეს სახელი მართო საქართველოში კი არ არის გავრცელებული, არამედ ჭანეთიდან მოყოლებული ჩრდილოეთ კავკასიამდე, დაღესტანში და სხვაგანაც მოიპოვება“ (ენიმკის მოამბე, I, 1937: 5-6)“ (კახაძე 1985: 27, 32-33). ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგიც: „გურიის ზოგიერთ სოფელში დამოწმებული მასალა ძველად ხორბლის ერთ-ერთი ჯიშის თესვის შესახებ, რომლის სახელი არ შემორჩა და მოყვანის წესების აღწერა ვერ მოხერხდა (მაგრამ ცნობებია,

<sup>1</sup> ლეჩხუმში ჩაწერილი ამბავი: „გალატაკეზული აზნაური და გლეხი შეამხანაგდნენ ყანაში სამუშაოდ. პირველ დღეს აზნაურმა მოიტანა სადილი. ჰქონდა სიმინდის მჭადი. მეორე დღეს გლეხმა უმასპინძლა **მახის პური**. შერცხვა აზნაურს, რომ გლეხმა აჯობა, უკეთესი მოიტანა და, რათა იხტიბარი არ გაეტეხა, გადაწყვიტა, იქით შეერცხვინა გლეხი, დაეცინა. უთხრა – შენი საქმე ისე ცუდად ყოფილა, რომ შარშანდელი მოსავლის აღარა დაგრჩენია რა და ადრე შემომსვლელ **მახას** რომ არ მოესწრო, შიმშილით მოკვდებოდიო“ (ბრეგაძე 2004: 42).

<sup>2</sup> შდრ.: „რა მოკრიფავს ამდენ **მახას**, რა დაარჩენს ამდენ გლახას“ (ჩვენი მოპოვებული მასალა, ცაგერი, 2018 წ).

რომ მისი მოსავლის აღებისას თავთავებს ამტვრევდნენ), საფუძველს ქმნის დაშვებისას, რომ, შესაძლებელია, ეს იყო **მახა** ან მეორე მტვრევადთავთავიანი ხორბალი – **ზანდური**“ (ბრეგაძე 2004: 32).

**IV. მახას** გამორჩეულობას მიუთითებს აჭარულ დიალექტში (მაჭახლის ხეობა) დამოწმებული მისი აღმნიშვნელი სახელები: „**ხასი პური**“, „**ხარმენი პური**“ (კახიძე 1974: 37-38). შდრ.: **ხასი** (არაბ. ხასსა) „ნამდვილი, წმინდა, ხალასი“ (ქეგელი); „ძვირფასი, მაღალი ღირსებისა“ (მარტიროსოვი 1984); „რჩეული, წარჩინებული... ნამდვილი, წმინდა, ხალასი“ (ქობალია 2010); „წმინდა, არაფერი შერეული, ნამდვილი“ (თანდილავა 2013).

**V.** ქართველურ ენა-კილოებში ხორბალთან, პურთან, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ლექსიკაში ხელშესახებია მასალა, სადაც შესაძლებელად მიგვაჩნია **მახ-/მახ-ა** ძირ-ფუძის გამოცალკეება. ესენია:

**სამახეზო** – „პურის გამოსაღები სამეგრელოში“ (ჩუბინაშვილი 1986); **სამახო / სამახობო**<sup>1</sup> „პურის გადასახადი ძვ. სამეგრელოში“ (ქობალია 2010);

**მახალი**<sup>2</sup> – „იმერეთში ერთს რიგს პურსა ჰქვიან“ (საბა);

*ხორბლის დაუზუსტებელი ჯიშ-სახეობანი: მახანზანდური* (ერისთავი 1884), **მახოზელი** (ზაბუნაშვილი 1950: 271), **მახნია** „ძვ. ხორბლეული მცენარის ჯიში, აცხოვდნენ პურს“ (ზედგინიძე 2014).

*სარეველს მცენარეები: მახაყანა* (ბაგრატიონი 1986) (=მდელოს თივაქასრა *Poa pratensis* L.)<sup>3</sup>; **მახოზელი** (*Cephalaria syriaca* (L.) Schrad)<sup>4</sup>, ქართ., კახ. **მახოზელა**, გრ.-კახ. **მამხოზელა** (მაყაშვილი 1961); ფშ., ქართლ. **მახოზელი** (დიალექტოლოგია 1961); **მამხოზელი** (ჩუბინაშვილი 1961; ჩუბინაშვილი 1984; ერისთავი 1884); ფშ. **მაჯაოზელი** (შანიძე 1984); თუშ. **ნაკოზარ** (ხუბუტია 1969), **მაჯოზარ** (ცოცანიძე 2012); **მამჯოზელი** (საბა 1991).

**VI. მახა-/მახ-/მოხ-** წარმოდგენილია მთელ რიგ ტოპონიმებში: **მახაში** – სოფ. ლეჩხუმში. „განთქმული იყო **მახას** ყანებით“ (ალავიძე 1957); **მახაკალა** – ახალციხის რ-ნი (თოფურია 1942: 34); **მახაისფონი** – სათესი გურიამი (სიხარულიძე 1971: 100); **ნამახვანი** // **ნამოხვანი** < \***ნა-მახ-ოვან-ი** – წყალტუბოს მუნიცი. (გვანცელაძე 2016: 14); **მოხოზანი** (თოფჩიშვილი 2010: 143); **მოხაში** (ჩუხუა 2017: 271); **ნომოხენი** – სათესი მაკრეთში (ჩხალის ხეობა)<sup>5</sup> და სხვ.

**VII. მახა-**ს უდასტურდება შესატყვისობანი. ასეთად მიიჩნევენ ლაზურ **მოხა-**ს (მარი 1910: 168; მენაბდე 1948: 19; კახაძე 1960: 191; კლიმოვი 1964: 130; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 321; ქურდიანი 2002: 397-399; გიგინეიშვილი 2016: 328; ჩუხუა 2017: 270). სვანურისათვის გამოთქმულია ვარაუდი, რომ „**მა-**

<sup>1</sup> მეგრულში ეს სახელები ქართული ნასესხობა ჩანს – ნ. ხ.

<sup>2</sup> ქართულში მოიპოვება ამ სახელის ომონიმებიც შემდეგი მნიშვნელობებით: „**ხურჯინი**“ (საბა); „უნაგირის კეზზე გადასაკიდებელი **ჭურჭელი**“ (ჩუბინაშვილი 1961); „**ახგა**“, „ტკბილი **ღვინო**“ (ნეიმანი 1978), „**ხორაგი**“, „**საჭმელი**“ (გვანცარია 2000); შდრ.: „[პური] მახისა, არ ხმება, კარგა ხანს ინარჩუნებს სირბილეს, რის გამო განსაკუთრებულ ფასს იძენს მგზავრებისა თუ მოლაშქრეთათვის საგზლის გასამზადებლად“ (ბრეგაძე 2004: 41).

<sup>3</sup> მარცვლოვანი სარეველაა.

<sup>4</sup> ხორბლის თანმხლები სარეველაა, ურევნ ფქვილში პურის საგემოვნო თვისებების გასაუმჯობესებლად.

<sup>5</sup> ტოპონიმზე მივვითითა ნ. ფონიავამ.



**ხარ/მახვირ** („ქერი“) მატერიალურად იგივე უნდა იყოს, რაც ქართული **მახა** და ზანური **მოხა**<sup>1</sup> (კახაძე 1987: 28). სხვა მოსაზრებით: „ს/ქ \*მახა: ქართ. მახა: სენ. მახა: ზან. (ლაზ.) მოხა „id“... სამწუხაროდ, არ ხერხდება ხორბლის სხვ სახეობათა (ჯიშთა) აღმნიშვნელი ტერმინების რეკონსტრუქცია საერთო ქართველურ ქრონოლოგიურ დონეზე ასეთივე უეჭველობით“ (ქურდიანი 2002: 397-399). სვანურისათვის ჩვენ ვვარაუდობთ **მაჯ**- ძირს, რომელიც შემდგომი კვლევა-ძიებით, ვიმედოვნებთ, დადასტურდება გარკვეულ ფორმებში.

ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ის, რომ **მახას**ათვის ძირეულ თანხმოდანა მივიჩნევთ **ჯ**- ს და არა **ხ**- ს, შესაბამისად, თავდაპირველია \***მაჯა** და არა **მახა**. **ჯ**- ს აღვადგენთ პურის თანმხლები ბალახოვანი მცენარის აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და საბას ლექსიკონში დადასტურებული სახელების მიხედვით (*საბა მამჯოხელი; ფშ., ერწ. მაჯაოხელი; თუშ. ნაკობარ, მაჯო-ხაყრ*) და, „თუ ეს ვარაუდი მართებულია, განსხვავებულად წარმოგვიდგება ბგერათმესატყვისობის საკითხი არა მხოლოდ ქართველურ, არამედ კავკასიურ ენათა დონეზეც“ (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2019: 131-137).

ხელშესახებად დასტურდება **მახა**-ს მატერიალური პარალელები კავკასიურ ენებში (ძირითადად ნახურ-დაღესტნურში), ამასთან, სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა მითითებული, რომ იკვეთება არაერთგვაროვნება ბგერათმესატყვისობისა და არქეტიპის აღდგენის მხრივ, როგორც საერთოქართველურ, ისე კავკასიურ ენათათვის: აღადგენენ ქართულ-ზანურ არქეტიპს \***მახა**, თუმცა მიუთითებენ \***მაჯა** არქეტიპის აღდგენის შესაძლებლობებზეც ნახურ-დაღესტნური მატერიალური პარალელების გათვალისწინებით. ცხადია, ასახსნელია ეს არაერთგვაროვნება.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ამ ენებში (ნახურ-დაღესტნურში) „ქერის“ (/„ხორბლის“) აღმნიშვნელი სახელების ძირში გვაქვს **ჯ**- (შესაბამისად, **მუჯ/მაჯ**), ხოლო „შერიის“ აღმნიშვნელისა – **ხ** (**ნიხა/ნეხო**). სემანტიკური დიფერენციაცა მკაფიოდ ჩანს ხვარშიულში – **მაჯა** „ქერი“ და **ნიხა** „შერია“, ახვახურში – **უჯა** „ქერი“ და **ნიხა** „შერია“. ვფიქრობთ, აქ გასათალისწინებელია ის გარემოებაც, რომ **შერია**, ქერთან და ხორბალთან შედარებით, გვიანდელი კულტურაა კავკასიაში (ჯავახიშვილი 1928: 362), შესაბამისად, არ გამოვრიცხავთ მისი სახელის (**ნიხა / ნიჯა**) სხვაგვარ წარმომავლობასაც.

როგორც აღვნიშნეთ, საერთოქართველურ დონეზე \***მაჯა** არქეტიპის დაშვების შემთხვევაში ბგერათმესატყვისობის საკითხი საერთოკავკასიურ დონეზეც სხვაგვარად შეიძლება წარმოჩნდეს, თუმცა ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ის ადრეული ქართული ნასესხობაა კავკასიურ ენებში (შდრ., კახაძე 1985: 31).

<sup>1</sup> **მახასა** და **ქერის** აღრევას თავისი მიზეზი ჰქონდა – შემოსვლის ერთი და იგივე დრო: „საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებული კულტურებიდან ზოგიერთი (**ქერი**, ხორბალი **მახა**) ადრეშემომსვლელია და მწიფდება ივნისში, სხვა პურულზე ორი კვირით ადრე“ (ბრეგაძე 2004: 210; 307).

ჩვენი ვარაუდით, იმ ენებში, სადაც **ქერის** (/ხორბლის) აღმნიშვნელად ოდენ **ხ**-იანი სახელებია (ამგვარი ნიმუშები მცირეა, მაგ., ლეზგ. **მობ/მუხ** „ქერი“; არჩიზ. **მახა** „ქერი“), უნდა განვითარებულიყო გვიანდელი **ჭ>ხ>**(**ჰ**) პროცესები და სწორედ ეს უნდა განაპირობებდეს მასალის არაერთგვაროვნებას. მაგალითად, აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალაში (resp. აფხაზურში) **ჭ**-იანი ფორმების (**მაჭ**-) მკაფიოდ ვერ დადასტურება შეიძლება აიხსნას იმით, რომ აქაც დიაქრონულ ჭრილში უნდა განხორციელებულიყო **ჭ>ხ** პროცესი, რაც, როგორც მიჩნეულია, უცხო არ არის ამ ენათა ფონეტიკური ბუნებისათვის. საკითხის შემდგომი კვლევისათვის აუცილებელია კავკასიურ ენათა სათანადო ლექსიკური მასალის სრულად წარმოჩენა და ზედმიწვნითი ანალიზი.

სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებული და ჩვენ მიერ მოძიებული სათანადო ენობრივი თუ ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, **მაჭ-/მახ**-ძირ-ფუძის მქონე მარცვლეულ კულტურებთან დაკავშირებული სახელებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენათათვის ვლინდება ფართო სემანტიკა: „ქართული ხორბლის უძველესი სახეობა“, „ქერი“, „ხორბალი“, „პურის მარცვალი“, „ყანა“, „ნათესები“, „ფეტვი“, „პურეული“, „სალაფავი/მარცვლეულის ფაფა“, „ხორბლის თანმხლები მცენარე, პურის ბუნებრივი დანამატი“, „რამდენიმე მარცვლოვანი მცენარე“, „დაუზუსტებელი სახეობის ხორბალი“, „გამომცხვარი პური“, „პურის გადასახადი“...

ამგვარი ფართო სემანტიკური სპექტრი გასაკვირი არ უნდა იყოს, ვინაიდან პურეული კულტურების ამსახველი უძველესი ლექსიკა მთავარი ნაწილია კაცობრიობის დიადი მონაპოვრის – მიწათმოქმედების – რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „ცივილიზაციის საფუძველს“ და „კულტურის დედას“. საზოგადოდ, ლექსიკის ეს ნაწილი გამორჩეულია იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი კვლევა უნდა წარიმართოს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან, ყოფასთან, ტრადიციებთან და სხვა გარეენობრივ მონაცემებთან ერთიან ჯაჭვში.

დასკვნები: 1. სახელ **მახას** (**\*მაჭა**) არქაულობასა და გამორჩეულობას მკაფიოდ ადასტურებს გარეენობრივი მონაცემები და ენობრივი მასალა; 2. თავდაპირველად **\*მაჭა** უნდა რქმეოდა ადამიანის მიერ მოწეულ ხორბლეულ კულტურას (ასლისებურს), საზოგადოდ და არა მხოლოდ ერთ, თუნდაც ყველაზე ძველ სახეობას. 3. **მაჭა** უძველესი ხალხური აგროტერმინია.

## ლიტერატურა

**აბაკელია 1997** – ნ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი.

**ალავიძე 1957** – გ. ალავიძე, ქვემო რაჭის ტოპონიმიკური ლექსიკონი, ქუთაისის სახ. ინსტ. შრომები, ქუთაისი.

**ბაბუნაშვილი 1950** – ე. ბაბუნაშვილი, პურეულის ტერმინები სოფ. ბიწმენდის მეტყველების მიხედვით, სტუდ. საეცნ. შრ. კრ. წიგნი V, თბილისი.

**ზაგრაციონი 1986** – ი. ზაგრაციონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ზარდაველიძე 1939** – ვ. ზარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი.

**ზრეგაძე 2004** – ნ. ზრეგაძე, საქართველო – მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბილისი.

**ზრეგაძე 2002** – ნ. ზრეგაძე, ვეფხისტყაოსანი რაინდის სახელის შესახებ, ამირანი, VI, 2002, თბილისი.

**გარდაფხაძე 1995** – ფ. გარდაფხაძე-ქიქოძე, ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმი), თბილისი.

**გვახარია 2000** – ა. გვახარია, „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლური ლექსიკონიდან (მახალი, ნასი, ხლა), რუსთველოლოგია 2000 №1, თბილისი.

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**დეკაპრელევიჩი 1938** – ლ. დეკაპრელევიჩი, შ. რუსთაველის ეპოქის ზოგიერთი უმთავრესი კულტურის სამეურნეო მნიშვნელობა, კრებული – შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი.

**დიალექტოლოგია 1961** – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, დიალექტოლოგია, I, ახალი ქართული ენის კათედრის შრომები, 3, თბილისი.

**ერისთავი 1884** – რ. ერისთავი, ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებებიდან, თბილისი.

**ზედგინიძე 2014** – გ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი.

**თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

**თოფურია 1942** – ვ. თოფურია, ქვაჯვარნი საქართველოში, მსკი, ტ. IV, თბილისი.

**თოფურიშვილი 2010** – ქართული ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფურიშვილის საერთო რედაქციით, თბილისი.

**კახაძე 1987** – ო. კახაძე, პურეულის ლექსიკა ქართულში, თბილისი.

**კახაძე 1960** – ო. კახაძე, პურეულის ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულში, იკე, XII, თბილისი.

**კახიძე 1974** – ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი.

**კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

**ლიპარტელიანი 2014** – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლოურული კილო), თბილისი.

**მაისაია 2009** – ი. მაისაია, ჩვენი ეროვნული საუნჯე (საქართველოს მარცვლოვანი და საზეთე-ბოჭკოვანი კულტურები), თბილისი.

**მარი 1910** – Марр Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка, СПб.

**მარტიროსოვი 2014** – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი.

**მაყაშვილი 1961** – ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

**მენაბდე 1948** – მენაბდე В. Л., Пшеницы Грузии, Тбилиси.

**ნეიმანი 1978** – ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

**რუხაძე 1968** – ჯ. რუხაძე, ზოგიერთი აგრარული წეს-ჩვეულება XIX საუკუნის დასავლეთ საქართველოში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბილისი.

**საბა I, 1991; II, 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**ქურდიანი 2002** – მ. ქურდიანი, ჟურნალი „ოჩხარი“, თბილისი.

**შანიძე 1984** – ავ. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი.

**ჩვენი ფასეულობები 2016** – ჩვენი ფასეულობები, სოფლის მეურნეობა, პური ჩვენი არსობისა, I, თბილისი.

**ჩიტაია 1997** – გ. ჩიტაია, შრომები, ტ.1, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბილისი.

**ჩუბინაშვილი 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუბინაშვილი 1984** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ცოცანიძე 2012** – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი.

**ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2019** – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, მცენარეთა სახელების (მახობელი, მახა) ურთიერთმიმართე-ბისათვის ქართულში, ეტიმოლოგიური ძიებანი, XVI, თბილისი.

**ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2019** – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, რატომ არ ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ქართული ხორბლის უძველესი სახეობის აღმნიშვნელი სახელი *მაბა*?, ქესს, XVII (იბეჭდება).

**ხუბუტია 1969** – პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1928** – ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბილისი.

NANA KHOCHOLAVA-MACHAVARIANI

**On the Original Semantics of an Oldest Species of  
Georgian Wheat *maxa* (*Triticum Macha*)**

## S u m m a r y

It is generally accepted that *maxa* (*Triticum macha* Dek. et Men.) is the oldest species of Georgian wheat, and in the vocabulary of the Kartvelian languages the distinctiveness and archaic nature of its name are confirmed by numerous external or internal linguistic data.

As a result of the analysis of the relevant material, we suggest that the original root consonant of this name was **-q-** and not **-x-** in the Kartvelian languages and dialects.

At the common Georgian level, in case of recognizing the archetype *\*maq̄a*, the issue of sound equivalence may appear differently at the common Caucasian level as well, although we consider it to be an early Georgian borrowing for Caucasian languages.

It seems that the original semantics of *maxa-s* (<*maq̄a*) meant not just one (even archaic wheat) species, but it was the so-called agricultural term and referred to man-cropped wheat grain crops in general.

ცირა ჯანჯღავა

### ზმნური მიმართვის შესახებ მეგრულში

მიმართვას – დიალოგური მეტყველების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს – უწოდებენ სიტყვას ან შესიტყვებას, რომელიც გამოიყენება თანამოსაუბრის ყურადღების მისაქცევად. ფართო გაგებით **მიმართვა** ორ ძირითად სახეობას გულისხმობს: სახელურსა და ზმნურს. მათი სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ ქართულში მსჯელობა მრავალ სამეცნიერო ნაშრომშია წარმოდგენილი, სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა კი ეკუთვნის პროფ. შ. აფრიდონიძეს (აფრიდონიძე 2003). ამ მონოგრაფიის ძირითად დებულებებს, ბუნებრივია, ვითვალისწინებთ.

სახელური (ვოკატიური) მიმართვა მეგრულში რამდენჯერმე იყო ჩვენი განხილვის საგანი: პირველად – 1998 წელს საკანდიდატო დისერტაციაში (ჯანჯღავა 1998: 36), შემდეგ – სხვა პუბლიკაციებში (2000, 2002, 2009, 2018...), ხოლო ზმნურ მიმართვასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს შევხებით მაჰაჩყალის საერთაშორისო სიმპოზიუმზე გაგზავნილ და იქ ჰ. წადასას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მოხსენებათა თეზისებში (2008). ზმნური მიმართვის ფორმებზე მეგრულში გავამახვილეთ ყურადღება 2012 წელს XXXII რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში, რომლის თეზისებიც დაიბეჭდა სესიის „მასალებში“ (ჯანჯღავა 2012: 79-81).

წინამდებარე წერილი წარმოადგენს ამ მოხსენების მცირედ დაზუსტებულ ვარიანტს.

ზმნური მიმართვა, როგორც ცნობილია, შეიძლება იყოს წართქმითი და უკუთქმითი, ბრძანებითი და კითხვითი.

მეგრულს, მეგრულ-ლაზური ენის ლაზური დიალექტის, ახალი ქართულისა და სვანურის მსგავსად და ძველი ქართულისაგან განსხვავებით, ბრძანებითისათვის სპეციალური წარმოება არ მოეპოვება (იხ. ყიფშიძე 1914: 068; ჩიქობავა 1936: 116-117; შანიძე 1976: 109-119; თოფურია 2002: 185-186...).

წართქმითი ფორმით იმპერატორიული (ბრძანებითი) მიმართვის შემთხვევაში, თუ მეორე პირია მიმართვის ობიექტი და ზმნა დინამიკურია, გამოყენებულია ნამყო ძირითადის (წყვეტილის) ფორმები:

წერილი **დოჭარი** დო **მიდაჯღონი**! „წერილი დაწერე და გაგზავნე!“  
**ეუკინი** ხონარს, ვარა ვამარჩილე! „აუწიე ხმას, თორემ არ მესმის!“  
 ა, **ქობირი**, მუ აკეთუნი! „აჰა, ნახე, რა გააკეთა!“  
 გოთანდ, **გედირთი** მალას! „გათენდა, ადექი მალე!“  
**იკერკელი**, **იკერკელი**, აბა, სი გიჩქე! „იგორავე, იგორავე, აბა, შენ იცი“  
 მიცა ქვგოხვარუდა, **იბიცი**! „სიცილი თუ გიშველის, იცინე!“  
 ოცქავალიე დო **ოცქვეთ**! „საქებია და აქეთ!“

გვაქვს აწმყოს გამოყენების შემთხვევაც: **მეურთ** ჯიმალეფი და ქუყარუ-ლითია (ქეეკი) „წადით ძმები და უყარაულეთო“.

თუ ზმნა სტატიკურია, გამოიყენება კავშირებითის ფორმა:

სი თაქ **ქორდა** დო მა მიდურქ ცუდეშა! (ქეეკი) „შენ აქ იყავი და მე წავალ სახლში!“

ირო **ორდა**, ჯგირო **ორდა**, ნტერეფიშ ჯინო **ორდა**! (დალოცვა) „მუდამ იყავი, კარგად იყავი, მტრების ჯინაზე იყავი!“

**ქოილუდას**! „გქონდეს!“

**ქორცუნდას**! „გყავდეს!“

**გიჩქუდას**! „იცოდე!“

კოჩი **გიცორდას**, უკოჩობაშ კოჩი **რჯოგუდას**! „კაცი გიყვარდეს, არაკაცი გძულდეს!“

დიო ადრე რე, **ქოჯანუდა**! „ჯერ ადრეა, იწეკი!“

მიმართვა-მოწოდება მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმითაც შეიძლება გადმოიცეს (ამ შემთხვევაშიც კავშირებითი გამოიყენება):

უწუ ბელთაგანს: ჰე, ჯიმა, ასე **მიდაფრთათია**! (ქეეკი) „უთხრა ბელთაგანს: ჰე, ძმაო, ახლა წავიდეთო!“

**დოფხუათ**! „დავშალოთ!“

**მიდაფრთათ** ქართიშა, ვამოფრთათ მარტიშა! „წავიდეთ თბილისში, არ ჩამოვიდეთ მარტამდე!“

დაჩხირი **ქუდუორზათ**! „ცეცხლი დავანთოთ!“

**დიბჯირათ**! „დავწვეთ!“

**დოფხაჩქათ** ცვანა შქადლამ მულაშა! „გავთოხნოთ ყანა შუადლის მოსვლამდე!“

**ვაპწირათ**! „არ გავწუროთ!“

ამ ვეშილებე, **ვაბლოლათ** ენა! „ასე არ შეიძლება, ნუ ვიზამთ ამას!“

უკუთქმითი ბრძანებითის შემთხვევაში მხოლოდ კავშირებითის ფორმები გამოიყენება:

გოხვეწექ, ენა **ვაკეთა**! „გეხვეწები, ეს არ გააკეთო!“

**ვაჩურა**! „არ იცურაო!“

ჩქიმ მულაშა **ვადინჯირა**! „ჩემ მოსვლამდე არ დაიძინო!“

**ვალორა!** „არ მოატყუო!“  
**ვეზირა!** „არ მოიპარო!“  
**ვენირზა,** ვარა წაგენქ! „არ დაენიძლო, თორემ წააგებ!“  
**ვაკეთა!** „ნუ გააკეთებ!“

უკუთქმითი ბრძანება შეიძლება გადმოიცივს **ნუ || ნუმ || ნგ** ნაწილაკის გამოყენებით:<sup>1</sup>

**ნუ პირუნს!** „ნუ ნახავს!“  
**ნუმ იკეთენს!** „ნუ იკეთებს!“  
**ნგ ჭარგნს!** „ნუ წერს!“  
**ნუ ინგარქ!** „ნუ ტირი!“  
**ნუ ხონგნთ!** „ნუ ხნავთ!“

თავისებურია „სვლის“ გამომხატველი ზმნის მიმართვის ფორმა, რომელიც განსხვავებულია სათანადო თხრობითი კილოს ფორმისაგან – მოკვეცილია ფუძისეულის **რ** (<ლ) და სუფიქსი **-ქ**: **მეუ!** „წადი!“ – შდრ. **მეურქ** „მიდიხარ“.

სი ანწი **მეუ** სქანი ძუდეშა (ქეეკი) „შენ აწი წადი შენს სახლში!“

ასე ხდება ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნების მოკვეცაც „ადგომის“ სემანტიკის ზმნის ბრძანებითი ფორმის წარმოებისას:

**გედი!** || **გედირთი!** „ადექი!“ – შდრ. თხრ. გედირთი „ადექი“

ზოგჯერ არ არის ნათელი, თუ რომელია ბრძანებითში წარმოდგენილი ზმნური ფუძის შესატყვისი ფუძე თხრობით კილოში:

**მიფშათ || მიფშათ!** „წავიდეთ!“

უწუ ვეზირ მუშის: მორთი, **მიფშათ** მა დო სია (ქეეკი). „უთხრა თავის ვეზირს: მოდი, წავიდეთ მე და შენ“.

მიმართვისას შეიძლება ნატვრითი შინაარსი კავშირებითის ფორმით გადმოიცივს:

**გიბირუდას!** „გემღეროს!“

ირო **გიბირუდას**, ჩქიმ ჯიმაია! „მუდამ გემღეროს, ჩემო ძამია!“

**ვაიგარუდას!** „არ გეტყვოს!“

**რშიზუდას!** „გემოვოს!“

დღას **ვაიგარუდას**, ჯგირობუა **რშიზუდას!** „არასოდეს გეტყვოს, სიკეთე გეპოვოს!“

**გერძირაფუდას!** „ნეტავ დაგესიზმროს!“

**დუჭარუდას!** „ნეტავ დაწეროს!“

**ქემურთუმუდას!** „ნეტავ მოვიდეს!“

<sup>1</sup> ეს ნაწილაკი საერთოქართველურ მონაცემად არის მიჩნეული (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 362).



კითხვითი (ინტეროგატიული) შინაარსის მიმართვას მეგრული სხვადასხვა დროში კითხვითი -**ო** ნაწილაკის მეშვეობით გადმოსცემს.

აწმყო	ნამყო სრული	მყოფადი
<b>მეურქო?</b> „მიდიხარ?“	<b>მიდართიო?</b> „წახვედი?“	<b>მიდულო?</b> „წახვალ?“
<b>კარუნქო?</b> „წერ?“	<b>დოჭარიო?</b> „დაწერე?“	<b>დოჭარუნქო?</b> „დაწერ?“
<b>აკეთენქო?</b> „აკეთებ?“	<b>გაკეთიო?</b> „გააკეთე?“	<b>გაკეთენქო?</b> „გააკეთებ?“
<b>კვალუნქო?</b> „წველი?“	<b>გეჭვალიო?</b> „მოწველე?“	<b>გეჭვალუნქო?</b> „მოწველი?“
<b>ჯანჯქო?</b> „წევხარ?“	<b>ქიდინჯირიო?</b> „დაწექი?“	<b>დიჯირუნქო?</b> „დაწეები?“
<b>კკომუნქო?</b> „ჭამ?“	<b>ოჭკომიო?</b> „შეჭამე?“	<b>ოჭკომუნქო?</b> „შეჭამ?“
<b>კკირენქო?</b> „ჭრი?“	<b>დოჭკირიო?</b> „დაჭერი?“	<b>დოჭკირუნქო?</b> „დაჭრი?“

კითხვითი მიმართვისათვის ზემოთ მოყვანილი იყო მეორე პირის ფორმები აწმყოს, ნამყო სრულსა და მყოფადში. კითხვითი ფორმები სხვა პირსა და დრო-კილოებშიც გვხვდება, რომელთაც ამჯერად არ შევხებით.

ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, მეგრულში ზმნის ბოლო მარცვლის ხმოვნის გაგრძელებით კითხვითი შინაარსის გამოხატვა არ ხდება (სპეციალური კითხვითი ნაწილაკის ფუნქციონირების პირობებში ამის საჭიროება არც არის).

კითხვით ფორმებთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო დაკვირვება წარმოგვიდგინა ი. ყიფშიძემ; ესენია: მახვილის გადაადგილება, დაკარგული მესამე პირის ნიშნის აღდგენა, მესამე პირის ნიშნად კითხვით ფორმებში მხოლოდ **ჟ**-ს არსებობა, ანაპტიქსური ვ-ს გაჩენა... (ყიფშიძე 1914: 092, 093). მათ შესახებ მსჯელობას მომავალში ვაპირებთ.

კითხვასა და ბრძანებას თან ახლავს თავისებური ინტონაცია, რომელიც განსხვავდება თხრობითი ინტონაციისაგან (კიზირია 1987). მეგრული ინტონაციის სხვადასხვა კომპონენტებზე მსჯელობა წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში (ჩიქოვავა 1936, ჟღენტი 1953, იმნაძე 1981, კარტოზია... 2010, ქირია... 2015, შენგელია... 2020...), რომლებსაც ჩვენ არ შევხებივართ; ჩვენ მხოლოდ მიმართვის **ფორმებზე** გავამახვილეთ ყურადღება.

საგანგებო განხილვას მოითხოვს მიმართვის ფორმებთან დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის საკითხი. ამჯერად მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მეგრულშიც (ახალქართულისებურად) თავაზიანობის გამოხატვის ერთ-ერთ ფორმად მეორე პირისადმი „თქვენობით“ მიმართვა მიიჩნევა.

### ლიტერატურა

**აფრიდონიძე 2003** – შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი.

**თოფურია 2002** – ვ. თოფურია, სვანური ენა. – შრომები, ტ. II, თბილისი.

**იმნაძე 1981** – ნ. იმნაძე, ზანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა, თბილისი.

**კარტოზია... 2010** – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.

**კიზირია 1927** – ნ. კიზირია, სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები, თბილისი.

**კოლხური 2006** – კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბილისი.

**ჟღენტი 1949** – ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი.

**ჟღენტი 1953** – ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქეიკი** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

**ქირია... 2015** – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I, თბილისი.

**ყიფშიძე 1914** – И. Кипшидзе, Граммтика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург.

**შანიძე 1976** – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

**შენგელია... 2020** – ე. შენგელია, ო. მემიშიში, ნ. ფონიავა, მეგრულ-ლაზური ინტონაცია, თბილისი.

**ჩიქობავა 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.

**ჯანჯღავა 1998** – ც. ჯანჯღავა, სახელის მორფონოლოგიური ანალიზი მეგრულში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი.

**ჯანჯღავა 2012** – ც. ჯანჯღავა, ზმნური მიმართვის შესახებ მეგრულში. – XXXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

TSIRA JANJGHAVA

**On Addressing with a Verb in Megrelian**

## S u m m a r y

We discussed the issue of addressing someone with a verb in the abstract of a paper submitted to the International Symposium in Mahachkala in 2008 for the first time, and then at the presentation delivered at the 32<sup>nd</sup> Republican Dialectological Scientific Session in 2012. This paper is a summary of the previous works.

In a positive imperative sentence, past and subjunctive forms are used, like in New Georgian, while in a negative imperative sentence only subjunctive forms are used. The imperative verb commanding “to move” is of a specific kind – the final consonants of the verb is apocopated, e.g. *meu!* “Go!”, cf. *meurk* “You are going”.

In Megrelian, addressing someone with a question is possible by using the particle *-o*, e.g., *dočario?* “Have you written it?”

Unlike the Georgian literary language, in Megrelian the interrogative meaning of a sentence is not expressed by lengthening the last syllable of a word.

Addressing someone with an imperative and an interrogative verb is accompanied by proper intonation (N. Kiziria).

გიორგი ჯღარკავა

**მიმართვის სახელური ფორმები მეგრულ და  
ლაზურ ანდაზებში<sup>1</sup>**

**შესავალი**

ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრებისგან განსხვავებით, ანდაზა სხარტი და მოქნილი აგებულებისაა. ღრმამინაარსიანი სათქმელის ლაკონიურად გადმოცემა ბევრად არის დამოკიდებული ანდაზაში წარმოდგენილ ენობრივ-გამომსახველობით ინვენტარზე. ანდაზის ენისთვის დამახასიათებელი სისხარტე მიიღწევა სხვადასხვა ენობრივი თავისებურებით. იმ მრავალფეროვანი საშუალებიდან, რომელთა მეშვეობითაც პარემიული გამოთქმები ტევადი შინაარსის სპეციფიკური ინტონაციით წარმოსათქმელ ფრაზას წარმოადგენენ, საინტერესოა სახელური (resp. ვოკატიური) მიმართვები.

მიმართვის ფორმებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი (Braun 1988; აფრიდონიძე 2003; რუსიეშვილი 2007; ფაჩულია 2012 და სხვ.). მათ შორის აღსანიშნავია შ. აფრიდონიძის სადოქტორო დისერტაცია, რომელშიც დაწვრილებითაა განხილული მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში. აღნიშნულ ნაშრომში გამოყოფილია ვოკატიური (სახელური), იმპერატიული (ზმნური) და სხვა სახის მიმართვები. ერთ-ერთ ქვეთავში ავტორი სახელურ მიმართვაზე მსჯელობისას ქართული ანდაზების მასალის მიხედვით ცალცალკე გამოყოფს და ახასიათებს საკუთარ სახელთა (ანთროპონიმთა) და საზოგადო სახელთა (აპელატივთა) ვოკატიურ ფორმებსა და **შე** ნაცვალსახელიან კონსტრუქციებს. ამავე ნაშრომში შენიშნულია, რომ მიმართვის ფუნქციით არატიპობრივი საკუთარი სახელების პოვნეირება ქართულ ანდაზებში განპირობებულია რიტმისა და რითმის საჭიროებით; ასეთი სახელებია: *თაყა*, *ალია*, *თანანი* და სხვ. მაგალითები:

**თაყა:** (1) ეგრე არ უნდა, **თაყაო**, შენ რო მამული გაყაო.

**ალია:** (2) რაც მოგივა, **ალიაო**, ყველა შენი ბრალიაო.

**თანანი:** (3) ეგრე, ჩემო **თანანიო**, მიყვარს შენისთანანიო.

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ინტერდისციპლინურ კონფერენციაზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში (კონფერენციის პროგრამა იხ. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/290422/1/Axalgazrda\\_Mecnierta\\_Interdisciplinuri\\_Konferencia\\_2018.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/290422/1/Axalgazrda_Mecnierta_Interdisciplinuri_Konferencia_2018.pdf)

მიმართვის ფორმები სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართულის გარდა, განხილულია მეგრულ-ლაზურის მასალაზეც. კერძოდ, სახელური მიმართვის ფორმების ანალიზს ისახავს მიზნად ც. ჯანჯღავას სტატია (ჯანჯღავა 2009: 250-252), თუმცა ავტორის მიზანი არ გახლავთ მიმართვის ფორმათა სემანტიკისა და ფუნქციური დანიშნულების გარკვევა საკუთრივ მეგრულ-ლაზური ანდაზების ენაში. იგივე უნდა ითქვას ლ. ფაჩულის ნაშრომზეც (ფაჩულია 2012: 109-112); მასში ფ. ბრაუნის კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებულია მეგრულში არსებული მიმართვის სახელური ფორმები. ავტორი გამოყოფს ცხრა ჯგუფს, რომელთა შორისაა მიმართვად გამოყენებული ხელობა-პროფესიის სახელები, კნინობით-ალერსობითი ლექსიკა და სხვ. მიმართვის ფორმათა პრაგმატიკულ ასპექტებსა და ანდაზებში მათ ფუნქციონირებაზე არც აღნიშნულ სტატიაში გრძელდება მსჯელობა.

როგორც ჩვენ მიერ განხილული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა აჩვენა, ქართველური ენებიდან მხოლოდ ქართული ანდაზების მასალების მიხედვით არის მსჯელობა მიმართვის ფორმებზე, ხოლო მეგრულ და ლაზურ ანდაზებზე დაკვირვება ამ თვალსაზრისით არ მომხდარა. **წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია** არსებული ხარვეზის რამდენადმე შევსება და მიმართვის, კერძოდ, სახელური მიმართვის ფორმების ანალიზი მეგრული და ლაზური ანდაზების ენაში. ამჯერად საკვლევი ემპირიული მასალაა ხალხური სიბრძნის I ტომში წარმოდგენილი მეგრული და ლაზური ანდაზები<sup>1</sup>.

სახელურ მიმართვებში ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა **საკუთარი** და **საზოგადო სახელების** მონაწილეობით.

### ანთროპონიმთა ვოკატიური/სახელური ფორმები

ცნობილია, რომ სახელური მიმართვისას გამოყენებული წოდებითი ბრუნვა, რომელსაც ზოგი მკვლევარი (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია და სხვ.) ბრუნვათა პარადიგმაში არც განიხილავს, ქართველურ ენათაგან დასტურდება და მარკირებულია მხოლოდ ქართულში. რაც შეეხება მეგრულსა და ლაზურს, ამ ენებში წოდებითის ფუნქციას სახელობითი ბრუნვა ასრულებს.

მეგრული მასალა:

(4) **იკონია, კიკონია**, დუდიში ჭირი მიგონია. „**იკონია(გ), კიკონია**, თავს ჭირი მოუგონეო („...თავის ჭირი მოიგონეო“) (შერ. მემ. 1994: 59)<sup>2</sup>.

როგორც უკვე აღინიშნა, ანდაზებში არასტანდარტული სახელების გამოყენება მიმართვის ფორმად ემსახურება რითმისა და რიტმის შექმნას. გარდა ამისა, ქართველურ ენათა ანდაზებში გამოყენებული საკუთარი სახელებისა და გვარების ფუნქცია-სემანტიკაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ პარემიებში დადასტურებული ანთროპონიმი უმრავლეს შემთხვევაში მიემართება

<sup>1</sup> იხ. რ. შეროზია, ო. მემიშიძე, ხალხური სიბრძნე, I (მეგრული და ლაზური ანდაზები), ალმანახი „მსგეფსი“, თბილისი, 1994.

<sup>2</sup> შერ. იკონია მუს ორთენი, კიკონია თის უხერხე. „იკონია (სახ. ბრ.) რასაც აკეთებს, კიკონია იმას უხერხებს“ (შერ. მემ. 1994: 59).

არა ამ სახელის მატარებელ კონკრეტულ ადამიანს, არამედ, ზოგადად, აღნიშნული ხასიათისა და თვისებების მქონე ადამიანთა კრებულს. ზემოთქმულთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ლ. ქამადაძე, რომლის მიხედვითაც ქართულ ანდაზებში გამოყენებული ანთროპონიმები „თითქოს უკვე აღარ განეკუთვნება თავის მატარებელს; კონკრეტული სახელები განზოგადებულ ხასიათს იძენს და წინა პლანზე წამოსწევს არა სახელწოდებას, არამედ მის შეფასებას, მოსაუბრის დამოკიდებულებას ობიექტისადმი, რომელიც ატარებს ამ სახელს, ასევე ახალი ობიექტისადმი, რომელზეც გადადის ეს სახელი“ (ქამადაძე 2016: 107). მაგ.,

(5) არალო, ბიჭო **გოგია**, მოხან და ბევრი მოგოვა;

(6) **ამილახორო**, რა ხარო? ხარ – კამეჩივით დახვალო;

(7) ასეა, ჩემო **თომაო**, სმასაც კი უნდა ზომაო<sup>1</sup>.

რაც შეეხება თანხმობის სახელებს, მეგრულ და ლაზურ ანდაზებში მიმართვის ფორმით გამოყენებული თანხმობის საკუთარი სახელი საანალიზო მასალაში ვერ დავადასტურებთ, თუმცა სხვა გამოცემულ ნიმუშებში ან ზეპირმეტყველებაში მის არსებობას არ გამოვრიცხავთ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელობითი ბრუნვის -**ი** ფორმანტის ხმარება თანხმობის სახელებთან ფაკულტატურია, თუკი ისინი ასრულებენ სუბიექტის, ობიექტისა და მსაზღვრელის ფუნქციებს, მაგრამ მიმართვისას ამ სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია: მეგრ. **ისური!** „ქალო!“, **დავითი!** „დავით!“, ლაზ. **სქირი!** „შვილო!“ (ჯანჯღავა 2009: 250).

### საზოგადო სახელთა ვოკატიური ფორმები

ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის მიხედვით, მეგრულ და ლაზურ ანდაზებში საკუთარ სახელზე უფრო პროდუქტიული აღმოჩნდა მიმართვის ფორმით გამოყენებული საზოგადო სახელი. პარემიებში მონაწილე საზოგადო სახელთა მიმართვის ფორმები სემანტიკური მრავალფეროვნებითაც ხასიათდება. გვხვდება რელიგიურ თემატიკასთან დაკავშირებული საზოგადო სახელები.

#### მეგრული:

(8) პაპა გურს იბირდუა დო, დიაკონი, ბანი მიწია. „მღვდელი გულში მღეროდაო და, დიაკვანო, ბანი მითხარიო“ (შერ. მემ. 1994: 114);

(9) პაპა, ჟამი ქომიწირი, – ნოწირიი ხოლო ქომუ. „მღვდელი, ჟამნის წირვა აღასრულე ჩემთვის, – ნაწირევიც მომეცი“ (იქვე 114)<sup>2</sup>.

ანდაზებში მიმართვის ობიექტი შესაძლოა არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ცხოველი, ფრინველი და/ან რამე უსულო საგანი იყოს.

<sup>1</sup> მაგალითებიდან ნათელია, რომ ანდაზებში გამოყენებული კონკრეტული ანთროპონიმების სარიტომო ერთეულად კვალიფიკაციასთან ერთად, ჩანს მათი საზოგადო სახელად ქცევის ტენდენციაც.

<sup>2</sup> ამ ჯგუფში შემავალი ანდაზები უცხო არ არის არც ქართულისთვის. შდრ.: ეგრე არა ჰქნა, ხუცესო, საქმე არა ჰქნა უწესო, თორემ ეგ შენი ნაქნარი შენს შვილიშვილსაც უწევსო.

**მეგრული:**

(10) აფხაზაქ უწუ ბადირეს: სი ოხერი, ირო წიწილა რექიაო?! „აფხაზმა უთხრა ბელურას: შე ოხერო, სულ მუდამ წიწილა უნდა იყოო (რომ მუდამ წივიო)?!“ (შერ. მემ. 1994: 15);

(11) ვო<sup>1</sup> ლაფშა ძურგუში დო გიოხუნალი ხუტუში. „ლაფშავ ძურგუსი და დასაჯდომო ხუტუსი.“ ესიკელას ქორწილი, გოგისელას ხარჯიო (იქვე 48).

**ლაზური:**

(12) ეშელი ჩქიმი! აქ გელადგატი-ნა, ვარ მეჟოლაფტია. „ჩემო ვირო! აქ რომ (ფეხი) დაგედგა, არ გადაიჩეხებოდიო“ (შერ. მემ. 1994: 214).

რაც შეეხება **მიმართვის ფორმათა ადგილს** წინადადებაში, მეგრულ და ლაზურ ანდაზებში მკაცრად დადგენილი არ არის, თუმცა ჩანს, რომ ვოკატივები უმეტესად წინადადების თავში გვხვდება, რაც განპირობებულია სარიტმოდ ერთეულის შექმნის საჭიროებით (წინადადების პირველ ნაწილში წარმოდგენილი მიმართვის ფორმა ერთობეა ანდაზის დამამთავრებელ ნაწილში წარმოდგენილ ლექსიკურ ერთეულს). ამდენად, მთავარია ვოკატიური ფორმით მოცემული საკუთარი თუ საზოგადო სახელი გაერთიმოს ანდაზის სხვა რომელიმე წევრს, რაც, თავის მხრივ, ანდაზის ფრაზის ერთიანობის, მონოლიტურობის შთაბეჭდილებას ქმნის. აღნიშნული საკითხი უკავშირდება აგრეთვე ანდაზის ფრაზებად დაყოფის საკითხს.

ვინაიდან ანდაზა ზეპირმეტყველების ნიმუშია, მნიშვნელოვანია მისი წარმოთქმის სპეციფიკა, პაუზა, მახვილების სწორად დასმა, ინტონაციის გამოყოფა და ა.შ. ანდაზის ფრაზებად დაყოფის საჭიროებაც, სწორედ ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივად დგება. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ანდაზის ფრაზის დაყოფის ზოგადი საფუძველი არის სინტაქსურ მთლიანობათა შექმნა ანდაზის ფრაზაში შემავალი წინადადების წევრთა დაჯგუფებისა და თითოეული ჯგუფის ინტონაციური ერთიანობის საფუძველზე (ლექავა 1959: 204). ე. ი. ანდაზაში ბუნებრივად დაყოფილი ფრაზები შესაბამისი ლოგიკური მახვილით, ინტონაციითა და პაუზით წარმოითქმის, მაგრამ ეს არ არღვევს წინადადების ერთიანობას, არ ირღვევა სინტაქსური მთლიანობა. მისი საშუალებით, შეიძლება ითქვას, უფრო მკაფიოდ ხდება აზრის გამოხატვა, ხაზგასმა ფრაზის შემადგენელ კომპონენტზე (ქაროსანიძე 2015: 37).

ანდაზაში გამოყენებული მიმართვის ფორმები, სხვა ყველაფერთან ერთად, ფრაზებად დაყოფას, წინადადებაში სათანადო ლოგიკური მახვილების განაწილებას, ეკონომიურობის პრინციპის დაცვასა და შესაბამისად, ფრაზის მოქნილად გადმოცემასაც ემსახურება; მაგალითად,

<sup>1</sup> მეგრულში საკუთარ და საზოგადო სახელებთან მიმართვისას დადასტურებული ვო ელემენტი გარკვეული სტილისტური ნიუანსის შემცველია და უფრო მეტად აძლიერებს მიმართვის რიტმულ-მელოდიკურ ელფერს. ეს დეტალი შენიშნულია კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენის სახელმძღვანელოშიც (კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, 2006: 184).

(13) პაატავ, ბანი თქვი და – ქუსლი მტკივა, ბატონოო.

ეს ანდაზა შეიძლება დაიყოს ორ ფრაზად, რომლებიც ერთმანეთისგან პაუზით გამოიყოფა (შდრ. მაგალითები (1), (2), (3) და სხვ). აღნიშნული პაუზა გამოტოვებული წევრის ადგილას მოდის; კერძოდ, გამოტოვებულია თქმა-ბრძანების გამომხატველი ზმნური ერთეული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ანდაზის პირველი ნაწილი მიმართვის ფორმის ხარჯზე მაქსიმალურად შეკუმშულია (შდრ. „პაატას უთხრეს“, „ბატონმა პაატას უბრძანა“ და მისთანანი).

ამრიგად, როგორც ქართულ, ისე მეგრულ და ლაზურ ანდაზებში დადასტურებული საკუთარი და საზოგადო სახელთა ვოკატიური ფორმები ემსახურება პარემიული ერთეულებისთვის ნიშანდობლივი მახასიათებლების გადმოცემას; კერძოდ, რითმულობისა და რიტმულობის შექმნას, ფრაზის სხარტად და ლაკონურად ჩამოყალიბებას, სათანადო ინტონაციებისა და ლოგიკური მახვილების დასმას და ა.შ. ამასთანავე, ანდაზებში წარმოდგენილი საკუთარი სახელი ან/და გვარი ხშირად საზოგადო სახელად ქცევის ტენდენციასაც ავლენს, რის გამოც ესა თუ ის ანთროპონიმი მიემართება არა კონკრეტულად ერთ სუბიექტს, არამედ, ადამიანთა კრებულს. ყოველივე ზემოთქმულით, ანდაზის, როგორც უნივერსალური სიბრძნის გამომხატველი ერთეულის, განზოგადებული ხასიათი კიდევ ერთხელ ვლინდება.

### ლიტერატურა

**აფრიდონიძე 2003** – შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.

**კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა 2006** – შემდგენლები: რ. ამირეჯიბი-მალენი (რედაქტორი), ნ. დანელია, ი. დუნდუა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**ლეჟავა 1959** – ლ. ლეჟავა, ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

**ფაჩულია 2012** – ლ. ფაჩულია, მიმართვის სახელურ ფორმათა ჯგუფები მეგრულში ფ. ბრაუნის კლასიფიკაციის მიხედვით. – კავკასიოლოგიური ძიებანი, IV, გვ. 109-112, თბილისი.

**ქამადაძე 2016** – ლ. ქამადაძე, ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური და ეთნოკულტურული თავისებურებანი ინგლისური და ქართული ანდაზების მიხედვით, დისერტაცია, ბათუმი.

**ქაროსანიძე 2015** – თ. ქაროსანიძე, მეგრული ანდაზების ენა (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი), სამაგისტრო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.



**შეროზია, მემიშიში 1994** – რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე (მეგრული და ლაზური ანდაზები), აღმანახი „მსგეფსი“, თბილისი.

**ჯანჯღავა 2000** – ც. ჯანჯღავა, მიმართვის ფორმისათვის მეგრულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, გვ. 63, თბილისი.

**ჯანჯღავა 2009** – ც. ჯანჯღავა, სახელური მიმართვა მეგრულ-ლაზურში, კავკასიოლოგიური ძიებანი, I, გვ. 250-252, თბილისი.

**ბრაუნი 1988** – Braun, F. Terms of address: Problems of Patterns and Usage in Various Languages and Cultures. Berlin – New York – Amsterdam.

GIORGI JGHARKAVA

### **The Noun Forms of Addressing in Megrelian and Laz Proverbs**

#### S u m m a r y

In the presented paper, on the background of the proper instances, the various cases of the use of the noun forms of addressing are analyzed, including:

1. The vocative forms of proper nouns;
2. The vocative forms of common nouns.

The use of the noun addresses in a proverb language mostly serves to ordering of rhythmic and rhymed organization – one of the main characteristics symptomatic for paroemias. The special literature mentions that in proverbs very rare proper names or their untypical forms are applied for rhyme necessity (i.e., *egre ar aris*, *taqao*, *šen rom mamuli gaqao*...).

Observation on Megrelian and Laz paroemia units shows that proper and common nouns given in the vocative forms are rhymed to other member of the proverb which, in its turn, creates the impression of integrity, monolith character of the proverb phrase. The above-mentioned issues are interesting in terms of dividing a proverb into phrases.

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**